1980/2
51

# საუნჯე

1980

3

ISSN 0134 - 9848







მაკა ვეშაპიძე. ზამთარი. 8 წ., მე-60 საშ. სკ.

ეკა ეგანოიძე. ელიოზი
13 წ., I საშ. სკ.



დათო ქარსაულიძე. თამარ მეფე
9 წ., მე-60 საშ. სკ.



რეზო სამხარაძე. შემოდგომა. 10 წ., 114-ე საშ. სკ.



შორენა პატარაია. ჩემი ნებიერა
10 წ., 61-ე საშ. ს

3 1980

ეროვნული
(პა)რლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

## შინაარსი

ო' ჰენრი. გამასინჯეთ თქვენი მაჯისცემა! მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ანა რატიანმა 191

ვოლფგანგ გოეთე. ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი. ნაწყვეტი რომანიდან. გერმანულიდან თარგმნა ოთარ ხუციშვილმა 201

ფრენსის კინგი. მჭრალი ანბარიში. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ზურლან გეშაზაშვილმა 209

იტალო კალვინო. მოთხრობები. თარგმნა ლოლა მოწონელიძემ 221

დალი სიხარულიძე. „ორი საუფლოს" მხილველი 228

ჯარჯი ფხოველი. ასი წლის ტუდორ არღეზი 229

* *

გარეკანზე: პაბლო პიკასო. გოგონა და მტრედი
მეოთხე გვერდზე: მისივე. პოლ პიკასო ჩოჩორზე

«САУНДЖЕ»
ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬМАНАХ
НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ № 3 1980
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ
ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА И ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ
ТБИЛИСИ, УЛИЦА ШАЛВЫ ДАДИАНИ, 2

# საუნჯე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

## შინაარსი

უძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს

ემანუელ კაზაკევიჩი. ლურჯი რვეული. ნაწყვეტი მოთხრობიდან. თარგმნა ნანა დარჩიამ 4

მარიეტა შაგინიანი. კომუნისტის აღზრდა. ერთი თავი რომანიდან „ულიანოვების ოჯახი". თარგმნა გიზო ზარნაძემ 9

* *

შერვუდ ანდერსონი. მოთხრობები. თარგმნა იუზა ყაჭეიშვილმა 27

რამირო პინილია. ბრმა ჭიანჭველები. რომანი. ესპანურიდან თარგმნა მარტინა მინთეგი-ბილბაომ 49

ჯეიმზ ჯოისი. ულისე. რომანი. მერვე ეპიზოდი. ინგლისურიდან თარგმნა ნიკო ყიასაშვილმა 137

მიმო მორინა. და შენ ხარ, მიწავ! პოემა. ფრანგულიდან თარგმნა გასტონ ბუაჩიძემ 176

მთავარი რედაქტორი შოთა ნიშნიანიძე

სარედაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ გოგიაშვილი, ნანა დარჩია (პ. მგ. მდივანი), მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რომან მიმინოშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი, დავით წერედიანი

# ემანუელ კაზაკევიჩი

## ლურჯი რვეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა **ნანა დარჩიამ**

დილით რომ გაიღვიძა, ზინოვიევი მაშინვე ვერ მიხვდა სად იმყოფებოდა. ჩუმად გამოჰყო თავი ჩალურიდან და მარცხნივ, ხშირ ტირიფნარში ლენინი დაინახა. ლენინი კუნძზე იჯდა მრგვალ ჯირკთან და გამალებით წერდა. დილის ალმაცერი მზის სხივები ანათებდა მის დახრილ თავს. ირგვლივ მწვანე და ყვითელი ჭრიჭინობელები ხტოდნენ. ლენინი ხან ხელების ქნევით მოიშორებდა, ხან კი გაფანტულ მზერას გააყოლებდა და ისევ საწერ ქაღალდს დააცქერდებოდა. აი, ქაღალდზე მუხლუხო აცოცდა, მან დაუფიქრებლად აიღო ცერა და სალოკი თითებით და არც დაუხედავს, ისე მოისროლა ბუჩქებში. ლენინი უკვე აქაც ისევე გრძნობდა თავს, როგორც შინ, — ასეთი შესაშური თვისება ჰქონდა, რომელსაც არაერთხელ განუცვიფრებია ზინოვიევი.

ლენინი, როგორც ყოველთვის მუშაობის დროს, ახლაც გულისყურით წერდა. არც სახის გამომეტყველება შეცვლია და არც შეუხედავს ზინოვიევისთვის, ისე ჰკითხა:

— გაიღვიძეთ, გრიგორი? ქალაქელივით გძინავთ და დაგავიწყდათ, რომ მთიბავი ხართ და დროა საქმეს შეუდგეთ, თორემ ზამთრისთვის ერთ შაურიანსაც ვერ გამოიმუშავებთ... ბავშვები კი ბლომადაა გყავთ! უკვე ნახევარი სტატია დავწერე. კალმით ისე ვმუშავე, როგორც ნამგლით... დაიბანეთ ხელ-პირი და წაიკითხეთ.

ემელიანოვი ცეცხლთან ფუსფუსებდა. ჯაჭვზე დაკიდული პატარა ქვაბი და ჩაიდანი უკვე დუღდა. კოლია ჯერ არსად ჩანდა. მაგრამ აი, გამოჩნდა ხეების მიღმა, წინასწარ ჩიტივით დაუსტვინა.

— სიმშვიდეა, — წამოიძახა მან, — ნავები არ ჩანს.

— ჩუმად, ხელს ნუ უშლი, — ემელიანოვმა ლენინზე ანიშნა.

კოლია ვეღარ ითმენდა დროზე ეთქვა სათქმელი, ხმას საგრძნობლად დაუდაბლა:

— დედა ზღარბი ვნახე თავის პატარა ზღარბებთან ერთად!

---

* ნაწყვეტი მოთხრობიდან.

— შერედა, როგორ ფიქრობ, ერთგული ზღარბი იქნება? ხომ არ გაგვცემს? — საქმიანად იკითხა ლენინმა შორიდან, თან წინანდებურად [illegible] უყურებდა და ისევ გამოლებული განაგრძობდა წერას. თითქოს [illegible] საფეთქლით დაინახა, სადაც წამით შეიკრიბა დაშვებული ნაოჭები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენიანია! — შესძახა კოლიამ და ყურებამდე გაიცინა.

— ხელს ნუ უშლი, — წაიჩურჩულა გაბრაზებულმა ემელიანოვმა. იგი ზინოვიევთან მივიდა, ხელში სათლი ეჭირა.

— აქ დაიბანთ ხელ-პირს თუ ტბასთან ჩაბრძანებას ინებებთ?

— არ ვიცი, — შეყოყმანდა ზინოვიევი, — ვგონებ, აქ უკეთესია. ნუ შეწუხდებით, მე თვითონ.

— წყალს დაგისხამთ. უფრო მოხერხებულად დაიბანთ.

ზინოვიევმა ჩემოდნიდან საპონი და კბილის ჯაგრისი ამოიღო, ფხვნილი კი ვერსად იპოვა. ჩუმად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ლენინმა გაიგონა და არც განძრეულა, ისე უთხრა:

— ჩემი ფხვნილი აიღეთ, თავსასთუმალთან დევს, პირსახოცშია გამოხვეული, მიდით და ნახავთ.

კარტოფილიანი ქვაბი ათუხთუხდა, ემელიანოვმა ჩანგალი ჩაურჭო, ჩაიბურტყუნა, მზად არისო და ზინოვიევს გადაულაპარაკა:

— დაუძახეთ... ან იქნებ სჯობს ხელი არ შევუშალოთ?

— ვლადიმერ ილიჩ, საუზმე მზად გახლავთ.

— მოვდივარ, მოვდივარ, — სწრაფად გაეპასუხა ლენინი, თავი ასწია, მაგრამ მაშინვე არ წამოსულა, იჯდა, ფიქრობდა; სახეზე სევდა დაეტყო, სწორედ ისეთი, რაიც ზინოვიევის არსებაში გაურკვეველ გრძნობას ბადებდა.

უწვერულვაშოდ ლენინს პირისახე ძალზე შეცვლოდა. უფრო პირქუში და უბრალო გახდომოდა: წვერ-ულვაში ჩვეულებრივ უფარავდა ნებისყოფის გამომხატველ მკვეთრი მოხაზულობის ტუჩებს, ახლა კი დიდი ტუჩ-პირი გამოუჩნდა. მაგრამ ერთი გაღიმება და... ისევ უწინდებური იერი უბრუნდებოდა: ყვრიმალებზე კანი გადაეჭიმებოდა, თვალებს მოჭუტავდა და თვალის უპეებსა და საფეთქლებზე ეშმაკურ, მაგრამ კეთილ ნაოჭებად იყრიდა თავს.

ლენინი კიდევ წამით იჯდა. შემდეგ კი კოცონის ირგვლივ მსხდომთ შეუერთდა. სწრაფად და ჩუმად ჭამდა, მხოლოდ დროდადრო იკითხავდა:

— საშა ჯერ არ გამოჩენილა არა, გაზეთებიც არ მოუტანია?

— ადრეა ჯერ, — პასუხობდა ემელიანოვი, თან ესათუთოდ ამოიღებდა ხოლმე ჯიბიდან დიდ ვერცხლის საათს.

— გაზეთის ჯიხურები რვაზე იღება. სანამ იყიდის, დაბრუნდება. მარტო ნავით ნახევარი საათი დასჭირდება.

ლენინი შეეცადა დაემალა თავისი მოუთმენლობა, მაგრამ მაინცდამაინც კარგად ვერ მოახერხა. ხან ტბისკენ მიმავალი ბილიკისაკენ გააპარებდა თვალს, ხანაც თითებს ათამაშებდა მუხლის თავზე. უეჭველია, ვერც ირგვლივ მყოფ ადამიანებს ამჩნევდა, არც კოცონის სასიამოვნო სითბოს გრძნობდა, ან ქვეყნისა არაფერი ესმოდა, ვერც კი გრძნობდა რას ჭამდა.

— როგორც კი გაზეთებს მივიღებთ, — თქვა მან და წამოდგა, — დაჯექით, გრიგორი, და დაამთავრეთ თქვენი სტატია სამი ივლისის მოვლენებზე.

— დიახ, უსათუოდ, — უპასუხა ზინოვიევმა, მაგრამ მაშინვე გაშალა ხელები, — მაგრამ სად გავგზავნო? გაზეთები დახურულია...

16.5/3

— ჩვენები რაღაცას მოიფიქრებენ, — კრონშტადტში დავბეჭდავთ, იმე-დია, კრონშტადტელები შეინარჩუნებენ თავის „გოლოს პრავდის“! ეს გა-ბედული ხალხია... შესაძლებლობაც მეტია.

— ვერაფერს ვიტყვი... — ჩაიბურტყუნა ზინოვიევმა, — ასეთ პირობებ-ში გაზეთის შენარჩუნება? საქმეზე უფრო მეტია, — ცდილობდა დაემალა საკუთარი სასოწარკვეთა, მაგრამ მაინც აძულა საკუთარი თავი, ამდგარიყო და საქმიოდ მხნედ, ოდნავ ეშმაკურადაც კი წარმოეთქვა: — წერა, წერა და წერა.

— ათი საათია, — თავის ვერცხლისფერ ბოლქვს დახედა ემელიანოვმა, საშა საცაა გამოჩნდება.

ლენინი და ზინოვიევი იმ ადგილისაკენ გაემართნენ, ემელიანოვს რომ გა-ესუფთავებინა ტირიფნარში და იქ მოიკალათეს. კარგა ხანს ჩუმად იმუშავეს, თვითეული თავის კუნძთან იჯდა, თავისი სამელნე ჰქონდა. მზე მაღლა-მაღლა იწევდა, დათბა. ლენინი სწრაფად წერდა. ზოგჯერ წამოდგებოდა, ერთხანს თითქმის ხმამაღლა ჩურჩულებდა სტატიიდან სიტყვებს. შემდეგომ კი ისევ დაჯდებოდა. ბოლოს ზინოვიევს შეხედა. იგი ჩაფიქრებული იჯდა, დიდრონი გადმოკარკლული თვალებით სივრცეს გასცქეროდა. ლენინს გაეღიმა.

— არ გეწერებათ? — ჰკითხა მან, — თუ ასეა, წაიკითხეთ.

მან დაალაგა ხელნაწერის ფურცლები, გაასწორა ნამორზე და ზინოვიევს მიაწოდა.

ეს იყო ჯერ კიდევ დაუსათაურებელი სტატია. „ლოზუნგებისათვის“ — ასე ეწოდებოდა. ზინოვიევი ბალახზე წამოწვა და კითხვა დაიწყო. იწვა, კითხუ-ლობდა და აღტაცებული იყო. ვერ ფარავდა, ისეთი არაჩვეულებრივი ენერგი-ულობა, პირდაპირობა და სიღრმე იგრძნობოდა. „მარქსის ყველაზე საუკეთე-სო ნაშრომების ბადალია, — ფიქრობდა ზინოვიევი და უფრო და უფრო უჩვილდებოდა გული. — „ახალი რეინის გაზეთის“ ეპოქის მარქსისა, იმ პერი-ოდისა, როცა რევოლუციის შუაგულში იმყოფებოდა და ეგონა, რომ რევო-ლუცია გამარჯვებას მოიტანდა...“ მის ლბილ, რამდენადმე გაფითრებული სახის ნაკვთებს სიმტკიცე შეემატათ, მაგრამ მერე და მერე კითხვის დროს სახე თანდათან დაუგრძელდა. მან თავი გადააქნია. დიდხანს და საგულდაგუ-ლოდ ალაგებდა ფურცლებს ერთმანეთზე დასტა-დასტად.

— რათ? არ მოგეწონათ? — ჰკითხა ლენინმა და მარცხენა წარბი ასწია.

— შესანიშნავი სტატიაა, ოღონდ...

— რა ოღონდ?

საშინლად მოულოდნელია საკითხის ამგვარად დასმა. როგორ? დღევან-დელ ვითარებაში მოიხსნას ყველაზე პოპულარული ლოზუნგი: „მთელი ძა-ლაუფლება საბჭოებს!“? ლენინური ლოზუნგი! თქვენი ლოზუნგი! — იგი წა-მოდგა გაოგნებული, თითქმის შეშინებული. — თქვენთვის ესოდენ საყვარელი ლოზუნგი, თქვენ მიერ დამუშავებული და თან ასე მშვიდად აცხადებთ უარს მასზე! წარმოუდგენელია! დაუჯერებელია! ასე უცებ, არახელსაყრელიც! ამ ლოზუნგს ხალხი შეეჩვია, დიახ, დიახ, და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს!

ლენინს გაეღიმა:

— მაშ, ასე! თქვენ სტატიას მხარს უჭერთ, მაგრამ იმის წინააღმდეგი ხართ, რაც შიგ წერია?

ზინოვიევმა ხელები გაასავსავა:

— მე ეგ არ მითქვამს, ეს სულ სხვაა! მე არსებითად ვეთანხმები თქვენს აზრს, მაგრამ მაეჭვებს ტაქტიკური მიზანდასახულება. მე შევაქე თქვენი სტატია...

— როგორც სანიმუშო, მაგრამ პრაქტიკული მნიშვნელობის უქონელი ბოლშევიზმის ნაწარმოები?

— მოითმინეთ, ნუ მაწყვეტინებთ. იქნებ ფორმულირებების [illegible] და შეარბილოთ ისინი. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ცაკის ესერები და მენშევიკები საცაა მიხვდებიან, რომ შეცდნენ. მიხვდებიან, ბოლშევიკების მოწამვლა თვით ჩვენთვისვე არის საშიში. ისინი ლამის იმ ჭკუაზე დადგნენ, რომ საკმარისია ბურჟუაზია თითზე წაგვეპოტინოს, რომ მთელ ხელს მოიგდებს... აქვს კი აზრი ასეთ ვითარებაში...

— აი, თურმე რა ყოფილა! თქვენ გნებავთ შესაძლებლობა მისცეთ წვრილი ბურჟუაზიის მოღვაწეებს გამოასწორონ შეცდომა! ვერა და ვერაფრით შესძლით დაივიწყება, რომ მენშევიკები და ესერები საკუთარ თავს სოციალისტებს უწოდებენ, ისინი ასე თვლიან. ბავშვური გულუბრყვილობაა თუ უბრალოდ სისულელეა ამ მეშჩანური მორალის შეტანა პოლიტიკაში. დღევანდელი საბჭოები კონტრრევოლუციის ხელის შემწყობნი არიან. როგორი შეიძლება ასეთ ვითარებაში მათ რაიმე „შეცდომებზე“ ლაპარაკი! მათ ჩვენი თავი კონტრრევოლუციას გადაუგდეს და ხელი დაიბანეს. მაგრამ თვითონვე ჩავარდნენ კონტრრევოლუციის თრომში. ისინი გვანან სასაკლაოზე მიდენილ ცხვრებს, ნაჯახის დანახვაზე საბრალოდ რომ ზმუიან. მილიუკოვმაც კი იცის ეს. ტყუილად იჭმუხნებით. მტრები ზოგჯერ უკეთ ხედავენ და უკეთ ერკვევიან გარემოებაში. მათგან სწავლა ცოდვაში არ ჩაგვეთვლება. ბურჟუაზიული „ნოვოე სლოვო“ მართებულად წერდა დღევანდელ საბჭოებზე, რომ მათ გაგრიეზივით აებნათ გზა. უცებ ვიღაცამ წამოიყვირა: კაზაკებს უნდა დავუძახოთო... საბჭოებმაც შვებით ამოისუნთქეს და კაზაკებს დაუძახეს... აი, რანი არიან თქვენი ახლანდელი საბჭოები!

— ჩემი საბჭოები, — ოდნავ ჩაიღიმა ზინოვიევმა.

— ივლისის მოვლენების შეჯამების შემდეგ ჩემთვის ერთი რამ გახდა ცხადი: ძალაუფლება ხელთ უნდა აიღოს რევოლუციურმა პროლეტარიატმა დამოუკიდებლად. მაშინ ისევ გაჩნდება საბჭოები, მაგრამ ასეთი კი არა, ახლანდელი საბჭოების მსგავსი, ისეთები, რომლებიც არ უღალატებენ რევოლუციას, ძველი საბჭოები კი არა, არამედ განახლებული, გამოწრთობილი, ბრძოლის გამოცდილების შედეგად გარდაქმნილი.

— ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ღირს კი...

— ღირს თუ არა მასებს სიმართლე ვუთხრათ? აუცილებლად ღირს. ხალხმა სიმართლე უნდა იცოდეს. სიცრუეზე საშიში არაფერია აქვეყნად.

— პრინციპულად კი...

— რაკი პრინციპულად სწორია, მაშასადამე — კერძო შემთხვევაშიც, მუდამ და ყოველგვარ ვითარებაში სწორია.

— ოჰ, ვლადიმერ ილიჩ, რატომ მეუბნებით იმას ზოგადად, რაც მეც თქვენზე არანაკლებ კარგად ვიცი. თქვენ ამბობთ ზოგადად, მე კი ტაქტიკაზე მოგახსენებთ.

— ჩინებულია. ჩვენი ტაქტიკა გახლავთ მასებს სიმართლე ვუთხრათ. სიმართლე არ უნდა დავუმალოთ მაშინაც კი, როცა ეს ჩვენთვის არახელსაყრე-

ლია. აი, მაშინ დაგვიჯერებენ. ჩვენ ვერავინ დაგვამარცხებს მხოლოდ ამ შემთხვევაში — და ეს ერთადერთი შემთხვევაა — თუ ყოველთვის, ისტორიის ყოველი გარდატეხის ჟამს არ გავხდით სასურველს არსებულად [illegible] ვიტყვით ე. წ. „ტაქტიკურ მოსაზრებათა გამო"... რადგან ტაქტიკა და სტრატეგია სულაც არ არის ისე ძლიერად გამიჯნული, როგორც ეს ზოგიერთ ამხანაგებს ჰგონიათ... რა ხმამაღლა ვლაპარაკობ, სულ გადამავიწყდა, რომ იატაკქვეშეთში ვიმყოფებით.

— სწორედ რომ დაგავიწყდათ, — იქედნურად ჩაიქირქილა ზინოვიევმა, — ჩვენ კი იატაკქვეშეთში ვართ! და ამიტომ უმართებულოდ მგონია, ახლა ვილაპარაკოთ და ვწეროთ, რევოლუციურმა პროლეტარიატმა ძალაუფლება ხელთ დამოუკიდებლად უნდა აიღოსო, ახლახან რომ ბრძანეთ. საკითხის ასე დაყენება წააქეზებს მავანთ ცალ-ცალკე, გათიშულად გამოვიდნენ, რაც ხელს შეუწყობს კონტრრევოლუციას; ასეც მოხდა.

— ვიმედოვნებ, რომ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა მუშებს ჭკუა ასწავლეს არ წამოეგონ პროვოკაციის ანკესზე არახელსაყრელ მომენტში. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ეტაპი საბოლოოდ დასრულდა და დადგა ახალი, როდესაც ყოველივეს იარაღის ძალა გადაწყვეტს? ვერ ხედავთ? უცნაურია! მე კი ვხედავ და ყოველივე ამას უსათუოდ დავწერ კიდეც!

ზინოვიევი პირქუშად ჩაჩუმდა, ჩამოჯდა, ისევ გადაფურცლა ხელნაწერი და თავისი წვრილი ხმით თქვა:

— მაინც იფიქრეთ ფორმულირებებზე. მეჩვენება, რომ სტატია გაღიზიანებულმა დაწერეთ... სავსებით კანონიერად გაღიზიანებულმა დანისა და წერეთლის წინააღმდეგ... მაგრამ გაღიზიანება ცუდი მრჩეველია...

— შიშზე ცუდი მრჩეველი როდია! კადეტთა „რეჩი" ვასკა ბუსლაევის ტიპის მარჯვე მეკობრეებს გვეძახის. რას იზამ, მეცნიერულ საფუძველზე საზოგადოების განვითარების პროცესის მცოდნე და გამგები მეკობრენი რუსების ცუდი კატეგორია როდია. „გაბედულება, გაბედულება და კიდევ გაბედულება", — ეს უკვე ვასკა ბუსლაევს კი არ უთქვამს, არამედ დანტონმა თქვა, კაცობრიობის ისტორიაში უდიდესმა რევოლუციონერმა ტაქტიკოსმა.

მოკამათეთა ხმა ხან მიჩუმდებოდა, ხან კი ისე შორს გაისმოდა, რომ ემელიანოვი რამდენჯერმე შეშფოთდა კიდეც. მან კოლია გაგზავნა ტბისაკენ ტყის მარჯვენა მხრის დასაზვერად, თვითონ კი კამათს უგდებდა ყურს, თან საქმიანობდა. იგი მთელი სულით ლენინს ემხრობოდა, — იგი, ძველი პარტიული მებრძოლი მუდამ გადამწყვეტ მოქმედებას უჭერდა მხარს.

„აბა ერთი უყურე, რა მადლი და ნათელი მოჰფინა ყოველივეს", — ფართოდ იღიმებოდა ემელიანოვი, ლენინს რომ უგდებდა ყურს და მოწონების ნიშნად თავს აქნევდა. მაგრამ ზინოვიევსაც რომ არ სტკენოდა გული, თუკი მოულოდნელად მოიხედავდა, შავ ულვაშზე ისვამდა ხელს, რათა ღიმილი დაეფარა. ამ პატარა მინდორზე მდგარ ლენინს ცოტათი ამსგავსებდა კედელზე მიმაგრებულ მათი ქარხნის დინამომანქანას, შიგ დაგუბებული ენერგიისაგან რომ დგანდგარებს, თითქოსდა სურს მოწყდეს ადგილს და დაიძრას, დაიძრას!

# მარიეტა შაგინიანი

## კომუნისტის აღზრდა

თარგმნა ბიზიო ზარნაძემ

(ერთი თავი რომანიდან „ულიანოვების ოჯახი")

რასაც უნდა აკეთებდეს კომუნისტი, რა სპეციალობისაც უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებთან უნდა ჰქონდეს საქმე, იცნობდეს და გაუგებდეს ადამიანებს, როგორც იტყვიან, „ადამიანებთან მიდგომა შეეძლოს". ეს კი არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, რადგან ბუნება ასეთი უნარით ისევე იშვიათად აჯილდოებს ადამიანს, როგორც ტალანტითა თუ გენიით. ჩვენ, სამწუხაროდ, ბევრი გვხვდება ასეთ უნარზე წუნიანი და გულგამქრალი საქმიანი მაშინ, როდესაც ახალმიღებულ წევრს პარტბილეთს გადასცემენ. ჩვეულებრივად იმაზე უფრო ცდილობენ, რა წინაპირობებით შედის იგი პარტიაში, ხოლო გზის დალოცვა მეტწილად ერთფეროვანია და ხშირად ფორმალური. და ეს მაშინ, როდესაც იგი, ვინც პირველად შეახო ხელი კალენდრის უცვლელ ნაწილს კომუნისტობის დამადასტურებელ წიგნაკს, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეიგნოს თავისი ახალი მდგომარეობა საზოგადოებაში და იმასაც, თუ რა ახალი თვისებები იგულისხმება ზოგად ცნებაში — „პარტიულობა", რა ახალი მოთხოვნების წინაშე დგას საკუთარი ხასიათის ჩამოსაყალიბებლად, რა ადამიანები ამიერიდან, რის შესახებ თავი იმათგან, რომელნიც ჩვეულებრივ ზნეობრივ მოვალეობად მიიჩნევს.

მახსენდება, როგორ მიმიღეს პარტიაში 1941 წლის შემოდგომაზე, ჩვენი ჯარების უკანდახევის პირველსავე დღეებში. განსაკუთრებული იყო იმ დღეების მთელი ვითარება, გაწვრთნილი და ამაღელვებელი. ომმა ერთბაშად მოიცვა ადამიანები; თითქოს ცეცხლმოდებულ სახლში იყვნენ, თითოეული მათგანის სულიერი მდგომარეობა უეცრად აშკარა, გამოჩნდა და გამოაშკარავდა. ხასიათები ისევე იოლი დასანახი იყო, როგორც რენტგენის სურათზე — ჩონჩხი; განსხვავებულობა ადამიანებს შორის უფრო მკვეთრი და თვალსაჩინო გახდა. ჩვენს ხელმძღვანელობას ძალიანაც არ ეცალა, მაგრამ დალოცვით მაინც დაგვილოცა გზა. კანდიდატობის წინადადებისას ვსაუბრობდით ზოგადი სიტყვები ომზე, პატრიოტიზმზე, პარტიის წევრის მოვალეობაზე... ეს უკანასკნელი როგორღაც თავისთავად იგულისხმებოდა და კონკრეტულად არ განიმარტავთ, რადგან ომის პირობებში იგი ყოველი პატიოსანი ადამიანის ერთადერთ საზრუნავს ემსგავსებოდა და სიტყვით, მოქალაქეობრივი მოვალეობისაგან არაფრით განსხვავდებოდა. მაგრამ როდესაც ძველისძველი წიგნები ჩანთაში ჩავმალე და ქუჩაში გავედი, ცხოვრებამ უმალვე დამიკონკრეტა უცნობი მოვალეობანი, უცბად — ახალი კითხვების პირისპირ დამაყენა. მართალია, ადამიანებთან ურთიერთობებში გამოუცდელ მოღვაწედ ვითვლებოდი, განსაკუთრებით, როდესაც საჭირო იყო რაიმეს დაცვა ან უარყოფა, მაგრამ, თუ რა არის აგიტაცია და როგორ უნდა აგიტაციის გაწევა, საგანგებოდ არასოდეს მისწავლია. და აი, პირველი ამოცანა,

რომელიც, როგორც პარტიის წევრს, წამომიყენეს, ის გახლდათ, რომ აგიტატორობა უნდა დამეწყო, ხალხის წინაშე გამოვსულიყავი.

სახლები გარედან სალუქავით იყო შეფეთითხნით აქა-იქ, რომ მოსკოვი მარილის ზვირთს ჰგავდა. ქვიშიანი ტომრებით გარემოზღუდულ მოსკოვურ სახლებს თეთრი ქაღალდის ზოლებით დაზოლილი ფანჯრები ჰქონდა და ყუმბარების ბოლით შებღალული ცა დაჰყურებდა ზემოდან. სირენები შეშფოთებით წიოდნენ და თავშესაფარში ერეკებოდნენ ადამიანებს. [illegible] -ისას, როგორც ყინულის ვეება ნაჭერი გათოშილ ცაზე, ისე ირწეოდა [illegible] განრთხმული ვერცხლისფერი აეროსტატი. ყოველივე ჩვეულებრივი ქუჩებში გადაცვლილი და მშვიდობიანი ცხოვრება უზარმაზარმა სამხედრო ბანაკმა შეცვალა, თუმცაღა დროებით, არამყარად და ხანმოკლედ. ჩვენ კი, მწერლების ერთი ნაწილი, ვუმალდ... უნდა შეგვეწეწა ამ მღელვარე და არამდგრადი სამყაროს, უნდა გვეგრძნობინებინა ადამიანებისთვის, რომ სრულიად არაფერი შეცვლილა, რომ საბჭოთა ხელისუფლება გრძნეულივით მტკიცე და ასევე ღირსეულა, რომ ადამიანების სულიერი ცხოვრება ძველებურად უნდა ჩაესახლებინა ამ ყრუყვეს და შფოთვილ, უროჟეს და მტკიცე სამყაროს ჩარჩოებს — ყველანი აგიტატორებად დავენიშნეთ.

საკმაოდ ხშირად გვიწვევდა გამოსვლა: ხან პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნახევრად ცარიელ აუდიტორიებში, ხან კინოთეატრებში ეკრანის წინ სცენასთან დაწყებამდე, ხანაც განვლის შემდეგ, ხალხით გადაჭედილი ცენტრის დერეფნებსა და ბაქნებზე... ხოლო როგორც კი სულისშემთქმის საშიშროება მეძლეოდა, პროფესიულ საქმეთა, — გაზეთების, მაშინდელი სოვინფორმბიუროსა და ლიტერატურული გაზეთების წერასა და საავიტაციო სიტყვებით გამოსვლებს შუა (და ისიც ძილიდან ღამის განგაშების დროს) — ხარბად ვკითხულობდი პატარა-პატარა წიგნებს, შემთხვევით რომ ჩამივარდა ხელთ. ესენი იყო ოცდაათიანი წლების გამოცემები — კომინტერნის ბიუროების მოგონებანი ლენინზე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის მოგონებანი ლენინზე. ერთი სული მქონდა გამეგო და მეგრძნო ამ წიგნების წაკითხვით — კომუნისტის რა თვისებებმა გახადა ლენინი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ბელადი, რისი ხასიათის რომელ თვისებას უნდა მიბაძოდე ლენინიდან და, საერთოდ, რით განსხვავდება ნამდვილი კომუნისტი, მორწმუნე გამოკლებით, ჩვეულებრივი ადამიანისაგან.

ხასიათის სიდიდულოება ის ხომ ქცევისა საფუძლიერებაცა, გახლავთ იმ კომპლექსისა სისა ადამიანში რომ მოქმედებს თქვენზე, ნებითა და პატივისცემით რომ განგაწყობს მისადმი, მისი მიბაძვის სურვილს რომ აღგიძრავს; და ეს გონებით არ წარმოიქმნება, გონებაზე ღრმადაა იგი ადამიანში და როგორღაც იმასთანვე კავშირში, ახლა როგორაც გახლდათ ისაც უნდა ესწრაფული.

ღამის დაბომბვის დროს ასეთი ჩაღრმავებული ლტოლვა ახლა გულუბრყვილოდ მოეჩვენება ვინმეს, მაგრამ იმ ხანად პარტიამოვლენილი ადამიანისთვის, ჩემი აზრით, იგი უმეტესობას არ წარმოადგენდა. ცხოვრება ჩვენ თვალწინ თითქოს ორად იბლიჩებოდა: რაც ვიცხოვრეთ და რაც უნდა ვიცხოვროთ... ამიტომ გვინდოდა ბოლომდე გაგვეგო და შეგვეგრძნო — სად მივდიოდით. ღამით სარდაფში, საცაც ვრთადერთი, კედელში ჩამჯდარი ნათურა კაშკაშებდა, ბევრი არ ცდილობდა მის ქვეშ მოკალათებულიყო, ლურჯი ბნელ კუთხეს ამჯობინებდნენ — მოიკეცებოდნენ კედელზე ბალიშს და თვლემდნენ განგაშის დასასრულამდე. ნათურის ქვეშაც რომ დავმსხდარიყავით, წიგნთხვა მაინც გვიჭირდა, ისე თითქოს მეცადინეობდნენ. მაგრამ ის, რაც მაშინ წავიკითხე, ყველაზე მნიშვნელოვანი კი პატარა წითელი ჟურნალით მოვინიშნე, სამუდამოდ დამამახსოვრდა.

მთავრდებოდა განგაში. ადამიანები აუჩქარებლად ამოდიოდნენ ზემოთ, უკარიანი დილის სუფთა ჰაერზე, და ქალაქური სიწყნარის ამ არაჩვეულებრივ წუთებში განსაკუთრებული მკაფიობით, რაღაცნაირი ბიოგრაფიული [illegible] მოდიოდა გონებაში ყოველივე, რაც ღამით წავიკითხე.

წიგნებიდან, ქრისტინა ტროლისა, იმის გაგება მწყუროდა, როგორ გამოდიოდა ლენინი ხალხის წინაშე, რა უნდა შეესწავლა აგიტატორს ამ ხელოვნებიდან, რომელითაც ლენინი არწმუნებდა და გავლენას ახდენდა ადამიანებზე. ამ საქმეში ზოგადი ფრაზები ვერაფერს დამეხმარებოდა, ზოგადი განმარტებანი, უამრავ წიგნსა და სტატიაში რომაა გაბნეული, მათი მონათხრობიც, ვინაც ბრძოლის გზაზე დამოუსხმია ლენინისათვის, ლენინი ვერაფერს ზოგადებენ, რადგან აზრი რაიმე მეტისმეტად კონკრეტულ ფაქტს ჩასჭიდებოდა, როგორიმე მოგნებულ განსაკუთრებულობას. ამ მხრივ ძალიან სახარბიელო გამოდგა უეცრად, მოცვითილი ქაღალდზე დაბეჭდილი პატარა წიგნი, II ინტერნაციონალის დაშლისა და III ინტერნაციონალის პირველი ნაბიჯების რთულ ეპოქისდროინდელ საზღვარგარეთელი კომუნისტების შთაბეჭდილებებს რომ შეიცავდა.

ადამიანები, რომლებსაც არაერთი სოციალ-დემოკრატისთვის მოესმინათ, მათ შორის სოციალ-დემოკრატიის ისეთი კლასიკოსისათვის, როგორიც ავგუსტ ბებელი გახლდათ, [illegible] მოულოდნელად ეცნობოდნენ ლენინს, ვისზეც მანამდე მხოლოდ ყურმოკრული ამბები იცოდნენ; მათ მზამზარეული, [illegible] სახელი ჰქონდათ მომარჯვებული შესადარებლად, ტრიბუნიდან მჭევრმეტყველური გამოსვლების ყველანაირ სახეობას იცნობდნენ თითქოს, [illegible] უშუალოდ მოუსმენდნენ ლენინს, შეუძლებელი იყო რაიმე ახალი არ შეემჩნიათ მის გამოსვლაში.

ძალიან საინტერესოდ [illegible], მაგალითად, საბჭოთა კავშირში 1921 წლის დეკემბერში მექსიკიდან ჩამოსული იაპონელი კომუნისტის სენ-კატაიამის მიერ მოთხრობილი ლენინის მოხსენება, რომლითაც იგი დიდ თეატრში გამოვიდა საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობაზე. სენ-კატაიამამ საერთოდ არ იცოდა რუსული ენა, ერთი სიტყვაც ვერ გაიგო მოხსენებისა, მაგრამ თვალებით აღიქვამდა, როგორ ლაპარაკობდა ლენინი და იმასაც — როგორც უსმენდნენ. მიუხედავად მისთვის გაუგებარი სიტყვებისა, მოხსენება მისთვის ისე ახალი და უჩვეულო იყო, რომ მთელი სამ საათს გულდასმით და დაუღალავად უსმენდა.

აი მისი აღწერაც: „ამხანაგი ლენინი დაახლოებით სამ საათს ლაპარაკობდა, დაღლილობის ნიშანწყალიც არ დასტყობია, თითქმის არ შეუცვლია ინტონაცია, არგუმენტების სიუხვით განუხრელად ავითარებდა თავის აზრს. ის სრულიად [illegible] ორატორია, გამეორებებით [illegible] ყოველ სიტყვას. ამხანაგი ლენინი არც რიტორიკულ წამოძახილებს იმეორებდა, არც რაიმე ჟესტებს, მაგრამ მას განსაკუთრებული მიმზიდველობა ჰქონდა. როდესაც ლაპარაკი დაიწყო, საზეიმო სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ მას მიაპყრო მზერა. ამხანაგი ლენინი თვალს შეავლებდა და თითქოს ჰიპნოზს უკეთებდა მთელ აუდიტორიას. გულდაგულით ვუთვალთვალებდი მსმენელთ და იმ ხანგრძლივი სამი საათის განმავლობაში ერთიც [illegible], ან განმარტოებულიყო [illegible], არ შემჩნევია. მთელი აუდიტორია აღვსილი ჰყავდა, მსმენელთათვის დრო თვალის დახამხამებაში გადიოდა. ამხანაგი ლენინი იყო უდიდესი ორატორი მათ შორის, ვისთვისაც ჩემს ცხოვრებაში მომისმენია" 1.

აქაც ჩვენ კიდევ საკმაოდ მიგვაჩნია ყველაფერი ნათქვამში. თუკი სენ-კატაიამასთვის იყო ახალი ლენინის ორატორული ხელოვნება, რაღაც-რაღაცები ჩვენც გვეჩვენება მოულოდნელი მის ხედვის აღქმაში. ლენინის სახე ჩვენი მხატვრების, მოქანდაკეების და მსახიობების წყალობით ერთხელ და სამუდამოდ ჩაიჭედა მილიონობით საბჭოთა ადამიანის წარმოსახვაში თავისი ფართო ჟესტით. ეს ჟესტია ცნობილი წინ გაშვერილი ხელი, რომლის გარეშეც იგი ველარც წარმოგვიდგენია. სენ-კატაიამა კი წერს, ლენინი „არც რაიმე ჟესტებს (იმეორებდა)*, თითქოს უძრავად იდგა მსმენელების წინაშე. უფრო მეტიც — ამას ემატებოდა ერთფეროვანი ინტონაციაც: სამი საათი ინტონაციის შეუცვლელად! და კიდევ: ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის როგორღაც უცნაურად ჟღერს და დაუჯერებელიცაა ფრაზა იმის თაობაზე, რომ თითქოს ლენინი „ჰიპნოზს უკეთებდა" აუდიტორიას. ეს სულაც არ წააგავს იმ პორტრეტს, რომელიც ჩვენმა მოქანდაკეებმა და მხატვრებმა შექმნეს.

მაინც ვცადოთ და ჩავუკვირდეთ — ლენინის ორატორულ ხელოვნებაში სახელდობრ რამ გააოცა სენ-კატაიამა. თვითონვე აღიარებს, რომ რუსული ენა არ იცოდა და, მაშასადამე, მოხსენებიდან ერთი სიტყვაც ვერ გაიგო. მაშ როგორღა დარწმუნდა, რომ ლენინი „არგუმენტების სიუხვით განუხრელად ავითარებდა თავის აზრს"? მიუხედავად იმისა, რომ სიტყვების აზრი არ ესმოდა, სენ-კატაიამას შეუძლებელია არ მოესმინა და, უფრო მეტიც, არ ეგრძნო რწმენის ის დაუცხრომელი ძალა, რითაც ლენინის სიტყვა იყო გაჟღენთილი. ეს რწმენა ერთხელაც არ განელებულა, — რაც აზრის განუხრელად განვითარების შთაბეჭდილებას ახდენდა, — და იგი შეუნელებლად გრძელდებოდა, მსმენელთ არ ქანცავდა მთელი სამი საათის განმავლობაში; მაშასადამე, გამოსვლაში დაღლილი [illegible] კი არ გახლდათ, არამედ სულ ახალ-ახალი მტკიცებანი (არგუმენტები) ცვლიდნენ ერთიმეორეს. სენ-კატაიამამ დაიჭირა ეს მთავარი თავისებურება ლენინის გამოსვლაში და აზროვნების სახე უნებურად გადაიტანა მხედველობითი სახე-

1. „ლენინი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობა", პარტგამომცემლობა, 1934 წ. გვ. 139—140, „მოგონებანი ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე", სახპოლიტგამომცემლობა (სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. მოსკოვი 1957წ. ტ. 2, გვ. 578. სქოლიოში მოყვანილი რუსული გამოცემებია მითითებული. მთარგმ.).

ზე, შესაძლოა — „წვეთი ქვას ხვრეტსო“ — ამ ასოციაციით და ამის გამო არის აღწერაში ლენინი-თვის თავს არა ჰგავს. მკვირცხლი და მუდამ რაღაცით აღგზნებული ილიჩი სენ-კატაიამასთან უძრავ ქანდაკად გარდაიქმნა, ყოველგვარი ჟესტის გარეშე, მონოტონური ინტონაციით, სამი სა-ათის განმავლობაშიც რომ ოდნავ არ შეცვლილა.

მაგრამ სენ-კატაიამა კიდევ ერთ განსაზღვრებას იძლევა, რომელსაც [illegible] და არ განუმარტავს და არ ხსნის: „ლენინის განსაკუთრებული მიმზიდველობა [illegible] ჩა-წვდეთ ილიჩის, როგორც ორატორის მიმზიდველობის საიდუმლოებას, რომელსაც სენ-კატაიამა ცდის და ვერ გვიხსნის, ძალიან ფაქიზია წარმოდგენილი — ყველაზე ავტორიტეტული ბელ-ადებიდან რომელ ორატორს იდეალიზებენ იმდროინდელი ქცხოვრი კომუნისტები ანუ ვისი-თვის შეუძლოთ კატაიამას შეედარებინა ლენინი.

რევოლუციური მოძრაობის თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა მოგონებებში ძნელია წა-აწყდეთ (თუნდ მოგვეძებნოთ) რაიმე მხატვრულობას, სიტყვის ხელოვნებაში რომ გადადის. და მაინც, იგონებდა რა ლენინს II ინტერნაციონალის შტუტგარტის კონგრესზე, ფილიქს კონმა, შეიძლება სულაც რომ არ ეპირებოდა ამას, ძალაუნებურად დაგვიტოვა ბებელის იოაქიმის მხა-ტვრული პორტრეტი. გერმანიაში საქმიოდ დიდხანს მიცხოვრია, ცოტა ხნით გვიდელბერგშიც მისწავლია, და ეს პორტრეტი ჩემთვის პირდაპირ ამოკვლეული გახლდათ, გამიცხადებია: ეს იმი-ტომ, რომ ჩემთვის უცნობი მგვანის უბრალო გერმანელებში რუსი კაცისთვის გაუგებარი თვისება — ყველას მორჩილი ჩინის წინაშე, რაღაცნაირი განსაკუთრებული პატივისცემა ჩინოვნიკობის, ცენზორის მიმართ. შტუტგარტის კონგრესზე ჩამოსული ფრიად პატივცემული ბელადი ავგუსტ ბებელი, კერპთაყვანისმცემლობა გერმანიის მუშათა პარტიაში არ ყოფილა, თვით ვლადიმერ ილიჩს ძე წერდა ამის თაობაზე ბებელ ხატისებრად: „გერმანიის მუშათა პარტიას შემთხვევებ-ქმნილი გაცნობიერებაა თვით ამგვარ ბელადებსაც ოპორტუნისტული შეცდომები, როგორიც ბე-ბელისა“. მაგრამ სოციალ-დემოკრატიის საიდუმლო ძლიერება შიგადაშიგ ისეთ ფორმებსაც იღე-ბულობდნენ, გარეგნულად რომ ემსგავსებოდა ბიუროკრატიულ დიპლომატიაში გამეფებულ ფორმებს, ასე მაგალითად, ერთიერთ „ფელეტონისტობის“ გარეშევის მიზნით და მეგობრული განწყობილების-ვის შიმართავდნენ „ბოდებებს“, „ფინხან ჩაის“, „მეჩქეცირებს მრგვალ მაგიდასთან“. „ასეთი ზანაკეტი მოეწყო შტუტგარტში ქალაქგარეთ, — მოგვითხრობს ფელიქს კონი. — ლუდი, ლუდი, ყოველნაირი ხორაგი მიიჯვლევდა გზას „დახლიდებისაკენ“... ტრიბუნა II ინტერნაციონალის ყველაზე ავტორიტეტულმა ბელადმა და ტრადიციების დამცველმა, ბებელმა ბანკეტზე საზეიმოდ ჩამოუარა ყველა დელეგაციას, ყველას ერთსა და იმავე სიტყვას უებნებოდა „Kinder“ („შვი-ლებო“), ზოგს მამაშვილურად ეხუმრებოდა, ზოგს ტუქსავდა, სულ ძალიან ქეშმარიტების გზას უქადაგებდა. თაყვანისმცემელ ქალთა და მანდილოსანთა ალაყი ბებელის ამ ჩამოვლას ამიდიდებს მშვენებდა...“[2]

ნათლად წარმოვიდგენთ მთელ სურათს, ბებელი უეჭველად იყო დიდი ბელადი (ასე უწოდებდა მას ლენინი, ასე ახსოვს იგი ჩვენი თაობის სტუდენტობას, გადაკვრელად რომ კითხუ-ლობდა მის წიგნს „ქალი უწინ, საზოგადოებო და მომავალში“) და რასაც ამის შემდეგ ვიტყვი, სულაც არ იქნება მისი სახელის შეურაცხმყოფელად ნათქვამი. მაგრამ როცახსაც პირადი სიცოცხლე ბებელისა, როგორც განსაკუთრებული მდგომარეობა თანამედროვეთა წრეში და თანაც ცხოვ-რობს შეუხებლად იგი დემოკრატიზმს, ასეთი დემოკრატიულობა მხოლოდ და მხოლოდ ხაზს უსვამს იმის განსხვავებულ მდგომარეობასა და „ჩინს“, ვინც „მიდებაზე“ მისულთ ასე ჩამოუვა-ლის, ფორმულა — „არავინ დარჩეს ხაწყენი“ — თავისთავად გულისხმობს ერთის აღმატებუ-ლობას მეორეზე; ეს კი სულ იდუმალად შეუძლოთ ვერ შეამჩნიათ სოციალ-დემოკრატიის სა-თავეში მდგომი. მაგრამ შეიძლება კია თუნდაც ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ჩვენი ილიჩი ბებელის ადგილას — დელეგატებს ათითაოდ რომ ჩამოუვლის, ზოგს მხრებს არიგებს და ზოგსაც ტუქსავს, ამას წათმოდგენა ფიზიკურად შეუძლებელია. ვერც „თაყვანისმცემელ ქალთა და მანდილოსანთა ამალით“ წარმოვიდგენთ მას ილიჩს. როგორც ორატორის „განსა-კუთრებულ მიმზიდველობას“, — სენ-კატაიამას რომ შეუმჩნევია, — ლენინის პოპულარო-ბას ათობით ადამიანში, სულმოუთქმელად რომ ისმენდნენ მის მოხსენებას, სულ სხვა თვისება განაპირობებდა, მაგრამ რა იყო ეს (ზედ დაიცდით?).

ლენინს უკან დავბრუნდეთ და 1907 წლის შტუტგარტიდან გადავხედოთ 1902 წელს — ნა-დეჟდა კონსტანტინეს ახალ კრებისათვის მოუწყობელ მოგონებებს ილიჩის ერთგული თანამე-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 21, გვ. 409.

[2] „ლენინი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობა“, გვ. 9.

ბრძოლი, ისიც ძალიან დიდ პატივს სცემდა პლეხანოვს; როდესაც ერთ-ერთ ჩემს შრომაში („ტორნტონის ფაბრიკა") პლეხანოვის სახელი ტატაროვის გვერდით გახსენე, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა წერილობით შემატყობინა შეცდომა და მიმითითა, რომ პლეხანოვი ჩვენი პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელია, ტატაროვი კი — „რევოლუციონერი ერთი საათით". მაგრამ აი, რას იგონებს კრუპსკაია იმ პერიოდიდან, როდესაც „ისკრას" აქვეყნებდნენ: „ჩვენთან მოდიოდნენ „ისკრაში" მუშები, რასაკვირველია, ყველას სურდა პლეხანოვის ნახვა,— პლეხანოვის ნახვა უფრო ძნელი იყო, ვიდრე ჩვენთან ან მარტოვთან მისვლა, მაგრამ თუ მუშა მაინც მოახერხებდა პლეხანოვის ნახვას, იგი მას შერეული გრძნობით შორდებოდა. იგი განცვიფრებაში მოჰყავდა პლეხანოვის ბრწყინვალე ჭკუას, მის ცოდნას, მის გონებამახვილობას, მაგრამ პლეხანოვთან განშორების შემდეგ მუშა გრძნობდა დიდ მანძილს მასსა და ამ ბრწყინვალე თეორეტიკოსს შორის, და იმის შესახებ, რაც უნდოდა გადაეცა, რაზეც ოცნებობდა [illegible] მას, ლაპარაკი ვერ ახერხებდა. თუ მუშა არ დაეთანხმებოდა პლეხანოვს, შეეცდებოდა თავისი აზრის გამოთქმას, — პლეხანოვი ნელ-ნელა ბრაზდებოდა: „დედათქვენი და მამათქვენი ჯერ კიდევ მაგიდის ქვეშ დაფოთხავდნენ, მე რომ"...[1] ისევე და ისევე საოცრად კონკრეტული ნიშანი ხასიათისა, ბრწყინვალე გონებამახვილობა, დიდი განათლება — ყოველივე ეს მშვენივრად ჰქონდა შეგნებული თვითონ პლეხანოვს. როგორც ნაჭიერ მაახლოვა ჰვერის აღტაცებას, როდესაც ჩინებულად გამოადის თავში, ისევე აწიწებდა პლეხანოვს პირად სიამოვნებისა და კმაყოფილებას თავისივე ღირსებები! ციურიხში „რაბოჩოე დელოს" ჯგუფთან ცხარედ შეკამათებისას, რასაც შედეგად გათიშვა მოჰყვა, მოკამათენი ღელავდნენ და განიცდიდნენ უთანხმოებას, იქამდე კი მივიდა საქმე, რომ გაანჩხლებულმა მარტოვმა „ჰალსტუხიც კი მოიგლიჯა". მაგრამ პლეხანოვი „გონებამახვილობით ბრწყინავდა..." და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ძალაუნებურად ამთავრებს მის მიერვე ადრე დახატულ პლეხანოვის პორტრეტს; იგი იგონებს იმ ეპიზოდს და წერს: „პლეხანოვი მშვენიერ გუნებაზე იყო, რადგან მოწინააღმდეგე, რომელთანაც უცნაური შეხლა-შემოხლა ჰქონდა წინათ, ორივე მხრით გაკვრა მიწამდე. პლეხანოვი ხალისობდა და ბევრს ლაპარაკობდა"[2]. თუ ავგუსტ ბებელი ახასიათებდა ლენინს გულუბრყვილობამდე დასულ ტრადიციულობის გამოხატული ღირსებებით, რაიც თვითკმაყოფილებას ეფუძნებოდა, თვისება, რომელიც რუსულ ენაზე ასე განისაზღვრება — „თავის ფასი თვითონ იცის", პლეხანოვის მიმართ ტრადიციულობას კი არ ამჟღავნებდა, არამედ დიდი ტალანტის ინდივიდუალობას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ „როგორის" ხედავს, და არა სხვის „რას" და მაინც, ჩვენ მხოლოდ მივუახლოვდებით პასუხს — თუ რა იყო ლენინი, როგორც ორატორი, „განსხვავებული თვისებით" და რომ შევავსოთ თვალის და ყურის ზუსტ განმარტებას, ისევ უნდა ვიმოგზაუროთ წიგნიდან წიგნში: ამჯერად გავეცნობით ერთი შოტლანდიელი კომუნისტის შთაბეჭდილებებს.

შოტლანდიელები მეტად კერპი ხალხია და აქვთ საოცრად მტკიცე ეროვნული ხასიათი, რომელიც ვერ რამდენიმე საუკუნემ, თითქმის არ შეცვალა. როდესაც გაითხულობთ უ. გალახერს, შოტლანდიის მუშათა კომიტეტის დელეგატს კომინტერნის მეორე კონგრესზე, მის პატარა-პატარა მოგონებებში პირდაპირ ცოცხლდებიან სკოტის რომანების გმირები, მიუხედავად იმისა, რომ სკოტის რომანების გმირები მე-18 საუკუნის შუა ხანებში ცხოვრობდნენ და გალახერი კი — მეოცეში. იგივე პირდაპირობა და სიმკვახე, იგივე სიფიცხე მოკრძალებულობისა და დიპლომატიის გარეშე — კაცები შოტლანდიურად და ბუნებრივ კეთილგონიერებასთან შერწყმული იგივე მკვიანური დაკვირვებანი. ყოველგვარი უხერხულობის გარეშე და, თქვენ წარმოიდგინეთ, მედიდურადაც კი აღიარებს გალახერი, რომ თეზისების, „რომლებმაც კომინტერნის ისტორიაში II კონგრესს უზარმაზარი მნიშვნელობა მიანიჭეს", ამ თეზისების შემმუშავებელ კრებებსა და კომისიებში პირადად იგი, გალახერი, „სრულიად უსარგებლო გახლდათ". რატომ? იმიტომ, რომ... ჩემი სიტყვებით მონათხრობს, უმჯობესია, თვითონ შოტლანდიელს მივუგდოთ ყური:

„ჩამოვედი იმ რწმენით, რომ გლაზგოელ მეამბოხეს გაცილებით უკეთ მესმის რევოლუცია, ვიდრე ნებისმიერ ჩვენს რუს ამხანაგს, თუმცაღა მათ მხრებზე გადაიტანეს რევოლუცია, — უმალვე შევეცადე „სწორ" გზაზე დამეყენებინა ისინი მთელ რიგ საკითხებში..."[3].

---

1. „მოგონებანი ლენინზე", პარტგამომცემლობა, 1933 წ, გვ. 45.
2. „ლენინი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობა" გვ. 144—145.
3. „ლენინი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობა", გვ. 144.

აბა, რით არ არის იგი სწორედ ეპოსის გმირი? მოიგონეთ ჭკუა ესწავლებინა რუსი ბოლშევიკებისათვის! მაგრამ ამ წმინდად შოტლანდიურ პორტრეტში (ჩვენი გლაზგოელი ბიძიის არაფერში შეგეშალოთ!) უფრო მეტია რაღაც სასიამოვნო და მიმზიდველი, ვიდრე პლეხანოვის თვითკმაყოფილებაში თავისივე თეორიებისაგან. და ბოლოსდაბოლოს ეჭვიც არ გვეპარება იმაში, რომ გალაჰერის შოტლანდიური თვითდაჯერებულობა მოეწონებოდა ლენინს; შესაძლოა, ჩვეულებრივ მასშიც გამოიწვია ლიტერატურული რემინისცენციები, გამოუცდელი მონადირის იუმორი. სიტყვიერი გულახდილობით მოგვითხრობს გალაჰერი შემდეგ, შეიძლება გაიგონოთ: „უჩვეულო ქვეყნის პირობებში" და ამის გამოც ძალზე ფრთხილი გავხდით. ხოლო როდესაც გაიგო, რომ წიგნში „მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში" ლენინმა სწორედ ის ადგილი „ცუდი ბიჭი", ლამის შემოეხვია ელვისებურ ილიას ეს:

„დაინახავთ ვლადიმირ ილიჩს დავარწმუნებდით, რომ ბიჭები არა ვარ, რომ ამ საქმეში ხელი მაქვს გაწაფული"[1]. „ბევრი ჩემი შენიშვნა უფრო თავისუფალ ენაზე ნოვგობისენე, ვიდრე ჩვეულებრივი ინგლისური გიძლავთ". ეს ნიშნავს, რომ გალაჰერი ლენინს შოტლანდიურად თავისებური შფოთვითა და პილპილით შეზავებული სიტყვებით, რაც უჩვეულოა თავშეკავებული ინგლისური მეტყველებისათვის. როგორც ცნობილია, ინგლისური ენა ყველაზე თავაზიანი ენაა ამქვეყნად: არც ერთ სხვა ენაში, გერმა, შესაძლოა, ჰინდური, ვერ მოუსაზრებიათ გამოთქმა: „თენქ იუ" (გმადლობთ) თანამოსაუბრის „თენქ იუ"-ზე უმალვე საპასუხოდ იმისათვის, რომ თანამოსაუბრეც, რომელმაც უმადლობდა „მადლობა" მიიღო „მადლობის" წილ, მესამედ გადაიხადოთ „თენქ იუ", ანუ თავისი მადლობა პირველი მადლობისათვის ნათქვამ მადლობაზე! შოტლანდიური ენას, პრეტენზიას რომ იჩენდეს, თითქოს შოტლანდიაში ლაპარაკობდნენ ყველაზე სუფთა, პირველყოფილ ინგლისურ ენაზე, ასეთი სინატიფე არ გააჩნია. და აი, წარმოიდგინეთ, მკაფიოდ, გამოხატული შოტლანდიელი, რომელიც ლენინს ლაპარაკობს იმ ლექსიკონით, „ალიდან გავიდა რომ იყენებენ". ლენინმა იგი დაამოწმინა პაწია ბარათით: „როგორიც იმ პატარა წიგნში ვწერდი, თქვენ არ გიცნობდით მაშინ". ნაგრამ მას არ დაუწყნია არც ერთ შოტლანდიელი და არც ნიკი ფრაზა „უფრო თავისუფალ ენაზე, ვიდრე ინგლისური გახლავთ". როდესაც რამდენიმე თვის შემდეგ საბჭოთა კავშირში დიდი ბრიტანეთიდან მეორე კომუნისტი ჩამოვიდა, ჟულიან ბოლი, ვლადიმერ ილიჩს ძემ აუწყეს მან გალაჰერის გამოხატვა და, სავარაუდოდ, ინტერვიუები გამოიყენა იგი, გაიმეორა ცნობილი ფრაზა ზუსტად და შოტლანდიური აქცენტითაც: Gallacher said he wis an awh haun at the game (გალაჰერმა თქვა, ამ საქმეში ხელი მაქვს გაწაფულიო). ასე გვამცნობს გალაჰერი ბოლის გადმონაცემში და თითონაც ასე ამთავრებს: „ბოლი ამბობს, რომ მას (ლენინს) შესანიშნავად გამოუვიდა კლაიდსაიდის აქცენტი"[2].

დიდი მადლიერი ვართ შოტლანდიელი კომუნისტისა თუნდაც ამ ერთადერთი ძვირფასი შტრიხისათვის, რომელიც ჩვენთვის უსაზღვროდ საყვარელი ილიჩის იუმორს უსვამს ხაზს, მაგრამ გალაჰერს გაცილებით მეტს უნდა ვუმადლოდეთ. მთელ თავის გაგზავნილობასა და შოტლანდიურ ჭირვეულობასთან ერთად სწორედ გალაჰერმა შეძლო ყველაზე ფხიზლად შეენიშნა და ყველაზე ზუსტად გადმოეცა ლენინის გამოსვლებისა და საუბრის ძირითადი თავისებურება:

„ორჯერ გავლდით ლენინთან წინ და ორივეჯერ კარგა საუბარი გაიმართა. ყველაზე მეტად მაშინ ის მაოცებდა, რომ სანამ მასთან ვიყავი, ლენინზე ერთხელაც არ გამიფიქრია, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი ძალაუნებურად, რაზეც თვითონ ფიქრობდა, ხოლო ის მხოლოდ რევოლუციაზე ფიქრობდა განუწყვეტლივ"[3].

აი, ზოლის და ზოლის ის თვისება, რომელსაც შეიძლება ჩიცბრიყებოს კაცი. პირისპირ ხედავდე ლენინს, ისმენდე მის ხმას, შესაძლოა, რამდენიმეჯერ შეხვდე ასე თვალდათვალ და სულ მუდამ ლენინი კი არ გედგას თვალწინ, სულ მისი ხმა კი არ ესმოდეს შენს ყურს, არამედ თვით ლენინზე ფიქრის ნაცვლად შენც მისი ფიქრის საგანი გიტრიალებდეს თავში, ის, რაზეც ლენინი ფიქრობს, რითაც იწვამდე სულდგმულობს, ანუ მისი საუბრის მიზანდასახულობა არის როგორც „ვინ" და „როგორ", არამედ როგორც „რა". აქეთი დიდი ორატორი იყო ლენინი. მას ისე შეეძლო მთლიანად განთავისუფლებულიყო საკუთარი არსებისაგან და მხო-

1 გალაჰერისთვის „game" — ამ თამაში რევოლუციაა მხედველობაში.

2 ანუ მდინარე კლაიდის ნაპირების, გლაზგოს მახლობლად.

3 „ლენინი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობა", გვ. 145

ლოდა თავის საუბრის საგნად ჰქონოდა, რომ ნაცნობს მთელი სიღრმე-სიგანით გადასცე-მოდა მისი რწმენა, არსი მისი აზრებისა; მსმენელს ავიწყდებოდა თვით ორატორი და ერთი წამითაც არ სცილდებოდა მისი ყურადღება ლენინის სიტყვისა თუ საუბრის არსს.

ორატორების ორი ტიპისათვის ორი ასეთი ფორმულა არსებობს. ერთთან აღტაცებული მი-დიხარ მისი მოხსენების შემდეგ და აღტაცებული ამბობ: „რა მშვენივრად, რა ბრწყინვალედ გამოსვლიაო". ხოლო მეორესთან მიდიხარ და იმას კი არ ფიქრობ, როგორ ლაპარაკობდა [illegible] მედ ფიქრობ იმას, რაიც მისი გამოსვლის საგანი გახლდათ, რამაც აგრერიგად გაგიტაცა, [illegible] რესათ, წინადადებათ.

პატარა წითელი წიგნებით გადაშლილ ღრმა და გულუბრყვილო სიტყვები მოყვანილია და ჩვენთვის ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: თუ შენი მოხსენების შემდეგ აუდიტორია აღტაცებას გამოთქვამს შენით და შეგაქებს, მაშასადამე, ვერ შეძელი შენი საქმის შესრულება და. ხოლო, თუ შენი მოხსენების საგანსა და შინაარსზე უმალვე ისე დაიწყებენ ლაპარაკს, ვითომც ოდითგან აქ სულაც არ ბრძანდებოდით, ეს იმას ნიშნავს, კარგად გამოსულხარ, ბრწყინვალედ შე-გისრულებია შენი საქმე.

ასეთი იყო პირველი შთაბეჭდილება, რომელიც დამამახსოვრდა ერთი ნაცნობი წინამძღოლის ჩემთვის გამოცდილებაში, და ამის შემდეგ ავტობიოგრაფიულ მოგონებაში ჩვენს შინაგან ძალებს რომელ-საც ისე ნათლადაც ავლენდა, რომ მოხსენების შემდეგ მსმენელი ერთმანეთს შინაარსზე ელაპა-რაკებოდნენ არა ჩემზე, არამედ ლენინზე, როგორც მოსაუბრეზე, მაგალითად განსხვავე-ბული, იქნებ შეიძლება შეხედულებებიც ვერ გადაწყვიტა ამ დროს, სამაგიეროდ იმ გავლენილის გააცნობიერა კი ძალზე არ იყო ჩემთვის ლენინიანა, განსაკუთრებულად უნდა გახსოვდეს იგი, რომ შენ არსებაში გამოიწვიოს ნებისმიერი გარეგნული წარმოდგენის საღად თვითშეფასების უნარი.

II

აქ გადაიდგა პირველი ნაბიჯი ლენინის, როგორც ორატორის, თავისებურებათა შესაც-ნობად. მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩებოდა საიდუმლო იმ უზარმაზარი სიყვარულისა, რომლითაც იგი მილიონობით მასებს უყვარდათ, თანაც არა მარტო ვიწრო, გულითად-თუმცაღა უკვე აშკარა იყო სწავლობა, ვიქვეთ, იმაში თუ როგორი მოკრძალებითაც დასდევ-და ქუჩაში ავტორს [illegible] ღრმად შეყვარებული და ერთგულ „თავგანწირულ ქალთა და წამებულთა ამალა" და იმაში თუ ყოველგვარი მოკრძალების გარეშე როგორ გარბოდნენ ადა-მიანები ლენინისაკენ სხვადასხვა მხრიდან, რომ მისთვის ახლოდან მაინც შეევლოთ თვალი. 1921 წელს ამით ყველანი მოსკოვში ხშირად შეხვედრია კლარა ცეტკინი, რომელიც თავის მოგო-ნებებში მოგვითხრობს შემდეგს:

„რომლისაც ლენინი ჩემთან შემოიარა ხოლმე, ხამდვილი ზეიმი დგებოდა ყველა შინ-მყოფთათვის — შემოსასვლელში მდგარი წითელარმიელებიდან დაწყებული, ლამაზად გაწყობილ სამზარეულოში მომსახურე გოგონებით და ახლო თუ შორეული აღმოსავლეთის დელეგატე-ბით, რომელნიც იმ უშუალობით აგრეთვე ცხოვრობდნენ ჩემსავით...— „ვლადიმერ ილიჩი აქ მობრძანდა" სახლის მცხოვრებნი ელვისებურად გადასცემდნენ ერთიმეორეს ამ ცნობას. მერე ან ვესტიბიულის წინკარში იყრიდნენ თავს, ან შიშკართან შეგროვდებოდნენ მისასალმებლად. გულწრფელი სიხარულით უბრწყინდებოდათ სახე, როდესაც ლენინი კეთილი ღიმილით ესალ-მებოდათ ან შეიძლებოდა ორიოდე სიტყვით შემოეხმიანებოდა. ერთი მხრივ, არავითარი ნატამალი ხამაღლოდობისა, პირმოთნეობისა რომ არაფერი ვთქვათ, ხოლო მეორე მხრივ, არა-ვითარი წყალობის გაღება და ყურადღების მოხდენა! წითელარმიელებს, მუშებს, მოსამსახურეებს, კონგრესის დელეგატებს... ყველას თავისიანად მიაჩნდა და უყვარდა ლენინი; ისიც შინაურუ-ლად ეპყრობოდა მათ შორის თავს. სუყველას გულითადი, ძმური დამოკიდებულება აერთია-ნებდა"[1].

ამ სიტყვებში არაფერია ახალი, ყველა, ვისაც კი ლენინთან შეხვედრაზე ოდესმე რამე დაუწერია, აუცილებლად აღნიშნავს — ლენინის დიდ უბრალოებას, გულითადობას და ამხა-ნაგურობას ადამიანებთან დამოკიდებულებაში. ამიტომ კლარა ცეტკინის ნაწერის შეიძლება ტიპური ეწოდოს. მხოლოდ ერთადერთი რამ წარმატებით თავის მხრივ გერმანელ კომუნისტ

[1] „ლენინი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობა," გვ. 77—78; „მოგონებანი ვლადიმერ ილიჩ ლენინზე", ტ. 2, გვ. 469—470.

ქალს: ისე, რომ არც პირადად ლენინისაგან მოესმინოს, არც მისი წერილიდან თუ სადმე-დან მოეშველებია რაიმე გამონათქვამი, იგი უნებლიეთ იღებს თავისთავზე ფსიქოლოგისა თუ მწერლის (რომელსაც უფლება აქვს ილაპარაკოს გამოგონილი გმირების სახელით) ფუნქციას და წერს ლენინის შესახებ: „ისიც შინაურულად გრძნობდა თავს მათ შორის". რედაქტორს რომ ამ ადგილის დასაზუსტებლად მისგან საბუთი მოეთხოვა, ეს სავსებით ჩვეულებრივ სასამართლო პროცესზე თავდაჯერილ „კორონერს" შეეხამება მისთვის, მოწმეს არა აქვს უფლება ილაპარაკოს სხვების მაგიერ იმაზე, რასაც სხვები გრძნობენ, თქვენ მხოლოდ საკუთარ გრძნობებზე შეგიძლიათ ილაპარაკოთ. კლარა ცეტკინი იძულებული გახდებოდა შეესწორებინა და დაეზუსტებინა თავისი ფრაზა შემდეგნაირად: „მე ვგრძნობდი", ან „მე ვხედავდი, რომ ლენინი შინაურულად გრძნობდა მათ შორის თავს". მაგრამ მაშინ ის უნდა მიგვექცია — სხვა ადამიანებთან ლენინის მიმართებაში (უბრალოებისა და გულითადობის გარდა!) რას შეეძლო ეთქმევინებინა კლარა ცეტკინისთვის ასე.

აქ დროებით შევწყვეტთ მოგონებათა წიგნის ფურცვლას და უფრო ზოგადი სახის სხვა წყაროებს მივმართავთ.

როდესაც ლენინის თხზულებათა პირველი გამოცემა გამოვიდა, ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობდა პოლიტსწავლების წრეებში განწყობილი ქალი კითხვის ფართოდ შემუშავებული პროგრამით. თითოეული საკითხი ამ პროგრამებში მოიცავდა (ახლაც მოიცავს) მარქსიზმის კლასიკოსთა წიგნების ბევრ სახელწოდებას, მაგრამ არა მთლიან ნაწარმოებებს, არამედ მხოლოდ წასაკითხად საჭირო გვერდებს — აქედან აქამდე. დიდ ბედნიერებად მიმაჩნია იმას, რომ ოციანი წლების დასასრულს ერთხელ და სამუდამოდ შევეშვი ნაწყვეტების მიხედვით წიგნების ჭრელჭრულ გაცნობას და შევიძელი წამეკითხა ლენინის ყველა ტომი თანმიმდევრულად, ყოველი ნაწარმოები მთლიანად. თუმცაღა იმის გამო, რომ არც კონსულტანტი მყავდა და არც ფურცლის ამხსნელი, ვინც კითხვის დროს „წამიძღვებოდა", ხშირად მეორეხარისხოვან „ადგილებზე" „ფილოსოფიური აზრით", რაიმე დეტალი გამიტაცებდა და მთავარი კი გვერდზე მრჩებოდა. სამაგიეროდ შემდეგომში გამომადგა ძალიან ეს დეტალები. ერთ-ერთი ასეთი დეტალი, რომელიც „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის" პირველსავე გვერდებზე იპყრობს ყურადღებას, ჩემი აზრით მკითხველს ეხმარება გაარკვიოს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: ადამიანის ხასიათის **ინდივიდუალიზმის კავშირი** თეორიული **იდეალიზმისაკენ** მისი აზროვნების მიდრეკილებასთან. ვლადიმერ ილიჩს ძეს ძალიან შეუყვარდა დიდროს ერთი გამონათქვამი. ერნსტ მახთან კამათის დასაწყისში მას მთელი ციტატა მოჰყავს, რომელშიც დიდრო ამ გამოთქმას იყენებს, შენიშვნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლენინს ორიგინალში წაუკითხავს ფრანგი ენციკლოპედისტი და თვითონ უთარგმნია ციტირებული ადგილი. ლაპარაკია დიდროსა და დალამბერის საუბარზე მატერიალიზმის ბუნების შესახებ. დიდრო თანამოსაუბრეს სთავაზობს წარმოიდგინოს, რომ ფორტეპიანოს აქვს შეგრძნებისა და ცნობიერების უნარი. და აი, უეცრად დგება შეშლილობის ისეთი მომენტი, როდესაც... შემდეგ დიდროს ცნობილი ფრაზაც მოდის: „სიგიჟის მომენტი იყო, როდესაც მგრძნობიარე ფორტეპიანომ წარმოიდგინა, ერთადერთი არსებული ფორტეპიანო ვარ დედამიწაზე და მთელი სამყაროს ჰარმონია ჩემში ხდებაო"[1]. მგრძნობიარე ფორტეპიანოს ამ სახემ, რომლის კლავიშებზეც (ჩვენს ორგანოებზე) ობიექტური სამყარო უკრავს, ანუ მატერიალურად არსებული ბუნება, — და რომელიც უეცრად მკვეთრად შეიშალა იმის წარმოდგენით, რომ მხოლოდ ერთადერთ მასშია სამყაროს მთელი ჰარმონია, — ისე ძალიან მოაჯადოვა ლენინი, რომ არა მხოლოდ ციტატად ამოიწერა ეს ადგილი, ხელახლა დაუბრუნდა მას, გაიმეორა, გახაზა თავისი და დაგვიხატა, ოღონდ განსხვავებული რაკურსით მიაწოდა მკითხველს. დიდროსთან ნათქვამი დაწერილია იმაზე, რომ ფორტეპიანომ წარმოიდგინა, თითქოს **სამყაროს** მთელი **ჰარმონია მასში ხდებაო** (ხაზი ჩემია.— მ. შ.). ლენინი აბუჩად იგდებს „გამოშველებულ" ერნსტ მახს, წერს, რომ, თუ იგი არ აღიარებს ობიექტურ, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებულ რეალობას, „მას რჩება მარტოოდენ „შიშველი აბსტრაქტული" მე, უთუოდ ასომთავრულით დაწერილი და ხაზგასმული მე — გიჟი ფორტეპიანო, რომელსაც წარმოუდგენია, რომ იგი მარტოოდმარტო არსებობს ამქვეყნად"[2]. თითქოს იგივე ციტატაა დიდროდან, მაგრამ არა ზუსტად იგივე! ილიჩი ტოლობის ნიშანს სვამს „გაგიჟებულ ფორტეპიანოსა" და მხოლობითი **რიცხვის** პირველი პირის ნაცვალსახელ „მეს" შორის. იგი თითქოს ყურადღების ცენტრში აყენებს

[1] ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 18, გვ. 31.
[2] ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 18, გვ. 36—37.

დიდროს მეორე აზრს (რომ „გაგიჟებულმა ფორტეპიანომ" თავისი თავი წარმოიდგინა სამყაროს ჰარმონიის შემოქმედად, რომელიც თავის თავში იტევს მთელ ობიექტურ სამყაროს, როგორც მოგვიანებით ჰეგელის „მსოფლიო გონება").

ეგოცენტრიზმი შლის ფრაზის ამ მეორე ნახევარს, რათა მკითხველის ყურადღება შეუმცირებლად არ გაეფანტოს, და ხაზს უსვამს დიდროს პირველ მტკიცებას, რომ „გაგიჟებულმა ფორტეპიანომ" წარმოიდგინა თავი ერთადერთად ამქვეყნად. უფრო მეტიც, იგი გარდაიქმნა სოლიფსისტურ „მე"-დ, მაგრამ როდესაც ასოლუტური „მე" სამყაროს ცენტრი ხდება და არსებობს მხოლოდ მის რიცხვში, რა მდგომარეობაშია მაშინ აბსოლუტი „შენ" და ყველა დანარჩენი შემეცნებადი სუბიექტი? ხომ არ შეწყვეტს თითოეული „მე" თითოეული „შენ"-ის ყოფიერების რეალურად შეგრძნებას, ხომ არ გახდება ყველა ეს „შენ" მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთარი იდეების ნაყოფი? ბერკლის უკიდურესი **თეორიული სოლიფსიზმიდან** ასე შეუმჩნევლად იდება ხიდი მკითხველის ტვინში ადამიანის ხასიათის **უკიდურესად პრაქტიკული ინდივიდუალიზმისკენ,** რომელიც აიძულებს ადამიანს, თითქოს ვერ გრძნობდეს შენს გვერდით არსებული სხვა ადამიანის ყოფიერებას ისეთივე დამაჯერებელი რეალობით, როგორითაც შენ შეიგრძნობ საკუთარი ყოფიერების სიღრმესა და რეალობას.

რასაკვირველია, ყველა ეს მსჯელობა მეტისმეტად სუბიექტურ-მკითხველურია, მაგრამ ჭეშმარიტების მარცვალი მათში არის. სწორედ თავისი მატერიალისტური ცნობიერების სისრულით შეიგრძნობდა ლენინი ასე ძალუმად სხვა ადამიანების რეალურ ყოფიერებას, ყველას, ვისაც კი ლენინი ასე ძალუმად უახლოვდებოდა, არ შეეძლო არ ეგრძნო ადამიანი-ლენინის სხვა ადამიანთან **ამ მიახლოების რეალობა, და,** მაშასადამე, არ შეეძლო თავის მხრივ არ განეცადა თავისი ადამიანური ტოლობა მასთან. „შენ" ყოფიერების ისეთივე ძალით მატერიალისტურ განცდაში, როგორც საკუთარი „მე"-ს ყოფიერებისა, არის ჩვენი დროის სრულიად ახალი თვისება, და ყველა პარტიული ხელმძღვანელი უნდა ესწრაფოდეს ამ თვისების თავის თავში გამომუშავებას. მეხსიერებაში ტივტივებს ორიოდე ლიტერატურული სახე, რომლისაც ხან ქვეტექსტში, ხანაც პირდაპირ ტექსტში ცხადდება აზრი, რომ ყველა ადამიანი როდი არსებობს რეალურად. ბევრი მხოლოდ „მოჩვენებითია" იმისათვის, რომ მეზობელმა ცხოვრების დიდი გამოცდა განვლოს.., როდესაც „ძმებ კარამაზოვებში" ეკითხულობთ საშინელ ამბებს ბავშვებზე, უდანაშაულოდ რომ იტანენ ჯოჯოხეთურ ტანჯვა-წამებას, და მკითხველს თითქოსდა ეძლევა კითხვა — რისთვის? — ისევ ჩნდება ზოგიერთი ცოცხალი არსების, მხოლოდ „მოჩვენებითის" და არა რეალურად არსებულის, ყოფიერების ფუჭი შეგრძნება: „არა, ძმაო, არაა ეს საჩვენო ხალხი. მტვერია, მტვერი აფიოქული.. დამბერავს ქარი და მისი — აისრულება ერთიანად"[1], — ამბობს თეოდორ კარამაზოვი ვაჟიშვილ ივანზე. გორკის საშინელ ცნობილი კითხვაც „იყო კი ბიჭი?", ვფიქრობ რომ წარმოადგენდა ჩვენს ლიტერატურაში ერთგვარ მეტაფიზიკურ პრობლემას, ისიც ამქვეყნად ერთადერთი „მე"-ს მტკიცების ნაყოფია. ახლა დავაკვირდეთ ალარ იკითხავთ! გერმანელ რომანტიკოსებთან, ჰოფმანის „სატანის ელექსირში", უამრავ დევნადეულ წიგნში, რომელთა ავტორები არც თუ ნაკლები არიან, მაგრამ იდეალიზმის წყალქვეშა მდინარებაში მოხვედრილნი, ვით მოქმედ „მე"-სთან ერთად არ გვახსოვს ადამიანი-მოჩვენებანი, რომელთაც მხოლოდ მეორეხარისხოვანი არსებობა აქვთ? კაფკასთან „შენ" არსებობის ეს მოჩვენებითობა კიდევ საშინელებისათვის ისე საზარლად გაიზარდა, რომ წარმოიდგინეთ, ნეტარტაზებმა მის ჰიპერბოლიზებულ უზარმაზარ ასოლუტურ „მე"-საც მიაღწია და ეს „მე", კაფკას გმირი თვითონ ხდება მოჩვენება, რომელიც დღითიდღე კარგავს წინარე ყოფიერების რეალურ ნაკვთებს. ასე განაგრძობს შემდგომ ფორტეპიანო ზესვლას თანამედროვეობის ხელოვნებასა და აზროვნებაში. კაფკას მაგალითი განსაკუთრებით გასაგებია იმ მკითხველებისთვის, რომლებიც იცნობენ ლიტერატურაში უკიდურესი იდეალიზმის ამ საშინელი გამომხატველის შემოქმედებას: კაფკამ ხატოვნად ძლიერად, გულისამრევად და თავბრუდამხვევად (რადგანაც იგი ნორმალური აზროვნებისათვის შეუფერებელიცაა და უჩვეულოც) გვიჩვენა ურთიერთობათა უილაჯობა „მე"-სა და „შენ"-ს შორის, სუბიექტურ ცნობიერებასა და მის არეალს შორის; „მე"-სთვის თითქოს უიმედოდ იყოს შეუძლებელი „შენ"-ისაგან პირდაპირი პასუხის მიღწევა დასმულ შეკითხვაზე ანდა — პირდაპირი უკუმოქმედებისა მოქმედებაზე, რომელსაც იგი რთავს მიმღწონარეობისათვისაა საჭირო.

---

[1] თ. მ. დოსტოევსკი, ძმები კარამაზოვები. ტ. 1. ლიტგამომცემლობა, მოსკოვი, 1958, გვ. 241.



16.513

თუმცა შევეშვათ ამ აჰრდალისებურ სამყაროს ჭკუაზე გადასული ფორტეპიანოთი და დავუბრუნდეთ ჩვენი ისტორიული სინამდვილის ცოცხალ სამყაროს. განგიცდიათ თუ არა, მკითხველო, განსაკუთრებული ბედნიერება იმ ადამიანთან ურთიერთობით, რომელიც თქვენი შეგრძნებით, თქვენთვის თანატოლობის ბავშვური გამოხატულებით მოგიდის, როდესაც მისი „მე" თქვენი „შენ"-ის რეალურ ყოფიერებას გრძნობს? ამქვეყნად ეს იშვიათად ხდება. ადამიანები განსხვავდებიან ყველაფრით,— არა მარტო აღზრდით, [illegible], ნიჭითაც, ჭკუითაც, ხასიათითაც, ბავშვი, მეტნაკლები სიღრმეობით, ერთ რომელიმე [illegible] ტოლნი არიან: ისინი რეალურად არსებობენ. და აი, ლენინთან ახლოს ყოფნისას და გნებავთ, კითხვის დროს, მხოლოდ და მხოლოდ მისი წიგნების კითხვის დროს თითოეული თქვენგანი განიცდიდა საკუთარი ყოფიერების რეალობის განცდასთან [illegible] სიამოვნებას, რაგინდ პატარა და უმნიშვნელოც უნდა მოგეჩვენებოდა ეს ყოფიერება თვითონ. მე ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია მიზეზთა შორის — თუ რატომ გრძნობდნენ ადამიანები თავს კარგად ლენინთან და ლენინი — ადამიანებთან. დიდი ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთმა წევრმა, მოსკოვში რომ გახლდათ ჩამოსული 1919 წელს, დ. ფაინბერგმა ეს გარემოება განსაზღვრა, როგორც შთამბეჭდავი თავისებურების განსაკუთრებული შეგრძნება: „...როგორი მიზიდულობაა და პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს [illegible] გამსვლელს(?), შეხვედრებით და უბრალოდ თავისუფლად იგრძნობდით თავს"[1]. ეს კი საბოლოოდ იმას ნიშნავს, რომ ლენინთან ურთიერთობის დროს თქვენც საკუთარ სულიერ ზრდას [illegible], ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მასთან ყოფნისას უკეთესი ხდებოდით.

III

პარტიაში შემსვლელთათვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი პირველი (პარტიული გამოცდილების მქონე) ამხანაგს, რადგან მისგან იღებს რჩევა-დარიგებას, მისგან სწავლობს, მას ანდობს გულის ნადებს. და ეს ძალიანაც ბუნებრივია იმ ახალი მებრძოლისათვის, რომელიც პარტიის ახალგაზრდა წევრი აღმოჩნდება როგორც საკუთარი თავის, ისე საზოგადოების წინაშე. მის ცხოვრებაში ყველაზე მეტად ის კადრებს ეძებს, თუ ხელმძღვანელი უბრალო ფორმალისტი ან სულაც თავქარიანი და გულგრილი ადამიანი აღმოჩნდება. რომელიც ისეთ კაცს ელაპარაკებით, გრძნობთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ [illegible] თავის, [illegible] მისი ფიქრი. პარტიის ახალგაზრდა წევრში მის [illegible] შეუძლია [illegible] რომ [illegible], უფრო შეგნებულად, მეტი [illegible] თავის საქმეს; ისევე [illegible] შეიძლება [illegible] ფორმალიზმის [illegible]. ასე მრავლდება [illegible], რომლებიც [illegible]. ადვილი შესაძლებელია, მეცნიერი, თანაც დიდი მეცნიერი, ცუდი, სრულიად უვარგისი [illegible] იყოს, [illegible] და ვერ [illegible], [illegible] — [illegible], [illegible] ყურადღებას არ გაქცევთ და თქვენი [illegible] არ [illegible]. მისგან მაინც შეიძლება ყოველდღე და ყოველ საათს რაღაცას სწავლობდე. [illegible] კონცენტრირება, თავგანწირვა და [illegible] თვითდაცვის წინაშე, რომლებსაც ადამიანი [illegible] მეცნიერებისას. მაგრამ პარტიის წევრს, კომუნისტს, თუკი ის რომელიმე კოლექტივის ხელმძღვანელია, არც [illegible] უფლება აქვს. იგი [illegible] ხედავდეს და გრძნობდეს ადამიანებს, რომელთაც ხელმძღვანელობს. და ამის თქმა მასზე, რომ ცუდი ფსიქოლოგია, იგივეა, რომ [illegible] თავის მთავარ ამოცანას ვერ ერევაო. შესაძლოა თუ არა ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის სახელმძღვანელოებით ადამიანთა ურთიერთობის, ადამიანთა გაგების შესწავლა? აქ ალბათ ჩემი აზრი ბევრისას არ დაემთხვევა. ვგონებ, არა თუ შეუძლებელია (თანაც ისეთი მდარე სახელმძღვანელოებით, როგორიც ჩვენში და საზღვარგარეთაა საერთოდ!), მოსალოდნელია ისიც [illegible] და [illegible] ტვინში, რაც სწორია, პრაქტიკულად, ცხოვრების გამოცდილებით შევიძინოთ.

[1] „ლენინი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობა", გვ. 51. „მოგონებანი ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე", ტ. 3, გვ. 207.

რასაკვირველია, ბავშვი ფსიქოლოგი რომ იყო, როგორიც ილიჩია, აუცილებელია ილიჩის დაბადება მისავე ეპოქა საყოველთაო მატერიალისტურ ცნობიერებაზე. ჩინებული ... ით, ისეთი წიგნების ხილში, როგორიც იყვნენ ერთ-ერთი საუკეთესო რუსი პედაგოგი ილია ნიკო-ლოზის ძე ულიანოვი და უდიდესი ტაქტის მქონე ძალიან ... უზარმაზარი ნიჭიერების პატრონი მარია ალექსანდრეს ასული ულიანოვა, ბრწყინვალედ რომ ახერხებდნენ ... ურთიერთობებო და შემოქმედებითი აქტივობის შექმნას ოჯახში. მაგრამ მისი ბუნებრივი ... ასათვისებელ ძირითადად და თვითონ პირველ თვისებებს — პირადი პატიოსნების საერთოდ უმაღლესებელყოფას დასხვადასხვა კოლექტივების ნეტარსებით რეალურ შეგრძნებას, იმდენად რეალურს, როგორიც საკუთარი ყოფიერებისა — ნიღლი ცხოვრება უნდა მხოლოდ შინაგანად, და, მაშინაც კი, როდესაც ობიექტურად ვერ ახერხებთ ამას, იგი მაინც ხდება თქვენი სინდისი, თქვენი უტყუარი კრიტერიუმი როგორც საკუთარი თავის, ისევე თქვენს გარშემომყოფი ადამიანების ხასიათების შესაფასებლად. სამაგიეროდ, ლენინის ზედი, წმინდად პედაგოგიური ხერხი, განსაკუთრებით კი ადამიანების ყოველდღიური შესწავლის მისეული წესი ყველა კომუნისტს შეუძლია შეისწავლოს. ყოველ შემთხვევაში, მათი ცოდნა აუცილებელია.

ადამიანთან მიდგომისა და მისი გაგების, სწორი აგიტაციის, მისი განსწავლისა და დარიგების უნარი ვლადიმერ ილიას ძეს გამოუმუშავდა ადამიანებთან განუწყვეტელი, დაუღალავი მუშაობის პროცესში, ადამიანების შესწავლის, მათთან ყოფნის, მათთან ურთიერთობის პროცესში. ადამიანის მიმართ იგი არასოდეს ყოფილა გულგრილი და უყურადღებო. მაგრამ ადამიანებთან მუშაობის უშუალო პრაქტიკის გარდა, ლენინი წიგნებიდანაც, მხატვრული ლიტერატურიდანაც განუწყვეტლივ სწავლობდა იმას, თუ რა არის ადამიანთა სიღრმისეული ფსიქოლოგია. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული იგონებს, რომ იგი კრაკოვში წლების მანძილზე მხატვრული ლიტერატურის ცოდნას და, მგონი, ზეპირად კითხულობდა „ანა კარენინას" გაცრეცილ ტომს[1]. ახსოვს გაცვეთილი ლენინისა რომელი, სადაც გამოდის ტოლსტოის საყვარელი გმირი თავისი გლეხური ფსიქოლოგიით, სადაც ტოლსტოის დროინდელი ეპოქის ისეთი საუცხოო სურათია მოცემული, სადაც განზრახვის გარეშე, ხელოვნების უდიდესი სიმართლით გამოხატულია ისეთი ხასიათები, როგორიც სახარელი კარენინია, თავისი მშრალი ბიუროკრატი სიმიშვლით ხასიათები სხვა საზოგადოებისა, სხვა ეპოქისა... მაგრამ შესაძლოა კი ლენინი ასე გენიალურად დაეუფლა ტოლსტოიში „რუსეთის რევოლუციის სარკეს", მრავალჯერ რომ არ გადაეკითხა იგი?! ადამიანების გაგებაში დიდი დახმარება გაუწია ლენინს სიტყვის ჭეშმარიტი ხელოვნების ნახელოვნებელმა ფსიქოლოგიურმა სკოლამ.

ყოველი ხალხი თავისსავე ენაში ნაირგვარობს უდიდესი გამომსახველობითი ძლიერებით. ვლადიმერ ილიას ძეს კარგად ესმოდა ეს. ადამიანებთან მუშაობაში მას ხშირად ეხმარებოდა განუწყვეტელი, მუდმივი შესწავლა იმ ენებისა, რომლებზეც ეს ადამიანები ლაპარაკობდნენ. ჩვენს პროპაგანდისტებს კი ამის თაობაზე რაღაც არ უყვართ ჩაფიქრება. ფაქტია, რომ მწერლებიც ურთიერთობა სხვადასხვა ეროვნების ხალხებთან თარჯიმანის შემწეობით, სხვა ქვეყნებში მოგზაურობა ისე, ზოგჯერ გაკრული ფეიზის წაკითხვის თავიც არ აქვთ, გაზეთებზე რომ არაფერი ვთქვათ, — ძალიან უხიაკო საქმეა. ეს იგივეა, ლიკვიდობ კართან რომ უგასაღებოდ იდგე. თუმცა თვითონ ლენინი წერა აქტში, რომ უცხოურ ენებს ცუდად ფლობს, მოწმეები სულ სხვას ამბობენ:

„ამხანაგ ლენინს კარგად ესმოდა ინგლისური ენა და ლაპარაკობდა ინგლისურად..."[1] (ც. ფაინბერგი)[2]. „ლენინი სრულიად თავისუფლად ლაპარაკობდა ინგლისურად" (სენ-კატაიამა)[3].

„1920 წელს, როდესაც კომინტერნის II კონგრესი მიმდინარეობდა, ვლადიმერ ილიას ძემ თავის გამოსვლაში გააკრიტიკა გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობის შეცდომები და იტალიელი სერრატის ხაზი. საქმე გერმანიის კომუნისტურ პარტიაზე იყო საუბარი, ვლადიმერ ილიას ძე გერმანულად ლაპარაკობდა, ხოლო შემდეგ, როდესაც სერრატის შეცდომებზე ჩამოაგდო სიტყვა, უმალვე ფრანგულ ენაზე ალაპარაკდა. მე ვესწრებოდი კონგრესის ამ სხდომას, რომელიც კრემლის სასახლეში ანდრიის დარბაზში მიმდინარეობდა. მახსენდება ის ქრთამული, დარბაზს რომ გადაუარა — უცხოელ ამხანაგებს ვერ წარმოედგინათ, რომ რუსი, რომელმაც

[1] „მოგონებანი ლენინზე", გვ. 208.

[2] „ლენინი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობა", გვ. 55; „მოგონებანი ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე", ტ. 3, გვ. 208.

[3] იქვე, ტ. 2. გვ. 629.

ქა-ქსაკ ბრწყინვალედ ილაპარაკა გერმანულად, ასევე თავისუფლად ფლობს ფრანგულ ენას".[1] (ა. დ. სტასოვა).

ვლადიმერ ილიჩს ძემ იტალიურიც კარგად იცოდა; კითხულობდა იტალიურ გაზეთებს. 1914 წლის შემოდგომაზე, გერმანელ და სხვა სოციალისტებთან მძაფრი პოლემიკის დროს (ისინი სამხედრო კრედიტებს აძლევდნენ სანქციებს), სტატიაში „ევროპის ომი და საერთაშორისო სოციალიზმი" ლენინი იტალიელ კომუნისტებს უპირისპირებს მათ. მან რამდენიმეჯერ მოიყვანა ციტატა გაზეთ „ავანტი"-დან და თავისი სტატიის **სამნახევარ გვერდზე თერთმეტი** იტალიური ფრაზა გამოიყენა, უფრო ზუსტად, ას ათი **იტალიური სიტყვა.** ამ ციტატებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ილიჩს ტკბობას განაცდევინებდა ენის მუსიკალური სილამაზით დიდებ უფრო ზეაწეული, ვიდრე მძაფრი რევოლუციური შინაარსი. მისთვის სხვათა ენების ცოდნა, მათი თავისუფლად გამოყენება განათლებულობის უბრალო ნაყოფი როდი გახლდათ. ენის წყალობით იგი სწვდება ხალხის შინაგან ქვესკნელს, მისი რეაქციების თავისებურებებს, მის ხასიათს, ნიჭ იუმორს; იგი ეძიებს მასთან მისასვლელ უკლებს გზებს, ქვეყნის ფოლკლორთვავებს. ქავე ენახეთ, რა ფხიზლად შენიშნა და შემდეგ რა მოხდენილად გამოიყენა მან გალამპერის ინგლისურის მოტლანქური თავისებურებანი. მაგრამ არა მხოლოდ ოთხი ევროპული ენა იცოდა ლენინმა. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ინტერესდებოდა მას მოძმე სლავური ხალხების ენები და შეძლებისდაგვარად სწავლობდა მათ. როგორც ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ყმაწვილობის ბოდიშების ცოდნა ილიჩს ეხმარებოდა ფრანგებთან კონტაქტების დამყარებაში, ასევე დაეხმარა მას ჩეხური ენისა და ადათ-წესების ნაცნობობა. 1920 წლის ზაფხულს ჩამოვიდა მოსკოვში ანტონინ ზაპოტოცკი, დაბნეული და აღელვებული ელოდებოდა ლენინთან შეხვედრას — როგორ და რაზე დაიწყებს საუბარს მასთან, მაგრამ მისი შიში ამაო გამოდგა:

„უწინარეს ყოვლისა აღმოჩნდა, რომ მას (ლენინს. მ. შ.) ესმის ჩეხური... ისეთი შეკითხვით დაიწყო საუბარი, რომელიც ნამდვილად არ დაავიწყდება არც ერთ ჩეხს. იკითხა, კიდევ ჭამდნენ თუ არა ჩეხეთში კნედლიკს ქლიავით. ეს საყვარელი ჩეხური კერძი ჯერ კიდევ პრაღაში ყოფნის დროიდან ახსოვდა..."[2]

მოსკოვს ჩამოსულმა ბულგარელმა კომუნისტმა ქრ. კაბაქჩიევმა ლენინისთვის საჩუქრად ჩამოიტანა ბულგარულ ენაზე დასტამბული ბროშურები, რომლებიც ძალიან მოეწონა ილიჩს — დაათვალიერა, წიგნში რა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ლიტერატურაა. ასეთ შემთხვევებში ნაჩუქარი წიგნებისადმი ინტერესი ჩვეულებრივ ნელდება იმ ენების უცოდინარობის გამო, რომელზეც ის წიგნებია დაწერილი. მაგრამ ჩვენ ემალვე შევამჩნიეთ წარმოიდგინეთ ცოცხალი ლენინი, ცნობისმოყვარედ რომ ფურცლავს ბროშურებს.

„ძნელია ბულგარული ენის შესწავლა?" — მოულოდნელად ეკითხება იგი კაბაქჩიევს. არაა ეს ყალბი კითხვა. ლენინი მას სთხოვს საჩუქრად გამოუგზავნოს ბულგარულ-რუსული ლექსიკონი. ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ, ეტყობა, კაბაქჩიევისაგან მიღებულ ამბავს დიდად წყდა და ლენინის ბინაში სწორედ ბიბლიოთეკაში ქალი თხოვნით — ბულგარულ-რუსული ლექსიკონი მიიღო.

სწრაფვა სხვათა ენების შესწავლისაკენ — ხალხის შესწავლისაკენ, და ეს, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. ასეც არ უნდა ავარიდოთ გვერდი: პარტიულმა მუშაკმა, თუ მას სურს დაეუფლოს ადამიანების ხელმძღვანელობის მეცნიერებას, შეეძლოს ადამიანებთან ცოცხალი მიდგომა, მათი გაგება და მათზე ზემოქმედება. კიდევ, შესაძლოა, ამიტომ არ უნდა ავარიდოთ გვერდი, რომ ბევრი უცხოური ენის ცოდნა გვეხმარება ლენინის ძალა და სილამაზე, საკუთარი ენის გამოკვეთებულობა და თავისებურებანი და უფრო მარჯვედ გამოვიყენოთ იგი მშობლიურ ხალხთან ურთიერთობაში. ტყუილად კი არ იტყოდა ხოლმე გოეთე — მხოლოდ სხვათა ენების ცოდნა ეხმარება ადამიანს, რათა საკუთარს უკეთესად ჩასწვდესო.

იმ წლებში, როდესაც ცოცხალი ილიჩის უშუალო ზეგავლენა მეხსიერებაში ჯერ კიდევ წარუშლელი იყო, მ. შოლოხოვმა ასახა კომუნისტის სწრაფვა უცხო ენის დასაუფლებლად. „გატეხილ ყამირში" გამოყვანილია უბრალო და ნაკლებწიგნიერი სოფლის პარტიული მუშაკი, რომელიც ყოველ თავისუფალ წუთს ინგლისური ენის შესწავლას ახმარს, „მსოფლიო რევოლუციისათვის" რომაა აუცილებელი. იმ წლებში სახელმწიფოც დიდად გვეწყობოდა ამ მხრივ ხელს — ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული სმფ-ები[3] პარტიული და შემოქმედებითი მუშაკე-

---

1 „მოგონებანი ვლადიმერ ილიჩ ლენინზე", ტ. 1, გვ. 320.

2 „მოგონებანი ვლადიმერ ილიჩ ლენინზე", ტ. 2, გვ. 538.

3 სმფ — საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი — რედ.

ბისათვის, — უცხო ცნებას ინდივიდუალური შესწავლის მიზნით. სამწუხაროდ, იშვიათად თუ ვინმეს ესარგებლია ამით, როგორც წესი არის.

უდიდეს ყურადღებას უთმობდა ლენინი ახალგაზრდობას. გვესწავლოდა, თავი არასოდეს შორს არ დაეჭირა მისგან, თვითონ დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს. მოკრძალებულობით ეპყრობოდა მის თავმოყვარეობას (ნ. კრუპსკაია მოგვითხრობს, თუ როგორ ფრთხილად ეპყრობოდა იგი დამწყებსა და ახალგაზრდა ლიტერატორებს მათთვის სრულიად შეუმჩნევლად), ყველაფერს მთავარია, ჰქონდა სასწავლებრივი ნიჭი იმისა, **რომ მათი შეცდომებით არ გაღიზიანებულიყო**, თუ რაიმე უარყოფითს წააწყდებოდა. იმავე დროს, არც ის ავიწყდებოდა, და ესათუთოდ იტყოდა, რაც ამ ადამიანში დადებითი იყო. შეგირცხილი ახალგაზრდობის ორგანიზატორი ჩვენი საუკუნის ათიან წლებში ვ. მიუნცენბერგი ლენინთან ერთობლივი მუშაობის შემდეგ წერს: „მისი კრიტიკა არასოდეს შეურაცხმყოფელი, არასოდეს გვაგრძნობია თავი გმობილად და მაშინაც კი, კრიტიკის ქარცეცხლში რომ გვატარებდა, ჩვენს მუშაობაში რაიმე სასიქადულოს პოულობდა"[1]. მიუნცენბერგი ლენინის ასეთ დამოკიდებულებას **პედაგოგიურს** უწოდებს, რომელიც კადრების აღსაზრდელად მნიშვნელოვანია: „უშუალოდ მისი პირადი ამხანაგური დახმარების გარეშე, რომელსაც იგი უდიდესი პედაგოგიური ტაქტით გვიწევდა, ვერასოდეს ვერ მოვუტანდი 1914—1918 წწ. ახალგაზრდულ მოძრაობას სარგებელს ცენტრისა ახალგაზრდობის საერთაშორისო ბიურო"[2], და იგი ასე ამთავრებს მოგონებებს: „სოციალისტური ახალგაზრდობის მოძრაობაში ოცდაათი წლის მუშაობის მანძილზე ბევრი რამ შევითვისე მუშათა მოძრაობის მეტად ცნობილი ბელადებისაგან, მაგრამ ერთიც არ მაგონდება იმათგან, რომელიც როგორც ადამიანი და პოლიტიკოსი, ეგზომ ახლო მდგარიყოს ახალგაზრდობასთან და პოლიტიკურად უფრო მეტი ზეგავლენა მოეხდინოს პროლეტარულ ახალგაზრდობაზე, როგორც ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ-ლენინმა მოახდინა"[3]. უნდა აღინიშნოს, რომ ლენინი ყოველთვის ამჩნევდა ადამიანში საუკეთესოს — და ეს გახლავთ პედაგოგისათვის და, მაშასადამე, კადრებთან მომუშავე კომუნისტისათვის აუცილებელი ერთი უმთავრესი თვისება. იმიტომ რომ კომუნისტს მაშინ შეუძლია ადამიანებთან აღმზრდელობითი მუშაობა აწარმოს, როდესაც იგი მათ **უჯერებს**, და არა უარყოფს, თვისებებზე დაემყარება. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მოგვითხრობს: „ვლადიმერ ილიას ძეს ყოველთვის ჰქონდა... ადამიანით მოხიბვლის შემთხვევები. შენიშნავდა ადამიანში რაიმე მნიშვნელოვან თვისებას და ჩაეჭიდება მას"[4]. 1918 წლის მარტის დასაწყისში ერთნი ამხანაგები, რომელთაც დიდი შეცდომები მოუვიდათ და პარტიულ ბრძოლაში მთლიანად დამარცხდნენ, მოსანანიებლად გამოცხადდნენ ლენინს და მთელი სერიოზულობით ელოდნენ საკუთარ მარცხს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, შავი დღე დაგვადგებაო, მაგრამ ლენინი გაუღიმა მათ და დატუქსვის ნაცვლად გაამხნევა, ამუშავა და იმაზეც ილაპარაკა, მომავალში რაც ექნებოდათ გასაკეთებელი.

ძალიან ბევრია მსგავსი მაგალითი და, როდესაც თითოეულ მათგანზე ასეთ უშუალო მონაყოლს კითხულობ, გრძნობ, რომ ასეთი გულისხმიერი მოპყრობა **სულაც არაა მხოლოდ და მხოლოდ** ილიჩის კეთილბუნოვნების შედეგი. საჭიროებისას ილიჩი შეუბრალებელი და მრისხანეც გახლდათ. მაგრამ კადრებთან აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთ უსერიოზულეს ამოცანად ილიჩისათვის წარმოადგენდა **ცოდნა იმისა, რომ არათუ შეებღალა ადამიანებში საკუთარი ღირსების გრძნობა, არამედ პირიქით, გაეღვივებინა და გაემძაფრებინა** იგი. მათთან ურთიერთობა, ვისაც ეს საკუთარი ღირსების გრძნობა ჰქონდა, ვლადიმერ ილიას ძეს განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრიდა. როგორც წესი, ესენი იყვნენ რიგითი მუშები, მათთან ემიგრაციაში ჩასულნი, გლეხები, რომელთაც რევოლუციის პირველ წლებში „თვით" გზავნიდა მასთან ხოდოკებად, ის მეცნიერები და შემოქმედებითი მუშაკები, რომლებიც მიხედვით ლომონოსოვის მსგავსად არათუ ძლიერთა ამა ქვეყნისათა, თვით ღმერთის ლაქიობასაც არ კადრულობდნენ. სხვათა შორის, ლენინი ძალიან აფასებდა ამ ადამიანურ შინაგან დამოუკიდებლობას ინგლისელ მუშებში, რომელთაც ლონდონის ემიგრაციის დროს დიდი გატაცებით შეისწავლიდა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის მოგონებებში ამ საკითხისადმი მიძღვნილი გვერდები ძალიან თბილად იკითხება. ინგლისის ეკლესიებში წირვის შემდეგ თავისებური დისკუსიები იმართებოდა, რომლებზეც რიგითი მუშები გამოდიოდნენ. ვლადიმერ ილიას ძე დადიოდა ამ

[1] „ლენინი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობა", გვ. 25

[2] იქვე, გვ. 24.

[3] იქვე, გვ. 30.

[4] „მოგონებანი ლენინზე", გვ. 64.

კლუბებში მხოლოდ იმისათვის, რომ ესმინა მათი გამოსვლები. დაძაბული ყურადღებით კითხულობდა გაზეთებში, თუ სადა და სად გაიმართება მუშათა კრებები, და იგი მიყრუებულ უბნებშიაც კი დადიოდა ამ კრებებზე დასასწრებად, დადიოდა მუშათა ქოხ-სამკითხველოებში, დროდადრო ესწრებოდა ლონდონის „სოციალ-დემოკრატიულ" საყდარს, სადაც [illegible] იყო მღვდელიც სოციალ-დემოკრატი, რათა მას მუშა-ახალგაზრდობა უკეთ შეესწავლა. [illegible] ჩამოსულნი, როგორც წესი, ბურჟუაზიის მიერ მოსყიდულ ინგლისური [illegible] სათავეში მდგომნი ეცხობოდნენ, ლენინი კი რიგით ინგლისელ მუშას აკვირდებოდა ყურადღებით, შვილს იმ ხალხისა, რომელსაც თავისებური რევოლუციები მოუხდენია, რომელმაც გამოიარა ჩარტიზმი და შექმნა „habeas corpus"—ადამიანის პირადი ხელშეუხებლობის მცნება. როდესაც რიგითი მუშების გამოსვლებს მოისმენდა, ლენინი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს ეუბნებოდა ხოლმე: „იმათი პირით სოციალიზმი მეტყველებს! მომხსენებელი უგვანოდ ყბედობს, ხოლო როგორც კი გამოდის მუშა, იგი უმალვე არსებითად ეხება საგანს, კაპიტალისტური წესწყობილების ნამდვილ არსს ამჟღავნებს"[1]. მათში იგი ხედავდა „ინგლისის მომავალი რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს"[2]. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული თავის მხრივ უმატებს: „ილიჩი იმედებს ამყარებდა მხოლოდ ინგლისელ რიგით მუშაზე, რომელსაც, მიუხედავად ყველაფრისა, შერჩენილი ჰქონდა კლასობრივი ინსტინქტი"[3]. მუშა კაცის კლასობრივი ინსტინქტი, კოლექტივიზმის მძლავრი გრძნობა, რომ ურდნობა და ყოველდღიური ერთობლივი შრომითაა გამომუშავებული, ძალიან მჭიდრო კავშირშია საკუთარი ღირსების გრძნობასთან, რომელიც ვერც ლაქიობას ეთვისება, ვერც პირფერობას, ვერც მხდალობას და ვერც ურცხვ თავდაჯერებულობას. საკუთარი ადამიანობის ამ მშვიდსა და მტკიცე შეგნებას უშველებელი უფსკრული ჰყოფს სახელის მაძიებელი თავმოყვარეობის, თვითდაჯერებულობის, თვითრწმენის, თავხედობისა და თავკერძობისაგან. **და თუ გსურს კადრებს უხელმძღვანელო და ადამიანები აღზარდო, საჭიროა ძალიან ფხიზლად შეგეძლოს ამ განსხვავებულობის დანახვა.** ხოლო თუ პატივმოყვარეობის ყოველგვარ გამოვლინებას საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ, რათა ამოვძირკვოთ იგი პარტიის წევრებში, თვალის ჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ პარტიის რიგებში იმ ადამიანებს, რომელთაც აქვთ საკუთარი ღირსების მშვიდი შეგნება, დამოუკიდებელი და უშიშარი მსჯელობის უნარი.

IV

ძველად ჩვენს შემოქმედებით კავშირებში შემოღებული იყო შეცდომის ჩამდენ ამხანაგზე ზემოქმედების მეთოდი, რომელსაც ერთობ პირქუში სახელი ერქვა — „დამუშავება". ჩვენში იშვიათად თუ ვინმე მოიძებნება, განსაკუთრებით შემოქმედებით კავშირებში, რომელსაც მძიმედ არ განეცადოს თავისი ან სხვისი დამუშავება: შეცდომის ჩამდენს თითქოს ფრონტალურად ხვრეტდნენ — თითით კი არა, რომელსაც შეეძლო მხოლოდ ერთი, შემცდარი ადგილისათვის მოერტყა, არამედ ზარბაზნით, რომლის ყუმბარაც მთლიანად მოედებოდა ხოლმე. ასეთი დამუშავებისას არათუ არ ცდილობდნენ მხედველობაში მიეღოთ დამახასიათებელი რაიმე კარგი თვისება ან კარგად შესრულებული სამუშაო, ხმის ამოღებაც იკრძალებოდა, რადგან „დამუშავების მომენტში" ის ხმა, შესაძლოა, ბრალდებულთა სიტყვების (ზარბაზნის ყუმბარა) კვერის დაკვრად კი არ მოსმენილიყო, არამედ იმის მინიშნებად, რომ ის ადამიანს რაიმე საყურადღებო თვისებაც გააჩნია. გულახდილად რომ ვთქვათ, ასე „დამუშავებული" ამხანაგებიდან იშვიათად თუ ვინმეს მიუღია ნამდვილი შემოქმედებითი სარგებელი. ხშირად მიფიქრია, მაინც რატომ ვუბრუნდებოდით დროდადრო ასეთ ღონისძიებებს-მეთქი და მხოლოდ ჩემთვის გამომიტანია ასეთი, ცოტა არ იყოს, ერეტიკული დასკვნა: იმისდა მსგავსად, თითქოს კრიზისები კაპიტალიზმს მხოლოდ განამტკიცებენო, ალბათ ეს „დამუშავებებიც" სასარგებლო გვეჩვენებოდა: ვფიქრობდით, ახალ საზოგადოებას განამტკიცებსო. შეცდომის ჩამდენი ითვლებოდა შეცდომებისაკენ საერთო გადახრის მომწიფების სიმპტომად ან საერთო უკმაყოფილების მომწიფების გამოვლინებად — და მისი მორალური განადგურება გრიგალისა თუ ტაიფუნის მსგავსად წმენდდა ატმოსფეროს, კრიზისი, რომელმაც ცალკეული კაპიტალისტები იმსხვერპლა, აძლევდა მთლიანობაში კაპიტალიზმს წინსვლის საშუალებას, შემოქმედებითი კავშირებიც ერთი „დამუშავებულის" „ნანგრევებზე" გავლით ისევ იწყებდნენ წინსვლას. სულაც არა

[1] „მოგონებანი ლენინზე", გვ. 56.

[2] იქვე.

[3] იქვე.

მაქვს იმის პრეტენზია, რომ ჩემი ახსნა სწორია, იგი მიიჩნიეთ როგორც მხოლოდ და მხოლოდ პირადი ცდა — რათა ჩემთვის გავერკვიე „ლევიზმის“ მეთოდი. ასეა თუ ისე, შეიძლებელია გადაჭრით და ბოლშევიკის გამბედაობით ვთქვათ, რომ ჩვენი პარტიის მიერ უარყოფილი „დემოკრატიის მეთოდი“, რომელიც ადამიანს აქცევს **საშუალებად, არასოდეს ყოფილა ლენინისთვის იოტისოდენადაც კი მისაღები.** იგი ღრმად ანტილენინური [illegible] ბუნებით, პარტიულ ბრძოლაში აბსოლუტურად პრინციპული, პარტიული [illegible] ძირამდე ჩამწვდომი, სულაც რომ არ ერიდებოდა იმას, რასაც ჩვენ „სიმართლის პირში თქმას“ ვეძახით, ლენინი ცდილობდა ადამიანს არასოდეს წაერთმია საშუალება (რაც მასზე პედაგოგიური ზემოქმედების ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს), არამედ ხელყოფის ხელიდან ადამიანში მაინც (წინა გერეოქმნის, გაწვრთნისა და გაზრდის გათვალისწინებით). აი, რატომ არის ადამიანის აღზრდის ყველაზე უარესი ხერხი დამცირება; ისე დამცირება, როდესაც დამცირებული თვითონ აღარაფერი ჰგონია საკუთარი ადამიანური ღირსებები. ასეთი დამცირება (რუსულ ენაში არის კიდევ უფრო ძლიერი სიტყვა მის გამოსახატავად — „დახეპრობა“), ასეთი დამცირება ღრღნის კადრებს, ნერვულ სისტემას უფუჭებს, ანდა ზრდის ლაქიებს, ორპირებს, მლიქვნელებსა და შემგუებლებს.

მე მოვიყვანე ადამიანთან ლენინური დამოკიდებულების რამდენიმე მაგალითი იყო მარტივ შემთხვევებში, როდესაც ადამიანები ლოიალურნი თავიანთ ლიდერისა და ისეთ იყო საჭირო, რომ საკუთარი თავის რწმენა და ხალისიანი შრომის ხალისი შეენარჩუნებინათ. მაგრამ აი, უფრო რთული მაგალითი, როდესაც თითქოსდა უნდა შეენარჩუნებინა პარტიისათვის ნიჭიერი პიროვნება, თანაც ბრწყინვალე ნიჭის პატრონი, ადამიანი თითქოსდა დიდი ლიტერატურული და პოლიტიკური მომავლით, რის გამოც უნდა ეხსნათ იგი ისეთი ავტორიტეტული ორგანოს სიღრმეზე საჯარო გაკიცხვისაგან, როგორიც კომინტერნის III კონგრესი გახლდათ; მით უმეტეს, რომ ზემოთ მოხსენიებულ ამხანაგს ერთ ისეთი განსაკუთრებული ბრალი მიუძღოდა: დაწერა შინაარსობრივად სრულიად სწორი ბროშურა, ოღონდ ცოტა გადააჭარბა. გადაჭარბება ტონში, კრიტიკულობაში, კილოში... შიდაპარტიულობაში მაქვს გერმანელ კომუნისტთან პაულ ლევისთან დაკავშირებული მეტად საინტერესო ეპიზოდი და ამ საქმეში ვლადიმერ ილიჩის პოზიცია. ვფიქრობ, რომ ყველა პარტიულმა ხელმძღვანელმა, ვისაც კი სურს ფსიქოლოგიურად და პედაგოგიურად კარგად იყოს მომზადებული, არათუ წაიკითხოს, უნდა პირდაპირ დაისწავლოს ამ ეპიზოდისადმი მიძღვნილი გვერდები კლარა ცეტკინის მოგონებიდან. მას შემდეგ ორმოცზე მეტმა წელმა განვლო. ობიექტურმა ისტორიულმა ანალიზმა წაშალა ყველა წვრილმანი და დეტალი, ის კონკრეტული ვითარება, იმ წლისთვის რომ იყო (1923); ასე მაგალითად, ჩვენს დ.ს.ე-ში (დიდი საბჭოთა ენციკლოპედიაში. — მთარგ.), აგრეთვე როგორც პარტიის ისტორიის ახალ სახელმძღვანელოებში, ლევის ეპიზოდს მეტად მოკლე და შეკუმშული ადგილი ეთმობა, თვითონ ლევი კი, უბრალოდ, განდევნილია ისტორიის სცენიდან, როგორც აშკარა რენეგატი და ოპორტუნისტი. ორმოცი წლის წინათ კი ეს ყველასათვის ასევე ნათელი და გასაგები როდი იყო. ორმოცი წლის წინათ ფაქტები ცოტა სხვაგვარად გამოიყურებოდა, ხოლო თვით ლევის გერმანიის ახალგაზრდა კომპარტიაში ჯერ კიდევ ეკავა ხელმძღვანელის თანამდებობა და მისი პოზიცია მთელი თავისი ორჭოფულობით ყველასათვის როდი იქნებოდა იოლი ადვილი. ლევისთან დაკავშირებულმა ეპიზოდმა ჩემზე ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება იმიტომაც მოახდინა, რომ, ჯერ ერთი, იმის დღეებში ვიცნობდი მას, ბომბსაფარში, მბჟუტავი ნათურის შუქზე და, მეორეც — ძველმა გამობრძმედილმა გერმანელმა კომუნისტმა ქალმა იგი ცხელ კვალზე დაწერა უშუალოდ, როგორც კი მოხდა. 1923 წლის მარტში გერმანულ ქალაქ მანსფელდში იფეთქა რევოლუციურმა მოძრაობამ (თუ გამოხდომამ), რომელმაც კომინტერნის ყველა სექციაში მღელვარება გამოიწვია. ამას მოჰყვა პარტიზანული რაზმების ჩამოყალიბება ოლქის ტერიტორიაზე და ასეთივე გამოსვლები და პოლიციასთან შეხლა-შემოხლა სხვა ქალაქებში. ეს ყოველივე გამოიწვია იმან, რომ მეპატრონეები მუშებს ექსპლოატაციას იწვევდნენ, ფაბრიკა-ქარხნებში პოლიცია ჩააყენეს, შემოიღეს ჩხრეკა, გამოიძიეს დალაგებები. ახლა, როდესაც ორმოცზე მეტმა წელმა განვლო, განსაკუთრებით ნათელი გახდა, რომ ეს იყო თვით ბურჟუაზიის მიერ პროვოცირებული გამოსვლები ერთი წადილით — სანამ მუშები მთლიანად გაერთიანდებოდნენ, მანამ გაენადგურებინათ მათი ძალები ნაწილ-ნაწილ. მაშინ კი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანდა მეორე მხარე ხედა: მოძრაობის უდისციპლინობა, ნაჩქარევი გაბერვა, ცუდი ხელმძღვანელობა, არა საკმაო კავშირი მუშათა მასებს შორის; ერთი სიტყვით, ამ მოძრაობის განწირულობა სასაფუძვლო. და

აი, სწორედ გაცხარებული შეხლა-შემოხლის დროს პაულ ლევი გამოვიდა და სასტიკად გააკრიტიკა მოძრაობა. იგი თითქოს თეორიულად სწორი იყო და ბევრი სიმართლეც ეთქვა, მაგრამ... ყური დაუგდოთ ორ თანამოსაუბრეს — ლენინსა და კლარა ცეტკინს.

კლარა ცეტკინი შეწუხებულია, ლევის ბედი აღელვებს. იცის, რომ მიუხედავად მისი კრიტიკის სამართლიანობისა, მაინც დაიმსახურა კომინტერნის უარყოფითი შეფასება. ბევრი სექცია ძრახავს მას, განსაკუთრებით რუსული სექცია. სულ გაიცხარებ... რიცხონ პარტიიდან. გულმხურვალედ იცავს ლენინის წინაშე! „პაულ ლევი პატივმოყვარე, თავმომწონე ლიტერატორი არაა... პაულ ლევის მხოლოდ და მხოლოდ საქმის ინტერესები ამოძრავებდნენ... ყველაფერი ვიღონეთ, რომ ლევი არ დავკარგოთ"[1]. თითქოს წინასწარ გრძნობდა, რა ბრალდებასაც წაუყენებდნენ ლევის, თავიდანვე უარყოფს მას. მაგრამ ლენინი სულაც არ აპირებს **ახლა „ხმალში გაწვევას"**, არც იმ ზერელე ბრალდებებს იმეორებს, ცეტკინი რომ უარყოფს. იგი ლაპარაკობს ლევის შესახებ (ცეტკინის ოქმისებური ჩანაწერის მიხედვით) ისე, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო,—ძალიან სერიოზულად და, რაც მოხდა, ყოველივეს იმის ბოლომდე და მთელი სიღრმე-სიგანით გაგებისა და გაანალიზების ულევი სურვილით,—არა იმდენად თვით ლევიზე, რამდენადაც პარტიულ ფსიქოლოგიაზე მთლიანად:

„პაულ ლევი, სამწუხაროდ, ყბადაღებული საკითხი გახდა... მე მიმაჩნდა, რომ იგი მჭიდრო კავშირშია პროლეტარიატთან, თუმცაღა მუშებთან მის დამოკიდებულებაში მაგალითად **ერთგვარ თავშეკავებულობას** ვატყობდი, თითქოს „თავის შორის დაჭერის სურვილი" აქვსო. ბროშურის გამოსვლის შემდეგ კი უკვე **ეჭვები აღმეძრა მასზე.** ვშიშობ, რომ მასში მაინც არის თვითგამოჩხრეკის, თავმომწონეობისკენ სწრაფვა, რომ მასში ლიტერატურული პატივმოყვარეობის ანარეკლიც ჩანს. კი ბატონო, „მარტის გამოსვლების" გაკრიტიკება აუცილებლად იყო საჭირო, მაგრამ რა მოგვცა პაულ ლევის კრიტიკამ? **უხეშად დაიქუცმაცა პარტია, არა მარტო ცალმხრივი, გაზვიადებული, ღვარძლიანი კრიტიკაც კი შემოგვთავაზა — არაფერს აკეთებს ისეთს, რაც პარტიას ორიენტაციის საშუალებას მისცემდა. თვითონ იძლევა იმის საფუძველს, რომ მასში პარტიასთან სოლიდარობის გრძნობის არსებობა საეჭვო ხდება.** (ხაზი ჩემია—მ. შ.). და აი, ეს გრძნობა ბევრი რიგითი ამხანაგის აღშფოთების მიზეზი გახდა. სწორედ ამ გარემოებამ ვერ შეამჩნევინა მათ ბევრი სისწორე, ლევის კრიტიკა რომ შეიცავდა. ასე და ამრიგად შეიქმნა განწყობილება, — იგი შემდეგ სხვა სექციების ამხანაგებსაც გადაედოთ, — რომლის დროსაც პაექრობის განსაკუთრებული საგანი ბროშურაზე, უკეთ, პაულ ლევის პიროვნებაზე კამათი გახდა და არა „მარტის თეორეტიკოსების" და „მემარცხენეების" მცდარი თეორია და უგუნური პრაქტიკა"[2].

როგორი მადლიერნი უნდა ვიყოთ კლარა ცეტკინისა იმის გამო, რომ ასე დაწვრილებით ჩაუწერია ლენინის ეს სიტყვები! სულ გინდა, ამ სიტყვებზე იფიქრო, იმაზე, თუ რას წარმოადგენს პარტიული პოლიტიკა, რას ნიშნავს ადამიანი პრაქტიკაში... ნაჩქარევი და მოუფიქრებელი გამოსვლა გერმანელი მუშებისა გერმანიის კომპარტიასაც ძვირი დაუჯდა და მთელ ევროპის რევოლუციურ მოძრაობასაც. ამიტომ იყო საჭირო (ლენინისებურად — „გარდუვალი") მემარცხენეთა ტაქტიკის დაგმობა და მისგან ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილის გამოტანა. სწორედ ამ დროს ჩაეჭიდა პაულ ლევი თავისი ბროშურით და კომინტერნის წინააღმდეგ **ხელი** შეუშალა. არადა, როგორი საქმეა, საერთო პრობლემის ნაცვლად თავი იმტვრიო „პაულ ლევის პრობლემაზე". რაც საქმე ამაზე მიდგა, თითქოსდა მის ნაღდ პოზიციასა და მის ზუსტ შენიშვნებშია სწორედ ის „პიროვნული", „სუბიექტური", რისაც ეს პოზიციაც და ეს შენიშვნებიც მცდარად მოაქცია, ცალმხრივ, გაზვიადებულ, თითქმის ღვარძლიან კრიტიკაზე, რომელიც სამოქმედოდ არავითარ ორიენტაციას არ იძლევა. ლენინი ლაპარაკობს არა როგორც **თავისთავად არასწორ** კრიტიკაზე, არამედ იმაზე, რომელიც გვაეჭვებს — ხომ არა სჭირს პაულ ლევის **„პარტიასთან სოლიდარობის გრძნობის უქონლობა"**. ქმნათა მასებისაგან მოწყვეტამ („თავის შორის დაჭერის სურვილმა") პარტიისგანაც მოწყვიტა იგი. ასე ხდება პოლიტიკაში მანკიერი, რომელსაც მასში პირადული ჩარევა.

კომინტერნს ჯერ კიდევ არ გამოუტანია განაჩენი ლევისათვის, ლევი ჯერ კიდევ არაა მსჯავრდადებული, მაგრამ ლენინის ეს ფრთხილი ჩაფიქრება ჩვენს წინაშე მთელი სიღრმე-სი-

[1] „ლენინი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობა", გვ. 74—75.

[2] იქვე, გვ. 73.

განით წარმოადგინა თვით ლევის, როგორც ადამიანს, რომელიც თავს იწირავს პარტიიდან გასარიცხად იმით, რომ თვითონ მოწყდა პარტიისთან სოლიდარობას.

ლენინის სიტყვებში არის რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ის, რაც საკუთრივ ლევის შეეხება. არის უხილავი შინაგანი სითბო მუშებისადმი, იარაღით ხელში რომ აუჯანყდნენ პატრონებს; ფუჭია, უდისციპლინოა, საერთო საქმისათვის საზიანოა, მაგრამ მაინც აჯანყებაა ეს, ბრძოლის ისტორიული მომენტი; სისხლი ხომ მათი დაიღვარა, ვისაც შეცდომა მოუვიდა, დამარცხდნენ; ისინი არ უნდა გააკიცხო და არც შეიძლება გააკიცხო ისინი და ისევ რევოლუციის თვალსაზრისით ხომ უდავოა, რომ ასეთი შეცდომების გარეშე არც ძლევამოსილი აჯანყება მოხდებოდა. ამას ვერ ჩასწვდა ლევი. მაგრამ ჩასწვდნენ „რიგითი ამხანაგები", რომლებიც „შორს არ იჭერდნენ თავს" მუშათა მასისაგან და უფრო ღრმად ისინი აღშფოთდნენ ლევის საქციელით.

ლევის შემდგომმა ბედმა გვიჩვენა, რა საოცარი პორტრეტული სიზუსტით იყო დახატული ეს კაცი ლენინის ძუნწ ფრაზებში. საიდან ჰქონდა ადამიანის შეცნობის ეგზომ შეუმცდარი უნარი, რითაც მან, რასაკვირველია, დასჯაბნა ძველი, გამოცდილი გერმანელი კომუნისტი ქალი პაულ ლევის შეფასებაში? თითქოს ცეტკინს თვალსაჩინოდ უნდა სცნობოდა საკუთარი კადრი, ხოლო ლენინი, — თითქმის რომ არ შეხვედრია ლევის, ამ საქმეში ცეტკინამდე ვერ უნდა მისულიყო. ლენინთან დაკავშირებული ამბის მოთხრობისას, შესაძლოა, შეუცნობლადაც, კლარა ცეტკინმა მისთვის ახლობელი ადამიანის შეფასებაში მხოლოდ გულუბრყვილობა და გამოუცდელობა გამოამჟღავნა, ლენინმა კი, გაკვრით რომ იცნობდა ამ ადამიანს, შეუცდომლად გამოიცნო ბედიც და ხასიათიც. ასეთი შეხედულებისა და შეფასების უნარი რომ გამოიმუშაო, ილიჩის ცხოვრებისეული პრაქტიკული სკოლა უნდა გაიარო; ესაა მისი მუდმივი ურთიერთობა მუშათა კლასთან, ჩვევა იმისა, რომ პირველ რიგში იზრუნო უბრალო მშრომელზე, მის ფსიქოლოგიაზე, ადამიანებთან მის ურთიერთობებზე, მის ჭირ-ვარამზე. საჭიროა ისიც, რომ გამოიმუშაო საკუთარი აზრი „რიგითი ამხანაგის" პოზიციაზე დადგომის შესახებ. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე შეინარჩუნა ლენინმა იმის უნარი, რომ არ „დაეჭირა შორს თავი" ხალხისაგან, მუდამ მის წიაღში ეგრძნო თავი. მდგომარეობა რიგითი ამხანაგის პოზიციაზე, რომ ბოლომდე თან დაჰქონდა, იმ ცოცხალი წიგნის სულ ბოლო გვერდზე არის ერთი მოთხრობა...

1923 წლის ოქტომბრის დასასრულს ლენინმა თითქოს მოიკეთა. ყოველ შემთხვევაში, სიარული დაიწყო, მარცხენა ხელსაც ამოძრავებდა და, თუმცა გაჭირვებით და ბუნდოვნად, მაინც წარმოთქვამდა ცალკეულ სიტყვებს. მაგრამ სიცოცხლე უკვე ცოტაღა რჩებოდა — სამ თვეზე ნაკლები... ერთადერთი სიტყვა, რომელსაც იოლად წარმოთქვამდა, იყო „აჰა-აჰა". ამ სიტყვას საჭიროებისდა მიხედვით ისეთ ინტონაციას მისცემდა ხოლმე, რომ შეეძლო ეხუმრა და შენიშვნებიც კი გამოეთქვა. ერთ კვირა დღეს, თვის მიწურულში, მასთან ჩამოვიდნენ ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი და ო. ა. პიატნიცკი. ლენინი შეეგება მათ, თუმცაღა სიარულის დროს მარცხენა ხელით ჯოხს ეყრდნობოდა... შემდეგ, დიახ, პიატნიცკიმ განაგრძო:

„ამხ. სკვორცოვმა ლენინს დაუწყო იმის მოყოლა, თუ როგორ მიმდინარეობდა არჩევნები მოსკოვის საბჭოში. ვლადიმერ ილიჩი ჯერ უყურადღებოდ უსმენდა, ცალი თვალით სკვორცოვს უყურებდა, ცალით კი იმ წიგნების სათაურებს ათვალიერებდა, ჩვენ წინ რომ ეწყო მაგიდაზე. მაგრამ, როდესაც ამხ. სკვორცოვმა **დაიწყო იმ შესწორებების ჩამოთვლა, რომლებიც ფაბრიკა-ქარხნების მუშებს შეჰქონდათ დელეგატის განაწესში: იმ გარეუბნების ელექტროგანათების შესახებ, სადაც მუშები და ღარიბ-ღატაკნი ცხოვრობდნენ, სალუდეების დახურვის შესახებ და სხვ. ილიჩმაც ყურადღებით დაიწყო მოსმენა და იმ ერთადერთ სიტყვას, თავისუფლად რომ ფლობდა** — „აჰა-აჰა" — ისეთი ინტონაციით წარმოთქვამდა ხოლმე საუბარში, რომ ჩვენთვის ისევე ნათელი და გასაგები ხდებოდა ყოველივე, როგორც უწინ, ილიჩის ჯანმრთელობისას; კერძოდ ის, რომ **განაწესის შესწორებანი საქმიანია, სწორია, და, რომ ყოველნაირი ღონე უნდა ვიხმაროთ მათ განსახორციელებლად**"[1] (ხაზი ჩვენია — მ. შ.).

არჩევნების ამბავი მისთვის თითქოს წინასწარ გადაწყვეტილი საქმეა, ისე უყურადღებოდ ისმენს; თანაც არც ფარავს ამას, საკმაოდ აშკარად ათვალიერებს მაგიდაზე წიგნებს. მაგრამ როგორც კი მუშათა მასების სურვილებზე ჩამოვარდა სიტყვა, მათ ჭირ-ვარამზე, ლენინი უმალვე გამოფხიზლდა და სმენად იქცა.

[1] „ლენინი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობა", გვ. 156; „მოგონებანი ვლადიმერ ილიჩ ლენინზე", ტ. 1, გვ. 677.

ასეთია ლენინის სიკვდილისწინა გაკვეთილი, თითოეული კომუნისტისათვის საჭირო და სასარგებლო გაკვეთილი. დიახ, ყოველთვის ჩაგვესმოდეს მისი „ანდერძი", რომელსაც ჩვენ ხანდისხან გვკარნახობს მთავარს, იმას, თუ რა უნდა გააკეთოს კომუნისტმა, [illegible] ყურადღება ადამიანებთან მუშაობაში.

ბიბლიოთეკა

პედაგოგიკა — ესაა მეცნიერება ადამიანის ზრდის შესახებ და შეისწავლის ადამიანში იმ საწყისებს, რაიც აყალიბებს, განავითარებს და სრულყოფს მას, ადამიანს. ვერავითარი უწინდელი წარმოდგენები სიკეთისა თუ გულითადობაზე ვერ ფარავს და ვერც წარმოაჩენს მთელი სისრულით იმ ახალს, რითაც ლენინი ადამიანებთან იშვიათ მიდგომას ახერხებდა და რაიც აიძულებდა ადამიანებს ლენინთან ურთიერთობის დროს უკეთესი თვისებები გამოემჟღავნებინათ, უკეთესი გამხდარიყვნენ. ლენინის ეთიკას ფესვები გადგმული აქვს სამყაროს დიალექტიკურ-მატერიალისტური შეცნობისა და შეგრძნების სიღრმეში; ესაა მატერიალისტის ახალი ეთიკა, ვისთვისაც ყველა სხვა ადამიანის ყოფიერება ისევე რეალურად არსებობს, როგორც საკუთარი, და სწამს ამ სხვისი ყოფიერებისა და მას სჯერა, რომ ეს სხვისი ყოფიერება ამაღლდება, რომ მას, ამ ყოფიერებას, ცოცხალი, სიცოცხლისუნარიანი ფესვები აქვს. ეს უზომოდ მეტია, ვიდრე უწინდებურად გაცვეთილი ჩვეულებრივი სიკეთე, თავის მხრივ, ადამიანების საპასუხო სიყვარულიც ლენინისადმი განუზომლად მეტია, ვიდრე უბრალო საპასუხო სიყვარული — უბრალო და ჩვეულებრივი სიკეთის წილ.

□

# შერვუდ ანდერსონი

## მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა იუზა ყაჭიშვილმა

### მოთხრობა ადამიანზე

სასამართლომ იგი მკვლელად ცნო, მაგრამ მოულოდნელად, ვიდრე განაჩენს გამოუტანდნენ, დარბაზში გამოცხადდა ვიღაც ჩია ტანის ხელებმოცახცახე მელოტი კაცი და ნებაყოფლობით აღიარა დანაშაული. მე თვითონ ვესწრებოდი პროცესს და გამაკვირვა ბრალდებულის სიჯიუტემ, — ღრმად ჩაფიქრებული განუწყვეტლივ რომ უმზერდა რაღაცას გონების თვალით.

ეტყობოდა, იმ „რაღაცას“ საერთო არაფერი ჰქონდა ქალის მკვლელობასთან. თავი ისე ეჭირა, თითქოს სულერთი იყო გაამართლებდნენ თუ გაამტყუნებდნენ, შინ გაისტუმრებდნენ თუ პირდაპირ სახრჩობელაზე აიყვანდნენ. ბრალდებასაც ისე უგულოდ უარჰყოფდა, როგორც შეთავაზებულ სიგარეტზე ამბობენ ხოლმე უარს, — გმადლობთ, არ ვეწევი, სანაძლეო დავდე, თვეზე ადრე სიახლოვეს აღარ გავეკარებიო.

აი, რა უცნაურად იქცეოდა და ჩვენც აგვიბნია თავგზა; დამნაშავე რომ ყოფილიყო და თავის დაძვრენა ეცადა, უკეთესს ალბათ ვერც ვერაფერს მოიფიქრებდა. ჯერ მკვლელი გვეგონა, მაგრამ მერე თანდათან მისდამი სიმპათიით განვიმსჭვალენით, და როცა ჩია ტანის მელოტმა კაცმა დანაშაული აღიარა, დარბაზი ლამის ტაშით დაინგრა.

სიმართლე კი გაირკვა, მაგრამ მაინც უხმოდ იჯდა გაოგნებული, თითქოს სადღაც შორს, გადაკარგულში ეგულებოდა ერთადერთი კაცი, ვისთვისაც შეეძლო გული გადაეშალა — და ახლა ვითომც მისი უმთავრესი საზრუნავი ამ კაცის მოძებნა გახლდათ. ისეთი დაძაბული სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, იატაკზე დაყარდნილი ნემსის პოვნას ლამობსო; მოხუცსა ჰგავდა, სათვალე რომ დაჰკარგვია და ჯიბეებამობრუნებული თვალებს უმწეოდ აცეცებს.

„განა შეიძლება გულხელდაკრეფილმა უცქირო, როგორ გეღუპება ყველაზე მახლობელი ადამიანი და ამავე დროს სულის სიღრმეში აღსავსე იყო

მისდამი უზომო სინაზითა და სიყვარულით?..“ — აი, რა კითხვები გვაღელვებდა ჩვენ, დარბაზში მსხდომთ.

ახლა უკვე ყველაფერი გარკვეულია და მინდა, თქვენც ისევე უბრალოდ გიამბოთ, როგორც სინამდვილეში მოხდა — გამოგონილი გულქვაობის, მდიდარი მზეთუნახავისა და სხვა ათასგვარი გაზვიადებათა გარეშე.

უილსონი — კაცს სახელად ედგარ უილსონი ერქვა — დაახლოებით ამ სამიოდე წლის წინ მოევლინა ჩიკაგოს; ვინ იცის, იქნებ მანამდე ფარასაც მწყემსავდა შუა დასავლეთის მთიან შტატებში, რადგან ისეთივე ფიქრიანი მზერა ჰქონდა, როგორიც მარტოსულ ადამიანებს აქვთ ხოლმე.

„ეშმაკმა უწყის, ვინ არის, ან აქ რად მოეხეტა, — ამბობდა ხალხი. — სულერთია, სიმართლეს ვერ წამოაცდენინებ!..“

მისი ნაამბობიდან ბევრს ვერაფერს გაიგებდი კაცი. — ნათქვამი ხშირად ეწინააღმდეგებოდა და ხანდახან გამორიცხავდა კიდეც ერთმანეთს. მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ ჩიკაგოში კანზასის შტატის რომელიღაც პატარა ქალაქიდან ჩამოვიდა, თანაც მარტო კი არა — სხვის ცოლთან ერთად. ამ ქალზე ცოტა რომ უკვე ვსმენოდა: მაღალი იყო, ჯანმრთელი და ჯაგარიანი, მაგრამ უილსონთან შეხვედრამდე სიხარული არ ჰღირსებია. კანზასის პაწია ქალაქებში ხომ ცხოვრება უხალისოდ, მდორედ მიედინება — ეტყობა, პროვინციებს თავიდანვე ასე დაებედათ — და ცდება, ვისაც გულუბრყვილოდ სჯერა ამ შტატის ყოფა-ცხოვრებაზე შეთხზული მხიარული, კოვბოური წიგნებისა.

კიდევ აი, რა მინდოდა მეთქვა: დედა ბავშვობაშივე გარდაცვლია, ხოლო მოგვიანებით საბრალო მამამისს, სატრანსპორტო კანტორის აგენტს, — რაღაც ფულის დაკარგვის გამო რომ დაუპატიმრებიათ, — სასამართლოზე რამოდენიმე დღით ადრე ციხეში მოუკლავს თავი.

ორიოდე წლის შემდეგ საკმაოდ წესიერ, მაგრამ გონებაშეზღუდულ კაცს, პროფესიით ფარმაცევტს, უპატრონოდ და უსახსროდ დარჩენილი გოგო ცოლად შეურთავს. მალე ამ კაცს, მომჭირნეობისა და გულმოდგინების წყალობით, საკუთარი აფთიაქი გაუხსნია.

ქალი, როგორც ვთქვით, ლამაზი და ჯანმრთელი ყოფილა, მაგრამ გათხოვებისთანავე ჭკნობა დაუწყია. თუმცა იმდენი მომზიდველობა კი შერჩენია, ამ ვაი-ქალაქის მკვიდრი დონ-ჟუანები რომ აღელვებინა... ზოგმა ისე დაჰკარგა გონი, წერილებს უგზავნიდა და პაემანსაც უნიშნავდა. მოგეხსენებათ, როგორც ხდება ეს: „გთხოვთ მობრძანდეთ პარასკევს ამა და ამ საათზე, ამა და ამ ადგილას, — სწერდნენ ანონიმი თაყვანისმცემლები. — თუ თანახმა იქნებით შემხვდეთ, ხელში წიგნი გეჭიროთ“.

ერთი ამგვარი წერილი ქალმა ქმარს აჩვენა, მან კი — არც აცია, არც აცხელა — თოფს წამოავლო ხელი და შლეგიანივით სახლიდან გავარდა, მაგრამ დათქმულ ადგილას რომ არავინ დაუხვდა, შინ მობრუნებულმა ისევ მეუღლეზე იყარა ჯავრი:

— სხვანაირად შეხედავდი სადმე ქუჩაში, თვალებით გეთამაშებოდი, თორემ ქმრიან ქალს ამას ვინ გაგიბედავდა!..

ეტყობა, ეს ამბავი აღარ დაუვიწყა — სიცოცხლე გაუმწარა. მაგრამ ქალმა თანდათან შეაჩვია ყური და მოთმინებით იტანდა დაუმსახურებელ ლანძღვა-გინებას, ხოლო როცა ის დუმდა, მთელი სახლი ჩამკვდარი იყო, რადგან შვილები არ ჰყავდათ.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ედგარ უილსონი: აღმოსავლეთისაკენ გზად მიმავალი ორიოდე დღით შეჩერდა ქალაქში და რაკი ცოტაოდენი ფული ჰქონდა, პაწია ოთახი დაიქირავა სადგურის სასტუმროში.

ერთხელ შემთხვევით ქუჩაში შეხვდა მეაფთიაქის ცოლს, — აედევნა და სახლამდე მიაცილა. მეზობლები ხედავდნენ, როგორ საუბრობდნენ ისინი ჭიშკართან... კაცმა მეორე დღესაც მოაკითხა.

ბიბლიოთეკა

ამჯერად საუბარი დიდხანს გაგრძელდა, მერე ქალი სახლში შებრუნდა, მაგრამ მალე ისევ გამოჩნდა ბოხჩით ხელში, — კაცი ჭიშკართან უცდიდა... სადგურისაკენ გაემართნენ, ჩასხდნენ მატარებელში და ჩავიდნენ ჩიკაგოში, სადაც ტკბილად და ბედნიერად ცხოვრობდნენ, ვიდრე თავს ეს უბედურება დაატყდებოდათ. ხოლო თუ რა მოხდა, როგორ და რანაირად დაიღუპა ქალი, ამის მოყოლას სწორედ ახლა ვაპირებ. ოფიციალური ქორწინება, რაღა თქმა უნდა, არ მოხერხდა და კიდევ ერთი რამ: ამ სამი წლის მანძილზე კაცს ხელი არ გაუნძრევია ფულის საშოვნელად. შემორჩენილი ორიოდე გროშით კანზასიდან ჩიკაგომდე ჩამოაღწიეს, და რაკი არსებობის სხვა არავითარი სახსარი არ გააჩნდათ, უკიდურეს სიღატაკეში ჩაცვივდნენ.

როცა ამ ამბავმა ჩემს ყურამდე მოაღწია, ისინი ქალაქის ჩრდილოეთ კვარტალში ცხოვრობდნენ, სადაც სულ სამ და ოთხსართულიანი ქვის სახლები იდგა, და მდიდრების უბნადაც კი ითვლებოდა ადრე, მაგრამ მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამჟამად უბანი კვლავ აღორძინების გზაზეა, მაგრამ იმხანად, რა დროსაც ეს ჩვენი მოთხრობა ეხება, გაპარტახებულს ჰგავდა: ქვის სახლებს შორის, რომლებიც იაფფასიანი ავეჯით იყო გაწყობილი, ხოლო ფანჯრებზე ჭუჭყიანი ფარდები ეკიდა, აქა-იქ გამოერეოდა ნახევრად დანგრეული ხის შენობებიც. ერთ-ერთ ამგვარ ხუხულაში ცხოვრობდნენ უილსონი და მისი საყვარელი.

ბინა კი არა, ჯურღმული იყო, მაგრამ სახლის მეპატრონეს მშვენივრად მოეხსენებოდა: დიდ ქალაქებში ყველაფერს რომ აქვს გასავალი, ამიტომაც დაახლოებით ასე მსჯელობდა: „ვინაიდან მდგმურები ცოტას მიხდიან, სამაგიეროდ არც მე შევიწუხებ თავს ბინის შეკეთებით, აღებული ქირა გადასახადს გამისტუმრებს, ამასობაში კი მიწის რენტა აიწევს. მთავარია, ადგილი შევინარჩუნო, სადაც სახლი დგას“.

და იდგა სახლიც ასე გატიალებული — ფანჯრებდაბრეცილი, შეუღებავი და სახურავჩამომპალი, საიდანაც დროდადრო კრამიტები ცვიოდა. მეორე სართულზე მიდგმული კიბით უნდა ასულიყავით, რომელსაც წვრილი გაგლესილი სახელურები ჰქონდა: ხის ამგვარი გაშავება ჩიკაგოსა და პიტსბურგისთანა დიდრონ ქალაქებშია მხოლოდ შესაძლებელი, სადაც შენობებს მურა ქვანახშირით ათბობენ. საკმარისია მოაჯირს ხელი მოავლოთ და თითებიც მყისვე გაგეთხუპნებათ.

ბინა, სადაც უილსონი და მისი მეგობარი თავს აფარებდნენ, ორი პაწია და ერთი მოზრდილი ოთახისაგან შედგებოდა. სასტუმრო ოთახში ნახევრად დანგრეული ბუხარი იყო; აქვე იდგა სასადილო მაგიდა, ორი ტაბურეტი და ფეხმომტვრეული ხის უბრალო ტახტი, რომლისთვისაც დიასახლისს ყუთიდან ანაგლეჯი ფიცარი შეეშველებინა. ოთახები ცივი და მიუსაფარი იყო.

ქალმა თეატრში მეგარდერობედ დაიწყო მუშაობა და მისი მცირე ჯამაგირით გაჰქონდათ თავი. ამბობენ, ადგილი რომელიღაც მსახიობმა თუ სხვა

იქაურმა თანამშრომელმა უშოვნა, რომელსაც იგი მოსწონდა, თუმცა ეს ხომ მუდამ ასეა: საკმარისია ქალმა თეატრში შედგას ფეხი, სულერთია მსახიობი იქნება თუ დამლაგებელი, მაშინვე გაჭორავენ და ცილს დასწამებენ.

სამსახურში მას იცნობდნენ და აფასებდნენ როგორც შრომისმოყვარე, პატიოსან ქალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უილსონი კი ლექსებს წერდა... მსგავსი არასდროს არაფერი წამიკითხავს, თუმცა პოეზია ჩემთვის უცხო ხილი როდია: როგორც ყველა ჟურნალისტმა, ერთ დროს მეც მოვუხადე ხარკი ლიტერატურას — ვთხზავდი როგორც რითმიან, ასევე მოდურ თეთრ ლექსებს, მაგრამ აქვე დავსძენ, უფრო კლასიკური სტილი და ფორმები მიზიდავს.

ალბათ ეს იყო მიზეზი, უილსონის შემოქმედება ჩინურ ანბანად რომ მომეჩვენა, თუმცა მერე და მერე, გამოვიტყდებით, თანდათან შემეცვალა აზრი.

რვეულები რომ ვიგდე ხელთ და ჩემს ოთახში განმარტოებულმა კითხვა დავიწყე, ვიგრძენი, რაღაც უცნაური ბანგი მომერია, ლექსებში ნახსენები იყო მაღალი სქელი კედლები და ღრმა ჭები, ვეება კასრებსა და გეჯებში ჩარგული მცენარეები ზევით, მზისაკენ მიიწრაფოდნენ. ერთი სიტყვით, ეს გახლდათ მეტად ორიგინალური, მე ვიტყოდი, გახელებული, შეშლილი პოეზია, მაგრამ თავისებური მიმზიდველობაც არ აკლდა, რაკილა მოულოდნელად გადამყავდით უცხო სამყაროში, სადაც საგნები და მოვლენები სრულიად განსხვავებულ, ახალ მნიშვნელობას იძენდნენ და კაცმა რომ თქვას, სწორედ ესაა ჭეშმარიტი პოეზია.

არსებობს რეალური სამყარო, რომელსაც ყველა ჩვენთაგანი იცნობს, ანდა ჰგონია, რომ იცნობს — სამყარო ეკლიან მავთულით შემოღობილი პატარა-პატარა სახლებისა შუა დასავლეთის შტატებში, გარშემო თვალუწვდენი მინდვრები რომ აკრავთ, სადაც ფორდის მარკის ტრაქტორები გუგუნებენ მუდამ; სამყარო დიდრონ-დიდრონი ქალაქებისა, თავიანთი უნივერსიტეტებითა და რეკლამებით, რითაც ასე აღსავსეა ჩვენი ცხოვრება, ანდა გვგონია, რომ აღსავსეა.

მოკლედ რომ ვთქვათ, არსებობს სამყარო, რომელთანაც ჭიპით ვართ მიკრულნი, მაგრამ პარალელურად თურმე სხვა სამყაროც არსებობს — დავარქვათ მას უილსონის სამყარო — სადაც ახლობელი საგნებიც კი ბურუსით მოცულნი და შორეულნი სჩანან, ხოლო სული ადამიანისა თითქოს უკუღმაა ამობრუნებული; სადაც თვალი რაღაც ახალს არჩევს, თითები კი უცნაურსა და უჩვეულოს შეიცნობენ.

უილსონის სამყარო ღრმა ჭებით არის დაფატრული და მაღალი, სქელი კედლებით ჩახერგილი.

მე წილად მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავ პირველი რეპორტიორი, უილსონის ბინაში რომ შედგა ფეხი იმ სუსხიან ღამეს, როცა მას საყვარელი მოუკლეს; ამრიგად ხელში ჩამივარდა მთელი მისი შემოქმედება. ლექსები მაგიდაზე ელაგა, სუფთად და ლამაზად გადაწერილი. იქვე ტრიალებდნენ ქუჩის პოლიციელებიც, მაგრამ მაინც ვიხელთე დრო და რვეულები პალტოს კალთის ქვეშ დავმალე. მერე კი, ვიდრე საქმეს იძიებდნენ, ადგილობრივ გაზეთში გამოვაქვეყნე შედარებით იოლად გასაგები რამდენიმე ლექსი. უნდა ით-

ქვას, მშვენიერი საგაზეთო მასალა გამოდგა, სათაურიც მოხდენილი შევურჩიე: „პოეტი, რომელმაც სატრფო მოკლა“.

ის აღარ ჩანდა წითლად ღაღადა,
როგორც ღვინო და სისხლი... !

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიკაგოელი მკითხველები დაინტერესდნენ...

მაინც რას წარმოადგენენ თავისთავად ეს ლექსები?.. — მთელი კრებული განმსჭვალულია აზრით, რომ ადამიანებმა კედლები აღმართეს ერთმანეთს შუა და ახლა უზომოდ იტანჯებიან მათ მიღმა. სასოწარკვეთილნი უშვებენ მუშტებს, უბრახუნებენ და ურტყამენ ყოველივეს, რაც ხელთ მოხვდებათ — კედლის განგრევას ლამობენ და თავისუფლად განავარდებას, მაგრამ ამაოდ; მათივე უგუნურების გამო კედლები სულ უფრო მაღლა და მაღლა მიიწევენ. ძნელი მისახვედრია, ერთ საერთო კედელზეა აქ საუბარი თუ ცალკეულ ტიხარებზე, — ავტორი ხან ისე სწერს, ხან — ასე. ადამიანები თვითონვე გაემიჯნენ ერთმანეთს — შემოღობეს საკუთარი თავი და ახლა გრძნობენ, რომ მიღმა დარჩა სითბო, სინათლე და სიყვარული!.. თქვენი არ ვიცი, მე კი ამ სურათის წარმოდგენაზე ტანში ჟრუანტელი მივლის.

ლექსებში ნახსენებია აგრეთვე ღრმა ჭები — განუწყვეტლივ, დღედაღამ რომ თხრიან და თხრიან ადამის ძენი... არვინ აძალებთ, და არც არაფრად სჭირდებათ, მაგრამ მაინც იჩიჩქნებიან, უფრო და უფრო ღრმად მიძვრებიან და ქვესკნელში იმალებიან, საიდანაც ყრუდ ისმის მათი გმინვა, ხოლო სითბო, სინათლე და სილამაზე კი მაღლა რჩება... და ეს ყველაფერი ხდება ადამიანთა ბრმა სიჯიუტის გამო, რადგან არ სურთ ერთმანეთის გაგება.

სანიმუშოდ ერთ ლექსს მოვიყვან, თუმცაღა შიგ ნახსენები არ არის მაღალი კედლები, გეჯები და ღრმა ჭები. სწორედ ეს ლექსი დავბეჭდეთ გაზეთში და ბევრს მოეწონა კიდეც, მათ შორის, უნდა ვაღიარო, მეც. ახლა აქ იმიტომ მომყავს, ჩემი ნაამბობი რომ უფრო დამაჯერებელი გახდეს და თქვენ ნათლად დაინახოთ, მართლაც რა უცნაური კაცი ყოფილა ედგარ უილსონი. ლექსის სათაურია — „ნომერი ოთხმოცდაჩვიდმეტი“. აი, ისიც:

„თითები ჩემი სრესენ პაპიროსს, რაც ნიშანია დიდი სიმშვიდის, მაგრამ ყოველთვის როდია ასე, — ხანდახან ვღელავ და ვძაბუნდები, სიმშვიდისას კი თავი უძლეველი მგონია.

მე ეს-ესაა ჩემი ქალაქის ერთ-ერთი ქუჩა ავიარე; სახლში შევედი, ტახტზე მივწექი და ღია ფანჯარაში ვიყურები... ვგრძნობ, შემიძლია ისე მოვფშვნა შენობათა სქელი კედლები, როგორც წეღან პაპიროსს ვსრესდი. მაღმიძს, თითებში მოვიქციო მთელი სახლი მე, ჩიბუხივით გავაბოლო და ქარს გავატანო ჩემი დარდი, ჩემი ნაღველი, სულის შებერვით გამოვყარო ბრბო სახლებიდან და შევისროლო ისინი ზეცას — მათთვის უცნობსა და უცნაურში. მე შემიძლია, თითებსშუა პაპიროსივით ჩამოვფერფლო სასახლეები და გადავყარო ღია ფანჯრიდან ქალაქთა აბოლებული ნამწვავები...

მუდამ როდია სული ჩემი ეგრერიგად აღტყინებული, მაგრამ როდესაც მეწვევიან სანატრელი ტკბილი წუთები, ვხდები უბრალო, ღირსი ქების, ღირსი ალერსის, და საკუთარ თავს გულახდილად ვესაუბრები.

---

1 ოსკარ უაილდი, „ბალადა რედინგის საპყრობილეზე“.

და ვწევარ ტახტზე, და გულით მინდა, მოვიხმო ვინმე გამვლელთაგან, ქალი ან კაცი, — მოვისვა გვერდით ან მოვიწვინო და მოვეფერო. მე ძალა შემწევს პროსპექტებიდან სახლებს გრძელი რიგი აგიღო, გადმოვაბრუნო და გადმოვყარო შიგ შეყუჟული მობინადრენი, მერე ერთმანეთს შევუერთო, გავაეროკაცო და შევაყვარო.

შეხედე ამ ხელს!.. რას იტყოდი, უცებ დანა რომ და[illegible]ეს იტყოდი, ან რას იზამდი, რომ ამეჩეხა და ამეკუწა შენს არსებაში შეფარული მთელი სიყალბე, ანდა კედლები გამეფატრა და გამომეჩინა შიგ მიყულუმარე ადამიანი?

დანა მჭეროდა, მაშინ ნახავდი როგორ ჩამოვფხრეწდი ხაზიზღარ კანსა და ჩავამსხვრევდი სამაგელ ნაჭუჭს, მილიონობით სიცოცხლეს რომ შემოპგარსვია!"

როგორც ხედავთ, აქ ლაპარაკია რაღაც საშინელ ძალაზე, რომელიც თითქოს სინაზესთანაც არის შერწყმული. აი, კიდევ ერთი ლექსი — შედარებით მშვიდ კილოზე დაწერილი, — მისი სათაური ანუ ნომერია — „ოთხმოცდასამი":

„მე მცენარე ვარ, კედელთან რომ იზრდება და მზისკენ მიილტვის. ბევრი კარი იარებით მაქვს დაღარული და მაინც მაღლა-მაღლა ვისწრაფი, რათა როგორმე კედელს ავცილდე, — ნაყოფი ჩემი, მერე ფოთლებიც, დაე ამ კედლის მიღმა ჩაცვივდნენ!

მსურს, ჩემს გემრიელ წვენს დავაწაფო მშიერ-მწყურვალნი დამსკდარ-დამაშრული ტუჩებით.

მსურს, კოკონების და პაწუწუკების ლიმაზ ხუჭუჭ თმას დაეფინოს ჩემი ფოთლები.

დაე, ფოთლები ძარს დაცვენისას სახეზე ნაზად მიელამუნოს მაღალი კედლის მიღმა მცხოვრებთ — დე, გაიხარონ!

დაე, რტოებმა მე მზისაკენ ზეადმაფრინონ, ხოლო ფესვებმა მაცოცხლებელ წვენით მარწყულონ, ჩემს ძარღვებში რომ მოუთხარევენ წიაღიდან ნოყიერ მიწის, — იმ დედა-მიწის, ძლიერად რომ ფეთქავს დაღადრული უღრმესი ჭებით და ჩახერგილი მძიმე კედლებით.

ნაყოფი ჩემი ექცევა ხაზრდოდ იქ, კედლის მიღმა, რის რტოებიდან ჩაცვივდება სხვათა კალთაში!".

საინტერესოა, როგორ ცხოვრობდნენ უილსონი და მისი მეგობარი ამ ძველ გამოცარიელებულ სახლში. ამას წინათ ერთ საიდუმლოს მივაკვლიე და ბევრი რამ საგულისხმო შევიტყვე.

შარშან მაისში, აქ რომ გადმოსახლდნენ, თეატრი კარგა ხნით დაიხურა, ქალი უმუშევარი დარჩა და ცხოვრება კიდევ უფრო გაუჭირდათ. მაშინ გადაწყვიტეს პატარა ოთახებში მდგმურები დაეყენებინათ და აღებული ფული ბინის ქირისთვის წაეხილებინათ.

მდგმურები ამ ბნელ საკნებში ხშირად იცვლებოდნენ. მიკვირს, ანკი როგორ ჩერდებოდნენ — არც სკამი იდგა შიგ, არც ტახტი, არც მაგიდა, თუმცა ჩიკაგოში უარესი თავშესაფრები მოიძებნება, სადაც ხუთ-ათ ცენტად შეიძლება ღამე გაათიო კაცმა პირდაპირ იატაკზე, და რაგინდ უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, ამგვარ სოროებს საკმაოდ ბევრი ხალხი აწყდება.

ერთი კუზიანი ქალი გავიცანი, შორიდან პატარა გოგონას ჰგავდა — თეთ-

რეულს აუთოვებდა თურმე რომელიღაც სამრეცხაოში. რამდენიმე კვირა გაეტარებინა უილსონებთან. ვიღაც ღვთისნიერს სამადლოდ გასაშლელი ტახტი ეთხოვებინა.

მეტად საბრალო არსება გახლდათ — წყენაჩამდგარი, ტანჯული თვალები ჰქონდა როგორც ყველა ხეიბარს, და ვგონებ, თვითონაც არ უნდოდა ყოფილიყო გულგრილი უილსონის წინაშე. ბევრი საინტერესო რამ მიამბო.

მას შემდეგ, რაც უილსონს ეს უბედურება დაატყდა თავს, — მეტადრე კი, როცა ნამდვილი მკვლელი გამოჩნდა და თვითონ გამართლდა, — მე ხშირად დავდიოდი ამ სახლში; ჩვენ, საღამოს გაზეთის თანამშრომლები ხომ შუადღის შერე მეტწილად თავისუფლები ვართ.

კუზიანსაც იქ შევხვდი, შემთხვევით გამოველაპარაკე და ერთბაშად ოქროს მადანი კი აღმოვაჩინე.

მის თვალებს — წეღანაც ვთქვი — რაღაცნაირი განსაკუთრებული გამომეტყველება ჰქონდათ. ეს გახლდათ დაჩაგრულის მომჩივანი მზერა. პირველი მე გამოველაპარაკე და მაშინვე უილსონზე ჩამოვუგდე სიტყვა. მათი ყოფილი მდგმური ვარო, მითხრა.

საბრალოს თურმე შაკიკი სტანჯავდა და ხშირად აცდენდა სამუშაოს. ლონემიხდილი იწვა ლოგინში და ვერ ამჩნევდა რა ხდებოდა ირგვლივ. იმას კი გრძნობდა, დიდი დღე რომ არ ჰქონდა, მაგრამ ეს ამბავი უკვე აღარც აღონებდა.

ყოველი შეტევის შემდეგ ქალი საათობით იწვა ტახტზე გაუნძრევლად, მერე თანდათან მეზობლების ცხოვრებითაც დაინტერესდა, — ერთხელ კარებთან მიიპარა, ჭუჭყიან იატაკზე დაიჩოქა და გასაღების ჭუჭრუტანაში გაიჭყიტა.

მისი ყურადღება მყისვე მიიპყრო ხილულმა: როცა მარტო დარჩებოდა, კაცი ლექსებს თხზავდა, რომელიც მერე ჩემს ხელთ აღმოჩნდა და ნაწილობრივ თქვენც გაგაცანით, — ანდა ჩაფიქრებული დააბიჯებდა ხოლმე ოთახში.

მეტწილად მეგობარიც გვერდით ჰყავდა, და ეს როდი უშლიდა ხელს მუშაობაში, — გულხელდაკრეფილი ქალი ქანდაკებასავით უძრავად იჯდა ფანჯრის სიახლოვეს. დროდადრო უილსონი წამოდგებოდა და ბოლთას სცემდა, თან საყვარელს ელაპარაკებოდა, ის კი, კუზიანის სიტყვებით, გაფაციცებული უსმენდა და მხოლოდ თვალებით პასუხობდა.

მართალი გითხრათ, უკვე მიჭირს გარჩევა, რომელია აქედან კუზიანის ნაამბობი და რომელი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი.

ერთი რამ კი ცხადია: მათი ურთიერთობა რაღაც განსაკუთრებული და მეტად უცნაური იყო, რაზედაც მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო. ისინი არ ტოვებდნენ ჩვეულებრივი უიღბლო ცოლ-ქმრის შთაბეჭდილებას, ვისაც უბრალოდ ცხოვრებამ არ გაუმართლა. კაცი მუდამ საქმით იყო გართული, ცხადია, ლექსებს ვგულისხმობ, ხოლო ქალი თანაუგრძნობდა და ცდილობდა როგორმე დახმარებოდა.

თქვენ ალბათ შეატყვეთ, რომ უილსონის შემოქმედების მთავარი თემა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაა, — არა კონკრეტული, ვთქვათ, პირადად მასსა და მის მეგობარს შორის არსებული, არამედ ზოგადადამიანური ურთიერთობანი.

კაცს ცხოვრებაზე საკუთარი, მტკიცედ ჩამოყალიბებული, ნახევრად მისტიური შეხედულებები ჰქონდა. ვიდრე ამ ქალს შეხვდებოდა, უმიზნოდ დაეხეტებოდა ქვეყნად, მეგობარს დანატრული; ბოლოს იპოვა იგი კანზასის შტატის პატარა ქალაქში და ყოველივე, როგორც მას მიაჩნდა, თავის კაბინეტში ჩადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უილსონი დარწმუნებული იყო, რომ მარტოობაში ადამიანის [illegible]შულია, ხოლო გრძნობები გაუხეშებული და ყოველგვარი ცდა, შექმნა ღირებული რამ, მარცხით მთავრდება. როცა ადამიანი გარესამყაროსაგან გარიყულია, ხმა მისი ყალბად ჟღერს და პიროვნული მთლიანობაც ირღვევა. საჭიროა ვინმე ღირსეულმა წამოიწყოს მღერა, რომელსაც სხვებიც შეუწყობენ ხმას, და აჟღერდება სიცოცხლის ჰიმნი... არ გეგონოთ, საკუთარ აზრებს გახვევდეთ თავს, — მინდა ზუსტად გადმოგცეთ შთაბეჭდილება, ჩემზე რომ მოახდინა ამ კაცის შემოქმედებამ და გაგრძნობინოთ ძალა, რომლითაც იგი საოცარ ზეგავლენას ახდენდა ადამიანებზე.

მას ღრმად სწამდა, რომ მარტოობაში ადამიანს დაქვეითებული აქვს აზროვნებისა და მგრძნობელობის უნარი. უილსონი ამტკიცებდა, რომ ვინც მარტოოდენ ინტელექტით ცხოვრობს, ვერასდროს შეიცნობს ჭეშმარიტებას. ნამდვილი გაგება ცხოვრებისა, არსი და აზრი სიცოცხლისა ანუ ყოფიერებისა, ერთბაშად პირამიდასავით აღიმართება ჰორიზონტზე, როცა სხეული უწინარეს ყოვლისა, ხოლო მერე სული კაცისა შეერწყმება და შეეწყვილდება სხეულსა და სულს საყვარელი ქალისას; შემდეგომ ამისა, სული და ხორცი სხვა დანარჩენ ადამიანთა, რაღაც იდუმალი ძალით, მიიზიდებიან და მიელტვიან ერთმანეთს და ბოლოს ნიაღვარივით მთავრდება საყოველთაო სიყვარულის წყალუხვი მდინარე.

რაღა თქმა უნდა, ძნელია ერთბაშად ყოველივე ამაში გარკვევა, მაგრამ, გატყობ, გამჭრიახი კაცი ბრძანდებით და ის, რაც ასე ბუნდოვანია ჩემთვის, თქვენ იქნებ სულ იოლად გაიგოთ.

ასეა თუ ისე, მე მაინც ვალდებული ვარ გიამბოთ ყველაფერი, რაც დავინახე, აღგზნებისა და აღტყინების ამ თავბრუდამხვევ მორევში რომ ჩავიხედე, თუმცა ვიმეორებ: მთლად კარგად ჯერ თვითონაც ვერ გავრკვეულვარ.

მაშ საიდან მოვიტანე ის, რაც უილსონზე გიამბეთ, — ნამდვილად კუზიანისაგან შევიტყვე თუ ჩემმა ფანტაზიამ შეავსო და შეალამაზა მერე ყოველივე?.. ამის გარკვევა ახლა ძნელია და არც არის აუცილებელი, — უფრო საინტერესოა, რას ფიქრობდა თავად უილსონი.

კაცს სურდა ლექსებად ჩამოექნა საკუთარი სული, მაგრამ უწინარეს ყოვლისა ჯერ უნდა ეპოვა ქალი, რომელიც სულითა და ხორცით მისი იქნებოდა, — საკუთარი ნებით, ყოველგვარი ანგარიშის გარეშე მიუძღვნიდა და შესწირავდა თავს. მხოლოდ მაშინ შესძლებდა უილსონი წარმოეჩინა, თუკი რამ ჭეშმარიტად ლამაზი და მშვენიერი გააჩნდა.

აი, ხედავთ, რა ძლიერ ყოფილა საკუთარ სამყაროში დანთქმული?!. და როცა კანზასის შტატის პატარა ქალაქში მეფუთნაქის ცოლი შემოხვდა, იგი დარწმუნდა, — სწორედ ასეთი ქალი ეძებდა.

თავის მხრივ უილსონიც არ დარჩენილა ვალში, — ჩემთვის ძნელია თქმა, სახელდობრ რა მისცა სამაგიეროდ, მაგრამ ერთი რამ კი უდავოა: სწორედ მან აგრძნობინა ქალს ჯერ არნახული, საოცარი და უჩვეულო ბედნიერება.

როდესაც ვცდილობ დაგანახოთ, რა გავლენას ახდენდა უილსონი ადამიანებზე, ასე მგონია, ჯამბაზივით გავდივარ მაღალ შენობებს შორის გაჭიმულ თოკზე; საკმარისია ქვემოდან ერთი შემოძახება, ანდა სიცილის აფეთქება ხალხით გაჭედილ ქუჩაში, რომ წონასწორობადაკარგული ასფალტს დავენარცხო. მაშინ სასაცილოდ აღარ მექნება საქმე.

მას უნდოდა ლექსად ჩამოეწერა სატრფოცა და საკუ[illegible]ექცია პოეზია სულისა და ხორცის ნაზავად. გაიხსენეთ, როგორ ამბობს, მსურს ერთ არსებად შევადუღაბო ქალაქის ყველა მცხოვრები და შევიყვარო.

ყოველივე ეს უნებურად გვაფიქრებინებს, რომ უილსონი ძალაუფლების მოყვარული და რაღაცნაირი დაუშრეტელი ვნებით შეპყრობილი პიროვნებაა. ამ მოთხრობის წამკითხავი ხვდება ალბათ, მეც როგორ დამიმორჩილა და მაიძულებს მას ვემსახურო.

ჰოდა, რაღა გასაკვირია, ქალის გული რომ დაიპყრო და დაიმონა. ეწადა განუყოფლად დაესაკუთრებინა იგი, — ეს ხომ ყველა მამაკაცის სურვილია, მაგრამ ვეჭვობ, ვინმე ამქვეყნად მიზანს რომ მიაღწევს, დარჩეს კვლავაც მისებრ აღგზნებული და დაუმცხრალი.

ეტყობა, ქალიც სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, ხოლო უილსონი მას ანიჭებდა უზომო ბედნიერებას — მაშინაც, როცა ერთად იყვნენ და მაშინაც, როცა არ იყვნენ.

ცოტა ძნელი გასაგები კია, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემი მოგონილი აქ არაფერია, და ბრმად არც კუზიანის ნაამბობს ვენდობი, რომელიც თუ გახსოვთ, ოთახში დავტოვეთ ჭუჭყიან იატაკზე დაჩოქილი და კარის ჭუჭრუტანაში მზირალი.

თითქოს მთელმა ცხოვრებამ ჩაიარა მის თვალწინ. ცნობისმოყვარედ უჭვრეტდა იმას, რაც ოთახში ხდებოდა და მალე თვითონაც განიცადა ამ კაცის უცნაური ძალის გავლენა, — შეუყვარდა იგი, მე ამაში ეჭვიც არ მეპარება, თორემ აბა სხვა რა აიძულებდა საათობით დაჩოქილი მდგარიყო ჭუჭყიან იატაკზე, ბნელ და ნესტიან საკანში?!

როგორც მისი ნაამბობიდან ირკვევა, კაცი ან მაგიდასთან მუშაობდა ანდა ბოლთას სცემდა ოთახში, ქალი კი გაუნძრევლად იჯდა ფანჯარასთან, ტაბურეტზე.

უილსონი გამუდმებით აგრძნობინებდა სიყვარულს, მაგრამ ეს სიყვარული ამ წუთას გახლდათ ზოგადი, ანუ გაუპიროვნებული, და თანაბრად ვრცელდებოდა ყველა ადამიანზე, რადგან კაცი შემოქმედის ცეცხლით იწვოდა და სული მისი უზომოდ ბევრს იტევდა, ხოლო ქალი მაინც ერთი, კონკრეტული სხეულებრივი არსება გახლდათ...

ჩვენთვის ეს, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ კუზიანი უბრალო ადამიანი იყო და ვერაფრით ვერ წარმოედგინა, თუ ოდესმე ამგვარი ღრმა აზრების შეცნობას შესძლებდა.

ბოლოს მტვერსა და ნაგავში დაჩოქილმა იგრძნო, რომ ეს კაცი, ვისთანაც არასდროს არავითარი საერთო არ ჰქონია, მასაც უწილადებდა სითბოსა და სიყვარულს.

როგორც კი ამ ჭეშმარიტებას ჩახვდა, გაბზარული სული გაუმრთელდა, აივსო სიხარულით და საოცარი სიმშვიდე დაეუფლა. თავად კი არ შეცვლი-

ლა, მაგრამ ირგვლივ გადასხვაფერდა და გაკარგდა ყოველივე, ცხოვრებამ ახალი აზრი შეიძინა.

ხანდახან მეტად საინტერესო და უცნაური ამბების მოწმეც ხდებოდა:

ივნისის ერთ მოქუფრულ საღამოს იგი ჩვეულებისამებრ იჭყიტებოდა კარის ჭუჭრუტანაში. ქალს სარეცხი მოემთავრებინა და რაკი გარეთ წვიმდა, თეთრეულს ოთახში გაჭიმულ თოკებზე ჰფენდა გასაშრობად.

საქმეს მორჩა თუ არა, უილსონიც დაბრუნდა, — მიუხედავად უამინდობისა ქუჩაში გასულიყო სასეირნოდ, — მაგიდას მიუჯდა და წერა განაგრძო.

მალე ისევ წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა; გზადაგზა სველ თეთრეულს რომ აწყდებოდა, ხსნიდა და ხელში აგროვებდა, თან მეგობარს ელაპარაკებოდა აღგზნებული. ამასობაში სულ ჩამოხსნა თოკიდან სარეცხი, კარი გამოაღო, კიბეს გადაეყრდნო და ეზოში გადაყარა. ქალი, რა თქმა უნდა, ამას ხედავდა, მაგრამ ხმა არ გაუღია, მერე კი, როცა უილსონი საწერს მიუბრუნდა, ეზოში ჩავიდა, თეთრეული აკრიფა და ხელახლა გარეცხა. ამასობაში კაცი ჰაერზე გასულიყო სასეირნოდ. უკან დაბრუნებულმა დაინახა, ქალი ისევ თეთრეულს რომ ჰფენდა, და მიხვდა, რაც ჩაედინა.

კიბეზე ნაცნობი ნაბიჯის ხმა რომ გაიგონა, კუზიანი მუხლებზე დაეცა და კარს აეკრა. „ოთახში შემოსვლისთანავე კაცი ბავშვივით შეკრთა და დაიბნა, — წიყვებოდა იგი. — ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ცრემლები მოადგა თვალებზე“.

ქალი თეთრეულის გაფენას განაგრძობდა. მერე უცებ მოტრიალდა და მეგობარს ცრემლები რომ დაუნახა, მკლავზე დაწყობილი სარეცხი იქვე დაჰყარა, უილსონს მივარდა, დაუჩოქა, ფეხებზე მოჰხვია ხელები, თვალები ზეაღაპყრო და — თუ ჩვენს კუზიანს რამე დაეჯერება — შევედრა:

შენ ამის გამო ნუ სწუხხარ, ძვირფასო! მე ყველაფერი მესმის... არ იტირო, არ იტირო გეხვეწები!..

ახლა გაამბობთ, როგორ დაიღუპა ქალი. შემოდგომაზე მოხდა ეს ამბავი.

კაცი, რომელმაც ის მოკლა, სცენის მექანიკოსად მუშაობდა იმავე თეატრში.

მსგავსად კანზასელი მამაკაცებისა, მასაც შეჰყვარებოდა ქალი და სულელურ წერილებს უგზავნიდა. რაღაც უაზრო ახირებისა თუ სიმდაბლის გამო ზოგი მათგანი უილსონის სახელით იყო შეთითხნილი. ქალი ყურადღებას არ აქცევდა და არც მეგობრისთვის უთქვამს რამე. ორიოდე ბარათი მერე გამოძიებამაც იპოვა და სამხილად გამოიყენა უილსონის წინააღმდეგ.

იმ დღეს თეატრში გენერალური რეპეტიცია უნდა ჩატარებულიყო და უილსონიც თან გაჰყვა ქალს. ნესტიანი ცივი საღამო იყო, როგორიც იცის ხოლმე შემოდგომაზე ჩიკაგოში; ნისლში დანთქმულიყო მთელი ქალაქი.

მთავარი როლის შემსრულებლის ავადმყოფობისა თუ რაღაც სხვა მიზეზის გამო რეპეტიცია აღარ შედგა. მთელი ორი საათი ტყუილუბრალოდ ისხდნენ გაყინულ დარბაზში და ელოდებოდნენ.

უკან დაბრუნებისას გზად იაფფასიან რესტორანში ივახშმეს. უილსონის ფიქრი სულ სხვაგან დაჰქროდა ამ დროს, — კაცი იმ განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, „სიმშვიდეს“ რომ უწოდებდა თავად. სხვა სამყაროში გადასახლებული, ვერ ამჩნევდა ქუჩაში მოსეირნე ხალხს და ვერც გვერდით მიმავალ ქალს. მისი გონება მთლიანად ახალ იდეას დაეპყრო, რომელიც

მალე ლექსად უნდა ჩამოქნილიყო. ნელა მიაბიჯებდა ჩაფიქრებული, ხოლო ქალი კი დუმდა, როგორც ყოველთვის ასეთ დროს, და ხარობდა მეგობრის სიახლოვით; თითქოს თვითონაც მონაწილეობდა შემოქმედებით პროცესში და ძარღვებშიაც თითქოს უილსონის სისხლი უჩქეფდა. დუმდა შეგრძნებისაგან, რადგან რაც არ უნდა შორს ეფრინა კაცის სულს, მაღალი კედლებიდან და ღრმა ჭებიდან გამოსავლის ძიებაში, სხეული ხომ მაინც აქვე იყო. რესტორნიდან გამოსულებმა მდუმარედ გადაიარეს ხიდი და ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში გავიდნენ.

შინ მისვლას ბევრი არაფერი უკლდათ, როცა ჩერჩეტმა მექანიკოსმა, წერილებით რომ გაუწყალა ქალს გული, მოჩვენებასავით ამოყვინთა უცებ სქელი ნისლიდან, ესროლა და კვლავ გაუჩინარდა.

ეს იყო და ეს...

სწორედ ასე მოხდა, როგორც ვამბობ, მაგრამ უილსონს არაფერი უგრძვნია — არ შეჩერებულა, და ქალიც მასთან ერთად განაგრძობდა გზას...

გაიარეს ორი კვარტალი და სახლს რომ მიატანეს, პოლიციელი წამოეწიათ. ქალმა იცრუა — მთვრალებმა წაიჩხუბეს და ისროლესო, და იმის საწინააღმდეგო მხარეს გაიშვირა ხელი, მექანიკოსი რომ მიიმალა.

ნისლსა და სიბნელეში გახვეულიყო იქგვლივ ყოველივე. ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ მეგობრის მხარს დაყრდნობილი მაინც ადიოდა კიბეზე. მე ახლაც არ მესმის, როგორ შეიძლებოდა ამგვარი რამ მომხდარიყო. ეტყობა, უილსონს გასროლის ხმა არ გაუგონია და არც არაფერი შეუმჩნევია, ქალი კი თურმე სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. მოგვიანებით, სამედიცინო გაკვეთისას დადგინდა, — ტყვიას ის კუნთი გაუგლეჯია, გულის მუშაობას რომ აწესრიგებს.

კაცის მკლავს ჩაფრენილი კვლავ განაგრძობდა კიბეზე ასვლას. მერე უფრო შემაძრწუნებელი რამ მოხდა, თუმცა უმჯობესია ეს ყველაფერი თეატრში გათამაშებულ სცენად წარმოვიდგინოთ.

ოთახში რომ შევიდნენ, ქალი ოდნავულა სუნთქავდა, მაგრამ თითქოს არ სურდა საფლავში ჩაეტანა დაუხარჯავი სითბო და ალერსი... სიკვდილის პირას მისულს, ჯერ ისევ ბევრი რამ აკავშირებდა სიცოცხლესთან, მაშინ როცა საღსალამათი უილსონი მიცვალებულს ჰგავდა.

ოთახში ბნელოდა, მაგრამ ქალმა გუმანით გაიგნო გზა ბუხრამდე და ასანთიც კი იპოვა თაროზე. კაცი კართან შედგა ფიქრებში დანთქმული. ბუხარში სიგარეტის ნამწვავები (მუშაობისას უილსონი ბევრს ეწეოდა), ბატიფეხური ასოებით გადაჭრელებული დაჭმუჭნილი ქაღალდები და სხვა ნაგავი ეყარა; ქალმა ასანთს გაჰკრა და ცეცხლი წაუკიდა.

ჩემი ხსოვნიდან ეს სურათი არასოდეს ამოიშლება: წარმოიდგინეთ ცარიელი ოთახი, კართან ქანდაკებასავით მდგარი კაცი და ბუხართან მოვიზგიზე ცეცხლის წინ დაჩოქილი ქალი, თვითონაც უკანასკნელად ანთებული მთელი თავისი სილამაზითა და სიმშვენიერით. ცეცხლის ენები მაღლა იწევდნენ და კედლებზე ათინათი თრთოდა, ხოლო იატაკზე ისევე ბნელოდა, როგორც ორმოში ან ჭის ფსკერზე და იქვე იყო უილსონი, ოღონდაც საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა.

ვიდრე ჩაინავლებოდა, კოცონი ერთხელ კიდევ აბრიალდა, მაგრამ ამასობაში ქალი მოტრიალდა და მის სახეს ველარ მისწვდა ნათელი.

ლანდივით გაიარა ოთახი და კაცს მიეახლა... იქნებ სურდა რამე ეთქვა? ამას აწ ვეღარავინ გაიგებს, — თქმა კი ვერაფრისა მოასწრო, დაეცა ფილსონის ფერხთით და მაშინვე ბუხარშიაც ჩაქრა ცეცხლი... თუკი ჯერ ისევ ედგა სული — ჩანს, უხმოდ ებრძოდა სიკვდილს სიბნელეში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაშინ ფილსონმა, რომელიც, ეტყობა, აშკარად წართმე[illegible] ჩაიდინა ყოვლად წარმოუდგენელი, დაუჯერებელი რამ...

ცეცხლი რომ ჩაქრა, მასთან ერთად ჩაქრა სიცოცხლეც ქალისა, რომელიც მას უყვარდა.

თვითონ კი ამ დროს გახევებული გაჰყურებდა სიბნელეს და ეშმაკმა უწყის, რაზე ფიქრობდა, — იქნებ თვით სიბნელესა და სიცარიელეზე?

დაახლოებით ათიოდე წუთი იდგა ასე...

ადრე, სანამ ამ ქალს შეხვდებოდა, ეჭვისა და უიმედობის მორევში იყო ჩაძირული; ვერ თქვა სათქმელი და ვერც ვერსად მოიკიდა ფეხი, უმიზნოდ დაეხეტებოდა მიუსაფარი, თვალებში ჩასცქეროდა ადამიანებს, მათ გულამდე მისასვლელი გზა-ბილიკების პოვნას ლამობდა, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ამ ქალმა ამოიყვანა ჭაობიდან და შეაცურა მზის სხივებით გაცისკროვნებულ ქამქამა ზღვის ტალღებში.

მისი მხურვალე სული და სხეული იქცა ხომალდად, რომელიც უშიშრად მიაქანებდა ცხოვრების ბობოქარ ზღვაში, მაგრამ მოულოდნელად ხომალდი დაიმსხვრა და ფილსონი კვლავ მორევში იძირებოდა.

აი, რა უბედურება დასტეხოდა თავს, ჯერ კი არაფერი იცოდა, უფრო სწორად, იცოდა კიდეც და არც იცოდა: ის ხომ პოეტი იყო და ამ წუთას მის სულში იბადებოდა ახალი ლექსი.

ბოლოს მიხვდა, რაღაც უნდა მოემოქმედნა, რათა თავი დაეღწია კარს მომდგარი უბედურებისაგან.

პირველი, რაც მოაფიქრდა — გახლდათ, გასცლოდა აქაურობას, მაგრამ ქალის გვამი უღობავდა გზას.

მერე, სასამართლოზე რომ ჰყვებოდა ამ ამბავს, ყველა აღგვაშფოთა მისმა უსულგულობამ და სისასტიკემ: ჯერ სცადა ფეხის წაკვრით გვერდზე მიეგდო ცხედარი, მაგრამ რაკი ვერ მოერია, პირდაპირ ზედ გადაალაჯა, თითქოს ხე იყო ტყეში წაქცეული!

ძიებამ ქალის გვამზე ლაქა აღმოაჩინა — ფეხსაცმლის კვალი, — გადავლისას ფილსონს დაებიჯებინა ხელზე...

წაიფორხილა, მაგრამ არ წაქცეულა, ოთახიდან გავარდა და კიბეს ჩაუყვა.

ამასობაში ხისლი გაიფანტა და კუნაპეტი ღამე ოდნავ შეთეთრდა, ყინვამ კი უარესად მოუჭირა. ფილსონმა ისე მშვიდად გაიარა მთელი კვარტალი, თითქოს დღეობაზე მიდიოდა.

დუქანში შეუხვია პაპიროსის საყიდლად, — მე ამ დუქნის სახელიც კი დამამახსოვრდა, — იქვე მოუკიდა და ერთხანს შეყოვნდა, თითქოს გადასაყლურწავად შემოსული ლოთების ყაყანს უსმენსო.

მერე გარეთ გამოვიდა და ქუჩას დაუყვა, თან პაპიროსს ეწეოდა და კვლავ თავის ლექსებზე ფიქრობდა: ასე მიაღწია კინოთეატრამდე. შესაძლოა ამ შენობის დანახვამ გამოაფხიზლა, — ახლა თავადაც თეატრსა თუ ბუხარს ჩამოჰგავდა, დაწუნებული, ძველმანი აზრებითა და დაუწერელი ლექსის

სტრიქონებით განათებული... ადრე ხშირად აკითხავდა მეგობარს, რათა სადა-
ძოს, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, შინ ერთად დაბრუნებულიყვნენ...
მაყურებლები კმაყოფილნი ტოვებდნენ დარბაზს, სადაც ამჯერად ეკრანები-
ნათ კინოფილმი — „სამყაროს ნათელი".

უილსონი შეერია მათ, თან განუწყვეტლივ ქაჩავდა პაპიროსს. [illegible] რა-
ტომღაც ქუდი მოიხადა, შეწუხებული მზერა ირგვლივ მიმოატარა და ყვი-
რილი მორთო.

იდგა და ხმამაღლა გაჰყიოდა, რათა მთელი ქვეყნისთვის ემცნო, რა უბე-
დურებაც სჭირდა. იმ კაცსა ჰგავდა, შუაღამისას კოშმარული სიზმარი რომ
გამოაღვიძებს. მერე გაიქცა, მაგრამ გზადაგზა ისევ ჩერდებოდა და გამვლე-
ლებს თავის გასაჭირს უამბობდა. ასე მიაღწია სახლს, კიბე აირა და ოთახში
შევიდა, სადაც ქალის გვამი ესვენა. მას ფეხდაფეხ მისდევდა ცნობისმოყვა-
რეთა ბრბო, მოვიდნენ პოლიციელებიც და დააპატიმრეს.

სასამართლოზე უილსონი ჯერ ღელავდა, მაგრამ მერე თანდათან დაცხ-
რა, დადუმდა და როცა ვექილმა საკითხი აღძრა მისი შეურაცხადობის შესა-
ხებ, გაეცინა კიდეც.

როგორც მოგახსენეთ, უილსონის საქციელმა თავდაპირველად ყველანი
აღგვაშფოთა, — თითქოს მისთვის არაფერს ნიშნავდა არც ქალის სიკვდილი
და არც ეს სამარცხვინო ბრალდება. სიძულვილის ან მტრობის ნასახიც კი
არ გამოუმჟღავნებია მექანიკოსის მიმართ, რომელმაც მეგობარი მოუკლა.
ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, თითქოს მისი გონება დაჟინებით მიილტ-
ვოდა რაღაც გამოუცნობისაკენ, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა მომხ-
დარ ამბავთან.

ასეთი იყო იგი ალბათ ადრეც. მარტოდმარტო რომ დაეხეტებოდა ამქვეყ-
ნად, მაღლა აჰყავდა კედლები, ჭაში ღრმად იმარხებოდა და გვშორდებოდა
ჩვენ, დანარჩენ ადამიანებს, რაზედაც ასე შთამბეჭდავად გვიამბო მერე თავის
ლექსებში.

იცოდა, რასაც სჩადიოდა, მაგრამ შეჩერება აღარ შეეძლო. სწორედ ამა-
ზე ლაპარაკობდა მოგვიანებით, ყველას რომ ევედრებოდა, ყური დამიგდეთ
და მომისმინეთო.

ძალზე მცირე ხნით შესძლო მან მორევიდან ამოსვლა, ცოტა ხანს იცუ-
რა ქალის გვერდით, ცხოვრების ზედაპირზე, და ახლა კვლავ ფსკერისაკენ
მიექანებოდა.

რასაც მერე სჩადიოდა უილსონი, — ქუჩაში ხალხს რომ აჩერებდა და
გაუთავებლად ლაპარაკობდა, უცხოთა სახლებში რომ შედიოდა დაუკითხა-
ვად და ქადაგებდა, — იყო მხოლოდ სტიქიასთან შებრძოლება დასაღუპავად
განწირული კაცისა!

ეჰა, გეესრულე, როგორც იქნა... მე მოვალე გახლდით მეამბნა ამ უც-
ნაური კაცის ცხოვრება, რადგან მის პიროვნებაში და არსებაში იმალებოდა
ძალა, რომელიც ისევე მოქმედებდა ჩემზე, როგორც კანზასელ ქალსა და სამ-
რალო კოშკიახზე, დაჩოქილი რომ უთვალთვალებდა კარის ჭუჭრუტანიდან.

ბევრი ვეცადეთ შეგვემსუბუქებინა უილსონისათვის მეგობრის დაკარგ-
ვით გამოწვეული მწუხარება — გამოგვეტაცნა იგი უიმედობისა და სასო-
წარკვეთის ჭაობიდან, რომელშიაც ჩვენს თვალწინ იძირებოდა, მაგრამ ამას
სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

და აი, გადავწყვიტე ქაღალდზე გადმეტანა ეს ამბავი, — იქნებ დაწერილს სხვა თვალით შეხედო და თვითონვე უკეთ გაერკვე ყველაფერში...

ხომ შეიძლება, თანაგრძნობასთან ერთად ოდესმე ქვეყნად მოვიდეს ძალაც, რომ ღირდეს ხელი გავუწოდოთ და წყვდიადიდან კვლავ სინათლეზე დავაბრუნოთ ედგარ უილსონი?

□

## სხვა ქალი

მე მიყვარს ცოლი... — მითხრა მოულოდნელად მეგობარმა.
თავი უხერხულად ვიგრძენი, რადგან ამ თემაზე არ ვსაუბრობდით და საერთოდ, აზრად არასოდეს მომსვლია მეკითხა, მეუღლესთან რა ურთიერთობა გაქვს-მეთქი... ჩვენ, უბრალოდ, ბაღში ვსეირნობდით. ათიოდე წუთის შემდეგ იგივე რომ გაიმეორა, მივტრიალდი და გაკვირვებული მივაჩერდი. მაშინ იყო სწორედ, რომ მიამბო ეს ამბავი...

წარსულის გახსენებას აეფორიაქებინა ჩემი მეგობარი ასე ძლიერ. ის კვირა მაინც მის ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენებით ყოფილა აღსავსე: კაცი ცოლს ირთავდა, — მომავალ პარასკევს ქორწილი ჰქონდა დანიშნული, — სიხარულით ისედაც ფრთაშესხმული იყო და უცებ, ჯვარისწერამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე, ოფიციალურად აცნობეს, დიდ თანამდებობაზე ინიშნებიო. გულში ყველაზე მეტ სიამეს მაინც ისა ჰგვრიდა, ლექსები რომ გამოაქვეყნა ჟურნალებში და რომელიღაც ლიტერატურულმა საზოგადოებამ პირველი პრემია მიანიჭა (პოეზიითაც ყოფილა ერთ დროს გატაცებული)... ახალგაზრდა პოეტის ამ გამარჯვებას საკმაოდ თბილი სტრიქონებით შეხმიანებიან ადგილობრივი გაზეთები, ხოლო ერთ მათგანს მისი პორტრეტიც კი მოუთავსებია.

ცხადია, იმ ხანებში განსაკუთრებით აღგზნებული და აღტაცებული იქნებოდა: ყოველდღე საცოლესთან დაიარებოდა, რომელიც, სხვათა შორის, ცნობილი მოსამართლის ქალიშვილი გახლდათ, და იქაც, რაც თქმა უნდა, საზეიმო განწყობილება სუფევდა — საღამოობით უამრავი ხალხი იყრიდა თავს. მოდიოდა დეპეშების ნიაღვარი, გაუთავებლად იღებდა კეთილმოსურნეთა წერილებს, ბარათებს... საზოგადოებაში ყინჩად გაზზე გადგებოდა გამაყებული და მ-ს გარშემოც მუდამ ირეოდა ნაცნობ-მეგობრების წრე; ულოცავდნენ დაწინაურებას, გაბედნიერებას, ლიტერატურულ წარმატებებს — უზომო ხოტბას ასხამდნენ და შინ დაბრუნებულს ღიმღიმობით ძილიც აღარ ეკარებოდა.

ოთხშაბათს, თეატრში წარმოდგენას რომ ესწრებოდა, მოეჩვენა, თითქოს პუბლიკამ იცნო... ხელს უქნევდნენ, ესალმებოდნენ, თვალებში შესციცინებდნენ. პირველი მოქმედების შემდეგ ზოგიერთმა თავისი ადგილიც კი მიატოვა და მისკენ გამოემართა — კვლავ ლოჟაში მოიქციეს, სხვები კასერს ეგრძელებოდნენ და განცვიფრებული უჭვრეტდნენ. ამგვარი ყურადღება ადრე

არასდროს ღირსებია და თანდათან შეიპყრო რაღაც გაურკვევლის, უცნობის მოლოდინმა.

მისთვის უჩვეულო გახლდათ მთელი ეს ორომტრიალი და ფაციფუცი; ეჩვენებოდა, მყარ ნიადაგს მოწყვეტილი ფუჭ ოცნებათა ღრუბლებში დაცურავო. ამდენი ქებით ყურებგამოჭედილს ფიქრისაგან თავი [illegible] ლოგინში ჩაწოლილი თვალს მოხუჭავდა თუ არა, ოთახი მყისვე ივსებოდა ხალხით, თითქოს ქვეყანას მისთვის მოუცლიაო. უცნაურ და უაზრო ფანტაზიებს დაეპყრო მისი გონება: ვითომ ქუჩაში მიჰქროდა ეტლით, ირგვლივ კი „შეხედეთ, შეხედეთ! ის არის, ის!..“ — გაჰკიოდნენ აღტაცებულნი.

ხოლო ეკიპაჟი ძლივს მიიკვლევდა გზას მოზიმზიმე ქუჩაში; ასეული ათასობით თვალი მიაცილებდა:

„ხედავ, რას მიაღწიე, რა შორს წახვედი?!“ — ეუბნებოდნენ თითქოს.

ვერ აეხსნა, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ბრბოს ამგვარი აღტყინებისა,— მისმა ლექსებმა გამოიწვია ეს არნახული აღფრთოვანება, თუ ახალ თანამდებობაზე მოიმოქმედა უკვე რამე საგმირო და სასახელო.

იმხანად ჩემი მეგობარი ქალაქის განაპირას, ფერდობზე ცხოვრობდა. მისი ოთახის ფანჯრიდან ხეთა კენწეროებისა და ფაბრიკის შავი მილების მიღმა მდინარე მოჩანდა. იმ საღამოსაც, თეატრიდან შინ რომ დაბრუნდა, არაფრით არ დაეძინა და ბოლოს ლოგინიდან ადგა, ეგების ცოტათი დავმშვიდდეო; იქვე ფანჯარასთან ჩაჯდა სავარძელში.

მთვარიანი, ნათელი ღამე იყო და უნდოდა ლამაზ ოცნებებს მისცემოდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად სამარცხვინო რამ კი დაემართა. გული ეწადა ეფიქრა ქალზე, რომელიც მალე მისი მეუღლე უნდა გამხდარიყო, გონებაში შეეთხზა მშვენიერი სტრიქონები, ახლა შემდგომი წინსვლისა და კარიერის გზები დაესახა, მაგრამ მისდა უნებურად სულ სხვა ფიქრი აეკვიატა...

იქვე, სახლთან ახლოს, ქუჩის კუთხეში, გაზეთების კიოსკი და თამბაქოს სავაჭრო ფარდული იდგა, სადაც დილაობით, სამსახურში მიმავალი, ახალ ჟურნალ-გაზეთებს ყიდულობდა ხოლმე. ფარდული ვიღაც ორმოციოდე წლის ხისფეხიან კაცს ეკუთვნოდა, თუმცა მეტწილად დახლში მისი ცოლი ვაჭრობდა... ტანმორჩილი, ცოცხალი ქალი იყო, მოციმციმე თაფლისფერი თვალები ჰქონდა... დიდს არაფერს წარმოადგენდაო, დასძინა ჩემმა მეგობარმა, როცა ამ ამბავს მიყვებოდა, მაგრამ საოცრად კი აღელვებდა და იზიდავდა თურმე; ხოლო იმ ფორიაქ კვირაში, საქორწინოდ რომ ემზადებოდა, მისი ხატება გამუდმებით თან სდევდა... ჰოდა, ახლა, ფანჯარასთან სავარძელში მჯდარი ცდილობდა საცოლეზე ეფიქრა და ისევ ფარდულში მოვაჭრე ქალის სახე კი ამოუტივტივდა გონებაში. ჩაუკვირდა მიზეზს ამ უცნაური აკვიატებისა და მიხვდა, თურმე მასთან სიახლოვე ეწადა...

— საკუთარ თავს ვეღარ ვცნობდი იმ ხანებში, — განაგრძო მან. — თვალზე რული არ მეკარებოდა. ორი-სამი ამგვარი მტანჯველი ღამის შემდეგ დღისითაც აღარ მასვენებდა ქალზე ფიქრი, მაგრამ ეს როდი მიშლიდა ხელს საცოლე მეყვარებოდა. ის იყო ჩემი რჩეული, სწორედ ის მსურდა ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად მეხილა; მისგან ველოდი ზნეობრივ განწმენდასა და გაკეთილშობილებას, მისი მხარდაჭერით უნდა გამეკაფა ცხოვრების გზა და

ღირსეული ადგილი დამეჭირა საზოგადოებაში... მაგრამ — გესმით ჩემი? — მოუსვენებლად მაინც იმ სხვას ვნატრობდი, ის მეორე ქალი მინდოდა ჩემ-რა გულში... ყოველი ფეხის ნაბიჯზე მესმოდა, დიდი კაცი ხარ, ბრწყინვალე მომავალი გელოდებაო და აი, უცებ რა დამემართა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრიდან შინ ფეხით დავბრუნდი. ვიცოდი, მაინც არ დამეძინებოდა და უნებურად შემოჩენილი მტანჯველი ფიქრები რომ გამექარვებინა, ფარდულის მოპირდაპირე მხარეს შევჩერდი, დიდხანს ვიდექი სიბნელეში კედელს აკრული... ცოლ-ქმარი მეორე სართულზე ცხოვრობდა, და ლამის გავგიჟდი, როცა წარმოვიდგინე როგორ იწვნენ ახლა ისინი მაღლა, ერთ ლოგინში...

მერე საკუთარი თავისა შემრცხვა და შინ მისული ბრაზით ვცახცახებდი. თავსასთუმალთან წიგნები დავიწყვე, რომელთა კითხვაც მუდამ დიდ სიამეს მგვრიდა და ყველაფერს მავიწყებდა ამქვეყნად, მაგრამ ამჯერად სტრიქონები მიცვალებულივით დუმდნენ — მათი ხმა ვერ აღწევდა ჩემს გულისყურამდე. კვლავ საცოლეზე ვცადე ფიქრი და ისე უცხო, ისე შორეული მეჩვენა. თითქოს არასდროს არაფერი გვაკავშირებდა. სასოწარკვეთილი ლოგინში ვწრიალებდი, — ნამდვილად საშინელი ღამე იყო.

მეორე დღეს, ესე იგი ხუთშაბათს, დილით ფარდულის კარი შევაღე. ქალი მარტო დამიხვდა და ვგონებ იგრძნო კიდეც რა დღეში ვიყავი. შესაძლოა იმ ხანებში თვითონაც ფიქრობდა ჩემზე. ტუჩის კუთხეებში გაუბედავი მკრთალი ღიმი აუთამაშდა. ჩითის უბრალო კაბა ეცვა, იღლიასთან ოდნავ გარღვეული. ჩემზე ათიოდე წლით უფროსი იქნებოდა. ფული რომ გავუწოდე, ხელი მიკანკალებდა — მონეტები გაიბნა და ცისხაურად გაიწკრიალეს მინის დახლზე. პირი რომ გავაღე, სიტყვების მაგივრად ხვილი აღმომხდა...

— მე თქვენ მომწონხართ... — წავჩურჩულე. — ნეტავი გაცოდინათ, ძვირფასო, როგორ მჭირდებით და როგორ გნატრულობთ!.. არ შეგიძლიათ ქმარს გამოეპაროთ და მოხვიდეთ ჩემთან ამ საღამოს, შვიდ საათზე?..

ზუსტად დათქმულ დროს მოვიდა, თუმცა ისე დავშორდით, პასუხი არ გაუცია. მხოლოდ წამით შევავლეთ ერთმანეთს მზერა და ვიგრძენი, ჩემთვის გარდა ამ ქალისა სხვა არაფერი არსებობდა ამქვეყნად. თავი ოდნავ დამიკრა და მეც მაშინვე გამოვტრიალდი. ახლაც არ მავიწყდება მისგან თქმული რაიმე სიტყვა. ბნელოდა, რომ მოვიდა, — ოქტომბერში მოხდა ეს ამბავი, — შუქი არ ამინთია და მოსამსახურეც ადრევე გავისტუმრე სახლიდან.

მთელი დღე შეშლილსა ვგავდი; მახსოვს, საქმეზე მოსულ ხალხს არეულად ვპასუხობდი, რასაც, ჩანს, ისინი მოახლოებული ქორწილით ხსნიდნენ და ღიმმორეულნი გადიოდნენ კანტორიდან.

იმავე დღეს გრძელი უსტარი მივიღე საცოლესაგან. ძილი გასტეხოდა და გადაეწყვიტა ღამეული ფიქრები ჩემთვის გაეზიარებინა. შინაარსიანი, გულწრფელი ბარათი კი იყო, მაგრამ თავად მისი სახე, — თითქოს ნისლი გადაეფარაო, — თანდათან წაიშალა ჩემი ცნობიერებიდან; გაურკვეველ ჩრდილს შევადარე რატომღაც, საკუთარი თავი კი მტვრიან ორღობეში ქოხის წინ მდგარ ფეხშიშველა ბიჭუნას ვამსგავსე, შეფიქრიანებული რომ აღევნებს თვალს ცაში მონავარდე ფრთოსანს. არ ვიცი, ხვდებით თუ არა ამით რისი თქმაც მინდა...

ახლა იმ ბარათზე მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას. მართლაც რომ სული და გული ჩაექსოვა შიგ, იგრძნობოდა, მის არსებაში თანდათან როგორ იღვი-

ქვრივი ქალი... ცხოვრებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ იმდენს კი ხვდებოდა, ქორწინებას დიდი ცვლილებები რომ უნდა მოჰყოლოდა, ალბათ ამაზე ფიქრმა არ მოასვენა და შუაღამისას წამოაგდო ლოგინიდან, რათა სუ[illegible]თა ქაღალდზე სტრიქონებით გამსუბუქებოდა, ახარებდა და აკ[illegible] კარს მომდგარი ბედნიერება: ეტყობა, ხშირად აგონებდნენ [illegible] გადაკრულ სიტყვებს მისთვის იდუმალებით მოსილ ქორწინებაზე. ბარათიდან ფოლორესად ნაზი, თბილი გრძნობები გამოსჭვიოდა.

„ქორწინების შემდეგ ცოტა ხნით დავივიწყოთ, რომ ქალი და მამაკაცი ვართ, — მწერდა იგი. — ვიყოთ უბრალოდ ადამიანები; მე ჯერ ცხოვრებას არ ვიცნობ და ალბათ გულუბრყვილო მოგეჩვენები, მაგრამ ვალდებული ხარ იყო მომთმენი და მოალერსე ქმარი. სამაგიეროდ, მერე, როცა შენის წყალობით ცხოვრების ავ-კარგში გავერკვევი, სიკეთეს სიკეთით გადაგიხდი და შეგიყვარებ ვნებიანად, თავდავიწყებით, — ამის უნარი რომ არ შემწევდეს, გათხოვებას არც ვიფიქრებდი. ვღელავ, მაგრამ თავს ბედნიერად ვგრძნობ, აჰ, როგორ მიხარია, რომ ქორწინების დღე მოახლოვდა!“

კი მიხვდებით, რა დღეში ჩავვარდებოდი ამ ბარათის წამკითხავი, მაგრამ საბედნიეროდ მალე ავლაგმე შავბნელი ფიქრები და კვლავ ძლიერ კაცად ვიგრძენი თავი. მახსოვს, გახარებულმა კაბინეტში ბოლთის ცემა დავიწყე, — მეამაყებოდა, ასეთი კეთილშობილი ქალის ქმარი რომ უნდა გავმხდარიყავი!.. აღტაცებული გახლდით მისი სინაზით და საკუთარი სიმტკიცითაც, ვიდრე დავრწმუნდებოდი, რა უნებისყოფოც ყოფილვარ თურმე სინამდვილეში. გადავწყვიტე დამეძლია უნებლიე სისუსტე. საღამოს ცხრა საათისათვის საცოლე შინ მეპატიჟებოდა.

„მე ახლა მთლიანად ვფლობ საკუთარ თავს, — გავივლე გუნებაში. — წერილში გამჟღავნებულმა სულის სინაზემ მიხსნა და სამუდამოდ გადამარჩინა, და თუ დღეს, შვიდ საათზე, ის მეორე ქალი მართლა მოვა, რაც თქმა უნდა, უკანვე გავაბრუნებ!“

მოსამსახურე გაფრთხილებული მყავდა, საღამო ხანს ქალაქში გავისეირნე-მეთქი, და წერილის ჩაკითხვისთანავე ტელეფონს ვეცი, განკარგულება რომ შემეცვალა, მაგრამ უეცრად ამგვარი აზრი მომივიდა:

„არა, მისი შინ ყოფნა მაინც არაა გამართლებული და სასურველი. რას იფიქრებს, უცხო ქალი რომ მომადგება კარზე ქორწილის წინა დღეს?!“

ყურმილი დავდე და წასასვლელად გავემზადე.

„მოსამსახურეს მიტომ ვგზავნი სახლიდან, — დავიმშვიდე თავი, — რომ არ დაინახოს იმ ქალის არც მოსვლა, არც წასვლა. მისი გულისთვის უხეშად ხომ არ მოვექცევი, რას ვერჩი... არადა, მართლაც, რა ვუთხრა, უკან როგორ გავაბრუნო?.. რაღაც უნდა მოვიფიქრო!“

ქალი ზუსტად შვიდზე მოვიდა და თქვენ ალბათ ხვდებით, რომ შინ შემოვუშვი. სხვა განზრახვა თითქოს არც მქონია, ვიღას ახსოვდა შენი „მტკიცე გადაწყვეტილება“. კედელში ზარის ღილაკი იყო დატანებული, მაგრამ არ დაურეკავს — კარზე ფრთხილად მოაკაკუნა... ყველაფერი, რაც მან იმ საღამოს მოიმოქმედა, მოიმოქმედა წყნარად, მაგრამ გაბედულად და მტკიცედ. გასაგებად ვლაპარაკობ?..

კართან მოუთმენლად ველოდებოდი... უფრო სწორად, შვიდის ნახევრიდან კართან ვიყავი ატუზული. ხელები დილანდელივით მიკანკალებდა, როცა

მისი შემოხედვით დაბნეულმა დახლზე ფულის დადებაც ვერ მოვასწარი, კარი გავაღე თუ არა, სწრაფად შემოვიდა და პირდაპირ მკლავებში ჩამივარდა. დიდხანს ვიდექით ასე სიბნელეში ჩახუტებულნი. ხელები აღარ მიკანკალებდა — უბედნიერეს და უძლიერეს კაცად ვგრძნობდი თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდა ყველაფერი ნათლად გადმოგცეთ და ის კი ვერ მ[illegible] ლირიკულად წარმოგიდგინოთ... ალბათ ამჩნევთ, რომ წინა პლანზე სხვა ქალი წამოვწიე. მალიმალ კი გავიძახი, ცოლი მიყვარს-მეთქი, მაგრამ თქვენისთანა გონებაგახსნილი კაცისთვის მარტოოდენ ლიტონი სიტყვები ბევრს არაფერს ნიშნავს. შესაძლოა, ისეთი შთაბეჭდილებაც დაგრჩეთ, თითქოს თამბაქოთი მოვაჭრის ცოლზე ვიყო შეყვარებული. არა, არა ხართ მართალი. კი ბატონო, ქორწინების წინა კვირაში გამუდმებით მასზე ვფიქრობდი, მაგრამ რაც რომ საღამო ერთად გავატარეთ, მას აქეთ აღარც მომგონებია...

მართალს ვამბობ თუ არა?.. ვცდილობ გულახდილი ვიყო, არაფერი დაგიმალოთ. ეს-ესაა ვთქვი, იმ ქალზე მეტად აღარ მიფიქრია-მეთქი, მაგრამ გამოგიტყდებით, არა ვარ მთლად გულწრფელი: საღამოს ცხრა საათზე საცოლესთან რომ წავედი, ქალი თან წამყვა... არ ვიცი, როგორ და რანაირად... ესე იგი, აი, რა მინდა გითხრათ: გუნებაში გადაწყვეტილი მქონდა, თუ ჩემსა და ფარდულში მოვაჭრე ქალს შორის რამე მოხდა, ქორწილს ჩავშლი-მეთქი. „ან ეს, ან ის!“ — ვეუბნებოდი საკუთარ თავს.

სინამდვილეში კი ცხრა საათზე იმ განზრახვით წავედი საცოლესთან, რომ მეორე დღეს ჩვენი ბედი უკვე სამუდამოდ დაგვეკავშირებინა... ვგონებ, ცოტა აბნეულად ვლაპარაკობ და თქვენც აგიბნიეთ თავგზა... წეღან წამომცდა, თამბაქოთი მოვაჭრის ცოლი ჩემთან ერთად წამოვიდა-მეთქი, მაგრამ ამით იმას როდი ვამბობ, თითქოს მართლა წამყვა, არამედ ვცდილობ მიგანიშნოთ, რომ ჩემს სულსა და გულში უკვე ჩასახლებულიყო რაღაც ნაწილი მისი არსებისა და ახლა თან მახლდა... სწორედ ამ ქალის წყალობით გავხდი ესოდენ თამამი და აღვივსე მისეული რწმენით... გამიგეთ?

იქ უამრავი ხალხი დამხვდა. ზოგ ნათესავს პირველად ვხედავდი — შორიდან ჩამოსული ნათესაობა იყო. დარბაზში შესვლისთანავე საცოლეს მზერას წავაწყდი: ასე გახარებული არასოდეს მინახავს. მეც ბედნიერებისაგან სახე გაცისკროვნებული მქონდა... მას ეგონა, ალბათ, ჩემმა წერილმა იმოქმედაო. სინამდვილეში ასედაც იყო, რაღა თქმა უნდა... პირდაპირ ჩემკენ გამოექანა ბავშვივით აღტაცებული. ყველანი ჩვენ შემოგვცქეროდნენ, მაგრამ არ მოერიდა მათ და გამიმჟღავნა გულის ნადები:

— ოჰ, რა ბედნიერი ვარ, რომ იცოდე. შენ მე სწორად გამიგე! ჩვენ ვიქნებით უბრალოდ ადამიანები,— ცოლი და ქმარი კი არა,— უბრალოდ ადამიანები.

ჩემ გარდა ყველას გაეცინა, მე კი ცრემლები მომადგა თვალებზე, ბედნიერებისაგან კინაღამ შევყვირე. იქნებ მიხვდეთ, რისი თქმაც მსურს... იმ დღეს, უსტარი რომ მივიღე, გუნებაში გავივლე, ყურადღებიანი ვიქნები-მეთქი ჩემი ფისუნიის მიმართ. ამ გამოთქმაში, თუ ატყობთ, რაღაცნაირი თვითკმაყოფილება იგრძნობა, მაგრამ ახლა, როცა მის გულუბრყვილო ტიტინზე სტუმრებმა გაეცინათ, საკუთარ თავს ვუთხარი: „ჩვენ ვიქნებით ყურა-

დღებიანი ერთმანეთის მიმართ“. რაღაც ამდაგვარი ყურშიაც წავჩურჩულე; ასე ვთქვათ, ხმას დავუწიე, რისთვისაც მადლობელი ვარ იმ მეორე ქალისა... ყველას მოეწონა ჩვენი მგზნებარება. ნეტავ რას იფიქრებდნენ, რომ სცოდნოდათ საიდან მოვედი?!.

ორჯერ უკვე ვთქვი, ის ქალი დავივიწყე-მეთქი, და მართლაც ასეა, მაგრამ ხანდახან, როცა ქუჩაში ან ბაღში ვსეირნობ, — როგორც ახლა ვსეირნობთ მე და თქვენ, — და როცა ისე სწრაფად ბინდდება, როგორც დღევანდელ საღამოს, მისი ხატება უეცრად გამომეცხადება და ერთბაშად იპყრობს მთელ ჩემს არსებას... იმ ერთის მეტად აღარ შემხვედრია, მეორე დღეს ვიქორწინე კიდეც, და ფარდულისკენ აღარც გამიხედავს. მაგრამ ზოგჯერ, სეირნობისას, რაღაცნაირი გრძნობა მიპყრობს ხოლმე — ხნულში ჩავარდნილი მარცვალი მგონია თავი, ზემოდან ჟუჟუნა წვიმა რომ დასდის, და ამ დროს, ადამიანს კი არა, ბალახსა ვგავარ...

დღეს, როგორც ხედავთ, ცოლიანი კაცი ვარ, ყველაფერი კეთილად დაბოლოვდა და ამ ქორწინებამაც დიდი ბედნიერება მომანიჭა... თუ ფიქრობთ, რომ უიღბლო გამოდგა, ძლიერ სცდებით... რაღაცნაირი შვება ვიგრძენი, ეს ამბავი რომ გიამბეთ. ადრე ვერ ვბედავდი — ხომ შეიძლებოდა ვინმეს ჰგონებოდა, მეუღლე არ უყვარსო. მივხვდი, რომ თქვენ სწორად გამიგებდით, თორემ ამჯერადაც ვერ გავბედავდი. ახლა კი, გამოგიტყდებით, ისევ ავღელდი... დღეს ალბათ კიდევ დიდხანს ვიფიქრებ იმ ქალზე. ხანდახან მემართება ხოლმე ასე, მეტწილად ღამით, როცა დასაძინებლად ვწვები. ცოლს მეორე ოთახში სძინავს, კარი კი მუდამ ღიაა. მოგვიანებით მთვარე ამოვა და მის საწოლსაც მოჰფენს სხივებს. მე შუაღამისას გამეღვიძება და დავინახავ მძინარე მეუღლეს, რომელსაც ჩვეულებისამებრ ცალი ხელი თავქვეშ ექნება ამოდებული...

მაგრამ ამას რად ვამბობ?.. ვინ ლაპარაკობს, როგორ სძინავს ცოლს სარეცელზე?.. დიახ, მართალი ბრძანდებით, და მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ ამაღამ კვლავ ვიფიქრებ იმ ქალზე, ოღონდაც ამჟამად სულ სხვანაირად, ვიდრე ქორწინების წინა კვირაში... სად არის ნეტავი, როგორ წარიმართა მისი ცხოვრება... წამით კვლავ ვიგრძნობ, თითქოს ისევ ჩემს მკლავებშია მოქცეული, და მაშინვე გამიელვებს აზრი, რომ იმ ერთ საათში მან იმოდენა ბედნიერება და სიხარული მაგრძნობინა, რაიც სხვამ, შესაძლოა, მთელი სიცოცხლის მანძილზეც ვერ მოგანიჭოს. უნებურად ვინატრებ, ნეტავი მეუღლესთანაც ასე ახლო ვიყო-მეთქი, მის არსებაში ხომ ეს-ესაა იღვიძებს ქალი... მერე დავხუჭავ თვალებს და დავიჭერ მკვირცხლ, გამჭრიახ მზერას იმ მეორე ქალისას, გული უცნაურად შეფართხალდება, თავბრუ დამეხვევა, მაგრამ სასწრაფოდ გავახელ თვალს და მეზობელ ოთახში დავინახავ ძვირფას მეუღლეს, ვისთანაც უნდა გავატარო მთელი სიცოცხლე. ბოლოს ისევ ჩამეძინება და დილით, როცა გამოვიღვიძებ, თავს იმგვარადვე ვგრძნობ, როგორც იმ დაუვიწყარ საღამოს, ჩაბნელებული ოთახიდან რომ გამოვედი ცხოვრებაში ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდის ჟამს... ეს იგი, აი, რა მინდა გითხრათ, — იმედია თქვენც სწორად გამიგებთ, — დილით, როცა გამოვიღვიძებ, სხვა ქალის ხატება მთლიანად წაიშლება ჩემი ხსოვნიდან.

□

# თენდი

შვიდ წლამდე იგი უპატრონოდ იზრდებოდა ქალაქის განაპირას, ტრაქტის პაიკის გზის მიყრუებულ განშტოებაზე მდებარე ძველ, შეუღებავ სახლში. დედა ადრე გარდაეცვალა, ხოლო [illegible] — რელიგიაზე ფიქრსა და სჯა-ბაასში ატარებდა დღეებს. კაცი ათეისტ-აგნოსტიკოსი იყო, ცდილობდა სხვებშიაც აღმოეფხვრა რწმენა და, რა გასაკვირია, ვერ შეამჩნია ღვთაებრივი ხატი თავისივე პაწია გოგონასი, რომელსაც გარდაცვლილი მეუღლის ხან ერთი, ხან მეორე ნათესავი უვლიდა სამადლოდ.

მაგრამ ერთხელ უაინსბურგს ეწვია უცხო სტუმარი და მან შეამჩნია ბავშვში ის, რასაც ვერ ხედავდა ულმერთო მამა... ტანმაღალი, წითური ახალგაზრდა კაცი გახლდათ, ღიღიდან ჩამოსვლისა ფხიზელი არავის უნახავს. სასტუმრო „ნიუ უილარდ ჰაუსის“ წინ უყვარდა ხოლმე ჯდომა, სადაც თომას ჰარდი — გოგონას მამა — და მისი ამხანაგები იყრიდნენ თავს. ვიდრე ჩვენი ათეისტი ორატორობდა, ღმერთი არ არსებობსო, კაცს ულვაშებში ეცინებოდა და თვალს უპაჭუნებდა მეზობლებს. ჰარდს დაუმეგობრდა და სულ ერთად ატარებდნენ დროს...

უაინსბურგს საგანგებოდ გადმოსახლებულიყო კლივლენდელი დიდვაჭრის შვილი, რა არი რომ ლოთობას გადასჩვეოდა. ეგონა, იოლად დაიხსნიდა თავს ბახუსის ტყვეობისაგან, თუ დიდ ქალაქსა და აბეზარ თანამეინახეებს დროებით მაინც გაეცლებოდა.

სამწუხაროდ, ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია, — ის კი არადა, მოწყენილობისაგან უფრო უმატა სმას. ერთადერთი, რაც მართლა მოახერხა და ლამაზადაც გამოუვიდა, ეს იყო — გოგონას შეარქვა მეტსახელი.

იმ საღამოს იგი ღვინით გამობრუჟული მიბარბაცებდა მთავარ ქუჩაზე. სასტუმროს წინ თომას ჰარდი და ადგილობრივი გაზეთის ახალგაზრდა რეპორტიორი ჯორჯ უილარდი ისხდნენ. ჰარდს მუხლებზე თავისი პაწია, ხუთი წლის გოგონა ეჯდა. კაცი მოწყვეტით დაეშვა სკამზე მათ გვერდით, თან ისე ირწეოდა, თითქოს სადაცაა გადაყირავდებაო. ერთ ხანს ჩუმად იყო, მერე უცებ მოთრთოლარე ხმით ალაპარაკდა...

ქალაქი ბინდში ეხვეოდა, მაგრამ მოშორებით ჯერ ისევ ილანდებოდა გორაკის ძირას გამავალი რკინიგზა. დასავლეთის მხრიდან მატარებლის გაბმული კივილი მოისმა; ქვაფენილზე მწოლარე ძაღლმა გაიღვიძა და წამოიყეფა. კაცი კი რაღაცას წინასწარმეტყველებდა გოგონას ბედზე...

— მე აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ არ დამელია... — თქვა მან და ლოყაზე ცრემლები ჩამოუგორდა. წინ წახრილი დაჟინებით გაჰყურებდა ქუჩას, თითქოს იქ სიბნელეში რაიმეს ხედავსო. — აი, რად გამოვიქეცი კლივლენდიდან. მაგრამ, ეტყობა, აღარასოდეს განვიკურნები...

მიტრიალდა და ბავშვს შეხედა, გამართული რომ ეჯდა მუხლებზე მამას. გოგონაც ცნობისმოყვარედ მისჩერებოდა თვალებში... კაცმა ხელი ჩამოქაჩა ჰარდს:

— ლოთობა კი არა, მე სულ სხვა რამ მღუპავს, ძმობილო... — განაგრ-

ძო იმავ ხმაზე. — მე სიყვარულისთვის მოველ ამქვეყნად, მაგრამ ღირსი ვე-რავინ ვპოვე... დასაღუპავად ვარ განწირული, დასაღუპავად... თქვენ კი არ გესმით!..

უცებ გაჩუმდა, თითქოს მწუხარებამ დაამუნჯაო, ისევ ორთქლმავლის სტვენამ გამოიყვანა გარინდებიდან:

— თუმცა რწმენა მაინც არ დამიკარგავს, — თქვა ჩახრინწული ხმით. — არ გამიმართლა უბრალოდ, ეს იყო და ეს... ბედმა იმთავითვე არ მიმიყვანა იქ, სადაც შეიძლებოდა ჩემი ოცნება ამხდარიყო!..

კვლავ შეხედა გოგონას და ამ წუთიდან მოყოლებული მხოლოდ და მხოლოდ მას მიმართავდა, სხვებს კი თითქოს ვერც ამჩნევდა.

— აი, მომავალი ქალი, — თქვა შეცვლილი ხმით, მაგრამ გაბედულად და მტკიცედ. — შესაძლოა, სწორედ შენა ხარ, პაწიავ, ჩემი ოცნების ქალიშვილი, მაგრამ ვაი, რომ დავიგვიანე... არ ჩანდი, ვიდრე გელოდებოდი, აწ კი ჩვენი გზები ასცდნენ ერთმანეთს... ან რა ჭირვეულობა და დაცინვაა ბედისა, შეგვახვედროს დღეს, როცა მე უკვე გამოუსწორებელი ლოთი და ცხოვრებამო-ღეული კაცი ვარ, შენ კი — სრულიად ბავშვი!..

სცადა თუთუნი გაეხვია, მაგრამ ვერ შეძლო — დაებნა და ქაღალდიც გა-უვარდა ხელიდან.

— ზოგს რომ ჰკითხო, თოლი ჰგონია ქალობა! — იყვირა ბრაზისაგან აცახცახებულმა. — დიახ, თოლი ჰგონიათ სიყვარული!.. არ არის მართალი, არა! ვინ ვინა და მე ხომ ვიცი ეს... მე ხომ ეს ყველაზე უკეთ მესმის მთელი დედამიწის ზურგზე!..

კვლავ გაექცა მზერა ჩაბნელებული ქუჩისაკენ.

— დღეს პირველად გნახე, პაწიავ, მაგრამ დიდი ხანია გიცნობ, — განა-გრძო მან მერე. — მე უკვე ვჭვრეტ შენი მომავლის გზას და შენს გაცრუებულ ოცნებებსაც ვხედავ... სწორედ ამიტომ ხარ ჩემთვის ასე ახლობელი და საყ-ვარელი... ყოველი მარცხის შემდეგ ქალის ხასიათსა და ბუნებაში ჩნდება რა-ღაც ახალი, რასაც მე თენდის დავარქმევდი. ეს სახელი მანამ მოვიგონე, ვიდ-რე ოცნებათა კოშკი დამენგრეოდა და მწუხარებით გავიჟღინთებოდი... იცი, რას ნიშნავს თენდი, პაწიავ? — დამარცხების შემდეგაც დარჩე ძლიერი, არ დაჰკარგო სიყვარულის რწმენა!.. მამაკაცი ძალას ეძებს ქალში, მაგრამ ვერ პოულობს...

ადგა და თომას პარდისაკენ მიბრუნდა. თავს ძლივს იკავებდა, რომ არ წაქცეულიყო. მერე მუხლებზე დაეცა. დაშაშრულ ტუჩებთან მიიტანა ბავშვის ფუნჩულა ხელი და ემბორა:

— თენდი იყავ, პაწიავ, — აი, ჩემი თხოვნა და ანდერძი... იყავ ძლიერი და გაუტეხელი... გაბედულად იარე წინ — სიყვარულისა ნუ შეგეშინდება! იყავ რაღაცით იმაზე მეტი, ვიდრე უბრალოდ ქალობაა! იყავ — თენდი, თენდი იყავი!..

წამოდგა და ტორტმანით გაუყვა ქუჩას... ორიოდე დღის შემდეგ კი ჩაჯ-და კლივლენდის მატარებელში და შინ დაბრუნდა...

ხოლო ზაფხულის იმ საღამოს, სასტუმროსთან მომხდარი ამ ამბის შემ-დეგ, თომას პარდმა გარდაცვლილი მეუღლის ერთ-ერთ ნათესავთან წაიყვანა ბავშვი ღამის გასათევად...

ბნელ ხევანში მიმავალს უკვე გადავიწყებოდა კიდეც ლოთის ნაროდვარი და კვლავ ჩაჰკირკიტებდა თავის საფიქრალს: უნდოდა, როგორმე ისეთი უტყუარი საბუთები და არგუმენტები მოეძებნა, რომ სამუდამოდ ამოეძირკვა ღმერთის რწმენა ადამიანების შეგნებიდან....

ბიბლიოთეკა

ცეროდ ბავშვი გაახსენდა და შეეხმიანა, იმან კი მოულოდნელად ტირილი მორთო:

— ნუ მეძახი ეგრე, ნუ მეძახი... მე მინდა თენდი მერქვას, თენდ ჰარდი!..

კაცი გამწარებული შედგა ხის ძირას, ხელში აიყვანა შვილი, მიუალერსა:

— დაწყნარდი, რა გატირებს... შენ ხომ ჭკვიანი გოგო ხარ!

არ გასჭრა დაყვავებამ და ხვეწნა-მუდარამ, — გაჰირვეულდა და დიდხანს სლუკუნებდა სასოწარკვეთილი ბავშვი. ტირილმა დაარღვია ღამის მყუდროება:

— მე თენდი ვარ, გესმის, თენდი! მინდა თენდი ვიყო — თენდ ჰარდი... თენდ ჰარდი!.. — გულამოსკვნილი ქვითინებდა. თითქოსდა მის არსებაში უკვე ჩასახლებულიყო უცნობი მთვრალი მამაკაცის მიერ აღწერილი მომავალი ქალი.

□

# რამირო პინილა

## ბრმა ჭიანჭველები

რომანი

ესპანურიდან თარგმნა მარტინა ჩინიძე-ბალზაკი

I

მამას გვერდით ვიდექი და ხუთი ათასი ტონა წყალწყვის გემს შევცქეროდით. ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ კლდეებს შეეჯახებოდა. კოკისპირულად წვიმდა. მასხრების ბრეზენტის წოწოლა ქუდი, ოცდაშვიდი წლის წინათ რომ ჩამოუტანა ბაბუამ ინგლისიდან, წყლიანი თხრილით გარშემორტყმულ კასტილიის ძველ ციხე-კოშკს დამსგავსებოდა. ლიადა ამას წყალი ტყავის ქურთით შეეგრა, რომ კალთები გამშრალ ქონის არ ეყვარებოდა. ჩვენ ვფიქრობდით, ლამბრიკას თავიც რომ გვქონოდა, ხმას მაინც ვერ ამოვიღებდით. რაც თქვენის წარმოშობის ლილით პირიმზიანი ასაკარიდანაც, ყველა უზადრუკრეტიცია იყო ალბათ ამ ამოზიქრებული სტიქიონის მძვინვარებასთან შედარებით.

მამას დანაოჭებულ ქუთუთოებში ღრმად ჩამჯდარი მწვანე თვალები მოეჭუტა, რადგან ქარი პირისახეში სცემდა, და ტალღებზე ცარცისფერი ქაფით დატვირთულ გემისკენ იყურებოდა. გემი უკვე ახლოს იყო კლდეებთან, ნესტიანი ხავსით დაფარული და ლოკოკინების ლაბირინთი. მათი ენა არ ესმოდათ, მაგრამ მიხვდნენ, წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ ზეცას. მეზღვაურები გემბანზე გარბოდნენ, ხანდახან ... შველას ითხოვდნენ. სანაპიროზე აღმართულ კლდეებზე კი ბორიტად ხელებგაშლილნი ელოდნენ, სიამოვნებით ემუქრებოდნენ მათ.

— ინგლისელებია, — თქვა ძია პედრომ და ჯიბიდან ლეინის ბოთლი ამოიღო, — მადლობა ღმერთს, ალმებს ჯერ კიდევ ვცნობ.

ძია პედრომ ბოთლს საცობი მოაძრო, ყელი სველი პალტოს სახელოთი მოუწმინდა, ერთი დიდი ყლუპი მოსვა და ბოთლი მამას ისე მიაწოდა, არც შეუხედავს. მაგრამ მამა არ განძრეულა. ძია პედრომ ბოთლს საცობი კვლავ დაუცო და ჯიბეში ფრთხილად ჩაიდო.

მალე საბუქსირო კატარღებიც გამოჩნდნენ. ისინი მანამდე არ შეგვიმჩნევია, ვიდრე ნავსადგურის მისადგომებიდან არ დაიძრნენ. სქელი ნისლი ყველაფერს ფარავდა ირგვლივ. მეზღვაურებმა დაინახეს ბუქსირები და გემბანის იმ მხარეს მიაწყდნენ, საიდანაც ბუქსირები უნდა მოეყვანოდნენ.

— მხოლოდ ხალხის გადარჩენა შეიძლება, — თქვა მამამ.

კატარღები გვერდიგვერდ მიდიოდნენ თანაბარი სიჩქარით. ისინი ხაზგასმით ... ჰქონდნენ, ხან ერთი რომ აღმოჩნდება მაღლა და ხან მეორე, ან კიდევ ტყუპად ცალ-ცალკე. ზღვაში რომ შავი და ყვითელი ჭრელი არიან გადაბმულნი წყლის ქვეშ. ძრავები ძალიან ძალით მუშაობდა, მაგრამ კატარღები წინ მაინც ძლივს მიიწევდნენ.

მეზღვაურებმა ღრიალს უმატეს. ერთ-ერთი კატარღა გემს მიუახლოვდა, საიდანაც გემბანზე ბაგირი გადაუგდეს. ... წინ გადავდგი და

* ინგლისელები შემოკლებით.

კისერი წავიგრძელე, მაგრამ მამამ ლოხივრად დამწია და ზურგს უკან ამომიყენა, ქარს რომ ჩემთვის ძალიან არ დაებერა.

— რად გინდოდა, ეს ბიჭი აქეთ ტაროსში რომ წამოიყვანე, — მოუჭნა ძია მატროსმა.

— უნდა შეეჩვიოს, — თქვა მამამ, — საკუთარი ხელით უნდა შეძლოს ყველაფრის მოკეთება. მერეც წამოვიყვან.

— მერეც? შენ განდა თქვა, რომ...

— ჰო, ბკა თვითონა თქვი, აქ გემს ნახშირი მოაქვსო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მამას გავყევი. პირში ისევ და ისევ პატარა ლერწმის ღერი ედო და ესით ამოძრავებდა. ღერი ცოცხალ არსებასავით ტრიალებდა ტუჩებში. ნეტავ როდის მოასწრო მამამ გამხმარი ღერი მოეგლიჯა და პირში გაეჩარა? მამაჩემის თვალებს ვერ ვხედავდი, მაგრამ სახე ისეთი დაძაბული ჰქონდა, ვგრძნობდი, თვალები უელავდა. აღარც წინანდელი ახე დაძაბული, აი, მაშინ ერთი ბიჭუნა რომ გადაარჩინა. ბიჭუნა და გოგოა ფერდობით ნაპირზე ეშვებოდა და უცებ შუა გზაზე მიმოხავან გაშეშდა, ვერც წინ მიდიოდა ფეხი და ვერც უკან. ქალებმა წივილ-კივილი ატეხეს. მამაჩემი ბიჭს მიეშველა და ძირს ჩამოიყვანა. არც ახლა ჰქონდა მამაჩემს ნაკლებ დაძაბული გამომეტყველება.

როგორც კი ბაგირი მოხსნეს, რითაც პაპუქაირო კატარღა გემს აბამდა, გემი ნაპირს შეასკდა. რაღაც დაუინდებლად და ხმაურმა ჭახანმა დიდად როდი გაგვაოცა, პირიქით, ისე ჩაგვესმა, თითქოს ოთახის კარი გაჭრიალდაო. კლდის ეჭვიანმა გემს გვერდი შეუნგრია. ეემაგარებდა და შეიდგა ლიჩქუმოხადილი. კლდეებზე დაენარცხა ის ცავ ქარიშხლიანმა ღამეთ ბატარა იგი ხოიმანოსავით და ნაპირზე გამოსროლა ფერდშეცვლილი გემიდან ისე წამოვიდა ნახშირის ღვარი, როგორც შავი ჩირქი გაჭრილი იარიდან.

## 1. ნერეა

სამზარეულოს კუთხეში, ღუმელთან კნუტები თბებიან. ნეტავ რა დაუშავეს დედას, მათი მოცილება რომ უნდა? დედა ჩემზე ამბობს: ამ ცინცლიანი გოგოს რაც მოეპრიანება, ეკლავერს ხომ არ მიყუჩრულებ. კნუტები დღეში ორჯერ რძეს შეთქვლევენ. მთელ ფინჯანს გააცხებზხო.

ერთი კნუტი თეთრია, სულ თეთრი; მეორეც თეთრია, მაგრამ შავხალებიანი; მესამე ზღვის ნაპირზე შეგროვილ ნახშირივით შავია. ისინი ხომ მაწანწალა ბიჭებმა მჩუქეს, მას შემდეგ რაც პატარა კნუტები შინ მოიყვანე, ჩემს ოთახში კუთხეში ყურადღებისთვის ... თათ-თათით ცეცხლის მოათრია ისინი. დედა გაბრაზდა, დაუძახებს, კნუტებს ყელზე ქვებს მოაბამენ და ზღვაში გადაყრიან.

— გაბრაზდება მაიკოს ნუ თამაშობ, — შეუბრუნებს დედა. — შეგაჯავრებს. ჩვენ კი სულ ერთი არ დაგიტოვეთ.

კნუტები ერთი საშინაოსაც არ იმორჩილებიან, თითქოს ჩემი ლაპარაკი ესმით. შავმა კნუტმა ფეხსაცმელი გამიფხაჭნა. თეთრი დედა რომ არ დაუჯახავს ის, ახლაც მეგი კნუტი იატაკზე გაიჭიმულა, თათები მაღლა აუწევია და წინხქილის ... აქნევს. სამივენი ბებიას ეკუთვნიან კოტრიალობენ. ბებია ბრაზობს, მაგრამ მაინც ერთი წუთითაც არ ანებებს თავს საქმეს. იგი ძველ, დახეულ ტილოებს აგროვებს. მამა და ბიძები ჩამორჩენილ გემის სახსიაგელ რომ წავიდნენ, ბებია მათ დაჯდა დახეული ტილოების დაკერებელად. ...

— ნუ მაიხრობ, ბებერო, — აბუზღუნდა ბებია და თავის წიწვილ საკერძელს თითებით შემოაჭდო. — ცეცხლ ნაპირიდან? სულ კლდეებზე, ნეტა ამ ზამთარს ცეცხლებისგან არ გაყინავთ-შეთქო. როგორი მამაცია, რომ წინადღე ქალწულმა მეშინია ჩემი ვედრება. ... რომ ალოს კიდევ...

დედა ღუმელთან ფუსფუსებს, კაჩამის ამზადებს. წინდასაქსოვი იმას ვევაზე აქვს დაგდებული. მეც მინდა რამე დედასავით დავეხმარო, მაგრამ დედა ნებას არ მაძლევს. მისი გრძელი, გამხდარი, ძარღვიანი ხელები წუთითაც არ ჩერდება. ხანდახან ამდენ ქურჭელს წამოკრავს ერთბაშად, გაგვაკვირვებს. დედას ყველაფერი ემარჯვება, რადგან მთელი ხილოცხლე ღუმელთან ტრიალებს. განა არ ვიცი, ახლა რასაც ფიქრობს, ვიღაცამ უნდა გამოიგზავნოს და კნუტების დასრჩობა დაავალოს.

კუთხეში, ფანჯარასთან, გახვეული პატარა მაგიდას და კაზრუნს ტენის. მაგიდაზე

ლოსატენი მანქანა უდგას. უკვე მთელი ხაათია თავი არ აუწევია. კოხმეში მაშინაც არ მიატოვა მუშაობა, როცა თითში თავით ფეხამდე გალუმპული ძია პედრო შემოვარდა. ერთი გულგრილად გახედა, და ეს იყო. ახე მუშაობს იგი მუდმივად, ხაათობით, მაგრამ მე მისი მბეზრდება მისი ყურება. მითლოდ ხმარ-ხმარად გადახედავს ხოლმე კნუტებს და მერე ცქერით კრებს. რაც უნდა იყოს, კნუტების ყურება მირჩევნია კოხმეს და მისი ... ცქერას.

აი, კნუტები მხიარული ძაფის გორგალს ეკიდნენ. ამ ძაფით ბებია ტომრებს აკერებს. კნუტები გორგალს ჰგორაობენ და ძაფს ხლართავენ. „ღმერთო! ღმერთო!“ კვნესის ბებია, ძაფს ჩაავლებს ხელს და ლამობს კნუტი დაიჭიროს. კნუტს კი ჰგონია, ეთამაშებაო, ზურგზე წვება და თათებს მაღლა იშვერს. ბებია ჩაღიმიანს ჩიფჩიფებს და ... იყურება. განა არ ვიცი, ბებიას უნდა ლუდარმეს შეახსენოს — მახაც ეჯავრება კატები — არ გადაიფიქრო კნუტების გადაყრაო. ... კი რძის ბრალია. ბებიას ეშინია, კნუტები რძეში არ შეგვიღრონ-ვეცა, დედამ რომ ხიხარულით, კნუტებს სიამოვნებით მიახრჩობს. ო, რა გულიანი ქალია!

## 2. კოხმე

უკვე ოცდამეორე კვირა დავდივარ, მაგრამ მაინც თრთოლა იცის ხავსიანზე ხწორედ ამქენა ეტყება. ფანჯრები ხაკლებმა ერთ რიგად, თვალთვალით ბუდეში ერთმანეთს მიყოლებით ჩამწკრივებულან პატარა მაგარი კედლებივით. მიყვარს დღეში ხმაური, როცა იგი მაღლიდან ფანჯრებს ეცემა და ლეწავს, თითქოს ხიცხლიანი დოლუქე, თითქოს ხიცოცხლე ამოაქვს. აი, შვლტების რახარუხი კი ბაბუას კუბოზე ახლაც შემზარავად ჩამესმის, ხოლო ფანჯრების ლოსატენი მანქანის კაკუნი, პირიქით, გულს აზარებს. ფანჯრები კვარცხლეფში ... ხელჯვებიცით, ოღონდ ზემოდან არეული ეურჩინება. ხველებაც ხომ უფრო ლამაზია, როცა მათ არაფერი ეურჩიობა.

მაღლა ხხვენზე ფერმინი ნავებს აგებს. თითქმის იხეთივე, თვგე ფეხი არ მოუცვლიაო ... ნავებს მარტოდმარტო აკეთებს, აკეთებს და ამტვრევს, აკეთებს და ამტვრევს შეშლილივით, შემდეგ კი დამტვრეული ნავის ფიცრებიდან ახალ ნავს აოწყობს. მთელი წელიწადი ნავებისათვის თვალებს ჭერს არ აშორებს. ახლაც ყველა კასრისათვის კარტოფილს ფცქვნის და მაღლა იცქირება. ფერმინის ამბავი მარმან დაიწყო. სან-სებასტიანში ნავებით შეჯიბრების შემდეგ, ხადაც ჩვენი სოფლის — ალგორტას ნავმა გაიმარჯვა. ფერმინი იმ ნავზე ერთ-ერთი მენიჩბე იყო. ფინიშზე სან-სებასტიანის ალკალდმა პირველ მენიჩბეს გამარჯვებულის თასი გადასცა, ხოლო სხვა მენიჩბეებს გულზე მედლები დაჰკიდა. იმ ღამეს, სოფელში რომ ბრუნდებოდნენ, ხანაპიროზე მდებარე ბარში ხადღესასწაულო ვახშამი მოაწყვეს, ვახშამზე ფერმინი ყველას ულოცავდა და ხალხთან ხახელოვი თავის მედალს აწრიალებდა. მეორე დღეს კი ისე შეიცვალა, ვეღარ ვცნობდი. მთელი დამე არ ეძინა, დილით სხვენზე ავიდა და ნავების კეთება დაიწყო. დაჯდებოდა ნავს და ხელადვე ამსხვრევდა. წინათ რა საქმესაც ხელს მოჰკიდებდა, გული ეურჩებოდა. იმ ღამეს გათენებამდე ღრიალებდა. დედაც ტიროდა, ვიდრე მამამ არ გაიხუმრა. როცა ფერმინს შეეძლო ეთქვა, ნიჩბების მოსმა მაინც შემძლებიაო, ხწორედ მაშინ ავიდა ხხვენზე. ვითვით ფიცრებს აოწყობს და თანაც ხლეკავს.

ბებია კი ტომრებს აკერებს და აკერებს. ბეც თვალებთან ახლოს მიაქვს ხაკერავი; ვერარიფერს ხედავს. თუმცა ხათვალეს ხმარობს. უკვე ოცი ომეუ ტომარა დააკერა. გრძელ ნემსსა და ხამ ძაფს ხმარობს, კერვას დროს ისე იკუზება, გგონია, ნემსს უცაბედად თვალში იკრავსო. ენიც გამოუყვეია. ხანს ძალა აღარ შესწევს, მაგრამ მაინც კერავს და კერავს. ყველამ კარგად ვიცით, ბებია მანამ არ მოისვენებს, ვიდრე დახეულ ტომრებს მთლიანად არ დააკერებს. ხვალ ხანაპიროდ მივდივარ. ჩემი იმედი ნუ გექნებათ, არ წავალ და გალერაზე ნახშირის მისატანად.

## II

მახსოვს, შენ მამასა და ძია ფედერიკოსთან ერთად რომ ბრუნდებოდი, მეც მათსავით თავზარდაცემული და წინ წახრილი მივდიოდი. თითქოს წვიმის ჭიდილი უნდა გაემარჯვა. უკუნი ღამე იყო. ჩავუარეთ ვზისზერა მიტოვებულ წისქვილს. ვინ გინა ხედავს ხარიხზე ჩადიოდა და

მერე ჩვენი სახლისკენ უხვევდა. ქარიშხალი და თქეში ერთი წუთითაც არ ცხრებოდა, მარიხახეშა უმოწყალოდ გვცემდა. მამამ ტყუილად კი არ მითხრა, ჩემ უკან იარეო. ვშიშობდი, მია შედრიკსავით ქარიშხალს არ წავეყვანე.

ჩვენი სახლი ძველი იყო. ხავსიანზე მეტი ჩინჩაც იქნებოდა, ასე ამბობს მამა. ბაბუასა და ბაბუის მამას ეს სახლი თავისი ხელ-ბოსტნითა და ნაკვეთებით, ასე ვით შუშაბანდით (ზუსტად მხოლოდ მამამ იცოდა ფართობი), მეტირე ფასად ეყიდა იჯარით. სახლის ნახევარი ჩვენი საცხოვრებელი იყო, მეორე ნახევარი — ბოსელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჯანზე ფეხებით და ტყვიასავით დამძიმებული ფეხსაცმელი გავიძვრეთ. მამამ ოთახის კარი გამოაღო. აქედან სახლში სითბო და მოხარშული კარტოფილის მადისაღმძვრელი სუნი გამოვარდა. დედამ ყველაფერს თავი მიანება და პირდაპირ ჩემკენ გამოქანდა. თავი ვერ შეიკავა, მე რომ დამინახა, ტუჩები აუცახცახდა სიბრალულისგან. თვალის დახამხამებაში ლებადა გამხადა, კარიდან ჩამოიკავა, მერე სამზარეულოდან გავიდა და დაკემსილი მშრალი წინდები მომიტანა.

— ბავში ბედარში გარეთ არ უნდა გასულიყავი, — მითხრა დედამ და მამას მიუბრუნდა, — თქვენ გარეთ და გალეზზე ცლბით არავინ ავიდოდა.

ის იყო პირი დავაღე საპასუხოდ, რომ მამამ დამასწრო:

— ხსვებიც იყვნენ, — უთხრა და ხელი თავზე მომისვა, — ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ ისევ დაბრუნდებიან ნაპირის წასაღებად.

ბებიამ უკმაყო პირი აიწკლიპუნა. დედამ ჯერ მე გადმომხედა, მერე მამას.

— იმაც წამოვა, — მამამ ჩემზე ანიშნა, — ოთხნი წავალთ. თუ გვინდა მთელი ზამთრის სამყოფი ნაპირი მოვზიდოთ, ყველანი უნდა წავიდეთ. იფხიზე, რომ ბრუნი ჯარშია.

იმ მხრიდან, სადაც კოსმე იჯდა, მსუბუქი ხმაური გაისმა. ყველანი მისკენ მივბრუნდით. კოსმე წამოდგა და უხმოდ გავიდა სამზარეულოდან. მალე სანადირო თოფით ხელში დაბრუნდა. კედელს მიაყუდა, თოფი მუხლებში მოიქცია და მამას შეხედა — არა, კუშტად და გამომწვევად კი არა — მშვიდად, ცოტა დაცინვითაც კი. ერთი წუთს ისა და მამა ერთმანეთს უხმოდ მისჩერებოდნენ. ამ დროს დედის ხმა გაისმა:

— კოსმემ მიაგოა.

სწორედ იმ ხაღამოს, გახმენობისას, მაშინ ყველა მიახვედრა, რომ მე პატარა ბავშვი კი არა, მოწიფული კაცი ვიყავი. მან უბრალოდ თქვა: „ისმაელი შეძლებს ჩვენთან ერთად მუშაობას". დედამ დაკვირვებით შემომხედა. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მივხვდი, როცა მე თვითონ მოვეკიდე ოჯახს, რომ დედა მაშინ ჩემს ზედა ტუჩზე ახლად ამოსულ ღინღლს, მხოლოდ ჩემს გამხდარ, ბავშვურ ხსეულსა და უმწოდ გამოჩრილ ძვლებს კი არ ხედავდა, ავა თავისივე თვალით ხომ ვერ მხედავდა, რაც უკვე გამოარჩევდა ერთმანეთს და იმ გარდაუვალ გზას ჭვრეტდა, რომელიც მე უნდა მევლო, როცა ბავშვობას გამოვეთხოვებოდი. ფიქრებში წასულ დედას უნებურად აღმოხდა:

— ჩქარა მიირთვით კარტოფილი, რომ გაცივდება, — მერე ტაფაზე თბილი მჭადი გადმოაბრუნა და აღელვებულმა დაუმატა: — საწინელი ღამეა. სიცივე ახლა წყვდიადში ნაპირზე წასვლა.

— ჩვეულებრივი ზამთრის ღამეა, — ჩაიცინა მამამ და ბიძამ ხელი ფინჯანი თავისკენ გაიწია. — ხომ არ გვიწყრი, დედაკაცო, მთელ ზამთარს გაზიდავენ.

კოსმემ თავი ოდნავ გადაქნია, როცა დედამ რძე და თბილი მჭადი შესთავაზა, და სკამზე მიყუდებულ თოფს გადახედა.

— ჯერ ჩვენთან წამოსვლამდე უარი იტყვის. ჩემი შვილი კი არა, ლუკმაპური ეძებს, ნუ არაფერს, — თქვა მამამ.

რამდენი ფინჯანიდან ხელი არც უხლია, ისე წამოდგა კოსმე და იმ მაგიდის მოშორებით, სადაც ჭრილები ეწყო, თოფი ხელით გაკრიალებულ თოფს ჩაავლო, გულში ჩაიკრა.

— ეს „ბიძა", უკითხით? — თქვა მან და სიცვარულით დახედა თოფს. მზის აღმოსავლეთისაკენ ავიღებთ უკლებლივ. — მთელ ალგორტაში უკეთეს თოფს ვერ ნახავთ. მთელი ოთხი თვე ისე ვიმუშავე ქარხანაში, კვირა დღესაც არ დამისვენია. რამდენი თვეა ამ დღეზე ვოცნებობ, ხვალ პირველად ვარ თავისუფალი, თან თოფიც მაქვს... ქარიშხალიც ჩემს ბედზე ამოვარდა. ჩიტები ცოტა ხანს დააყოვნებენ, ვერ გადაფრინდებიან სამხრეთ ქვეყნებში. ახლავე უნდა დავიძინო, რომ ხვალ დილით ადრე ავდგე.

კოსმეს ამდენი არასოდეს ულაპარაკია. დედამ მამას გადახედა.

— ხვალვე ადრე ამინდში მინდიან გასვლა, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

— ურჩევნია დაგვშორდეს, — თქვა მამამ, ცოტა ხნით დადუმდა და ოლაყები მოიფშვნიტა, მეგობრად ლოდინის. ეს ჩვენთვის კარგად ნაცნობი მოძრაობა იყო. ვიდრე კიდევ დაიწყებდა, მამა რაღაც ხვდებოდა, თითქოს არც უსმენდა ურემი და ღრიანცელი ხარები.

— შეკვეთილი ნახშირი ტომრებში ჩაყარეთ, თქვენი და ჩემი სახლ[illegible] ბიბლიოთეკა და ისე ამოვზიდოთ. ხანიოდე გზის გავაკეთებთ, — შენიშნა ძია პედრომ.

— არა, — შეეპასუხა მამა, — ერთბაშად უნდა მოვზიდოთ. კარაბინერები ლოდინს კი არ დაგვაცდიან.

— ის გემი, ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ კლდეებზე რომ გაირიყა, ჩვენ ხომ ისე გადმოვტვირთეთ, კაცისშვილს ხელი არ შეუშლია.

— ჩვენ ბევრი რამ არ გაგვეგება, — ჩაილაპარაკა მამამ, — ზოგჯერ გემის მეპატრონეები ხელს აძლევენ გემსა და ტვირთის გადარჩენა და ამიტომაც თავიანთ ყულადადებას წყალს არ გაატანენ. მაგრამ ზოგჯერ გემის მეპატრონეებისათვის უფრო ხელსაყრელია ყველაფერი ზღვაში შთაინთქას. სადაზღვევო კომპანიები ზოგჯერ თვითონვე აგზავნიან თავიანთ კაცებს შემთხვევის ადგილას, რომ გაიგონ, რა მოხდა. როგორც ეს გაიძვერები იტყვიან, სადაზღვევო კომპანიებიც ისე მოიქცევიან: გემის მეპატრონეებს დაღუპული გემის საფასურს ან გადაუხდიან ან არა. საქმეს, როგორც უნდათ, ისე მოაბრუნებენ კუდას. მათ თეთრად გაასაღებენ, თეთრს — შავად. ამიტომ ადვილი არაფერია. პედრო, ღმერთმა იცის, მოკლედ თუ არა ახლა კარაბინერები. თუ ისინი ამჟამად ინგლისური დამსხვრეული გემის ტალღის არ ტრიალებენ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ადარ მოდიან. ყველაფერი ქაღალდზე დამტკიცებული, ქაღალდზე კი რაღაც სწერია. არც მე ვიცი და არც შენ. ამიტომ ქვეყანაც რომ დაიქცეს, ნახშირს მასტანად მაინც უნდა წავიღოთ. მანამდე კი ურემი უნდა ვიშოვოთ.

— ჩვეულებრივი ზამთრის ღამეა, — ჩაფიქრებულად თქვა.

### ვ. ხ ო ხ ე ფ ა

ხახახმა ახმეული გემის ხანხალზე წაიყვანა, ორივე ძროხა ისე მე გამიხდა მოხაწყენი. მშიერ ნაღვლი მოვხადე და ფერმინის ქოთანში ჩავასხი. ქოთანი და ალუმინის პატარა ქვაბი ფერმინისათვის ვიყიდე.

ქვაბში კარტოფილი ჩავყარე, ზემოდან მჭადის ნატეხი დავადე, ფინჯანში რძე ჩავასხი და სამზარეულოდან გავედი, თან ძარღვ ეცქირება, ამ შეჩვეულ ქოტებს ფეხი რომ არ დაადგა და არ დაეცეს-მეთქი. ნერგებს კი ჰგონია, ყურ დავინახე, ნახევარი ჭიქა რძე რომ მას დაუტოვა.

ავდიდან ნაპირზე. ფერმინი პატარა ნავს დასტურებს. წვრილი და მსუბუქი ფიცრებისაგან შეკოწიწებულს. გარეთ ქარი ლაპარაკობს გამთენებით და კრამიტს აფრიალებს. სხვენში წვიმა ჩამოდის.

ფერმინი ჩუმად მუშაობს, თუმცა ისე იქცევა, თითქოს კარგად იცის, რასაც აკეთებს. არაფრით ნავის კიდეს ვერაფერს ხედავს. ხან ლურსმნებით ფიცრებს საყრდენზე ამაგრებს, ცალ თვალს ჭუტავს და ნავის ქიმს ზომავს. ხან ფორმას ამოწმებს. მერე ორივე ხელით ნავს ეალერსება, გაშალაშინებულ ფიცრებს სათუთად ეხება. ამ დროს მარჯვენა გაუცოცხლდება ხოლმე, აწრიალდება კი უძლება — ჩამოკიდებული ყბა ხულიგნურად ბღერ უტოკავს. მის ოდნავ ... ნავს ხრინწიანი კვნესა სწყდება. ეს მისი გულის კვნესაა, გულის სიღრმიდან მომდინარე კვნესა, რადგან თვალებში ცრემლით არაფერი ჩანს. მეორე წამს კი ხიშტივით იყვირებს, წინანდელზე უფრო ეალერსება, ორივე ხელით აწყობს, ნაფოტებად ქცევის დღე მთავრდება პატარა ნავს, სანამ დაშუშხული ხელებიდან სისხლი არ დაედინება. „ფერმინ, შვილო!" — სასოწარკვეთილი ყვირის და ისიც მაშინვე მაშინვე კაბალოები და ეხმაური წოლდება.

ფერმინმა თავი რომ მაღლა გამოიშვირა, ორი კვირის შემდეგ სოსხი ჩემთან ერთად ჩაიდა ხმელზე, რათა ფერმინი ეძებდეს მისი ჩამოსულიყო. ფერმინი მაშინ პირველ ნავს აკეთებდა. იქვე, ხალის კოშკზე ეშინა. „რატომ არ ხმაურობენ?" ჰკითხა მამამ და ძალიან შეხედა. ფერმინმა არაფერი უპასუხა, თავი ასწია. შეხედა კია? განა ირგვლივ რამეს ამჩნევს? ფერმინი მამაზე ბევრად მაღალია, ტუჩებგანიერი და ღონიერი. მაგრამ ლონდლო კიდური ხელი აქვს, დანაოჭებული. მაუჭამი მკერდი და ცალი ... წინ წამოშვერია ზორზოხა ქალივით, ხალათში ვერ ეტევა. ხახახმა ხელი ახწია და ხახეში გაარტყა.

ორივე ხელით სცემდა გაშმაგებული, ასე სცემდა, ბიჭს ფიმფლო, ჩამოკიდებული ლოყები უსახურდებოდა, მანამდე სცემდა, სანამ კვილით არ შეეშვა კახაშეელებლად. ხაბანი შეჩერდა, ხელები ძირს მოწყვეტით დაუშვა, მძიმედ სუნთქავდა. ფერმანი არც გაბრაზებულა. მას შეეძლო მამა ერთი დარტყმით ძირს დაეცა, მაგრამ მხოლოდ შემზარავი კვნესა ამოხდა და ლიმანი აუკანკალდა. „არა", თქვა მტკიცედ. ცხადი იყო, მას არ შეეძლო ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ბებია

წმინდაო ქალწულო მარიამ, გაიხსენე, ბაგაში მწოლიარე შენი შვილი სიცივისაგან როგორ კანკალებდა. „ძმერთისა გამყვლის, დედაო ღვთისაო..." ხისვავე ფერმანს ვახშამი აუტანა. ხაბანი, პედრო და ასისკლი წავიდნენ. კოხმე თავის ოთახში წმენდდა. ნერეაც სამზარეულოდან ხალიაც გაქრა. ვლავდა, ღუმელთან მიკლანდახებ, რომ ნახშირი შეუკეთო, ამას მონარჩენი, რაც იმას წინათ სანამომისი შეაგროვეთ. ოჰ, ასეთ ლოცვებმა როგორ გვეითოგება. ამ ხნისა მოვიყარე და ასეთი ცივი ღამე არ მახსოვს. მოიგონე ძირქვების დაძენა. მადლობა შენ, ღმერთო, რომ ჩვენს ნახშირით ნახშირით დატვირთული ეტლი მოაცურე! მათ რა იციან, ოთხმოცდაშვიდი წლის ქალისათვის რა არის სიცივე. ვიცოდი რომ იწყებდი, ახლ მეგონა, ღმერთო მაშველობს, სიკვდილი სიცივისა მგავს, ჯობდა რომ გაგუდულიყო.

ოჰ, როგორ მძულს სიცივე! ღუმელისკენ ვაწოდებ სავარძელს და ფრთხილად ვჯდები. კოხმე სულ მპარავს, შენს დანჯღრეულ სავარძელს შეეჯახები. ერთხელაც იქნება დაამტვრევს და იატაკზე ნარცვანს მოვადენ. ჩემთვის არავის ცხელა. იმის ნაცვლად, რომ სავარძელი შეუკეთოს, კოხმემ თავისთვის ძვირფასი თოფი დაითრია. ღმერთმა დასწყევლოს ეს თოფი! ზვალ კოხმე ხანადიროდ გავმურება, ნახშირის მოსატანად კი არ წავა.

„...მოდი, გულმოწყალეო, მაშვრალთა ქომაგო, სასოწარკვეთილთა იმედო, ქალწულო მარიამ..." აი, კნუტები მეპარებიან, კრუტუნებენ, ბრჭყალებით ფხაჭნიან იატაკს. ერთი კნუტი ამ ტომარაზე მოძვრება, ხელში რომ მიჭირავს. „...ილოცე ჩვენთვის, დედაო ღვთისაო, წმინდაო მარიამ..." ნემსის წვერი სინდისის კნუტის ბეწვს ედება, მაგრამ კნუტი ყურადღებას არ აქცევს ამას. ღმერთს თუ არ სურს, რომ კნუტს ვუჩხვლიტო, მაშინ იგი ხამულებს ან ძირს ჩახტეს ანდა ოდნავ გვერდზე გაიწიოს. „...და ჩვენი ცოდვის იქმის მაგრამ მოწყალე ხასხლებს სახსოვრებზე, ჩვენო ქომაგო დედაო, იყავი ჩვენ მიმართ გულმოწყალე..." ერთხელ კიდევ ამოძუყარე ნემსი, მარჯვნივ გადავწიე და კნუტს ვუჩხვლიტე. ეგ ხაზარული კნავილით ძირს დაეცა და იატაკზე გაგარდა. „...ამინ".

5. ნერეა

კალათში ან სხვაგან სადმე უნდა დავმალო ჩემი კრუტუნები, თვალში რომ არავის შეეჩხიროს, თორემ წამართმევენ და მოკლავენ.

6. ბერტა

პედრო მის ბრუსებში და მკლავებში, ვეშზე მარილიც ნახშირი ყოფილა, ახლაც ხახახხისან ერთად სამოვარზე წავიდნენ. იგი ერთიანად სველია. ქურთუკის ჯიბიდან ღვინის ბოთლი ამოიღო და ერთი ყლუპით დაცალა.

მე მის მეფის მარტო ვარ. სამუშაო დღეებში იგი დილის ექვს საათზე მიდის, რომ ქარხანაში შვიდზე იყოს. საღამოობით კი ჩვეულებრივ სამსახურში „იოსის ბარში" შეუხვევს ხოლმე და მხოლოდ შუაღამისას ბრუნდება. სრულიად მარტო ვარ, როგორც ჯალდამაში. ხმას გამცემი არავინა მყავს. მაგრამ ყველაფერს ვიტანდი: მის უხეშ ლანძღვას, ღვინის გულისამრევ სუნს, ჩათითხნულ ხელებს, ამ კულის გამაწვრილებელ ცხოვრებას... ოღონდ შვილი მყოლოდა. იცხრათი წლის შინამეგრიბ პედროზე გავიხოვები მხოლოდ იმიტომ გადავწყვიტე, შვილი მინდოდა. მეგონა, პედროს თუ არ წავყვებოდი, ცხოვრებაში ამ იმედსაც დავკარგავდი. მაგრამ პედრომ ის მცირედიც ვერ მომცა, რასაც მისგან ველოდი. არა, ვიცი, ჩემი ბრალი არ არის. ექიმთანაც ვიყავი. მთელი წელი მეხუთე სართულზე ვადებდი, ვიდრე მეზობლის

ქალმა არ მოიხურა, ეს ფული გეყოფა, ექიმთან რომ წაბვიდეთ. ექიმმა გასინჯა, თურმე პეტრო ყოფილა დამნაშავე. „სვამს?“ — შეეკითხა ექიმი. „დიახ“, — მიუგო [illegible] წლისაა?“ „თოთხმეტისა“. „რამდენი იყო, როცა დაქორწინდით?“ „თვრამეტისა“. — [illegible] სვამს?“ „ბევრს“.

ადრეც მეზობლები ეჭვობდნენ, ლოთი იქნება ქმარი. რომ დავქორწინდით, [illegible] თავს იკავებდა, მერე კი ძველებურად გაუტია. მის დას ხუთი შვილი [illegible] რამდენიც გაუხარდება, იმდენს გააჩენს.

პეტრო მეკითხება მის ლუკმას არ გიჩივი, ხომ არ გაქვსო, წამალი უნდა. „მძიმე საქმეთ მელის, ასინულია, სამსახურია“, — ჩუმჩუმა.

ერთადერთი ნუგეშად ისაა დამრჩენია, რომ საბრალო ხისხეტიც ჩემსავით ჯვარცმულია. პეტრო მართალია, როცა ამბობს, შვილები რომ გვყოლოდა, სხვაგვარად მოვექცეოდით. „საბასა ჩუმჩუმად მაკოცა, საბანაკ შვილების სიყვარულიც ვერ ძალამა. მრავალს გარდა სხვა არაფერზე ფიქრობს.“ — ამბობს ხოლმე. არ ამ საბრალო ჭიაჭუჭანტ ფერმინს არ იყოთხავთ, ხსენიდან აღარ ჩამიდის; არაფერია მაქნისია. მხოლოდ ჩიხეში მოხმა იცის ხვეწნალა. თუ ხომ დავავიწყე, ფერმინზე არახოდეს ვფიქრობ.

პეტრომ ტანსაცმელი მთლიანად გამოიცვალა. სიცხეებიც კი სამზარეულოდან გხედავ, ნაწოლზე გაიშხლართა.

— როცა ქუჩაში მოხუც ლეკუმბერის ფურგონი აჭრიალდება, მაშინ გამაღვიძე, — მეუბნება და იძინებს.

თუ არ მინდა გავაბრაზო, ფერმინზე არ უნდა ვიფიქრო.

## III

არავისთვის საიდუმლო არ იყო, მოხუც ხუანონ ლეკუმბერის რომ ყველაზე ძველი ურემი ჰქონდა არა მარტო ალკორტაში, არამედ ახლომახლო სოფლებშიც, ტლინქი, უზარმაზარი და მძიმე ურემი, თითქოს საგანგებოდ გაკეთებული ბუმბერაზი ხარებისთვის. ლეკუმბერი ხანაზიროდან ხილს ეზიდებოდა და ბოსტნეულს ნავსადგურამდე ამარაგებდა. მაგრამ ახლა უკვე აღარ შეეძლო ზღვისპირა ფერდობზე ხარების არხეინი ყვირილით და უშვერი გინებით, ახლა იგი ურემს ქალაქიდან თავის ბინამდე [illegible] დამძიმებული შემას გადმოსაზიდად აქირავებდა და, თუკი სახარების ტყავის გაუვლიდა, თავადაც გაზრდილი ხარებით ბევრი ლამარაკი უყვარდა, მაგრამ არც წინდახედულება და გლეხური ეშმაკობა აკლდა. დამტვრეული და ხანძარი იყო თუმცა მაინც არ აღარის ღმერთმა, მაგრამ თავს იმ ძირის ხარის მამაც თვლიდა, ძველიდან გამქისაა ძველ ბოსელში რომება.

მამა, რომ გარდაიცვალა, ხუანონ ლეკუმბერიმ მემკვიდრეობით მიიღო ძველი სახლი, ხელიც მას შემდეგ მარტოდმარტო ცხოვრობდა. ამბობდნენ, საქმე ისე გარიგდა, მოხუცმა მამამ ანდერძში წვრილშვილის პატრონ სამ ვაჟიშვილს არაფერი დაუტოვაო, სახლი და მიწები მხოლოდ ლეკუმბერის დარჩაო. ამბობდნენ, თითქოს ხუანონ ლეკუმბერის მეგრელის თანდასწრებით მომაკვდავი მამის სარეცელთან დაეფიცა, მიწებს ნასყიდობის გავყიდი და ძველებური ფულით შენი სულის საცხონებლად წირვას გადავიხდიო. როგორც შემდეგ გამოირკვა, მემკვიდრემ საჭიროდ ჩათვალა მხოლოდ ორი ძველი შვეტარი მიწა გაეყიდა და ახლა მუნიციპალიტეტს მიჰყიდა. ზოგი გვიან კი ყველამ გაიგო, რომ მუნიციპალიტეტს თურმე დიდი ხანია გადაეწყვიტა ეზოს გაყვანა სწორედ იმ არა მეახედ შვეტარზე და ხუანონს, უნდოდა თუ არ უნდოდა, მაინც მოუწევდა ამ მიწისთვის განთავისუფლება.

ამრიგად, მამისეული ლეკუმბერის სახლის კარზე დააკაკუნა — ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. შემდეგ კი მოურიდებლად დაარახუნა. მაშინღა მოისმა თითქოსდან შეურაცხყოფილი ხმა. მამამ უთხრა, ვინც იყო, და ხუანონმა კარი გააღო. ხანთელის მბჟუტავ შუქზე მოხუცი ლეკუმბერის ძალიან რომ ეკანა. მეტადრე ჩანდა მისი დაღარული, ნაოჭებიანი ფართო შუბლი, წვრილი, ფოსოებში ღრმად ჩამსხდარი ცოცხალი თვალები. ლეკუმბერიმ შინ შეგვიპატიჟა, მიუღებელ სამზარეულოში შეგვიყვანა და მაგიდასთან კერიასთან შემოდგა.

— ურემი აქაა, ბოსელში, — ჩაილაპარაკა მან.

მამამ ჩაღვინო დერი ხერხი ხათიმაში. ცოტა ხნის შემდეგ მეურმემ ისევ იკითხა:

— ჯერ არ წაუყვანიათ.

— ვის უნდა წაეყვანა? — შეეკითხა მამა

— კოფილ ბოუმანს, მოხუც ანტონსა და მის ვაჟებს.

ლეკუმბერი უხალისოდ ლაპარაკობდა, ერთფეროვნად ქლერდი მასა ჰქონ. ერთსა და იმავე სიტყვას ხშირად იმეორებდა იმ ადამიანივით, სიმღერას რომ აჰყვება, სიმღერის სიტყვები კი არ იცის. მერე მეურმე ტაბურეტზე დაჯდა, ზურგი შეაქცია და დინჯად შეუდგა თამბაქოს გახვევას. მამაც იქვე მდგარ ერთადერთ სკამზე დაჯდა. აქ უცოლშვილო კაცს არც ოჯახური ცხოვრება, არც სიძეები აწუხებდნენ და არც მოსაწყენდა, ამიტომაც ვერ იტყვით იმაზე, რომ არც არავის გამოუთქვამს მასთან ცხოვრების სურვილი.

— ჩემი საქმე არ არის, თქვენ როგორ მოიქცევით, — უთხრა მამამ, — იმდენ ნახშირს მოგცემ, ნახევარი მეტრის ზომიანზე დაეტევა მთელი ურემი. ეს ალბათ იმაზე მეტია, რასაც ისინი გთავაზობენ და რასაც სხვა ვინმე შემოგთავაზებდათ.

მეურმეს გრძელ თითებში უშნოდ გახვეული პაპიროსი ეჭირა. ქაღალდს ხორკლებივით აჩნდა თამბაქოს ნაფშვნეტი. მოხუცმა სანთლისკენ გაიშვირა ხელი, მაგრამ სანამ სანთლის ალს შეახებდა პაპიროსს, მამაჩემი წამოხტა და სამზარეულოდან გავარდა... მეც მამას გავყევი, თუმცა ვერ გავიგე, რა ხდებოდა, — სახლის მეორე ბოლოდან უცნაური ხმაური მოისმოდა.

ბოსლის კარამდე ხუთი მეტრი თუ არა, მამამ დაინახა, მისას ხელი ... პალტოს კალთებში ჩავჭიდე. დიდილი კაცი მაშინვე ვიცანი — იგი მოხუცი ანტონი იყო. ანტონი ცდილობდა ურემი ფართოდ გაღებულ ჭიშკარში გაეყვანა, — ხარები უკვე ურემში იყვნენ შებმულნი. ანტონის უფროს შვილს, შავ ლაბადამოსხურულ მრუდ ყმაწვილს, ხელში ფარანი ეჭირა, მაგრამ როგორც კი დაგვინახა, ფარანი იქვე დადგა და მამისკენ გაიქცა მიხამჩქარებლად. იგი მამაჩემს ზურგიდან ეცა და ხელები გადაუგრიხა. უმცროსი ვაჟიც, ჩემზე ექვსი წლით უფროსი, თავისიანებს მიეშველა. მამაჩემს ქამარში ჩააფრინდა. მოხუცმა ანტონმა კი სახეში ჩასცხიდა.

— არამზადებო! — დაიღრიალა ლეკუმბერიმ და იოლად მათ მოიცილა. ალბათ კარს ეძებდა. მამამ შეიგინა, ხელი გაითავისუფლა და ანტონის ერთი დარტყმით ძირს დასცა; ამაში ცოტა მეც შევეწიე მამას, რადგან მიწაზე ვეგდე და ორივე იმის ფეხებში ვიმალებოდი. მამამ ერთი-ორჯერ კიდევ მოიქნია ხელი და იმერიც მოიგერია, ხანჯალი წამოიღო. ურემისკენ მიიბიძგა, თვითონ კი წინ აეფარა.

ლეკუმბერიმ, როგორც იყო, კარი იპოვა და ანტონისა და მისი ვაჟებისაკენ გაემართა.

— არამზადებო! — დაიღრიალა. — მე ადრინდელ მკითხეთ! მთელი ხალხი რატომ შემაწუხეთ?

— რაც შემოგვთავაზეთ, იმ ფასად წაიყვანეთ ურემი! — ვირთაგვასავით დაიწრიპინა ანტონმა. ძირზე მლიერ წამოდგა და ფეხზე მოქცეული პალტო გაისწორა.

— ოდესმე ფასზეც ვილაპარაკოთ, წელს კი მექონდ უნდოდა წაეყვანა, — თქვა მეურმემ. ... ერთფეროვანი ხმით ლაპარაკობდა, მაგრამ ტუჩები კი უთრთოდა.

— გარეკეთ ხარები! — უბრძანა ანტონმა შვილებს. — ეხლავე, გარეკეთ!

მაგრამ მამამ ყველას დაასწრო. იგი ხარებისკენ გაიქცა და წინ დაუდგა. ახლაც რომ არაფერი მიეჭდა. მას მზად იყო მოულოდნელი ნაბიჯისთვის. როგორც ფიცხი ცხენი, ხრიალით გაცოფებისას დინჯად ... რომ ადგილ უცდიან და იოლად გაიქცევა ხალხის წინ. მასი უმრავი, უხეში ბირთვებით, მთელი ღამე-ღამის განმავლობაში რომ არ გაეშორა, გამოქანდაკებული მდგარი. მხოლოდ ფარნისა და მბჟუტავი სანთლის მკრთალი შუქი ... ამ სურათს მოსჩანდა. აქ მე ხელმეორედ დავეჯახე ლეკუმბერის, როცა ოროველი მამაჩემის ხმამაღლა ... ურმის ... ფიდრე მამამ ხელიდან არ გამოგლიჯა ხის მელი და სადღაც მოისრა. ბოლოს ... გადაახრილა. ხუანონმა ... გაახედა მამას. კარგა ხანს იდგა გაოგნებული, თითქოს ყველაფერი თავისთავად არ დამთავრდა. სამივემ მარჯვნივ მიტოვებული ... ჯერ შვილებმა აქციეს ზურგი, მერე მოხუცი ანტონიც მიჰყვა უკან ლანძღვა-გინებით.

მამა უხმოდ მიიყვა კედელთან, იქ მიყუდებული გრძელი ხარი აიღო და ხარებს წინ დაუდგა. უცებ ლეკუმბერი ურმის ჭაღს მიეყრდნო, თითქოს წვრილი თვალები უფრო მეტად მოწკურა და მამას დააშტერდა.

— უხარებოდ ბევრ ნახშირს ვერ მოზიდავ.

— რაო? — შეეკითხა მამა.

— ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ. მხოლოდ...

მერე მამამ მითხრა, იმ ღამით ლეკუმბერისთვის ყველაფერს მოველოდი. ასეთ ...

თავხედობას კი არა, მაინც მიყურადა მეურმეს, რა ხაფანგსაც გვიგებდა. მას სურდა სიტყვა „ურემი" პირდაპირი მნიშვნელობით გაეგეთ, თუმცა ყველგან და ყოველთვის ამ სიტყვაში ხარებშებმული ურემი იგულისხმება.

— ნუ გეშინია, ურემს ქვემოთ, კლდეებთან არ ჩავიყვანთ, — მშვიდად უთხრა მამამ, ყურადღება არ მიუქცევია ლეკუმბერის სიტყვებისათვის, — ხრამამდე მივიყვანთ ხარებს, არც მთაზე ასვლა მოუხდებათ, იქიდანვე გამოვბრუნდებით უკან.

— მაგრამ ნაპირზე შეგროვილ ნახშირს მაღლა ვერ აზიდავს, თუ გულდაჯერებული არ იქნებიან, რომ აქ ურემი გელოდებათ. ყველაფერი ურემზეა დამოკიდებული. ამიტომ კიდევ ნახევარი მეტრი ნახშირი უნდა მომცეთ. ისედაც არ მსურს ამ თანხაზე წვიმაში ხარები ლაფში ჩავახრჩო.

— ურმის ჭალები მეტრზე მაღალი არ არის, — შეედავა მამა, — გამოდის, რომ მთელი ნახშირი შენ უნდა მოგცე, მე კი მხოლოდ მაღლიდან დადებულ რამდენიმე ტომარას დავჯერდე. არა, მაგაზე თანახმა არა ვარ.

მამა ბოსელში შებრუნდა — წყალი ქუსლსა და მხრებიდან წურწურით ჩამოსდიოდა — ჩასრე თავის იდაყვის კედელზე მიაყუდა და ხელი დაიქნია, წავიდეთო. მაგრამ ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ ლეკუმბერი შეურიგდა (თუმცა მერე ეჭვი მეპარება, ნამდვილად შეურიგდა თუ არა), ხრინწიანად ჩაახველა და ჩაიბურტყუნა:

— მე ჯერ არაფერი მითქვამს ლელქაშისაგან დაწნულ ჭალებზე, რომ ჩავყოთ, ურემი ორი მეტრით ამაღლდება, ისე რომ შენთვის მეტრი გამოვა, დანარჩენს მე მომცემ.

— შენი ხარები ალბათ იმ ტომრებსაც მოერევიან, ზემოდან რომ დავაწყობთ ნახშირს, — მშვიდად უთხრა მამამ, ისე რომ ბრძოლის მოგებით გამოწვეული სიხარული არ გაუმჟღავნებია, და სახრე კვლავ აიღო.

## 7. კოხმე

მამა იამეყლთან ერთად ურმის ხმაურიანად წავიდა. ალვარიძეები, ვისაც კი გამბედაობა ჰყოფნის ასეთ ღამეში წყეული ნახშირისათვის ნაპირზე ჩავიდეს, ურმებსა და ხარებს ამზადებენ, და თუ საკუთარი არა ჰყავს, სადმე მოძებნიან. ვიცი, მამა ხელცარიელი არ დაბრუნდება, რასაც გულში ჩაიდებს, აისრულებს კიდევაც. მამა ვაზნების დასატენ მანქანასავითაა. საკმარისია აამუშაო, მერე აღარ გაჩერდება. ქვადორღიანი კედლის ფიჭვნარის ახლოს, ლაგუნაზე გაუტეხავი ყამირი იყო, გუთანი პირველსავე კვალში კატასავით ტყდებოდა; მწირი მიწა ყოველ ნაბიჯზე რიყის ქვებით და ლოდების ნამსხვრევებით იყო მოფენილი. მამამ ის ნაკვეთი გაწმინდა, ხელ მარტოდმარტო მუშაობდა. ჩვენ მისი ცინგლიანი გოგო-ბიჭები კი ქვებით გაწმინდა, კარტოფილი დათესა და მას მერედან ზამთარში აღარც ეშიმშილია. ალვარიძეები ამტკიცებდნენ, ხაზანს არაფერი გამოუვა, წაგებული საქმეაო. წინასწარ გადაიხადეს; როცა დაინახეს, მამამ მიწის პირველი ნათესი როგორ გაწმინდა, მიხვდნენ, დანარჩენსაც ახლავე დაამუშავებდა.

მამას პირდაპირ ვეტყვი, ნახშირის მოსატანად არ წამოვალ-მეთქი. თუმცა მასთან ურთიერთობა ძნელია, ისე შემოგხედავს, სიტყვა ყელში გაგეჩხირება: თვითონ ხომ თავის დაზოგვა არ იცის, ამიტომაც ყველაფერს კადნიერს; მუდამ თავაუღებლად მუშაობს, თითქოს შრომის გარდა ცხოვრებაში არაფერი არსებობდეს. ამიტომაც გვემორჩილებით და ვეღარ ვეურჩებით. მამის შრომა ლხინია, ჩვენთვის კი — სატანჯველი.

ბებია ალმაცერად გადმოგვხედავს ხოლმე. ჩემს თოფს გულდაგულ ქუშდება. ბებია ჩემს ხელში თვალს არ აშორებს, მაგრამ ტომრებს დაკერავს მაინც ახერხებს. იგი ჩუმად დაუშლიდა, რომ შეეძლოს ჩემი თოფის ხელში ჩაგდება, ცეცხლში გადაუძახებდა. ალბათ ახლაც აპირებს, თუკი თვალყურს არ მივადევნებ.

## 8. პედრო

ჯერაც მახეიროვს, თვალს ვახელ, თავი მისკდება. მერე სარკმლის ძირში დგას, ყურადღება, კვლავ ფეხზე მეგრებოდა: დილ-დილობით, სამუშაოზე წასვლის წინ, მუდამ ასე მადგაქში, თითქოს ხაგანაარად არ შეიძლებოდეს. ეგებ ჩემი ეშინია? ვგავ ისე ეზიზღება, არ უნდა თავზე ხელი შემახოს?

— ურემმა გაიარა, — მეუბნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰო, ჭრიალი მესმის. ავდექი და ფანჯრიდან გადავიხედე. ხიმესი ხარებს მიერეკება და ხარებს ფერდებში უტყლაშუნებს. წვიმა ნიაღვარივით ჩამოსდის ახედაც სველ ქუდსა და ლაბადაზე. ნაცრისფერ ბინდბუნდში რაღაც ამოუცნობელია, თითქოს უძრავი საგანია, მაგრამ კარგად ვიცი, რომ იხმაელი უნდა იყოს, თუმცა საბრალო ბიჭის ბედიდან აქ არაფერი ჩანს ლივინდში. ხიმესი როდი დაიჯერებს ამას, რომ იხმაელი მხოლოდ თოთხმეტი წლისაა. ყველანი უნდა ნახშირის მოსაზიდად გარეთის ეზოშია, სხვა მეილეებმა ურმითა არ წაიყვანეს, მაგრამ დიდად როდი დაინაღვლიანდება — თავად ხიმე ვეტყვის საქმეს გაიკეთებს. ამის გარდა სხვა არაფერი იცის ხიმესმა. ალბათ კმაყოფილიც იქნება. იხმაელის გარდა თუ არავინ გამყვება.

ბერტამ ტანსაცმელი მომაწოდა, ნაყიდი. სველი ტანსაცმელი ტანზე მეკვრის, სიცივისაგან კანკალებს და ბოთლიდან ღვინის ყლურწვა, რომ ცოტა გავთბე.

— გიყვარს ხმა, — მკითხება ბერტა, — ახლავ ძნელი საქმე გელის.

მძიმედ ვსუნთქავ. ბერტა ხაწოლი ოთახიდან გადის. რაც ვარ, ესა ვარ, მის კი არ უნდა ამ ამბავს შეეგუოს კი კუდიანი დაწყევლილი რომ იყოს, მეილი გაჯავრდებოდა, ეცებოდა გაიხდიდა და ჩემკენ გამოქანდებოდა, როგორც თავყვანის თვეში იცოდა ხოლმე; ჰო, კიბეზე ჩამომეკიდებოდა და ტუჩებიდან ღვინის წვეთებს ამილოკავდა.

## 9. ხოსეფა

ფარდულში შემოსვლისთანავე რომ შევედი, დავინახე, ჩვენები მოდიოდნენ, და ურმისაკენ გავიქეცი.

— ნუ გაიქცევი, — შეუძახა ხიმესმა, — დასველდები.

იხმაელს ლაბადიდან წყალი წურწურით ჩამოსდის. ბიჭი ცდილობს მხიარულად მომიწყოს თავი, მაგრამ ხომ ვიცი, ძალიან გაციებულა.

— ბიქებს ახლავე იქვენთან არ გამოვუშვებ, — ეკითხება ხიმესს, ბედროსთან ერთად თავისიმაზე რომ დგას და მიწნულ მაღალ ჭილებს ათვალიერებს. ჩემი თითქოს არც ესმის. იხმაელი სამზარეულოში შევიყვანე და გაიძრო ერთი ბეწვანი ცხელი ჩაი დაულია. თავისი ქამრის მოიხსნეს. შემდეგ ძველ გზის გამაცვლელი ხიმესი და ბედრო ისევ ურემთან დგანან, ჭილებს აეპანგარებენ აქეთ-იქით, მათ გამოლევითი აიღეს და რაღაცაზე ლაპარაკობენ.

— ფარდულში შემოდით! — ვუძახი მათ. — ხომ არ გაგიწყდებათ, რომ უბრალო მოკვდავები ხართ?

ხარები უძრავად დგანან, დროდადრო ფეხს ინაცვლებენ; წვიმასა და ქარს არ ეპუებიან; ზურგზე გადაფარებული ჩულიები ერთიანად დასველებულა და სულაც არ იცავთ ჩულიების გაცვეთილ ფოჩებიდან წყლის ნაკადი ლღვრად ჩამოდის და ჩლიქებთან გუბეს ქმნის.

როგორც იქნა, ნება ქმარი და ძმა ურემს მოშორდნენ. ფარდულს შეაფარეს თავი. მაგრამ ხიმესის მზერა მაინც არ შორდება ურემს.

— ბერგედან ჯაჭვით უნდა დავამაგროთ ჭილები, — ამბობს იგი, — თორემ ხამშამში ვერ გავუძლებს.

— მარეს სიმძიმეც დაუუმატოთ, ნახშირს ხელიდან დავყრით, რომ ტომრების დასადებადაც დაგვრჩეს ადგილი, — გაეჯავრება უფრო მხარს ბედრო.

ხიმესი სამზარეულოში შედის. მისი შეხედვითაც ვერ გავიგე, ხითბოში ყოფნა ხიამოვნებს თუ არა. ჩიკენიდან ფეხსანის ნაჭერს იღებს.

— კარი დახურე, ხოსეფა, — მიძახის ღვინო, იქნებ დახეულ ტომარაში რაღაც გადაიტანოს ურემს ნეშის.

ხიმესმა სამზარეულოში მყოფი ყველა მოავლო: იხმაელს, ბედროს, ჩემთამით მოიცავა თავისუფლად ნაცრის და თოფზე დაეყრდნობოდა კიბეს.

— ვინმე უნდა ავიდეს ხიდზე და იქიდან ჩოჩონები, ჯაჭვი და ბაგირი ჩამოიტანოს თოკით. ის კოჭოც გადმოაგდეთ ფანჯრიდან ძირში რომ წამოყრილია სასახლიდან, — იქვე ხიმესმა, — მე ძირს დავდგები.

კიბეზე წელში გასწორდა.

— მე უფლება მაქვს თავისუფალი დრო ისე გამოვიყენო, როგორც მინდა, — ყვირის იგი და გაბრაზებული თოფს გულში იხუტებს.

## 10. კადრი

მართალი რომ ვთქვა, ძალიან მინდოდა საბასის ეჭვები მამას გაეფანტა, მაგრამ რა გამოვიდა, ყველაფერი წყალს თავში ახალდება კარგა.

— რადგან დაგვპირდით, მოგვეხმარებით-მეთქი, — იღრინება კოხმე.

ახლ მგონია, ხოლოცა საბასის ხმა შემომესმის, ტელეფონი ხელ მიხვედ, მეშ...
გაქცევა, მაგრამ არაფერი მეუბნება. სხვენზე ფერმანი ფირფიტის მუქზე ჩაქრის ატრიალებს, პატარა პალიტრით სხვას კვერცხებს აჭედავს, დიდი ჭიქა არ აჭირდება ისიც მასწავლებს, რომ მისი სახელოვანი ჩალის ქუდიც არ ღირს.

ფერმანს ჭრელი ხალათი მოსცვია, ქალურ ტანზე მიუხდება. მაძმედ ჩარტუნით სურათქაქა, თითქოს ბალახით შეცვლილმოყვრილი დახრილთმიანი ძროხა იყოს, წვერზე მეძალი უბრწყინავს, ჩან-სებასტიანის ალკაპონემა რომ გადაწვა.

სხვენზე სამი სარკმელია, საიდანაც რკინის გისოსებია, ისე რომ თავს გარეთ ვერ გაყოფს.

— კოჭა მუხლს ხელმარჯვნივ დევს, ჩალაზე, — მაყვირის ქვემოდან საბასი, სარკმელში გადმოყოფილი. აბა, ხვალე.

უკან მოვიხედე, ფერმანი თავის საქმეს განაგრძობს, ყურადღებას არ მაქცევს, თითქოს აქ არც ვიყო. ზეგ? და კოჭა, მარმან თეძოწაღლიში რომ გამოვიტანეთ ზღვიდან ქვიშაზე, მერე კი საწყალის ზურგზე ვეცადეთ. კოჭა ახლაც სლიპია და სველი, ალბათ კარგა ხანს დაცურავდა ზღვაში. სიგრძით ოთხ მეტრზე მეტი იქნება.

დაბლა სამზარეულოდან კოხმეს ბრაზიანი ხმა მოისმის: „რატომ უნდა წავიდე!" მე თითქოს კიდევ საბასის გაქცეულ სახეს ვხედავ თავს ისე უჭერავს, თითქოს კოხმეს ხმა არც ესმის, არც მამამ შეუხედავს მხოლოდ, როცა ლაპარაკობს გვთხოვდა.

როგორც იქნა, კოჭა იატაკზე ჩამოვაგორე. ახლა ყველაზე ცალი მოლოთი ავწიე და სარკმლამდე მივათრიე, როგორც საბასმა მითხრა. წინათ შევძელი კოჭა იატაკიდან ამეყვანა. მაგრამ ხაჭვება ხელის გულში შემერჭო და კოჭს ერთბაშად ხელი შევუშვი კოჭა ისევ ლამაზად ფეხის იატაკზე დაეხეთქა.

წყეული საბასი! ის რომ არა, ამ ოხერი კოჭის გამო ახლა აქ არ ვიჯახირებოდი! მერედა, რა ლამაზ ამბავს! ძალი რომ არ მყოფნის, ალბათ ველოსიპედის გადავიტან. ალბათ, მთელი პალტოს ჯიბეში ლითონია.

ფერმანი კვლავ პატარა პალიტრას არჭობს. როგორ მინდა ვიხილო, რისგან მომეშველიყო, მაგრამ ქისა ჯიბის კალთის ხელი ფილმაფრიანად ტუჯრნებში, სამზარეულოებსა და მანდვრებში ამ ღამის ამბებზე ხმა-ბმას მოისმენია, უბრალო წერილმანიც არ გამორჩებათ, იტყვიან, კი ხომ იცი ან რას აკეთებდა ამ ქარიშხალში. ხელიც არ მინდა ფეხებს დაიწყონ, პედრო ერთ კოჭს ვერ მოერია.

— რაო, პედრო, ხომ არ დაგეხმარე? — შეხმიანა საბასის ხმა.

ეს წყეული ეგა! თუ ასე გაგრძელდება, თავად ამოვაგდებ და ამწევით კი ოხერი კოჭა. მო, საბასი კოჭს თვალყურს ადევნებს. რატომაც არა, ლონიერია, არა სუფთა, ბიჭი, მერტი რაღაც ფიქრობს, თუმცა ასეთი რამ არასოდეს დაცდენია: „შენ რომ მას ჰკითხე ახლა მამაკაცს ყველა ქალი ანდომებს". წყეული საბასი! თითქოს საიდუმლოში ჩახედულა არ იყოს, ერთი კოჭი რომ შეუმსუბუქა პედროს სხვა მკვლელს კი ჭირივით სძულს მამა... და მაინც ყველა ქალი ანდომებს! განა არ ვიცი, რისთვისაც იმეორებს ბერეტა საბასს!

— მე ჩემი საქმეები მაქვს, არასდროს თავს არ დავანებებ და ასეთ ღამეში შინიდან არ გავალ, — ყვირის ქვემოთ კოხმე...

როგორც იქნა, კოჭა აწიე და შეუძლოდ დავადგინე ახლა კოჭს მეცადით ვაწევთ და ყველაფერს სარკმელში გადავყირავთ, მაგრამ სარკმელზე მიმაგრებულ რკინის ბადეს ედება. უმარცხნიეს კოჭს მარცხნივ ვქაჩავ. აი, ვგონებ, გაძვრა.

— მიდი.. მიდი... — მეძახის საბასი, — ნახევრამდე რომ გამოვა, უკვე არ ჩამოუშვა, ხელით გვერდით ბოლო.

— მე არავის შევპირდებივარ დახმარება-მეთქი, — კიდევ უფრო ხმამაღლა ამბობს კოხმე.

საბასი მკარნახობს:

— მეტყოდი! ახლა ყურთხილად.. უფრო ნელა ჩამოუშვი აი, ახლა კი გაუწევდებით.

კოჭის ქვედა ბოლო ძალიერ გადაიხარა, ზედა კი მყისვე აიწია და სარკმლის წირთხლს მოებჯინა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპასი და ახმაყლი ურემზე დგანან, კოჭს ძლივს ტკეცებენ. ბიჭუნებს კამოფლირებული ლაბადა აცვიათ. ლეპრთქლიანი მათ თვალს, ბნელ ხაზურქველმა ხვევს.

— დაიცა ცოტა ხანს, თოკით დაბა კოჭი, როცა ხარკმელს მიამორდები, უკვე ჩქარა უნდა დაუძვა. — მიყვირის ხამახი და ცდილობს კოჭა ურმის ჭაღლებში ფრთხილად დადოს.

ხანიან გადებხელა, პატყობ, ემიანა, კოჭი მთელი ხიძოიმით ერთ თავის ურემს და არ დაამტვრიოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მე არავის დავმორჩილდები... — კვლავ იწყებს კოჭმე.

— ბილის და ბილის არ გარუჩდება? — ხრიწინებს ხახანი. — არ გარუჩდება?

## II. ნერეა

ერთ კნუტს შავი კუარტი დავარქვი, მეორეს — ჭრელი კენჭა და მესამეს — მხხლის კვაკილა.

ნეტა რატომ არ შეუძლიათ სამზარეულოს კუთხეში წყნარად იხხდნენ, არ ახმაურონ, იფუხფუხონ, დედასა და ბებიას წამდაუწუმ თვალში არ შეეჩხირონ. მაშინ დილამდე ხელს აღარ ახლებენ, არ დაასხრიკებენ, ახლა კი ყველანი მებიას გარდა ბაკანზე გაეიდნენ. მამასა და იხმაყლს უყურებენ აი, კოჭი ლატნუმზე დადეს და სქელი თოკით ცაბვეს. ნერე ჭოჭონაქი ჩამოუშვა ძია მეგრომ და ახაც ურემზე დადეს, ზემოდან კი ბრეზენტი გადაფარეს. ახლა ყველამ მარჯვე დროს ჩემი ჩანაფიქრი შევასრულო.

მე კუარტის, კენჭასა და ყვავილას კარის კალთაში ქსოვა, ხანთელს ვიღებ და სამზარეულოდან ფეხაკრეფით გავდივარ. ბებია ლოცულობს და ვერაფერს ამჩნევს. კნუტები ერთი წუთითაც არ მშვიდდებიან. პატარა ბრჭყალებით კაბას მიფხაჭნიან. მოუსვენრები... დედას დღეს კვერცხების შეგროვება და კანჯინაში დაწყობა დაავიწყდა, მიყვანზე რომ წაიღოს მერე და გაჰყიდოს. კვერცხები დედის ხუთშაბათობით ან შაბათობით მიაქვს გასაყიდად. ეს კალათი სწორედ ჩემი კნუტებისთვისაა ზედგამოჭრილი. მას სახურავიც აქვს, კნუტები ველარ გამოძვრებიან.

ჩვენი ორი ძროხა ბლავის, რადგან ბაგაში არაფერი უყრიათ და მშივრები არიან. დღეს ყველანი მხოლოდ სამძორზე ფიქრობენ მათ. როგორ გულისწამღებად ჭრიალებს ბოსლის კარი. ჰოი, მის მხოლოდ ქარი როცა აჭრიალებს, როცა კარი შეღებულ დაბას, მაშინაც მოშეებს ჭრიალი. როგორი მშვენია, ალბათ გულიც აწყდება გარედან. კარი ცდილა ჭრიალებს. მე მიჰყავდ კნუტებს კუარტის, კენჭას, ყვავილას და ეფერები.

— ნუ გეშინიათ, ჩემო ძვირფასებო, — ვეუბნები, თან გულს ვიმშვიდებ, ალბათ კარს ქარი ეხლებოდა-მეთქი. კარი მიცნილან ურდულისაა ჩაკეტილი. მაგრამ ხიდაცა დაიჭრიალა. ამდენ ჯანჯლარს ვეღარ გაუძლებს. — ნუ გეშინიათ, სამზარეულოში წაგიყვანთ. მე თქვენ მეყვარებით, ოღონდ, ძალიან მიყვარხართ! ძეგანა რომ დაიძახოს, სამზარეულოში მაინც აღარ დაგაბრუნებთ, თორემ კარმიდან ქვეშ დაგაყენებენ და ჩაგვსრიან.

და უცებ ნაცნობი ხმა მესმის:

— ეს შენა ხარ, ნერეა? გააღე! გააღე!..

როცა ნერი უფროსი ძმა ბოსელში შემოდის, ვამჩნევ, ჯარისკაცის ფორმა აცვია. ვფიქრობ, რომ ის მაუდის ტილანქი ტანსაცმელი ძომწვანო ფერისა უნდა იყოს, მაგრამ ახლა წყვდიადში გავუვე... თითქმის შავა ჩანს. ბრუნდა დგას, ხელები დაბლა დაუშვია, თვალს არ მაშორებს. ქუდის წინიდან ფონზე ნელი უქანავებს ქარი.

— ყაზარმიდან გამოვიქეცი, ალგორტაში მხოლოდ აქამდე ლეიტენანტი მოდის, რამდენიმე წუთით შემოვიარე. ხანხამ დიდით ბილბაოში მატარებლით წავედი. იცოდე, მამასთან არაფერი წამოგცდეს, — ჩურჩულით მეუბნება ხორხე.

თვალდაჭყეტილი უსიტყვოდ შევცქერი, მას კი ჰგონია, არაფერი ესმისო, და იმეორებს:

— იცოდე, მამასთან არაფერი დაგცდეს.

— მაშ... მაშ აქ რატომ მოხვედი?

ქარმა ხანთელი ჩააქრო. ბრუნდა კარი მოიხურა.

— ბაბშიანიმა, ვინდაც ჯარისკაცმა, თორმეტ საათში ერთხელ მაინც ხომ უნდა ჭამოს პური, ან პაეცლები გამოიცვალოს, თუ მთლად დაუსუსტდება და „ბილის კოჭზე აცემინებს"? ხომ უნდა დაისვენოს, თუნდაც აქ, ბოსელში, სადაც მისი პატარა დაიკო ცხელი ყანჩის ნარჩენს, მშრალ ხელთსა და მარცვალს მოუტანს, მაგრამ ის, მასაც არაფერი გაუგონია?! და-

დაც უნდა ვნახო, სულ ერთია, იგი შენს წრიალს შეამჩნევს. მამას კი ნუ დაუმალავ, საჭირო არ არის.

კვლავ ვლუღლუღებ: „რატომ მოხვედი, რატომ?" ამ დროს ზურგს უკან ნაბიჯების ხმა შემომესმა. ვიღაცა კიბეზე ჩამოდიოდა ბოსელში.

— ვის ელაპარაკები? — მეკითხება მამა.

ახლახან სიბნელეში ვიდექით, ახლა კი ისევ განათდა (მამამ ანთებული [illegible] მაღლა ასწია, ირგვლივ მიატარ-მოატარა, თითქოს მისი მესამე თვალი იყოს). [illegible] ქრა; მე მას ვერ ვხედავ, მაგრამ ვიცი, რომ სადღაც აქაა, დაიმალა, მოიკრუნჩხა, ალბათ სულთქმაც შეიკრა.

— ვის ელაპარაკები? — ისევ მეკითხება მამა.

შემიძლია ორი პასუხი გავცე, მაგრამ ერთი კნუტებს დაღუპავს: ისინი კაბას მიფხაჭნიან ბრჭყალებით. მამას აზრადაც არ მოსდის, თუ კნუტები კაბის კალთაში მყავს დამალული.

— ბრუნო მოვიდა, — ვუპასუხე, — ჩემი ძმა, ბრუნო.

## IV

გამიკვირდა, მამა ხელცარიელი რომ დაბრუნდა. ის ხომ ბოსელში ჯაჭვისათვის წავიდა (ძია პედრომ თქვა, სხვენზე ჯაჭვი არ იყოო). თუმცა სამზარეულოში რომ შემოვიდა, სადაც ჩვენ უკვე ვახშამს [illegible] თავი, ისეთი მშვიდი სახე ჰქონდა, როგორიც ყოველთვის.

მერე შედგა და ხელი კარისკენ გაიშვირა:

— ერთი შეხედეთ. მგონი, შენი ძმა უნდა იყოს, არა, ანმელ?

თქვა და ბრუნოც დავინახეთ: მაღალი, მხრებგანიერი, სამზარეულოში შემოსასვლელი კარი თითქმის მთლიანად დაფარა. ცოტა არ იყოს, შეცბუნებული შემოგვცქეროდა თავისი ცოცხალი შავი თვალებით, თუმცა ამავე დროს თითქოს ცნობისმოყვარეობით და დაკვირვებით. ლოყებჩაცვივნული, ფერმკრთალი, წვერმოშვებული ბრუნო (სულ ცოტა, ორი დღე მაინც იქნებოდა, წვერი არ გაეპარსა) ძალიან ჰგავდა მამას, ისეთივე ოთხკუთხა ნიკაპი, ჯიუტად მოკუმული სქელი ტუჩები და სწორი, მოზრდილი ცხვირი ჰქონდა. თუმცა ბრუნო [illegible] უმცროსი იყო, მას უბრალოდ ძმად კი არა, უფროს ძმად მივიჩნევდი. [illegible] ისეთი ძმის. იგი მუდამ ჩემი [illegible] და ყრმობის კერპი იყო მრავალი წლის განმავლობაში: [illegible], მასთან ერთად ერთ მაგიდაზე ჭამა, ერთი ჰაერით სუნთქვა, [illegible] ერთ საწოლშიც კი გვძინავს, მაგრამ იგი [illegible] მოვაჩნია.

[illegible] წინსაფრით ხელები გაიმშრალა და კვირილით მიეჭრა. „ბრუნო!" მერე ჩურჩულით გაიმეორა: „ბრუნო", თან თვალებით ეკითხებოდა, გვითხარი, რა მოხდა.

ბრუნომ გაიღიმა და თქვა:

— არაფერი, დედა.

— სანამ გენერლობას მოგანიჭებდნენ, შინ გამოგიშვეს, შენიანები ინახულეო, ხომ? — ჰკითხა მამამ.

— ასე არ ხდება, — თქვა ძია პედრომ, — სამსახურის პირველი სამი თვის განმავლობაში შინ არავის უშვებენ, — ბრუნოს გადახედა და თავი გააქნია, — არ მომწონს ეს ამბავი. ალბათ ვინმე არამზადა სერჟანტი შემოგაკვდა.

დედას თვალებში ცრემლი გამოკრთა, ბრუნოს მარჯვენა სახელოში ჩაეჭიდა.

— რა მოხდა, — ევედრა დედამ, — გაგვაგებინე.

— [illegible], უკანა კარიდან ქურდივით შემოიპარა. ჩვენ უფლება გვაქვს გავიგოთ, რა მოხდა, მით უფრო რომ [illegible].

მამამ ეს რომ თქვა, ბრუნო მოტრიალდა და რაღაცნაირად მე შემომხედა. მის თვალებში გაოცება ჩანდა. ბრუნომ ალბათ ჯერ არ იცოდა, რა ხდებოდა იმ დღეს ჩვენს სახლში თუ მთელ სოფელში. [illegible] არც არაფერი გაუგონია და არც [illegible] სახლების წინ [illegible] სოფლელები დაუნახავს, [illegible] რომ ემზადებოდნენ. [illegible] კიდეც და [illegible], ცხენებით და სახედრებით [illegible]; ბრუნო ქალაქიდან კი არ შემოსულიყო, არამედ ბოსლის კარიდან. მას ჯერ კიდევ [illegible] ჩვენი დამალული [illegible] თვალი ჩვეული, ანდა

ეკითხა, ახე გვიან ფეხზე რაღა მარით (დაახლოებით თერთმეტი საათი იქნებოდა. იმ ღამის გარდა, ბაბუას რომ წესი აუგეს, ალბათ არც ერთი ჩვენთაგანი, მასაჩემიც კი, ასე გვიან არ დაწოლილა).

მამამ კვლავ გაიმეორა სიტყვასიტყვით თავისი შეკითხვა, მგონი, რაღაცის დამატებაც კი უნდოდა, მაგრამ ბრუნომ არ დააცადა და იყვირა:

— თვითონაც არ ვიცი, რატომ მოვედი! არ ვიცი!

— მაშ, გამოიქეცი, — უთხრა მამამ, — ასეა ხომ?

— ჰო, — ახლა მშვიდად მიუგო ბრუნომ, ხელი დუმილისთვის არც მოუშორებია. იმე მტკიცედ თქვა, ირწმუნებდი, ასეც უნდა მოქცეულიყოო. მერე ასევე მშვიდად მობრუნდა ჩვენკენ, თვალი მოგვავლო, კეტელი გაიხსნა, ხალათის ჯიბიდან მუყაოს ნაჭერი ამოიღო და ძია პედროს გაუწოდა. თავდაპირველად ვერ მივხვდი, რა იყო. ძია პედრომ ბრუნოს თვალი მოაშორა და მუყაო გამოართვა.

— ეს ხომ პეპიტაა, — წამოიძახა ძია პედრომ და მამას მიხედა.

მე ძია პედროს მივუახლოვდი. ეტყობა, სურათის ქვედა ნაწილი ვიღაცას მოეხია. ჰო, ეს პეპიტა იყო, ალპარგატას[1] მკერავის მკვიდრუხლი, მიყვარებმანი გოგო, გამომწვევად რომ უყვარდა ჩაცმა-დახურვა და ჩვენი ქალების აზრით, საკრულის დროს უწესოდ მიიქნევდა თეძოებს. ჩვენი საპატარძლოები გულზე სკდებოდნენ, რადგან შემოვრილი ვაჟები მხოლოდ პეპიტაზე საუბრობდნენ. მართალი თუ გინდათ, ბრუნო შეყვარებული არ იყო. არც სხვა ვაჟები იყვნენ შეყვარებულნი, ანკი როგორ შეიყვარებდნენ, როცა გამუდმებით ესმოდათ, ასეთი გოგოს სიყვარული არ შეიძლებაო მაგრამ იგი ვისმეს ხომ უნდა ჩიჩდეს ხელში, ვისმეს რგებოდა. პეპიტა ქალი იყო, ისინი კი — მამაკაცები. ყველანი ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდნენ, სადაც ყოველგვარი ხანხიორბის ხარბად ელიან. ეს მართლაც შეჯიბრს ჰგავდა, რომლის მონაწილეს ხელ ძლივს რამ მოეპოვებოდა: ცოლი არ სჭირდებოდა და ცხოველური ინსტინქტების გალევება შეეძლებოდა. სხვა სულები რომ დაემალა.

თანამას წესი ასეთი იყო: ვინმეს პეპიტასთან ხვეწნობის მსურველს წინა დღით, შაბათს, მუშტი-კრივში უნდა გამოეწვია, ვინც კასულ ვერას არაიობდა ქალიშვილს. ბოლოს ადგა მამაი, როცა ბრუნო უკანასკნელ მეტოქეს უნდა შებმოდა. ბრუნომ იგი პეპიტას სახლის შესასვლელთან დაასაროლხა მიწაზე.

ჩემ მეშდეგ სურათის ნაგლეჯი შეათვალიერეს მამამ, დედამ, ძიამ და კოსმენაც ვიღ ბოლოს ბრუნოს შეაჩერდნენ.

დედა მას ჯარისკაცის მძიმე ჩექმის ხედავ იქვე, სამზარეულოში ცეცხლის თვალწინ აამუშლი ბარგალიც გამოუცვალდა. თითქოს ჯერ კიდევ ზღვაზე ყოფილიყო. გახედისას ბრუნომ შვილდაჯური უპასუხა:

— ჩემი ვასარძელი მეგობრები დოვყლელე იგონებენ თავიანთ საცოლეებსა და ნეტარ ქალებს. ერთმანეთს უჩვენებენ მათ სურათებს. რამდენსაც მეტს ლაპარაკობენ, მით უფრო ცდებიან ცეცხლი, გალიცვამ გიტყა. მე რომ პეპიტას სურათი მქონდა... რა უნდა მექნა, ვინ-ვენე პეპიტა აიბასთ ტანსაცმელში გადალეფული...

ბეგიამ მაოჯვარი გადაიწერა, დედამ ტუჩები მოკუმა.

— თქვენმა ერთმა ჯარისკაცმა იქვეას, ხუმრობა დამაწყებინა, ლაპარაკ ქუდიდან შემომტყუნ, ძალიანდა რომ გაინახია. ხომა ივეს ქალი არ გვანახავს. ეგე ლამაზი გოგო იმას ჩიტი არაა, სამდვერი სამაასურის დაიმოკრუბამდე მოგიძვდთოს', — შეუმჩნეველად იყო, ხუთმა ბიჭმა ხაწრად თითზე მოვქეჩრულ თავი, ძილი არ მაკარებდა. ხურათებით მელოდნენ ხელში გადადაოდა. ჩემმა ოცდა წელიწადი ქალები და მოვწყე, იმან კი, კასაც ექმნა, არ დამანება. სურათი გადაა, ხახვინი მე შემიჩა, ნახევარი — იმას. ყაზარმიდან გამოვვარდი, ღერფუზანმა უცაბედად მოინახა სურნამი წავაქციე, კეთდის ჯარსურის წინ გადავით ნავსადგომად. ეკიპაჟთან მხარზე მამაკაცურებური გუშაგი მოჰკლეთ, ამიტომ ვეიანზე ერთი საწოლი ის დრის ბოლომდე მატარებელზა ჩაიბარები, კამარება და იქ მაქინ შევიპარე. ძილმა ლელ არავის ჩავამლა ღა ასე, აქა ვარ... არ ვიცი, რატომ მოვედი.

ბრუნო სამოქალაქო ტანსაცმელში გამოეწყო — შავი შარვალი, ლურჯზოლიანი ხალათი და ნაცრისფერი ქურთუკი ჩაიცვა. მისი სამხედრო ფორმა ღუმელთან გაჭიმულ მავთულზე ეკიდა.

---

[1] ალპარგატა — ბასკი გლეხის ფეხსაცმელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოველ შემთხვევაში, კარგ დროს კი ჩამოვედი... უარი არ გვითხრა, აქ ხალხის ნახშირის შესაგროვებლად ვერ წამოვალო, — უთხრა მამამ.

ძია პედრომ ბრუნოს ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ბრუნომ ბოლომდე მოუსმინა, მერე მამას მიუბრუნდა:

— აბა მითხარით, რას იტყოდა ჩემს ადგილზე კაცი, რამდენიმე საათის წინ [illegible] შეხვედრად ყაზარმიდან რომ გამოიპარა, მას კი გოგოსთან შეხვედრის ნაცვლად [illegible] ნახშირის შესაგროვებლად წაიყვანეთ?

— მაშ, როგორ მოიქცევი? — ჰკითხა მამამ.

— მე მასთან უნდა ვიყო, გესმის?

— გაქცევა შეგეძლო უფრო ღირსეული საქმით გაგემართლებინა.

— არა, არ შემეძლო, როცა მოვედი, არ ვიცოდი, რა ხდებოდა მიწისქვეშეთში. ახლა კი, როცა ვიცი, ისე მოვიქცევი, როგორც საჭიროდ მიმაჩნია...

— მეც უნდა ვთქვა, შვილები გავზარდე მეთქი, — თქვა მამამ.

ბრუნომ გაკვირვებით გადმოხედა, მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ [illegible] ფერმისზე რომ არაფერი ეთქვა, მამასთან ერთად წასვლაზე ფიქრს ამბობდა.

— სულ ერთია, — დაუმატა მამამ, — ახლა ვერ მიხვალ მასთან, დილამდე მოგახდება, ვიდრე...

— მამამისი ყრუა.

— მერე რას იზამ? — შეეკითხა მამა.

— გამთენიის ყველა საათის მატარებლით წავალ.

მამამ თავი შეიკავა და სუმრობაში ჩაუქანა ნათქვამი, თითქოს არ სურდა იმას გამჟღავნება, რომ კარგად ესმოდა შვილებისა, რომლებსაც არ უნდოდათ ნახშირზე წასვლა დედისა და მამის გულისთვისაც კი.

— მადლობელი დავრჩებოდი, — უთხრა ბრუნოს, — ჩვენი წილიც, მაგრამ... აცადე, ძლიერი ზარი აქვს... [illegible] ქმრის სახლზე [illegible] არ შეგვეშლება.

მიწისქვეშეთში ყოველი საშინელი თანდათან გაუქვავებელი ჩურჩულით ავსებოდა. სიტყვა ძლივს აღწევდა ჩემს ყურამდე. ხანდახან ბგერა ბუტბუტებდა: „როგორ მოიცავენ ჩემი შვილიშვილი...“ „...საშინელებაში გილაპარაკნია ამაზე ხმამაღლა და გაიცა...“ ზემოთ დედა ბავშვს, ზურგით რომ იდგა ჩვენთან და ქვითინებდა: „...იმ „ახალის“ გულისათვის...“ „...შენ გიდევ იმიტომ, რომ აქ ვარ...“ მეჩვენებოდა, თითქოს შეშინა და ყველაფერი რაღაც საშინელ საზიზღარ სიზმარში ხდებოდა, ჩემ [illegible] [illegible] კი არა, [illegible] იყვნენ; მე რა გავიდი, რომ თვითონაც რომელიღაც წინაპრების ფანტასტიკურ გმირებად წარმოედგინათ თავი. მისი მთავარი მოქმედი პირი ბრუნოც იყო, [illegible] [illegible] სამყაროდან თუ არა, [illegible] მაინც, [illegible] [illegible] აქვს თუ [illegible] უთანხმოება საკუთარ თავთან. ეს უთანხმოება კი გონების უფლებამოსილი [illegible], ვინაც „ახალწვეული“ იქნება. ამ ყმაწვილებში [illegible] [illegible], რა დიდებანიც „სამყაროს საიდუმლოს“ მნიშვნელობას ცოტათი მაინც გაიგებს, საკუთარი [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] ყაზარმაში გატარებულ წლებს, რამეთუ მათი მამა-პაპანიც [illegible] უდრტვინველად ეთხოვებოდნენ [illegible].

ხალხიც შორიდან მამის ხმა მომესმა:

— ახლა შემთხვევა ას წელიწადში ერთხელ ხდება. განგებამ დიდი ნიშანი მოგვცა. ეს ნიშანი ჩვენი მრავის ყოველთვის უნდა ჩაეთვალოთ. და თუ [illegible] [illegible] [illegible] ([illegible] [illegible] ეგი ქვეყნიერების შექმნის მეშვიდე დღეს ურგა). ჩვენი ჯილდო შრომაა. შრომა, რასაც ჩვენ მეტი ძალა უნდა შევალიოთ, ვიდრე დღეს. შრომა კი ჩვენ არ გვაშინებს. ჩვენ [illegible] [illegible] გარდ, მშრომელთა მწყალობელი მისი [illegible] რომ [illegible] სული, მისა, რომელიც ჩალითა და ქვეყნად [illegible] [illegible] „ახანი“ [illegible] [illegible] მშრომელთათვის [illegible] საშუალება მოეცათ. რადგან [illegible] სიბნელეში ხანუმთა [illegible] ხალხი. მაგრამ „ახანი“ შეეცადნენ ბუნებისათვის [illegible] [illegible], [illegible] მოიმოქმედ ჩირაღდნები, [illegible] სანთლები, ნავთის ლამპები, [illegible] და ელექტრონათურები გამოიგონეს. მართალია, ელექტრონათურები [illegible] [illegible] გვაქვს, მაგრამ მაშინ, როცა [illegible] ([illegible] კი [illegible] [illegible] [illegible]) და ჩვენისავე ბავშვები ელექტროსადგურის ჩვენ უფრო მეტს ვამუშავებთ. [illegible], ჩვენ უნდა გვესმოდეს, [illegible] [illegible] [illegible], ეს ჩვენს კეთილდღეობას ნიშნავს. ამიტომაც ძალა უნდა დავიფიცოთ, სახელოვანი [illegible] და ჩვენში თავს ვკითხოთ: „რას მოგვიტანს ეს დამე?“

ამ დროს [illegible] [illegible] შემომესმა. ეტყობა, ძალზე ხმამაღლა აღმოთხდა: „ვერც მე წამოვედი!“ ყინიდან მომაგონდა, რომ სწორედ გაბულ [illegible]. ზღვის [illegible] დროს,

ნაპირზე, კლდეებს შორის, ვიწრო ბილიკის შესასვლელთან ბადე გავშალე. მკედი კოსმემ მომცა, ხოლო ნემსკავები მამაჩემის ძველ ანკესებს ავაცალე. ხუმრობა კი არაა შვიდი ცალი ანკესი! ქვეხასთვის მკედი მსხვილი გამოდგა, მაგრამ მაინც შევძელი ერთად შემომეგრიხა. მეშვიდე ანკესი უზარმაზარი გველთევზასათვის იყო განკუთვნილი. ურთხელი ადამიანი, ვინც კი გველთევზა ნახა, მთელ სანაპიროზე სახელგანთქმული მეთევზე ფელიქსი იყო. ფელიქსმა იგი გამოუშვა მენიშნა, ხუთ საათზე მეც კლდეებს შორის მეთევზეობდი, ალბათ იხვეწებდა ის იქნებ თვლემდა. ფელიქსმა გვითხრა, ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ამოდენა გველთევზა, თანაც ასე ადამიანივით ჭკვიანი და ვერაგიო. „ოქროთმანი, გრძელი იყო, წყალქვეშა კაბელივით გრძელი!" მეთევზე ურიხულს ეზარებოდა, თან ცდილობდა სიყრიხილი და შიში დაემალა; უცებ დაინახა, როგორ გაახილა თვალები გველთევზამ და მას მიაშტერდა; ისე მშვიდად ელოდა, როდის მოუახლოვდებოდა ადამიანი, ფელიქსს კი ყველა იარაღი ნაპირზე დავიწყებოდა. მიხვდა, რომ ადამიანი დაშინდა და არათუ თავს დაესხმის, ადგილიდანაც არ დაიძვრის. ამიტომ მსუბუქად, ნარნარად გაბრუნდა; არავინ უწყის, რამდენ წანს ცოცხლობდა აუჩქარებლად და უშფოთველად ადამიანის თვალწინ, თითქოს თავის თავს ქვეყნად ერთადერთ ცოცხალ არსებად თვლიდა.

ასეთი იყო გველთევზა, ჩანაფიქრის ყველა წუთიერზის გულისიქმის საგანი, რომლისთვისაც ის ხაფანგი დადგა. უცებ შევამჩნიე გაბურძგნული შავი ქოჩორი, მაინც ქვემოს ლოდებს შორის რომ მოიჩანდა; ამ ქოჩორს თავის ქოჩორში გამოვარჩევდი, ვინაიდან ჩაფერფლილი არახოდეს მაგონდება. მასი ბატონი იყოდორი, ჩემზე ერთი წლით უფროსი ბიჭი, როგორც ჩანს, ქოჩორა თავისაც არ თვლიდა და მასზე დიდად არ ზრუნავდა; ის ეშმაკის ფეხი გახლდათ არ მახლდნდა. ერთხელ და გავლას მწვერვალზე მიყვარს ძველ წისქვილის მთელი ღამით ჩამკეტა, ვიდრე მამამ არ მიპოვა და ღამის სამ საათზე ღელეებიდან არ გამომიყვანა. აი, ზუსტად ამ იყოდორომ დაინახა, როგორ გავშალე ბადე კლდეებს შორის. ვიცი ჩვენ არ უნდოდა ისის მიხვედრას, რომ მთელ სანაპიროს (ჩემამ გველთევზასაც, კი, თუ ის ანკესზე წამოეგებოდა) ჩვენ შორის ის დაუპატრონებოდა, ვინც გამთენიისას ნაპირზე მისვლას მოასწრებდა. ვიდრე უშეცდომოდ მოელოდნენ გამომშვლელებოდა ანკესებს. ნასმურის შეყრის ფიქრი მთელი ღამე მოუსვენრობდით, თუმცაღა ერთი ბოძი ქონოდა, ვიდრე მიწიდან მაინც არ გამოვშვებდა. შინ კვლავ ვბრუნდებოდი ლაპარაკს, თითქოს არც დამცვენოდა.

— ახლა ჩვენ საიდუმლო შემთხვევა მოგიყვეთ, ჩემს ნისხლსა და სხორცს კი, ჩემს შვილებს, არასოდეს არაფერი ეცოდინებათ ნაპირის დაპატრონებისა. ამ ნასმურის სულ ერთია წყეული მომდევნო თაობისთვის, თქვენ კი რაცრომელიც მოგეთხრობათ ამახსოვრის. ეგებ მართალს არ ამბობთ, ბებია?

დუმილისას ნაპრალების ხმა გაისმა: ეს ხმა მანამ მიაწვდა ჩვენს ყურს, ვიდრე მას ლაპარაკს დაასრულებდა. საშინელებათა კარში ფეხმანი გამოჩნდა. მან ზღურბლს გადაიარა და ერთ ადგილას გაჩერდა. მოთელი შინის შუაგულები ეგონა იგი გველეშაპი დაბინდული, უზარმა თვალებით, თმელით დასხველებული უჯრული ბუჩქები სქელ ღაზზე მიეკვროდა. და ჩვენ მოვდებით სასოწარკვეთილნი, გამყინავი ტირილი. მერე დავინახეთ, როგორ დახარა გრუზა თავი და ცრემლით დასველებული პირისახე მამის მკერდში ჩარგო.

## 12. ბრუნო

წყეული გოგო! რად გამცა? მას რომ მამასთვის არაფერი ეთქვა, მე ახლა პეპიტასთან ვიქნებოდი და ვისიამოვნებდი. როცა შინა ხარ ან საყვარელ ქალთან, იმაზე არ ფიქრობ, არც არავის ელაპარაკები ამაზე. ყმაწვილი კი მხოლოდ ბრაზით სავსეთებსა და აამხედრო მუსლიმებს ხედავ. რისთვის მოგვეცა ღმერთმა სხეული? რა უნდა ქნა, როცა თვრამეტი წლისა ხარ და სისხლი გიდუღს... მე რომ ახლა პეპიტასთან ვიყო, ხომ არ ვნახავდი, როგორ ჩამოვიდა ფერმინი სინდისიდან და როგორ აქცევინდა მამას მკერდში! არც ამ ძაღლების ჩვეუმა მომაწყენდა, წვიმისაგან რომ უნდა დავიფარო.

მე და კოსმეს მუდამ ერთად გვეძინა, ერთ საწოლზე. აი, იგი ყურსკერულით მეწოლის, მარჯვენა ხელში თოკი აქვს უჭირავს, თითქოს ოქროს ზოდი იყოს, მარცხენაში კი — ვაზნის ლაპატენი მანქანა. იგი დიდ ზანდუკთან მიდის; ვიდრე თოკს ბუდეში ჩადებდეს, მას უჩუმი მიუდის სუფთა ნაჭრით წმენდავს, იმავე ნაჭერს ბუდეში აფენს და ზედ ფრთხილად დებს

თოფს, მზრუნველად ასწორებს. გარდაცვლილ ბაბუაზეც კი ასე არ უზრუნიათ. კუბოში რომ ჩააწვინეს, ერთმა დროზე ვერ მოაბლო მხარზე ხელი, ბაბუაჩემის თავი შავად შეღებილ კუბოს მიეხეთქა და ბრაგვანი მოადო.

— ბოლოს და ბოლოს გაყიდით შენს სათუთ თოფს, — ვეუბნები, — „ააბა", ხომ?

— ჰო, მაგრამ მთელი თვე ვეღარ ვინადირებ, მომავალ დღესასწაულამდე — ბუზღუნებს კოსმე, — მერე გაიხედავს და კიდევ მიუმსხვრევა კლდეებს [illegible] თული გემა.

კოსმეს ძველი კომოდის ზედა უჯრიდან დაჭმუჭნილი, ათასჯერ დაკერებული ტანსაცმლის გროვა ამოაქვს, იქიდან არჩევს სვიტერს, თბილ, ხავერდის, სამუშაო შარვალსა და ლაბადას. ამ ძველმანს ჩვენ მაშინ ვიცვამთ, როცა ნაპირზე სანადიროდ შესაფერისებლად მივდივართ.

კოსმე ჩემკენ ზურგით დგას. თბილ საცვალში ძვლები უჩანს, წვრილფეხაა გამხდარი. ზემოდან მეორე საცვალს იცვამს, იმას ზემოდან კიდევ სქელ ხალათსა და ძველ სვიტერს, სვიტერზე კი ჯემპრს, მაგრამ არც ახლა ჩანს ხორცსავსე. ამ დროს კარი ჭრიალებს და დედა შემოდის. მან კიდევ მოგვიტანა ჯემპრების გროვა, არ ვიცი, საიდან გამოძებნა. კოსმემ გადმოიხედა, მიბრუნდა და ძველ ქურთუკს დაწვდა. დედამ უთხრა:

— ჯერ ეს გადაიცვი.

კოსმემ ქურთუკი დააგდო და ჯემპრი გამოართვა დედას. ერთი ჯემპრი ჩემთვისაც მოიმეტეს. ეს ძველმანები კომოდის უჯრებში გადანახული ტანსაცმელზე უფრო ძველია; მე მგონი, დედა იმ ტანსაცმელსაც ინახავს, ლამაზობით ნაპირზე წასასვლელადაც რომ არ გამოგვადგება. სამუშაოდ არაფერია გამოსადეგი, დედა კი ამ ძველმანებს მაინც ვერ ელევა, ეგებ ოდესმე გამოგვადგესო. და აი, გამოგვადგა კიდეც. მართალი გითხრათ, ასეთ ამინდში, რაც არ უნდა ჩაიცვას კაცმა, მაინც ეცოტავება. დედა გავიდა, იდლიაში სვიტრები ჰქონდა ამოჩრილი. სხვებსაც წაუღო. მე საწოლზე დაყრილ ტანსაცმლის გროვას შევცქეროდი და ვფიქრობ, ამდენს რა ჩამაცმევს-მეთქი. მაგრამ, როცა კოსმე მესამე სვიტერზე ზემოდან სქელ ქურთუკსა და ლაბადას იცვამს და პირხმელ, მაგრამ ტანსრულ კაცს ემსგავსება, ვგრძნობ, რომ არც ისე ცუდადაა საქმე.

## 13. ნერეა

იგი საქონლის ბაგის უკან დაიმალა, სადაც როცა მამამ ვუთხარი, ვინაც ველოსიპედზე ზოდა, იქიდან გამოვიდა. მისი ჩრდილი მოხდენილ სხვა ჩრდილებს შეერია. მამამ და ბრუნომ პირველად ნახეს ერთმანეთი მას შემდეგ, რაც ბრუნო ჯარში წავიდა.

— წავიდეთ, გოგო, — ეუბნება მამა და ორივენი ბოსლიდან გადიან.

შავ კუდიანი, ჭრელი კვიცი და მუხლის ცეცხლი ჩემი კაბის კალთაში ფუთფუთებენ. მე ვეფერები და პირზე ხელს ვაფარებ, მეშინია, არ დაიკნავლონ და მამამ არ გაიგონოს. მერე კალათაში ვყრი და ზემოდან სახურავს ვახურავ. კაბით ხბორებზე ვდგავარ, სადაც ფერმინი ჩაქუჩს ურტყამს. გახელებული მუშაობს, შეუსვენებლად. ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმის. ვცდილობ არ დამინახოს, მე ხომ კალათით აქ სადმე უნდა დავმალო. ყველას სჯობია, ჩალის უკან დავდგა, ყველაზე ბნელ კუთხეში. იქ კალათს ვერავინ იპოვის.

— თქვენ აქ იცხოვრებთ, — ვეჩურჩულები კნუტებს, — მე კი ყოველდღე საჭმელს მოგიტანთ. ოღონდაც ძალიან გთხოვთ, არ იხმაუროთ.

ნეტა ცოტა დინჯები მაინც იყვნენ! კალათში ვიჭყიტები; კნუტები ფუთფუთებენ, ერთმანეთს კბენენ, საბრალოდ კნავიან. წამოვიწიე და ფერმინს შევხედე. არა, მას ალბათ არაფერი გაუგონია. ფერმინი ისე დიდია, მისი ჩრდილი გოლიათისა გეგონება. ფარნის ალს ქარი არხევს და ფერმინის ჩრდილიც ცოცხალი ადამიანივით ცეკვავს. შიში მიპყრობს, თვალებს ვხუჭავ და კნუტების გვერდით ვიკუნტები.

უცებ თვალს ვახელ, შიშისაგან ვერ გამიგია, სადა ვარ. ალბათ მეძინა. კნუტები კალათში არიან, იქიდან ჩაიჩურჩულიც არ ისმის, ალბათ მათაც დაეძინათ. ვდგები და ჩალის გროვიდან ვიჭყიტები; ფერმინი არა ჩანს, მაგრამ წამსვე მისი ტირილი მესმის. თანდათან ხიმინელს ვეჩვევი და ვხედავ, ფერმინი პირქვე გაწოლილა და ყური იატაკისათვის დაუდევს. კიდევ მამაჩემის ხმა მესმის. მამა სამზარეულოშია და რაღაცას ლაპარაკობს; მაგრამ აი, ფერმინი ზანტად ადგა, ჯერ მუხლებზე, შემდეგ ოთხზე და ბოლოს მთელი ტანით წამოიმარ-

თა. კარისკენ გრძელი, ნელი ნაბიჯით გაემართა, ხელებს აქეთ-იქით იქნევს, ხელისგულები კი უკანა აქვს მიქცეული, როგორც მიმოვნენ, ხოდლის მოედანზე რომ გამოჩნდება ხოლმე ცირკის მსახიობებს. იგი სხვენიდან გადის, მე კი კალთაში მიწყნარე კნუტებს ვეფერები.

— ჩემო პატარებო, ჩემო კარგებო, — ვეჩურჩულები, — ძალიან, ძალიან მიყვარხართ, მე თქვენი დედა ვარ.

კალათს სახურავს ვახურავ და ჩემს ოთახში ჩავდივარ, ხალხი მებრალებიან. ზემოთ ყუთში ჩემსგაყრილ ძაფის გორგალს ინახავს. დაინახა თუ არა, მითხრა:

— დედაშენი გეძებს.

ბალიშზე ჩემი მეფიოს თოჯინა დევს. როგორც კი ზემოთ გავიდა, კარი დავკეტე, თოჯინა შიგ ჩავწყვე და მთელი ძალით დავხურე კარი. ხოლო როცა კვლავ გავაღე, ერთიანად დაჭყლეტილი თოჯინა ზღურბლთან ეგდო. ეგრე უნდა, თავი მომაბეზრა, მე მინდა მხოლოდ კნუტები მიყვარდეს.

## 11. პედრო

მუდამ ვამბობ, თუ ადამიანი ჭკუანაკლულია, მეტადრე თუ იგი შენი უახლოესი მეგობარია, ექიმს უნდა მიუყვანონ, თუმცა ეს იოლი არ ჯდება.

ორ წლამდე ფერმინს არაფერი ემჩნეოდა. ეს იყო, სხვა ბავშვებისგან არ გამოირჩეოდა. ზოგჯერ, მართალია, საათობით ურტყამდა ჯოხს თუნუქის ყუთს; ყური წარბებამდე... ფერმინი კი ხარობდა და რაღაც ხუმრულად იცინოდა. და თუმცა ცოტა უცნაური ბავშვი გახლდათ, ახლა რომ არის, ასეთი მაინც არ ყოფილა, საბავშვო ბაღშიც კი იყო. უცებ კი რატომღაც შეიძლებოდა სხვენზე ავიდა და უმიზნოდ ნივთების ყურება დაიწყო. როცა ჩემს ცოლს ვკითხავდი, ფერმინს რა უნდა მოსვლოდა-მეთქი, მეუბნება, მე საიდან უნდა ვიცოდეო. ერთხელ ტელევიზორშიც მქონდა ამაზე ლაპარაკი მეგობრებთან. შემაწუხებს, ეგება თუ არა, რაც უნდა იფიქრო. უკანასკნელი შიში გამოვიცადე და ხაზინის ხაზლიან შეხედვა. მაგრამ მისვლისთანავე ჩემმა ხიდმა იგი გამომწვევი, თითქოს უკვე იცოდა, რისთვისაც ვეწვიეთ, და მაშინვე თავზარდაცემულმა წამოიწყო. იმ დღიდან ვერ ვპოულობ ამის თაობაზე დახმარების სადმე, შეშინდა, საპასუხო არ უთხრას.

აი, ახლაც სახლში უწყვეტ მოსატანად მიდის, ძროხებს რომ აძლევს ხოლმე, ფერმინი მამას მიჰყვება. ამდენ ხანს იგი სხვენზე თვალყურს არ ვუჯერებ, ჩვენს შორის რომ ცხოვრობს, დახმარებულადაც კი არ ჩამოდიოდა ძირს. სულ იატაკს ხელისგულით ნივთებს აკეთებდა, აკეთებდა და მაშინვე ნაფლეთებად აქცევდა.

მერე ორივენი ბრუნდებიან. საბანს მხარზე ორი ჯაჭვი გადაუგდია, ფერმინს კი ხელში ერთი ჯაჭვის ბოლოსათვის ჩაუკლია.

ხოსეფამ ფერმინისათვის ძველი ტანსაცმელი მოაგროვა და სამზარეულოში ჩაიცვა. ჩვენ კი — ბებია, ისმაელი, ნერეა და მე — გაოცებულები, როგორ იბღრიბა ჩვენ თვალწინ ფერმინი ყოველი ძახილით სცენიდან თუ ქურთუკის ჩაცმისას. ტანსაცმელი ძველია, დაჭმუჭნული, მაგრამ კარგად გარეცხილი. ფერმინი ზანტად, ცოცხალი ლუმბოთი ხელებს ხან მაღლა სწევს, ხან დაბლა. დედის დაუსმარებლად, რასაკვირველია, ამ ძველმანს ვერ ჩაიცვამდა. მერე ხოსეფამ ფერმინი ჯორკოზე დასვა, პაპა მალის ხეშეში წინდები და ნავიდით უზარმაზარი ფეხსაცმელი ჩაიცვა.

— ნეტა რად მიჰყავს, რატომ აცმევს, — მეუბნება ხოსეფა.

— საბანს უნდა წაიყვანოს, — ვპასუხობ, — თვალიც სურს წაიოხელე. ასე არ არის, ფერმინ?

მას თითქოს ჩვენი ესმის, თითქმის აზრიანი თვალებით გვიცქერის.

— რაო?.. პო, — გაეხმაურა კვნესა თუ ხრიტინი, — მეც წავალ... ყველასთან ერთად, პო. მამასთან ერთად. მინდა მეფხიზლო... მამას.

თავი მივაბრუნე და ისმაელის თვალებში ცრემლი შევამჩნიე. მაგრამ მე ხომ ბავშვი არა ვარ, ვიტირო. ხოსეფა ფერმინს გაბურძგნულ, დიდი ხნის გაუპარსავ პირისახეზე ხელს ალერსით უსვამს.

— ეგებ ამან მოარჩინოს, — ამბობს ცრემლ ხოსეფა. ფერმინი მაგიდიდან მეფელის იღებს, რომელსაც არ იშორებს იმ დღიდან, რაც სან-სებასტიანის ჩემპიონი გახდა, და ლაბადაზე იბნევს.

შენიას დაკერებული ტომრები გააქვს ფარდულში, ერთ კუტანაზე სამ-ოთხს ტომარა, მეტი არა. მეც მივეშველე. ტომრები ურემზე დავყარე. უკან რომ მოვბრუნდით, ფერმინსა და ისმაელს შევეჩეხე. ისინიც ტომრებს მოათრევენ. ფერმინს ათიოდე ტომარა მოაქვს ერთად და მირიხაშვ აღარც უნახს.

— დაიცადეთ, დაიცადეთ, — ამბობს საბასი, სასწრაფოდ გამოდის შინიდან და ურემისაკენ მიემართება, — ტომრები არ უნდა დასველდეს.

მე საბასს ჩემი დაწყობილი ტომრებს ვაწოდებ, საბასი კი ბრეზენტის ქვეშ აწყობს. როცა ტომრების უკანასკნელ გროვას ვაწყობ, აივნიდან კოსმე და ბრუნო გამოდიან. იმდენი აცვიათ, გასუქებულები ჩანან. კოსმეს თავზე დაღლაქული წითელი ბერეტი ახურავს, ხოლო ბრუნოს მეზღვაურის ცისფერი მაუდის ქუდი.

— რატომღა მიგაქვს ისმაელი? — გასძახის სიცივისაგან გაბუჟებული ხოსეფა საბასს, — ვერა ხედავ, ზეზეურად ძინავს?

— არ მინდა ბიჭს ხათაყე შევუშალო, მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა ძმებმა სულ უკანასკნელ წუთს გადაწყვიტეს მოგვემგზავრებოდნენ, — ამბობს საბასი და სახელოთი იწმენდს პირისახეს, ზედ წურწურით ჩამოსდის წყალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 15. ბებია

ხედავ, უფალო, ისინი ყველანი ურემთან შეიკრიბნენ, არ შეუშინდნენ ქარიშხალს. გმადლობ შენ, უფალო, მე მხოლოდ ამას გთხოვდი: „ოღონდ ჩამოვიდნენ ქვეყანად და გადაარჩინე სიცოცხლე“. მე ხარვალის ვევედრებოდი: „ოთოქოს ქრისტე იყოს, ქრისტე. მე ღვთისმშობლისა და ღმერთის უმზარიეტ ცაზე დაყენებ ისინი“. ხოსეფამ ფერმინის ჯიუტობა, ბრუნოს რომ ააგებს ურემზე, და მხოლოდ ამბობს: „მის უბრალოდ მისის სატყუები გაიგონა, ესაა და ეს. მაგრამ ვეებ მორჩება. ძმებს კი არ შეეძლოთ არ გამოყოლოდნენ“.

ხარების წინ მხოლოდ საბასი დგას. სხვები: ფერმინი, კოსმე, ბრუნო, პედრო და ისმაელი ურემზე, ბრეზენტის ქვეშ სხედან. ბრეზენტი ყველას სიმშრალე იფარავს. ჩემი დაკერებული ტომრებიც ურემზე აწყვია. ღლიათ პატარა ამბავი არაა, ძისუკამ თავისი სუსტი ხელებით ორი დუჟინი ტომარა დააკეროს, მძიმე, უშველებელი და ნახეული ტომრები.

## 16. კოსმე

სულ დამავიწყდა. ჩემი ოთახი ხომ ნესტიანია. ოცნობებდა თოფი შემოსხმან შეშენახა, ხამახარეულობთან ახლოს. ლითონი ხალას არ უნდა შეინახო, ნესტი მაინც ჟანგავს.

## 17. ხოსეფა

მან ყველა წაიყვანა: ფერმინი, ბრუნო, კოსმე, პედრო და ჩემი პატარა ისმაელი. იმასაც არ დაგიდევს, რომ ერთი მველი ავადაა, მეორე კი სულ პატარა. წყეული იყოს ახეთი შრომა!

## V

მამამ ტომრები ორად დაკეცა და ურმის ძარაზე დააწყო. ჩვენ ურემზე ავცოცდით და ბრეზენტის ქვეშ მოვკალათდით. სიცივისაგან მოვიკრუნჩხეთ, ერთმანეთს მივეკარით. თავზე ბრეზენტი გვეხურა, ზედ გამშრალი ეცემოდა წვიმის წვეთები. ბრმებს ხურჯინები აქვთ ანთებულნი, თითქოს ერთ ოთახში ვიქეცით.

და გზაზე ქარიშხალი არ დაგვიცხრება, მაშინაც კი ვდუმდით, როცა გავიცხენით, ჩვენ ქვეშ დაკერებული ტომრების წყლით გაჟღენთილიყო. ურემმა ეზოდან გადაუხვია და ყელტეხისაკენ გაემართა. ახლა უკვე გარკვევით ისმოდა ხევის ღრიალი. პუნტა გალეას მხრიდან მუქურა ანათებდა, მისი მკრთალი სინათლე წვიმის ფარდახა და ღამის უკუნს აპეთდა.

პირველად ამ გაუთავებელი გრძელი გზის დასასრულს მამა ალაპარაკდა. მისი ხმა ზარივით გაისმა, თითქოს რაღაცამ ძალა შემატაო.

— ჩემი გაუბედაობის ბრალია, იმდენჯერ რომ შენ მაყენებდი, თორემ აქამდე სანაპიროზე ყველაზე კარგ ადგილს დავიკავებდით. — მისი კოშკის დასაყენებელ ადგილს გულისხმობდა. უცებ რაღაც ღრჭიალი მომესმა, გავარჩიე ფლოქვების თქარუნიც, ძახილი, [illegible] ბლების ჭრიალი, ჯერ წყვილი და გაურკვეველი შეძახილები. უცებ ვიგრძენი [illegible] ბიძგი, ბრეზენტი გადაიწია, ჭოლს ხელი ჩასჭიდა და მოუთმენლად გადაავლო ურემს.

— სახრე მომეცი, — დაუყვირა კოსმემ მამას. წამოვიწიე და გადავიხედე. მამამ კოსმეს სახრე მიაწოდა, კოსმემ ხელი დაავლო, გაიქცა და ბნელში გაუჩინარდა.

ჩვენ უკვე ლა გალეას ზღვანზე ვიყავით. იქ მწკრივად მიედინებოდნენ ურმები, სახედრებშებმული ურიკები, გოდრებაკიდებული ჯორები. ალგორტას, გუეჩოს, ბერანგოს, სოპელანის და ბიზკაიას მცხოვრებლები ბავშვობიდან არიან მიჩვეულნი ნახშირისათვის სანაპიროზე ჩასვლას, თუმცა მატარებს თავიდანვე როდი აძლევენ ხელში მარჯვებს და როდი ასწავლებენ ყოფილიყო ცივ წყალში წელამდე შევიდნენ. ისინი ბავშვობიდან შეეჩვივნენ თევზაობასა და თხრებით კლდეებზე ხტუნვას. ყრიალოზე ისე სწრაფად დაცოცავენ, როგორც ქალაქელი ბიჭები თავიანთ მშობლიურ ასფალტზე. გამოწვეულებს ყველებით ცხრიდან თითქმის წლამდე სკოლაში იარონ, მაგრამ ამით ისინი ბუნების ღვიძლი შვილები არიან და თავისუფლება უძლეველი ძალით იზიდავთ. კუნთები თავიანთავად უთამაშებთ კანქვეშ, ამიტომ გაცვეთილებს ურჩევნიათ სოფლის განაპირას ფეხბურთი ითამაშონ, ან მთელი დღე ტალღებთან პელოტა[1] ისროლონ, ვიდრე რომელიმე ძაღლის განრისხებული მშობელი თავზე არ წაადგებათ. დღეს ყველამ იცოდა, რომ შარშან ხელამოკლე, მშვიდი დარი და დიდი ხნის ნანატრი კვირა დღე დაუკარგავთ ინგლისურის ქურდმა. იმ კლდეებს რომ დაუჯახა, სადაც ხმაურით წყვილად აპარებდნენ ღილით ადრე, ზღვას შიქცევისას. ლა გალეასკე მიმავალი ვიჟები ახლა შინ რომ ყოფილიყვნენ, თავიანთ ლოგინში და დების შეეკითხებოდნენ, ხომ არ არის ჩვენი სახლიც და შარვალი დასუფთავებული (მათი სახარელო ტანსაცმელი). ისინი ხომ მთელი კვირა ოცნებობდნენ, მოედანზე ეცეკვათ, ხელი მოეკიდათ ჭრელ კაბებში გამოწყობილი სოფლის მადიანი ლამაზმანებისთვის, წითლად რომ შეჭიდულთ ტუჩები შეღებილი და ატკრეცილ ლოყებზე ბლომად ფხვნილი წაესვათ; ეზურწულით მათთვის ჭყლეტ ის სიტყვა, ქარხანაში ეცხადი მძიმე სამუშაო დღის განმავლობაში რომ დაუგროვდათ ხმამაღლად. ზოგიერთნი მუცლებს გამოხატავდნენ, ფეხსაცმლის ბურთს გამერთვებდნენ და მეორე დღეს რკინიგზის აქ ავტომუსების სადგურისკენ გასწევდნენ. თურმე, კირითადი ლა სამი-ოთხი სათადარიგო მოთამაშე გზაზე თამაშის ხერხებზე იმსჯელებდნენ ან იმ გოგოზე, რომელსაც ხვალამდი უნდა ეცხვედროდნენ; ღელდასუთ წელს გადაცვლილებული მამაკაცები კი შინ პაპისეულ სავარძელში გაიხსენებდნენ, სტვენასტვენით გადაათვალიერებდნენ გაზეთის სპორტულ გვერდს და ამოირჩევდნენ, რომელ საფეხბურთო მატჩზე წასულიყვნენ კვირა საღამოს. ახლა კი მთელი ეს სალხი, — ახალგაზრდა თუ მოხუცი, — ხმაამოუღებლად ლა გალეასკე მიდიოდა. მირეტყვე უწიწყალოდ ერეკებოდნენ, თითქოს საქონლის ჯოგი ყოფილიყო, რომ ასეთ საშინელ ღამეს მოუხდათ შინიდან გასვლა.

ჩვენ წინ უსარმაზარი ჯორი მიდიოდა, მას ორი მამაკაცი მიუძღოდა: უკუნში მხოლოდ ისინი ჩანდნენ, თუმცა ირგვლივ შეუწყვეტელი ჯრუ ზუზუნი იდგა. მივხვდი, რომ ჩვენ წინ და უკან ადამიანები და პირუტყვი დაუსრულებელ მწკრივად მიედინებოდნენ, და უცებ სულ გამოვფხიზლდი.

მზერით ვიღაც გაიცინა, აწრიალდა და ცოტა ხნის შემდეგ ლვინის მძაფრი სუნი მოედო იქაურობას.

## 18. კოსმე

ეს წყეული ღამეა, ეს მამე, ლურსმნებით დაჭედილი სანადირო ფეხსაცმელი და კიდევ ეს ოხერი ქარი რომ არა, უფრო ჩქარა გავიქცეოდი.

ჩვენს ურემს ველარა ვხედავ, მაგრამ ჩემ წინ რაღაც მძიე საგანი მოძრაობს. ვაჭარი ჩაკარტულები და მისი ბიჭები აღმოჩნდნენ. უფროსმა მანოლომ შემამჩნია, ურმიდან ჩამოხტა და დამეწია. ფეხს უნდა აუჩქარო, თორემ გამასწრებენ.

---

1 პელოტა — მცირე ზომის ბურთი.

— ვერ გამიგია, სასინტო, რა მიგირბენიხარ, — მეუბნება და ცდილობს გაიგოს, ვინ ვარ. მე ლაბადის საყელო აწეული მაქვს, ბერეტი კი შუბლზე ჩამოფხატული, — ყელი ალბათ უკვე დაკეცვებული იქნება.

არც ერთი ნაბიჯით არ ვენელებთ. მას უნდა ფეხში სახრე გამომდოს და ტალახში გამაგოროს; მე კი სწრაფად გადავიტანე სახრე მარჯვენა ხელში და მას სახრე ხელიდან გავუვარდა. ამას არ მოელოდა; გამტერებული დილგა. მე გავიქეცი და ის იქ მოვიტოვე.

აი, ჭოჭონაქის ღრჭიალი მესმის და ნაბიჯს ვანელებ, განზრახულ ადგილამდე შორი არ არის. ოჰ, ბედი არ გინდა! იქ, ფილატის პირას უკვე ჩანდა ის უზარმაზარი სამფეხა დგას: სამი ძელი მიწაში ჩაურჭვია, მაღლიდან მეცოთული გადაუჭიმავს. სამფეხაზე ამწე მექანიზმია დამაგრებული: დოლი შეუწყვეტლად ტრიალებს, კაცი ძარს ეშვება, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ვხედავ, მოაგროვეს თუ არა ბევრი ნახშირი. ეს ყველაზე კარგი ადგილია, სწორედ ძველი ციხე-სიმაგრის კედლებთან, ყილიმი გრანიტის უმკვრი ნატყეპებით ლანძღავენ.

მე ვხვდები, არც ისე ურიგო ადგილი ამოურჩევია კლდის შეფრიალზე, ვფიქრობ, რომ გადაშყურებს. სახრე მიწაში ჩავარჭე, რომ შორიდან გამოჩნდეს, მეც აქვე დავწექი, ფეხებზე ლაბადის კალთა გადავიფარე, რაც უნდა იყოს, წვიმისაგან დამიფარავს.

ოჰ, როგორ მეჯავრებიან მტრედები, ბეღურები და ჰრანწიები. აი, ახლაც თავზე დამტრიალებენ, ქარიშხალს ებრძვიან. ქარი მათ ძალას არიდევს, ისინი მაყვლის ბუჩქებში და ფიჭვის ხეებზე ცვივიან მასტიმუნტით. სამხრეთისაკენ მიმავალ ამ გუნდს ბედმა არ გაუღიმა. ბევრ ფრინველს პირველივე გადაფრენა სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ვერ ვუყურებ დაკოდილი ჩიტების წვალებას და ვიყურებ მათთან პარისაში მესხეულრა. ყასაბი კი არა, მონადირე ვარ...

უცებ ვიღაცის ხმა მესმის:

— შენ, შე..., აქ რას ჩამჯდარხარ, ამ ჯოხით გინდა მთაზე ნახშირი ამოზიდო? აქედან დაიკარგე! ვიდრე მთელი ხარ, მიიხედე.

ფეხზე წამოვხტი, გაცოფებული ვყვირი. ვინ არიან, არც კი ვიცი.

— ფეხი არ გადმოდგათ, არამზადებო. აქედან წადით, ვიდრე ამ სახრით მუცელს არ გამოგიფატრავთ და ნაწლავებს არ გადმოგიყრით!

ისინი სამნი არიან, მაგრამ უკან იხევენ.

იქ, ქვემოთ, როცა გაიელვებს, კლდეებზე გამორიყული გემი ჩანს.

## 19. პედრო

ხაბასი ფარანს ანთებს, რომ ადგილი მეგზურისთვის სარევის მოსაპოვებლად. ხარებს ძველი ციხე-სიმაგრისაკენ მიერეკება, სადაც ხიდთან წყვეტილი ხაზი მოჩანს. ეს ფარნებია, მათ შუქზე ადამიანები მუშაობენ. ხრამის პირას ყვავები ისმის, მას ზოგჯერ მუქური ხმაური ახშობს. მუქურის ცხილისას ხმიან ზვავის კვეთს, თითქოსდა გოლიათი ღამნას ატრიალებსო.

მწვერვალ მომიშულებულ ადგილას დგომა, როცა ღამისაა და ჩაიხლიქეს, ქვემოთ კი უფსკრულში ტალღები ღრიალებს. მიდი და ნუ შეგეშინდება. მე სხვებს ვუცქერი. ბრუნო ერამთან მიდის, მუხლებზე ეშვება, ხელებით თითქმის მის კიდეს ეჯიდნობა და ძირს იხედება. ლაბადის კალთებს ძლიერი ქარი უფრიალებს და ფეხებზე ურტყამს. კოსმე ურმისაკენ მიდის, თვალზე ადის და გოჯს ორივე ხელით ჭალებზე იდნაც მაღლა წევს. მარასაც გაწუწყაპული აქვს, თითქოს ვერ ამჩნევს, რომ ბერეტიდან წყალი ჩამოსდის ლოყებზე. სახის ამაკალთან ერთად ციცაბო კლდის ნაპირზე დადის და კოჭის ღასადგმელ ადგილს არჩევს.

— ყველაზე კარგი ადგილი აქაა, სადაც სახრე ჩავარჭე, — ყვირის კოსმე.

ხაბასი მის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევს და ადგილის თვალიერებას განაგრძობს, მაგრამ შორს არ მიდის, რადგან მარჯვენივ უკვე ბუჩქები მოკალათებულან და სამფეხაზე ჭოჭონაქი დაუდგამთ. ხაბასი იქ ჩერდება, სადაც კოსმე იჯდა, და ამბობს:

— გოჯს აქ დავდგამთ.

ხაბასს მიჰყვება, ასმუელსა და ბრუნოსთან ერთად რომ მიდის ურმისაკენ, და ფერმინს ეჯახება. ურმიდან სადაც ჩამომხტარა, ისევ იქა დგას დგას და თვალმოუშორებლად იყურება სიღრმე მარცხნივ, ნაპირისაკენ, მაგრამ ყველაფერი სიბნელითაა მოცული. იგი ტუჩებს

უხმოდ ატმაცუნებს. ეგებ მის ხმას ქარი ფანტავს. აი, იგი მარცხენა ხელს ნაპირისაკენ იშვერს და ჩახლეჩილი, ოდნავ გასაგონი ხმით ჩურჩულებს:

— იქ... იქ... იქ...

მე ხელს ვკიდებ და ვეკითხები:

— რა იქ?

— იქ... იქ იყო,— აგრძელებს იგი, მაგრამ ჩემს კითხვას კი არ პასუხობს [illegible] მაშინ შემამჩნია, როცა ლოპაპაზე მოვქანე. უცებ ფერმინმა ძლიერად მკრა [illegible] მორს. მას რაღაც ჩიშმაგე დაეუფლა, ყელიდან კვნესა თუ ხრიალი ამოხდა. ხიმრაზისაკენ ერთიანად კანკალებს, ისევე, როგორც მაშინ, როცა ხშვენზე ამ თავის ხულელურ ნიკებს იშხვრევს.

— რა იყო იქ? — ვუყვირი და ნაზიკს კვლავ მისკენ ვადები,— ღმერთო, რამე მაინც თქვა, თუნდაც ორი სიტყვა!

ამ დროს ზანზარი გვეძახის, მაგრამ ამ ძახილს როდი შეუწყვეტია ფერმინის კვნესა. ფერმინი უცებ თავის ვარუმდა და კოხიერი ადამიანის თვალებით მიყურებდა.

## 20. ბრუნო

მამე, მაგრამ მოშიშარი ღამე დაგვიდგა. კარგია ლია ცის ქვეშ ბრძოლა. გამძაგებული ქარიშხალი ცდილობს მაღლა ამოასროლოს უძლეველი ზღვა და წყლის მელტებად აქცევს, მერე ზღვა და ქარიშხალი ერთად ესეოქებიან ნაპირს და ყველაფერს, რაც კი ადამიანის ხელს შეუქმნია, ნამსხვრევებად აქცევენ.

ამ ღამით არავის ძინავს. მეჩვენება, თითქოს ბუხარის ლოგინში ვხედავ. იგი მოუსვენრად წრიალებს, ხაბანში იღუთნებს, იმიტომ კი არა, რომ სცივა (მისი ხმეული ხომ თავად არის ხიცოცხლე და ხიცივეს ვერ გრძნობს), ხსვა დაწყეული.

— მე ისიც ვერ შეგატყობინე, რომ აქა ვარ,— ვყვირი პირმოკუმული, გულში ვიმარხავ მისზე კუშანს და თხვრას ძლევს ვაკაყებ.

ბრეზენტის ერთი ბოლო გაგვხსნა, იგი მაღლა მიიწევს და თოკსაც იტაცებს. კოსმე მეორე ბოლოს ხსნის, ფერმინი და ძია პედრო მეორე მხრიდან მოსდგომიან ურემს და თოკებს ხსნიან. ბრეზენტი უზარმაზარი ნიტავით ფართხალებს და მაღლა აფრენას ლამობს. მხოლოდ ერთი ადგილას ვერ მოსწყდა ურემს, იქ, სადაც ორივე ხელით ჩაფრენიათ ჩაფრენია მას ისმაელი. კოსმე, ძია პედრო და მე ისმაელისაკენ გავრბივართ, მაგრამ მამის ხმა გვაჩერებს:

— უკვე მოიგდო ხელში,— ამბობს იგი,— მარტოც მოერევა.

და ჩვენ ვუცქერით, როგორ ცდილობს ბაჭი ფეხი დაადგას ბრეზენტს, რომელსაც ქარიშხალი იალქანივით ბერავს და მიათრევს, თუმცა ქსოვილი წყვისაგან დამძიმებულა. ისმაელს უბრალოდ ბედი არ წყალობს, არ აქვს და აღარ კაიშალა ბრეზენტი ნიშაზე.

— ხელი რომ გაუშვას, ბრეზენტი თავისით დაგორდება,— მესმის მამის ხმა. მამა ადგება და ბალახის ღეროს ღეჭავს; მოუსწრია და უკვე გაურჭვია პირში.

მოულოდნელად ქარმა ძლიერად დაბერა და ბრეზენტი ბაჭს თავზე წაახურა. კატა-თაგვობანას თამაში დასრულდა.

— დროა მივეშველოთ,— ამბობს მამა და ისმაელისაკენ მიემართება, თან ისევ ბალახის ღეროს ღეჭავს.

## VI

საქმიანისა თვალი დავხუჭო, რომ წინ დამიდგეს ქვემოთ, ნაპირთან, კლდეებს შორის ჩაჭიმული ბადე. ალბათ ანკესება ნადავლის ხამძამიხაკან წყალში ჩაიძირა: რამდენიმე თევზი წამოეგო ანკესზე ანდა ის ერთი საწუკვარი კილიაია გამოეჭირა, ხოუბრის დროს რომ არც კი ახსენებენ. მე ვიცი, რაზე ფიქრობს დიდ ანკესზე წამოგებული ეს ბოკანი მოხეტიალე, ხავმოდ ამაყი იმისათვის, რომ გაქცევა სცადოს, ქვიშიან ფსკერზე დაუღალავად გარითხმული თავისი მომავალი მბრძანებლის, ესე იგი, ჩემი მოშლოდინე. მან წინასწარ იცის, მასთან მხოლოდ იმისათვის მივალ, რომ მისი მსვრით დავტკბე; იცის, რომ ხიახლოვეს ვერ მიეკარება, მან კარგად ესმის, რომ მე მარტოკა მასთან ვერაფერს ვეჩდები და მშველელის

მონაყვანად გადიქცევი. და თუკი ვინმე უფრო გულადთან ერთად დაბრუნდები, იგი იქ უკვე აღარ დამხვდება. არა, კი არ გასხლტება, ანკესიდან თავს კი არ დაიძვრენს, უბრალოდ გაუჩინარდება, ყოველგვარი აჩქარებისა და შიშის გარეშე, რადგან არაფრისა ეშინია. ... ამქვეყნად ყველაზე მეტად თავისუფლება უყვარს, ეს კი ძალიან თავისუფლებით მოსწონს.

ველთევზის არსებობის რწმენა ჩემს თანატოლებს ხისხლსა და ხორცში ჰქონდათ გამჯდარი, ველთევზის ამბავი დაუწერელი ლეგენდა იყო, და თუ ... თაობიდან თაობას, გადაეცემოდა არა როგორც ზღაპარი, არამედ როგორც ... ჩვენ ამას მოწმობაშივე მივხვდით, როცა დიდებთან ერთად სათევზაოდ მივდიოდით და მათი ნალაპარაკევი გვესმოდა. ანკესის დაგდებისა ან ბადის გაჭიმვისას ერთმანეთს სხვათა შორის გადასძახებდნენ ხოლმე მრავალმნიშვნელოვნად: „იგი ჩვენ გვხედავს... რა ღონე აქვს... ვერც ანკესით დაიჭერ და ვერც ბადით... ჭკვიანია, ჩვენ მასთან ხელ მოვცდით..." ან უცებ: „რამ შეგაშინა, ბიჭო, ხომ არ დაინახე?" — როცა ვინმე ჩვენთაგანი უცებ ამოხტებოდა წყლიდან და კლდეზე ავცოცდებოდა.

ჩვენ აღფრთოვანებულნი ვიყავით, თუ შეიძლება ასე ითქვას, უიმედო იმედი მისი დაჭერისა. მაგრამ ერთხელაც ხომ იქნებოდა, ახალგაზრდა, გამოუცდელი ველთევზა (ჩვენ ვიცოდით, რომ ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე ველთევზათა ორი ან სამი, ხან ოთხი თაობაც კი იბადება) თავს ვეღარ დაიძვრენდა, ეს დრო კი არ დგებოდა. გოლიათ ველთევზას, რა თქმა უნდა, შთამომავლობა ჰყავდა, — ჩვენ მას ღმერთად კი არ მივიჩნევდით, — მაგრამ მისი ნაშიერნი თავიდანვე ძლიერნი იბადებოდნენ, თავისუფლების სიყვარულს მემკვიდრეობით იღებდნენ და ადამიანებიც ვერას აკლებდნენ მათ.

და მაინც არ ვკარგავდი იმედს. ამიტომ იმ ღამეს, როცა ჩემი ბიძა ტალღების მოწოლას ძლივს უძლებდა, ლამის გავგიჟებულიყავი ფიქრით, ალბათ თეოდორი თბილ ლოგინში წევს ან შეიძლება აქვე ნაპირზე და მოუთმენლად ელის ზღვის მიქცევას, რომ ხელთ იგდოს ჩემი ბიძა და ველთევზა დაიჭიროს. მაგრამ მე არ ძალმიძდა მოვლენათა მსვლელობა შემეცვალა და ხმაამოუღებლივ შევყურებდი, საცალფეხო ბილიკით ფერდობზე როგორ ჩადიოდნენ ცარიელი ტომრებით მამაკაცები, მერე კი ქვემოდან ნახშირით სავსეს მოათრევდნენ, თან კლდეებს ეკვროდნენ, რომ ქარს არ წაექცია და მძიმე ტვირთიანად უფსკრულში არ გადაეჩეხა.

მამა უკვე ურემზე ასული იყო, რომ კოჭი გადმოიღეთ. კოჭს ქვემოდან მხარი შეუდგეს ძია პედრომ, კოსმემ, ფერმინმა და ბრუნომ (მე ჭკუას ვერ ვწვდებოდი) და ნელ-ნელა უკან დაიხიეს. როგორც იქნა, მძიმე კოჭი ფრთხილად დაუშვეს ერთი ბოლოთი მიწაზე. მაშინ მამამ ადვილად, შეიძლება ითქვას, ნაზად და მსუბუქად, თითქმის თამაშ-თამაშით კოჭი ურემს მოაშორა. და აი, ოთხმეტრიანი კოჭი მთელი ტანით აღიმართა, თითქოს ახალგაზრდობა და კარგახანს ... გაიხსენა, თითქოს ისევ ტანმორთული ხე იყო. მერე კი ქარიშხალს ვეღარ გაუძლო, ნელ-ნელა გადაიხარა, როგორც ზარბაზნის მოისხანე ლულა, და მიწაზე მოადინა ზღართანი. მამა, ფერმინი და მე ერთ ბოლოს ჩავეჭიდეთ, ძია პედრო, კოსმე და ბრუნო — მეორეს, კოჭი ავწიეთ და ბარბაცით წავათრიეთ ხრამისაკენ, ვიდრე კოჭის მესამედი ხრამზე არ დაეკიდა. მერე კოჭთან რიყის ქვები მოვზიდეთ, ქვები კი არა, თითქმის ლოდები. კოჭმა უდრტვინველად გადაიტანა [illegible], როცა ზედ ერთიმეორეზე მძიმე ლოდები დავაწყვეთ. ქვებით ისე უნდა დაგვემაგრებინა, რომ ნახშირით სავსე ტომრებს არ გადაეძალა და თავადაც არც მარჯვნივ, არც მარცხნივ გადახრილიყო.

— ერთი ლოდი კიდევ გვინდა, — გვითხრა მამამ, როცა წელში გავიმართეთ.

— საკმარისია, — ამოიხვნეშა კოსმემ.

— არა, სჯობია...

მაგრამ მამას ენა დაება, რადგან კოსმემ ფეხი ნაპრალისაკენ გადადგა. ვიდრე ჩვენ გონს მოვეგებოდით, კოსმემ კოჭზე ფეხი შედგა, შედგა იმ ადგილას, სადაც კოჭის ხრამზე გადაკიდებული ნაწილი იწყებოდა. მერე მოიკუზა და სწრაფად გადაიარა კოჭს, ხელებით დაეყრდნო და წინ გაცოცდა, ვიდრე ბოლომდე არ მივიდა. იქ ერთი ხანმოკლე შეხტა და ხრამზე გადაკიდებული კოჭი შეარხია. საშინლად მოგვეჩვენა ეს წუთები. ისე გავშტერდით, კოსმეს დაძახებაც ვერ მოვახერხეთ. მერე როცა მამა ხრამთან მივიდა, მივხვდი: მამამ ხმა იმიტომ კი არ ამოიღო, რომ ჩვენსავით შიშისაგან დამუნჯდა, არამედ იმიტომ, რომ სიტყვა, თუნდაც ერთი, თუნდაც ათასი, ამ შემთხვევაში უძლური იყო და კოსმე კოჭზე იმდენ ხანს ინავარდებდა, რამდენ ხანსაც მოისურვებდა.

ამიტომაც, როცა კოხმე უკან-უკან გამოიწია კოჭზე და ხრამის პირს მოადგა, მამა უხმოდ შეეშველა წამოდგომაში.

დაუღალავად ვმუშაობდით, თქეშს ყურადღებას არ ვაქცევდით და, წყლით გალუმპულ, ისედაც მძიმე ტანსაცმელში გაჭედილნი, ხელს ძლივს ვითქვამდით. ჩვენ წინ ნათელი მიზანი გვედგა: ნახშირი უნდა მოგვეპოვებინა, რაც შეიძლებოდა მეტი ნახშირი; ჩვენ ვიცოდით, რისთვისაც ვირჯებოდით და ეს ძალას გვმატებდა. მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ უკვე აღარ ვფიქრობდი იმაზე, რისთვისაც ვმუშაობდი, ახლა მთელი გულისყური მიპყრობილი მქონდა იქითკენ, რომ კარგად მემუშავა. ალბათ სხვებიც ამასვე გრძნობდნენ. მე აღმაფრთოვანებდა არა მხოლოდ მიზანი, არამედ მოქმედების წყურვილი, თვით მოქმედება, რაც სიცოცხლის უტყუარ ნიშანს წარმოადგენს და გვავიწყებს გაჭირვებასა და სიძნელეებს. ჩვენ უკვე ხელი აგვეღო ყოველივეს, უკვე ვიყნოსეთ თბილი სისხლი დაჭრილი მსხვერპლისა, ჯერ ისევ რომ ფეთქავს. უკან აღარ დავიხევდით, თუნდაც ათას ხიფათს ერთად ეყვირა, რომ ეს ნახშირით სავსე გემი კი არა, უბრალოდ მოჩვენება არისო.

## 21. ხოსეფა

ძალიან კარგად მახსოვს ის დღე, როცა მღვდელმა წარმოთქვა: „საბას, შენ ამ ქალს ცოლად ირთავ?" მერე მე მომმართა, ისე რომ თავი არც კი მოუბრუნებია: „ხოსეფა, შენ გინდა ამ კაცმა შეგირთოს?"

იმ დროს საბასის გვერდით ვიდექი მუხლმოყრილი, უთოკოდ ხელფეხშეკრული, დამარცხებული და, — რაღა დასამალია, — დაძლეული. შემდეგ უნებურად ბედს დავემორჩილე, ბრძოლის თავი აღარა მქონდა, ადრე კი ვიბრძოდი, რაც შემეძლო, თუმცა თავიდანვე ვიცოდი, ბრძოლა იმაო იყო. შევყურებდი მღვდელს და გაოცებული ვიყავი, როგორ შეეძლო ასეთი ულმობელი სიტყვები ეთქვა, როცა მისკენ მუდარით მიპყრობილ თვალებში სასოწარკვეთილება მეხატებოდა. „რად არ დამიცავით? რად არ მეკითხებით ისევე, როგორც სხვა ქალებს ეკითხებით ხოლმე: „ხოსეფა, ეს კაცი შენ ქმრად გინდა?".

ერთხელ როგორღაც საბასი ბერანგოში გამოჩნდა, კუშტი, გამხდარი და მშვიდი. მან ღინჯი ხასიათი ჰქონდა, ერთთავად გამხმარი ბალახის ღეროს ღეჭავდა. ველვეტის შარვალი ბამბის წინდებში ჰქონდა ჩატანებული და ჯიბეში ხელებჩაწყობილი მიაბიჯებდა, ტანთ უჯრედებიანი ხალათი, ფეხზე კი ქალამანი ეცვა. ცალ ხელში ქოლგა ეჭირა.

ორშაბათი დღე იყო, საღამო ხანი. ჩვენს ბოსტანს ჩაუარა, გზის პირას რომ გვქონდა. ალგორტადან მოდიოდა ნელა, მოზომილი, მტკიცე ნაბიჯით. ასეთი ადამიანები უკან არასდროს იხედებიან. როცა მე თავი ავწიე, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. მან ჯიუტად შემომხედა. ერთმანეთს საკმაო მანძილი გვაშორებდა და სანამ მომიახლოვდებოდა, თვალი არ მოუშორებია ჩემთვის. მაგრამ ისე იქცეოდა, თითქოს აინუნშიაც არ მაგდებდა. თავიც კი არ მოუბრუნებია, არც ბალახის ღერის ღეჭვა მიუტოვებია, როცა გამისწორდა, თვალი ამარიდა და გზა განაგრძო, არავინ იტყოდა, საბასს ხოსეფა მოეწონაო.

თავიდან ვერ ვიცანი. მხოლოდ მაშინ, როცა კვლავ თოხს წავავლე ხელი, მივხვდი, ვინც იყო: საბას ხაურეგი, ალგორტას სანაპიროზე მდებარე სახლის პატრონი. იგი მშობლების სიკვდილის შემდეგ ეულად ცხოვრობდა. მისი ოჯახის ამბავი ყველამ იცოდა. თავდაპირველად ოჯახში ოთხნი იყვნენ: დედა, მამა და ორი ძმა. გამრჯე ხალხი იყო, მიწა სამყოფი ჰქონდათ და დაუღალავად შრომობდნენ. ძმის სიკვდილის შემდეგ მამა, დედა და საბასი ოთხი კაცის საქმეს აკეთებდნენ. ცოტა ხანი გავიდა და დედა გარდაიცვალა, მაგრამ ორი მამაკაცი მეურნეობას თავს ართმევდა, სამუშაოსაც თავად ეწეოდნენ. როცა მამაც მიიცვალა, საბასმა მთელი ოჯახის ტვირთი დამოუკიდებლად ზიდა. მარტო ეწეოდა მძიმე შრომას, რაც წინათ ოთხსაც კი უჭირდა. ასე ცხოვრობდა იგი, ყველასაგან მოშორებით, ყველასაგან დავიწყებული. დილიდან გვიან ღამემდე მუშაობდა.

მე მას ხან სანაპიროზე ვხედავდი, როცა ჩემიანებთან ერთად ნახშირს ვაგროვებდი, ხანაც შემთხვევით შევეჩეხებოდი, როცა ძროხებისათვის ბალახს თიბავდა ან ბოსლიდან ბოსტანში ნაკელი გაჰქონდა. ზოგჯერ მისი სახლის საკვამურიდან ბოლს რომ შევამჩნევდი, გავიფიქრებდი ხოლმე, ახლა იგი ვახშამს იმზადებს-მეთქი.

ჩვენი უკანასკნელი შეხვედრიდან ექვსი დღის შემდეგ, პირველსავე კვირა დღეს იგი საცეკვაო მოედანზე გამოჩნდა მოულოდნელად, სადაც ქალ-ვაჟნი რიგოლის უკრავდნენ და

ცეკვავდნენ. მას ტიკის შარვალი, მიხაკისფერი დაჭმუჭნილი ქურთუკი და საკინძეგახსნილი თეთრი ხალათი ეცვა, რასაკვირველია, ჰალსტუხი არ ეკეთა. მოცეკვავეებს თვალიერებდა, მე დამენიშნა, ლამაზია თუ არა, გაბედულად მომიახლოვდა. ეტყობა, საკუთარი ხელით მეტისმეტად გახამებული პერანგის საყელო კისერს უხეხდა, თუმცა ეს ამბავი სრულიადაც არ აწუხებდა. მშვიდად მომიახლოვდა წელგამართული, ჩემ წინ შედგა და გაბედულად მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გინდა ჩემთან იცეკვო?

განა საკმარისი არ იყო, უბრალოდ ეთქვა: „გინდა ცეკვა?" ანდა „ვიცეკვოთ?" მაგრამ მან რაღაც ხაზგასმით წარმოთქვა სიტყვა „ჩემთან". იმწამსვე ვიგრძენი, რა უნდოდა ჩემგან, რას მოელოდა, შემდეგ როგორ მოიქცეოდა და როგორ მიაღწევდა საწადელს.

უარი ვუთხარი და საცეკვაოდ არ გავყევი, იმიტომ კი არა, არ მომწონდა (არ შეიძლებოდა არ მომწონებოდა: იგი წარმოსადეგი, ტანადი, ღონიერი იყო, სხვა გლეხებს არ ჰგავდა), უბრალოდ არ გავყევი. მგონი, თავადაც არ იყო დარწმუნებული, რომ დავთანხმდებოდი. ვფიქრობ, არცთუ ძალიან უნდოდა მასთან მეცეკვა: მას ერთი რამ სურდა — დავემორჩილებინე. მან იცოდა, რომ ადრე თუ გვიან ნებისყოფას დავკარგავდი და უმწეო გავხდებოდი. იმ კვირა დღის შემდეგ იგი ბერანგოში კვირაში ორჯერ მაინც მოდიოდა: კვირაობით ცეკვებზე ჩემი გულისთვის, ოთხშაბათობით კი — მეზობელ ბენიტოს ძროხის გულისთვის.

მთელმა სოფელმა იცოდა, რომ საბასს თვალში ბენიტოს ძროხა ჩავარდნოდა. ჩვენს მეზობელ ბენიტოს ბოსელში შვიდი ძროხაება. ძროხებს კარგად კვებავდა, სამაგიეროდ წვეთ რძეს არ ჩაუტოვებდა ჯიქანში. ჩემი მშობლები იტყოდნენ ხოლმე: სამართალი სად არის, კაცს ექვსი მეწველი ძროხა ჰყავდეს და ღმერთი კიდევ მეშვიდეს აძლევდეს, თანაც ისეთს, ოცდაათ ბოთლ რძეს რომ იწველისო დღეში.

ბენიტო არავის აძლევდა ნებას მისი ძროხისთვის დიდხანს ეცქირა, გაყიდვაზე ან გადაცვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ოღონდ ბენიტომ ვერ გაითვალისწინა ერთი ქვა კაცის ჯიუტი ხასიათი.

საბასი ყოველ კვირაობით, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, საცეკვაო მოედანზე გამოეცხადებოდა და ერთი და იგივე სიტყვებით მომმართავდა. მე კვლავინდებურად უარით ვისტუმრებდი. იგი სხვას არასოდეს გაიწვევდა: მოვიდოდა, მომძებნიდა და მეტყოდა, ვიცეკვოთო, მე უარს ვეუბნებოდი და მშორდებოდა.

მაგრამ აი, მცირე ცვლილება მოხდა, ჩვენი როლები ცოტათი შეიცვალა. სამი თვის ერთფეროვნება დაირღვა. იმ კვირა დღეს, საბასი რომ მოვიდა ცეკვებზე, უკვე ღამე იყო. მოედანზე სინათლე აანთეს, მაგრამ უცებ ჩაქრა: ასეთი რამ ხშირად ხდებოდა: ვაჟები მავთულს გადაჭრიდნენ, ქალიშვილები წიოკობას ატეხდნენ, ერთი აურ-ზაური შეიქნებოდა, აქა-იქ სილის გაწკაპუნების ხმა ისმოდა. როცა ქალიშვილები გულწრფელად აღშფოთდებოდნენ, ნათურები კვლავ ინთებოდა და მომცინარე, ალანძულ პირისახეებსა და არა ერთ აჭარხლებულ ლოყას გამოაჩენდა. და აი, ჩვენი ნაცნობობის სამი თვის შემდეგ, ერთ-ერთი ასეთი ორომტრიალის დროს, სიბნელეში ვიგრძენი, რომ ვიღაცამ ფრთხილად მომხვია წელზე ხელი; ვერასოდეს ვიფიქრებდი, მამაკაცს თუ შეეძლო ქალს ასე ხათუთად მოჰფერებოდა. თუმცა ბნელოდა, მაინც არ შემშინებია და არც წინააღმდეგობა გამიწევია. სინათლე არ იყო და რაღაც დუმდა. მაგრამ ჩვენ ამ აურზაურში და წივილ-კივილში მაინც ვცეკვავდით. ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე დაილაპარაკებდა, ვიგრძენი. მისი მარცხენა ხელი ნაზი და თან მტკიცე იყო, ხოლო წელზე შემოხვეული მარჯვენა მსუბუქიცა და რკინასავით მაგარიც. ახლა მეგონა, თითქოს მას მივეჯაჭვე, მისი ტყვე გავხდი. ისეთივე გრძნობა დამეუფლა, როგორც მაშინ, როცა საბასმა პირველად გამიწვია საცეკვაოდ... როგორც კი ვიცანი და დავაპირე მისი მკლავებიდან განთავისუფლება, ხმა ამოიღო:

— დაიცა, რაღაც უნდა გითხრა... მამაჩემმა ქალაქიდან კარგი ხელსაწყოები ჩამოიტანა. ხვალ, მე უკვე შევუდგები სახნისისა და კარადის გამართვას.

მაგრამ, როგორც კი ნათურები აინთო, ხელი გამიშვა და მხიარულ ქალ-ვაჟებში გაუჩინარდა.

იმავე ღამეს, ვახშამზე, ცხონებულ მამაჩემს ვკითხე:

— როგორ გგონია... ეგ ალვარიტელი... საბასი ბენიტოს დასტყუებს ძროხას?

— ბენიტომ წუხელ ტავერნაში თქვა, შვიდი ძროხის შენახვა უკვე მიჭირსო...

ღმერთს მხოლოდ ერთსა ვთხოვდი, მოეცა საშუალება დავრწმუნებულიყავი, თუ ადამიანს არ უნდა, ისე არც არაფერი ხდებოდა. ცხოვრება ჩემზე ძლიერი გამოდგა, და მეც დღედაღამ ამაზე ვფიქრობდი. ცხოვრება იქით მიმაქანებდა, საითაც წასვლა არ მინდოდა.

საქმე ის კი არ იყო, მომწონდა თუ არა საბასი. რასაკვირველია, მომწონდა (საბასი ახალგაზრდა იყო, მაღალი, შეუპოვარი და შრომისმოყვარე, ქალაქელივით უხასიათობისაგან რომ დამიცავდა, თანაც საკმაოდ ხანდაზმული და ხასიათიანი). მაგრამ ეს არ იყო ის სიყვარული, რომელიც წამოწყებების დღიდანვე გიცნობობდი. მე მჯეროდა, რომ მამაკაცისა და ქალის ურთიერთდამოკიდებულება ისეთი არ უნდა ყოფილიყო, როგორიც პირუტყვისა, როგორიც ძაღლისა და ფურისა ჩვენს ბოსელში. არა, ნამდვილი სიყვარული ასეთი როდი იყო. მე მშვიდად ვუცქერ-მეცადა. საბასს სიამოვნებით გავყვებოდი და ბოლოს და ბოლოს იქნებ [illegible] ნერიც ვყოფილიყავი, რომ ხშირად მომწყრობოდა. საბასი არაფრად მაგდებდა, არაფერს მეკითხებოდა, ისე ცდილობდა ჩემს ხელში ჩაგდებას.

ღამღამობით ვფიქრობ, როგორ მოვქცეულიყავი და გადამეწყვიტა: არ შემეძლო ასეთი დამყოლი და სულმოკლე ვყო-მეთქი. ბოლოს, მეც უფრო გაბედულად დავუწყე წინააღმდეგობის გაწევა. ის კი, თითქოს არაფერი მომხდარიყო, ყოველ კვირა დღეს მაინც დადიოდა ცეკვებზე, თუმცა იმას შემდეგ, რაც მითხრა, შენთვის ავეჯს ვამზადებო, ჩვეულებრივ საცეკვაოდ აღარ მიწვევდა. იმიტომ კი არა, თითქოს საცეკვაოდაც არ უყვარდა, ხომ თავს გაწბილებაში ზედიზედ უარს რომ ვეუბნებოდი, არა, დარწმუნებული იყო, გზა გაკვალულია, პირველი ნაბიჯი გადადგმულია, ახალი ეტაპისათვის კი რაღაც სხვა საშუალება უნდა გამოენახაო. სასოწარკვეთილი ვემუდარებოდი, ქალებისთვის მაინც მეტყვე-მეთქი სიმართლე „არას", თუმცა ჩემს თავს უკვე მას გვერდით დაწოლილს და ზედმეტრად ტკბებოდი. იმედი მქონდა, წმინდა სიცოცხლე ძალას მომცემდა, მაგრამ, როგორც კი ბენიტოს ძროხა გამახსენდებოდა, ვფიქრობდი, ყველაფერი ამ ძროხაზე არის-მეთქი დამოკიდებული: თუ საბასი ძროხას ხელში ვერ ჩაიგდებს, არც ასეთი ძლიერი ყოფილა და შეიძლება ბედმაინმა წინააღმდეგობა გაუწიოს-მეთქი. პატარა იმედი ჯერ კიდევ მრჩებოდა.

მაისში მუშამზადამოკრული ორი დიდი ჩემოდნით ხელში ჩვენს სოფელში კატალონიელი ვაჭარი ჩამოვიდა. რა არ იყო ჩემოდნებში: ფერადი ქსოვილები, არშიები, ღილები, მაფთები. იგი ყოველწლიურად ორი თვით ჩამოდიოდა. მეიდეელები ჩვენში ცოტანი იყვნენ, ვაჭარი სადგურის მახლობლად დაბინავდებოდა ხოლმე, ორი-სამი დღით მეზობელ სოფლებში დაიკარგებოდა, მერე დასასვენებლად და ძალებას მოსაკრეფად ისევ ჩვენთან ბრუნდებოდა. იგი ჩასკვნილი, ლოყაწითელი, სქელი მამაკაცი იყო, ოხუნჯი და ლაქლაქა, რას ავეთებდა ბარისელიონაში, სადაც მთელ ათ თვეს ცხოვრობდა, არც ერთმა ჩვენთაგანმა არ იცოდა, თუმცა ხულ მასზე ვჭორაობდით. რასაკვირველია, ცოლ-შვილი ეყოლებოდა, მაგრამ მის თითზე ნიშნობის ბეჭედი არავის უნახავს. გადაწყვეტილი ვაჭარი ჩემი მაჩხუბისათვის გამომეყენებინა. მე არაჩვეულებრივი, თავხედური რამ უნდა ჩამედინა, ქორწინება გამომეწვია, ვზიდან რომ აღკვიდა ყოველივეს, რაც გარდუვალად მიმაჩნდა. საიცარი იყო, და თუ თავს შერცხვენილად არ ვთვლიდი, მხოლოდ იმიტომ, რომ ქრთაღერობი კაცი, ვისაც ვაჭართან ჩემს დამოკიდებულებას ყურადღებას არ აქცევდა. საბასი იყო. კვირაობით იგი კვლავ ბერანგოში ჩამოდიოდა, თუმცა ახლა ძალუმლია იყო გზაზე დამელოდებოდა. ვიდრე ჩემს თაყვანისმცემელთან ერთად მივუხვრიობ ჩასვლისი აღგილებში არ მოვიდოდა: ტაძარს, მოკირწყლულ ქუჩებსა და სოფლის გრძელ შარას. როგორც კი დავინახავდა, თვალებს ასარიდით გამიგრძელდა, ვაჭარი მასთვის თითქოს არ არსებობდა. მერე თავს მშვიდად დამიქნევდა, როგორც ყოველთვის ჩაფიქრებული, იდუმალი და ჯიუტი, და მომავალ კვირა დღემდე იკარგებოდა.

ივლისის 30, საღამოთი შინ ვბრუნდებოდი. ჩვენი ერთადერთი ძროხისათვის იასკვლით თივა მიმქონდა. უეცებ დავინახე, ბილიკთან საბასი მელოდებოდა. რიცა გვერდით გავუარე, მხოლოდ მაშინ შეიძინა.

— დაიცა, — მომაძახა, ბილიკი მოწყვიტა, თითზე დაიხვია და კბა მოიმეჭრა. მე ძალაუნებურად შევჩერდი, — შორიბიდან არაფერი მესაქმება, უნდა მოგეყოლო, ყველაფერი გადაწყვეტილია, ჩვენ კი ქორწინებისათვის სიტყვა არ გვითქვამს სვალ საღამოს გამოვდგება, წმინდა იგნასიოს დღეობაზე წავიდეთ.

ვარდი, ბილიკის ღერი მუხზე გადაიდო, მერე ჩაიცვა, მობრუნდა და სახლისკენ გაეშურა.

გადავწყვიტე, რაღაც არ უნდა დამედელს, არაფერს დავუთმობ-მეთქი, რადგან მისი უკვე აღარ მეშინოდა: გამბედაობას მმატებდა კატალონიელი მეწვრილმანის ერთგულება, ერთიც სასიამოვნო კილო. მაგრამ მეორე დილით მე კვლავ შევხვდი, საბასს იგი შარაგზაზე ნელა მოაბრუნებდა. ის-ას იყო ბენიტოს სახლიდან ძროხა გამოეყვანა და თოკით მიჰყავდა. მისი მშვიდი, იდუმალებით აღსავსე სახე არც გაოცებას გამოხატავდა, არც გამარჯვებას. მაგრამ,

ჩემი ხრიკები ამით გამოდგა. სხვა გზა არ დამრჩენოდა, ცაზ ავხედე, რომ გამეგო, ბაჭრობამდე ქორწილი წაშლილა თუ არა.

მანდილოსან ვაჭარი გამჭვირვალებისა და ჩვენი დამორებას ამბავი მეუწყებინა, მერე კი შინ არ დაბრუნდა, მითხრეს, ვეიან ღამით დაბრუნდებაო. მერე ხაზახს დაუწყებ ლოდინი, ალეკორტაში წმინდა იენახის ტაძარზე ჩახახვეულ მოედანზე. არ ვიცოდი, ჩემს თავს რა ეჭირა; ვერაფერზე ვერ ვფიქრობდი, თითქოს ხაზახმა ჩემი ნება ხორცშესხმული დაერიოს ლუღით გაგლიჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახე აღმოჩნდა მასთან ერთად, ღვეულობდა მასთვის არ შეხმარა, მაგრამ არ შემიძლია ყური არ მეგდო, რადგან ხმენა კარგი მქონდა. იგი გვერდით მომყვებოდა და მაინც არ მჯეროდა ეს ამბავი: ვერც კარუზელის ღრჭიალი, ვერც შეწუხებული მუსიკა და კარუსელის ფარდულებთან თავშეყრილთა ხმაური, ვერც ლუდისა და ლიმონადის დამტვრეული ბოთლები, ვერც ცამეტ ფორმაში გამოწყობილ მუნიციპალიტეტის ორკესტრანტთა ღრიალი, ვერც ორკესტრის გამოფენის შემდეგ რადიოლას გამოტანილი მუსიკა ვერ ახშობდა მის ხმას, ნაწყვეტ-ნაწყვეტ წინადადებებს. და მე ვიგებ, რომ მუხის ხაწოლი და კარადა უკვე მზად ჰქონდა. მან ამიწერა კიდეც, როგორი ჩუქურთმებით შეამკო ავეჯი და მაგიდა, ქორწილი 31 აგვისტოსათვის დაენიშნეთ, ერთი სიტყვაც არ დაუძრავს ნიშნობაზე, რომელიც ასე ოცნებობს ყოველ ქალიშვილი. მას უნდოდა ერთბამად მოეწყვეტა ქალიშვილობის ბაღნარიდან და თავის თანამეცხედრედ ერთბამად გაეხადე, მართალია, საქორწილო ხარჯებს მიმზადებდა, მაგრამ მაინც მოსამზადებლად უნდოდა, ვინაიდან ქორწილის დღე რომ დანიშნა, დაუმატა, სექტემბერშივე შევეძლია ხამინდის ტეხვას შევეუდგეთო; იგი უარს მეუბნებოდა საქორწილო მოგზაურობაზე. ქალწულის საძინებლიდან პირდაპირ ცოლ-ქმრის საწოლ ოთახში მასახლებდა, ქალის სენაკიდან — მარტოხელა მამაკაცის ბინაში; იგი დროსაც არ მაძლევდა ცოდვებისაგან განეწმენდილიყავ. ამის ხაშუალება კი ყოველ ქალს ეძლევა საქორწინო მოგზაურობისას. თუკი ბატარძალი ერთ-ორ კვირას, — თუნდაც მხოლოდ პირველ ღამეს, — უცხო ცის ქვეშ, უცხო ქალაქსა თუ ოთახში გაატარებს, იხელი თეთრი ზეწრის ქვეშ, პირველ ღამეს სადღესასწაულო ელფერს რომ აძლევს, ასე ჰგონია, თითქოს ზღაპრულ ქვეყანაში შედიოდეს, რაზედაც ცამეტი თუ თხუთმეტი წლიდან ოცნებობს, სადაც ყველაფერი ნათელია, ყველაფერი მისარევებულია. მე კი დროს არ მაძლევდნენ ცოდვებისაგან განსაწმენდელად. თუმცა არც ვფიქრობდი, რომ განწმენდა აუცილებელი იყო, ურთიერთკავშირის ხიწმინდე თავისთავად იბადება, მაშინვე, როცა კაცი და ქალი, შეყვარებულნი და ერთმანეთის სიახლოვით გახარებულნი, თავიანთ ბინაში შეიკეტებიან. მაგრამ მე ყველა ეს მეტნაერი ვინცდაწამერთვა.

ჩვენ მდელოზე ვიხედით. მოსაღამოვდა. მე ავდექი და ვუთხარი:

— მე ის მეხვეოდა და მკოცნიდა. არც ამას ჩათვლებ რამედ?

— ნერე რა, — მომიგო ხაზახმა, — ვიცი, მაგრამ მაგას არაფრად ჩავაგდებ. მხოლოდ მაგას.

ხაზახს სჯეროდა, რასაც ამბობდა. დარწმუნებული ლაპარაკობდა. თითქოს მას ყველაფერი გაეთვალისწინებინა, ყველაფრისთვის თავისი ადგილი მიეჩინა და უკვეთაც კი შეენიდა სხვა ადამიანების ცხოვრება წარეგმართა.

— სად მიდიხარ? — შემეკითხა.

მე უკვე გავრბოდი. მან გამეგრძოლა, იდაყვებით მიკაკლუნდი გზას მიზნემდე ხალხში და გულამოსკვნილი ვქშინავდი. მურაბთამდე, სადაც ვაჭარი ცხოვრობდა, ასე მეგონა, ერთხელაც არ მომიხედავს უკან, არ ვიცოდი, ხაზახი მომდევდა თუ არა. ვაჭარი რომ ცხოვრობდა, იმ სახლში შევედი, კიბე ავირბინე და სხვენის კარზე ფრთხილად დავაკაკუნე. ვაჭარმა კარი გამიღო და გაოცებული შემომაცქერდა, მაგრამ მაშინვე მიიცინა. სიცილში პირისახე საზიზღრად დაუმანჭა. მან გზა დამითმო, მაგრამ ადგილიდან არ დაიძრულაგარ, ჩემდა უნებურად თავი მივაბრუნე. მხერი კიბეს ეცხოდა და მიაყურადე. ვაჭარმაც გაიხედა კიბისკენ, მერე მე გადმომხედა და ჩლუნგილისკენ გადმომდგა.

— აჲაუა, რომ არ მოგდევს, — თქვა და თვალებში მზაკვრულად მომწყურა, — მაშინ ამ ჩლუნგებს გადმოვგზავნებდა და მეც კარს ჩავკეტავდი. თუმცა ყველაფერი სისულელეა. რაც უნდა უთხრა საკუთარ თავზე, წარბს არ შეიხრის, არ უნდა და არ დაიჯერებს, მე კი შენი თხოვნით რაც უნდა მოვიჩმახო, ფასი არ ექნება, რადგან მოსეტიალე ვაჭარს ყველაფერს ტრაბახში უთვლიან. ვინც შეხძლო ჩენიტისაგან ძროხა ეყიდა და თანაც ამდენი ფული მიეცა, შორებს ვერც ადვილად არ დაიჯერებს...

მაშ ყველაფერის მაზეჩი ძროხა ყოფილა, ძროხის გულისთვის ვერ შეძლო საქორწილო

მოგზაურობის მოწყობა, თუმცა საქორწილო მოგზაურობას ვინ ჩივის, ისიც კი ვერ მოახერხა, სან-სებასტიანში გვეცხოვრინა. მთელი თავისი დანაზოგი მომავალ ცოლსა და შვილების დედას შესწირა, ფული არ დაიშურა, ოღონდ ოჯახში საუკეთესო ძროხა ჰყოლოდა.

მე ღია კართან ვიდექი, დამუნჯებული და შეცბუნებული. მივხვდი, ზღურბლზე რომ გადამეიჯა და ჩვეულებრივ კოცნაზე უფრო მეტი გამებედა იმისათვის, რომ საბასი ჩამომეშორებინა, — სულ ერთია, მაინც ვერაფერს გავხდებოდი. მის ბიკერებს [illegible] ვაჟარი იდგა და მიყურებდა. მე მისკენ შევბრუნდი და შევეკითხე:

— ხომ არა გაქვთ... — მე მას კვლავ თქვენობით მივმართე, — ხომ არა გაქვთ „[illegible]“ და „ხ“ ასოების ქარგა, ზეწრებზე რომ ამოვქარგო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 22. პედრო

საბასი უფსკრულის პირას დგას, კოსმეს ჭოჭონაქსა და მოკლე თოკს აწოდებს. მერე კოსმე ორივე ხელით ბორბალს აწვება, სურს შეამოწმოს, ჭოჭონაქი მაგრად თუ დამაგრებული. ასე მგონია, კოსმე სადაცაა უფსკრულში ჩაიჩეხება, ან თვითონაც თოკს ჩამოეკიდება ჭოჭონაქიანად. მე ჩემ გვერდით მყოფ ისმაელს, ბრუნოსა და ფერმინას შევცქერი, ისინი შიშისაგან გაშეშებულან. კოსმეს კი, თითქოს არაფერი მომხდარაო, თავი მაღლა აუწევია და ცაში იცქირება, სრულიად არ წუხს, რომ პირისახეზე წყალი [illegible] ურტყამს, საყელოდან კისერში ესხმება. და აი, ჩვენც ვხედავთ იმას, რაც კოსმემ ჩვენზე ადრე შეამჩნია: პრანწიების გუნდი ზღვისკენ მიფრინავს, ჩიტები თავგზააბნეულები მიფარფატებენ.

— ბაგირი, — როგორც იქნა ამოილაპარაკა კოსმემ.

ბრუნომ გორგალი მოათრია და საბასს მისცა. საბასი ბაგირის ბოლოს ჩაეჭიდა, კოშკისკენ დაიხარა და კოსმეს მიაწოდა. კოსმემ ბაგირი ჭოჭონაქის ღარში ჩადო და ძირს დაუშვა.

— ისმაელ, ფარანი მომაწოდე, — თქვა საბასმა.

— რად გინდა? — ჰკითხა ბრუნომ.

— მინდა ბაგირით კლდეზე დავეშვა, — უპასუხა საბასმა.

საბასი დაიხარა, რომ ბიჭს ფარანი გამოართვას. უცებ ბრუნო სხვა ფარნით ხელში კოსმესკენ გაემართა და ხელიდან ბაგირის ბოლო გამოსტაცა, ბაგირი ტანზე შემოიხვია, ფარანი კი ქამარზე მიიმაგრა.

საბასმა, ვგონებ, არ იცის, რა ქნას, ბრუნოსკენ გაიქცეს, რომ ძირს დაშვება დაუშალოს, თუ ხელი ჩასჭიდოს ბაგირს, ჩვენ რომ გვიკავია. მაგრამ ბრუნო უკვე ქვემოთ მიცოცავს, მისი ლაბადის კალთები კლდეს ედება. აი, ძლიერად შეტოკდა ბაგირი და სიმძიმით დაიჭიმა. საბასი მაგ ყურში ჩამყვირის, ხელით კი ბაგირი უჭირავს.

— პედრო, რატომ გაუშვი?

## 23. კოსმე

პრანწიებმა ცხვირწინ ჩამიქროლეს, თითქმის მათი ხმაც ვიგრძენი, მათი შიში განვიცადე, ეგებ გადარჩნენ, თუკი შეძლებენ ყურეზე გადაფრენას და მყუდრო ადგილას თავის შეფარებას. ზეცაა რომ მახსენდეს, მეტყოდა — „ჰიჰი“.

ბაგირი დროდადრო ძლიერად შეტოკდება ხოლმე. მის ბოლოზე გამობმულ ბრუნოს არ უნდა გაუძნელდებოდა კლდეზე ჩასვლა, მაგრამ, ეტყობა, უჭირს.

— თოკი ბოლომდე ვერ გაწვდება, — ბუტბუტებს ძია პედრო, ბაგირს ეჭიდება და მძიმედ სუნთქავს. ილაჯი სულ გაუწყდა.

მამა კლდის პირას დგას და ბრუნოს ყოველ მოძრაობას, ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებს. ხელი წინ გაუშვერია, რომ ბაგირის მოძრაობა უკეთ შეიგრძნოს, თითქოს მხედველი თვალი კი არა, წვრილი და მგრძნობიარე ანტენის წვერი უჭირავს, რითაც [illegible] იჭერენ ხოლმე. იგი ძია პედროს ეუბნება:

— გაწვდება. აი, ნახავ, თუ არ გაწვდეს.

თითქოს მხოლოდ ეს სიტყვები, მხოლოდ მისი ნება-სურვილი კმარა, რომ ბაგირი ბოლომდე გაწვდეს. ცოცხალი ჯაჭვის თავში მამა დგას, შემდეგ ისმაელი, ფერმინა, მე და ბოლოს ძია პედრო. უცებ ვგრძნობთ, რომ თოკი აღარ ირხევა, მოეშვა. მე ძია პედროს შევცქერი.

— უკვე ძირსაა, — ოდნავ გასაგონად ამბობს იგი.

მაგრამ მამა ბაგირს ხელიდან არ უშვებს და ყვირის:

— არ გაუშვათ! დაიჭით, დაიჭით! ჯერ ადრეა...

ბრუნო ალბათ რომელიღაც პატარა შვერილზე შეყოვნდა დასასვენებლად ანდა იმისათვის, რომ დასამაგრებლად უფრო მოსახერხებელი ადგილი მოეძებნა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ვიცით, რომ ბრუნო ქვემოთაა, კლდის ძირას — მან სამჯერ მოსწია ბაგირს მოკლედ. ჩვენ წინასწარ არ შევთანხმებულვართ, რომ ნიშანი მოეცა, მაგრამ სხვა რა უნდა იყოს ეს სამი მსუბუქი შერხევა.

კვლავ მესმის ფრთების ტყლაშუნი, მაგრამ არავინ არ აქცევს ამას ყურადღებას. მე ეს ტყლაშუნი უფრო ძლიერია, ვიდრე გუშინ. ჩიტი მაღლა ტრიალებს, გაცილებით უფრო მაღლა, ვიდრე მეგონა, იგი ფარფატის ხასიათზე მიიწევდა.

— წვიმა კისერში გვესხმება, — შენიშნავს ძია პედრო, — თავი მაღლა ნუ აგიწევია.

— რატომ არ ჩანს ბრუნო და მისი ფარანი? — კითხულობს ისმაელი.

— კლდის ქიმი ეფარება, — ამბობს მამა, — მაინცდამაინც დიდი მოხერხებული ადგილი ვერ არის. ვაითუ ბაგირი გადახეხოს. თუმცა ახლა გვიანღაა ამაზე ფიქრი.

ისმაელი ყვირის:

— ბრუნო! გესმის ჩემი, ბრუნო? ბრუნოოო!..

სასაცილოა ასეთ გალოფებულ ღამეში ყვირილი. ისმაელს ხმა ბაგეზე აკვდება, ქარიშხალი პირში სცემს და ხუნთქვას უკრავს. მამამ ისმაელი კლდის კიდეს მოაცილა.

იქ რა დაუგრიალებს? თავგზააბნეული ვერიტი? თუმცა იქნებ პრანწიაა ან ყურყუმელა? წვიმა, ყინულივით ცივი წვიმა საყელოდან გულზე ჩამომდის.

## 24. პედრო

საბასი ბაგირს მაღლა ექაჩება და თან გვეუბნება, ურმიდან ტომრები მოიტანეთ, ერთიც არ დატოვოთო. კოსმე, ისმაელი და მე ტომრების წამოსაღებად მივდივართ. გაწუწებული ფერმინი კოშკს მისცქერის, ელოდება, როდის გამოჩნდება ბაგირის ბოლო.

ჩქარა ვბრუნდებით, სულ ცოტა ოცდაათიოდე ტომარა მაინც მოგვაქვს. ფერმინი კლდის ქიმზე გაშხლართულა უზარმაზარი ლოდივით. აი, ბაგირის ბოლოს მისწვდა, მუჭში მოიქცია და წამოდგა, კვლავ გვესმის ჭოჭონაქის ჭრიალი.

საბასმა ფერმინს ბაგირის ბოლო გამოართვა და ტომრები ბაგირით შეკრა.

— აბა, ტომრებზე შედექი, — უთხრა ისმაელს.

ბიჭი ტომრების გროვაზე ადის, და ფეხებით ტკეპნის, რომ ბაგირი მჭიდროდ შემოეხვიოს. ყოველ ნაბიჯზე ტომრებიდან წყალი ისე აწურება, გეგონება, ისმაელი რეზინის უზარმაზარ ღრუბელზე ცეკვავსო. როცა ბიჭი ძირს ჩამოდის, მე და საბასი ტომრების გროვას კლდის პირთან მივათრევთ. კოსმეს, ფერმინსა და ისმაელს ბაგირი უკვე ხელთ უჭირავთ, მე და საბასი შეკრულ ტომრებს უფსკრულში ვისვრით; ჭოჭონაქი საშინელი სისწრაფით ქვემოთ მიაქანებს, გროვა ერთი-ორჯერ კლდის გამონაშვერს ეჯახება და სიბნელეში ინთქმება.

უცებ მესმის, ისმაელი ბავშვივით კისკისებს; ბაგირი ძირს რომ მიცურავს, ხელის გულზე უღიტინებს. ის ხომ მართლაც ბავშვია.

## 25. ფერმინი

მედალი. იმ დღეს ჩვენ გავიმარჯვეთ. ისინი ჩვენ შემდეგ მოვიდნენ. თავს არ ვზოგავდით იმ წუთამდე, ვიდრე ჩვენმა პატარა მესაჭემ სიხარულით არ შეჰყვირა და მაყურებელთა ერთსულოვანი ტაში არ შემოგვესმა. კიდევ შეგვრჩენოდა საიმისო ძალა, რომ ნიჩბები მაღლა აგვესროლა, მივსალმებოდით ხალხს, მადლობა გვეთქვა მათთვის, ვისაც ნავსადგურსა და სანაპირო კლდეებთან თავი მოეყარა, დროშებსა და ცხვირსახოცებს გვიქნევდნენ და რაღაცას გვიყვიროდნენ.

შემდეგ ქალაქის ხელისუფლებთან და ალკალდთან მიგვიყვანეს. იგი რაღაცას ამბობდა, მაგრამ ჩვენ არაფერი გვესმოდა, თუმცა ვიცოდით, რაც უნდა ეთქვა. ბოლოს ჩვენს პატარა მესაჭეს კონვერტით ფულადი ჯილდო და თეთრი, ბრჭყვიალა თასი გადასცა, თითოეულ ჩვენგანს კი რიგრიგობით თვით ხალათზე სამახსოვრო მედალი დაგვკიდა. როცა მომიახლოვდა, იძულებული გახდა ხელები მაღლა აეწია, რომ მკერდამდე მოეწვდინა.

— ყოჩაღ, ყმაწვილო, — მითხრა. გაღიმებული, ხუმრად გაპარსული ლოყა მომეფერა, ხოლო ნაზ, მოვლილ ხელებს ძვირფასი სუნამოს სუნი ასდიოდა. მანამდე ცხოვრებაში არავის ასე არ შევუქივარ. მედალი გაოფლიანებულ ხალათზე მქონდა დაბნეული, მის სიმძიმეს ვგრძნობდი; ალკალდი თვალს არ მაშორებდა და, როგორც თანასწორს, ალერსიანად მიღიმოდა. მედალს ხელი შევახე და ავტირდი. ყველას ეგონა, გამარჯვებამ აატირაო. როცა საბარგო მანქანაზე ავედით, სადაც თოკით მიკრული ჩვენი ნავი იდო, ჩემი მეგობრები ხალისით გადაკრულში იყვნენ. ბილბაომდე და ალგორტამდეც კი იმღერეს, სანაპიროს რესტორანში ჩვენს პატივსაცემად სუფრა იყო გაშლილი. სანაპიროდან რომ გამოვყევით, მათთან ერთად აღარ მიმღერია, ვცდილობდი მათ — ხელ მედალს დავცქეროდი, ხოლო როცა მეგონა, არავინ მიყურებს-მეთქი, თითებით ვეალერსებოდი.

ვახშამზეც ის ქალიც იყო. კარში იდგა, ზოგჯერ თუ შემომხედავდა მალულად. პო, პო, მე მიყურებდა, თითქმის არ მაშტერდებოდა. როცა მის თვალებს წავაწყდებოდი, მზერას მარიდებდა, სრულიად არ ჰგავდა, რომ ირგვლივ გამეფებული ხმაური დიდად არ იზიდავდა. გულმოდგინედ ჩუმად, ხმაამოუღებლად იჯდა ... სკამზე; მაგრამ ვიცოდი, იგი მხოლოდ მე მიყურებდა, ჩვენი მზერა ერთმანეთს ხვდებოდა. მის გამოხედვაში მოუხეშობა ჩანდა, ვედრება, დანებულობა (ოჰ, ეს უფრო ზუსტი სიტყვაა). მე კი მინდოდა ამ ქალის შემოხედვა იმის გამომხატველი ყოფილიყო, რაც მუდამ მაურვებდა ... ; პო, ახლა მინდოდა, რადგან ჩვენი ბიჭების ყვირილითა და სიმღერით, მუქთი საჭმლითა და მაგარი სასმელით ვიყავი აფორიაქებული.

ამასობაში დღესასწაული კიდევ... ის ქალი წამოდგა და სუფრა მიატოვა (ვახშმის დროს ერთი წუთითაც არ გამხიარულებულა). ეს არავის შეუმჩნევია. ქალი სანაპიროსკენ გაემართა, ბნელ ღამეს შეერია. წასვლისას, ზღურბლზე რომ ჩაიარა, ერთხელ კიდევ შემომხედა, მაგრამ მალულად კი არა, ახლა უკვე აშკარად შემომხედა. შევკრთი, არ ვიცოდი, შემახსენა თუ არა ქალის გამოწვევა მზერისათვის, რადგან მივხვდი, რას მეუბნებოდნენ მისი თვალები.

აუტანელმა სიცხემ ხელ-ფეხი შეგვიბოჭა, ისეთი დახუთული ჰაერი იყო, თითქოს უკუნეთ ღამეს ვიწრო ხანდუკში ჩაეკეტა ალგორტის მიდამოები. კიდევ უფრო მოვუმატეთ სმას, თვალებს ვახუჭავდით, ვერ ვიგებდით იმ ველურ ღელვას, რასაც ღამე, სიცხე და სასმელი აღძრავდა. ბოლოს და ბოლოს დღისით ყველანი წაგვიყვანეს ის გაგვაკვირვებინა, რისკენაც მივილტვოდით: საბარგო მანქანით ბილბაოში ისეთ სახლს ვესტუმრებოდით, სადაც თითოეული ჩვენთაგანი პატარა მყრალ ოთახში ქალთან ერთად დარჩებოდა.

მე მათ არ წავყევი. ჩვენი ნავიც ნაპირზე დარჩა — თან არ წაიღეს, რათა მეორე დღეს მთელ გუნდს თანასოფლელთა გასახარად ქუჩაში საპატიო წრე შემოევლო. ავტომანქანის ძრავის ხმაური თანდათან მიწყდა. მე ნაპირს გავყევი.

ის ქალი ნავთან იდგა, მელოდებოდა. როცა მივუახლოვდი, თავი ჩემკენ მოაბრუნა, მაგრამ სანამ პირისახეს დავინახავდი, მანამდე ვიცანი.

უცებ ქალი გაქრა, ფეხი გადაცვალა, დაეცა, ნავის ფსკერზე იწვა, მაგრამ ნუ როდი მიყურებდა, ლოყაზე სახეს ეხებოდა, თმა გაშლილა, მხრები უცახცახებდა.

— დაივიწყე, ვინცა ვარ, — წაიჩურჩულა, მე კი გავიფიქრე, ნეტა ხომ არ შეცდა-მეთქი, მეც ხომ ახლახან ასასვე ვეუბნებოდი ჩემს თავს: „დაივიწყე, ის ქალი ვინცაა. შეძლებ?“

ჩემ ქვეშ ნავი აქანავდა და აჭრიალდა. პო, მე შევძელი იმის დავიწყება, ვისი ცოლიც იყო ის ქალი, მაგრამ დამავიწყდა ისიც, რომ ის თავისთავად არსებობდა, რომ ქალი იყო. მეგონა, რომ იგი შეუერთდა ცხელ ღამეს, ქვიშაზე ტალღების შხეფებს, ღრუბლებსა და კანტიკუნტად მოციმციმე ვარსკვლავებს, ვიცოდი, რომ ის ქალი ამ ვარსკვლავებს ხედავდა, — მის თვალებში ვარსკვლავთა ანარეკლი ჩანდა. ჩვენ არაფერი გვესმოდა; მხოლოდ ღამე იმეორებდა მშვიდად: „დაივიწყე, ვინცა ვარ...“

ზვირთცემა მატულობდა და ახლა მე ზღვის ხუმრობა მესმოდა; იგი ნავის გვერდით ფშვინავდა. მანამდე კი ლაჟვარდს ვუგდებდი ყურს, ყრუ და ბოხმა ვიღაცამ და მე მიმიხვდა ყველა-

ფერი დამემსხვრია, რადგან უცებ მივხვდი: ყველაფერი ტყუილი იყო; თეთრხალათიანი, რომელიც ტიროდა, მეჩიჩბეთა შეჯიბრებაზეც არავის გაუმარჯვნია; ყველაფერი ძველებურად დარჩა, მე კვლავ ჩხუბისთავი ვიყავი... მე ხომ ვერ შევძელი ის გამეკეთებინა, რასაც უფლის [illegible] შესძლებდა.

შევყურებდი, როგორ თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ქალი, მაგრამ მა[illegible], წინაბა ავიღე და ნავს დავუშინე.

არ მინდოდა ის დღე სამუდამოდ დამევიწყა. მსურდა რაღაც მოგონება დამრჩენოდა, რაც კვლავ და კვლავ შემახსენებდა: შენ მუდამ ცეკვა და იქნები მხოლოდ ჩხუბისთავი ფერმინი და ნუროფრის იმედი გექნება. მე მეგონახ მეღარა, როგორც ზღვის ბორიტი დავცხვე. მე მესმის დღითა და ღამით, როგორ დაბღავის მეღარა, მაგრამ გადაგდებით ვერ ვაგდებ. მეღარი სიმართლეს მეუბნება თავს არ მატყუებინებს, მხოლოდ ერთი ფიქრი მაიმედებს: როცა მოვკვდები, მაშინ მაინც მომაშორებენ მას.

## VII

როგორც იქნა, ნახშირით გატენილი პირველი ტომარა დავინახეთ. მოთმინება არ გვყოფნიდა დაგვეგვო, გავიმარჯვებდით თუ არა, ან ბაგირი გაუძლებდა თუ არა, ან კოჭი ჩაიმეცებოდა თუ იყო, დაპოლიხ, შეკვეთილი კია დამარცხება გადაგვეცხადებინა; დავინახეთ ბაგირზე ჩამოკიდებული ტომარა და იგი წარმოგვიდგა იმედებით აღსავსე მთელ სამყაროდ. მამამ ტომარა ჩამოხსნა, გვერდზე წამოაქცია და გახსნა. სიმღერა და სითბოს გამხსნელი ბრჭყვიალა ნახშირი მოელოდა გვიხილავდა მის მხსნელებს. ჩვენ ხომ მას სიცოცხლე დავუბრუნეთ, მაშინ როცა ზღვებმა უხვად ცოდვებიანით ზღვაში გადაუძახეს. ჩვენ ნახშირი წყლის სიღრმიდან ამოვიღეთ, რომ მკვდრეთით აღმდგარიყო და თავი კვლავ ძლიერად და საჭიროდ ეგრძნო. ჩვენ შევცქეროდით მამის აღელვებულ პირისახეს, მის ხელებს, და ხმას ვერ ვიღებდით, სიტყვები ვერ გვეხმარებოდა ჩვენი განცდის გამოსახატავად. სიტყვები ხომ ცნებებს, სურვილებს ან ყველასათვის ხელმისაწვდომ ფიქრებს გამოხატავს, მაგრამ არა გრძნობას, რასაც მამის ხელებიდან გადმოცვენილი ნახშირის ცქერისას განვიცდიდით. ადამიანმა არ იცის ან ვერ მოუხერხა ისეთი სიტყვები შეექმნა, რაც მის გულისძიებას გახსნიდა, რაც მას თავის იდუმალ „მეს" გააშიშვლებინებდა. ეს მეორე „მე" ადამიანისა მდიდრებს მის ყველა საუკეთესო თვისებას ან იქნებ მხოლოდ ერთადერთ ღირსებას ფლობს, რაც ადამიანს გააჩნია, მაგრამ დახშულ ნიჟარაშია დამალული და თავს არ ამჟღავნებს. ამიტომ ადამიანები ერთმანეთისათვის უცხონი არიან. ასე მოდის ოდითგანვე. თავისუფალი ოცნებებით ილავს თავის შინაგან სამყაროს, ისე ღრმად მალავს, რომ თავადაც ვეღარ პოულობს მერე. მაგრამ ამასთან ერთად თითოეულმა იცის: იქ სხვა ძვირფასი შეიძლება. ამიტომ უფლება აქვს ამაყად გამოაცხადოს, ქვეყნად არასოდეს ყოფილან მისნაირი, თუმც ის ასიათასობით წარმოშობილიც კი, პირამიდები რომ აღმართეს, მოსა არ იყო. თავიანთ შინაგან სამყაროს ისე ჯიუტად იცავენ, რომ ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ მისი არსებობა. ეს დიდი იდუმალური გრძნობები ახლაც ბობოქრობდა ჩვენში, მაგრამ ხმას ვერ ვიღებდით, გარეთ გამოსვლას ლამობდა, სიტყვებს კი ვერ ვპოულობდით; ისინი გვექცეოდნენ გამარჯვების ნიშანი დაგვეცა, როგორც პირველყოფილ ადამიანებს, პირველად რომ იხილეს ცეცხლი, მაგრამ ჩვენ ვდუმდით.

მამამ გვითხრა, მოეხმარეთ, ტომარა ზურგზე მოვიკიდოთ, მაგრამ ფერმინმა მამა განზე გასწია, ფეხები გაშალა და ტომრის წინ დადგა. მერე ხელები ტომარას აქეთ-იქით მოხვია, თითქოს ორ დიდ ყურს წაეტანაო, მსუბუქად ასწია და ზურგზე მოიგდო. მამამ წინ გაუსწრო და ეზოს ჭიშკარი ჩამოხსნა. ტომარა რომ დადო, ფერმინი შემობრუნდა და მამის დახმარებით (თუმცა დაუხმარებლადაც შეეძლო) ტომარა წააქცია. ნახშირი ხელად მიწაზე გაიშალა.

მერე ყველაფერი რიგიანად აეწყო: ერთმანეთზე მიყოლებით, ხაჯაგ ტომრები ბაგირით ამოდიოდა, შემდეგ კვლავ ბაგირის ბოლოზე გაბამდით მასა და ძირს ვუშვებდით, ბრუნოსთან.

მთაზე აქა-იქ ფარფლების ირგვლივ ადამიანები საქმიანობდნენ, ურმებს, ურიკებისა და გოდრების ავსებას ჩქარობდნენ, თითქოს რაღაცას ემალებიან; მე მეგონა, იმ დღეს იგივეულ ჩვენთავანს, ვინც მთელი კლდეებზე თუ კლდის ძირას აგროვებდა ნახშირს, ეშინოდა, ვაითუ ინგლისური გემი და ნახშირი ხინამკვდილ კი არა, თვინიერი გამოიყვანოსო. ყველას რაღაც ეძლეველი ძალისა ეშინოდა, რასაც შეეძლო ჩვენი ბედნიერება წაერთმია არარად ექცია. მაგრამ

ამასთან ერთად ძალაუნებურად ვფიქრობდით: რა ვქნათ, თუ ასე მოხდა, ღვთის ნება აქნება.

უკვე ჩვენი ჭოჭონაქის ჭრიალი შეწყდა, ტომრები აღარ ამოდიოდა. ჩვენც ვდუმდით. ფერმინმა ცარიელი ტომარა აიღო, ბიდონ კი არა უზარმაზარ ტომრებში მიიტანა და ქვემოთ, ხანაპირიზე მიმავალ ბილიკს დაადგა. ამ ბილიკით ჩადიოდნენ და ამოდიოდნენ ისინი, ვისაც ჭოჭონაქები არ ჰქონდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ გვიან მივხვდი ფერმინის განზრახვას. არა, დაბნეული არ იყო, უბრალოდ სხვაგან დაქროდა მისი გონება. თვალები რაღაც უცხო, ჩვენთვის უცნობი სამყაროსთვის მიეპყრო.

— რას სჩადი? — გასძახა მამამ, — ნახშირს ჭოჭონაქითაც მოვეზიდებით.

მაგრამ ფერმინმა მამის სიტყვებს ყური არ ათხოვა.

— დროზე უნდა დავტვირთოთ ურემი, — გვითხრა ძია პედრომ, დოინჯი შემოიყარა და უკან გადაიზნიქა, რომ წელში გაშლილიყო, — ეგეც ჩქარობს. რა აჩქარებს ნეტა ამ ხალხს, განა მთელი დღე ჩვენი არ არის?

— არ უნდა გავჩქარდეთ, — დაასკვნა მამამ და სხვებთან ერთად ბაგირს დაუბრუნდა.

წინ კვლავ ტომრები ამოგვქონდა ჭოჭონაქით და მოუთმენლად ველოდით ფერმინის დაბრუნებას. ახლა მამა და კოსმე ქვით-იქიდან ჩაიგლეჯდნენ ხოლმე ტომარას ხელს, ურმისაკენ მიათრევდნენ და იქ ცლიდნენ. ჭალები ისევ თავის ადგილას ჩავსხით, რადგან ნახშირის გროვა იზრდებოდა და სადღაა ურმიდან ჩამოცვივდებოდა.

როდის-როდის გამოჩნდა ფერმინი, მხარზე უზარმაზარი ტომარა მოეგდო. მის გამოჩენას მოუთმენლად ველოდით. ჯერ პერანგი და ტომრის წვერი დავინახეთ, მერე კი ნაპრალიდან მთელი ტანით ამოიმართა. ჩვენკენ არც მოუხედავს ისე გაემართა ურმისაკენ. მამას უნდოდა გაჰყოლოდა, მაგრამ ფერმინმა იღლიაზე ამოიდო და მამის დაუხმარებლად ტომარა დაცალა.

## 26. პედრო

ურმის უკან დავიმალე, პალტოს ჯიბიდან ბოთლი ამოვიღე და მოვწრუპე. ახლა შემიძლია ვიცინო, ჯოჯოხეთური ქარი და ეს ტილო იქეში როგორმე ავიტანო. კოჭთან მივბრუნდი და ხაზას ვუთხარი, ხარებს დახედე-მეთქი, მაგრამ რას გამიგონებს.

— ხომ იცი, ნახევარი კაცი საქმეს ვერ მოერევა, — მკაცრად გამაფრთხილა მან, ვიდრე ნახშირით სავსე ტომრების ამოტანას დავიწყებდით.

ფერმინი უკვე შვიდჯერ ჩავიდა და ამოვიდა, მაგრამ დაღლა სრულიად არ ეტყობა — ამ კლდეებზე ისე ეზიდება ტომრებს, როგორც კარგად მომართული მანქანა, უზარმაზარ ტომრებს კი არა, ტანსაცმელში გამჯდარ წყალსაც ეზიდება. ტანსაცმელი კი იმდენი აცვია, თვითეულს ჩვენთაგანს რომ შეგვეგროვებინა, იმაზე მეტი იქნება.

ფარნის ისეთ სუსტმა ალმა რაღაცნაირად იელვა. მეორე ფარანი ავიღე, ბილიკის თავში რომ იდო, და ჭოჭონაქის ახლოს დავდგი, ნაპრალის პირას. სიმონმა და სხვებმა ვერც შეამჩნიეს, გულმოდგინედ ბაგირს ექაჩებიან. ბაგირზე კიდევ ერთი ტომარა იწევა.

აი, ქვემოდან ისევ მოდის ფერმინი. იმოდენა, კაცს შეეშინდება; ბილიკიდან გადაუხვია და ტომრიანად ჩვენკენ მოემართება, როგორც ყოველთვის, მიწას ჩასჩერებია. იგი პირდაპირ ფარნისაკენ მიდის. უცებ თავში თითქოს რაღაც დამკრესო, — ეს ფარანი კლდისაკენ გადავაადგილე. მხოლოდ მე ვხედავ, რომ ფერმინი უფსკრულისკენ მიეშურება.

— შეჩერდი! შეჩერდი! ფეხი არ დაძრა! — ვუყვირი ფერმინს.

## 27. ბრუნო

როცა ქვემოთ ჩავედი, გავიგე, რომ წყეული ინგლისელი მეზღვაურები კატარღებით გადაურჩენიათ. მეც, როგორც სხვებს, ტომრების გასავსებად ქვებსა და კლდეებს შორის ძრომა მიხდება. ოთხჯერ უკვე დავეცი, მჭრელი ქვებისაგან მხოლოდ სქელმა ტანსაცმელმა მიხსნა, თუმცა ცალი ფეხით მაინც ვკოჭლობ. ამიტომ ძალიან გამიხარდა, როცა ჩემ გვერდით ფერმინი დავინახე.

— ჩემს დასახმარებლად მოხვედი? — ვკითხე.

— არა, — მითხრა ყრუმ, — მე მათ აი, იქ ავიტან, — და ხელი მთის ბილიკისაკენ გაიშვირა, ზურგი მომაბრუნა და ხტუნვა-ხტუნვით გასწია.

ორ საათში ფერმანმა ექვსჯერ მოასწრო ასვლა-ჩასვლა. ტომარა, ბაგირით რომ ასწიეს ახლახან, რატომღაც მაღლიდან ჩამოვარდა, [illegible] დაეცა თეთრ ქვას ჩემ გვერდით და ყრუ ხმა გაიღო, თან ფარანი გადააყირავა; მაგრამ წამსვე მეორედ მომესმა [illegible] და თითქოს რაღაც აფეთქდაო, ნამსხვრევი ირგვლივ გაიფანტა. მხოლოდ ახლა [illegible] ტომარა კი არა, თურმე ფერმანი ჩამოვარდა.

## 28. კოსმე

ძია პედრო მიწაზე დაეცა, ხელები თავში შემოირტყა და აბღავლდა:

— ფარანი! ფარანი!

მამა ძია პედროს გვერდით დგას, ხელები ძირს დაუშვია. მე და ისმაელი გაშეშებულნი ვუყურებთ, არ ვიცით, რა ვქნათ.

ძია პედრო ისე ცახცახებს, თითქოს ტანში ელექტროდენმა დაუარაო. მან იცის, მამა თვალს არ აშორებს, მაგრამ მაინც ახერხებს და მარჯვენა ხელს ბოლტოს ჯიბეში იყოფს. შეშფოთებული ვუყურებ მის ხელს, შიშისაგან გაქვავებულ პირისახესა და მოცახცახე ტუჩებს. მონუსხულივით მიშტერებია მამას, როგორც მსხვერპლი მახრჩობელა გველს. სასოწარკვეთილებამ გამბედაობა შემატა. უეცრად ბოლტოს ჯიბიდან ბოთლი ამოიღო, საცობი კბილებით ამოაძრო და ღვინოს გამაგრებით დაეწაფა. მამამ ერთი შეუკურთხა და ფეხი მოუქნია ბოთლს. ძია პედროს ბოთლი ხელიდან გაუსხლტა და ქვაზე დაიმსხვრა. ბოთლის ნამსხვრევებმა ძია პედროს შუბლი და ლოყები დაუჭრა, სისხლის წვეთები მის გამოთაყვანებულ სახეზე ღვინის შხეფებს შეერია.

მამამ ძია პედროს გადაალაჯა და ლამის სირბილით წავიდა ბილიკისაკენ.

## 29. ბრუნო

ჯერ ლანდი შევნიშნე, მერე ტანსაცმელი შემოვაგლიჯე, გულმკერდი გავუშიშვლე, მკერდზე ყური დავადე და ვიგრძენი, რომ ჯერ კიდევ თბილია, მაგრამ ეს სითბო მოჩვენებითია, სიცოცხლე გაქრა. ეს რომ დავიჯერე, ხმამაღლა უნდა ვიყვირო: „იგი მოკვდა, ჩემი ძმა ფერმანი მოკვდა“.

— ფერმან! ფერმან! — ჩავძახი და პირისახეზე ვეფერები.

უცებ ვიღაცამ ხელი მკრა.

— მკვდარია! — ვუყვირი მამას. — ფერმანი მკვდარია!

მამამ გულისყურით გასინჯა. როცა თავზე [illegible] ჭრილობა შეამჩნია, ადგა და ფერმანს ლაბადა გადააფარა. მისი მოძრაობა მტკიცეა, თითქოს არც ღელავს. წუთით მკვდარ შვილს ჩუმად დასცქეროდა, მის პირისახეზე ერთი ძარღვიც არ თრთოდა. მერე იქვე მიგდებული ფარანი აიღო, პატრუქს ასანთი მოუკიდა და ფერმანის ფეხებთან დადგა.

მამამ ბაგირის ბოლო ფერმანის იღლიებქვეშ ამოუტარა და შეკრა.

— როცა ავიტან, თვალყური ადევნე, ზურგით კლდეს არ მიეჯახოს, — მითხრა და წავიდა.

— შენ ნუ ამოხვალ, აქედან არსად წახვიდე, — მომესმა მაღლა მისი ხმა.

## VIII

მახსოვს, ჩვენ მის ამოსაყვანად მთელი დრო დავხარჯეთ, ნახშირით სავსე სამ-ოთხ ტომარას მაინც ამოვათრევდით. ფრთხილად, აკანკალებული ხელით ბაგირს ვეჭიდებოდით, გვეშინოდა, ბაგირი ხელიდან არ გაგვსხლტომოდა და საბრალო ფერმანი ხელმეორედ არ გადაჩეხილიყო უფსკრულში.

იმ საშინელ წუთებში მხოლოდ ერთი ადამიანი, ძია პედრო, არ დუმდა, თუმცა კი არ ლაპარაკობდა, — ზლუქუნებდა და კვნესოდა.

როცა ფერმინის თავი გამოჩნდა, შიშისაგან გავშეშდით: ჩვენს ფერმინის მკვდარი პირისახე შემოგვყურებდა, უფრო სწორედ, სისხლიანი ნიღაბი. ალბათ გზაზე შემობრუნდა, — კლდის ქიმმა მოედო და წაწვეტილმა ქვებმა ლოყები, ცხვირი, შუბლი და ტუჩები აუტყავა.

რამდენიმე წამი ფერმინი ჭოჭონაქზე ეკიდა, ქარი მძიმედ არწევდა, [illegible] ჩაიმუხლა კლდის კიდესთან და ფერმინს იღლიაში ხელი წაატანა, თავი [illegible] კი ბაგირი ცოტათი მოვუშვით, რომ ფერმინი ბილიკზე პირაღმა დაშვებულიყო.

მამამ ფერმინს ბაგირი მოხსნა. ბაგირი კვლავ უფსკრულზე დაეკიდა.

— ბილიკზე ჩვენ თავად უნდა ამოგვეტანა, — წაიბუტბუტა მამამ, მაგრამ მაშინვე პირზე კლიტე ლაიდო. თუმცა მალე მამის ტუჩები კვლავ ამოძრავდა: — მოდით, ურმის ქვეშ დავაწვინოთ. იქ არ დასველდება მაინც.

მამამ ფერმინს იღლიებში ამოსდო ხელი, კოსმემ კი ფეხებით ასწია.

ძია პედრო მათ მიუახლოვდა.

— რას აკეთებ? — კვლავ აყვირდა იგი. — მიპასუხე, რას აკეთებ?

— ურმის ქვეშ უნდა დავაწვინოთ, — მიუგო მამამ.

— ურმის ქვეშ რა უნდა, შინ უნდა წავასვენოთ.

— ჯერ შინ ვერ წავასვენებთ.

მამამ და კოსმემ ფერმინი ურმის ქვეშ დაასვენეს, ოთხად დაკეცილ ბრეზენტზე, და ამ ხისა და ნახშირის პანთეონში დატოვეს.

მაგრამ მალე მივხვდით, რომ არც ის ადგილი იყო შესაფერი: წვეთები, მიცვალებულს რომ ესხმებოდა, სუფთა კი არა, ჭუჭყიანი და შავი იყო. მამამ ფერმინის ქვეშ დაგებული ბრეზენტი ფრთხილად გამოათრია და მიცვალებულს თავიდან ფეხებამდე გადააფარა. მერე ურემს მოშორდა. ძია პედრო, კოსმე და მე ადგილიდან არ დავძრულვართ. ნახშირს ურემი თითქმის პირამდე ევსო. მამამ გვითხრა:

— ტომრებს ნუღარ ასცლით. ნახშირით სავსე ტომრები პირდაპირ დავუდოთ ურემზე.

მაგრამ არც ერთი ჩვენგანი ადგილიდან არ დაძრულა, გულდამძიმებულნი და გაოგნებულნი ვიდექით. და უცებ საიდანღაც შემოიჭრა ძია პედროს გაბზარული ხმა:

— ნუთუ შვილის სიკვდილი არაფრად მიგაჩნია, თავს რომ არ ანებებ ამ წყეულ ნახშირს? მითხარი, კიდევ რა გინდა? მკვდარი შვილი შინ უნდა წავასვენოთ, რომ დედამ დაიტიროს, ვიდრე სულ არ გაციებულა. დედას ხომ აქვს ამის უფლება. რომელი მამა არ შეძრწუნდებოდა, სველ ბრეზენტში გახვეული შვილის ცხედარი რომ ეხილა ნახშირით დატვირთული ჭუჭყიანი ურმის ქვეშ! გამოტყდი მაინც, რომ იგი ჩვენ მოვკალით, შენ და მე...

— დაწყებული საქმე უნდა დავამთავროთ, — თქვა მამამ და ჩვენკენ არც ახლა მობრუნებულა, — ამისათვის ერთი საათი გვეყოფა.

— რა საჭიროა ასეთი სულსწრაფობა? რატომ არ შეიძლება ადამიანურად დავასაფლაოთ და გამთენიისას აქ დავბრუნდეთ?

— საქმე ახლავე უნდა დავამთავროთ, — მიუგო მოთმინებით მამამ, — მერე გვიან იქნება.

— სიკვდილზე უარესი რაღა იქნება, მე და შენ კი უკვე მოვკალით ადამიანი. მაშ, რაღამ უნდა შეგვაშინოს ხელი?

— გაჩუმდი.

— არ გინდა გამოტყდე.

— გაჩუმდი, შე ლოთო!

ახლა კი ძია პედრო ნამდვილად ატირდა. თითქოს ერთბაშად გამოხეთქაო გულში დაგროვილმა ბოღმამ.

როგორც კი მამამ ბაგირი მთლიანად ჩაუშვა ქვემოთ, მობრუნდა და ძია პედროს მიეჭრა, მხრებში ჩააფლო ხელი, მის სქელ ტანსაცმელს ჩააფრინდა და საბრალო კაცი კარგა მაგრად შეაჯანჯღარა.

— ახლა ჩვეულებრივი სულ ერთია! გესმის? ახლა მას ვერაფერს ვერ გააცოცხლებ!

— მაგრამ ის... ის... — ლუღლუღებდა ძია პედრო, თავს აქეთ-იქით უაზროდ აქნევდა, თითქოს ტანს უნდა მოწყდესო.

— ის არ დაკვემდებარებოდა, პირიქით, გვეტყოდა, ურემი პირამდე აავსეთო.

დამამცირებელი სიჩუმე ჩამოვარდა. ძია პედრომ ცოტა ხანს კიდევ იბუზღუნა და მერე მამასაც კონკლობით მიჰყვა უკან.

მალე კვლავ ბაგირთან ვიდექით ოთხივენი.

ალპინისტური საზრუნავით გატაცებულებმა აქამდე ყველაფერი დავივიწყეთ, თვით კრივალიცა და სხვა ათასი საშიშროებაც. ასე მეგონა, თითქოს უკაცრიელ კუნძულზე ვიმყოფებოდით, რომლის საზღვარი ურმითა და ჭოჭონაქიანი კოჭით იფარგლებოდა. ჩვენი კუნძული ჩვენს მასაზრდოებელ სხვა კუნძულთან ბაგირით — ჭიმით — იყო დაკავშირებული. იქ, ქვემოთ, მეორე კუნძულზე ბრუნო იყო და ამ ჭიმზე ახალ-ახალ ტომრებს [illegible] დანარჩენი სამყარო ჩვენთვის არ არსებობდა.

ბიბლიოთეკა

ხოლო როცა ლია გალიას გზაზე ვიღაც კაცი თუ ბიჭი დავინახე, ვინც ჩვენკენ მორბოდა და თან ყვიროდა, მივხვდი, თურმე სხვა სამყაროც არსებობდა.

— კარაბინერები! კარაბინერები!

ყველამ თავი მივაბრუნეთ, წამით გავშეშდით. თუმცა თვითეული ჩვენთაგანი თავიდანვე ელოდა ამას. კოსმემ ბაგირს თავი ანება, საოცარ მფრინავ არჩიბას გზა მოუჭრა და ორივე ხელი სტაცა.

— რა გადრიალებს? — შეუყვირა კოსმემ.

— კარაბინერები მოდიან! — ჩაიჩურჩულა მან, თან ცდილობდა კოსმეს ხელიდან გასხლტომოდა და მოუთმენლად ცმუტავდა ადგილზე.

— რა იცი?

— თვითონ ვნახე, ალგორტას ყაზარმაში იკრიბებიან.

ორივენი ურემთან ახლოს იდგნენ. წამიც და კოსმე მარტო დარჩა, ხოლო მაინც თავქუდმოგლეჯილი მიჰქროდა უფსკრულის პირას თავისიანების მოსაძებნად.

სასწრაფოდ ამოვწიეთ ტომარა, მას კიდევ სამი დარჩენილი ტომარაც მივაყოლეთ. ამ დროს მამას გაახსენდა უკანასკნელი ოთხი ტომარა, ხარებს რომ ეხურათ ზურგზე. ჩვენ ისინიც ჩავუშვით ბაგირით და, როცა ამოვათრიეთ, მამამ თქვა:

— ბრუნომ იცის, რომ მეტი ტომარა არაა დარჩენილი. დათვლილი ექნება.

ოცდათერთმეტი ტომარა ეწყო ზემოდან ნახშირზე, ურემს ჭალებამდე ავსებდა. ურემი კი არა, ნამდვილი ბინა იყო, ძირში ფართო, მაღლა კი თანდათან დავიწროებული.

— ჰო, — თქვა ბრუნომ, ურემთან მივიდა და ნახშირის გროვას ისე დაუწყო თვალიერება, როგორც რაღაც სასწაულს, — რა გინდა, ძმაო, კარგად გვიმუშავნია.

— ხარები ვერ გაუძლებენ, — წაიბუზღუნა ძია პედრომ.

— შენ ნუ ღელავ, თავიანთი საქმისა თვითონ იციან, — უთხრა მამამ, კოჭთან რომ იდგა, — ახლა კი სწრაფად უნდა ავიღოთ ჭოჭონაქი.

სიჩქარეში ჭოჭონაქი სულ გადამავიწყდა. ჩვენ კიდევ დიდი ჯაფა მოგვიხდა: ჭოჭონაქი მოვხსენით, კოჭთან ერთად ნახშირის გორაზე ავიტანეთ და იქ დავდეთ. მამას არ უყვარდა საქმის შუა გზაზე მიტოვება. მე ახლაც ვერ გამიგია, როგორ დავუდეთ უზარმაზარი კოჭი ურემს. გარდა ამისა, ფერმინიც უნდა აგვეტანა მაღლა; ჩვენ იგი ბრეზენტიდან გამოვათრიეთ, კოჭის გვერდით ტომრებზე დავდეთ და კვლავ ბრეზენტი გადავაფარეთ.

— ერთ საათში შინ ვიქნებით, — თქვა ძია პედრომ, თან შიშით შესცქეროდა ნახშირის პირამიდის წვერს, თვალებს ხშირ-ხშირად ახამხამებდა და ხელს პირისახეს პალტოს სახელოთი იწმენდდა.

— ჯერ შინ არ წავალთ, — ხისტად დაუკტოვა მამამ.

ყველამ მას შევხედეთ. შუქურას სინათლე ახლა უფრო კაშკაშა გვეჩვენა, ვიდრე მაშინ, როცა ფარნები გვენთო.

— ურემი ფიჭვნარში უნდა გადავმალოთ, — დაუმატა მამამ, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, — ისინი სადაცაა ამ გზაზე გამოჩნდებიან, ჩვენ კი გზის გავლას ნახევარი საათი მაინც მოვუნდებით.

— ამას რა ვუყოთ? — იყვირა ძია პედრომ და სიმწრით ხელები მაღლა აღაპყრო. — ასე დავტოვოთ?..

მაგრამ ჩვენ ყველას გვესმოდა. ძია პედროსაც კი, რომ მამა მართალი იყო, თუკი არ გვსურდა მთელი ღამის ჯოჯოხეთური შრომის ნაყოფი ქარისხათვის გაგვეტანებინა.

— მედალი, — უცებ წამოიძახა მამამ. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რატომ იდგა იგი გაუნძრევლად და არ ჩქარობდა ხარებთან მისვლას.

— რაო? — შეეკითხა ძია პედრო.

— როცა ფერმინი ამოვიტანეთ, მედალი არ ეკეთა.

ასეც იყო. კარგად მახსოვდა, მედალი არ ეკეთა, სან-სებასტიანის ალკალდმა რომ უბოძა. ამ მედლით ფერმინი მუდამ ამაყობდა, არასოდეს იშორებდა.

მამამ დამტვრეული ფარანი აიღო, ბრუნომ რომ ამოიტანა ქვემოდან, ბილიკისკენ გამართა და ბნელში გაუჩინარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 30. ბე [illegible]

ბრუნო, ისმაელი და მე ურმის ქვეშ შევძვერით და თვლებს შორის მოვიკუნტეთ. კოსმე კი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა ბილიკისაკენ, ხაბასს მედლის ძებნაში რომ მიეხმაროს. ნახევარი საათის შემდეგ ორივენი დაბრუნდნენ. ხაბასს მარჯვენა ხელში ჩამქრალი ფარანი ეჭირა, მარცხენაში მედალი. მან ფარანი მიწაზე დადო და ურმის თვალზე ავიდა. ძარს რომ ჩამოვიდა, მედალი აღარ ეკეთა.

მთიდან უკანასკნელნი ნახშირის მაძიებელნი მიდიან, ხარებს მიერეკებიან, მიერეკებიან კი არა, თითქმის ძალით მიათრევენ. ჩვენი ხარები სველი ჩულიების ქვეშ სიცივისაგან კანკალებენ და წინ ნაბიჯს არ იდგამენ, თითქოს ტალახს შეეზარდნენო. ღვარად ჩამოსდით წყალი ჩულის ფოჩებიდან ლამებზე. ისინი ხომ აგერ უკვე ხუთი საათია ასე დგანან.

— აბა წავიდეთ... წავიდეთ... გაიმძერით, — აგულიანებს ხაბასი და ჩაქინდრულ ქედზე სახრეს უშენს, — აბა, დაძარით ურემი ბლუილიდან. გაიგეთ, რომ მეტხანს დგომა არ შეიძლება.

მთაზე უკვე აღარავინაა. გზაზე მიმავალ ადამიანთა უკანასკნელი ჯგუფები ბნელში გაუჩინარდნენ.

— თვლებს ხელი ჩასჭიდეთ და მიაწექით. ურემი უნდა ამოვათრიოთ. თქვენ მეორე თვალთან დადექით, — უბრძანებს კოსმესა და ბრუნოს.

ისინი ურემს გარს უვლიან და მეორე მხარეს დგებიან, მე და ხაბასი კი თვლის ფერსოს ვეჭიდებით.

— აბა... მიაწექით!

ისმაელი ხარებს უყვირის და სახრეს უქნევს.

მე ფერმინზე ვფიქრობ. იქ, მაღლა, ნახშირით სავსე ჭუჭყიან ტომრებზე რომ წევს, და ვეღარც თავსხმას ვგრძნობ, ვერც ხელის ტკივილს. „ფერმინ, ფერმინ“, ვოხრავ და ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, ზიზღსა მგვრის. მაგრამ მე მაინც უფრო ძლიერად ვეწევი თვალს, ლამისაა ძარღვები დამაწყდეს. ჭრიალობს, კვნესის, ისევ გამიცინიანდა. სისხლი შეუჩერებლად მოედინება ხელიდან. ხაბასმა გადმოიხედა, ალბათ დავიკვნესე. მაგრამ არაფერი მეუბნება; კვლავ ფერსოს ეჭიდება.

ღმერთმანი, ისინი კარაბანერები თავს დაგვესხნენ და ამ ნახშირის გულისათვის კარგად მიგვბეგვონ. მაშინ ჩვენთვის ეს საშინელი ღამე დამთავრდება, მე შინ წავალ, დავლევ და ყველაფერს, რაც აქ მოხდა, დავიწყებას მივცემ. აი, ურემი შეინძრა, ფეხები ტლაშუნობენ, სახიფათოდ ჭრიალებენ. როგორც იქნა, თვლები დაიძრა და ტალახიდან ამოძვრა, ბრეზენტგადაფარებული ტვირთი შიშისმომგვრელად აზანზარდა.

— შეხედეთ, — ყვირის ბრუნო.

შორს გზაზე სამი თუ ოთხი ფარანი ციმციმებს. ისმის ყრუ ძახილი, მუქარის სიტყვები. ეს, ხაბასმა იცოდა, რასაც აკეთებდა, სხვა გზით წასვლა რომ გვიბრძანა.

— საზიზღარი მკვლელები! — ჩახლეჩილი ხმით ამბობს კოსმე, ისმაელს სახრეს ართმევს და უხმოდ, მაგრამ ბრაზიანად მიერეკება ხარებს.

## 31. კოსმე

ბრმასავით ხელების ცეცებით ჩავდივარ ბილიკზე. ქვის კედელს ვეკვრი, ფეხი რომ არ ამიცდეს და უფსკრულში არ გადავიჩეხო.

მამა უკვე ნაპირზეა, ქვებს შორის ხელებს აფათურებს. ახლა სწორედ ზღვის მიქცევის დროა, ტალღები ოთხი საათია მას ძირამდე აღარ აღწევენ. სადაც დიდი, ბრტყელი ქვა დევს. ქვა ალაგ-ალაგ მთლად შავია. აქა-იქ წვიმისაგან ნახევრად გადარეცხილი სისხლის ლაქები ატყვია.

მამასთან ერთად მედალს ვეძებ. მამა ქვებს შორის დაძვრება, თითქოს ნაპირზე გამო-

რიგული შიგის ურჩხული იყოს. როგორც კი ერთ ხაპრალს განჩრეკს, მეორე ქვეშ გადადის, მე მის გვერდით ვიჩოქებ და ჩვენ ორივენი ერთსა და იმავე ხაპრალში ვხოფავთ, რადგან ორივეს მხოლოდ ერთი ფარანი გვაქვს.

მელოტს მე ვპოულობ. იგი იქ კი არ ეგდო, სადაც ჩვენ ვეძებდით, არამედ ექვსი მეტრის დაშორებით, სადაც ფერმინი დაეცა. მამას ჩემი ყვირილი ესმის, მოდის, მელოტს მართმევს, უხმოდ დასცქერის, მუჭში იღებს და პიჯაკის ჯიბეში მიემართება.

# IX

ჩვენ სახლის საპირისპირო მიმართულებით წავედით. მუქურას რომ გავუსწორდით, კლდის კიდეზე, სადაც ცოტა ხნის წინ ჩვენი ურემი იდგა, ხამი თუ ოთხი ფარანი ანთია. სხვა ფარნები გზაზე შორს კიაფობდნენ, ადგილიდან არ იძვროდნენ. მაშასადამე, იქ მისასვლელი მიმავალი ნახშირით სავსე ურმებს და საპალნეაკიდებული სახედრები დაიკავებს. რასაკვირველია, ყველა არა. ზოგიერთმა მიასწრო შინ მისვლა.

გზიდან გადავუხვიეთ, მეჩხერ ტყეში შევედით და ვიწრო ბილიკს დავადექით.

ხანძრით ხელში ხარებს წინ მივუძღოდი, მამა, ძია პედრო, კოსმე და ბრუნო თვალებს აწვებოდნენ. ყველაზე ძნელი ხვედრი მე მერგო, თუმცა ერთი შეხედვით ასე არ მოგეჩვენებოდათ. მათ ფიქრებს, მოგონებებსა და მწუხარებას ნახშირის გორა ეფარებოდა, მე კი პირიქით, იძულებული ვიყავი ფიქრებსაც, მოგონებებსაც და მწუხარებასაც მივცემოდი, რადგან ხარებისკენ პირით მდგარი, ხშირად უნებურად ბრეზენტგადაფარებულ ფერმინის ხედავდი და ხის კოჭს ვხედავდი. ლეართქიფი პირველად ძალიან ესხმებოდა, მერე კი თის ნაკვალ ნახშირიანი ოდა ურმის ჭრიალებს. ურემი ჭრიალებდა, იჭყლიტებოდა, ლამში ითლებოდა, საიდანაც ძლივს ძლიერობით ამოდიოდნენ. ახლა გონსადინებულისაგან ყვირილი კი არ გვესმოდა, არამედ მამისა, ძია პედროს, კოსმესა და ბრუნოს ქშინი, დაძმარებული ნესტიოტი, სასოწარკვეთილება და ფიზიკურ ძალთა დაძაბვა.

მალე დავემშვიდობეთ ტყის გზას (სწორი იქნებოდა მეთქვა, თავად დავემშვიდობეთ, რადგან იგი უცებ დამთავრდა), ახლა ახლა-ახლა მოლივლივე ურმები მოჩანდა ნაბეგარი ხაზით. მოლოდ ქარისაგან შელარებით დაცულ ადგილს წავაწყდით: სიმართლე ფიქრის ხეები იყო ახლოს იდგნენ, ლამის ერთმანეთს ეხებოდნენ მამას ჯერ არც კი ეფიქრა, რომ მივიდით, აქ გაჩერდებოდა მეთქი. მართლაც მამა წამომხტა და ხარებს შეუყვირა: „ჰაიდა-ჰოოო", ურემმა ერთბაშად გაჭრიალდა და გაჩერდა, თითქოს სული ამოუშვაო. მამამ განაცხადა:

— აქ ვერ მოგვაგნებენ. ჟანდარმებს აზრადაც არ მოუვათ ამ ადგილებში ნახშირით დატვირთული ურემი ეძებონ.

ცეცხლი ერთბაშად ავწიეთ თავი და ნახშირის გორას დავამტვრიეთ.

— ბიჭებო უნდა გავაკეთოთ, რომ ფერმინი შინ წავასვენოთ, — დაიწყო მამამ და, ვიდრე ჩვენ გავიაზრებდით, დაუმატა: — ფერმინი ბრეზენტში გავახვიოთ და ზედ დავახვევ, და კიდევ, — მან გაღუნული ქუდი მოიხადა, დაფერთხა და კვლავ სასწრაფოდ დაიხურა. — ხარები გამოვხსნათ და ისინიც თან წავიყვანოთ.

ძია პედრომ ჯერ წითელი ცხვირი აისრუტუნა, მერე ურმის თვალს წასწია პირი და ყრუდ ჩაიბურტყუნა:

— ალბათ არც იმას დაერიდები, რომ აქვე დაისაფლავო, ამ ოხერ ტყეშიო, — სასოწარკვეთილებამ ძიას გაბედულობა შემატა. იგი მამას დაამტკიცა, — ალბათ არც მოიძებნოდა, ხარები შინ წაიყვანო რომ არ ეყადეს. ეშინია: ფეხები არ გაუშეშდეს და მისზე ლეკვის კისერი არ დაედოს. მოდი, რადგან ხარები მიგყავს, მარტო ფერმინსაც წაიყვანე.

— სისულელეს ნუ როშავ, მე მინდა ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით გავაკეთო, — მიუგო მამამ, ხელები დაუშვა, მაგრამ მისი ხმა მშვიდად, მტკიცედ და უცვლელად ჟღერდა.

— ამ ღამით ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით მხოლოდ ნახშირის გულისთვის კეთდება, — ძია პედრომ განზე გადააფურთხა.

— გაჩუმდი, პედრო, სანამ ერთმანეთი არ დაგვიხოცავს, — და მაშინ მას რაღაცნაირი სიბრალულით შეხედა, თუმცა ეგებ მე მომეჩვენა ასე, — გატყობ, ახლა გინდა, ჯაერი რომ სხვაზე ამოიყარო. არც მე ვეტყოდი მაგაზე უარს.

ძია პედრო დაიხარა, ადაყვებით ფეხის დაეშვა და თავი პალტოს ყელის საყელო-ებში ჩამალა.

— ულმერთოდ გიქცევით, — ხლუკუნებდა იგი, — ულმერთოდ.

ტყის შუაგულში, მწვანე ხეებით შემოფარულ ლარტაფში, როგორც იქნა, ქარის ხუჩი ვიგრძენით. ეს ხუნი ტრიალებდა განა მარტო იქ, სადაც ჩვენი ურემი მიიწევდა, არამედ მის ირგვლივაც, ფოჩეებს შორის.

მამამ, ძია პედრომ და მე ტოტები გავხსნათ მაშ. ღანით ხელში ურმისკენ წავიდა, ის თოხი თავი მოჭრა, რათაც ბრეზენტი ჭალებზე იყო მიმაგრებული და თან წამოიღო. მერე ჯოხებისაკენ დაიხარა და ყოველი ნახევარი მეტრის დაშორებით ის თოხი თავი მიაბა. შემდეგ მიწიდან პატარ-პატარა ახსნილი ტოტები აიღო და ხაკალეზე დააწყო. ყველაფერი რომ მოათავა, წამოდგა და ლაბადის სახელოთი პირისახე მოიწმინდა.

— ასე არც ის გაწვალდება და არც ჩვენ, — წაილაპარაკა მან.

— როცა დაკავვენებთ, მაშაც ტოტებს დავაფარით ზემოდან, — ხრინწიანი ხმით თქვა კოსმემ. მისი გამხდარი პირისახე კიდევ უფრო წაწვეტებულიყო.

იმ ღამემდე არც შემიმჩნევია, კოსმე თუ ასეთი გამხდარი, ახლა კი ძვალ-ტყავი იყო. რო-გორი ჩავარდნილი ლოყები ჰქონია.

— არა, — თქვა მამამ, — ბრეზენტში გავახვევთ, მაშინ არც ქარი შეაწუხებს და არც წვიმა.

როცა მამამ და ბრუნომ ფერმინი აიწიეს, ნახშირა აჭრაჭუნდა. ბალიდან გამოცლილი კო-ჭის ქვეშაც დაიწყო ნახშირმა ხრაშახრუში. მამა და ბრუნო ხმას არ იღებდნენ, გეკონება-ლათ, არც სუნთქავენო, ფრთხილად და მარჯვედ მოქმედებდნენ. მალე ფერმინის ორივე ფე-ხი ძირს ჩამოეკიდა, მაგრამ თავი და მხრები ჯერ კიდევ მაღლა ეჭირა. მამამ და ბრუნომ მხრებში ჩაჭიდეს ხელი, მოხიდეს და მოულოდნელ დავინახეთ ფერმინის ვეებერთელა, მძიმე, კახიერებული ტანი, სისხლში მოთხვრილი პირისახე, გამურული ტანსაცმელი. ფერმინს ლა-ბადაზე მუდამ ჰქონდა მიმწეული.

ფერმინი ხახელდახელად გაკეთებულ საკაცეზე დავასვენეთ. მერე მამამ და ბრუნომ ბრეზენტი აიღეს და მაზაზე დააფინეს; ფერმინი ბრეზენტზე დააწვინეს და საგულდაგულოდ შიგ შეახვიეს. მერე ქვემოდან კიდევ შემოახვიეს ბრეზენტი. მისთვის ახლა არც ქარი იყო საშიში და არც წვიმა. მამამ და ბრუნომ იგი საკაცეზე დადეს.

როცა მამამ ყველაფერი დაამთავრა, კოსმემ და ბრუნომ ხარები გამოხსნეს და განზე გაიყვანეს. დარჩა ურემი მარტოკა, მკვდარი, დაეკარგა ერთ მთლიან მოძრაობის უნარი, არა-მედ სიცოცხლეც, ხარებს რომ აძლევდნენ ამ ხელლი, მაგრამ ურმის უფრო წინ-მოიდგენდი; ოდესმე თუ ადგილიდან დაიძვრის ბორბლებზე.

მამის ხმამ გამომაფხიზლა. სადაცაა ისაიც გუშინდელი თოთხმეტი წლის ბიჭს, რა გასაკვირია, ასეთი ღამის შემდეგ ქანცი გაწყვეტოდა და ძილი მონდომებოდა. ჩვენ ხომ აღა-მიანები ვიყავით.

— ურემთან ვინმე უნდა დარჩეს, — თქვა მამამ.

— მე დავრჩები, — წაიბურტყუნა დაღლილმა ძია პედრომ, — ვიდრე არ ჩამოხვალთ, ყველაფერს ავუტან, რაც აქ ღამით ამყავდეთ.

მაგრამ მამა ბრუნოს მიუბრუნდა:

— სავა გაიღვიძებს და არ იცის, სად ვართ; ნახირიდან როდესაც ბრუნდება ვიდარდებ და გახარებული წავათრევენ სახლში თავად, გამოცხადდება მეუღლის ცხრა საათის მატარებელს გაიყვანა.

ბრუნოს თვალიც არ დაუხამხამებია, თითქოს ეს სიტყვები მას არ ეხებოდა.

— ნახშირთან დავრჩები, — თქვა ბრუნომ, — არ მინდა ღელე ასევე ავიღელდე.

— მაშინ ურმის ქვეშ შეძვერი, — უბრძანა მამამ, — იქ ნაკლებ დახვევადები. ძის მოვიდლო-პარაკებთ, რა ვუყოთ ნახშირს, და რამდენიმე საათში დავბრუნდებით.

ჩვენ შინისაკენ გავწიეთ თითქოს თავი უნდა დავეგერწმუნებინა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი ხომ არ იყო. ცხადი იყო, რომ საკაცეზე, რომელიც მამამ და კოსმემ მოიქონ-დათ, ნამდვილად მკვდარი ფერმინი ეწვენა და არა სხვა ვინმე. მივდიოდით შინისაკენ, რად-გან დიდი ზეგნი გვქონდა, უნდა გვენახა, როგორ შეხვდებოდა ფერმინის ამბავს, ჩვენ რომ მო-გვქონდა. იქ მივხვდებოდით, რომ ჩვენი დიდი მწუხარება ჯერ კიდევ განცდილი არ გვქო-ნდა. მწუხარების ხანი სჭარდება, როგორც ყოველთვის ხდება, როცა მომწიფდება და თავი

ირჩინოს უნდა გასულიყო წუთები, საათები, უნდა მოგვესხადა ჩვენი მოკალეობა — დაგვესაფლავებინა მიცვალებული და ა. შ. — მხოლოდ მაშინ მოვეგვგონებდა თავს მწუხარება, დაგვეტანჯებოდა სულიერი ტკივილი და ჩვენც მთლიანად შევიცნობდით თავს დატეხილ უბედურებას. ამასთან კი, უპირველეს ყოვლისა, ლედა უნდა გვენახა, ბრეზენტის ფუთაზე დაწოლილი, მისი პირისახე. მხოლოდ მაშინ შევძლებდით დავეჯერებინა, რომ ეს ყველაფერი ცხადი იყო და არა სიზმარი.

### 32. ქოხში

ნადირობა, თუ კარგი თოფი არა გაქვს, ნადირობა კი არა, ბავშვური ანცობაა. მთაში ვისაც თოფი აქვს, ვიქადრებ ისაა. თოფი ყველას უნდა ჰქონდეს და მთაში დადიოდეს, სხვაგვარად სიცოცხლე არცა ღირს. მამაკაცები მუდამ ნადირობდნენ და ინადირებენ. ასე ეწერათ ალბათ ბედის წიგნში.

ყველაფერი მაქვს საიმისოდ, რომ კარგად ვინადირო, ყოველ შემთხვევაში მაქვს ის, რის უქონლობაც თოლის ვერ წახვალ. ზოგიერთი მონადირე კვირა დღეს ანდა რომელიმე დღეობას თუ ქალაქში ბილიკიდან ისე მორთული ჩამოდის, თითქოს სახეირნოდ გამოსულიო. ჩამოიკიდებენ ათასნაირ ზანზალ-ბიბილებს, აარიდეს გამყიდველებს რომ თავიანთ დუქნებში გამოუფენიათ და ამ სულელებს ჩიტებივით იტყუებენ ხოლმე.

მე კი აი, რას წავიღებ სანადიროდ:

თოფს — ახლა მე „იჟი" მაქვს, წინათ კი მეგობრისთვის ხვეწნა-მუდარით მყვლი ფული უნდა გამომერთმია;

თასმით ლაბადას — კვალთ ცუდი ამინდი წამომეწიოს;

ქუდს — მე ის სათავისებოდ დავჩერიჩე, რომ ჩიტების ხმა უკეთ გავიგონო, ამ ღამით არ დამისვრიდეს, არ მინდოდა გამფუჭებოდა;

სქელი შალის წინდებს — მარცლის ტოტებში ზონარს შემოვაჭერ, რომ წინდები არ ჩამეჩაროს, ბაირულის დროს ხელი არ შემიშალოს და, თუ ბილიკი სწვრილ ნაწყვეტი იქნება ანდა ნამიანი, არ დამასველდეს;

მაუთულის ნაჭერს — ნანადირევის ასახსნელად;

თხელ ხელთათმანს — ჩასაბმელს რომ მარჯვედ გამოვიყენო;

ნალუქარტყმულ წუღებს — ამ ღამით აუცილებელი გაჩხდი ჩამეცვა, რადგან სხვა არა მაქვს;

კიდევ ჩავიცვამ უგრძელესი სქელი მაუდის ქურთუკს, ჯიბეში აუცილებელ საგნებსა და სანოვაგეს ჩავიწყობ: პურის ნაჭერს, ყველს, ჩურჩხელს, თოფის საწმენდს და ბრეზენტის ლაქებიან ჩალვარს. როცა მთაში ხარ, თოფს უნდა ყურადღებით უფრთხილდე, არ დაისვრიტანდეს.

ძაღლი არა მყავს, რადგან დედა ამბობს, კიდევ ერთ მჭამელს ვერ შევინახავთო.

### 33. პედრო

ბანზე გავუშვით და სახალხლოს გზას გავყევით. აქ ალბათ კარვისმცველები აღარ შეგვეჩეხებიან. ხანასხა და კოსმეს ხაკიდე მიაქვთ, ერთმანეთის ფეხს უწყობენ, რომ მძიმე ტვირთი არ აჯანჯღარონ. ისინი თითქმის ჩიმჩილ, ჩამაგრებულ ძელებს ჰგვანან, ზედა რომ გამოიტანეს ხოლმე ხანარზე

ხახლთ ბოსლის მხრიდან გუახლოვდებით, ღმერთო, ბაქანზე ხოსეფა დგას! ირგვლივ ბნელა, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, ისაა. ალბათ სამზარეულოდან წამდგომ ისე ელოდა, მოვდით თუ არაო.

გადახურულ ბაქანზე ავედით, როგორც იქნა, ლვარძლის დედამიწით, რა ბედნიერებაა, როცა თავზე ცივი წვიმა აღარ გასხამს.

— რა მოხდა? — იკითხა ჩემმა დამ. ხმა დამხშული აქვს, მაგრამ როდი უკანკალებს.

ხანასხა და კოსმემ ხაკიდე ვერანდის ქვის იატაკზე დადგეს.

ჩემს დას ტუჩები უცახცახებს, შიშით დაჭყეტილი საკაცეზე დადებულ ფუთას.

— უბედურება გვეწია, — როგორც იქნა, ამოთქვა ხანასხამ და უარესი ხელში ცოლის ახლოს დადგა.

ხოსეფას, მგონი, ლაპარაკი უჭირს, მაგრამ მაინც ეკითხება ხაბასს ჩუმად და მკაფიოდ:

— რომელია?

— ფერმინი, — მიუგო ხაბასმა.

ჩემს დას, თითქოს ამ უბედურების ელოდაო, არც მოთქმა დაუწყია, არც ტირილი. და უცებ მივხვდი, ისე რად უჭირავს ხოსეფას თავი — იგი ხაბასს შეჰყურებს, ისე უყურებს, თითქოს უნდა მზერით გააქვავოსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოდით, შინ შევასვენოთ, — თქვა ხაბასმა.

— მე მინდა ვნახო, — ჩურჩულებს ხოსეფა.

— სჯობია, თუ არ...

— მე მინდა ვნახო, — დაჟინებით ითხოვს ხოსეფა და მისკენ კუშტავს. მე ვეშველი, მაგრამ იგი უსიტყვოდ იშორებს ჩემს ხელებს.

ხაბასმა ბრეზენტის გაშლა დაიწყო. კოსმე მიეშველა. უხეში, გამაგრებული ბრეზენტი არ ემორჩილებათ, მაგრამ მაინც ისე მოხერხებულად მოქმედებენ, ფერმინის ერთხელაც არ გადაუბრუნებიათ. ვხვდებოდი, კოსმემ ფერმინს პირისახეზე რომ გადააფარა, ხალიჩაც გამქრალა, ალბათ ბრეზენტში ჩარჩა. ჩვენ წინ შეღებილი სისხლით დაფარული, დასახიჩრებული პირისახეა, მაგრამ ჩემი და ახლაც მშვიდად იქცევა. იგი ფერმინის თავთან მუხლებზე ეშვება და პირზე ნაზად უსვამს ხელს. დაბნეული ხაბასი ჩემს ახლოს დგას და ცოლს თვალს არ აშორებს.

— ხარება მოხელში შერეკა, — ილიკს გასაგონად მეუბნება ხაბასი და თვალსაც არ აშორებს ჩემკენ.

— გულში ვფიქრობ, რა დროს ჩაქოლილია, როცა მკვდარი მეული იატაკზე გდებულია, ხოსეფა კი მდუმარებით წინ მუხლებზე ჩამოჯდომილა და ხაზავს მისწრაფებისაგან გული შეულონდება: რა კაცია ეს ხაბასი?

— მოდით, შინ შევასვენოთ, — გაიმეორა მან.

ხაბასი და კოსმე ხოსეფას ნიფხავლოდებიან, მაგრამ არ ახწევს, ყრუმა ცხედარს წამოეწია ფერმინის ხელი, მეორემ იღლიებში და ოთახში ისე შეიტანეს. ხოსეფა ისევ მუხლებზეა ჩაჩოქილი, არც განძრეულა, თითქოს მკვდარიაო.

მე წავედი ლავაპორე, ხარება რომ მოხელში შეერეკა. ამ დროს ოთხეულს მოეყარა თვალი. იგი ძირს ჩამჯდარა და ზურგით კედელს მიყრდნობია, თავი მუხლებში ჩაურგავს. ფრთხილად აუწიე თავი და ვნახე: ხმანავს სახრავით, ლოყაზე კი ცრემლი შეშრობია.

— ჩქარა მღვდელს დაუძახეთ, — გვნების ზღურბლთან ცხარად მიმართავს მეთი.

## 34. ბრუნო

ქმარმა დაბრძანების, განა ყაზარმიდან ტყუილუბრალოდ გამოვიპარე მაშინ მქონდა და უნდა მივაღწიო კიდეც.

ახლა იქნებით დილის ხუთი საათია. პებიტა იქაა, თავის ლოგინში, ხმისუს და ფიქრობს ხეთაყს, ან იქნებ იღუნებოდა... ნათლად ვხედავ: თითქოს ზეწრის ქვეშ როგორ ნებივრობს, ლეიბს აკვრის სითბოსა და ცოდვას მიყენებს.

ურმის თვალზე ავედი და ძალლიდან ყველაზე მაღალი ტომარა ჩამოვატანე შიგ თოვლის მოყვანილი კიდევ ნახშირი იქნება.

მამამ რომ გაიგოს, ურემმა უპატრონოდ დაიქროლა, ძალზე გაბრაზდება. მაგრამ მე ჩემი ხელში ბოლომდე უნდა მივიყვანო. ჩემ დავებმარე ნახშირის მყვრივებმაში ჩაი ჩემი სიკვდი ხულაც არ მქონდათ, მე კი მაინც დავეხმარე, მეტი რაღა უნდა მოვიმოქმედო.

— კარი ღიაა, გზაში არავის დავეჯახიდავრ, სისხლი მიდის, ჩუმად დავაბრუნო.

აი, ფანჯარაზე ჩირაღდანი გაქრობა, ან ეგებ მოვეჩვენა? ჩირაღდანი გაქრა, ფანჯარა დაკეტილია.

ხახლის კამეჩი ავუვედი, მისი ოთახის კარზე დავაკაკუნე.

— გამიღე, პეპიტა, — ჩურჩულით ვამბობ.

პასუხი კვლავ არ ისმის.

— შენ ხომ დამინახე: გამიღე, თორემ კარს შემოვამტვრევ.

ვიღაცამ რაზა გახწია კარი ოდნავ გაიღო. პეპიტაა! მისი ნაყვარული, ნამძინარევი ცხვირშიერი მიჩანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადი, — მითხრა მან.

— მომისმინე, შენ ხომ არ იცი...

ზღურბლზე ფეხის შედგმა მოვასწარი და ოთახში შევვარდი. მან კარი [illegible] და-
ხურა. ტომარა ავანზე დავდე. ბიჭიკა კი მაყურებს. — პატარა, მაგლეჯია [illegible] მიუხედავად, მაინც ხახურდება, ხათური მხოლოდ მის ნაწილ ოთახში [illegible] კა-
ვანზედაც გადის.

მხრებზე ხელი მოვკიდე, მინდა ვაკოცო, მაგრამ ზურგი შემაქცია. საქმე ცუდადაა.

— რა მქვია ამას?! — ვუყვირე.

— ხმადაბლა ილაპარაკე, — ჩურჩულებს იგი და ხალათში ეხვევა.

მაგრამ ხელი მაინც არ გამიშვია.

— ვინ არის?

ხმას არა მცემს და ცდილობს ხელიდან დამისხლტეს.

— ხელი გამიშვი, არ მომეკარო.

ნამდვილი მგლაა!

— ყაზარმიდან შენი გულისთვის გამოვიპარე, ახლა კი და გადლას სახაზინოდან მოდი-
ვარ, ხადაც შეიძლი ღამე თავაუდებლად ქმუშაობდი. იქიდან არ უნდა წამოვსულიყავი, აცხ-
მის თუ არა?

ვიხვავი და ვკოცნი. არადა ვაგდებ, რომ წინლხა შერაცხ, ნაცნობი და ხაყვარელი ტანი
ჩემს მკლავებში იკლაკნება, მე ლომივით მაწევს წინააღმდეგობას.

— ჩემი არყოფნისას მან ქურიმა რამდენჯერ დაუხტვინა? — ვეკითხები და ხმა მეწყვიტება.

ხანქილიან მივიხედე, ნახმარიჩვან გამავებული ჩემი თითები მის ვარდისფერ ხალათზე,
ყელსა და მკერდზე შეუძყიან კვალს ტოვებს. თხელი ქსოვილის ქვეშ ამოღებული ტანის ნა-
კვთები ჩანის. ბრაზი არ იშირევა, შემომცქერის. მე მის ახლის ხაწოლის კიდეზე დავჯექი.
ალბათ ახლაც თავს ღალავს. მაგრამ არა. ხელში გაუშლია. არც ცდილობს გაღიმებული ხა-
ლათის შეკვრას, თვალებში ჩუქია.

არ ვიცი, რა ქნა, ჩვენ აივანზე ავყვარით ტომარას თითქოს ხელით ჩავეჭიდე და ხა-
წოლ ოთახში შემოვათრიე. იგი წევს, არ ინძრევა, მისი თვალები ვაოცებით მიმზერენ, ბო-
ლოს მიჩვდა, რის გადაწყვეტასაც ვაპირებ, წამოხტომა სცადა, მაგრამ უკვე ვეაჩქარე. ნახშირი
თავზე დავაყარე, მერე ტომარა დავბერტყე და შეშინებულ, გაოცებულ პირისახეში ვესროლე.

— ქანშმიხარ! — იატაკზე დაყუდებული ლამაზი და მერეტი იყიდე და გამოვიქეცი.

35. ბებია

ხიბინიძე თქვა, ფერმიის მანამდე ვერ დავახლოვდებოდი, ვიდრე კარიბჭისწინ ნახშირის
ტვირთს არ შეწყვეტდნენ არავინ არ უნდა იცოდეს, რომ იგი და გოლეჟა კლდეებზე გადაირბის,
თორემ ყველაფერს გაიგებენ, ლეიტენანტი გრძნობ ნაყოფიანად სულელურად მოვა, რომ
აქაურობა დაჭერით და მიიყვანს-მოიყვანს ფერმს. ამიტომ ფერმაში უნდა დავმალოთ.
ხიბინიძე მისი ხაზებზე ახვევნება მოიწონა, მაგრამ ჩემს ქალიშვილს არაფერი შექნა.

— სულ ამ ნახშირებს ყველასი ჭკუიდან შეგშალათ? — უთხრა მან ხიბინას.

გადაწყვეტილი ფერმაში უკანა, პატარა ოთახში დავემალებოდი იქ გადატანეს იგი ხი-
ბინიძე და კოსმემ.

— ნახშირი სად ლეტოლი? — როგორც კი ვრთი ვპოულობ, ვეკითხები.

მაგრამ იგი დამწვრებულია და ხმას არ მცემს, კოსმე და ხიბინის ურვა შირინნიკეებს ჩამა-
ფა მოურავლიშვილისათვის პატარა ოთახში საწოლს ამზადებს; მანამდე მან ისმინა დაწვენი-
ტანი გახადა, მშრალი პერანგი ჩააცვა, თავისი ხელით ერთი ფინჯანი ცხელი რძე დაალე-
ვინა, რადგან ბიჭს ტუჩებიც ეძინა.

ღმერთო, ღმერთო, რა მძიმე ჯანსაღული მოგვივლინე! ალბათ ბორიტების ქვაბში ჩა-
ვიყვანდით, ახე მკაცრად რომ გვსჯი. ყველა შენი წყალობის. ღმერთო, რატომ ჩვენზეინიკი
გვიყან არ დაგვიწყებიათ და ცვლენების არ ავყევით! ყველაფერი უნდა გწყალობ, ვერ ეგეც ნახ-
შირის ხაზღაურია? ხომ ასეა, ღმერთო? ყავ, იყოს ნება შენი!

ხიბინიძე და კოსმემ ფერმაში ხაწოლზე დააწვინეს, მაგრამ საწოლი მისთვის პატარა აღ-
მოჩნდა: ფეხები აქვს გადმოკიდებული. ხოსრებმ ძლივს გაიძრო ფეხსაცმელი და ხველი წინ-
დები, ახლა ქუსლამდე ტანსაცმელს ხდის. ხიბინი და კოსმე ემსახურებიან. ხოსრებმ ფერმაში გრძე-

ლი თეთრი ხალათი ჩაეცვა (ხალათი მუხლებამდე მისწვდა) და ზეწარი დაეფარა. მადლობა ღმერთს, დამახინჯებული პირისახე აღარ მოუჩანს.

— ნაზმარი სად წაიყვანეთ? — ვეკითხები ახლა პედროს

36. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყეული, წყეული ბაბუა! მიაღწია თავის საწადელს. ნაშთებს ანაცვალა შვილი! ხომ ვეუბნებოდი, ნუ წაეკიდები-მეთქი ასეთ ლამპას, მაგრამ არ დამიჯერა და სხვებიც თან წაიყვანა. ახლა კი საწოლის თავთან ლამპა ჩერდება, არაფერი ცნობილება. თითქოს აქ, ზეწრის ქვეშ მისი შვილი არ იწვეს.

— ეს ხომ ფერმინია! ჩემი შვილი ფერმინა! — მოსთქვამს მაგდალენა, — შენ რომ მიქცევდი მოსვლამდე ლოგინზე. როდესაც იმ დღეს ბებია ქალი შინ არ დაგხვდა, ჩემი სწავლება არ გჭირდებოდა, თავადაც კარგად იცოდი, ახალშობილი როგორ ძიძვიდი და როგორ მოგეჯდა ჩემთვის. ახლა ეს შვილი შენს წინ რვანის ცივ საწოლზე წევს. რატომ უყურებ ასე, თითქოს არ გჯეროდეს, რომ მკვდარია? ხშირად ასე უყურებდი ძილისას, ჩვენს ქორწინებამდე ერთი თვით ადრე ნაკად ხორხას, როცა ავად გახდა და მოკვდა. უკეთური, ასე ნუ მიყურებ! ეს ხომ შენი ფერმინია, შენი საბრალო შეუძლოდ მყოფი შვილი!

37. ნერვა

სიმღერის გამოძახილია. ეგებ მეტის ტირის. ან ეგებ რაღაც მრიალებს. პო, მეზმას, ვიღაც ნელ-ნელა მოდის, ბიჭის ქვის ბაქანზე მიაფრატუნებს. სინათლე კოსმესა და პრუდენს ოთახიდან გამოდიოდა; მაგრამ ფარანი იქ არ დევს. უკანა ოთახშაა. იმ პატარა ოთახში შევდივარ და ვცდილობ, მამის, მერიას. რია მელრია და კოსმეს ქმედები ყველანი დამუნჯებული დგანან და რკინის საწოლზე კალაფარებულ თეთრ ზეწარს მისჩერებიან ბუნდ ოთახში. საკიდზე, საწოლის მახლობლად ფარანი დევს. დედა სულ გამოცვლილა, ჩაშინდა გაფითრებულა, პეპრა ტირის. თავის ხავ კრიალოსანს მარცვლავს და ტუჩებს აცმაცუნებს. კოსმე ხლურბლთან დგას. ახლადა ვამჩნევ, რომ ზეწრის ქვეშ ვიღაცა წევს.

— საწოლზე ვის ხმანავს? — ვეკითხები კოსმეს.

იგი გაოცებული თუ შეშინებული მიყურებს.

— ფერმინია, — მიძის, შეშზარავი ხმით ჩურჩულებს. ფარნის სინათლეზე მკვეთრად მოუჩანს გამხდარი პირისახე.

— რატომ არ აქვლით ძალს? — კვლავ ვეკითხები.

ახლა კოსმე ჩემკენ არც იყურება. მხოლოდ ერთ ადგილზე ტოკავს რატომღაც.

— რატომ თავს არ დაანებებთ, რომ მშვიდად იძინოს? — ისევ ვეკითხები.

ძია მელრომ წითელი ცხვირი ჩემკენ მოაბრუნა, დაჟინებით მიყურებს; მერე კოსმეს მიხედა, რაღაცას თქმა დააპირა, მაგრამ არ თქვა. ხელები უკანკალებს, არ იცის, სად წაიღოს.

— ზეწარი თავზე რად აქვს წაფარებული?

— აღარ გახსოვდეს? — გამოჯავრდა კოსმე. არ გაიძრეულა, ჩემთვის არც კი შემოუხედავს, დგას და თვალებს ჩუმ-ჩუმად ახამხამებს.

— ფერმინას ზეწარი რატომ დააფარე, რომ ეძინოს?

უეცრ კოსმე ჩემკენ მობრუნდა, მხრებში ორივე ხელით ჩამავლო და მაგრად შეანჯღრია. გაგიჟდი თუ რა, მოიყვანე? კოსმე სრიაწყოანა ხმით მოუბრუნები.

— იგი მკვდარია! გესმის, პედრო? შენი ძმა ფერმინა მოკვდა! ახლა მაინც არ გაგიგია ამ ქალის?!

ჩქლის კვრით გამიგდო აივანზე, თვითონ კი ოთახში დაბრუნდა. მე კოსმეს ფეხდაფეხ მივდევ უკან. იგი ჭერ მამშვენებს. მაგრამ პატარა ოთახში რომ შევდიოდი, ზღურბლიდან ვუყურებ ფერმინს. ფერმინი ზეწრის ქვეშ არ იძირება, სულ არ ინძრევა.

არც ჩვენი ძაღლი ინძრეოდა, როცა ბებიამ მოიხრა, მოკვდაო. მაგრამ ძაღლი სიბერით მოკვდა, ფერმინი ხომ ბებერი არ არის, რატომ უნდა მომკვდარიყო? თუმცა არც ფერმინი ინძრევა ახლა, კოსმემაც მითხრა, მოკვდაო. ნუთუ მართლა მოკვდა?

დედაც ახლა მკვდარივითაა, მხოლოდ მკერდი აღმ-ხაუდის ხშირ-ხშირად, პეპრა ჩის

ისიც მკვდარსა ჰგავს, ვხედავ, თითებით კრიალოსანს მარცვლავს ნელა. მამაც ლოცვას იწყებს თავს, ვერც კი შევამჩნევ. ძია პედროს ხელები უძრავდება, ხან მუცელზე დაიდებს, ხან ჯიბეში ჩაიწყობს, ხოლმე ერთ ადგილზე ტოკავს, თითქოს იატაკი ფეხის გულებს სწვავსო.

ის კი ყველაზე მშვიდადაა, მკვდარი ფერმინი. თუმცა მოხუცი არ არის, მაინც მკვდარია. ხელი არ ინძრევა, ხელი არა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 38. პედრო

ჩემი და და დედა ოთახში დავტოვე, ხაზრალ ფერმინთან, მინდა ვნახო, ხაბახა რად წავიდა. ხოლმე სადღაც გაქრა, გოგონაც.

ხაბახი ბოსელშია. ნაკელის ორმოსთან დგას და მთელი ძალით ხარს ფერდს უზელავს ფარნის შუქზე. ცხენებმა ხმარტის სუნი იგრძნეს. მიწაზე, სადაც ჩალა და ნაკელი ერთმანეთში არეულა, მთელი დგას. ხაბახი ბოსლიდან მარჯვენა მუჭაში ხმარტს იღებს. ხარები გვერდ-გვერდ დგანან, თითქოს არ იციან, ამეურეული რომ მოხდა.

— ექიმს არ დაუძახებ? — ვკითხე ხაბახას.

— არა, — მიპასუხა სწრაფად, არც შემომხედა; ახლა თავისი საქმით გართული.

— არც მღვდელს?

— მომისმინე, — მითხრა ხაბახამ, თავი ძლივს მოუბრუნა, — ნუთუ არ გესმის? ნუთუ ვერ გაიგე, შუა გზაზე რომ ვერ მივატოვებთ დაწყებულ საქმეს?..

მეგონება, ხმა ყელიდან კი არა, ხელი ტანსაცმლიდან მოიკვლევდეს გზას, ჯერ რომ არ გამოუცვლია. მან მოულოდნელად ლამპა მოიხადა, როცა ფერმინი საწოლზე დააწვინა.

— მაგრამ მღვდელი ხომ უნდა მოიყვანოთ, ფერმინი უზიარებლად მოკვდა... ექიმიც ხომ უნდა მოვიდეს...

— ქალაქში რომ დაბრუნდი, მოკვდება?

— ჰო, დაბრუნდი! — გიცხა, — შენი შვილი უბედური ქალაქი კი არ არის!

ახლა მასხარა ალბათ სიტყვასაც ვერ ვერ ... ხაბახამ ბოსლიდან ხმარტი მუჭში ჩაიხვა და თქვა:

— თუნდაც ერთხელ — სიცოცხლეში თუ არა, სიკვდილის შემდეგ მაინც დაემორჩილოს თავის კანონმა.

— ხაბახ როდემდე?..

მან მთელი მიწაზე დაიდო, ხელი ხარის დახაზულად მოიმარჯვა, მაგრამ უცებ თვალი თვალში გამიყარა, ყურადღებაც არ მიაქცია, ხმარტი იატაკზე და ნაკელზე რომ ილეწებოდა.

— დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ვერ მივატოვებთ, — გაიმეორა მტკიცედ და ურცხვად. — ნახმარი და გალევადან ჯერ არ გამომცვლია, ახლა არ უნდა იცოდეს, რომ ჩვენი ნახმარი იქნა, არავინ არ უნდა მიხვდეს, რომ ხანამარიანზე ჩვენც ვიქნებით ნახმარიანები. ამას კი ვერ დავმალავთ, თუ ფერმინის ამბავი გაიგეს.

— მაგრამ ევებ იქნებ დაგვინახა ან გაიგო, რომ აქ ვიყავით, ახლა ვინ დაიჯერებს, რომ ჩვენ...

— ამაზე ნუ სწუხარ, — თქვა ხაბახამ და კვლავ ხმარტი ჩაიხვა მუჭში. მე გარეთ გავედი.

## 39. ხოსეფა

დედა ძნელად შეიგრძნობს თავის უბედურებას. ჩვილის ცხედარი რომ დავინახე, იქვე უნდა მოვმკვდარიყავი, მაგრამ ისე გავქვავდი, ცრემლიც კი ვერ ვაიმშრალე. ნუთუ ვერ მიგხვდი, რა უბედურება დამატყდა თავს! ალბათ ღმერთი ამისათვის მსჯიდა. როცა ყველაფერი მოთავდება, როცა იგი მიწაში იქნება, მაშინ თუ შევიგრძნობ ძალიანად ჩემს ტკივილს და დავიტირებ უბედურს.

ხაბახს შევეკითხე:

— რა დაემართა?

— უბედურება შეემთხვა, — მომიგო.

— რა დაემართა?

— ცუდი დაუდგა, — ყოყმანით მომიგო.

ვერც ამის შემდეგ ადვილად მწუხარება. არც ფიქრი შემიძლია, მხოლოდ მესმის და ვხედავ, რაც ირგვლივ ხდება, მაგრამ ვერ კი ვგრძნობ ვერაფერს. ვხედავ ზღვისპირას უცნაურ ფერმას, ვამჩნევ დედოჩემს, ხაბახს, კოსმეს, პედროს. ისინი გაუნძრევლად და ჩუმად სხედან, შეძრწუნებულნი, გულდამძიმებულნი. ხაბახის გარდა ყველანი დაქანცულნი არიან. ამ ხაბახს კი ვერაფერი გასტეხს. მესმის კრამიტზე წვიმის რაკარუკი, თუმცა, ... ერთად ... ვერ წვიმა, მესმის, დედოჩემი როგორ ლოცულობს. აი, თითქოს ... არა, ეს ფარნის სინათლე იწვევს ზღვაზე, დაჩეჩქვილ, დამახინჯებულ პირისახეს რომ უფარავს. ვხედავ პედროს ხელებიან თვალებსაც. და მაინც ვერაფერს ვგრძნობ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ნუთუ მართლა სამუდამოდ უნდა წავიღეს ჩემგან, რომ გულში მწუხარება შემოიჭრას? ალბათ როცა ფერმის დავეხეთქლავებთ, როცა მას კუბოზე ბელტების ხრახუნს გავიგონებ, მაშინ დავუბრუნდები სიცოცხლეს, თავს დავაღწევ აწრიალებული ლანდების სამყაროს და შევძლებ რაღაც ვიგრძნო, ბოლოს და ბოლოს მწუხარებაც ვიგრძნო.

## 40. ᲔᲕᲠᲔᲐ

კატა თავის კნუტებს ეძებს. ყველა კუთხე-კუნჭული დაყნოსა, ბოსელშიც შეძვრა. როცა გამოღებული კარის ახლოს გავიარე, კატა მისხლტომით გამისხლტა. ჩანს, ცოცხალ-მკვდარია, კატა კნუტებს ითვლის, მათ ხმას რომ გაიგებს, მეც ხომ მესმის... ალბათ ყველა გაიგებს, კალათში როგორ წრიალებენ და ხახუნავს ფხაჭნიან.

აი, კატა კოსმესა და ბრუნოს ოთახში შეიპარა. მე მივდევ, იგი ხარდახის ქვეშ დაიმალა.

იატაკზე დავწექი, ხელები ხარდახის ქვეშ შევაცურე და ფაფუკ, თბილ და შავ ხალიჩას ჩურჩულით შევეხე. კატამ ხელები დამიკაწრა და გაიქცა. ჯანდაბას შენი თავი, სულ ერთია, მაშა მაინც ბოსელშია ახლა და გინდ არ გამოვა, რაც ნაცოდვილარ ვერ გავაკეთებ.

## 41. ᲑᲔᲠᲗᲐ

მთელი ღამე თვალი არ მომისუჭავს. მესმოდა, რა რახარუხი გაუდიოდა კოკისპირულ წვიმას კრამიტებზე. ვფიქრობდი, ნეტავ რას აკეთებენ-მეთქი ახლა ლა გალერეა პედრო და სხვები.

დილის სიჩუმე ჩამოვარდა. სათავარია, მთელი ღამე კოკისპირულად წვიმდა და ერთბაშად გადაიღო. ეს სიჩუმე თითქოს უბედურების მაუწყებელია. ამიტომ, როცა პედროს ფეხის ხმა გავიგონე, შიშმა დამიარა მთელ სხეულში.

პედრო ძლივს ლასლასებს, ხულელივით თავს აკანტურებს ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე. ტანი სიცივისგან სულ გალურჯებულა, ირგვლივ ვერაფერს ხედავს. ლეიბი ამაარა და მუცელში შემყო თავი, იქ სისველი ეგულება.

— ლეიბი არა გვაქვს, — ვუთხარი.

— ნუთუ არ იცი, რომ ულეიბოდ ყოფნა არ შემიძლია! — ყვირის ჩახლეჩილი ხმით და აზვავლებს.

ტანისამოსი, ყვითლი რაიმე უნდა მეცადა, მაგრამ აღებული ხელფასიდან არაფერი დამრჩა, ვიღები ხომ უსტა გაქცეულიმარებიან-მეთქი, მაგრამ ყურს არ მიგდებს. პედრო გავხედე, იგი საძინებელ ოთახში შევიდა, საწოლზე ლაგდა, თავზე ხელები შემოიწყო და ტიტველი მუხლები დაეყრდნო.

ჩუმად მეუბნება:

— ფერმის კლდეზე ვადიოდეს და მოკვდა მე გადავწყვიტე ფარანი და ვანაცვრაზე, უფსკრულში თითქოს მე ვადავარდე.

იგი საწოლზე დაეცა და ბავშვივით ატირდა, მე კი ამ ადამიანზე ვფიქრობ, ვინც შეძლებს ჩემი შვილის მამა გამხდარიყო. ახლა შემიძლია მასზე ფიქრი, აკი პედრომ თქვა, მოკვდაო.

ჰო, მე მისდღეგ დედა გავხდებოდი. დრო იყო, სიყვარულზე ვოცნებობდი, მაგრამ ვერასოდეს გავიფიქრებდი, რომ შეიძლება მაშინ, როცა გავიგე, რომ ბავშვს დედა და მამა კი არა, ქალი და კაცი ჰყავს, მივხვდი, სიყვარული შემოქმედის პატარა ეშმაკობაა, ჩვენთვის მოგონილი, რომ ადამიანთა მოდგმა არ გაქრეს. ღმერთმა კარგად იცოდა, რასაც იქმოდა.

სიყვარული შემძულდა კიდეც, რადგან საკუთარი თავის რწმენა დავკარგე, რადგან ეჭვი შემეპარა, რომ მამაკაცების მოხიბვლა შემეძლო. არავის მოვწონდი. ამიტომ, როცა მე და პედრო დავქორწინდით, ჩემი სიყვარულის იმედი არ უნდა ჰქონოდა მას. კიდევ კარგი, თავიდანვე არ შემძულდა. მე მხოლოდ ერთი რამ მსურდა, შვილი მყოლოდა.

ღმერთი შემიწყალე, არ გავთხოვილიყავი! ცხოვრობდა ოცდათხუთმეტი წლის შინაბერა, მთელი თავისი სიცოცხლე მამაკაცს რომ ელოდა, და ცხოვრობდა უცოლო [illegible] სახლ-კარი რომ არ გააჩნდა, ამიტომ მან საქმეზე გული აიცრა და [illegible] ნეთი გაეკეთებინა. მაშინ მე ერთ კუდიან დედაბერს შევეკითხე, რა ასაკში აღარ უჩნდება [illegible] მამაკაცს შვილი. „აბა, რა ჭკუა აქვს, — მომიგო, თავისსავე ნათქვამზე გაეცინა და ჩამპვებული კბილები დაკრიჭა, — ზოგი მამა იმქვეყნად გადაბარგდება, შვილები კი მაინც იბადებიან". მე ისიც მომაგონდა: იმხანად ერთი ჩვენი მეზობელი, ოთხმოცდათორმეტი წლის კაცი, მამა გახდა. პედრო კი ამ მეზობელზე ათი წლით უმცროსი იყო.

პედროს თანხმობა ვუთხარი და ცოლად გავყევი. მაგრამ გავიდა ოთხი წელი და შვილი არ გაგვიჩნდა.

მაშინ იმ ბებერი კუდიანი დედაბრის სიტყვებს ჩავუფიქრდი, ჩემს თავს შთავაგონე, მხოლოდ ეკლესია თვლის ამ ამბავს ცოდვად, თორემ ღალატი ცოდვა როდია, თუკი შვილის გულისათვის ჩაიდენ-მეთქი.

და აჰა, ჩემი სოფლის მამაკაცებს დავუწყე თვალთვალი. წინასწარ გადავწყვიტე მახინჯი ამომერჩია, რომ სხვა ქალებს მასზე თვალი არ დარჩენოდათ. შორს წასვლა არ დამჭირვებია, იგი სწორედ ისეთი იყო, როგორიც მე მინდოდა: ნახევრად ნადირი. არც ერთი ქალი მას ქმრად თუ საყვარლად არ ინდომებდა. მხოლოდ ერთი რამ ვერ გავითვალისწინე. ან ვინ შეძლებდა ამის გათვალისწინებას? ყველაზე ზანზალარ და საცოდავ არსებასაც ხომ შეუძლია ბავშვის ჩასახვა.

შემთხვევა იმ ღამეს სანჩარიოს ახლოს მდებარე რესტორანში მომეცა. მახსოვს, უკანასკნელ წუთს შევყოყმანდი: არა, სინდისმა კი არ შემაწუხა, იმ დღეს იგი ჩემ წინაშე წარმოსდგა, როგორც გმირი და გამარჯვებული, სულ სხვა კაცად მეჩვენა. მას ხომ ზეიმზე უმართლებს თავდეკი, აქებდნენ და თანაც ისე აქებდნენ, შეიძლება მისი ხიბლისთვის დავეჯერებინეთ. მაგრამ არა, ეს ვერ შევძელი; იგი ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის: უზარმაზარი, მოუსვენარი, უაზრო თვალებით მოცქერალი, ფართო მსუქან პირისახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, ერთთავად ოფლით ცურავდა. ზეიმს თითქოს უნდა გარდაექმნა იგი, მაგრამ ვერ გარდაქმნა. ზოგჯერ მგონია, ვინც სიზმრებში სანაპიროზე მოძღვრავდა, ფერმერი კი არა, ხორცშესხმული ცხოველური ძალა იყო, ჩვენს ამაღლებულ გრძნობებს რომ ვითომ ემორჩილება, სინამდვილეში კი თავად მბრძანებლობს ჩვენს გრძნობებზე. იგი მომიახლოვდა. ლუდის სუნი მეცა, მერე სულ ახლოს ცხელი სუნთქვა ვიგრძენი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი და ხშირი, მერე სიჩუმე... ბოლოს კი არაფერი. კინაღამ გული ამერია. და როცა კვლავ ვარსკვლავებით მოჭედილი უსაზღვრო ცა ვიხილე, საიდან გადმოვხტი და გავიქეცი. ცოტა ხნის შემდეგ რაღაც ხმა მომესმა: იგი ნავს ამტვრევდა. რესტორნიდან ნაპირისაკენ ხალხი ყვირილით გარბოდა. მაგრამ ჩემი შვილი, ვინც იმ დროს ორი-სამი წუთისა იქნებოდა, რომ ჩასახულიყო, არ ჩაისახა.

პედრო ხშირად მეუბნებოდა: „მას არ სურს სხვენიდან ჩამოსვლა. ჯერ ნავს აგებს, მერე კი ანგრევს. ხოსეფა კი ამბობს, ეს როდი ნიშნავს, გიჟიაო". მე კი პედროს ვეტყოდი ხოლმე: „ნეტა რა დაემართა?" მართლაც არ ვიცოდი, რად გაგიჟდა. არც ახლა ვიცი. არა, მე არაფერი დამვიწყებია, ვცდილობდი გამეგო მიზეზი, მაგრამ, ღმერთმანი, დღემდე ვერაფერი გამიგია.

წვიმა უკვე შეწყდა.

## 42. ნერეა

როგორც იქნა, კატა დავიჭირე.

— ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო... — ვეალერსები, მინდა მშვიდად იყოს და არ დამუხაჭნოს. ბოსლის კედელში გამოჭრილი სამი პატარა სარკმელი სინათლეს ძლივს ატარებს, მაგრამ ფეხის გადადგმა მაინც შეიძლება.

ნაკელის ორმო ბოსლის შუაშია. იგი თითქმის სავსეა, თავზე შავი ქერქი მოუგდია.

— ნუ გეშინია, ნუ გეშინია, ფისო, — ვეჩურჩულები კატას და უცებ ორმოში ჩავაგდე-

ვერც კი მოასწრო ბრჭყალებით კაბაზე მომჭიდებოდა. ერთხელ კი შემოტრიალდა ჰაერში და მაშინვე ყურებამდე ჩაიცინა; კატა თათებით ქერქს ეჭიდება, კისერს მაღლა იწევს, ელვარე თვალებით მომშტერებია. ამ შავ წუმპეში წვეთით ფართხალებს და შეძრწუნებული ჩქარ-აება. სურვილი კვლავ ამიტყსო. იგი მოკვდება, ფერმანივით გამეშდება და ჩემს კნუტებს ვერ იპოვის.

ვიდრე ბოსლიდან გამოვიდოდე, კარის ჭუჭრუტანაში ვიჭყიტები. ბაღიდან ბერტა ბაცილა მოსულა. წვიმა უკვე აღარ მოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 43. ბერტა

წვიმა, შეწყდა, ახლა ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურება. გზაზე გაუვალი ტალახია. ხის ქოშები უნდა ჩავიცვა და ქმრის ნათესავები მოვინახულო, მათ ხომ ასეთი უბედურება დაატყდათ თავს. ეს-ესაა ინათა.

სახლში სრული სიჩუმეა. ხოსეფას ყოველ კვირა რომ გამოცვლილი ბინა, მის სახლს სხვა სახლებისგან მაინც გამოარჩევდა. იგი ბინას კი არ აგვის, ლამის ენით ლოკავს, თითქოს გაშელდ-გამოწყლელს აჩვენებს, დახეთ, რა სუფთა ვარო.

აივნის ბოლოში დიდი ოთახია, მის გვერდით კი პატარა. იქ ბებია და ხოსეფა სხედან, უძრავად და ჩუმად. ზეწარი, მას რომ აფარია, სუფთა და ქათქათაა, სხვაგვარი არც შეიძლება იყოს ხოსეფას სახლში. მე ხოსეფას ვუახლოვდები. იგი არც კი დგება. ეგებ ვერც მამჩნევს? ვკრთები და რაღაც უსიამოვნო გრძნობა მეუფლება. ხოსეფას გაქვავებული ცივი პირისახე მაკრთობს, ან ეგებ... ჰო, გამოვტყდები: ხოსეფას სხეულის სუნი იმისი სხეულის სუნს მაგონებს, იმ დღეს რომ ვიყნოსე ლუდის სუნთან ერთად. და მალაუნებურად უკან ვიხევ, თუმცა რა ხანია ყველაფერი დავიწყებას მიეცა, ჩაკვდა.

ეს პატარა ოთახიც, ერთი ციცქნა, ნესტიანი და მუდამ ცარიელი, სხვა ოთახებივით სუფთა და კრიალაა.

### 44. ბრუნო

წვიმამ, როგორც იქნა გადაიღო. გააჟღენთილ წვეთებს რახარუხი აღარ გაუდის ურმის ბრეზენტზე, ყველაფერი თითქოს მოკვდა და სიჩუმემ მოიცვა. ბუნება, მთელი დღე და ღამე რომ ბობოქრობდა, ახლა შიშით გაყუჩებულა სასჯელის მოლოდინში. მხოლოდ ზღვა მღერის ქვემოთ, ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულა.

უცებ მამა დავინახე: იგი ჩემკენ მოდის, წელგამართული, მხნე, დაუღლელი, მოდის და ფართოდ მოაბიჯებს. მარჯვენა ხელში პატარა ფუთა უჭირავს, იგი ზღვის მხრიდან მოდის. ჩანს, შორი გზიდან მოუვლია. ახლოს რომ მოვიდა, შევამჩნიე, თვალები უფრო ჩაცვენოდა, გაუპარსავი პირისახე სიცივისაგან გალურჯებოდა. მართალია, ქარიშხალი ჩადგა, მაგრამ დროდადრო სუსხიანი ქარი მაინც დაიქროლებს ხოლმე.

— დედა როგორაა? — ვკითხე.

— თავს იმაგრებს, — მეუბნება.

— რა იქნა?

— არაფერი.

მთელი მისი ყურადღება, ჩანს, მხოლოდ ურმისკენაა მიპყრობილი. ირგვლივ უვლის, გულმოდგინედ ამოწმებს. თვლებს ეჭიდება, მთელია ისევ თუ არა, მძიმე ტვირთმა ხომ არ მოარყია. მერე თავი მაღლა აწია და ურემზე უშნოდ დაყრილი ტომრების გროვა შეათვალიერა. ვერ შეამჩნია, რომ ერთი ტომარა აკლია. თუ არ დაითვალა, ვერც მიხვდება.

— ახლა რას აკეთებს?

— თავით უზის. უკანა ოთახში დავაწვინეთ. ბერტა მიცილდა იქნა.

მამამ შემხედა და დაუმატა:

— არავის არ უნდა გაიგოს მისი სიკვდილი, თორემ კარაბინერები მაშინვე მიხვდებიან, სადაც ვიყავით ღამე, ყაჩაღებივით თავს დაგვესხმიან და ნახშირს წაგვართმევენ.

— კი მაგრამ...

სიტყვა გავწყვიტე, რადგან მის თვალებში უჩვეულო გადაწყვეტილება წავიკითხე. ზედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ლაპარაკი საჭირო არ არისო, ასე ფიქრობს მამა და ფუთი მომაწოდა. იქიდან ქვაბურა და მჭადის ნატეხი მოჩანს. ქვაბურაში სადილიდან მორჩენილი მაგარი ცივი კარტოფილია.

მე კი ცხელი საჭმელი მინდა, თუნდაც ერთი ლუკმა. ცივი კარტოფილი და გამხმარი მჭადი ყელში არ ჩამდის. არა, ამის ჭამა არ შემიძლია.

— ცოტა მაინც უნდა შეჭამო, — მირჩია მამამ, როცა დაინახა, რომ საჭმელი მიწაზე დაფენილ მუშამბაზე ხელუხლებელი იდო.

— გული მერევა, — ვეუბნები, — საჭმლის ყურებაც არ შემიძლია.

მამამ ლაბადის კალთა გადაიწია.

— აი, აიღე, ბურგოსამდე რკინიგზის ბილეთი იყიდე, გზაშიც რამე ცხელს შეჭამ, — მითხრა და ფული მომაწოდა. — ცხრის ნახევრის მატარებელს მიუსწრებ.

— არსადაც არ წავალ, — ვთქვი პასუხად.

იგი მომაჩერდა, დიდად არც გაკვირვებია: წუხანდელი ღამის შემდეგ ალბათ ვეღარაფრით ვერ გაოცებ.

— ჰო, დიდ გასაჭირში ვართ, — მითხრა, — ბევრი სამუშაო გველის, მაგრამ შენ კი მატარებელს მაინც უნდა გაჰყვე.

— ვიდრე ძმას არ დავმარხავ, არსადაც არ წავალ, — მკვახედ ვთქვი და თვალი თვალში გამომწვევად გავუყარე. ჯანდაბას ნახშირი! კაცი მოკვდა, ეს კი ისევ ნახშირზე ლაპარაკობს. მაგრამ პირისახეზე ისეთი სიმტკიცე აწერია, ძალაუნებურად ჩუმად ვამბობ, — აუცილებელი როდია მიცვალებული პირველ დღესვე დაასაფლავო. შეიძლება მეორე დღესაც დამარხო, ხომ ასეა?

## X

არ ვიცი, ბადე სიზმარში ვნახე, თუ თვალის გახელისას მომაგონდა. წვიმა შემწყდარიყო, აღარ ისმოდა წვეთების რაკარუკი კრამიტის სახურავზე, ფიცრებზე, მიწაზე და ნახშირზე. ჩვენ ამ ხმაურს ისე შევეჩვიეთ, დიდად არ გაგვაკვირვებდა, გულის ცემასავით სიცოცხლის ბოლომდე რომ გაგვყოლოდა.

მზე უკვე ისე მაღლა იდგა, დრო იყო ნაპირზე ჩავსულიყავი და ბადე მენახა: ეგებ ამიხდა ნატვრა!

ხელი საწოლის ზურგსა და სკამზე ჩამოკიდებულ ტანსაცმლისაკენ გავიწვდინე. როგორც კი ჩემს ლაბადას მოვკარი თვალი, წამსვე ბრეზენტი და ამ ბრეზენტში გახვეული მკვდარი ფერმინი მომაგონდა. მაშინვე გონება გამინათდა და ყველაფერი გამახსენდა.

კარადაში მშრალი ტანსაცმელი დავძებნე, მშრალი ფეხსაცმელი მოვნახე, სასწრაფოდ ჩავიცვი, აივანზე გავედი და სანაპიროსაკენ გავწიე, მაგრამ ათი ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, რომ დავბრუნდი. სურვილმა მომიარა უკანა ოთახში შემეჭყიტა. ახლა წინანდელივით აღარ მჭირდება ფეხის წვერებზე შედგომა, ფანჯარას რომ მივწვდე. მე ფერმინი დავინახე, იგი რკინის საწოლზე იწვა. იწვა გრძელი და გაშეშებული. გვერდით, სკამებზე ბებია და დედა ისხდნენ. ისინი არ იძვროდნენ, მაგრამ თითქოს ელოდნენ, რომ მიცვალებული სადაცაა მკვდრეთით აღდგებოდა და გულში ჩაიკრავდნენ, თუკი მანამდე შიშისაგან ძირს არ გაერთხმებოდნენ. სხვა იქ არავინ იყო, მხოლოდ ბებია და დედა. არ მახსოვს, შევეკითხე თუ არა საკუთარ თავს, სხვები სად არიან-მეთქი; და თუ შევეკითხე ალბათ მაშინ, როცა ფანჯარას მოვშორდი და თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი. გზადაგზა ცრემლს ვიწმენდდი.

უცებ ხალხი დავინახე. ჩვენი სოფლელები იყვნენ. საოცარი სანახაობის საცქერლად კი არ მოეყარათ თავი, ვიღაც ყბედს შემოხვეოდნენ, ვინც ყველაფერი სხვებზე მეტი იცოდა, ან სხვებზე უკეთ უჭრიდა ენა. ისინი ბედს წყევლიდნენ, რადგან მთელი ღამე სანაოსნო თუ სარკინიგზო კომპანიისათვის მოიკლეს მუშაობით თავი (როგორც მამაჩემი ამბობდა). ტყუილად დაღვარეს ოფლი, რადგან უცხო ძალისათვის მოუხდიათ ნახშირის შეგროვება. ის კაცი კი, ვინც იმათ ნახშირი წაართვა, რაღაც ქაღალდებს შეავსებს, როგორც წესია, სადღაც ანგარიშს ჩააბარებს და ამ ნაშრომით კი მადლობასაც არ ეტყვის.

ხალხი ნანგრევებთან შეგროვილიყო, თუმცა ნანგრევებიც კი არ ეთქმოდა ქვიშაქვით ნაშენ ძველისძველი კედლების საცოდავ ნაშთს.

ცისფერ-სიმაგრესთან შეკრებილთ გალუმპული ძველი ლაბადები და პალტოები, პიჯაკები და სვიტრები კი არ ეცვათ, არამედ მშრალი ტანსაცმელი. მაშასადამე, დიდი ხანია შინ დაბ-

რუნჯმულიყვნენ. მაგრამ მარტო ამიტომ კი არა, ვინც მოკლულიყვნენ და ტანსაცმელი გაძრო-ეცვალათ ქარიშხალსა და ღვართქაფმა გაათამაშებულ უთავბოლო წარმოდგენის პირველი მოქმედების შემდეგ, არამედ ძალა მოეკრიბათ, რომ კვლავ სცენაზე გასულიყვნენ და მეორე მოქმედება ეთამაშათ.

პირველი მოქმედება დამთავრებული იყო. მე გვიან გავიგე ეს ამბავი, როცა ლეიტენანტმა გარსიამ ჩაიხედა ნახშირით დატვირთული და კარაბინერების მიერ დაჩხრეკილი ურმები და ურიკები, ჯორები და სახედრები ალაგ-ალაგ მიეღდნენ, ნაკვეთში, შაბათობით და კვირა დღეებში ბაზრობა იმართებოდა ხოლმე. აქ, ამ ლიანაზე სწორედ ჩვენი ურმები, ურიკები და უტრაფალ ძელები, ლეიბი ამოხვრილი, ჯანაწამები, უზომო ტვირთისაგან ძალ-ღონე გამოცლილი სახედრები. ირგვლივ კარაბინერები იდგნენ და უკანასკნელ მოქმედებას ამ საცოდავ სახეთ ლირსეულობდნენ.

ქალები, ბიჭები და მოხუცები სამიოდე მეტრიდან უყურებდნენ ამ გულსაკლავ სანახაობას. ნაწამლები, შაბათს ღამე და გალეაზე რომ გაატარეს, აქ არ იყვნენ: მათ თავიანთი ბედისწერება მიატოვეს, ხელი ჩაიქნიეს; შეიარაღებულმა ადამიანებმა წაართვეს ის და უსხ-რეს, ჩამოგერიშეს. თანაც დღის სინათლეზე დაიცხრო წუხანდელი ღამის სიცივე, განწი-რული იმედი, რომ ნახშირს მოიპოვებდნენ, რომ ზამთარს თბილად გაატარებდნენ. მხიარული დღის სინათლეზე კარგა ნათელი, მაგ რომ ნადავლი არ ეკუთვნოდათ, თუმცა მასა მოპო-ვება წარმოუდგენელ ჯაფად დაუჯდათ.

ახლა, დაწყვეტილნი, გამორიცხულნი, ტანსაცმელგამოცვლილნი, ცისფ-ლურჯის ნანგრე-ვებთან იდგნენ და ინგლისურ გემს შესცქეროდნენ, შორს, რიფებს მიღმა წყლიდან რომ მოჩანდა.

სამირი საზრისელი ველსა შეაფერა: ეფერა დასიცხული, მჭიდროდგამებული ძაღლები, ღამის გამჭვირვალე, თხელი ტყავი რომ ბრჭყინავდა ძვლებზე გადაკრული, ზღვის მიერ ზიზღით გა-მოგდებული ჩამდენიმე დახეული ფეხსაცმელი, პალმის დამპალი ტოტები, ზღვის ურჩხუ-ლების ჩონჩხს რომ ჰგავდა მოთელები, ძელები, ფიცრები, ზღვის ფსკერიდან ამოტივტივებუ-ლი წყალმცენარეები...

მალაგა დეკადაძე და ცისფ ლარბაზებისაკენ გავწიე. შეიძლებოდა სხვა გზაც ამერჩია, მაგ-რამ ... თავშეყრამ მომიზიდა და მათ ფეხაკრეფით მივუახლოვდი. არავის არ დავუნახი-ვარ, ყველანი ჩემკენ ზურგშექცევით იდგნენ, პირით ზღვისკენ.

მაშინდი, რომელიც ლაპარაკობდნენ მართალია, თავდაპირველად სიტყვები გარკვევით ვერ გავარჩიე, მაგრამ მკვახე ქალის მაიძულა ახლოს მივსულიყავი, თუმცა მარტო მკვახე კილომ როდი დამაცქვეტინა ყურები, რამდენჯერმე მამაჩემის სახელიც გავიგონე.

მოხუცი ანტონის ხმა შევიცანი.

— გეუბნებით, ის გაქცა! — ამტკიცებდა ანტონი, ალბათ სურდა სხვებისათვისაც თავისი აზრი ჩაენერგა, — გაქცა!

— ხაბასი ასეთ რამეს არ ჩაიდენდა, — თქვა ვიღაცამ.

— არა? — შეხტა ანტონი. ჩაცვენილ ლოყებზე ჭაღარა წვერი ისე მოსდებოდა, როგორც სარეველა ბალახი მოუვლელ მინდორს. მისი თვალები ისე ანათებდნენ, როგორც ნაპერწკლები დახეთქილი მიწიდან, როგორც მიწისქვეშა ცეცხლის პირველი ენები, სადაცაა ვულკანიდან რომ ამოიფრქვეოდა. ანტონი ბრაზით დააცქერდა იმას, ვინც შეპასუხება გაბედა. — ხაბასმა ლეიტენანტის ურემი რად წაიყვანა? იქნებ აგვიხსნა, ჰა? ნახშირი კი მის ეზოშა ყველაზე წი-ნათვის ნეტა ლეიტენანტი ხაბასის ნახშირს ძებნასაც დაიწყებს, თუ ჩუმად მორიგდნენ ერთმანეთში? ამიტომაც ვიცნობ ლეიტენანტს ლეკუმბერის ურმის ამბავი.

— იქნებ ხაბასი და გალეაზე არც ყოფილა? — თქვა ერთმა ახალგაზრდამ, მაგრამ შეცბა-ჩნდა, თითქოს არა სჯეროდა თავისი ნათქვამის.

— სად არის მაშინ ურემი? — კვლავ შეხტა ანტონი და თავი ახლა მეორე მხარეს მიაბ-რუნა. ჩაყვითლებული, მეჩხერი კბილებიდან ღორბლი გადმოსდიოდა.

— ვინ იცის, ეგებ ის ჩვენზე მოხერხებული გამოდგა და ურემი სადმე გადამალა, — ჩაერია საუბარში თეოდოროს მამა, იმ ბიჭის მამა, ვინც შემთხვევას ელოდა ჩემი ანკესები მოეპარა. უცებ ანკესები გამახსენდა და გადავწყვიტე ქვემოთ, ხანაპიროსაკენ გავქცეულიყა-ყო, ვიდრე მოქცევა არ დაწყებულიყო, მაგრამ თავიც არ მიმიბრუნებია იმ ადგილისაკენ, სადაც გუშინწინ ანკესები დავდგი, ფეხები თითქოს სველ მიწას შეეზარდა, ყურისგდება განვაგრძე, თუმცა ისედაც ბევრი რამ გავიგე და ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა ახლა; თითქოს გულმა მიკარნახა, რომ ცოტა ხნის შემდეგ აქ შეკრილი ოციოდე თუ ოცდაათიოდე

მამაკაცი ანტონის მიერ გამოთქმულ აზრს ეთანხმებოდა: ყველა იმ უბედურების მიზეზი, რამაც წყალში ჩაუყარეთ მთელი ღამის შრომა, ზაზა იყო. ყველანი, ჩანდა, უმალ გულისწყრომაც იყვნენ, რომ განტყვებას ყაცი მოაკვდინა. თანაც ამ დამნაშავეზე ხელი ადვილად მიუწვდებოდათ და, მაშასადამე, შურისძიების წყურვილსაც მოიკლავდნენ.

უცებ ყველამ თავი ნაპირისაკენ მიაბრუნა და მეც ძალაუნებურად იქით გავიხედე: ქვა გალეას გზაზე ხამი კარაბინერი ნელ-ნელა ამოდიოდა. ერთ-ერთი ლეიტენანტი გახლდათ, ისე, არც გამჭირვებია მისი ცნობა, იგი მუდამ ბოლოში მოაბიჯებდა, ორნი კი წინ მოაბიჯებდნენ, მას არც უყურებდნენ. ასე დადიოდნენ ისინი მუდამ. ლეიტენანტი სხვა განმასხვავებელი ნიშნითაც ვიცანი. იგი ბურთივით მრგვალი იყო და ლოდიდან ლოდზე მხუმუქად კი არ დახტოდა, არამედ ძლივს გადაგორდებოდა ხოლმე. მას მოულოდნელად ფეხი დაუცდა და ქვაზე პირქვე დაეცა. მე თითქოს გავიგონე ყრუ ხმა, რისმა უხერხემალო ლიმმა რომ გაიღო დაცემისას. უცებ მოვბრუნდი და თავქუდმოგლეჯით შინისაკენ მოვკურცხლე.

როცა აქლოშინებულმა შინ შევირბინე, მამას ლანახვაზე შემდეგ ქისაღამ ფეხები მომეცელა. მამა დიდ მრგვალ ქვაზე მშვიდად იჯდა. ეს ქვა, რაც თავი მახსოვდა, აივანთან იდო. დრო-ჟამს ფერადფერი დაჰკლო მისთვის. ჩემი წინაპრებიც თურმე აქ სხდებოდნენ დასასვენებლად. ერთხელ ქვაზე მარტო მჯდომმა მამამ ასე მითხრა: „მოდი, ჩვენთან ჩამოჯექი". მე მივუგე: „შენ კიდევ თქვა, ჩემთანო?" მაგრამ მამამ გამიმეორა: „არა, ჩვენთან, ისინიც აქ სხედან".

მამა ღერო ღეჭავდა. მას გულდასმით შემოთვალიერებს, დაჟინებით და ღრმადმუნდა კი არა, გულდასმით, თან თვალებს მშვიდად ახამხამებდა.

— ისმა,— მშვიდად მომმართა ხაილერით ხახელით. ამჟამად მეძახდა ასე ჩემმა ბელლევებმ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, როცა მივხვდი, რომ ეს მხვრა და ალერსიანი მომართვა მისი დიდი სულიერი მღელვარების ნიშანი იყო.

— რაო? — შევეკითხე, თუმცა მივხვდი, არაფერს მეპასუხებოდა. შევცქეროდი მამის ტუჩებში მოძრავ ღეროს და ვგრძნობდი, სადაცაა ავღელდებოდი. მან ეს შეამჩნია, მაგრამ არაფერი მკითხა. რაიცასაც წამსვე დაიმსხვრეოდა ჩვენი უსიტყვო ურთიერთგაგება. მამამ არც მე დამამცირა და არც თავის თავს უღალატა. ორი-სამი წუთი, ვიდრე ასე მიყურებდა, ღერო თანაბრად ხტუნავდა მის მაგრად მოკუმულ პირში, ისევე თანაბრად, როგორც მოძრაობდნენ მისი ქუთუთოები. მერე ღერო უცებ გაშეშდა, მამამ თავი ასწია, ჯერ ცას შეხედა, შემდეგ ზღვას და ბოლოს ციხე-დარბაზის ნანგრევებს, საიდანაც ის-ის იყო გამოვიქეცი.

— წვიმა შეწყდა, — უბრალოდ თქვა მამამ.

— ჰო, — მივუგე.

— შენ ცოტა გძინა, — დაუმატა მან და ღერო კვლავ აამოძრავა, — მეტ ხანს უნდა გძინებოდა, მაგრამ ვერ შეძელი, ხომ? ახლა, ვერ შეძელი.

თითქოს ამ ულმობელმა და შეუდრეკელმა კაცმა იმ წუთას შეიგრძნო ჩვენი უბედურების მთელი სიმძიმე: თავი დახარა და ღერო გამოაგდო პირიდან, მერე სხვა გამხმარ ღეროს წაატანა ხელი, იქვე რომ იყო, მის ფეხებთან, მოგლიჯა და დინჯად მიიტანა პირთან, მაგრამ მისი ღეჭვა არ დაუწყია, თითქოს დაავიწყდაო, ბალახის ღერო უმოძრაოდ დაეკიდა ტუჩებზე. თითოეულაც თავი ასწია და გაშეშდა, გეგონებოდა, შორს რაღაცას ყურადღებით აკვირდებაო.

ეკლესიის ზარებმა დარეკეს, მრევლს დილის წირვაზე მოუხმეს. შვიდ დღეში ერთხელ მკაცრად და ზუსტად გამოზომილ თავისუფლების უბადრუკ საათებს ყოველთვის ზარების რეკვა გვამცნობდა ხოლმე. ვისაც ეკლესიის მსახურნი სჭირდა, ამ დღეს სიმშვიდის იმშობდა, ხოლო ვისთვისაც ყველაფერი სულ ერთი იყო, ზარების რეკვას მოიმინდობდნენ, ზარები მუშა ხალხს აცნობებდა, რომ ამ დღეს შეუძლიათ ხაზურად თუ ხახარატი ნარისებთან, ან ხამჭედლო ქურასთან რვა, ცხრა, ათი და თერთმეტი საათის განმავლობაში აღარ ეწამონ.

ვიდრე ზარები დარეკავდნენ, შემომესმა, როგორ მიაფრატუნებდა მეზია აიკანზე.

— მამა, — ჩუთხარი და თვალებში შევაჩერდი.

— რაო? — მკითხა მამამ.

— მე გავიგონე ანტონის სიტყვები. მას ლეიტენანტ ჯარხიახაისის ლეკუმბერის ჯრმის ამბავი უთქვამს.

ღერო მის ტუჩებში ოდნავ შეტოკდა.

— ახლა ვიცოდი, — მშვიდად წაიბუტბუტა და მივხვდი, რომ მართლაც წინასწარვე იცოდა.

— მოდა, ისინი... — განვაგრძე.

— კიდევ რა?

— მათ ჰგონიათ, რომ ჩვენ... ჩვენ ისინი გავთქვით, რადგან ჯერჯერობით [illegible] ჩვენი ნახშირი ვერ იპოვნეს. ისინი სახლს გადაგვიწვავენ.

ბიბლიოთეკა

— არა, ისმაელ, დღეს კვირაა, მათთვისაც წმინდა დღეა. დღეს ყველანი ისვენებენ. თანაც, — დაუმატა ოდნავი ღიმილით და ღერი პირის მარჯვენა კუთხეში გადაისროლა, — დღეს სხვა მიზეზითაც ვერ წაგვიკიდებენ ცეცხლს.

— რა მიზეზით?

— წვიმა იყო და სახლი დანესტიანდა.

უცბად წამოვხტი, სახლის კუთხეს მივეფარე და სახურავის ღარიდან მოვუთვლი ლობესთან გავიქცეოდი, სადაც არც ერთი ქათამი არ დასეირნობდა, რადგან იმ დღეს ქათმები არავის გაეხსნა და გალიის კარი ღაკეტილი იყო. მე ბებიას დავემალე. იგი შინიდან შავ მოსასხამში გახვეული გამოვიდა, თმაში ორი დიდი შავი სამაგრი ჰქონდა გარჭობილი, ხელთ გაზინზლული შავი ლოცვანი ეჭირა, თავისი საკვირაო ფეხსაცმელით მობაკუნებდა. იგი ქვაზე ჩამომჯდარ მამას მიუახლოვდა, პირბადე ოდნავ ასწია და შეეკითხა:

— სიმონ, სად არის ნახშირი?

რამდენიმე წამი გავიდა, ვიდრე მამამ მზერა ციხე-დარბაზის ნანგრევებს მოაშორა და ბებიას შეხედა. მამის პირისახე მშვიდი და უშფოთველი იყო.

— თქვენ, ბებია, უფლება გაქვთ იცოდეთ, — მიუგო მან. — ნახშირი ძველ გალიის ფიცვნარში დამალული. განა თქვენთვის არავის უთქვამს?

— მე პედროს შევეკითხე, მან კი... — წაიბუტბუტა და სატირლად მოემზადა, მაგრამ ზარების რეკვამ აიჩქარა, ამიტომ ცისფერი ცხვირსახოცით მხოლოდ ცხვირი მოიწმინდა და ისევ სახელოში შეინახა.

— ბერტა სად არის? — შეეკითხა მამა.

— წავიდა, წირვისათვის უნდა მოვემზადოთო, — მიუგო ბებიამ.

ბებიამ ირგვლივ მიმოიხედა. მაწისფერ პირისახეზე მკვეთრად უჩანდა აწითლებული თვალები.

— ისმაელი სად დაიკარგა? — იკითხა ბებიამ. ჩვეული სიანჩხლე არ შეეფერებოდა ახლა მის მწუხარე გამომეტყველებას.

მამას პასუხი კელოდი, თუმცა წინასწარ ვიცოდი, რასაც ეტყოდა. ამ საქმეში მამა არასოდეს ჩარეულა, მე მიტოვებდა უფლებას თავად გადამეწყვიტა, წავსულიყავი თუ არა საკვირაო წირვაზე. თვითონ არ დადიოდა წირვაზე და არც კამათი უყვარდა ამ საკითხზე.

სწორედ ჩემს ასაკში მისცა მამამ თავისი გზა. მამა ელოდა, მეც საკუთარ გზას მოვნახავდი ცხოვრებაში, ელოდა, მაგრამ ემინოდა კვლავ თილეის გამოცანებით იმ ოცნებებს, ფრთებს რომ გასხამდა ერთ დროს, და იმედგაცრუებული განიმსჭვალა საშინელი რწმენით, რასაც ვეღარავინ შეაცვლევინებს: ყველაფერი ეს მხოლოდ ბავშვებისა და დედაბრებისათვის არისო მოგონილი.

— სადღაც აქაა, — თქვა მამამ.

— ოჰ, ეს ბიჭი... — წაიბუტბუტა ბებიამ, თუმცა, ვიდრე თაღარიდან გავიდოდა და გზას დაადგებოდა, მოისწრო ჩილჩაპარაკუნა, — სიხეფი ჯერ კიდევ მასთანაა. გაქვავებულია ზის. მან მოთხრა, მან მიიძინა... — მაგრამ საიქმელი არ დაამთავრა, ჩუმად ამოიოხრა და ბილიკს გაუყვა.

მე სამალავიდან გამოვედი. მამა ციხე-დარბაზისკენ იყურებოდა; მეც იქით გავიხედე. ამ დროს ნანგრევებს ორი კარაბინერი მიუახლოვდა. მათ უკან ლეიტენანტი გარსია მიაბიჯებდა. სამივენი ნელა მიაბიჯებდნენ. თითქოს მათ განკარგულებაში მარადისობა იყო; ლეიტენანტი ძლივს მიუყვებოდა, მისი უზარმაზარი ღიპი სიარულის დროს თან ირხეოდა, დიდი ბერით გვეურჩებოდათ, ზრდილი ღიმილის პირისახეზე კეთილი გამომეტყველება აღბეჭდილიყო, თუმცა ქმედითი მოქმედება ვერაფერ უშველიდა. მან, როგორც იქნა, ციხე-დარბაზის ნანგრევებს მიაღწია. არავითარი ცერემონია არ მიუქცევიათ იქ მდგარი ორმოცდაათიოდე მაღაროელისათვის, ერთმანეთს რომ შეჰყურებდნენ ზურგით და ჩვენი სახლისაკენ შემობრუნდნენ. ლეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტენანტმაც ჩვენკენ მოიხედა. მამა დაინახა, მეც შემამჩნია, მაგრამ თითქოს არაფერი დაუნახოსო, თავი დახარა და ნაბიჯს აუჩქარა.

ჯერჯერობით განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუმცა ყველაფერი უჩვეულოდაც გასაგები იყო. მივხვდი, რომ მამამაც ეს გაიფიქრა, როცა წამოდგა და ღერო გამოაგდო პირიდან.

— წავიდეთ, — მითხრა მამამ.

მე მამას გავყევი ძროხების მოსაწველად. მამა ერთადერთ ჯორკოზე ჩამოჯდა, მე ჩავცუცქდი. ყრუდ ისმოდა რძის ჩხრიალი სათლში. მამამ მითხრა:

— დღეს კვირაა, საღამომდე ხელს არავინ შეგვიშლის. ვისაც პატრონებმა ნახშირის მეგროვეება უბრძანეს, დღესასწაულს პატივი უნდა სცეს. მარტო ჩვენ ვერ დავისვენებთ. ის უნდა დავცალოთ და ნახშირით ავავსოთ.

მან თავი ოდნავ გააქნია. ეს მოძრაობა მიხვედრილი ადამიანისათვის გასაგები უნდა ყოფილიყო, მე კი საგონებელში ჩავვარდი, ირგვლივ მიმოვიხედე, მინდოდა გამეგო, რა უნდა დაგვეცალა და ის წყეული ნახშირი სად დაგვეყარა, მაგრამ ვერაფერს მივხვდი. ჩემდა უნებურად აღმომხდა:

— რა უნდა დავცალოთ?

— ორმო.

მაინც ვერაფერი გავიგე. ეგება გავიფიქრე, ალბათ მენტერა ვარ-მეთქი, რადგან მამამ საჭიროდ არ ჩათვალა აეხსნა, მხოლოდ გაიმეორა:

— ორმო.

ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რაზეც იყო ლაპარაკი და თავი დავიმშვიდე, მთლად სულელი არა ვარ, ეგ არის, ცოტა გვიან ვხვდები-მეთქი ყველაფერს.

— ჩვენს ხელშია მთელი კვირა დღე. ნაკელი სულ უნდა ამოვზიდოთ, სხვა გამოსავალი არა გვაქვს. მართალია, სასუქს დავკარგავთ, სამაგიეროდ უფრო ძვირფას რამეს გადავინახავთ.

— კი მაგრამ... ისინი ციხე-დარბაზის ნანგრევებთან დგანან, ბოსლის კარი ხომ...

— კარს არ გავაღებთ. არც წელს მოვიწყვეტთ ნაკელის სათლებით ზიდვით ბოსტანში. ორმოდან ჭიშკრამდე მიწას გავთხრი, თხრილს ჭიშკრის ქვეშ გავიყვან ფერდობამდე. მთელი წუმპე ქვემოთ წავა და გუბეებს არ დააყენებს.

მას სათქმელი მოთავებული არ ჰქონდა, რომ უკვე ვიცოდი, იმ გეგმას განახორციელებდა. მამამ ალბათ ყველაფერი წინასწარ გაითვალისწინა, მან ხომ მთელი ღამე უძილოდ გაატარა; გაითვალისწინა, ვისაც გაუფრთხილდებოდა, ვისაც და გალეანც ფცხოვბი მიწე გამოიჩნდებოდა და გვაცნობებდა, კარაბინერები მოდიანო; ეგებ უფრო ადრეც, ვიდრე გაიგებდა, ნახშირით სავსე გემი კლდეებზე დაიმსხვრეოდა. ეტყობა, ეს აზრი დიდი ხანია მომწიფებულიყო მის გონებაში, ახლა კი თავისთავად ამოტივტივდა იმ დაუშრეტელი სიბრძნის მარაგიდან, რაც ყოველდღიურად არსებობისათვის მებრძოლ ადამიანს გააჩნია.

— მოწველე, — კვლავ შემახსენა მამამ, მაგრამ წავუყრუე. სათაური სიმშვიდე დამეუფლა ნახშირით სავსე იმ უზარმაზარი ურმის გახსენებისას, თავზარს რომ დასცემდა ადამიანს, იმ საშინელი ურჩხულის გახსენებისას, რომელიც ჩვენ კი არ გვემორჩილებოდა, არამედ ჩვენზე მბრძანებლობდა; მე კვლავ ჩანთქმას შემუქრებოდა საზარელი ღამე, ღამე, რომელიც თითქოს უკვე გადავიტანეთ და სამუდამოდ დავეხსნეთ. თუმცა მოგვიანებით, როცა მამამ სამზარეულოში სათლიდან ქოთნებში რძე გადაასხა და ნერეას უბრძანა, მეზობლებთან გაიტანე წაიღეო, დარჩენილი კი ახალგულებლად ქვაბში ჩაასხა, მივხვდი, ყველაფერი თავისი გზით მიდიოდა და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო; მამა მოვლენათა მსვლელობას ითვალისწინებდა და მზად იყო უსიამოვნება აერიდებინა. ყველაზე მეტად ხომ მაშინ ვჩხუბობდი, როცა მას ქვებს ვუხრიდი, მაგრამ მამაჩემზე ეს არ ითქმოდა, ყოველ ძველისძველი ახლა მაინც ხელები როდი უცახცახებდა, როცა რძეს სათლიდან ქოთნებში ასხამდა, მარიასაც ალუბლების ნიშანწყალიც არ ემჩნეოდა. ამიტომ, როცა ყოდაცის ყვირილმა, — უფრო სწორად გამყინავმა კივილმა, — ჩვენი სახლი შეაზანზარა, ყოველ თვალში გაბრაზება და ყველანი ერთმანეთს, მამა როდი დაბნეულა, რიაზნი ქვაბი ცეცხლზე შედგა და სამზარეულოდან აივანზე გავარდა. მე გავიფიქრე, ამ კივილმა ამბავთა მსვლელობა უნდა დაარღვიოს, უნდა გააფუჭოს ის, რაც ხაკედილმაც ვერ მოახერხა, ისევე როგორც კამხალმა უნდა შეაჩეროს ან თუნდაც კალაპოტი შეუცვალოს წყალს; მაგრამ თავში რომ შეყვდი, დედის

გვერდით მუხლებზე დაჩოქილი მამა დაეხმარა. ერთიანად მოკრუნჩხული დედა იატაკზე იჯდა: ცალი მხრით საწოლის კიდეს მიბჯენოდა, ხელში კი ზეწარი ჩაებღუჯა, რომელსაც ტკივილის დროს ჩაფრენოდა. მეც კიბიდან შევხედე, როცა ფეხმძიმის დაჩეჩქილი და დასისხლიანებული პერანგზე დავინახე. ერთმანეთს მიწებებული, მშრალი თმის კულულები შუბლზე ეყარა იისფერ ნიღაბზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 15. ხასინტო

სახლი გავწმინდე, პირველი მუშტრის მისაღებად მოვემზადე. უცებ კარი გაიღო, ზღურბლზე პედრო გამოჩნდა. იგი გაუბედავად მიყურებდა, მერე მორიდებით დახლისაკენ გამოემართა, ჩემგან ცოტა მოშორებით დადგა და იდაყვები დახლზე დააწყო. გუშინდელს შემდეგ თითქოს დაბერებულიყო. ძნელი როდია მიუხვდე, რისთვისაც მოვიდა.

— ოჰ, რა ღამე იყო, არა, პედრო? — ვეუბნები.

ეტყობა, რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ არ იცის, როგორ დაიწყოს.

— მომისმინე, ხასინტო, — თქვა ბოლოს, — ჩემს ანგარიშზე მხოლოდ ერთი ბოთლი რომ ჩაგეწერა...

— ვიცი, ვიცი, კარგად ნაცნობი ამბავია.

— გუშინ შაბათი იყო, ხელფასის დღე. მე ნახევარი ვალი დაგიბრუნე, შენ კი ერთი ბოთლი დამალევინე, — განაგრძო თავჩაღუნულმა, — ოთხი დურო განა ცოტაა? მთელი ოთხი დურო...

— ოთხი დურო ოთხი დუროა, მაგრამ მაინც ცოტაა, — ვუთხარი ახლა. მინდა სიმტკიცე გამოვიჩინო. მართალია რომ ითქვას, დიდი ვალი როდი აქვს, მაგრამ რომ არც კლებულობს! პირიქით, კვირიდან კვირამდე იზრდება. ჰოდა, თავი ჩემკენ მოაბრუნა და მის ლოყებზე, ცხვირსა და ტუჩებზე ნაფხაჭნები და ნაჭრილობევები დავინახე. ზედ სისხლი შეხმობია.

— სული ამომძვრება, დამეხმარე თუ არ მომცემ, ხასინტო, — თქვა ისევ, — მთელი ღამე არ მიძინია.

— მე რას მეჩივლები, შენ ვინ გითხრა, გინდა თუ არა ამ ქარიშხალში ლოკოკინა წაიღეო?

პედრომ ტუჩები მაგრად მოკუმა და დახლს ხელებით დაეჭიდა.

— ვინ, ვინ?! — შემომიბრუნდა და საშინაოსაკენ თავი ძლივს შეიკავა. — ვინ?

მერე ისევ თავისას განაგრძო:

— შენ რომ იცოდე, რა იყო!.. შენ რომ იცოდე, როგორ მინდა დალევა!

ჩემდა უნებურად დახლის ქვემოდან თეთრი ღვინით სავსე დოქი გამოვიღე და პედროს მივუჩოჩე.

— ეს ჩემს ხარჯზე იყოს, — ვუთხარი და ნახევარი ჭიქა დავუსხი.

პედრომ ჭიქა ხელიდან გამომგლიჯა.

— ამ დაწყევლილი ღამის შემდეგ ეს როგორ გამახარებს, — ამოიოხრა და ერთმოუთქმელად დასცალა ჭიქა, ერთი წვეთიც არ დატოვა მან.

— შენ ავადა ხარ, შენ წადი, — ვუთხარი, ის კი მიცქეროდა და ხარბად ტუჩებს აწკლაპუნებდა. — შენს სიძეს გადაეცი, თუ სიცოცხლე არ მოსწყინებია, ქუჩაში ნუ გამოვა.

— რა დაემართა ხამახამს? — იკითხა მან.

— შენც თუ მის მხარეზე ხარ, გირჩევნია ჩემს ტავერნაში ცხვირი არ შემოყო, — მაგრამ იგი არც ისმენს, მონუსხულივით შესცქერის ბოთლს.

უცნაური კაცია ეს პედრო. მუდამ თავისი საქმეებითაა დატვირთული. ან არ სვამს, ან დრო არა აქვს ტავერნაში შემოსვლისა, მეგობრებთან ილაყბოს, მამაჩემის მსგავსად ყელი თეთრი ღვინით გაისველოს. იმიტომ კი არ მეჯავრება, რომ ჩემი მუშტარი არ არის, არც იმისათვის, რომ არ გვკადრულობს. მეტისმეტად ამაყია და იმიტომ; მას საერთოდ მეგობრები არა ჰყავს. არც ძმასთან ეგულება. ჩვენ ჩვენი ჩვეულება გვაქვს — თუ გსურს მეგობარი იყოლიო, სმაც უნდა შეგეძლოს. ახლა კი თავისი სოფლელების ზურგს უკან როგორი საქმე მოიკვარახჭინა! ეს მოსალოდნელი იყო ისეთი ადამიანისაგან, ვინც სხვებს გაურბის, თითქოს მუნიანები იყვნენ...

— კეტს შემოვკრავ და თაროებზე ჩამწკრივებულ ბოთლებს დავამტვრევ, — მეუბნება პედრო, ჩაიბურტყუნა, მიდის გასასვლელისკენ და პირს სახელოთი იწმენდს.

## 46. ნერბა

მაღლა, კნუტუნთან ყოფავი, როცა ღელის კივილი შემომესმა. კნუტებს მხოლოდ მე და მო-ოქის წველი რძე არ მიმიცია. მამა და ისმაილი ჯერ კიდევ ძროხებს წველიდნენ... ვერ მოითმენს. ამ ნახშირმა ყველა გააგიჟა, ამ შავმა, ხანძარმა ქვებმა, ... აწუხებს, ჩვენები კი ამბობენ, ამ ქვების გარეშე ვერ ვიცხოვრებთო. ზაფხულობით კი, როცა ჩვენი სახლის ირგვლივ მინდვრებში ლამაზი ყვავილები ჰყვავიან, ფეხით თელავენ; ნახშირისათვის თავს იკლავენ, ყვავილებს კი ზედაც არ უყურებენ.

კივილით შეშინებული სტკენიდან ჩამოვედი და პატარა ოთახისაკენ წავედი. მამა იქ იყო, ცდილობდა იატაკზე გაშხლართული დედა აეყენებინა, ისმაილიც ეხმარებოდა. დედა ორივე ხელით ხეწარს ჩაფრენოდა, ფურმანს რომ ეხურა; ისე უშნოდ ჩაფრენოდა, რომ მამამ ვერ მოახერხა ხეწარი თითებიდან გამოეგლიჯა. მერე დედა წამოდგა, ერთხანს ფეხზე იდგა, თითქოს თავის ჭკუაზე ვერ იყო: სახლები ულმობლად ჩამოექცია, უაზრო თვალებით იყუ-რებოდა. მამამ ფურმანს ფრთხილად გადააფარა ხეწარი.

— წამოდი, — უთხრა დედას მამამ და მხრებზე ხელი მოხვია. დედა ნელა მოტრიალდა, ისე ნელა, რომ შიშმა ამიტანა. მან ხელის კვრით მოიშორა მამა. მამას ხელზე დედის ფრჩხილების კვალი ამჩნევია, ისეთი ღრმა, გეგონება, სისხლი წამოუვა თქრიალითო.

— ძროხები მოწველეთ? — იკითხა დედამ, ყველას თვალი აევარიდა და სახეზე ჩამოყრი-ლი შავი თმა უკან გადაიყარა.

— კი, — უპასუხა ისმაილმა.

მამა დედას შესცქეროდა, დაჟინებით შესცქეროდა, თითქოს რაღაცას ელოდება.

— ცხელი რძე უნდა დალიოთ, — თქვა დედამ, ადგილიდან კი არ იძვრის, არც თავს აბრუნებს, არავის არ უყურებს, — ნამცხვარს გამოვაცხობთ, დღეს ხომ კვირაა.

ახლა ისმაილი შეჰყურებს დედას შიშით.

ზღურბლთან კოხმე დგას, ალბათ დიდი ხანია აქ დგას როცა ... ...ა ... გ..., მას ეძინა. ალბათ მასაც კივილი მოესმა. მთლად კანკალებს. ... ... ... ... და სამინაო შარვალი აცვია.

— შენ აუცილებლად უნდა დაიძინო, — უთხრა კოხმემ დედას და მოუქნელი ... მიუახლოვდა. — დაწექი და არაფერზე არ იფიქრო. რაც არის, არის.

დედამ ყური არ ათხოვა, ფანჯრისაკენ გაემართა.

— ... — თქვა მან რაღაცნაირი უცხო ხმით, — წვიმამაც გადაიღო. ხომ ხედავთ? წვიმამ გადაიღო.

— დედა... — შეხვდა კოხმე და უკან მიჰყვა. მაგრამ დედა მობრუნდა; კოხმეს ... აუქცია, ყველას გვერდი აუვლია, ფურმანსაც კი არ შეხედა და ნელა გავიდა ოთახიდან.

მამა და ისმაილიც გავიდნენ. კოხმე ფურმანის ხელი ტანსაცმლისაკენ წავიდა, რაღაცას დაუწყო შიგ ძებნა. მერე ლამაზის რაღაცა ... და ფურმანს, მკერდზე მიაწვინა. მაშინ კი დავინახე, რომ მელანი იყო. კოხმემ კვლავ ხეწარი წააფარა ფურმანს. ფურმანს ალბათ ძალიან გაეხარდებოდა, თავისი მელანი რომ ენახა.

## 47. ბებია

— როგორაა ხოხელა, ბებია? — შეეკითხა მერტა, როცა ... შევედით.

თავდაპირველად არაფერი გვიპასუხა. რა უნდა მეპასუხა, როცა ... ჩემს ... დროს წარვაზე წავიდეთ-მეთქი, მიმიგო: რაც ღმერთს ეს დამმართა, იმის შემდეგ როგორღა წავიდე და ვილოცოო.

— მისი წმინდა ნებაა... მისი წმინდა ნებაა, — გაგაწყვეტინე მაშინვე.

— ... მისი წმინდა ნებაა, — წაიდუდღუნა მან, — ... ... : რაც მან დამმართა, როგორღა ვილოცო-მეთქი.

... ... ... ... ... ... ... ახლა, როცა მერტამ მეორედ ჰკითხა, ხოხელა როგორ არისო, გვიპასუხე:

— მიცვალებულს არ შორდება.

## XI

იმ ხანუშმიდან მეხსიერებაში მხოლოდ ის შემომრჩა, თუ რა მოუხერხებლად და [illegible] ტრიალებდა დედა სუფრასა და ღუმელს შუა. ხან რძეს გადმოდგამდა, მაშინ [illegible] ცეცხლზე და აადუღა, ხანაც ნამცხვარს, რის გამოცხობასაც ჩვეულებრივ და გამოაცხო კიდეც. მხოლოდ მე და ნერეამ გავბედეთ ნამცხვრის ჭამა; ნერეა ჯერ კიდევ პატარაა, არ ესმის, რა ხდება ირგვლივ, მე კი კარგა მშიერი ვიყავი. ორი თუ სამი ნაჭერი რომ გადავსანსლე, უცებ თავში გამიელვა, დედა ხომ არ დაეცინის-მეთქი, მაგრამ მაშინვე მოვიშორე ეს სულელური ფიქრი, დედის მკაცრი და ჩაფიქრებული სახე რომ დავინახე. თითქოს უცებ განმსჭვალა იგი გაცნობიერებული დედური პასუხისმგებლობით, უფრო მეტიც, მის არსებაში თითქოს შთამომავლობის გადარჩენის პირველყოფილმა ინსტინქტმა გაიღვიძა, როცა ძუ მგელი შეუპოვრად, თავდაუზოგავად იბრძვის ბუნაგში გადამალული შვილების გულისათვის, თუნდაც რომ სიცოცხლის ფასად დაუჯდეს ეს ბრძოლა. მხოლოდ ერთხელ გვკითხა, კიდევ ხომ არაფერი გინდათო, მერე კი მამას მსგავსი რამ უთხრა:

— ცხოვრებაში ყველაფერი უნდა აიტანო, სიკვდილსაც კი არ შეეპუო, თუმცა სიცოცხლისათვის ბრძოლა იმას არ ნიშნავს, თავაუღებლად იშრომო, სხვა ყველაფერზე კი თვალები დახუჭო: არ შეიძლება მთელი შენი ზრუნვა, იმედი, ძალა შრომაში ჩადო. მხოლოდ ცხოვრების ღრმა ცოდნა გვმატებს სიმამაცესა და გამძლეობას, გვასწავლის, როგორ ვიბრძოლოთ საკუთარი თავის გადასარჩენად. ჩვენ, საუბედუროდ, ხშირად ბრმად ვმოქმედებთ და უმთავრესს არ ვიცნობთ, ღირს თუ არა საქმის ბოლომდე მიყვანა, რადგან მივეჩვიეთ, რომ ყოველივეს ბოლო წინასწარ არის ღვთის მიერ განსაზღვრული. საჭიროა ბრძოლა, უნდა ვირწმუნოთ, რომ ყველაფერი მხოლოდ ჩვენზე და ჩვენს გონივრულ მოქმედებაზეა დამოკიდებული...

დედის ნათქვამი მაშინ ჩემთვის ვრცელი და დაუჯერებელი რამე იყო.

მაგრამ მამამ, როგორც ჩანს, მაშინვე გაიგო. ვიდრე სუფრიდან ადგებოდა, ცნობისმოყვარეობით დიდხანს შესცქეროდა დედას, გაოცებულიც იყო და აღტაცებულიც, პირთან მიტანილი პურის ნატეხი ხელში გაუშეშდა. მერე წამოდგა და დედას მიუახლოვდა, და აი, მაშინ საკუთარი თვალით ვიხილე ის, რაც მანამდე ჩვენს სახლში არასოდეს მომხდარა. მამამ თავი დახარა და დედას ლოყაზე აკოცა. დედა შეკრთა, რადგან ეს მართლა სასწაული იყო. იმ მხარეში, სადაც მე ვცხოვრობ, ქმარი ხალხში ცოლს არასოდეს კოცნის, ყოველგვარი სინაზის გამომჟღავნებისა რცხვენიათ. ალბათ თანშეყოლილია მამა-პაპათაგან შთამომავლობით გადმოცემული ადათები.

დედამ თავი მოაბრუნა ტუჩის წმენდით, ჩვენკენ მიაპყრო და უთხრა:

— შენ ხომ არ გჯერა, შრომით რამეს მიაღწევ, და მაინც იბრძვი, თითქოს გჯეროდეს, არა?

— არ ვიცი, — მიუგო მამამ, — ამაზე არასოდეს მიფიქრია. ზოგჯერ მგონია, მე მხოლოდ იმიტომ ვიბრძვი, რომ არ შემიძლია არ ვიბრძოლო. ჩემთვის მნიშვნელოვანი და შრომა სასიამოვნოა, მომავლის განჭვრეტა ჩემი ჭკუის საქმე არ არის. მე, რასაკვირველია, ვერ მესმის, განა სხვაგვარად შეიძლება, თუკი შენ ცოცხალი არსება ხარ?

— და ცხოვრებასა და შრომას ძველებურად აგრძელებ?

— ვაგრძელებ.

— როდემდე? თქვი, როდემდე?

— არ ვიცი... — მიუგო მამამ ნაზად. მხოლოდ დედას ეკუთვნოდა მისი სიტყვები, — შენ ჩემზე ძლიერი ხარ, რადგან ღმერთის წინააღმდეგ აღსდექი, ვისიც დღემდე გწამდა... მე მხოლოდ სიცოცხლისათვის ვიბრძვი...

— იბრძვი თავგამოდებით, არაფერს ყურადღებას არ აქცევ და არც რაიმეს მაინც ელოდები. მაგრამ სწორედ ეს თვისება მიყვარს შენში მუდამ. თუმცა ვიცი, ჩვენ სხვადასხვანაირად ვფიქრობთ და ერთი გზით კი მივაბიჯებთ.

— შენ გინდა თქვა...

— მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ერთად მივაბიჯებთ.

— მაშინ ერთი უნდა იცოდე: მე, მე ვიბრძვი, როგორც შენ ამბობ, თავგამოდებით, ვერ ვდიდებ თავს ყურადღებას, სწორედ იმიტომ, რომ არ ვიფიქრო, ეჭვისა და ყოყმანის მიზეზი არ ვეძებო. არ მსურს იმაზე ვიფიქრო, რაც ჩემს თავსა და ჩემს შრომას შემამცირებს.

აქ საუბარი შეწყდა. მამამ ღრმად ამოიოხრა, მითხრა, წავიდეთო, და დიდი ნაბიჯებით ბოსლისკენ გაეშურა. მივიხედე, უკან ხომ არავინ მოგვყვება-მეთქი. მაგრამ არა, ირგვლივ სიჩუმე იდგა. მამამ მძიმე კარი გამოაღო და ბოსელი ცოტათი განათდა. მთელი ორი წუთი ბარს ურტყამდა მაგარ მიწას, ჩვენი მრავალრიცხოვანი წინაპრების ფეხით დატკეპნილს. ამ დროს უცებ კოსმე დავინახე, შავი ქურთუკი, ველვეტის შარვალი და მონადირის ფეხსაცმელი ეცვა, საგაზნე წელზე შემოერტყა, ხელში თოფი ეჭირა; ისე მხურვალედ [illegible] გვეგონებოდათ, მისრიალებდა. საკმარისი იყო, ჩვენი სახლის კუთხეს მიეფარებოდა, [illegible] უზარმაზარი ასპარეზი გადაშლილიყო სანადიროდ. ჭიშკარს რომ ჩაუარა, თავი არც კი მოუბრუნებია ჩვენკენ, თუმცა ბარის ხათქახუთქი ესმოდა და, რასაკვირველია, არც მამის სიტყვების დავიწყება შეეძლო, საუზმის დროს რომ უთქვა. მამამ მაშინ აგვიხსნა, ცოტა კიდევ უნდა გავეშურეთ, თუ გვინდა ლეკუმბერის ურემი დროზე დავაბრუნოთ და, თუნდაც ერთხელ, ლეიტენანტს აჯობო გავუფრინდეთო, ორშაბათს რომ გვეხტუმრება და მოხუცი ანტონის ნათქვამს შეამოწმებსო. ხმენა დავმაბე, მანდოლა მისი თოფის ხმა გაიგო, „აიას" ბარდელი ბათქი. მაგრამ სიჩუმე არაფერს დაურღვევია. თხუთმეტი-ოციოდე წუთის შემდეგ მამამ მიწას გათხრა დაამთავრა. ამ თხრილით უნდა გაეკვლია გზა ნაკვლის წუმპეს და მიწაში შეწოვილიყო, როცა ყველაფერი მზად იყო, ცარიელი სათლების ჩათვლით, მამამ კარი მიხურა, რომ არავის დაენახა, რას ვაკეთებდით. ცისე-ღარიბაზის ნანგრევებთან შურისძიების სურვილით ანთებული სოფლელები ჯერ კიდევ არ დაშლილიყვნენ, ყაჟანებდნენ, ქუხლებით მიწას ტკეპნიდნენ, ხშირ-ხშირად იცქირებოდნენ ჩვენი ბოსლისკენ.

არც გაგვიგია, როგორ შემოვიდა კოსმე. ბოსელში ბინდბუნდი იდგა, თუმცა საგნების გარჩევა შეიძლებოდა. კარი რომ მივხურეთ, თვალი სიბნელეს შევაჩვიე და ნელ-ნელა გავარჩიე თხრილის ფსკერიც და ორმოს შავი ზედაპირიც; ჩვენი საქმისათვის მეტი არც იყო საჭირო. მე და მამა თხრილის აქეთ-იქით ვიდექით.

— მთელი დღე მოგვიწიდებით ამას,— გვითხრა კოსმემ. მას მოეხწრო თავისი სამუშაო ტანსაცმლის ჩაცმა. ახლა კი მივხვდი, რატომ არ გაისმა ამ წყნარ ჭვრთა დილეს გასროლა. კოსმემ გადაწყვიტა დაბრუნებულიყო. მისი სანადიროდ თითქო ლირსი იყო უკეთესი ბედი ღირსეულეობისა, ვიდრე შავაზარა ბათქი იქნებოდა.

თავდაპირველად კოსმემ ჩემი ადგილი დაიკავა, მერე კი მამაც შეცვალა. სათლმა ნაკელის ქერქი გახია და ყურამდე ჩაეშვა ორმოში. ბოსელში მძიმე, გულისამრევი სუნი დატრიალდა, ჩვენთვის იმთავითვე ეული სუნი იდგა, როცა ძინლენისში სახუქი გავეფინდა, სუნი ბოსლისა და სახლის ქვებშიც და ირგვლივაც მიედებოდა ხოლმე ასიოდე მეტრის მანძილზე. მაგრამ ახლა კარდახურულ ბოსელში ვიყავით და სიმყრალე შიგ ტრიალებდა. სათლები თანაბრად ადიოდ-ჩადიოდა ორმოში, ჩვენები მარდად და ზუსტად მუშაობდნენ. ასეთ სამუშაოს შეჩვეულნი ვიყავით: ყოველი თვის ორ დღეს ყველანი წელს ვიწყვეტდით ნაკელის ზიდვით.

გავიდა სამი წუთი. მიმშვენიერდა ამის ცდა, როცაც ძალუმოდ კოსმე, გამომცდელი და მივუახლოვდი. ეგა წყვილიც არ შეხებოდა, ორმოდან სათლი სათლზე ამოაქონდა, მხოლოდ ეს გადმოიღიმა ჩამარისკა პასუხად:

— წადი და ნახე, პირენეებში სამხრეთისკენ კიდევ მიფრინავენ თუ არა.

48. პედრო

როცა ნუადარის კვლავ მათიან მივედი, ხოსემ მითხრა, კაცები ბოსელში მუშაობენო.

აგერ, ისინიც, ბოსელში არიან, შემდილდებიდით წელმა-ფეხზე სათლების ატრიალებენ, ისეთ სიმყრალეში მუშაობენ, იძულებული ვარ ორივე ხელი მივიფარო ცხვირზე. ბოლო კი მათ ისე მიშტერებია, თითქოს ამ გააფთრებულ სიჩქარესა და მწყობრ მოძრაობას გაუპრუებიათ. სიმონმა დამინახა და მკითხა:

— აბა, რა ისმის?

— ამბობენ, რომ ჩვენ ისინი გავასულელეთ,— პირდაპირ ვეუბნები, სულ ერთია, სიმონს ვერაფრით ვერ დავმალავ.

გავიდა ყრუთი წუთი, მეორე. ალბათ სიტყვასაც არ იტყვის, მაგრამ უცებ თქვა:

— გაუშვა, ეს მოიქცეოდნ. იმის გაგება არ უნდათ, რომ მათ უბრალოდ მეტი არ გა-
უძლიათ.

და კვლავ ოთახში დასცალა სითლე. მიჯნ ყვითხე, რას აკეთებდი-მეთქი, [illegible].

— კიდევ ერთი დღე და კიდევ ერთი ღამე? — დაუყვირდა [illegible], — სულ ერთია, [illegible] გამოვა. ლეიტენანტმა ხომ...

სიბნელეს უკვე შევეჩვიე და სახეზე თვალები [illegible] თვალთ [illegible]-რებს, თითქოს არ ესმოდეს, რას ვეუბნები.

— რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს [illegible], — [illegible], — [illegible] და ბოლოს ყველანს როგორღა დახოცავენ?

პასუხი არავინ გამცა, არც სახემ, არც სხეულმა. სახეს თითქოს განძრევაც არ სჭირ-დება, ისე ემორჩილება ყველა მის ნებას. **უნდა ნახოთ, რა თავგამოდებითა და გაფთრებით** მუშაობს. მე, მისი სიმშვიდე შეუშფოთებელია, მიხედავს ყველაფერს თვალით. ერთხანს უყურებ და მერე შენც დამყვები, ისევე როგორც ჩემი ნაითრევს ხოლმე ირგვლივ ყველაფერს ჩა-მორჩენილს.

[illegible]

კეთილი, ახლა გზა არ არის; [illegible] ცან სითლე [illegible] მაინც ვერ გამოყოფს სულებს, თითქოს ერთმა მეჩხერმა რომ [illegible]. მაგრამ თითქო ხომ ვარსა, იგი იქით, ზანდუკში, მე მაცვდას და [illegible]. მაშინ შემიძლია თვალი მევადევნო და მივეფერო, როგორც ქალს. ეს ყველაფერი რომ დამთავრდე-ბა, წავალთ ძილში. წავალთ მხოლოდ ორნი: მე და თითი. და მე [illegible] აღარ ვიქნები. არა, მე ძლიერი ვიქნები, როგორც [illegible] ან ბრჭყალებში [illegible] ლენი ტყიური.

ახლა კი ის საქმე უნდა მოვათავოთ, რისთვისაც [illegible] ნახშირი [illegible]-ნინოთ, [illegible], [illegible] კვირა დღე, თუმცა [illegible] დღეს [illegible]. თითქო კვლავ ბუდეშია. მე მხოლოდ [illegible] ხელში [illegible], როცა [illegible] [illegible], როცა მამა [illegible] და [illegible]. [illegible] ნაშუადღევს [illegible] და [illegible] წყალი და [illegible] კვლავ [illegible], [illegible] გამოვიდოდა. [illegible] ორმოში [illegible], [illegible], ნაკელი [illegible] დარჩა და თქვა: „[illegible] მერე ამოვცხადავს“.

— [illegible] რას შვრები? — ჰკითხა ლედიმ [illegible], ჩვენ კი [illegible] მივყვებოდით.

— ურმის ქვეშ იყვნენ, ძალიან [illegible], [illegible] შეჭამეს, — უთხრა ბიჭმა. ჩვენ ქვემოდან [illegible], [illegible] [illegible] [illegible] არაფერი უჭამია.

— [illegible] აქ უნდა [illegible], — თქვა ლედიმ, — მერე [illegible].

— არ [illegible], მაინცდა [illegible] [illegible], თითქოს ვერ [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და წაიღო. [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] ორმოში [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] მასა [illegible]. მამამ [illegible] [illegible] და ორმოში კი არ ჩას-ძა, [illegible], [illegible] ნაკელი [illegible] და [illegible]. ნაკელი [illegible] [illegible] მთელს [illegible]-ქის [illegible] [illegible] [illegible], ხვნაც კი [illegible] აქვს.

სითლე [illegible] [illegible], არ [illegible]. [illegible] და [illegible], მისი [illegible] ერთ ხელში [illegible] სითლე [illegible], [illegible] ნაკელში [illegible] ორმოდან [illegible], [illegible], [illegible]. [illegible] მე [illegible] [illegible] ამოათრია და დააკეთდა.

— [illegible], — თქვა ცოტა ხნის შემდეგ და [illegible] [illegible] [illegible], [illegible]

სოხანეზე ტყავანს მოადენდა, მაღლა აიწევდა და ჰაერში რკალს შემოხაზავდა, გვეგონება, გადა-ცხლდება და ოთხ ფეხზე უნდა დაეცესო.

ნერია უცებ კარისკენ გაიქცა, მის წინ მუხლებზე დაეცა და, ვიდრე მის მუხლებს მოეახწრებდით, კატა ორივე ხელით გულში ჩაიხუტა, პირისახეზე კი ენით [illegible] აეცმჭდა. მერე მისგან გაიჭრა კივილ-კივილით.

— ფურმანი მოკვდა! ფურმანი მოკვდა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## XII

ვახშმის შემდეგ მამამ და კოსმემ ხარები წაიყვანეს და ურემს მიაბმიანად წაათრიეს დაღამდა. ორი საათის შემდეგ ურემი მოათრიეს, ურემს ახლაც ორი ხარი ჰყავდა. ბრუნო მათთან არ იყო.

გავიფიქრე: ერთ დღეს ჩემი ბრუნოც გახუნდება, როგორც ამ ცერი დღეს. თანდათანობით მეჩვეოდა მეთქვა, ჯერ მხოლოდ დილის ცხრა საათი-მეთქი, ცხრა-ლარიბაზის ნავერ-ვებთან ისევ ირეოდა ხალხი და მოზუცა ანტონის კულდრიძე ხარყუებს ისმენდნენ. შემდგომ ამბები ისე სწრაფად განვითარდა, დროზე ყოველგვარ წარმოდგენას დაეკარგა. ამბები კი ცოტა როდი მოხდა: უბირველეს ყოვლისა ხავზზე მამისა და დედის ხაუბარი, მოთელში ძროხების ხალვოშის გაწყვეტა, ჩალის გამოლევა, ორი დუღეში ქათმისა და ამდენივე მოც-ყვრის მოკვლა, ბოლოს ნერიას სამინელი კივილი, მკერდში ჩახუტებული მკვდარი კატა და ბავშვზე დედის კალთაში მისი თავმოყოფილებული ტირილი. ახლანა ამზავი რა დროში ჩა-ეტიოდა.

ნახშირით ხავზე ურემი უკვე მის იყო, დიდი ხიფრთხილით გამოყვლო მძიმე გზა, ვინა-იდან ახლა ჩვენი მტრები არა მარტო კარაბინერები არამედ ფაშისტებიც, თავისთა მარცხის გამო განაღვიძებული ხალხი ჩვენ ურემს ვაქტიურად ვეძებდა. ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი ნახშირი ჯერ კიდევ ხიდის ორიგინალურ გზაზე მოძრაობდა. ყველას ეგონა, ლეიტენანტის ნებართვით ნახშირი დიდი ხნის წინ მოვიტანეთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით თითქოს ისე მოველაპარაკეთ: „მთელი ხანი თავზე ქალაქში გამოვით, იქ თავზე წაათ-ყებით ცეცხლს და ნახშირს წავართმევთ, მაგრამ ხელი არ ახლოთ იმ ხიდ ტონა ნახშირს. ჩვენს ურემზე რომ იქნება". ახლა თითქოს არც ყოფილა გახუნდა ცერი დღე, ბავშვი დამე გაუთენებელ წინა ღამიდან ამოდებოდა, მის პირდაპირ ვაგონებიდან წარმოიდგინეთ.

საოცრად ზორზინა, მოუქნელი უზარმაზარი ურემი თითქოს მასხრად აგიგდებდა, რადგან გაჰქონდა ყველა დაბრკოლების არიდებით დაუსხლტებოდა ხელიდან. და აი, მან ერთი საღამოს დაიჭრიალა, მოტლის კართან შედგა და მაშინვე ნაკვლის წუმპით გადეფინოდა მიწაში ნაყოფი. მის მდინარე და მე გავექანეთ, რომ ურემი ჩამოგვეწია და კარი გავე-ღო. ნერია ღამის თერთმეტ საათზე დაწვა, ორი საათი იყო უკვე რაც ეძინა. დედაც ჯდომ-ლოდინზე მიაყუდა ზოხვლში და ორი დღარეს ახლოთ: მათი გაწყობა ურემის მოლოდინში მოსულიყო. მამამ ის ის იყო გვითხრა, ურემი მოედანში შეიყვანეთ, რომ უკვე ღამის სამზე მისვლა, მხრებზე მოხვეული შალის თავზე მოხვევით და დაიყვირა.

— ბრუნო სად არის? — შეეკითხა მამას არამეგობრულად მეგობრის ხმით.

— ჩვენ იგი არ გვინახავს... — მიუგო კოსმემ, თან ცას მიშტერებოდა, თითქოს რაღაცას უსმენდაო ყურს.

— ნუთუ, ბრუნო ურემთან არ იყო?

— არა.

იმიან მივხვდი, მამა და კოსმე გალეშებული ანდა აფორიაქებული რატომ არ ჩანდნენ. ისინი უკვე მოიფიქრებდნენ იმ ამბავს, რასაც ახლა მას ეტყოდნენ, ოღონდ მე უნდა შევეწინააღ-მდეგო: ჩვენ არ უნდა დავუმტკიცოთ, რომ ბრუნო გვიგონია ქალაქიდან გამოიქცა უკვე. ნამდვილად ჩვენც ვიცოდით ახლავე გამოჩნდება, ხურდაფლებზე მოვიდნენ, მაგრამ ჩვენ მიო-ლოდ ხურა-წუწუნის უკვე დაკარგა, ძილ-ღვიძილ ჩვენ დაგვეძინა და დაწყნარებულნი ხელში ბიოლოგიურ მოგვეცემოდა. მას კი, ბრუნოს, ეხლაც ყაზარმიდან გაქცეულს ქუჩაში დაუჭერენად უყურებდნენ ხიხლის გადმოსახედავს წინააღმდეგობა არ ექნება. ამიტომ ჩვენ ბევრი მისა-ხედავი იყო, სოკი გაწყვეტა ბრუნო.

მამამ სარკმლის მოხედვის შემდეგ დარბეულებული ურემის კარში ვერ გაეტიოდა, მაღლა დაწყობილი ტომრები უნდა ჩამოეყარათ, ამიტომ ურემზე ისე მოიკავეს და სწრაფად აიღეს,

კაცი ვერ იფიქრებდა, რომ მთელი დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ სამი საათი ეძინა.

ტომრები ზოხელში შეკაირილი და ორმოსთან დაწყობილი, მამამ სახრე მოუქნია ხარებს და ზურგი ორმოსაკენ აქცევინა, მერე ძია პედროსთან ერთად ურმის ჭალებსა ... შეუდგა...

ნახშირი ქრუდ ჩაჩხრიალდა ორმოში და ფსკერი თანაბრად დაფარა. ... ნახშირის ნატეხები კი არა, მაგრამ ნაფლეთი მოხვდა ორმოში მაგა მთა ... თქვა:

— დაიცა, ლეკუმბერისაც ხომ უნდა დავუტოვოთ.

ამიხთვის ჭალებას ჩასძა მოეხახლა თავის ადგილზე.

— კოფო ნახშირისაგან გაწმინდე, — უთხრა ძია პედრომ მამას და თვითონ ქალავ ზურგით დადგა ორმოსაკენ, მაგრამ ახლა ფეხიც რომ დაისველებოდა, ხამაში აღარ იყო — ორმო თითქმის გავსებულიყო.

ჭალები დაამაგრეს და კოსმემ ნახშირი მთელ ბარაზე გაასწორა. მამამ მთხოვა მისი დასაკეცი ხანჯალი მომეტანა, ნაჩნის სახელურზე ერთი მეტრი გადაზომა და ჭდე ამოჭრა, მერე ნიჩაბს ჯდეყრდნო და ქოლს გადაეკლო თავზე. გავიგონე, როგორ ახრამუნდა ნახშირი მის ფეხქვეშ. ნიჩბის წკარუნიც მესმოდა, როცა ბარას გაეხახუნებოდა ხოლმე.

— მეტრი, ორმოდან ნახშირი ამოყარე, — უთხრა მამამ. ძია პედრომ მთინდოშა კოსმეხათვის ნიჩაბი გამოერთმია, მაგრამ კოსმემ არ დაიშვა. მართლაც, ფეხის ერთი დაკვრით გადაეკლო ურმის ჭალს, ორმოში ჩახტა (როგორ არ უნდა გამხსენებოდა აქ კინოსურათი „სამი მუშკეტერი")*. ძლივრად შეიძლება ითქვას, მოხდენილად იქნევდა ნიჩაბს და ნახშირს კვლავ ურემში ყრიდა, ვიდრე მამამ არ ჩასძახა, გეყოფაო.

— ნეტა რას ამაჩვენებდა ეგ თავხედი ლეკუმბერი, — წაიბუზღუნა ძია პედრომ.

### 50. პედრო

შემთვის გაუგებარია, სახლში, სადაც ცხოვრობს სამი... ორი მამაკაცი, რძიანა და წყლის გარდა სხვა საჭმელი არ იყოს. ვიდრე ანანი ფუნას ორმოდან ხამავლნენ, ხოლო სადილის შემდეგ ბიჭაა და გოგოს ეძინათ, დედაჩემი და ჩემი და კი სამზარეულოში ფუსფუსებდნენ უსიტყვოდ, მთელი სახლი გადაქოთეს, იქნებ სადმე წაგაწყდე-მეთქი სადმე. დღეს რატომღაც სადილზე ღვინო არ დაულევიათ, არ ქაცი, გადაავიწყდათ თუ რა მოუვიდათ, თითქოს ამ წყეულ ნახშირით ხიქეე ურემზე მიამენლდოვანი არაფერი იყოს ქვეყნად, ვეძებე და ვერაფერი ვიპოვე. სამზარეულოში შემოფრინდა მოგახსენოთ. როცა მარტო დავრჩი, კარადაშიც მოვიფათურე ხელი, მაგრამ არც იქ იყო რამე. მან შემდეგ, რაც სამასხა ზოილი ხელიდან ვამოვგლიჯე, მხოლოდ ერთი ჭიქა დავლიე, სასინტომ რომ გამოამეტა...

კოსმემ ნახშირის ამოყრა შეწყვიტა. ახლა ტომრებს ნახშირით ავსებ ორმოში მუხლამდე რიგრიგად ვალაგებთ. მუშაობა დავამთავრეთ. ორმოს შევხედე, ხვენ წინ თითქოს ბლეკის რომელიღაც უჩარმაზარი ოჯახის ქილანი ტყვეთ იყო გაფენილი.

ბოლოს და ბოლოს მაგხვდა, საბასს რაც განუზრახავს: ნაცელი ავქრიალებს, არც ხველს, მაგრამ არც ძალიან გამომშრალს, საილიონ მაძქის და ტომრებს ზემოდან ავრის კარგ ნაჩხით ეხმარება. ტომრები ნაცელის თხელი ფენით იფარება. კაცს ეგონება, ნაცელის ორმოს ზემოდან ქერქი გადაუკრავთო. ამის გულისათვის მართლა ლირდა მთელი კვირა დღე ვეემუშავა, სამეცილად ლოცდო, თუმცა საბასი რომ არა, ვერც ერთი ამას ვერ მოვიფიქრებდით.

— ჩქარა მირჩებიო? — იკითხა ხოსეფამ.

— ერთი სული გვაქვს თავიდან მოვიშოროთ ეს ამბავი, — თქვა კოსმემ, კართან მივიდა და ურდული გვერდზე გასწია.

როგორც კი ჭიშკარი გაიღო, ვალაცამ უხუმრად ჩამაარა და ბოსლიდან გავარდა.

— ისმაელ... — მესმის დის ხმა. მან გაქცეული იცნო.

— თავი დაანებე, — უთხრა ხაბანამ, — სადილის შემდეგ ოთხი საათი კარგად იძინა.

— მაგრამ მეორე ღამეა...

— არა უშავს რა, ბავშვი როდია. ბაბის კალთაზე ნუ გამოიკერებ.

საბასი ურემთან მივიდა, ბოსლის კარიდან რომ ჩაფლულიყო ტალახში. ვინ იფიქრებდა, მიწა თუ ღვარცოფის შემდეგ ასე დაბლდებოდა.

— ტალახი აქაც უნდა დაიფაროს, — თქვა ხაბასმა, — მაღლიდან ქვიშა მოაყარეთ, თორემ მიხვდებიან.

როგორც იქნა, ურემი ბილიკიდან დაიძრა, ხაბასი და კოსმე უკან მიჰყვნენ. კარი, ურდულით დავკეტე. ხოსეფა უძრავად დგას და პირდაპირ იყურება, გვერდით, ბინდში კიდევ ერთი აჩრდილი არისო. რატომღაც ბილიკზე გაყუჩებული ცოტა ხნის შემდეგ მისი ხმა მესმის:

— კატა დღესაღამოვე, ორმოდან რომ ამოათრიეთ, — მეუბნება, მაგრამ არც ახლა იყვრის, — პატარა თხრილში ჩავდე და მიწა მივაყარე, როგორც წესია, ისე დავასაფლავე. მომისმინე, პედრო...

კეთილი, მოვუსმენ, ვნახოთ, რას იტყვის.

— ...მოდი, მე და შენ ფერმინი დავასაფლავოთ.

ენა მებმის, ის კი ჩემკენ მობრუნდა და მიყვირის:

— რა დაგემართა, რად გაჩუმებულხარ, პედრო?

მე ვბუტბუტებ:

— თავი დამანებე... მარტო დამტოვე.

ხოსეფა გავიდა.

## XIII

ცივი ქარი ქროდა, ცას ჯერ კიდევ არ გადაეყარა ღრუბელი. ჩვენ ეს კარგად ვიცოდით, თუმცა ღამის პირველი საათი იყო და ისეთი უკუნი იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. როგორც არ უნდა ბნელოდეს, ადამიანებმა ყოველთვის იციან, რა ხდება ცაზე.

ყველაფერი მშვიდობიანად მიდიოდა. ჩვენ ხუანონის სახლისკენ მიმავალ გზაზე გავედით და პოლის მასა ბოსელშიც დავაბინავეთ, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, თუ კარი ღია დაგვხვდებოდა; ურემი ფართო, ბაგ თიხკეთიხედ ღობიდან შევაჩერეთ და, როცა ჩვენ წინ ანაზდად ხუანონ ლეკუმბერი გაჩნდა, მოგვეჩვენა, თითქოს ლაცრებს შუა გამოძვრაო. თურმე კარი ყურთამდე ყოფილა ღია, იგი იქ იდგა და გველოდებოდა. ამ ვეება კაცმა, ქალამნის შარვალი და სახელოდაკაპიწებული უჯრედებიანი ხალათი რომ ეცვა, ჩვენ შესაგებებლად გამოიხედა, ხარებთან მივიდა და ისე ტკბილად დაუწყო მოფერება, როგორც საკუთარ შვილებს, რომლებსაც არ ჰყავდა და აღარც ეყოლებოდა. მოხუცი ხარებს ყურებს უსრესდა, მერე მამაჩემისკენ მიბრუნდა და თქვა:

— საოცარია, ამდენი ნახშირი ჯერაც ასე თავისუფლად დაგყავთ, თითქოს კარაბინერებს ღამით ძილი არ მოუწყიათ.

როგორც ჩანდა, თვალები გაგვეფართოვდა, რადგან მან სასწრაფოდ დაუმატა:

— ჰო, მე ყველაფერი ვიცი. იმათზე მეტი ვიცი. სოფლელები ცდებიან, ხაბას, ყველაფერს შენ რომ გაბრალებენ. ლეიტენანტმა კარგახანს კეთილსინდისიერად იმუშავა, ყოველდღობას პირდაპირ კვალზე წავიდა, ახლა კი წინანდელივით იქ აღარ მოვიდა, ხანდახან თუ გამოიხედავს, ისიც გზაზე მდგომს ჩავუვლის. ლეიტენანტმა თითქმის მთელ ნახშირს მიაკვლია, ეგონა, ჩემს თავს გამართლება შემიძლია, ვაჟკაცობა რომ არ ჰქონდა, მასთან გამოვლინებული ანტონი მიიჭირა და უთხრა, ჯერ არ დამთავრებულაო... ვიცოდი, დღეს აუცილებლად მოხვიდოდით, ნაძლევსაც ვდებ, ლეიტენანტი ხვალ, ორშაბათს, უფრო სწორად, დღეს ჩემთან შემოივლის და შემამოწმებს, ხარები აქ არიან თუ სხვაგან, როგორც უთხრეს.

მას ხმა ტლანქი ჰქონდა, მაგრამ კილო ხშირად კი მდიდარი, როცა შინ, მეგობრებთან ხალხთან საუბარში კი არა, თავის ერთადერთ მსმენელებთან — ხარებთან ლაპარაკი უხდებოდა, რომლებსაც მთისას და ბრისას უძახოდა, როცა ისინი ხალით ან თავით დაუფიქრებლად ურემს მიაჩერდებოდნენ. ხარებს იგი ჩვენი წინაპრების უძრავი ენით ელაპარაკებოდა, ჩვენ რომ დროთა განმავლობაში დავივიწყეთ. ხან ხმამაღლა, ხან მრავალნაირად და ხანაც ალერსით და ისევე ულაგებდა ქვეშეცნეულ გრძნობებს და აღელვებდა მსმენელს, როგორც თანამედროვე ორატორისა ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი.

ლეკუმბერმა, როგორც იქნა, გულდაგულ გასინჯა თავისი ხარები, წელში გასწორდა, ხელები შარვალზე გაიწმინდა და მამას შეხედა.

— რას უპირებთ ამ ნახშირს? — შეეკითხა და იმ ღამით პირველად დავინახე, წუთით როგორ გამოიცვალა ღრმად ჩამჯდარი თვალები.

— რას? — შეეკითხა მამა.

— პო, რას უპირებთ?

— შენ შენს წილს მოგცემთ, — უთხრა მამამ, — რაღა მეკითხები?

— როგორ არ შეგეკითხო? — ხმამაღლა და მტკიცედ წარმოთქვა მეურმემ, თუმცა ხმაში ბრაზი არ ეტყობოდა. ჩანდა, წინასწარ მომზადებულ სცენას თამაშობდა. [illegible] ქირაში ყალბი ფული მომცეო?

— ყალბი? — გაიმეორა მამამ. მე და კოსმემაც ეს სიტყვა ჩუმად წარმოვთქვით, მაგრამ ლეკუმბერი არ შეჩერებულა, გონს მოსვლა არ დაგვაცადა.

— უკვე მთელი დღეა ეს ნახშირი კონტრაბანდად ითვლება. მაგით ქირას ვერ გადაიხდით, რომ [illegible], მეშინია, კანონს დავარღვევ...

[illegible] კარგი, მეურმე არ გვიყურებდა და ჩვენი დაბნეულობით არ ტკბებოდა, პირიქით, თავი [illegible] და კისერი [illegible], [illegible] ახურავდა, ხომ [illegible] ჩვენთვის [illegible] ალმით აღსავსე [illegible] სამხრეთ აფრიკის ალმასების [illegible] თავისი [illegible] წელი რომ [illegible], თითო-ოროლა ბრილიანტი ხელში [illegible] თავი, [illegible] და [illegible], როცა ცხვირ- სახოცი გახსნა და თავისი [illegible] ამოიღო, მასუკი კაცი კი არა, ნახშირ- ის სატეხები ჰქონია მხოლოდ.

— ჩვენ ხომ შევთანხმდით!.. — წამოიყვირა კოსმემ და ლეკუმბერისკენ წაიწია, მაგრამ მამა შუაში ჩაუდგა. მეურმეს ყურიც არ შეუბერტყავს, იგი [illegible] მშვიდად იდგა, ტალ- ღები რომ ეხეთქებიან.

— სჯობია ბოსელში შევიდეთ, — თქვა მამამ. ლეკუმბერიმ [illegible] და რა- ღაცის თქმა დააპირა. — აქ შეიძლება ვინმემ ჩვენი ლაპარაკი გაიგონოს ან დაგვინახოს, — დაუმატა მამამ, ხახრის ხელი [illegible] და [illegible] კარში შეიყვანა. მალე ხანძრის [illegible] ჩანთაც [illegible], [illegible] ლეკუმბერი შემოვიდა და კარი მიხურა, მაგრამ ურდული არ [illegible]. [illegible] ფარნის შუქმა ხან- ნელა [illegible], [illegible] რომ [illegible].

— მართალი გითხრათ, ვერ [illegible]... — დაიწყო მეურმემ, მაგრამ მამამ სიტყვა შეა- წყვეტინა:

— თუ გვინდა [illegible] და [illegible] დავიხსენოთ, ურემი ხანძრამდის [illegible] ადგილას უნ- და დავაყენოთ.

— ეგებ იქნებ [illegible] [illegible] [illegible]? [illegible]! რაც უნდა იყოს, ნახშირს შემო- ტანა...

მამამ მტკიცედ და [illegible] მოუჭრა:

— ეს ნახშირს ჩვენ აქ გადმოვყრით.

ლეკუმბერიმ ამოიოხრა — [illegible] ქარი [illegible], რომ [illegible]- შობს — და ჩვენ შემოგვიცქერდა: ახლა იგი მზრუნველად კი არა, მოწყალედ და [illegible] გვი- ყურებდა, ბედს შეგუებული მასწავლებელივით, რომელსაც [illegible] უკვე ახსნილი [illegible] თავიდან ახსნა თავისი [illegible].

— მაშ ცინილი კვლავ წელი მოიწყვეტეთ და ნაგავი გადმოიყარეთ, რომელიც ახლა სა- რაღაც არა ღირს? — დაიწყო მეურმემ. — მე ხომ [illegible]...

— გაგვიგონეთ, რაც გვითხარით! — უყვირა კოსმემ.

— ...რომ უკვე [illegible] [illegible], ეს ნახშირი კონტრაბანდაა [illegible] [illegible] ფასი არა აქვს, — შემპარავი ხმით დაამთავრა ლეკუმბერიმ.

— მაგრამ ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ურმის ქირას ნახშირით გადავიხდიდით. — შე- [illegible] მამა, ერთი ხელი [illegible] გაიქცა, რაზაირად შემოუტყობდა არ სახეზე.

— ეს მაშინ იყო, როცა მეც [illegible] ნახშირს, ეხე იგი, [illegible] [illegible] რაღაც ფასი [illegible]. ახლავე [illegible]. აქ ბაზარში კი არა ვართ. სადაც ერთმანეთს [illegible]. ჩემი [illegible] ერთ [illegible] მოვიწყვილოვ. დოქტერ, ერთმა [illegible] ფული [illegible] რაღაც [illegible] უცებ მთავრობა შეიცვალა. ახალმა გამგებლებმა [illegible] ძველი ქა- ღალდის ფული გააუქმა და ახალი [illegible]. [illegible] ქირაც ახალი ფულით [illegible] [illegible] ძველი ფულის ქირაც კი [illegible]. მაშ რითი [illegible] ახლა ქირას?

კოსმე და მე მამას თვალს არ ვაშორებდით, რატომღაც [illegible], [illegible] ერთხა და [illegible] ურემს, ახალი [illegible] [illegible] რომ მიგვყვებოდა, და ტონა

ნახშირს, სადღაც რომ უნდა დაგვემალა, თორემ მწვანე ფორმაში გამოწყობილი კარაბინერები და მათი უფროსი მიაგნებდნენ. უცებ მამაჩემის ხმა მომესმა: „კეთილი, ...ვარ!“ მე კარს გავხედე, ხომ არ მომეჩვენა, ან ჩვეულებრივ ხომ არ ჩამომეძინა-მეთქი, ...ფერი მოწმეებით, მამა დინჯად და მშვიდად ლაპარაკობდა, თითქოს მშვიდად, ჩვეულებრივ სათევზაოდ რომელიმე ანკესზე წავიდოდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ ორი რამ დაგვრჩა გადასაწყვეტი. გაანგარიშეთ, ეს ნახშირი [illegible]ცოდეთ, რამდენი მენეტა გადავიხადეთ.

— დავამრგვალოთ, ვთქვათ, ასი მენეტა,— სწრაფად მიაგება მეურმემ. ჩანდა, ყველაფერი წინასწარ გაიანგარიშა, თუმცა ასეთი ამოცანა მისთვის იოლი ნამდვილად როდი იყო. თვალწინ დამიდგა, კვირა დღეს დილიდან საღამომდე როგორ ითვლიდა ლეკუმბერი თითებზე, რადგან ანგარიშს ვინ ჩავის, საკუთარ სახელსაც ვერ აწერდა. იმ ქაღალდს, რისი წყალობითაც მამისეული სახლ-კარის პატრონი გახდა, ხელი კი არ მოაწერა, ჯვარი დასვა და ისიც ნოტარიუსის დახმარებით, ვისაც მისი ხელი ეჭირა, რომ ხელმოწერა განკუთვნილ ადგილს არ გადაცილებოდა.

— კეთილი, ეგრე იყოს,— დაეთანხმა მამა.

— შენ თქვი, ორი რამ დაგვრჩაო გადასაწყვეტი.

— ჰო.

— მეორე რა არის?

— ნახშირი აქ დარჩება... ასე ვთქვათ, შენთან შევინახავთ.

ახლა ლეკუმბერის რიგი დადგა, გაოცებისაგან პირი დაღო.

— რა არის აქ გასაკვირი?— განაგრძო მამამ,— ჩვენ დავიღალეთ. ნახშირი თუ უკან წავიღეთ, შეიძლება და დასაცლელი ადგილის გამონახვა მოგვიწევს. კარაბინერებმა გზაზე რომ წაგვასწრონ, ასი მენეტა შენ უნდა მოგცეთ, ალბათ კიდევ ურმის ამოსაქმედებელი ქირაც. ამიტომ გადავწყვიტეთ ნახშირი შენს ბოსელში დავტოვოთ, აქ არავინ დაუწყებს ძებნას. ჩვენ კი ცოტას ამოვისუნთქებთ, წუხელ ისედაც წელში გავწყდით მუშაობით.

ლეკუმბერი დიდი გულისყურით უსმენდა, მისი ტვინი დაძაბული მუშაობდა იმის გამოსაცნობად, ხაფანგში რაიმე ეშმაკობა ხომ არ იმალებოდა. ახლა იგი დარწმუნებული იყო, როგორც რამდენიმე წუთის წინ — ხაქმის ასე მეტრალიერებს არ მოელოდა.

— ჯერ კიდევ ვფიქრობ, მოგცემთ თუ არა ნებას ნახშირი ჩემს ბოსელში დატოვოთ.

— უკვე დავტოვეთ,— მიუგო მამამ.

— რით?

მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ბოსელში სხვებმა კი არ დაგვემალეთ, თურმე სულ სხვა გარეგნული მიზნით შევედით.

— უკვე დავტოვეთ,— გაიმეორა მამამ ჩუმად და მშვიდად.

ლეკუმბერი ურმისაკენ მიბრუნდა და ისე დააცქერდა, თითქოს პირველად ხედავს და არ იცის, აქ საიდან გაჩნდაო.

— ჩვენ რომ კარაბინერების უფროსთან გამოგვეძახნონ,— კვლავ დაიწყო მამამ,— ალბათ ვერ დაუმალავთ, რომ შენს სახლში აკრძალული ნახშირი არ გვინახავს.

მაინცდამაინც მაგრად ვერ შეუტია მამამ, მაგრამ ვიდრე ლეკუმბერი პირს დააღებდა, კიდევ ერთი მარჯვე ხელი გაიკეთა:

— არა, ჩვენს აქეთ არ გაპარებთ. ჩვენ რომ გვეთხოვოდა, პირობას არ გადავახვევდით. ჩვენ კი ახლა შევთანხმდით, რომ ურმის ქირა ნახშირით უნდა გადაეხადა და არა ფულით.— ახლა ეუბნებოდა, რომ შენც უნდა დათმო რაღაც-რაღაცები, თუკი ჩვენ დავთმეთ და ქირა მენეტებით გადავიხადეთ. მეურმემ უზარმაზარი ხელი წითურ წვერზე ჩამოისვა და, როცა ხელი იწყებდა კისერზე ჩამოაცურა, გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა.

— ხიდ დავცალოთ?— იკითხა მან.

## 51. პედრო

ხოსეფა წავიდა. მე ბოსელში მარტო დავრჩი. ირგვლივ სიბნელეა, მხოლოდ ფარანი ბჟუტავს. ასე მგონია, ფარნის შუქი სიცოცხლეზე მოციმციმე სინათლეა და მე კი მესაფლავე ვარ. ახეც იქნებოდა, ხოსეფასათვის რომ დამეჯერებინა და ფერმანი დამეცლეველებინა.

არასოდეს ამას არ გავაკეთებდი, მაგრამ ხაზახმა მიმიყვანა სასოწარკვეთილებამდე. ბოლოს და ბოლოს ნახშირი ხომ ყველას გვეკუთვნის. მეც ხომ ვიღებ წილს, მეც ხომ ქარხანასა და წყალში მათთან ერთად ვმუშაობდი. ახლა კი ყველაზე მეტად მე ვიტანჯები. აი, იქიდან მოვუყვები ორმოს და ერთ ტომარას ამოვათრევ. იქ ისე ბნელა, ვერაფერს შეამჩნევენ, მით უფრო, რომ ტომრები არავის დაუთვლია.

დავიხარე, გამხმარი ნაკელი ფრთხილად გადავყარე გვერდზე და [illegible], ტომარაც გამოჩნდა. აგერ ძვირფასი ნახშირიც!

ტკბილისავით მიიწევ ეს ოხერი, ტომარა! ხაზრაზე მახრჩობს და დედაკაცივით ჩუმად ვეწევებლები, რომ არავის გაიგოს. ხოსეფაც არ უნდა იცოდეს ჩემი განზრახვა. მეხამე ცდის შემდეგ, როგორც იქნა, ადგილიდან დავძარი ტომარა. „შე მაჭანკლიანო, — ვეუბნები, — რა ჭირი გეცა?" მესამედი დაიყარა, მაგრამ ფეხებზე მკიდია, უფრო ოდნავ წავიღებ. ნახშირის გაფანტულ ნატეხებს ისევ ორმოში ვყრი, ზემოდან ნალას ვაყრი, ნალაზე ნაკელს ვაფარებ. ახლა ორმო ისევ ისე გამოიყურება, თითქოს ხელი არავის უხლია.

ტომრის გახეულ ადგილს მავთულით მოვუკარი პირი, ხაზახის გაყვითლებულ ხელის ურიკაზე დავდე და ბოსლიდან გავაგორე. ირგვლივ სიჩუმეა, მხოლოდ ზღვის ბუტბუტი და ბორბლების ჭრიალი ისმის.

ჩე. კოსმე

მაშ, ამაღამ ურემი აღარ დაგვჭირდება. მამამ და ხუანონმა იგი ქუჩაში მიაყენეს და ხარების გამოხსნა დაიწყეს. მე და ისმაელი მთელი სიმძიმით უღელს ვაწვებით, ხარებს რომ გამოხსნიან, ურემი არ აყირავდეს.

ხუანონი დუდღუნებს:

— პოლიციასთან საქმე არასოდეს მქონია, ჩანს, ამ სიბერეში მექნება.

— არ გექნება, — ამშვიდებს მამა, — ნახშირი კიდეც რომ გვიპოვონ, შენ არაფერს დაგიშავებენ.

ხუანონმა უკანასკნელად მოხსნა აღვირები, ხარები უღლიდან გამოუშვა.

— ასწიეთ, — გვიბრძანა ხუანონმა და ჩვენც ხელი გავუშვით უღელს. ნახშირი ურმიდან ისეთი გრიალით მოცვივა, თითქოს მონადირეებმა კვირა დღეს მთებში თოფები ერთად დასცალესო. ნეტავი ჩვენს „აიას" როგორი ხმა აქვს? ღმერთმა დაიწყევლოს ასეთი სიცოცხლე!

— ახლა მოდით, ნახშირი დავმარხოთ, — ამბობს მეურმე. ეტყობა, ძალიან ღელავს, სწრაფად მიაქვს ერთი იღლია ჩალა, რომ ნახშირს დააყაროს, თუმცა ჯერ ურემი უნდა დაიფერთხოს კარგად, ზედ ნამცეცი ნახშირი არ დარჩეს.

მამის სიტყვებმა გული დამითუთქა. ჯიქურ შევხედე მამას, მაგრამ ის ვერც კი შეამჩნევს, რაღაც ფიქრითაა გართული. არ ვიცი, რითი. არც მინდა ვიცოდე. ეშმაკმა უწყის, რა უტრიალებს თავში. უცებ მამა ჩემკენ შემობრუნდა, თითქოს იგრძნო ჩემი დაჟინებული მზერა. დამუშტულ ხელებზე მიყურებს, ალბათ მიხვდა, ამ წუთის როგორ მძულს იგი. მან იცის, რაზედაც ვფიქრობ, თვალებით შეუნიშნავს. მეც ვიგებ ხუანონის ბოლო სიტყვებს, მაგრამ სრულიად მშვიდად ნაფიქრია; აი, ახლა მიპასუხება იგი ბავშვობისას, როცა შემეკითხა: „შენზე ამბობენ, მამიკოს ეწევიო. მართალია?" როგორ მიყურებს ასე მშვიდად, როცა ასეთი სიმძიმე დაუფლებია ჩემს არსებას. რატომ არ [illegible], რომ ჩვენ [illegible], [illegible] ამის ღირსი არ არის?

— რა მოხდა? — იკითხა ხუანონმა, ჩალა ძირს დაყარა და შემოგვაცქერდა.

ისმაელი შეკრთა, თვალები ცრემლით აევსო.

XIV

[illegible] ჩემ წინ მამა მიდიოდა, უკან კოსმე მომყვებოდა. ღამით [illegible] ქუჩაში გავდიოდით, [illegible] წყალი [illegible]. ჩუმად მივდიოდით, ვჩქარობდით, რომ [illegible] ნალა მივეყვეთა და დაგვეცალა. როცა ნახშირი [illegible] და ზედ ჩალა წავაფარეთ, მამამ გვითხრა, ახლა ურემს უნდა მივხედოთ.

— ურემს? — შევეკითხე. მამის სიტყვებმა უფრო შემაფიქრიანა. ვიცოდი ამ ამბავმა, რომ



ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი შეცვლილიყო, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კვლავ ურემი იყო, თუმცა კოსმემ მძაფრად შეხედა მამას, მამამ აუღელვლად და მშვიდად გაუძლო ამ მზერას — კარგად ესმოდა, რომ ხაურეგთა ოჯახში მდგომარეობა უფრო და უფრო იძაბებოდა. მე ხან მამის მხარეზე ვიყავი, ხან დანარჩენებისა. ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომ ჩემს უახლოეს ადამიანებს შორის შეიძლებოდა განხეთქილება მომხდარიყო. აქამდე მეგონა, ერთ არსებად ვიყავით შეკრულნი.

კოსმე და ხუანონი მამას მაშინვე მიუხვდნენ. მეურმე ხიდსაც გაიქცა და ხუფთა, მშრალი ტომრები მოიტანა. და აი, ოთხივემ ურემი ბოსლის კუთხეში მივაგორეთ, აკურატულად და გაფთრებით დავუწყეთ წნელებსა და ზედ გადებულ ლატნებს მშრალი ტომრებით ხეხვა.

მერე მამამ ფარანი ჩამოხსნა და თვითეული ფიცარი, თვითეული ლარტყა შეამოწმა.

ნახშირის შავი მტვერი და ნარჩენები ხუანონმა ცოცხით მოხვეტა, სილებით გაიტანა და ნახშირის კვალიც მოსპო.

მამა ჩემ წინ აუჩქარებლად, მოქნილი ნაბიჯით მიდიოდა, არც ჰაერმა უღალატა ამ ჩვეულებისათვის. იგი წინ მიგვიძღოდა, მაგრამ თავის მაწყინება რომ ხურდა, დასეთ, რა ყოჩაღი ვარო. მთელ გზაზე მხოლოდ ჩემი აჩქარებული სუნთქვა ისმოდა, რადგან კოსმეც მშვიდად სუნთქავდა. და მე გავიფიქრე: როცა გავიზრდები, აუცილებლად ცხენები მომთაყვით გამხდარი, ძარღვმაგარი და ამტანი ცხენ-მუჯუა ერთვენა ხოლმე მთელი დღე შეუჩერებლივ ნაკელის ორთქლის წმინდანებს. მე კი წუხელ მკიხსა, და გამძლეობაში მაინც მაჯობეს. ინგლისელივ უკიდეგანო სიცარიელე იდგა, მხოლოდ სიჩუმე ბატონობდა. თითქოს ქარიშხალი, რამდენიმე საათის წინ რომ ბობოქრობდა, დაიღალა და უკან დაიხია. მისმა ჩადგომამ კი სიცარიელე შექმნა, და ჩვენ ამ სიცარიელეში მივაბიჯებდით. არც კი გვჯეროდა, რომ ყველაფერი დასრულდა, პირიქით, დარწმუნებული ვიყავით, უბედურება მხოლოდ გადადებულიყო, რათა მთელი ძალით კვლავ თავს დაგვტეხოდა.

მიუხედავად ამისა, გზაზე მაინც არ დავცემულვარ და მან მშვიდობიანად მიაღწია. ფეხებმა თვითონ მიმიყვანეს. და აი, ბოსლის კარი დავინახეთ: ფიჩხეულ ნაკელის წუმპე აჭყაპუნდა, მაგრამ ბურანში ვიყავი, ამიტომ ხმები ვერ გავიგონე, მამა და კოსმე კი ბილიკზე გაქცეოდნენ, ყურებს ცქვეტენ, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი, ჩქერ გარეშე, აივნიდან მოისმოდა. ორნი ლაპარაკობდნენ: დედა და ვილიც მამაკაცი. მამაკაცს ჩახლეჩილი, მეგრული ხმა ჰქონდა. მამამ და კოსმემ ერთმანეთს გადახედეს.

— ეინც არ უნდა იყოს, — გვითხრა მამამ, — ხელობით ფანჯრიდან გადავიხედოთ. ეგებ ღელის არ უთქვამს, შინ რომ არა ვართ.

კოსმესა და მრუნოს ოთახის ფანჯარას მივუახლოვდით. მამამ დარაბა გამოაღო. მერე რაფაზე დაწვა და მეც ცრობილად გადავხედე ოთახში. არ გასულა ალბათ ნახევარი წუთი, რომ მამა და კოსმე უკვე ჩემ გვერდით იდგნენ.

— წიკალ, ცნახავ, იქ რა ხდება, — წაილაპარაკა მამამ და ხელი ჯიბეში ჩაიყო. მერე ხაწოლზე ჩამოჯდა, თასმები შეიხსნა და ფეხსაცმელი გაიძრო, — კოსმე, თუ შეხვალ, სუ შედი, თითქოს ეს წუთია ვაგელეიდა, აი, როგორც ისმაილი.

მამამ კატის ნაბიჯებით გაიარა დერეფანი, გზადაგზა ხელათის ღილებს იხსნიდა. მე კოსმეს გადავხედე და ორივემ ერთსა და იმავე დროს მომხრთული თავჯამებივით ფეხსაცმელების თასმები შევიხსენით.

როცა ტიუბზე გავედით, დავინახე, მრუნო ორ ჟანდარმს შუა იდგა. მრუნოს ძველი პიჯაკი და შარვალი ეცვა, კვირა დილით მამამ ტყეში რომ წაიღებდა. ყველაფერს გულგრილი თვალით უყურებდა. გავიგონეთ, მას ძარღვიან კისერზე ნახშირის დიდი თავი ლაპლაპებდა, რადგან ფარანი, დედას მაღლა რომ ეჭირა, ბინდბუნდში მრუნოს პირისახეს ოყირად ანათებდა.

ერთი ჟანდარმი ორმოცდაათი წლისა იყო, მეორე — ოცდახუთისა. გუშინ ეს მეგზედი, ხელოსნის ამ ახალგაზრდას ეკუთვნოდა ის გრილფერადი ხმა, ჩვენ რომ გავიგონეთ. ახალგაზრდამ ძლივს მომსხარენ ჩემზე და კოსმეზე გადმოიტანა. — ჩვენ ყანჯღალაში ვიყავით, თითქოს ეს ესაა ლოგინიდან წამოვდექითო, — და იქნა:

— ეინაურებმ, ხანიორია, ჩვენ არაფერი ვიცით, ხვალიდა, მაში ჩქარა მოვეშვებით.

რაც ჩვენ გამოვედით ფანჯარაზე, ჯერ ორჯერ შეეკითხა ჟანდარმებმ: „ამისათვის რა მოგილიათ?", ჟანდარმების პასუხს მოვიცდით თუ განეცხადებინ, დედას ჩვენ მისვლამდეც მეურვეს ჰკითხა ეს.

— წადი და მეუნდარი ჩაიცვი, — ხელთნაირად უბრძანა მრუნოს ახალგაზრდა ჟანდარმმა,

რომ მან შედავებაც ვერ გაბედა. ჟანდარმმა მხოლოდ თავი მოაბრუნა ბრუნოსაკენ. სამკუთხა ქუდი, გვეგონებოდათ, მისი თავის ბუნებრივი დანამატი იყო.

ბრუნომ ტორტმანით ჩაევლო და შინ შევიდა. დედაც მას გაჰყვა.

ჟანდარმებს მუნდირისფერივე მწვანე ლაბადები ჰქონდათ მოსხმული. ბოთქმულით აუღელვებლად, კარაბინის კონდახი ძირს დაეშვათ და ლულას ხელით ეჭირათ.

— ეგაა დაასმინა? — შეეკითხა მამა და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს [illegible]

— გოგომ, — მიუგო ხანდაზმულმა ჟანდარმმა და თავის ამხანაგს გადახედა.

— როგორი თქვა, ამ გოგოს რა ჰქვია?

— პეპიტა.

— მაშ, მასთან იყო?

მამის ხმაში გაოცება გამოკრთა.

— არა, ეტყობა, გუშინ იყო, — მიუგო ახალგაზრდამ, — გოგო ყვიროდა, მთელ ოთახში ნახშირი დაყარაო, ხოლო ლეიტენანტმა გარხიამ...

— დამაცადეთ... გოგომ ნახშირზე რამე თქვა?

— ჰო. განა მაზიათის მერე ნახშირი არ აბინძურებს მთელ სოფელს?

ჟანდარმმა „მთელ სოფელს" ისეთი ზიზღით წარმოთქვა, ჩვენი მხარის მცხოვრებლები მაშინვე მიხვდებოდნენ, რომ გადამთიელი იყო, კასტილიის მკვიდრი. თითქოს ალუზიით ყოფილიყო დამნაშავე, რომ ჩვენი მხარის წინდაუხედავმა მმართველებმა ოდესღაც იგი სხვა ქვეყანას შეუერთეს.

— რათ ლეიტენანტმა გარხიამ? — შეეკითხა მამა.

ახალგაზრდა ჟანდარმმა ბრუნოს ლოდინით კარისაკენ მიიხედა და მიუგო:

— როგორც კი ნახშირს მოჰკრა ყური, გოგოს უბრძანა, შენს სახლში წაგვიყვანეო. გაკვირვებულმა გოგომ მაშინვე ენაზე იკბინა, შეკრთა, გაწითლდა კიდეც. მის სახლთან რომ მივედით, უკვე ბნელოდა, მერე გოგომ ყვირილი მორთო, იმისათვის შემომივარდა, რომ...

— ტყუის! — იკივლა ბებიამ, ჯერ მამას გადახედა, მერე ჟანდარმებს და დაუმატა, — მთელმა სოფელმა იცის, რა გოგოცაა...

მამამ ბებიას სიტყვა შეაწყვეტინა, ხმა დაუძაბა, ვიგრძენი, აღელვებული იყო:

— მითხარით და ბოლომდე გამაგებინეთ, რა მოხდა?

ჟანდარმები კრიჭაშეკრული მდუმარედ იდგნენ, თითქოს ფიქრობდნენ, ჩვეულება ხომ არაფერი წამოცდენოდათ. ბოლოს უფროსმა ამოილუღლუღა:

— ჩვენ მამის დაკვეთით, როცა...

აქ უცებ მეორე ჩაერია. მთელი ეს ხანი არც ერთი არ ჰქონდა, ვერაც ვერ მოუნაცვლებია, არც მაშინ, როცა უფროსი ლაპარაკობდა და არც მაშინ, როცა უფროსმა შეაწყვეტინა.

— ნუ დაინტერესდებით მეტისმეტად, ბატონო, რაც იქნება, თქვენი შვილის დანაშაული... მოწმეები მივიღეთ კარაბინერი ბრუნოს სახლიდან დააპატიმრებენ. გადაწყვიტეთ თქვენი სახლის გარშემო. უცებ ის გოგომ ლამის ოქროსფერ საათზე უბანში მოირბინა და გვიცნობა: „წევრებლითა იგი ერთ საათში დაიჭირეთო". „ვინ?" — ვკითხეთ. „დეზერტირი, ვინაც ალბათ უკვე იცნობთ". ორივენი გავყევით და მისი სახლის პირდაპირ ჩავსაფრდით. ცოტა ხნის შემდეგ ეს გოგო თავის მეგობრებთან ერთად გამოჩნდა და სახლის წინ შეჩერდა. ის-ის იყო სადარბაზოდან გამოვედით და მათკენ გავწიეთ, რომ გოგომ გვიყვირა: „ეს ის არის, დაიჭირეთ!" უკვე შეღამებული იყო. ნახევარი საათის შემდეგ ცხენებით, თავქუდმოგლეჯილი ჩვენკენ ვიღაც ზორბა ტანწვრილი მორბის. მიიჭრა სახლთან, კარის გამოღება დააპირა თუ არა, ისინიც დაინახა. თქვენი შვილი, რასაკვირველია, ფიქრობდა, ორივეს შინ თავზე წავადგებით.

გოგომ მისვლისაც ვერ მოასწრო, რომ თქვენი ვაჟი მის მეგობარს ეცა და უმოწყალოდ დაუწყო ცემა. „გვიშველეთ! გვიშველეთ!" — იყვირა გოგომ და ჩვენც მაშინვე იქ გავჩნდით. გოგო ჯერ ისევ კიოდა, როცა ჩვენ დეზერტირს მივვარდით, მაგრამ თავდაპირველად ვერ მოვერიეთ. კიდევ ოფლიან, ყვირილში ცუდად იჭყლიტა. გოგომაც კარგად მიიღო, თითქოს შეეშალათ: ურტყამდა, კბენდა, ფხაჭნიდა. ჩვენი გოგოს დაწიოკება მოგვკიდა. „არავის არ მივცემ უფლებას მასხარად ამიგდოს! გაიგე?" — უყვიროდა გოგო. თქვენი შვილი მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა დაინახა, რომ მისი მეტოქე იქვე ეგდო ცხვირპირდასისხლიანებული. ამ დროს ლეიტენანტი და ორი კარაბინერი მოვიდნენ. გოგო მათ მივარდა: „ამან დაყარა მთელი სოკოლა ნახშირი ჩემს ოთახში! იმ ღამის ნახშირი", — ყვიროდა, თან თვალებს აბრიალებდა. ლეიტენანტი ჩვენ მოგვიბრუნდა, „ვინ არის ეს კაცი?" პასუხის გაცემა ვერ მოვახ-

წარით, რომ გოგომ მიუგო: „მე სამასის შვილი ვარ", ლეიტენანტს შეეტყო, რომ გოგოს პასუხით კმაყოფილი დარჩა. „შენი ოთახი მაჩვენე",— სთხოვა გოგოს. ჰო, მაშინ კი გაწითლდა გოგო და იმის მტკიცება დაიწყო, ვითომ ძალიან შემომეჩვია, ეპაურობა ბიჭსო და ნახშირი მოვარ-მოვარო. „კარგი, კარგი",— ეუბნებოდა ლეიტენანტი და ცდილობდა თავიდან მოეშორებინა გოგო. ჩვენ არ გვჯეროდა გოგოსი. რად უნდა დასჭირებოდა ბიჭს ქალიშვილთან ტომრის მითრევა გოგოსთან?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟანდარმმა დაამთავრა თხრობა და კარს კვლავ ზრაზით გახედა.

იმ დროს, როცა მამა და ჩვენ ყველანი ჩუმად ვიდექით და ვცდილობდით მოსმენილის აზრი გაგვეგო, მთელი ქანდაკებასავით გაქვავებული ჟანდარმისა შუბლშეჭმუხნილი იცდიდნენ, კიბეზე მათ მიუახლოვდა და კარაბინების ჟღარუნი დაიწყო. ბოლოს მარჯვენა ცალად სიმაღლე და სხივური ჟანდარმის კარაბინს გამუდმებულად წვდა. ხნიერმა ლულას მაშინვე ხელი უშვა: კისერზე იარაღი გულდასმით დააკვირდა. ახალგაზრდა ჟანდარმს ეს ამბავი არ მოეწონა, კისერს ზურგი შეაქცია და იხევ ადრინდელი გამომეტყველება აღებეჭდა: ვერ გაეგებინა, ნაწყენი იყო თუ გაოცებული.

— როგორ გაიგეთ? — ბოლოს მიმართა მამამ.

— გაიგეთ? რა? — კითხვა შეუბრუნა მამამ, როცა ფიქრებიდან გამოერკვა.

— რა და ეგ ამბავი. პირველად ვინ გაიგო, თქვენმა ცოლმა თუ თქვენ? ან საიდან იცოდით, რომ ეგმა შვილი ხალხის დასამალავად?

მამა ერთ მოგვიგდა შეკითხვას, ვერც ჩვენ ვუთხარით ჟანდარმებს ... ღამით, მერე აგვიხსნა:

— ბიჭი ყანიდან გამოიქცა და ალაგობაში სწორედ მაშინ ჩაჭოფიდა, როცა...

მასმა შეაწყვეტინა:

— ლეიტენანტ კარსხის მეოხით, ჩვენც სამარს ვაგრძელებდით?

— რასაკვირველია, ისიც დარწმუნებულია, როგორც ყველა, მაგრამ ეს არაა მთავარი. ჯარისკაც თქვენ ორ შვრის ალაგას აცოდებ... თუმცა ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. საერთოდ ბევრი რამაა აქ საეჭვო.

როცა ძმა წყალში გამოწყობილი დაჯდა, ფერმკრთალი და თითქოს გამხდარიც მეჩვენა, ვგრძნობდი, რომ ხმა დის გაუმარავს მაგა წვერი მოხდებოდა პირისახეზე. თვალები ცოცხლები რაღაც ეცლოკდა: ძლიერმალი ჩანდა. იმაც არ მგავდა ადრინდელ ბრუნოს, დაიტირხა და კოჩალს, როგორიც ვიცნობდი. ბალა რაღაცნაირად მოწყვეტილიყო: ხელები უღონოდ ჩამოეყარა, წელში მოხრილიყო, ხოლო ჯოჯოხეთ სიკამა სულ არ შეეფერებოდა მის ადრინდელ გამომეტყველებას. მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ვცდებოდი, ბრუნო არ იყო დამარცხებული. სწორედ მისი ათხუთმეტე, ძლიერი ნებისყოფის გამომხატველი ნიკაპი ადასტურებდა, რომ ჩვენი ძმის შინაგანი ძალა ახე იოლად არ დაიშრიტებოდა. მართალიც ჟანდარმების დანახვისთანავე შეეცვალა დაჭიმებული გუნება (გვიან გავიგე, რით იყო ეს გამოწვეული). იგი მოუღრა თავის თავს, ნაღველი გულში ჩაიხვია, პირი მოკუმა, შუბლი შეიკრა და თვალებშიაც გამომწვევად გაიელვა, როცა თავის ბიძაბს გახედა. ბრუნო რისხვაზედ მოემზადებდა ავიანზე, მწვანე წუნდილი ვერ უფარავდა ძლიერ კუნთებს.

ბრუნო მამასთან მივიდა და უთხრა:

— ჩქარა უნდა... ხომ ჩქარა გაიკვლევ ამას? როცა გიგიგებ, ყველაფერი გაიკვლე, მაშინდა დაგიბრუნებ მშვიდად.

მამას კრინტი არ დაუძრავს, პირისახეზე ძარღვიც არ შეტოკებია. მხოლოდ ძვილს მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი. მერე ბრუნო ბებიას ჩაეხვია და აკოცა. ბებიამ ბრუნოს პირჯვარი გადასწერა შუბლზე. ბებიას შემდეგ დედას გადაეხვია. როცა დედა ბრუნოს მკერდს იკრავდა, მისი ხელები ბრუნოს ზურგზე დაკიდებულ ფუთას გამშაგებით სრესდა. ჩემმა ძმამ ულმობელად მოახედა, ფერმკრთალი, გამხდარი პირისახე ჩვენკენ მოაბრუნა და დედის გახვეული კვერები გამოართვა, ზედ ქოშის ლიქები რომ ასხდა.

— გაცივებულია, — თქვა დედამ და შეშფოთებულმა შეხედა ჟანდარმებს, — არ შეგვიძლიათ?..

— იხელიც ვაჭმევნებთ, — შეეპასუხა ახალგაზრდა.

— რა მოულის?

— ჯარში ყოფნის ვადას გაუორკეცებენ, სხვანაირად არ იქნება.

სამივენი ფეხშეწყობილი გავემართეთ, თითქოს ერთ ბრძანებას ემორჩილებიანო. ნალდარტყმული ფეხსაცმელები ღამის სიჩუმეში ბიენის ქვას იატაკზე ახრაჩუნდა. როცა ბრუნო

ჟანდარმებთან ერთად თვალს მიეფარა, დედა შეჩერდა, ასე იდგა დიდხანს გულხელდაკრე-ფილი, მერე ნელ-ნელა მობრუნდა და ჩვენ გადმოგვხედა.

— წადით, დაიძინეთ, — გვითხრა დედამ, — შეგიძლიათ ოთხი საათი კიდევ იძინოთ.

## 53. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ყველაფერი მესმოდა, მაგრამ არ ავდექი და არც თვალი გავახილე: არ მინდა გაიგონ, რომ არ მძინავს. [illegible]! როცა შინ ყველა დაიძინებს, კნუტებს რამე უნდა ვაჭამო.

იქ, აივანზე, სულ ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ, დედა და ბრუნო კი ამ პატარა ოთახში შედიან, სადაც ფერმინი წევს.

— როცა დავბრუნდები, იგი აქ უკვე აღარ იქნება, — წაიჩურჩულა ბრუნომ და მერე ხმამაღლა დაუმატა, — ვფიქრობ, მამა მაინც გამონახავს დროს...

ახლა ისინი ჩემს თავთან მოუახლოვდნენ. ბრუნომ შუბლზე ნაზად მაკოცა, მაგრამ თვა-ლი მაინც არ გავახილე, ვიცი, მას ჟანდარმები წაიყვანენ.

მალე აივანზე სრული სიჩუმე ჩამოწვა. ბებია ჩემ გვერდით დაწვა, რაღაცას ბუტბუ-ტებს და მეკვრის, რომ გათბეს.

კნუტების საჭმელი უნდა ვიშოვო, მაგრამ არ ვიცი, სად. სამზარეულოში რძის შეჭამანდი მეგულება. არა, იქით არ შეიძლება წასვლა. დედას გვერდით ოთახში ესმის და შეიძლება გაიგონოს. დედაც ალბათ არ დაიძინებს ამაღამ. ვახშამზე ვერ შევძელი ჩემს ჯამში მათთვის რამე გადამენარჩუნებინა; დედა სულთამხუთავივით მადგა თავზე, ვიდრე ხელს არ გა-მოვცალე.

ბოსლის კარი რომ [illegible], მამაჩემმა [illegible]. მე კი [illegible]-და, უკვე დაწვნენ-მეთქი.

— მოგეშველებით, — ეუბნებოდა კოსმე.

— ერთი საქმით ყველაფერს თვითონ გავაკეთებ, — უთხრა მამამ, — სამჯერ-ოთხჯერ ნაგავს სანაგვიროზე [illegible], მერე ქარხანაში უნდა წავიდე.

— ოთხ გზობაზე ვერ მოიტან იმდენ ქვიშას, რომ ლაფი დაფარო ბოსელთან.

— ერთფერია, თავს გავართმევ, — თქვა მამამ და საუბარიც შეწყდა.

მე ქვის კედელს გავეკარი. კოსმემ ჩამიარა, მაგრამ ვერ შემამჩნია. მამამ ფარნის სანათურ-ზე [illegible] დაადგა და სხვენზე ავიდა.

კნუტები მშვიდად იწვნენ კალათში. ძალიან შიათ. ბებიას კალათში ხელი არ ჩაუყო, თორემ ალბათ მომაკვნესებდნენ.

## 54. ხასინტო

ორშაბათობით ტაძრის წყალგამრიგებზე ცოტათი გვიან ვდგები ხოლმე, რადგან კვირა-ობით შუაღამე ბევრი ხალხი იყრის თავს და გვიანობამდე რჩებიან. წუხელ განსაკუთრებით დიდხანს დარჩნენ. ხალხმრავალი ბევრი ჰქონდათ დაღუპულ გემზე, ნახშირსა და [illegible] და-ლაგებზე. იმდენი ლაპარაკის სიმახე, ლუკმა სულ დამილევს.

მერე სარკმელზე ოთახის კარი გავაღე და აივნიდან გადავიხედე. ივანე შუკაში გადის. ეს ქალაქი, ღმერთო, ალბათ მთელი ღამე იქ იყო. ნეტა დღეს რითი გამახარებს?

ხოსეს ინგლისელ მესიფერე, ტაძრის შუკაში და მხოლოდ ამის შემდეგ გავაღე შუკაში გასასვლელი კარი.

— გამარჯობა, ხასინტო, — მეუბნება ჰვიანო, — ფული მოგიტანე.

[illegible] არ მივაქციე, ადრეც მრავალი მოუტანია, თან მეცნიერ მადლიერად ვუხედა-ვი, იცის, ხასინტო ნახშირი!

— ბოთლა გამოგიტანე, — მეუბნება თავისებურად, — ხომ გითხარი, ფული მოგიტანე-მეთქი.

— რა ფული?

— აი, რა ფული, — ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიყო და მაგიდაზე ხუთი ნატეხი ნახშირი გადმოაგორა, — სამოცდაათხუთმეტი ცალი ნახშირი მოგიტანე, შენც შეხედე და ორმოცდაათ

სარტომად მოვყიდი. ხუთი პესეტა ყვლის ანგარიშში ავიღე, დანარჩენით კი ორი ბოთლი ღვინო მომეცი.

— დაიკარგე აქედან შენი ნახშირიანად, — შევუბღვირე. — შენს ნახშირს ფასი არა აქვს.
პედროს ბეჭი აუცახცახდა.

— კეთილი... ალბათ იქ სამოცდათხუთმეტი კილოგრამი არც არის, მაგრამ [illegible] იქნება. ექვსი პესეტა. ხუთი ყველში წაიღე, ხოლო...

— იცი, რას გეტყვი, — თქვა და ლახლს ხელი გადაუსვა, — წაიღე შენი ტომარა და ვიდრე ჟანდარმები არ მოსულან, აქედან მოუსვი! ისინი ნახშირს ეძებენ, ხოლო ლეიტენანტი მანამდე არ დამშვიდდება, ვიდრე უკანასკნელ ნამცეცამდე არ შეაგროვებს. რასაც გულში ჩაიდებს, შეასრულებს კიდეც. ფულის ნაცვლად ამ ნახშირს ვერ ავიღებ.

პედრო მთლად ჩაიფუშა, ისე დაპატარავდა, ლაბადაში აღარ ჩანდა. მერე თავი კვლავ ასწია და ნაცემი ძაღლივით შემომხედა.

— სასტიკო, ახლა თუ არ დამეხმარები, ნუთუ ერთ ბოთლ ღვინოს არ დაალევინებ ამ ბიჭებს, ვიდრე სულს დალევენ... დაიცადე ეს... ეს!

თვალი თვალში გავუყარე:

— იქ რა შეგვემთხვევა? ამ ღამით ნამდვილად რაღაც შეგვემთხვევა.

იგი ლახს ხელებში უცაცხებს.

— გეტყობათ, ამხანაგებო, თუმცა [illegible] ხასხი მადლობას როდი გეტყვის იმისათვის, რომ ღალატობ და აქ ნახშირზე ლაქლაქებ. მე მართალია, ჩემი მუშტრების ხაჭმევზე [illegible] და ახლაც წყალს [illegible] მაინც შიმშილით ვიცოდე, რა დავუშავეთ?

კარს უკან ნაბიჯების ხმა გაისმა. ეს ლეიტენანტი გახლდათ, ძლივს [illegible] ხელში [illegible] დადიოდა [illegible] ლეიბს ძალიან ადრე აწევინა. პედრომ შეწრიალდა და [illegible] მთელი [illegible] გამხდარ კარს მიაშტერა თვალები, [illegible] წაიქცევით.

— ღამე მშვიდობისა, — მივესალმე ლეიტენანტს და ფანჯარას ახლოს თავის ჩვეულ ადგილას დავჯექი, მარმარილოს დაფიან მაგიდასთან.

პედრო გაშეშებული იდგა ლეიტენანტისაკენ ზურგშექცევით, ფეხიც არ მოუნაცვლებია, კრინტიც არ დაუძრავს. ლეიტენანტს მაგიდაზე იდაყვი დაუშვია, ენით ტუჩებს ილოკავს და რვეულში რაღაცას გულმოდგინედ ანგარიშობს.

შუკაში გრძელი მოდის. პედრომაც ესმის ნაბიჯების ხმა, იქით იყურება. უცებ შუკაში გამოჩნდა კარი და ფერმკრთალი, ხანგრძლივი ლოდინისაგან დაღლილი კარაბინერი შემოვიდა...

— ლეიტენანტო, შუკაში ნახშირით სავსე ტომარა აგდია, — გულის გამაწვრილებელი ხმით თქვა მან, თითქოს ნაძალადევად დაწყებული როლი გაეთავებინა.

ლეიტენანტმა თავი მაღლა ასწია, ჯერ თავის ხელქვეითს შეხედა, მერე მე, ბოლოს პედროს შეაჩერა კმაყოფილებით სავსე მზერა, გამომცდელად შეათვალიერა.

— ეს ვინ არის, სახლის ნათესავია, — ჩანთად ამოიღერა ლეიტენანტმა.

— დიახ, ჟუმასუბ.

მან რვეულის ფურცლიდან გადაიღო ფანქარი ახლიდან და რვეულში ნაწერილ ციფრებს რაღაც მიაწერა. მე ვიცოდი, რაღაც ამის მსგავსი: „პედროს სამოცდაათი კილოგრამი".

## XV

ორშაბათ დილით ლედის სიტყვებმა გამომაღვიძა: ადექი, სკოლაში უნდა წახვიდე. ეს თითქოს მოწოდება იყო, რომ ერთგულად გაემკლავებოდით უბედურებას და ჩვეულებრივ საქმიანობას შევუდგებოდით, არ გვეფიქრა იმაზე, რასაც ვერც ერთი ვერ გავაწყვეტდით.

მამაჩემს მტკიცე, ნათელი მიზანი ჰქონდა: ჩვენ ჩვეულებრივი ცხოვრებას უნდა შევუდგომოდით, თუკი სახშირის გადარჩენა ვვინდოდა. ერთ-ორ დღეში ყველაფერი გაირკვევა, — წარმოთქვა გამომეტყველებით მან, — ალე ლეიტენანტი მეზნას თავს მიანებებს, საჭირო ქაღალდს ხელს მოაწერს და სადაც ჯერ არის, გადაგზავნიან.

მე მარტო გამოვედი დილიდან ცხრის ნახევარი იყო და, ვიდრე უკან ქარისაგან წაბლეული, მამაჩემი კი ბელმის თაბაკა (ნამთვრეულის ფასიკრიდან გვედგვია) ბეჩიას, ლედის



ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმით, ფერმითაც იყო და ლოცულობდა, ხოლო ნერეა ჯერ კიდევ ეძინა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გავიგე, რომ იმ დღეს ყველაზე ადრე დედა ამდგარიყო, ხუთი საათიდან ფერმინას საწოლთან იჯდა ჯორკოზე, მისი თავსაფარი მოეხვია და, თუ ნერეას დაეჯერებოდა, კი არ ლოცულობდა, ფერმინს უყურებდა.

ავიღე წიგნები და სკოლისაკენ გავწიე. ჩვეულებრივ ამ დროს მივდიოდი სკოლაში. „აი, ფერმინი კი იქაა, — გავიფიქრე, — ის ჯერ კიდევ იქაა". უცებ შიშმა ... ზურგად. ნელა. პატარა თავში არ შემეხედავს, გვერდი ავუქციე. არ შემეძლო ..., რომ ერთმა ამბავმა გამაოცა: ბოსლის კართან მიწა მშრალი იყო და ნაკვალი არ ეტყობოდა. მივხვდი, მამა (აბა სხვა ვინ იქნებოდა?) ალბათ თორმეტჯერ მაინც ჩავიდა ნაპირზე ქვიშისათვის, რომ მაგ ტალახზე დაეყარა და ერთადერთი ნამხვალი მოესპო, რაც მნახველს აფიქრებინებდა, ნახშირს ბოსელში ინახავენო. ასეთი რამის გაკეთება მხოლოდ მამას შეეძლო: მაშინაც კი ძლიერი დახეთქების დროს, ალბათ შეუჩერებლად მუშაობდა მისი გონება, რომ ერთი შეცდომაც არ დაეშვა არაფერში და მოეფიქრებინა, როგორ მოქცეულიყო მომავალში, როცა კვლავ სამუშაოს შეეჭიდებოდა. არა, მას არ ეძინა. სხვა დაიძინებდა, მაგრამ მამა არა. სკოლისაკენ მიმავალ გზაზე მე მხოლოდ ჩემს საიდუმლო ბედზე ვფიქრობდი, რომელიც ვერ იქნა და ვერ ამოვხსენი; წყლიდან ვფიქრობდი თეოდოროზეც, მას ხომ სკოლის ეზოში შევხვდებოდი.

იგი უკვე იქ იყო, სპორტული მოედნის კუთხეში შეკრებილ თანატოლთა შორის ნამდვილი გაცხარებული ლაპარაკობდა რაღაცაზე და ხელებს გამეტებით იქნევდა. დამინახეს თუ არა, ყველანი უცებ ჩემკენ მობრუნდნენ.

— რას გვიყურებ? — შემეკითხა თეოდორო და თავი ასწია.

— თქვენ რას მიყურებთ? — შევუღრინე და მათ თვალებში ამოვიკითხე, რომ არ დამიჯერეს.

ბიჭები ჩემკენ გამოიქცნენ და წრე შემომარტყეს. მე არ გავნძრეულვარ. თეოდოროს გუშინდელი მის თვალებში მაურიდა ამომეკითხა, კვირა ან ორშაბათ დილით, ზღვის მოქცევის დროს, სანაპიროზე თუ იყო... ქოხთან შემთხვევაში მივხვდი, არც ერთ ჩვენს ანკესს გველეშაპზე არ დაეგდო. ახლა რომ ეფიქრა, სოფელში ისეთივე ჟურნალური აქედგენდა, როგორც ნახშირმა გამოიწვია.

— მამაშენი გამცემია, — დაიწყო თეოდორომ.

— არა! ტყუილია! — ვიყვირე.

— მოიპარა და გამცემი! — გაიმეორა მან.

თეოდოროს ქოჩორი ჩემს თითებში აღმოჩნდა მაშინვე, ვიდრე მტკიცედ გადავწყვეტდი, არ შევარჩენ-მეთქი. იმ დროს სხვები დაიკვირვებდნენ და მუშტებით და წიხლებით დამიწყეს ცემა. არც მე დავრჩენილვარ ვალში. ის კი არადა, ცოტათი უპირატესობაც მქონდა: არც ერთი ჩემი დარტყმა მიზანს არ აცდენია, ზოგიერთი მაინც ხვდებოდა. მათი მოქნეული მუშტი კი ყველა მე როდი მხვდებოდა, ხანდახან ერთმანეთს ურტყამდნენ უნებლიეთ.

— ცნობით, ვინ უკეთ მიბეგვავს... ჩვენ აქ თუ ისინი იქ. — ქოშინით მეჩხუბებოდა თეოდორო.

— ორივენ დაუფიქრებლად ცემით დალურჯებული ადგილები, — წამოიძახა ვიღაცამ, — მაშინ გავიგებთ, ვის მეტი მოხვდა.

„მამისაგამე, ხალდაც ეიდა... კიდევ სცემენ", გავიფიქრე, თან სიკვდილის თავს ვეკითხებოდი, მეორე ვინ უნდა იყოს-მეთქი. ამ დროს თეოდორომ ცხვირში მაგრად მიცხო და წამით გონება დამიბნელდა. ვეღარ ვხედავდი, ირგვლივ რა ხდებოდა. მაგრამ როცა თეოდორომ იღრიალა: „ახლა უფრო დაიმსახურებს მომეცი მამის, ბიტონის შვილი შემეშინდა, ხომ ხმა ცხვირს დაუნახავად!..." მაშინვე გამოვფხიზლდი და ყველაფერი მივხვდი.

მხოლოდ გვიან ღამით ვიგრძენი, რა უწყალოდ მცემეს. მაშინ კი, როცა თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი, ვერაფერს ვგრძნობდი, გარდა იმისა, რომ რაღაც თბილი სახეზე მელვრებოდა ნიკაპზე. გამალებული მივიწევდი იქითკენ, სადაც ფარნაშზე წითელი ფერებით ასოებით ეწერა „ჟანდარმერია". როცა ლეიტენანტი ფონჯარამ დამინახა, გაღიზიანდა, გვერდი ამქცია, უარი მეთქვა სასიფათო განზრახვაზე, მაგრამ უნებურად აღმომხდა: „ისინი მამაჩემთან წავიდნენ!" იქვე მივხვდი, რომ ეს სიტყვები მისთვის გაუგებარი იქნებოდა და დავუმატე: „საბანის ხიდთან წავიდნენ".

ლეიტენანტი გარსია მაგიდას უჯდა: რაღაცას კითხულობდა თუ წერდა. თავი ასწია და დამინახა. წამოდგა (ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა), მაგრამ ხელწერილზე მხოლოდ მაშინ დავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზე, როცა იგი თავის ბალღთან ერთად მინდორზე გამორბოდა, ხალხს მისი ბალახი ... ბავდა.

მაღლიდან გადავიხედე: ხანძართან, ფიცრის ხეებსა და ყანებს შორის ... ბორცვის თავზე დაენახე. თვალწინ გადაიშალა სურათი, რასაც მოველოდი... თხუთმეტიოდე კაცი მამას ორ-გვლივ შემორტყმოდა. მამას ხელში ცელი ეჭირა, გაუნძრევლად იდგა, ... გრძელი ალესილი ცელი ხალხს აფრთხობდა.

ბაქან-ბოსტან დავეშვი ძირს, რომ მათთან ჩქარა მივსულიყავი. ლადიკაც ბრძოლა ცდილობდა მამის ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა, ამ დროს კი ძლიერმა ბუჩქებმა მოფა-რებულმა სამი თუ ოთხი კაცი ზურგიდან ეპარებოდა. მთელი ხმით ვიყვირე: „მამა, მამა, უკან მოიხედე“, მაგრამ უცებ ქვებმა გაიზუზუნა, ერთი ზურგში მოხვდა მამას, მეორე კი-სერში და იგი პირქვე დაეცა მიწაზე. ხალხი მას მიესია. ტანისამოსში გახვეულმა გზა და ზურგების გარს შევიხეტე, მაღლიდან მოვექეცი. მაგრამ მათი ბატონები აქ კაცმორეულნი აჭრიალებულნი მუშტებს, ვერც შემამჩნიეს. მაშინაც კი ვერაფერი შემამჩნიეს, როცა გადა-ბრუნებულმა წიხლები დავუშინე, როცა ცემა და მუშტით ცემა დაუწყეს. მამას რომ ურ-ტყამდნენ, ასე მეგონა, მე მირტყამენ-მეთქი, ასე მეკუმშებოდა ტკივილისაგან გული.

ამ წუთებში მე კი არ ვიფიქრებდი სხვის თავზე, არამედ შიშისგან ყელში არხება. თვალისას მამაჩემი რომ იცავს და შეუძლია მოწინააღმდეგე მოჰკლას კიდეც თუ ამის ბრძა საშინელ უკარნახებს.

ქარიანმა ფეხებში ჩამავლო ხელი, მაგრამ ამ დროს მამაჩემის ხმა გრიგალივით გა-ისმა:

— ხელი უშვი!

მოძალადემ ხელი მიშვა, მაგრამ უცებ მოეგო გონს და კვლავ უნდა ფეხით დამეჭირა, რომ მამამ წამოდგომა მოასწრო, მიდან-მოდანა ყველა და ჩემკენ გამოექანა; გახეთქილი წარბებიდან სისხლი ჩამოსდიოდა, ხოლო მარჯვენა ხელი უმოძრაოდ ეკიდა. უკნიდან კიდევ წამოეწია და ორივე მუშტი თავში ჩასცხო. ეს მოხუცი ანტონი იყო, ასე ცელცხებდა, რომ ფერმკრთალ პირისახეზე ჯვარისავით ამოსული თმის ყვავილი ღერი უხტუნავდა; თვალები მძვინვარებით უელავდა. მამა კინაღამ დაეცა, მაგრამ როდი მიბრუნდა, რომ თავდამსხმელის შეტევა მოეგერიებინა ან თუნდაც მისთვის შეეხედნა. მამა ხანძრისაკენ არაფრად აგდებდა. მას მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა, ჩემამდე მოსულიყო. და აი, მან თავისი ღონი-ერი ხელები მომხვია და მარცხენა კვერთზე შემიკრა.

— რას უცდით? — დაიყვირა მოხუცმა ანტონმა, ხელები აიწია, მაგრამ წვერში ის კი არა, სხვა გაიოცქმართა. აღელვებული იყო. მამამ მარჯვენა ფეხი აიწია, ზუსტად დაუმიზნა და მუცელში ძლიერად ამოჰკრა. ბიჭი ტკივილისაგან ჩაიკეცა. მაშინვე მივხვდი, რატომ პირ-ველს ხელებზე არ მიაწყდნენ: წვერწვერ სამი შეიარაღებული კარაბინერი მოდიოდა, მათ უკან ხელს ნაბიჯით ლეიტენანტი გარსის ეეები ხშეული მოდგოდნენ, ყველამ იქით გაიხედა.

დიახ, მათ გადაურჩენიათ, ყველანი უმოძრაოდ იდგნენ, ვიდრე კარაბინერები არ მოვიდ-ნენ და მხუქენი ლეიტენანტიც არ მოვიდა.

სამი წუთის განმავლობაში ყველანი მხოლოდ ერთმანეთს შეჰყურებდნენ. ბოლოს ლეი-ტენანტმა ქოშინით თქვა:

— აბა... დაიშალეთ...

ეს უფრო პირის ნიშანს ჰგავდა, ვიდრე გასაგონ ამოსუნთქვას, ვიდრე სიტყვებს. მარ-თლებისაგან რომ მისდევდა, გავიდა კიდევ სამი თუ ოთხი წუთი, სანამ ლეიტენანტი მკაფი-ოდ იტყოდა:

— გირჩევნიათ მან წასვიდეთ ან სამუშაოდ გაბრძანდით, დღეს ორმაბათია და თუ ქარხანა-ში არ გამოცხადდით, ეს ნახშირი ძვირად დაგიჯდებათ. ისიც გყოფთ, რაც ჩაიდინეთ. თუ არ დაიშლებით, სხვა ზომებს მივიღებ, ამ კაცს თქვენთვის არაფერი დაუშავებია.

— ჩვენ მხოლოდ შურს ვიძიებთ! — ჩახლეჩილი ხმით წამოიძახა ანტონმა. — წინ გორდა ყველანი უნანმაროდ დავრჩით.

ლეიტენანტს მუნდირის ყელთა ღილი შეკრული ჰქონდა, თითქოს ამჯერა ეცვა. უწყა-ლოდ რომ უჭერდა ოფლიან მსუქან ტანზე. მის უზარმაზარი თეთრი ცხენისხასიათით აჭარხლე-ბული პირისახე და სქელი კისერი მოიწმინდა. ხელი, ალერსიანი ხმით ალაპარაკდა, გაგა-კვირვებოდა კიდეც, ამოიღენა ლეშმა ასეთი ხმა რისგან ამოსდიოდა.

— აი, მე თქვენს ნასახარსაც მივაკვლიე, — უთხრა მამას, — წუხელ პირველი ტომარა აღმოვაჩინე.

ყველამ ლეიტენანტს გადახედა.

— მაშასადამე, დანარჩენიც...— წაიბურტყუნა ანტონმა და გაიკეთა ახალი [illegible] მილი-დანი.

— არა, მხოლოდ ერთი ტომარა გამოგვ[illegible], ამ ღამით ჩამივარდა ხელში.

მანამდის ასე დამალული მომტერებოდა ლეიტენანტს, მეც კი დავივიწყე. ჩემს მხარზე მიხუტული მკლავი უდროოდ ჩამოუვარდა. მამა ჩუმად იყო, არაფერი [illegible] დავინახეთ, რომ ჩვენი სახლის [illegible]დან ერთი კაცი გამოვიდა. მაშინ [illegible] მერია და არც დედა [illegible] არ გამოიქცნენ, თუმცა, რასაკვირველია, ხმაურს გაიგონებდნენ. ახლა მათ [illegible] და არ უშველიდნენ. როგორც კი ის ერთი კაცი ანტონის ჯგუფს შეუერთდა, სოფლელები [illegible] მოშორდნენ [illegible], თან [illegible] რაღაცას ეჩურჩულებოდნენ.

ლეიტენანტი, მამა და მე [illegible] კარიბჭისკენ [illegible] სახლისკენ [illegible] გზას რომ დავადექით, მერია და დედა შემოგვეგებნენ. მამამ [illegible] წინაშე სახ-ხლი [illegible] [illegible], სიბნელის გამო [illegible] [illegible] მერია და დედა მოგვიახლოვდნენ და შეშფოთებული შემო-გვცქეროდნენ, მამამ [illegible]: „ნუ გეშინიათ, ყველაფერი რიგზეა", [illegible] [illegible] ჯერ არც შეშუშდებოდა და არც [illegible], ხოლო [illegible] [illegible] ქალებმა ჯერ შეამჩნიეს.

[illegible] რომ [illegible] ლეიტენანტი [illegible] ჩვენი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] ლეიტენანტი [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] რომ [illegible] ლეიტენანტი შვიდი წლის წინათ [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] იყო, [illegible] და [illegible], [illegible] [illegible] არ [illegible]. ხოლო-მა არ [illegible] და [illegible] [illegible] არ [illegible].

მამა ლეიტენანტს წინ დაუდგა, ცხვირსახოცი [illegible] წარბზე მოისვა და შეეკითხა:

— ხომ?..

— [illegible]... თქვენმა [illegible] [illegible] ერთი [illegible] წინ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] თქვენი მეორე ტომარაა, რომელიც...

— არა, მეორე არა, უკანასკნელია, მე ორივე ტომარა დავკარგე.

— ახლა [illegible] [illegible], რომ [illegible] თქვენც [illegible], თუკი [illegible] ერთი ტომარა...

— არა, — [illegible] [illegible] [illegible] — [illegible] კი არა, უკანასკნელი ერთი ტომარა.

— თქვენი ერთი ტომარა, — [illegible] ლეიტენანტმა და [illegible] [illegible], — [illegible], მე არ [illegible] [illegible] [illegible], რომ თქვენი [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] წინ [illegible] [illegible]. მან [illegible] [illegible] [illegible], [illegible] და [illegible]. ჯერ [illegible], [illegible] [illegible] ერთი [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] უნდა [illegible], რომ ის ერთი [illegible] ტომარა...

— ერთი უკანასკნელი ტომარა, მე ხომ უკვე გითხარით.

— ...ის ერთი ტომარა, — [illegible] ლეიტენანტმა [illegible] [illegible] [illegible], — [illegible] ხომ არ [illegible] [illegible] [illegible] [illegible]? კეთილი, კეთილი... [illegible] [illegible] ერთი ტომარა, ერთი უკანასკნელი ტომარა, [illegible] კი [illegible]. [illegible] [illegible] [illegible]-დეთ.

[illegible] მამას, [illegible], არაფერი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] რომ [illegible] და [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible]-[illegible].

— როდის დაიმალეთ(?) [illegible]? — შეეკითხა მამა და [illegible] [illegible] [illegible], ცხვირსახოცი [illegible] [illegible].

— როცა [illegible] [illegible] [illegible].

— [illegible]?

— [illegible] [illegible] [illegible] არ [illegible], [illegible] [illegible] [illegible]. მე [illegible] [illegible]

მელოდება: გახაჭირობა რომ ბიჭულა ახეთ ხაზარელ ღამეს კლდეებზე ცილობით რამდენიმე კილომეტრის ნაბიჯით იმოგზაურებდეს. თქვენც მელოდებით, — თქო ბებიასა და დედას მიუბრუნდა, ბიჭებზე რომ აღგნენ და მათ ხაუბარს ყურს უგდებდნენ, — ძალზე ... ... ეული, რა ფასიც აქვს თქვენთვის ნაბიჯს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თქვენ მათ ეშინიხურებით? — შევეკითხე მამას.

— ლეიტენანტმა თვალები დაახამხამა.

— მათ? — უცებ ვერ მიხვდა. — ჰო-ჰო, ჰო, მათ.

— ჩვენთან კი ცხოვრობით.

— მე გაზრდილს მოძღვრენ. თქვენც თქვენს მშობლებს.

— მაგრამ ვეუბრძვით.

— ცხოვრება ასეა მოწყობილი: ქარხანაშიაც ხომ თვითეულ ნაწილს ერთი რომელიმე მუშა აკეთებს და თავის ადგილს სხვას არ დაუთმობს. განა შეიძლება ითქვას, რომ ეს მუშა სხვა მუშის წინააღმდეგ მიდის?

— ეს სხვა საქმეა, უბრალოდ წყობაა უკარგისი საქმიანის მეიდეველი რომ იყოს, ყველა მუშისათვის გამართლებული ადგილი. ახლა მე შეგეკითხებით: რა ღირს კარაბინერის შრომა?

— წყვილისის ლეიკეს განხაზღვრული ხოფასური არა აქვს.

— არა, აქვს. თქვენი მუშაობის ხაფასური ის ხელფასია, რასაც ისინი გაძლევენ.

— ცოტას გვაძლევენ.

— მიწისქვეშაც დიდად არ გვეხარჯებიან.

— მეც მაგიქრია ამაზე, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ მთავარი არც ლიფასნება და არც ხელფასი. ისინიც, როგორც მეც, ჩვენ ყველანი ერთი და იმავე წყსებზე და კანონებს ვემორჩილებით ... თქვენთან ერთად შევავთვალიერე იქედან გავიგე, რომ თუკი ამ ლიფტებიდან, ზემოდან რომ გვიწევს ჩვენ ჩვენი შრომის იმედიც გვაქვს, ჩვენი ბედიც, მოსვენებულობისაც, რა თქმა უნდა, ნებადართული ხაზღვრებში, ანდა ყველაფერით ერთად. თუ გავიმარჯვეთ, ხამალავიდან ამოვყვებით თავს და როგორც თანახწორი თანაწყობი, ისე მიყენებული ჩვენს ბატონებს ხელს შევძვრეთ, როცა მთლიანად ამოვალთ, ყველა ხვრელს ამოვაქოთ. ჩვენ ხომ მაღლა ვიქნებით და რაღად უნდა ვიტიროთ თან ჩვენი უიღბლო ძმები, აქ ქვემოთ ჩვენთან ერთად რომ ცხოვრობდნენ. — ამოიოხრა, უფრო ხმადაბლა წაიბურტყუნა ლეიტენანტმა და ისევ გაჩუმდა. — მაშინ თქვენც გეშინიებით თქვენს ბატონებს და ... ამ ზეცისკენ ბოლოკლებმა მთლიანად დაუბრუნეს ხაზმარი?"

აცა მერმედ შეტრიალდა და გულის ჯიბიდან თავისი ჩვეული ... მერე გადმოშალა და ... გვიჩვენა, ხადაც გრძელი ხაზ იყო ჩამოწერილი ... გვერდი, ხოლო ... ციფრები — ლეიტენანტმა მათ ... ცხვირთან მიუტანა. მე თვალი მოვკარი, რომ ხაზში ყველაზე ბოლოს ხაზის ხაურვალი ეწერა. ... 70 კგ და 70 კგ.

... ... ... ... გავიფიქრე, რადგან გულის ხიღრმეში არ მჯეროდა, ნაბიჯი რომ შევეჩრჩენოდი.

— ეს ხამოცდაათი კილოგრამი მეხამლოა ... ციფრი იყოს, — თქვა ლეიტენანტმა, რეგული ... მაგრამ ... არ ნაღდეია. მაშამ ... ძან ... გადახდეს.

— გახაკვირია, — თქვა მამამ, — შინ არ შემობრძანდებით?

ლეიტენანტი მამას გაჰყვა. მამა კარიბჭეზე ავიდა, დედა და ბებია უკვე შინ იყვნენ. მე ყველაზე ბოლოს მივდიოდი, ლეიტენანტს მიყვებოდი იგი ... წაიწევდა წინ, თითქოს მარტოობა ყოფილიყო. ხამივე კარაბინერი მისი ძრახვებით ... დარჩნენ.

ოთახის ბოლოს იყო ერთი პრიმუსი და ... გადიოდა, მეორე ... ოთახის კარს ბებია ჩამოფარებოდა, ... ფეხები მოეკეცა და ლეიტენანტს ... შეეხედა. როცა ლეიტენანტმა ხამივე შეხედა, ბებიას თვალებში შიში ... მაგრამ ეს წამიერი ... იყო, ... ლეიტენანტმა შეხედა ... შეეკითხა და ... კარისაკენ გაემართა, ალბათ იფიქრა, რომ ... ლეიტენანტს ... თუ ... ... რომ ... ბებია ... ... ...

... ... ... ... ... ლეიტენანტმა თქვა:

— არ მინდა გაწყენინოთ, მაგრამ უნდა გაგჩხრიკოთ, ეს უბრალო ფორმალობაა. საქმეს უნდა მოვრჩეთ.

მაგრამ მამამ თითქმის უბრძანა:

— კარგად დაათვალიერეთ.

ლეიტენანტმა მამას მიანათა ფარანი და წამით შეათვალიერა მისი მტვრიან-ტალახიანი კოსტიუმი, მშრალი თვალები და გახეთქილი წარბი, საიდანაც ჯერ ისევ ხადიოდა სისხლი, მერე ფარანი მოაშორა და მამაჩემის პირისახე ჩრდილში ჩაიძირა. ხოლო შუქმა მიწაზე დაიწყო ბორიალი: ჯერ ნახევარი წრე შემოხაზა, მერე რაღაცნაირად გადმოიბრუნა ერთი წერტილიდან, ზიგზაგა მიადგა, მერე ნაგლის ორმოს კიდეებს (გუშინ განიერ საფლავიდან ამომყარეთ) და ბოლოს ჩააქრო. ამის შემდეგ ლეიტენანტმა თქვა:

— გასაგებია. ორი ტომრის მეტს ეს ვირი ვერ ზიდავდა.

მან ფარანი ჩააქრო და შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიდო. ერთ ხელში რევოლვერი ეჭირა, მეორე ვირს მოუთათუნა ზურგზე.

— ჯერ მთლად სველია, ესე იგი, ოფლიანი. რატომ გარეთ არ გაიყვანეთ, რომ ოფლი შეაშროს?

პასუხს არ დაელოდა, მობრუნდა და ქუჩაში გასასვლელი კარისაკენ გაემართა. მამა წინ გაუძღვა, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო. ლეიტენანტი მაშინ დაეცქეროდა, იგრძნო, რომ ფეხსაცმელი საოცრად რბილ ნიადაგში ჩაეფლო.

— უმჯობესია აქეთ წამობრძანდეთ, — უთხრა ხრინწიანი მშვიდი ხმით მამამ და ჯანმრთელი ხელით სახლში გასასვლელ კარზე მიუთითა, საიდანაც შემოვედით.

ლეიტენანტმა ფარანი კვლავ აანთო და საკუთარ ფეხებს მიანათა. იგი ზედ კართან, მიწით ავსებულ ორმოსთან იდგა.

საფუძველს მოკლებული წინაგრძნობა და შემზარაობა, — აკი შეიძლება იმის განსაზღვრა, რაც ლეიტენანტის უზარმაზარმა ტანმა შეიგრძნო. თითქოს შემთხვევით მოვარდნილი ტალღა, ეთერში რომ დაიხეტება უგზოუკვლოდ, ლეიტენანტს თავს გადაევლო და გაურკვეველი შფოთი ჩაუნერგა. ფარანი კვლავ შეტოკდა და მისმა შუქმა უეცრად დაიჭირა, მერე მამასაც მისწვდა, მაგრამ მან მხოლოდ თვალები მოჭუტა, აუღელვებელ პირისახეზე არც ერთი კუნთი არ ათამაშებია.

ლეიტენანტმა ფარანი დაუშვა და რევოლვერი გაანათა. „ძლივს, — გაიფიქრა. — ახლა ეგ ხანი გამოჩნდება ბოლოში და ყველაფერი დამთავრდება". მაგრამ მან მხოლოდ რეზინი შემოუშვირა რევოლვერს, ჯიბეში ჩაიდო და ფარანი ჩააქრო.

— კეთილი, — თქვა და ჩვენკენ გამოტრიალდა. ჩვენი მოჩვენება, ფერმკრთალი გაუფრთხილდა.

## 55. ბებია

ვიდრე ხოსეფა ხიმენო სამზარეულოში შუბლზე ჭრილობებს მბანდა, კვლავ პატარა ოთახში შევედი ფერმინის სანახავად და სალოცავად. მას შემდეგ, რაც არ მიოხველები, ლოცვა არ შემიწყვეტია, მეტი დუმილი არ შემიძლია, ის უნდა ვკითხო ფერმინს, რაც ამერ ორმოცდაათი წლის წაწუხებს.

— ფერმინ... ფერმინ, — ვეჩურჩულები და მის თავთან ვიხრები. — გესმის? უკვე რამე ფერმინ? რისთვის ლოცულობ? რა გვემართება, როცა ჩვენი სხეული კვდება? ნუთუ აღარაფერს ვგრძნობთ და სხეული უმიზეზოდ ტოვებს სულს?

ფერმინი პასუხს არ მცემს, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი ესმის.

— მე მგონი შენი გარ. ფერმინ... მიხრწნილი ქალი ვარ, ფერმინ, ჩემი ახალგაზრდობის მოგონებებს და რაიც ჯერ კიდევ არაფერი ვიცი. მწამს, მაგრამ არაფერი ვიცი. მწამს, რაც უნდა მწამდეს. როგორც ყველას: მეც რწმენა მჭირდება. შენ აქ წევხარ, საბრალო, მაგრამ ნამდვილად ბედნიერი, ყველაფერის მცოდნე, რადგანაც შენ უკვე შეიცან დიდი საიდუმლო. მე შემიძლია ხელი გახლო, ჩვენ ერთ ოთახში ვართ, მაგრამ რა შორს ვიმყოფებით ერთმანეთისაგან! შენ შეიცანი! შენ იცი! რატომ არაფერს მეუბნები? ნუთუ აქ ყველაფერი ისე, როგორც გვიქადაგებენ? ყველაფერი ისე არაა, მაგრამ ცოტა რამ ხომ მაინც არის მართალი, რასაც ლამაზად გვიყვებიან? ხომ კი?

მან ალბათ არ იცის, როგორ მაწამებს, როგორ მეცინება ახლა, მაგონდება.

— მომისმინე... მე მხოლოდ მინდა გავიგო, ნახე თუ არა რამე იმ მხარეს, ცოტა რამ, სულ ერთია, თუ ახლა, ჩვენი მოძღვარი ხეწვით შეგიხვე მე ვეკითხებოდი.

მაგრამ დრო წავიდა და ზღვრის ნაოჭიც არ იშლება.

— ნუთუ შენგან ადარაფერი დარჩა, ფერმინ? მთლიანად ხორცი, მაგრამ რომ გამიჩინეს? ნუთუ შენ ვერაფერი ნახე?.. მე ხომ მოხუცი ვარ! შეარხიე ზეწარი!

უცებ რაღაც ჩრდილი წამოდგა თავზე! ხობლის გულგამგმირავი კივილი ჩემკენ მოიწევს.

— თავი დაანებე ჩემს შვილს! ნუთუ ვერ გაიგე, რომ შენ საუკუნოდ დაკარგული ხარ?

მან ხელი მომკიდა და თითისტარი გამართვა.

— ღმერთო! ღმერთო! — დაიძახა, — მე მწამს, მწამს და მინდა მწამდეს ისე, როგორც განგიზრახავს. მე მწამს, ღმერთო. მწამს. მწამს მწამს. მო, მო, მე მწამს შენი!

# XVI

გავიდა ორიზმბათი, ბარქუმი მოდრუმბლული ღამე, ასამბათი დილით მან ხუანის ლაკუმბერი გამოგზავნა და გადაწყვიტა „მოხუცის ანტონიო დელატორენტს" უთხრა, ყველაფერი მოიგონე, სამანს ლაკუმბერისაგან ურემი არ წაიყვანოთ".

მამის ორსულობის პირისახე შეუშმუშდა, მიდურდოთ-მოწითალო ფერი დაედო. წინბიც გაუხსნდა, მაგრამ ხისხლი აღარ ხდიოდა; ცეცხლი თავი ზეწრის ნაზვეთი შეუხუა ია, ხელი კი ისე ჰქონდა დაშვებული, ვერაფერი მოუძებნიათ.

— ქმრის უნდა დავუძახოთ, — უთხრა დედამ, — მოეჩხილი ცეცხლი.

— ულ ძმებიც მოვიდნენ, — უპასუხა მამამ მშვიდად და მარცხენა ხელი მარჯვენისკენ ფეხიდანაც წაიღო. — ხვალ უკვე ეკვიმოძრავებ.

იმ დღეებში რომ გავიდა, მეორეს გავიგეთ ნამდვილი მიზეზი, რატომ არ უნდოდა მამას ქმრის მოყვანა.

ოუტანელი იყო ლიდიანი, მუდამ მამას ქვეშ დადის, აუტანელი იყო ღამამდის. ხელოსაქმეული ცხოვრება, ჩვეულ სახლი ნამდვილ ბავშვისას დაემსგავსა, ხოლოც ფერმინის განადე ბარქუმი სიტყვაძეორი. მოუკარებელი ცოცხალი არსებებიც იმყოფებოდნენ. იმ უხეშლების მანძილს შეუდგა ყველანი გამოუცვლელი, ახრჩოლებს დაემსგავსნენ, მოუსვენრად რომ წრიალებენ. დედა თავს ძილის იყენებდა, ქმრისაგან არ განერიდებოდა აქვთიანებული, ამიტომ რაღაც გამოეცოცხლება, რაც მან მიდგამსებით მოიმოქმედა. მან თავად აიღო მოვალეობის დამატებითი ტვირთი და მთელი ოჯახის ზნეობრივ საყრდენად იქცა. თავისი შეილების ამწევალი გახდა განწირული მეკობრეობიდან გამოსავალი რომ მოენახა. ხმა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა უარი ეთქვა თავის რელიგიურ რწმენაზე, იგი განუდგა ღმერთის ამქვეყნიურ, რომ ბრძოლაში ჩამრას დროს სამუდამოდ ჰქონოდა გაეღწია მოეხდინა ბედზე, მართლა ღმერთს ნებას არ დანებდებოდა, ეს ზღვას გაიწოდებოდა რიგი იყო, როგორც თვითონ ფიქრობდა, არამედ სოფლური ძალების არათანმიმდევრული დამაგვა, შვილებში მორჩილების ნასწავლი მიღწევების თავგანწირულების რომ მოითხოვდა. მხოლოდ მაშინ შეხსნიდნენ თავისი სოფლური სიძლიერის წყალობით ჩვენკენ გადმოცხადა გულდრიალი შვილის ხასიათი, მაგრამ ცუდად ვერ დახმარება ის რისკენაც უხმობდა და რისთვისაც აშენებდა საკუთარ თავს.

კოსმე წლეულებისათვის ქარხანაში დადიოდა. მან მხოლოდ ბოლოს რიგ საათზე ბრუნდებოდა. თუკი ზედმეტი სამუშაო არ იყო. დილაობით ვერ ვხვდებოდი, — მაშინ მიდიოდა, როცა მე ჯერ კიდევ მეძინა, საღამოობით კი დაღლილი და მოღუშული ბრუნდებოდა. არავის ხმას არ სცემდა, მისი ნატიფად ხაზი შემჩნეოდა და წყენას გამოხატავდა თავის სახეზე უსიტყვოდ ღვთობდა, დროდადრო ლაუფერავი ბრაზით ყალიბდებოდა ხოლმე. გვიან, ბრაზიანი წლის შემდეგ მივხვდი მისი გაბრაზების მიზეზს და გამოიცა მისი მიზეზი უფიქრობის არსი: იგი მამის წინააღმდეგ იყო განწყობილი. თავში ჩაიდო აზრი, მამა არის დამნაშავე, მე რომ ამ მკაცრსა და უმადურ სამყაროში ვცხოვრობ. თითქოს მეორის მარცხენა დაიმანა მამას ჩვეულს ორმოცში საკუთარი ხელით და ორს ეთქვას: „აქაა საუკუნოდ შენი ადგილი, მშვიდად იცხოვრე, ამაოდ ნუ გაირჯები, თავად შრომა არ მოგცემს აქედან აღორძინების საშუალებას". ამიტომაც ერთად კოსმე თავად ხედავდა, რომ მამა არაფერ ცხოვრების ყველა გასაჭირს უძლებდა, არამედ თითქოს ცხოვრების აზრსაც მხოლოდ ხედავდა, გადაუჭრელი მდუმარება და მზად იყო ყველაფერი ეტანა: დაღლილობა, მარტოობა, თვით ახლობლის სიკვდილიც კი, რომ კიდევ ერთი დღე ეცოცხლა. ხელ რაიმეზე ამჯობინოდა და ხელმომჭირნეობა წელგაუმართავად ქირობა, ამ უპირველეს მიზეზით და იმავე დროს სავსეული, ეს ამტანობა და შრომისმოყვარეობა ნანდვილად ქონდას უთვისებდა კოსმეს და საკუთარ

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

— [illegible]

[illegible]

— [illegible]

— [illegible]

— [illegible]

— [illegible]

— ჰო.

[illegible]

[illegible]

— [illegible]

[illegible]

ფიჭვნარი და, ვინ იცის, კიდევ რა. ჩემი მზერა ძალდაუნებურად გაურბოდა [illegible] თითების კიდეზე შეჭყლეტილ [illegible] დაეცემა(?) თავის [illegible] ვერ [illegible].

— მოიცე, — ჩამჩურჩულა [illegible] ხმა, — [illegible], ნუ ბღავი, — მან [illegible] [illegible] თითი, — მინდა [illegible] ...

[illegible] ბინძური, [illegible], [illegible] [illegible] თავში, — [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible].

— [illegible]. — [illegible], [illegible] იყო [illegible], [illegible] ღამით [illegible] ამოცურდა და ხელში [illegible] [illegible] [illegible] ფეხი [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ღამე. [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible], ხელში [illegible] [illegible].

## 56. ანტონი

ჩემმა [illegible] [illegible] [illegible] ზღურბლზე [illegible] იდგა. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] ხელში [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible].

[illegible] ვერ [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

— ეს ხაზარის [illegible]...

[illegible] [illegible], [illegible] წელი არ [illegible] [illegible] წლის წინათ იყო [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible]...

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

— რა გინდა? — ვკითხე, — თქვი, რა გინდა?

მან [illegible] [illegible] [illegible] და ჩვენ [illegible] [illegible] [illegible].

ჩემი [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] ხელის [illegible] ვერ [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] ხელში [illegible].

— თავი [illegible] [illegible], — თქვა [illegible], — [illegible] [illegible] და [illegible], [illegible] [illegible] არ [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible].

— [illegible] [illegible], მე [illegible] [illegible] არ [illegible].

— [illegible] ეს [illegible], ხაზარს ყურები არ [illegible]? — ვკითხე [illegible].

## 57. ნერგა

ღამით [illegible] [illegible] [illegible] მოვიდა. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible]. [illegible] [illegible], [illegible] [illegible] რა უნდა [illegible] [illegible] ქალის [illegible] [illegible], [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] დაიწყო.

[illegible] [illegible] და [illegible] [illegible].

[illegible] [illegible], [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] და ხელი [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible], [illegible] [illegible], [illegible] [illegible]. [illegible] [illegible], [illegible] არ [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] და [illegible] [illegible] [illegible].

— შე საწყალო, — ვჩურჩულებდი, — რაში გინდა?

[illegible] [illegible], [illegible] [illegible] და [illegible] — [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible], [illegible] ხელები [illegible] და [illegible] [illegible]. [illegible] ხელში [illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible]



ეროვნული ბიბლიოთეკა

კარს მიადგა, მაგრამ არაფერია, უნდა მოვითმინო და არ ვიყვირო, როცა მისი ჭრილობანი ესი ძაფსაწნის და ტილოები ხორცში ქსოვდა.

— შმე, შმე, მე სიცივილი, — ვეძლერიყავი.

ძალიან იკბინება, ვგრძნობ, რომ სისხლსა მწოვს, მაგრამ ყითმენ, არ ... ტკივილი ... ტავს. ის კი წოვს და წოვს. სხვა ანტეტები გალიაში ბტუნავენ, თითქოს, ... ქის გაიგეს, რომ მათი ძმაკაცს, როგორც იქნა, სისხლი მიხვდა.

— ახლავე გაჭამეთ თქვენც, ახლავე გაჭამეთ, — ვაჯუბნები მათ.

## XVII

კოსმეს რამდენჯერმე დავუძახე, მაგრამ ჩემი არ ესმოდა ან არ სურდა გაეგო. იგი გარბოდა ამ ადამიანივით, ვისაც თავის მოკვლა გადაუწყვეტია, ვისაც მხოლოდ საკუთარმა უხეშმა ცხოვრებამ კი არ უბიძგა ამისკენ, არამედ ახლობელთა ცხოვრებამაც და სურს ... და ყველაფრისათვის ერთბაშად გაუსწოროს სიცოცხლეს ანგარიში.

ძოსიუცი ანტონის სახლს რომ მივუახლოვდით, სამივე ოჯახი შევაწუხე. ბიცემანი დიდ ორსართულიან სახლში ცხოვრობდა. ის არ მგავდა სხვა ძველ სახლებს, რადგან წინ ბაღი არ ჰქონდა. ანტონის მიწაყრილი ხარიხული კარგა ამართლებდა, ... არ ... ხუთ ეზოსთან მარჯვნივ ... ნარიხულის პატრონის ... არ ...

კოსმემ კარი შეაღო (კარი დაკეტილი არ იყო) და თითქმის გრიალით შევარდა. მეც ფეხდაფეხ მივყევი. კოსმე მეტი სამზარეულოსკენ იყო, მერმე სუნთქვის ... გამოსვლისათვის ხელები ეკავებოდა. მის წინ მიგდებული მოხუცი ანტონი, მისი ცოლი და ... გოგო უსხდნენ, კოსმეს უხეტყვეკლად მიაჩერებოდნენ. ისინი თითქოს ხტუნვის ელოდნენ და გაბრწყინებული ... ჰქონდათ, ძველი ნივთები, სამზარეულოში მიდიოდნენ არ შეეძლოთ. ეს ნივთები ... სამზარეულოში ... უნდა ხყიდე, და ამისთანა ერთად ... აშობინებდა.

— ახლავე წამოდით! — იყვირა კოსმემ.

მას არ უთქვამს, ჩემი ოჯახისთვის მიყვედით, ან თქვენ სხვისი თავი მოაოკლეთო, უზრალოდ იყო, ძომეცითი თითქოს თავისთავად ნათელი იყო, რისაც გულისხმობდა ისინი, რამდენიმე ... მიიხედნენ, ... მოხუცი ანტონი შეეცადა ... ... რაც ... რომ მეტი დუმილი არ შეეძლოთ, ბიცემანი შეეკითხა:

— განა წყალი სახლში ისე შემოდიან?

— თქვენსას ხომ სულ ცეცხლი, როგორც შემოვიდო, ... ... ახლავე მოდით.

— მოვდივ... რა მოვდივ?

მოხუცის ხაფრთხეს ... მისი ... გამოიყვანა, იგი ძაგლდებიან მოაწია და ... ... ... მისი ტლინკა, მრიხავდა და ... ... კი არ ამაგებდა, არამედ მუქარით ხელზე ყრუ ხმა, ამ ხმას აიძულა სამი ... ... ... წამომხტარიყო. ... ... ... ხან ... ხან ... ხოლო როცა კოსმემ იღრიალა, მე თქვენ ... ... ... ... ... ქალი ... ... გადაყარებდა. ... ... ... ... გამოდნენ.

— ... ... ... ახლავე არ მოვიყვანთ, ... ... ... გადმოვა!

... მე ... ხელში ... ქალი და ... ... ... ... ... ... მე რომ ... ... ... მაგრამ ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... სამზარეულოში ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... რამდენიმე წუთის შემდეგ კოსმემ ... მე ... ... ... ხელში იდგა.

შინ რომ მივედით, მითხრა:

— არ მინდა ... ... ... ... ... ... და ... ...

დაჩრჩენილი ... ... ... ... ... მაგრამ ... ... ნაბიჯებს შეწყობილი ... ... მისი ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ... ...

— ალბათ შეგეშინდა, როცა თოფისწამალი მოგაწოდე.

— ჰო, — მიუგე, — მაგრამ მერე გავიფიქრე, რომ სახლს მაინც არ ააფეთქებდა. ის რომ გქონოდა გულში, ქალს ხომ არ მოიცდიდა.

— საქმე ისიდაა, რომ შეტრიალებულიყო, საკუთარი ხელით ავაფეთქებდი მთელს სახლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XVIII

სკოლაში კვლავაც არ დავდიოდი. შემეძლო თვალი მედევნებინა იმისათვის, რაც ირ-გვლივ ხდებოდა, იმ ხომბაბათამდე, როცა კნუტები, კატამ რამდენიმე დღის წინათ რომ დაჰყარა და, ლეღვის ძირას ხედ გაქრნენ, ისევ გამოჩნდნენ ღვრიფანში, კნუტებმა ძამიკოს პატარა ოთახს მიაშურეს.

შინ ყველაფერი ძველებურად იყო. ჩვენ მამას ნება-სურვილს ვემორჩილებოდით. მამას ეგონა, ამ ბუტანელ მეგაძარეთის მაშინ მოეღებოდა ბოლო, როცა ლეიტენანტი თავის რევ-ოლვერში ბოლო ტყვიებს ჩვენ სახლს გაავლებდა.

მაგრამ ცხოვრება ჩვეულსავით მომთმენი და მორჩილი როდი იყო; მიუხედავად მამაჩემის ნება-სურვილისა და სიფრთხილისა, ამბები თავის ნებაზე დატრიალდა, ცხოვრებამ თავის მორევში ჩაგვათრია — დასასრულის დასაწყისი ახლოვდებოდა.

მართალი რომ ვთქვა, ჯერ კიდევ არავის ვფიქრობდი ამაზე, როცა ჩვენ — დედას, მე-მიკოსა და მე — ნერეს ყვირილი მოგვესმა. ავვარდით კიბეზე და ასეთი სურათი დავინა-ხეთ: კნუტები ჩემი დის ხელიდან გასხლტომას ლამობდნენ, სასოწარკვეთილი ნერეა კი მათ შეკავებას ცდილობდა. ნერეამ ჩვენ რომ დაგვინახა, გულშემზარავი ყვირილი მორთო: „რა-ტომ გამოიქეცით? ახლა თქვენ მოგკლავენ!“

დედა ფართო, მამაკაცური ნაბიჯით, თითქმის სირბილით გაემართა იქითკენ. თავშალი მხრებიდან ჩამოუცურდა და ზურგზე აუფრიალდა, მაგრამ ამას ყურადღება არ მიაქცია. იგი ნერეასკენ გარბოდა, მე ძლივს მივდევდი. ჩვენ ერთად შევარბინეთ ოთახში.

დედამ ყრუდ დაიკივლა და კნუტების დასაჭერად ეცა, მაგრამ ისინი გაშმაგებით იფხაჭნებოდნენ და დედასაც ხელიდან უსხლტებოდნენ. ვერც მე შევძელი მათი დაჭერა. როგორც იქნა, ორი კნუტი ხელში მოვიგდე და როცა მეხამე გამოვედევნე, ერთი მაინც გა-მექცა. ბებიაც ვეცხმარებოდა; წყლიდან მოწვრილი ნიფხავით იძახდა: „ფის, ფის, ფის...“

მამაც მოვიდა, ჯემპრი გაიძრო (მარცხენა ხელს აწვებოდა, მარჯვენა უსი-ცოცხლოდ ეკიდა) და კნუტი გაიშინაურა. როცა გავთავისუფლდი, დანარჩენებს გამოვედევ-ნე, ორივეს გაბედულად ჩავავლე ხელი და მამას მივეცი. მან კნუტები ჯემპრში გაახვია, სახელოები და ქვედა ნაწილი მსხვილად გაუნასკვა და კნუტები ტყვეობაში აღმოჩნდნენ.

— აქ მომეცი, — თქვა დედამ, მამას მოძრავი შეკვრა ხელიდან გამოსტაცა და ოთახი-დან გავარდა. ჩვენც მას გავყევით. ნერეაც უკან გამოგვედევნა. მაგრამ დედის გადაწყვეტი-ლება მტკიცე და ურყევი იყო. გზაზე კოსმე შემოგვხვდა, შინ კალათით ხელში ბრუნდებოდა.

— რაიო? — იკითხა კოსმემ.

დედამ არაფერი უპასუხა. სადამოს ბინდი ჩამოწოლილიყო და დედა მალე სიბნელემ შთანთქა. ჩვენ ბოსლის კარამდე მივყევით, მაგრამ მამამ გვანიშნა, შეჩერდითო, და ჩვენც შევჩერდით, თვითონ კი ნელა განაგრძო გზა, თითქოს სულ არ ნაღვლობდა, რით დამთავ-რდებოდა ეს ამბავი. იგი მიდიოდა, რადგან მიაჩნდა, რომ უნდა წასულიყო და, თუ საჭირო იქნებოდა, დედას მიეშველებოდა.

ნერეამ კვლავ წივილ-კივილი მორთო, ადრინდელზე უფრო სასოწარკვეთილი, და მშობლებს გამოედევნა. მე და კოსმემ ძლივს დავიჭირეთ, ისე გამწარებული მიიწევდა თა-ვისი კნუტების დასახსნელად. თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ კი მდუმარე და ჩაღუშული დედ-მამა დაბრუნდა. ჩვენი იმავე ადგილას ვიდექით ჭიშკართან და მღელვარებით ველოდით მათ დაბრუნებას. მამას თავისი ჯემპრი ჩაეცვა.

### 58. ბადრე ეულოხიო

ნუშის მოახლე მარიამ ეისმის ნარჩენები გაატანა და დამემშვიდობა. ძილის წინ ლოც-ვად დავდექი. უცებ მარიამ კარი შემოაღო.

— ბატონო, იქ, ქვემოთ ქალია, თქვენი ნახვა სურს.
— ვინ არის? — ვკითხე, — გეიანია.
— ხამისის ცოლია.
— ხამასისა?.. რაო, რა უნდა?
— ალაპარეების თქმა.
კაბინიდან ქუჩაში გადავიხედე. ქალი იქ იდგა, თავშალში გახვეული, თითქოს მიწაზე კიდევ ერთი წრფელი გაწოლილიყო ან ფილაქანთან უძრავი ხე ასვეტილიყო.
— უთხარი, ახლავე ჩავალ.
თავზე დიდი, თბილი შალი მოვიხურე და სახლიდან გავედი. იდგა და შემოსახვლელს მიაჩერებოდა, თითქოს წამებს ითვლიდა. როცა მივუახლოვდი, ხელზე მთვარად მეამბორა.
— წავიდეთ, — ვუთხარი და ეკლესიაში წავიყვანე. ღვთის ტაძარი დიდი უნდა იყოს, მაგრამ ზამთრობით მაინც მყუდროდ ლოცვა ჩანს. სიცივე ქვებშიც არის. ქალმა ალსარებისას დროს ყველაფერი მიამბო. თავზარდაცემული ვუსმენდი. „ღმერთის შევედრე... ღმერთს", ვეუბნები წამდაუწუმ. ის კი მიმალავდა, თითქოს გულწრფელი მონანიებისათვის ძალა არ ჰყოფნის. „იგი ჩემი შვილი იყო, გესმით, ბატონო? ღმერთმა კი არ შეიბრალა..."
— გაჩუმდი! გაჩუმდი! — ვეუბნები აღშფოთებული, — დაიჯერე შენი ხაიმეკ!
მან თავი არ დახარა, თვალი თვალში გამიყარა. მე კი მხოლოდ ერთი რამ მსურს, — ბედს მივუბრუნდე და დარდი შევიმსუბუქო.
— კარგი, ბატონო, — თქვა ბოლოს.
— მაშ შენ ინანიებ?
— დიახ, ბატონო.
— ხომ იცი, ბატარათბორსაც როგორ განწყვეტილია კატეხიზმის. არ უნდა დაივიწყო, რომ წმინდა რწმენა გვკარნახობს ცოდვების მონანიებას.
— დიახ, ბატონო, ახლა მეც მიჭირს ჩემი შვილის ღალატი.
— რას ლაპარაკობ?..
— ჰო, რადგან ეს თვით ღმერთმა ინება.
— დაიცა, დაიცა!..
— რადგან მან ჩემი შვილის სიკვდილი ინება, მის ნებას უნდა დავემორჩილო და უნდა ვისურვო...
ბარზე ხელი დავადე და გავაჩუმე. ჩემიდან მომწყალება განა არ ვიცი, დედის გულში რაც იტრიალებს, როცა შვილისთვის მის მკვდარი შვილი უნდოდეს. ღმერთო კი უკვე ხამშაბათია!
— მაშინვე, შვილო ჩემო, — ვუთხარი. — მოგეტევება შენი ცოდვები. მაგრამ, მითხარი, შენს ხაიმეკს ინანიებ თუ არა?
— დიახ, ბატონო, — მომიგო უყოყმანოდ.
— გულწრფელად ინანიებ?
— ვინანიებ.
ქუჩაში გამოვედით. ვუთხარი, შინ წამოგყვები და შენს შვილს წესს ავუგებ-მეთქი. შემინდობელი შემომხედა და წაიბურტყუნა:
— ქალაქში უკვე ყველა ვაუწყოდით. ახლა კი
— ვინ „ის"? — ვკითხე.
მაგრამ პასუხი არ გამცა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. უკან მივყევი. გზად მუნიციპალიტეტსაც შევიარე, რომ ეს ამბავი მოახსენონ და ექიმისთვის შეეტყობინებინა, მერე კვლავ მდუმარედ გავაგრძელე გზა.

ნ9. ნერგა

მან მაინც მოიკლა შავი კურატი, წრეული კენჭი და მზხლის ყვავილი. წაიყვანა და ზღვაში ჩაახრჩო. მე კი მგონია..
ახლა სარეცელზე ვწევარ. მამამ, კონჭემ და იაზაელმა დამაწყნარეს. ძაღლს დამტრიალებდნენ თავს, კიდეც არ ჩამქონა, არა, კი არ ჩამქონა, დიდიდა და გაჩუმდა. მაშინ ისინი ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდნენ.
...შინ ჩემი კნუტები მომკლა, ჰამაგიეროდ მან შვილი მოუკლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იი. პადრე ეულოხიო

ისინი ვერანდაზე გველოდნენ. ჩვენ სახლს მიუახლოვდით. გაგვიჭირდა ტალახში სიარული, განსაკუთრებით აქ, ბოსლის წინ, კინაღამ ფეხსაცმელი მიც ჩამრჩა, ხოხვით-ფოხვით, ხაბასი, კომე და ახმაელი შემოგვეგებნენ. ეგონებ, ბოსელი არაფერთ ... რომ მოეთოლა, ფერმკრთალი ყრიალებდ კანკალებს, ხელზე ნემსი... ხაბასი დაჟინებით შემოსცქეროდა. ჰო, ჩემმა მოსვლამ საზარელი გეგმა ჩაუფუშა, შინიდან ხაკოდილს საიდუმლოდ ველარ შეინახავს ის, ეს ჯილდები! ჯვარზეც კი ეცმევიან, თითქოს რამეს ... გამდიდრდნენ. ხაბასი, ჩემდა სამწუხაროდ, ერთი იმათგანია, ვინც ბედშავების შემდეგ გალესიაში არ ყოფილა. ჩემთვის ხომ სამწუხაროდ-მეთქი, ვამბობ, რადგან ხაბასი სხვა ჭკუა-გონების პატრონია. როგორ მიხაროდა ჩვენი მეგობრობა. ხასიამოვნო ზანახავა იყო ხოფლის მეღორე და ... ნაფიქრებული, ჩვეული, თავაზიანი ჭაბუკი მრევლთაგანი, რომელიც ის-ისაა ცხოვრების ოჭყვებს და ... მალვას უყურებს. რაღა წავიდა მაშინ იგი ჩემთან? ჩემი რჩევისა დაკარგა თუ ეგლი გაუტყდა? არა, მერწმუნე მე არა ვარ დამნაშავე ჩვენში ყველაფერი კარგად რიგზეა მოწყობილი, საქმე კარგად არასოდეს გვქონია. მაგრამ ახლა, როცა ხაუკუნოს მოწურულს, ძალის და ჩილის უნდა მოვაგვაროთ ჩვენი საქმეები, ... ვეძებთ ვიხსნით.

ხაბასი შემომხედა. მინდა ვირწმუნო, რომ ჩემი ... მიუხვდება მე მისთვის ... და ... ვარ. უნდა ... ხიფათი ... მაგრამ ... არ ვეუბნები, რისი ... შეიძლება ... ბით ვავხებ.

— დიდი ხანია, ხაბას, ეკლესიაში არ მინახიხარ...

ახლა ... მე კი არა, ჩემ ზურგს უკან ეიდაცას უყურებს, თავი ... ხოხვა გაქვავებული დგას ღმერთო, ერთმანეთს როგორ ... დიდი უბედურება და ... ქვეყნის და მონანიების გამო, მაგრამ ხაბასის თვალებში, შემაძლია ... ვერ ვხედავ.

— მასთან მოხვედით? — მოულოდნელად მეკითხება ხაბასი. — მაშინ გამომყევით, მადრე.

ხაბრალო ბიჭს წვერი უზის და ბატარა თავი ... გამოყვლი, ხელებ ბევრ რამდენიმე ... ახლდა. ხაბასი თავისი ... ის ჩვეულებრივად თავდაჭერილი და მშვიდი. ... ყველაფერი ... და ... წყალობისთვის, ... რომ ემორჩილება. იგი ... პატივისცემაც, რა ძალები ხულის ხიმტკიცეს? ასე როგორ უნდა ... არ ვიცი, მაგრამ იქნებ სულ სხვა იმედით ცოცხლობს, ვიდრე მე? თუკი იგი საკუთარი იმედით ცხოვრობს, მაინცდამაინც, არისებობს რაიმე იმედი... უფალო ჩემო, შემინდე მე მოსიყვარულეს: მეშინია იმის გაფიქრებაც, რომ შენ შეიძლება არ არსებობდე, განსაკუთრებით ახლა მეშინია, როცა ჩემი დღეები დათვლილია. არა, შეუმჩნეველად არსებობ და შენი იმედი მაქვს. მაგრამ ხაბასს რისი იმედი აქვს? უნდა ვიცოდე, იგი ცუდი კაცი როდია, თუმცა ... ცხოვრობს ... დიდო ღმერთო, თავდამბლობასა და შემწყნარებლობის იმედი ... შენ რომ არ გიკითხავენ, მაგრამ ასე იქცევიან, თითქოს შეგიცნეს. ისინი ყველაფერს შენ ხილიდეზიდან რადგა აკეთებენ, არამედ... ვისთვის? თუ ასეა, ვისთვის?

იმედზე გამოვყევით. ხაბასს ხელი მოვკიდე და გავაჩერე.

— თქვენ მძიმე განსაცდელი გერგოთ, — ვეუბნები, — მაგრამ შენიანებს ძალა უნდა შთაბეროთ მეტ არასოდეს გეფიქლება ... ნუთუ ასე გჯერა საკუთარი თავის?

— მე მხოლოდ ჩემი შრომისა მჯერა, — უბრალოდ თქვა მან.

— ... მაგრამ ... ცხოვრებისა. მოგწონს ცხოვრება?

— მომწონს.

— მაინც რა მოგწონს ცხოვრებაში?

— რაც შექმნილა, ყველაფერი მეხაიმეხაა...

— შექმნილი ვის მიერ? — დაინტერესებული შევეკითხე.

— შექმნილა, — მითხრა.

— ჰო, მაგრამ...

— განა რა მნიშვნელობა აქვს ... ან ... ამაზე? ... არ ვიან-

და, მუნჯმა პატივი უნდა გცეთ. მაშინაც, როცა ცდილობ. რა მნიშვნელობა აქვს სიტყვებსა და რწმენას?

უფალო ღმერთო, რა მომთმენი ხარ ადამიანების მიმართ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XIX

თერთმეტს, დილის ექვს საათზე მოსამართლე და ექიმი მოვიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ლეიტენანტი გამოჩნდა ორი კარაბინერის თანხლებით გამოცხადდა. დამკრძალავი ბიუროს მანქანაც მოვიდა. ოღონდ ხასიათ გადაწყვეტილი იყო, მაგრამ უკვე მისთვის ყველა დაუმარცხებელი ხუჭუჭთმიანის დაბრკოლება.

წუხელ ბიძიე ეზოში რომ წავიდა, ყველანი გაღვიძებულ ბიჭებზე მოვეშურეთ. ცოდვა, ნერვიული ღამე იყო. ერთმანეთს შეშფოთებული ვუყურებდით, თითქოს ცხოვრების ერთი საფეხური უკვე დამთავრებულიყო და ახლა, ახალი საფეხური იწყებოდა, რომელიც ვის იცის, რას გვპირდებოდა და რომლისთვისაც ჯერ კიდევ მომზადებული არ ვიყავით.

მამა მიხვედრილი დაბრუნდა, სადაც გოლდინი თავს წავიდა. პირში ჩვეულებრივად ბოლოხის ღერი ჰქონდა გაჩრილი, მაგრამ არ ანთებდა. მან პირველმა დაარღვია დუმილი:

— ჩვენ შეგვიძლია საქმე მოვამთავროთ.

დედა შეკრთა, თავი ასწია. მისი თვალები არაადამიანური გამკლავების ცეცხლით ავარდა. ახლა მწუხარებისაგან მოტეხილი ქალის სევდიანი, დაწითლებული თვალები გვიმზერდა.

— ახლა გამიგონიათ მთელი,— განაგრძო მამამ,— ლეიტენანტი და სხვებიც. ის ორი ტომარა ნახშირი, ხელით-მოთქმით, რომ გამოვზიდე, არ დირს იმად. ადამიანი შეეწირება. ახლა დარწმუნებულია, რომ ნახშირი გვაქვს და ამის ძებნას დაიწყებს. ამიტომ ბოლო უნდა მოვუღოთ. ლეკუმბერის ნახშირი მეცვლა მართალია, იმ ნახშირს დავმარხავთ და მეურმეთა ფულიან გადასახადი მოვგვაწევს, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენსას გადავარჩენთ.

მისას მეტი აღარაფერი უთქვამს. დედა უაზროდ იყურებოდა, მერე აქეთ-იქით დიდი და მის წილისმეკასავით, თითქოს ახლა მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო. მხოლოდ მაშინღა გამოჩნდა, როცა ჩვენ (მამა, კოსმე და მე, მას შეშფოთებულმა ზუსტად თითო ფინჯანი ცხელი რძე დაგვილევინა) ლეკუმბერისკენ წასასვლელად გავემზადეთ. ნისლი თითქოს გაქრა, თუმცა ეზოში ის ლოდინი ჯერ არ იცოდა. ჩვენც არაფერი გვითქვამს. დრო რომ არ დაგვეკარგა, მაშინვე ველი ნისლის წავიდა და ურმის დატვირთვა დავიწყეთ. ორივე ცხენი ბლომად: კოსმე და მე, მამა კანკალით ერთად აქაჩავდა ნახშირს, რომ სიბნელეში თოვლზე გასული საწყობიდან წამომდგარი ხეტისონი იდგა და უშველებელი ლოდებოდა. ეგებ ამ ნახშირსა და ურემს ზორბა ჯადო მოხიბლავდა, ისე გამოვედით მეურმეობას რომ გვეზიზღებოდა. ჩვენ ხომ ნამდვილი ნახშირიც არაფერი გვეთქმოდა, არც მეურმე გვახარებდა, არც ახსნა-განმარტებას გვთხოვდა. მხოლოდ წასვლისას გვითხრა: „მართალი რომ გითხრათ, მეც ფული მირჩევნია".

ჩვენი ბოსლის კარებთან ურემი ლაფში ჩაეფლო. ნაჭერს ქვიშამა გამოეყოფა და იქაურობა აღტალახებინა. ერთი წამითაც არ უნდა დაგვეყოვნებინა და სამივ ალაგებს გავცალოდით. მამამ მითხრა, სახლის მხრიდან ბოსელში შედი, ურდული მოხსენი და კარი გააღე. უხმოდ მშვიდობით შევედით, ცოტაც რომ დაგვეყოვნებინა, ურემს ვეღარც ამოვათრევდით ლაფიდან.

ყველაზე ბნელი კუთხე ავარჩიეთ, ნახშირი იქ დავყარეთ და ზემოდან ჩალა წავაყარეთ.

როცა დილის ექვს საათზე უცხო ადამიანები მოვიდნენ, ჩავიცვი და ვერანდაზე გავედი. მამა ერთ დაბალ კაცს უკმეხ შეკითხვებზე პასუხობდა. გვიან გავიგე, რომ დაბალი კაცი მოსამართლე ყოფილიყო, ხოლო მის გვერდით ჩანთით ხელში ექიმი დონ კასენტე იდგა.

მამას მარჯვენა ხელი უმოძრაოდ ეკიდა, წელგამართული იდგა, შავი ჯემპრი ეცვა. შეკითხვებზე მოკლედ პასუხობდა, დაბალი კაცის უკმეხ კილოს ყურადღებას არ აქცევდა. მერე ყველას ძან შეუძღვა. ვერანდიდან ჯორებშებმული ორი ურემი დავინახე: ლეიტენანტი გარხაა და მისი ხელქვეითნი ურმებით მოხულიყვნენ. ვიდრე მამა, მოსამართლე და ექიმი პატარა ოთახში იყვნენ, კარაბინერები ვერანდაზე ბოლთასა სცემდნენ. ლეიტენანტმა მიიხედმოიხედა, კედელზე მიდგმული გრძელი მერხი დაინახა და ზედ ჩამოჯდა, უფრო სწორად, გადაეშვა. ვიდრე მამა გამოჩნდებოდა, ვერანდაზე კიდევ ერთი ვინმე დავლანდე,— მოუსვენარი, მკვარცხლი კაცი, რაღაც გაურკვეველი ფერის კოსტუმი ეცვა. მან იკითხა, საბასი აქ

ცხოვრობსო. მე თავი დავუქნიე და ისიც ისე ჩუმად და მარდად გასრიალდა ვერანდაზე, როგორც გაკვალულ ბილიკზე; ვერანდის ბოლოში შეჩერდა და რაღაცას მოლოდინში გაჰქვავდა. თვალებით იატაკსა და კედლებს ჩხრეკდა. იგი დამკრძალავი ბიუროს აგენტს ჰბაძავდა.

ათი წუთის შემდეგ სამივენი მობრუნდნენ. მოსამართლე და ექიმი [illegible] ქაღალდზე რაღაცას ჩაიწერდნენ. უცბად ექიმმა ხმამაღლა წაიკითხა: „ამის[illegible] [illegible] უნდა დაიხაზოს". მერე ქაღალდი შეინახა, მამას მიუახლოვდა, ულვაში [illegible] ქუ-ლი გაუხსნა და ჩუმად უთხრა:

— ამის ასე დატოვება არ შეიძლება.

— მკურნალისათვის სადა მცალია, — მიუგო მამამ.

— მერე ჩვენ დაგეხმარებით.

ექიმმა მამას გასიებული ხელი აუწია და საგულდაგულოდ გაუხსნა. მამას [illegible] დაეღრიჯა. ექიმმა ალმაცერად გადახედა და მისი ხელი ფრთხილად დაუშვა.

— ვფიქრობ, მოტეხილი გაქვთ, — განაცხადა, — თუ ახლავე ჩემთან ერთად წამოხვალთ, ხელს გაგისწორებთ და თაბაშირში ჩაგისვამთ, დასაძინებლად მოასწრებთ.

— არა, — მიუგო მამამ, — ხვალ დილით მოვალ.

— თქვენი ნებაა, — მიუგო ექიმმა, — მომეცით, შეგიხვევთ მაინც.

ექიმმა ჩანთა გახსნა, ერთი თეთრი ზოლი ამოიღო, მამას ხელზე შემოახვია, მერე ხელი მოუღუნა და კისერზე ჩამოუკიდა ნაჭრით. ამის შემდეგ მოსამართლე და ექიმი წავიდნენ. ორივენი გაბრაზებული ჩანდნენ, დამშვიდობებისას გაურკვეველი სიტყვები ჩაიბურტყუნეს.

მამა ლეიტენანტს მიუბრუნდა. ისიც წამოდგა და მამას მიაჩერდა. თვალი მამამაც არ მოუშორებია, [illegible] გადახედა. ბოლოს ისევ ერთმანეთს შეხედეს.

— კარგი, კარგი, — [illegible] უკმაყოფილების გარეშე, ბუნებრივად თქვა მამამ, — გამომყევით. ახლა ფარანი არ დაგჭირდებათ.

— დაიცადეთ, — სწრაფად წამოთქვა ლეიტენანტმა, წამოდგა და მამას გაჰყვა, — დაიცადეთ, წინ მე წავალ.

მამამ გზა დაუთმო. ლეიტენანტი ზღურბლთან შედგა და თავის ხალხს უბრძანა, ორთვალები ბოსლის კართან მოიყვანეთო. მერე [illegible] შეაბიჯა. [illegible] კიბე [illegible], ხალიჩა და [illegible]. ჩვენ როცა შემოვუერთდით, თავი ისე [illegible], თითქოს ვერ დაგვინახაო.

ლეიტენანტი ფრთხილად აბიჯებდა [illegible], ღამის ფეხის წვერებზე [illegible], გულიც კი ამოწმებდა მის შემხედვარეს, რადგან [illegible] ამ [illegible] კაცის მოუქნელ სიარულს. მამამ ურდული გამოაძრო და კარი ფართოდ გააღო. ლეიტენანტი ნაკვლის ორმოსთან შედგა და ირგვლივ მიმოიხედა და უცებ დაინახა, რისაც ეშინოდა: ბოსლის კუთხეში ჩალით დაფარული ნაშრობის გროვა.

— ორშაბათს [illegible] იქედან არ მქონია, დღეს კი სხვა საქმეა, — თქვა ლეიტენანტმა, — ესეც ასე.

ამ დროს ორი ურემი მოუახლოვდა ბოსელს და სწორედ კართან შეჩერდა. ხარები ქედზე იყო მობმული.

— აქეთ, აქეთ, ბოსელში, — უბრძანა ლეიტენანტმა.

ვაი რომ ტალახში ჩაფლული ხარები ადგილიდან ვერ იძროდნენ. მამამ მათთან სასწრაფოდ მიირბინა. კარაბინერები ურმებიდან ჩამოვიდნენ და მამის ნიშანზე სამივენი წინა ურემს მიაწყდნენ; ვიდრე ლეიტენანტი კარებთან მიხვდებოდა, იმის ნაცვლად, ურმები რამ დააბრკოლაო, მამა მიუახლოვდა ლეიტენანტს და ჰკითხა:

— ნიჩბები თან წამოიღეთ?

ლეიტენანტი შეჩერდა და თავის ხალხს მიუბრუნდა; ფერმკრთალმა კარაბინერმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

მაგრამ როცა ორივე ურემი დატვირთეს და გასასვლელისაკენ გაემართნენ, მამამ ვეღარ შეძლო ხელი შეეშალა ლეიტენანტისათვის ატალახებული იდუმალი [illegible]. ლეიტენანტს უცებ გაახსენდა, რომ წეღან აქ რაღაც უნახავი დარჩა, იგი ლამფთან მივიდა, მიწა დატკეპნა და [illegible] შავი მჭრელი წუმპით [illegible] ფეხსაცმელებზე დაიხედა. მამა ლეიტენანტს თვალს არ აშორებდა, მე კი ჩუმად [illegible] თვალი ორმოსაკენ გავაპარე.

— კაცი იფიქრებს, აქ ასჯერ უფრო ძლიერად წვიმდა, ვიდრე სოფელში, — წაილაპარაკა ლეიტენანტმა [illegible], — თანაც განა მხოლოდ წვიმდა...

მაშინ ყველაფერი ამით დამთავრდა. მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ, როცა თითქმის უკვე სასაფლაოსთან ვიყავით მისულნი, დამკრძალავი პროცესიის თავში მიმავალმა კლებმა გაჯავრებით წამოიძახა ის უცნაური სიტყვები, ყველამ გარკვევით რომ გავიგონეთ: „რაღა ახლა მოუნდით ამ ჩერჩეტებს ნაკლის ორმოს გახსნა?" და ორი ახეული თვალი მიწას და-აშტერდა. ჩვეულებრივი საუბარი შეწყდა, ვინაიდან ყველანი იძულებული ... გადავეშვით. კარგა მანძილი რომ გავიარეთ, მერე გადმოვიღწიე ... კოსმეს, ლეიტენანტსა და მე არ გადაგვიხვევია გზიდან, არა მარტო იმიტომ, რომ ... ჩვენს შემკართან დამდგარ ლაფს ... , რომ თითქოს არც ერთმა არ მოვახერხეთ გადახვევა. და ვიდრე ფეხს დავადგამდით მშრალ, ... მშრალ ნიადაგს, მე უკვე თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი მანისაკენ, რომ რამენაირად ერთი-ორი ტომარა ნაშთები გადამერჩინა. გადამერჩინა იმიტომ, რომ ... და თამამად ვეღოქვა ხმამაღლა, არა, ფერმინას თავგანწირვა ამაო არ ყოფილა.

## 61. ბერბა

მეთ ხაბელს რომ მივადექით, ბორცვიდან გამოსული ორი ურემი ლაყინსკი ხაბახი, ... -ელი და ლეიტენანტი შემკართან იდგნენ ტალახში და ურმებს შესცქეროდნენ.

— ხომ არ იცით, ჩვენი ხიდ არის? — ეკითხება.

უსიტყვოდ შემოსალმებოდნენ. შიგნედან, ნემი ქმრის ამბავი არ იცოდნენ. ამ დროს ქა-ლებიც გამოჩნდნენ. ხოხელა ძლიერ ... , ცერაგის ხელავს და არაფერი ესმის. მე კი გულში ვფიქრობ: მას ხომ კიდევ სამი ... დარჩა, ვიდრე უცნობი ხაზის მოუ-ახლოვდება.

— ... მამა თქვენ მრისხანებით? ძალიან კარგი თუ ... , ... დამკრძალ-ვის თავისუფ მოვალეობას ...

რატომღაც მუდამ ხაზგით შეცბქერი დამკრძალავი ბიუროს მოხელეო. ხაბახიც მეჩუ-ლად უჭერებს ამ კაცს. თითონ მოხელესაც ალბათ ... რითი ხაამიტნებს ასეთ ხალხში ყოფნა, წარმოუდგენელი რომ უყურებენ. კოსმეც ეს-ესაა კურსანტზე გამოჩნდა. მოხელემ ქურ-თუკის გულის ჯიბიდან გაჩხრეკილი წიგნი ამოიღო.

— აა, მეორე კატეგორიის დაკრძალვა, — წიგნი გადაფურცლა და თითი გააყოლა, — აქ ყველაფერი გათვალისწინებულია: მგალობლები, კუბო, სანთლები და სხვა ხარჯები. ხულ შვიდას ორმოცდაათი პესეტა დაჯდება. რვა მგალობელი იქნება და რიგიანი ქსოვილით გა-დაკრული კუბო.

ხად იმოვნიან ასისი შვიდას ორმოცდაათ პესეტას? ხაბახი მოიღუშა, არ ვიცი, მოხელის სიტყვებმა გააბრაზა თუ მტკაველმა ხელმა შეაწუხა.

— ვანა არ იცით, რომ საკუთარი შვილისთვისაც კი არ მოეკუთვნება შვიდას ორმოც-დაათი პესეტა? — ბირძა მიახალა მოხელეს. მოხელემ ... ...

— საიდან უნდა ვიცოდე... მე მხოლოდ თქვენთვის ვზრუნავ... რასაკვირველია, შეგვი-ძლია უფრო იაფი დაკრძალვა შემოგთავაზოთ, — მოხელემ ... ჩაიხედა, — მესამე კა-ტეგორია: ორი მგალობელი, უბრალო კუბო, სანთლები და სხვა ხარჯები, სულ ოთხასი პესეტა.

ხაბახი მოხელეს მიუახლოვდა. ვერ არ მინახავს ასეთი აღელვებული. რისხვა თუ სიბ-რაზე უდუღს გულში, მისი ცქერა შეგზარავს: პირისახე გაფითრებია, წვერი ამოსვლია, თვალები ჩაცვენია (ალბათ რამდენი ხანია არ უძინია, არც კი დაწოლილა), შავი აწეწილი თმა შუბლზე ჩამოყრია, ისეთი გამხდარია, სქელ ჯემპრშიაც კი ეტყობა ძვლები.

— მკვდრებიც კატეგორიებად იყოფა? — ჰკითხა მოხელეს, — ჩვენ ვერც მესამე კატეგო-რიის დაკრძალვის ხარჯებს გადავიხდით. კუბოს თავად გავაკეთებთ. ბიძია ყულოხით წა-მომყვება და ორს, თუნდაც რვა თქვენს მგალობელს შევცვლის.

— ვაიმეთ! გამიშვი! — უყვირა უცებ ხოხელამ და ხელი პერზე მიადო. — რამეს გავ-ყიდით, რაც იქნება...

მაგრამ ხაბახი თავისას გაიძახოდა:

— ჩემმა შვილმა თვითონ მოიმზადა ფიცრები სხვენზე და ჩვენც ამ ფიცრებისგან გა-ვაკეთებთ...

ხოსეფა ლაპარაკს არ აცლის, ახლოს მიდის, ხელ ახლოს, თითქმის ეხება, რომ ხაბახმა მასა მოშორება ვერ შეძლოს, და კვლავ იმეორებს: „გასუქდი, გასუქდი". ისინი ერთმანეთს თვალებში შესცქერიან. ეხედავს, თითქოს იუნმა დაუარა ორივეს. ჰო, ვიცი, რა შესაფერი წყვილია. ტყუილად კი არ დაანისეს ამდენი შვილები. ვინ იცის, ახლაც, აქ, ფუთას ფიქრობენ, დაღუპულის ნაცვლად ახალი ეჭვი ეკვებინათო. რატომაც არა? ღმერთო! მათ ხომ არაფერი ულიროთ ეს?

— ჩვენ ფერმას შეუძლია შეინახოს მოსავალი, — განაგრძობს მოხელე, ... ჭუჭყიან წიგნში ელარ იხედება. — დაბალი ხარისხის კუბო, მხოლოდ ორი ...

— მაშინ თუ აძლევთ შეღავათს, როცა ერთ კუბოს ორი მიცვალებულისთვის ყიდულობენ?

— ... და ამავე ოთხი მკვალოფელი... ხელს გაძლევთ?

— აქნებ რამდენიმესათვის შეიძინოთ ერთი კუბო? ამოირჩიეთ, აქ ვინც მოგწონთ. ჩვენთვის სულ ერთია, რომელი მოგეწონებათ. ბოლო მაინც ესაა.

ხაბახს ვეღარ ცნობს. უცებ კოხმე მიუახლოვდა მოხელეს და ჰკითხა:

— ყველაზე იაფიანი რა ღირს?

— ვუქვაო, ხაბახი.

— ... კუბოს მაგნიდან ქსოვილს გამოაკრავთ?

მოხელე წამით დაფიქრდა:

— ხუთას ორმოცდაათი.

კოხმე მიწ შევიდა და თითქოს ხელში დაბრუნდა ალბათ იხაა, პეპრომ რომ მოიხრა, ახლახან იყიდა.

— შეიძლება დაკრძალვის ხარჯები ამით გადავიხადოთ? — იკითხა.

ეს ხანგძლივი თოფი რომელ ოიახს არ დაამშვენებდა. კოხმემ თოფი მოხელეს მიაწოდა, მისი დაქვეცებული პარისალე არაფერს გამოხატავდა შეკუმშულ თოფი გამოართვა, შეატრიალა, ხაკეტი გახსნა და ლულა მიუნიდან დაათვალიერა.

— ნამდვილი ნივთი მუდამ უფრო იაფი ღირს, — ბლუმუნა მერე.

კოხმე მიუარდა და გაელმახებული მხრებში ნააფრინდა, შეშლილხა ჰგავდა.

— ახეთი ტყუილი თუ კიდევ გაგიმეორებია, ცხვირს ამოგიბაყავ! — უყვირა მოხელეს და შეაჯანჯღარა, — ეს ხომ ახალი თოფია! არაფრის უხვრია! თქვენ რა, ბრმა ხართ?

კოხმემ ხელი უშვა მოხელეს. მოხელეს ცალი ხელით თოფი ეჭირა, მეორეთი ტანსაცმელს იხწორებდა

— კეთილი, დავკრძალავთ, როგორც თქვენ გსურთ, — ჩაიბლუკუნა მან.

კოხმე თოფს უსიტყვოდ დააცქერდა. უცებ მან მოვარდა და კრიალა ბუდე გამოიტანა.

— მე მინდა თოფს გაუფრთხილდეთ, — უთხრა და მისი სიტყვები რჩევას კი არა, მკაცრ ბრძანებას გამოხატავდა, — თქვენ იხმართ თუ სხვა, ჩემთვის სულ ერთია. მე მინდა თოფს გაუფრთხილდეს, ვინც ხელშიც მოხვდება. აი, ბუდეც. ეს იმ ქსოვილზე ძვირფასია, თქვენ რომ გამოეკვავზავენით.

ხლუკუნი ძიმეხმა. ღიდებერი კოხმეს აწითლებული, ანთებული თვალებით შესცქეროდა და ტიროდა.

62. ხოსეფა

აი, მას მიახვეწნება უშნოდ ნაჩირკნი კუბოთი, ნელლი ფიჭვის ხუნი რომ ასდის.

იგი ხამუდამოდ მიდის. მე უკვე ვეღარასოდეს ვაჩუქებ პატარა ნავს, ასე რომ მთხოვა იმ დღეს, როცა ყველანი ხილბაოში ბაზრობაზე ვიყავით; ჩემი უფროსი შვილი მაშინ ათი წლისა იყო.

ქარუსელის ირგვლივ ხათამაშოებით სავსე პატარა დუქნები იდგა; ერთ-ერთ მათგანში ხათამაშო ნავი იყიდებოდა, ასე მალიან რომ მოეწონა. მინდოდა მეყიდა, მაგრამ მეძვირა. ბაზრობაზე ყველაფერი მუდამ ძვირია. მან ბევრი იტირა და მე შევპირდი, ოდესმე აუცილებლად გიყიდი-მეთქი. რამდენჯერ მინდოდა მეყიდა, მაგრამ ზედმეტი ფული არასოდეს მქონია, რომ ბედნიერი გამეხადა.

აწ ვერასოდეს ვერ გაგახარებ. იცოდე, შვილო, მუდამ მინდოდა შენთვის ნავი მეყიდა, მუდამ მინდოდა!

63. ბებია

ჩანს, ასეც უნდა ყოფილიყო. უფალმა ღმერთმა კარგად იცის, რასაც აკეთებს, უერმის სამუდამო სიცოცხლის ფასად დაუკლა ნაწილი, თრმოსი რომ გადამალეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XX

მიწყვდეულად ვიყავი დასაფლავებაზე. მერიდან როცა უყურებ, გგონია, რომ პროცესია არც ისე ცილა იქნება, მაგრამ როცა გულგრილისა და დაღლილ ადამიანებს შორის მიხვდები, რომლებიც თავიანთ გაჭირვებას უამბობენ ერთმანეთს, დაინახავ, რომ ფეხებს ძლივს მიათრევენ. დასაფლავებაზე ხალხი ბევრი მივიდა: ყველას უნდოდა გულში ჩამწყდომი ხანახათს ენახა, ჩვენს თვალებში ამოეკითხათ, რაც ჩვენზე გადმოსულ ძონწ ცნობებს შეავსებდა. გულახდილად რომ ვთქვა, ხალხი თანაუგრძნობდა, კიდეც ვინაიდან ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ მამის პატიოსნებაში და გაიგეს, ჩვენც რომ გვაწუხებდა ბედი. ჩვენი ოჯახი სიუცარი ლეგიტიმური თანაგრძნობის მოწმე გახდა.

პროცესიას თავში ორი მგლოვიარე მიდიოდა. მათ უკან ორი კაცი კუბო მიჰქონდა, მერე სხვები მისდევდნენ.

მე მამასა და კოსმეს შორის მივაბიჯებდი. მათ თავიანთი საგარეო კოსტიუმები ჩაეცვათ, მამა სულმოკლეული მიაბიჯებდა და ჩვენ წინ ამქარიულ შავ კუბოს მიაშტერებოდა. კუბო დაუდევრად იყო შეკრული: სახურავი მჭიდროდ არ ეკვრებოდა, სადღაც ძველი, კამოსრული ფიცრები ურთიმანეთისგან ცუდად მოერგოთ.

ჩვენს უკან ლეიტენანტი გარსია მიდიოდა. დაკრძალვაზე დასწრება თავაზიანობად ჩაეთვალა, თუმცა უსიამოვნოდ რიდა ეჭვიანობდა, რომ იგი უპირველეს ყოვლისა მოვალეობამ მოიყვანა. ჩვენი ქრთმელ კიდევ დამტკბარიყო თავისი გამარჯვებით, ეპახი მიწყობით გაწყობილი მოწინააღმდეგები. მას უნდოდა მთელ ქალაქს ამ საქმისათვის, კუბოსთან ერთად დამარხულიყო გამარჯვების ის დიადი სურვილი, მისი მტრები რომ ამჟღავნებდნენ.

მეზობლის ახლა სრული სიმშვიდე თუ გულგრილობა დაუფლებოდა. ეს გულგრილობა უფრო ზრდილი ბეჭედი ყოფილიყო იმას მიმართ, რაც ოჯახს შეემთხვა, ვიდრე უცნობის. გზას ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდა მუქი გახუნებული, ძალიანკარგულებული წვიმას თავდაც მზიანდ რომ ასახსნებულიყო. ტალახის ყრუ ჭყაპუნი გაშლილ ქოთანს უერთდებოდა, ქორის სიწყნარეშელი მოთმენილივით ისმოდა.

თითქმის ნახევარი გზა გავიარეთ. საუბარი მიწყდა და ხალხი ჩუმად მიაბიჯებდა. ეგეც ყველანი ერთი ფიქრით იყვნენ შეპყრობილნი: როგორმე გუბეში არ ჩაეტოპათ. ვინაც კუბო მიჰქონდა, ერთმანეთს ჟინიანად ცვლიდნენ. ასეთმა ამ სასურველმა მკაფიოდ გაგვიმა ვიღაც ქალის ილმოთქმული წამოძახილი, როცა დაინახა, რომ მისი ფეხსაცმელი მხოლოდ ტალახში კი არ მოხვედრილიყო, ზედ რაღაც შავი წუმპეც შეეცლეოდა. მქრალი შავი წუმპე გზაზე ერთ-ერთი სახლის ახლოს შემოგვხვდა.

— მამათი, კისაღამ ყველაფერი წალეკა წვიმამ, რაღა ახლა მოუნდით ამ ჩურჩულებს ნაკელის ორმოს გასანი? — გაისმა მისი ხმა.

ამ სიტყვების მთქმელი ლეიტენანტ გარსიას წინ მიდიოდა და ტალახში მაშინ შეტოპა, როცა ლეიტენანტმა თავის ფეხსაცმელებზე დაიხედა და ზედ შავი წუმპის კვალი შეამჩნია; აღრე საღლაც ხვავგანაც ჩაეფლო ფეხი ასეთივე წუნწუხში. ლეიტენანტს თითქოს გონება გაუნათდა, ქვეცნობიერების სიღრმიდან რაღაცამ ამოიშუქა. შეამჩნია, მამამ ყურადღებით შეხედა ლეიტენანტს. ლეიტენანტმა მზერა ფეხსაცმელს მოაშორა, თავი აწია და წარმოეთქვა: „მაშ... ის, რაც აქ იყო..." მერე თავი დახარა და კვლავ ფეხსაცმელს დააშტერდა. „ჰო, შავია. წელნაც ასევე... აქ" კვლავ საბიჯი გადადგა, ფეხი ყრუსხილად ჩაეფლო ტალახში. ფეხსაცმელი მყრალ შავ ფლუიდში ამოიყვანეს. „ზუსტად, ზუსტად!" — და გონებაში ალბათ დაასკვნა: — „მაშასადამე, მათ ორმოშიაც..."

განაცმ ფიცარი, მაგრამ მამას დროზე შეეხედე მისმა გულშიაძრობილმა პირისახემ მიიწყდა გავქავეგიზულიყავი. იგი ლეიტენანტს უკვე აღარ უყურებდა. მამაც ჩემსავით მიხვდა, რომ ეშმაკობა გაგეცეს, რომ დასაწყერი ცვილის უკანასკნელი ბურჯი და მტრის დაუნდობელი ძალების პირისპირ აღმოჩნდით, თუმცა ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ბოლომდე

ასე გააფთრებით შევებრძოლებოდით. მამის მშვიდი პირისახე მახსენდება. კოსმე (ისიც ყველაფერს მიხვდა) ჩვენ გვერდით მიდიოდა და მძიმე ტვირთის ქვეშ მოხრილი თავს მაინც უყურებდა, ზოგჯერ გვერდი რომ აუქციეს. მგრგვალი ჭრილი ნაკვლის ნაიდვარს შევუშვით. ზემოთ ქოშზე მდგარ ისლით გადახურული ხისლის ახლოს ამოთხრილი ორმოდან თქრიალით რომ წამოსულიყო. რაღაც უცნაური სიამოვნებით მიეტოვებოდით წუმპეში. როცა ... წინ ფეხი დავდგით, მამამ მბრძანებლური, მაგრამ მშვიდი ხმით მითხრა:

— წადი, გაიქეცი, ერთი მაინც გადმოდი.

მან მშვიდლივით შევვარდი, დერეფანი გადავჭერი და ბოსლის კარი გამოვაღე. გამოვარდე ყოველგვარი შიშისა და ხიფათისაგან გარეშე, რადგან ამჯამად აღარაფერს ვგრძნობდი მნიშვნელობა. ნიჩბით ორმოს თავზე დაყრილი ნაკელი გადავქექე. ამ დროს დედა და ბებია დავინახე, ქვის კიბეზე რომ ჩამოდიოდნენ. „ნუთუ რაიმე უნდა მოიმოქმედონ?" ამოვიკითხე დედის ჩაშავებულ თვალებში და დაღარულ, გაფითრებულ პირისახეზე.

— იგი მიდის! — ვიყვირე, — იგი ახლავე მივა! მაგრამ ჩვენ ასე ადვილად ვერ დავნებდებით!

ბებიამ ხლუკუნი დაიწყო და სასოწარკვეთილმა ორივე ხელი თავზე წაივლო. დედა ერთ წამს გაქვავდა, მერე თავზარდაცემული მოიჭრა, ჩემ გვერდით ორმოსთან დადგა და ხანჯლოები აიკაპიწა.

ჩვენ ტომარას ჩავეჭიდეთ, დედამ ერთი მხრიდან წაავლო ხელი, მე მეორიდან. ახლაც მიკვირს, დაღლილობისა და მწუხარებისაგან დაუძლურებულმა ბიჭმა და ქალმა როგორ შევძელით ორმოდან ხამისუდაგი კილოგრამიანი ტომრის ამოთრევა და ბოსლის კუთხეში გადატანა. მაგრამ ჩვენ ეს შევძელით. ბებია ხმამაღლა ხუხუნებდა, თითქოს წამებს ითვლიდა, როდის მორჩებოდით ამ ძნელ საქმეს.

წამით შევყოვნდით მეუსაობა, როცა ძია პედროს ტანი კარის განათებულ ღიობში გამოჩნდა. იგი მდგა, თავს არ იყოსოდა, ერთი კი შემოგვხედა და სადღაც გაქრა. ძია პედრო ლეიტენანტს არ დამორჩილდა. ალბათ ხიფათის ქენჯნა აწუხებდა, ან იქნებ შიშისა და მწუხარებისაგან ძილად შეიპალა. ბრწყინავ გვითხრა, ბოლოს დღეებში ალბათ ხულ ხამჯერ თუ განახეთ. არც ნამუშევარზე დადიოდა. ჰო, ის იყო.

ჩვენ ტომარა იქ დავდეთ, სადაც წინათ ლეკუმბერის ნახმარი ეყარა, (რამაც ახლა ფული უნდა გადაგვერჩინა) და ჩალა წავაფარეთ. არ ვიცი, რამდენ ხანს ვცოდვილობდით, მხოლოდ ის მახსოვს, რომ ვფიქრობდი: ვაჰ ერთი ტომრის ამოთრევა კიდევ მოვასწროთ-მეთქი. მაგრამ ამ დროს მოტოციკლის ჭრიალი შემოგვესმა. მაშინვე ნაკელის ორმოს მივვარდი, რომ ცარიელი ადგილისათვის ნაკელი წაგვეყარა. ის კი იყო ნიჩბით გადავაგდე და ოთხივე თავდაცვა ერთიანად გადაბმულ ჭიშკრიდან, ოთხივე ლეიტენანტი და ჯარისკაცები იხსნიდნენ.

ყველაფერი გასაგები იყო: ლეიტენანტმა თავისივე ტარაპანზე თან გაიყოლა, რომ ფეხით არ დაბრუნებულიყო. მამა და კოსმეც აქ ... მოეყვანათ. ისინი მარდად ჩამოხტნენ (მამას ნატყვენი ფეხი მეორე ხელით ეჭირა). ლეიტენანტი გარბის თავის ხელქვეითს ლეიკრძენთ მხარზე და ისე გადმოიხედა. ბოსელში შემოვიდა თუ არა, პირდაპირ ორმოსკენ გაიწია ფარანი აანთო და ნიჩბით ნაკელი გადაქექა. მერე ნიჩბი მოაჩრილა და თავი ასწია. ბებია, დედა, მამა, კოსმე და მე უხმოდ შევცქეროდით ხუნთქვაშეკრულნი.

— მადლიერი ვარ, — თქვა ლეიტენანტმა, გასახვლელისაკენ მიბრუნდა და მეზობლისთვის დაუძახა, — მადლიერი ვარ, მადლიერი...

მაგრამ ბოსლიდან არ გასულა, რაღაცამ შეაჩერა. ბოსელში უცნაურად გადაიხარხარა ვიღაცამ. ლეიტენანტმა მიიხედა, ჩვენც იქით მივბრუნდით. ფარნის შუქმა ნახმარის განხნილ ტომარასთან მდგარი ძია პედრო გაანათა: იგი ტომარაში იკაპიწებულ ხელებს ურევდა, ნახმარს იღებდა, მაღლა ისროდა და მშვიდლივით ხარხარებდა. მისი ხარხარი დღესაც ყურებში მიდგას.

64. კოსმე

ალგორტაში ერთ კაცს ვიცნობ, თავისი ხელით რომ გააკეთა თოფი. ოქრო ხელი აქვს. ბუნდი, ხმიერი პატრონისაგან ძალაუნებურად მუშაობდა. მართალია, პირველივე გასროლისას ლულა გასკდა და პატრონს თვალი ამოთხარა, მაგრამ ყველას ხომ არ აუფეთქდება თოფი.

ლულას ქარხანაში დავამზადებ, თუნდაც მთელი წელი მალულად მომიხდეს მუშაობა. კონდახს შინ გამოვთლი, სხვენზე. იქ ხომ ფერმინს გაშალაშინებული ფიცრები დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 65. ნერეა

ფერმინი ყუთში ჩადეს, ბაბუაც. თუ ვინმე მოკვდება, ხის ყუთში უნდა ჩადონ. ორ-სამ დღეში ზღვა ნაპირზე მაჭ კუარტოს, ჭრელ კენჭასა და მხვლიკს ყვავილებს გამორიყავს. მუდამ ასე იცის ზღვამ. ძაღლებსაც გამორიყავს ხოლმე, ადამიანებსაც, ყველაფერს, ყველაფერს. მე მათ მოვნახავ, ფერმინის ფიცრებიდან ხის ყუთს დავამზადებ და სამივეს შიგ ჩავდებ.

### 66. ბებია

შენ შექმენი სამყარო და შეგვქმენი ჩვენც. შენი წყალობით გვიდგას სული და ვცხოვრობთ, მაშინაც კი, როცა სასოწარკვეთა შეგვიპყრობს ხოლმე. შენ ისურვე, რომ ამ ზამთარს ნახშირი არ გვქონოდა, მაგრამ მთლად არ გაგვწირე, რადგან ფერმინს სხვენზე ფიცრები დარჩა. ეს ნახშირზე უკეთ ათბობს. გმადლობ შენ, უფალო.

მაგრამ რატომ მოიწყენს ხოლმე ჩემი ქალიშვილი, როცა სხვენიდან ფიცრები ჩამომაქვს, და მიყვირის: „ხელს ნუ ახლებ! ეს მისია! არავის არ მივცემ ნებას მის ნავსა და ფიცრებს ხელი ახლოს! გასწი აქედან!"

### 67. ხოსეფა

ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

## XXI

მამაჩემს გვერდზე მივყვებოდი. ჯერ კიდევ კარგად ვერ შევიგნე, რომ ძია პედროს გიჟურმა ხარხარმა ყველაფერს წერტილი დაუსვა.

იმ ორშაბათს არც ერთ ჩვენთაგანს ლუკმა არ ჩაგვიდვია პირში. შუადღე რომ გადავიდა, ჩვენს ეზოში ოთხი ურემი შემოგორდა (ერთ-ერთზე ლეიტენანტი იჯდა). რაც კი ნაკვლის ორმოში ნახშირი გვქონდა, სულ გაზიდეს. ორმო კეთილსინდისიერად ამოწმინდეს. მათი წასვლის შემდეგ მამა შემეფეთა, მეძებდა თურმე.

— ფეხსაცმელი ჩაიცვი და გამომყევი, — მითხრა მამამ.

გაუაზრებლად ავწიე მარჯვენა ფეხი და ფეხსაცმელი დავანახე.

— არა, ეგენი არა; ძველები ჩაიცვი, შაბათ საღამოს რომ გეცვა.

მხოლოდ ახლა შევამჩნიე, მასაც ძველი, დახეული ფეხსაცმელი ეცვა ის, და გალეჯილი რომ ეცვა იმ ქარიშხალში, ახალი.

— სად მივდივართ? — შევეკითხე მამას, როცა გზას გავუდექით.

— გამომყევი, — მოკლედ მომიგო. ფართო ნაბიჯით მიდიოდა, გეგონებოდათ, შეჩვეული ხელი სრულიადაც არ უმღერისო. გავიფიქრე, კიდევ ქვნებ მისთვის სულ ერთია, მოვყვები თუ არა, მაგრამ მან ერთი-ორჯერ შემომხედა: „ფეხებს ნუ გარეგნებ, ეგებ ჯერ კიდევ მივუსწროთ".

ლეიტენანტი კარსია იმავე მაგიდასთან იჯდა, სადაც ორშაბათის დავინახე, როცა ალრიალებული მოკრძალებული ქუჩაში და შველის ვითხოვდი. წინ რვეული ედო. რვეული ისევ იმ გვერდზე იყო გადაშლილი, სადაც ხის ეწერა. სის საბას ხაურეველს გვარით მიყვებოდა. ლეიტენანტს ფუმფულა ხელში ავტოკალამი ეჭირა.

ლეიტენანტი და ექვსი კარაბინერი მე და მამას შემოგვეცქერდნენ. მამამ მხოლოდ სამი სიტყვა წარმოთქვა: „ჩანს, დროზე მოვსულვართ". მამამ მკაცრად შეავლო თვალი ჯერ ლე-

ლეიტენანტის რვეულს, მერე მის ავტოკალამს და წამით მაგიდასთან გაშეშდა. ეს იყო მოსავალი იმისა, რაც შემდეგ მოხდა. მამა დაიხარა, ძლივს შეიხსნა მარცხენა ფეხსაცმლის თასმა და გაიძრო. კვლავ გასწორდა, ფეხსაცმელი გადააბრუნა და მაგიდაზე დაბერტყა. ფეხსაცმლიდან ნახშირის ნამტვრევები გადმოცვივდა, მაშასადამე, შემდეგ რომ ჩამოვბრძანდით შიგ არაფერი ეცოდინებოდა, ფეხსაცმელი მაგიდას დაარტყა; ნახშირის ნამტვრევები ნამტვრევი დაცვივდა. მეორე ფეხსაცმელიც გაიხადა, ახლა ხელით მეორე ფეხსაცმელიც დაფერთხა. მაგიდაზე დაყრილი ნახშირის ნატეხი კრიალა ქაღალდით გაასწორა. ისევ დაიხარა, რომ მეორე ფეხსაცმელიც ეხადა, თან ჩემს ფეხსაცმელსაც წაატანა ხელი. მე თასმის შეხსნა დავიწყე. როცა წელში გაიმართა, ხელში უკვე ჩემი ფეხსაცმელი ეჭირა. ისიც მაგიდაზე დაფერთხა. როცა ტყავის ნაკეცებში ჩარჩენილი, საქუსლესა და ლანჩაზე მიწებებული ნახშირის ნამცეცები ზედ წამოცვივდა, მამამ ფეხსაცმელი დაიბრუნა. მე მეორე მივაწოდე, ისიც გულდაგულოდ დაბერტყა, მაგიდაზეც კი დაჰკრა ერთი-ორჯერ.

არც ლეიტენანტი და არც მისი ექვსი კარაბინერი არ განძრეულან, უსიტყვოდ მისჩერებოდნენ მამას. მამამ მეორე ფეხსაცმელიც მოიძრო, წელში გაიმართა და ერთხანს უსიტყვოდ შეაცქერდა ლეიტენანტს, ვიდრე მან არ წამოიძახა: „ჰა! ჰო, ჰო!“ მსუქანმა ლეიტენანტმა თავი დახარა და ციფრების ქვეშ შემოხაზული ხაზი გაავლო. ამით ეს ამბავი თითქოს დამთავრებულა. მამამ ლეიტენანტს მშვიდად გამოართვა ავტოკალამი, რვეული თავისკენ მოაბრუნა და უკანასკნელ ციფრსა და ხაზს შორის დატოვებულ ცარიელ ადგილას ტლანქად გამოიყვანა 2 და 5. ლეიტენანტმა რვეული და კალამი რომ დაიბრუნა, ცოტათი ჩაფიქრდა, თქვა: „მესმის, 25 გრამი“, საწყლებულად მამას მიერ დაწერილი ციფრები წაშალა და გრამებს მიუწერა.

ჩვენს ფეხსაცმლის თასმები შეკრული და ჟანდარმერიიდან გამოვედით. ზურგში კარაბინერების მზერას ვგრძნობდით. მე უკვე ყველაფერი ფეხებზე მეკიდა, ალბათ ჩემი ზურგი (მამაჩემის ზურგივით) უწყობოვალიერებდნენ და ზიზღს გამოხატავდა. თუმცა თავს შევიკავებდი მანამდე შევძელი, ვიდრე ხიდის შუაგულში მივაღწევდით, ვიდრე მთაზე ავიდოდით. ხანაპირის რომ დავუახლოვდით, მამამ ხელი მხარზე მომხვია და მაშინ კი ხმამაღლა ავტირდი, რადგან მაინც შევამჩნევდა, მივხვდი რომ მიცანიცხენდა.

— ყველაფერი გაიგეს!.. ყველაფერი! — ახლა კიდევ უფრო ძლიერად შევიცანი ჩვენი ხაიძლოვე, რადგან მხარზე მის ხელს ვგრძნობდი, ნუკვერის მოძრაობს, მოსარჩილებსა და შევარბილდის.

მამამ კლდის პირას მიმიყვანა. ბილიკში ჩავიხედეთ. მიქაელის ცაში ლივლივი და ტალღები მაღლა და მაღლა მიიწევდნენ, თუმცა ქვემოთ ბევრი კლდე იყო ჯერ კიდევ ამოწვერილი.

მე მამას ვიყურებდი. მან ტუჩებზე კვლავ აიტაცა მწვანე ღერო მან მიწიდან ძალიან ქვა აიღო და გადააბრუნა.

— შეხედე, — მითხრა, — ესენიც მოიმართვი.

ქვის ქვეშ თურმე ჭიანჭველების ბუდე ყოფილიყო.

ჭიანჭველებმა იგრძნეს რომ მათ რესპუბლიკას საფრთხე ემუქრებოდა და შეშფოთდნენ, მოუსვენრად აწრიალდნენ.

— ისინი თავიანთ მატლებს სადმე ადგილას მალავენ, — მომესმა მამაჩემის ხმა, — ზოგს ნაღველი აუგიდებია, ზოგიც თავისა სახლ-კარის დასაცავად ემზადება. აი, შეხედე, — დაუმატა, მერე პირიდან ღერო გამოიღო და ჭიანჭველების ხავეტა გზას შუაში ჩაარჭო. ჭიანჭველებმა ღერი ძლივძლივობით გადაათრიეს გვერდით და კვლავ თავიანთ გზას დაადგნენ.

— ჩვენც რომ ვიცოდეთ, ქვასაც მოერევიან. ბუდე სულ რომ დაუნგრიო, სულ ერთია, ვინც ცოცხალი დარჩება, თავიდან დაიწყებს თავის მძიმე ცხოვრებას ან აქ ან სხვაგან. მათ ვერ შეაჩერებ. ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავენ, რაც გზაზე შეხვდებათ. დაუმარცხებელნი არიან. ისეთები მეუქმისია ღირსის, არასდროს შეუდრეკელნი.

— რატომ?

მამა ჩემკენ მობრუნდა და ყრუ მძვინვარებით გაიმეორა:

— რატომ? აბა ვინ იცის.

კარგა ხანს ჩუმად ვიყავით, მერე ქვა კვლავ ჭიანჭველების ბუდეს დადო და თქვა:

— მე მგონია, მათ შეუპოვარი ბრძოლა მოსწონთ.

მამა წამოდგა და სანაპიროს მოაყოლა მზერა. კადით, კიდემდე კლდეები და ქვიშის დი-

ქუჩები მოჩანდნენ, უკაცრიელნი, მაგრამ მაინც ხილულხილით ხავსები, ხულს რომ უფართოვდე-ბენ ადამიანს.

— ჯერ კიდევ დრო გაქვს ჭიების შესაგროვებლად, — მითხრა მამამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— და ჩემი ბადის ამოსაღებადაც, ერთი კვირის წინათ რომ გავჭიმე.

მამამ შემომხედა და თვალი ჩამიკრა:

— ჰო, გველთევზას დაჭერა გინდა, ხომ? გახსოვდეს, — მითხრა და დაუმატა, — შენ მას ვერასოდეს დაიჭერ. ვერ შეძლებ. არც უნდა დაიჭირო.

— რატომ?

— როცა მთელი დღის მუშაობის შემდეგ საწოლში წვები, თავში იმ საქმეებზე ფიქრი გიტრიალებს, ხვალისათვის რომ გელის. თუმცა ისინი მრავალ საზრუნავს გიქადის, შენ სხვა რამეზედაც ფიქრობ: ფიქრობ იმ დღეაზე, საკუთარ თავთან რომ გაგიმართავს, იმ მძიმე ბრძოლაზე, ყოველ ნაბიჯზე რომ გიხდება, რათა შენი შეხედულებანი დაიცვა და იმ სიტყვებსა და აზრებს გაემიჯნო. წიგნები, გაზეთები, რადიოგადაცემები და ყველა ადამიანები რომ გონებას გიწამლავენ. მით უფრო შენს არსებაში ჩაკლას ყოველივე, რაც შენია, ერთ დიდ საერთო გუნდაში შეგზილონ, რომელიც კალამა არ იცის, საით მიცურავს, საით მიგა-ქანებს, და შენ ადამიანი აღარ ხარ. და აი, ღამით, როცა საწოლში ჭერს მიაშტერებ თვა-ლებს და ყურადღებს ხედავ: გველთევზა მოგაგონდება, იცი, რომ თავისუფალი და უძლეველი სადღაც დაცურავს, და შენც შვებით ამოისუნთქავ. გაიზრდები, დადგება დღე, როცა შენც მოგინდება გველთევზა თავისუფალი იყოს იმ ადამიანების მსგავსად. ნაპირზე ასეხებითა და ბადეებით რომ ჩადიან მის დასაჭერად. ისინი ტყუიან, როცა სინანულს გამოთქვამენ, გველ-თევზა ვერ დავიჭირეთო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მათ იციან, მეც ვიცი, შენც გაიგებ მერე, დაჭერაც რომ შევძლოთ, ჩვენ მხოლოდ ხორცი შეგვრჩება მისა, ის კი დაკარგავს იმას, რაც ყველაზე ძვირფასია თვი-თეული ცოცხალი ადამიანისათვის.

— რატომ?

აქ მამამ თავი ასწია და მეც ცას ავხედე. რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც იქნა, მზემ ღრუბლები გაარღვია და მისი სხივები დედამიწაზე ლივლივით წამოვიდა.

— ჭიების მოსატანად წავიდეთ, იმა.

— ხელი რომ გტკივა?

— მერე მივხედავ, როცა მოვიცლი. არ შეიძლება ასეთი მზიანი დღის ხელიდან გაშვე-ბა. შენ ახლა თევზი რომ მოვიტანოთ, გავახარებთ, რამდენი დღეა აღარ გვიჭამია... და განა მარტო თევზი. ალბათ იმაზე არც შენ იტყოდი უარს.

— არა, — მივუგე გაუბედავად.

— თან ისიც ვნახოთ, იქნებ ზღვამ ერთი-ორი ფიცარი ან მორი გამორიყა ნაპირზე.

— ჰო.

— თევზაობის შემდეგ კალათებით ნახშირის ნამცეცებისა და წიწვის მოსაგროვებლად წავიდეთ.

— ჰო.

— ახლა კი, იმა, ჭიების მოსატანად გავწიოთ.

— ჰო.

□

# ჯეიმზ ჯოისი

## ულისე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და
შენიშვნები დაურთო ნიკო ყიასაშვილმა

●

ეოლოსის მიერ გაძევებული ოდისევსი და მისი თანამგზავრნი ლესტრიგონების კუნძულს მიადგნენ. კუნძულის მეფის ასულმა ოდისევსის ხალხს მამამისის სასახლე მიასწავლა, მაგრამ იქ მისულებს საშინელი კანიბალი დახვდათ. მეფემ შეახრამუნა ერთ-ერთი მოგზაური, ხოლო დანარჩენები ლესტრიგონებმა თევზებივით ერთმანეთზე ააცვეს. მხოლოდ ოდისევსის ხომალდმა გამოაღწია სამშვიდობოს.

ჰომეროსის „ოდისეას" მეათე თავში მოთხრობილ ამ ამბავს „ულისეს" მერვე ეპიზოდი შეესატყვისება, როგორც ყოველთვის, აქაც მეტად ზოგად ანალოგიასთან გვაქვს საქმე და არა კონკრეტულ სიუჟეტურ პარალელთან. ადამიანი-პირუტყვის, ადამიანი-კანიბალის ზოგადი სახე მღეჭავ, მცოხნავ დუბლინელებისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციონირების ჩვენებით არის მოცემული. ჯოისს მიაჩნდა, რომ ამ ეპიზოდის სათაური უნდა იყოს ლესტრიგონები, მოქმედების ადგილი — სასაუზმე, დრო — პირველი საათი (ლანჩის დრო), ორგანო — კუჭ-ნაწლავი, ხოლო ტექნიკა კი — პერისტალტიკა.

„ჰადესის" მკვდართა უძრაობა, რომელიც საოცრად ჰგავდა ცოცხალ ადამიანთა დამბლადაცემულ არსებობას, „ლესტრიგონების" ეპიზოდში თავისებურად რეპროდუცირებულია ადამიანის „ყველაზე მნიშვნელოვან" ყოველდღიურ საქმიანობაში — ჭამაში. ის, თუ როგორ ჭამენ რომანის ამ ეპიზოდში ადამიანები, ჯოისის აზრით, აჩენს ადამიანის ბუნების ბნელ მხარეს („ღორს ჭამ და ღორი ხარ"). მაგრამ მწერლის მიერ დახატული ამაზრზენი სურათი, გულისამრევი ატმოსფერო, ამავე დროს, ადამიანის ტრაგიკომიკური არსებობის მაჩვენებელიც არის და ბლუმის, როგორც „ჩვეულებრივი ადამიანის" პოზიტიური საწყისის მიმნიშნებელიც. ბოლოს და ბოლოს ადამიანის საზარელი ტრაპეზობაც და ჰადესის ბნელი სამყაროც სწორედ ბლუმის ცნობიერების ნაკადში აღიქმება და გაიაზრება და ამდენად, ამ სურათების თუ ატმოსფეროს მკვეთრად ნეგატიური შეფასება ბლუმის შინაგან წესიერებასა თუ რბილ ადამიანურ ბუნებაზე მიანიშნებს.

ჯოისი მთელი თავისი ახალი პოეტიკური არსენალით ადამიანის ამ პოზიტიური საწყისის საბოლოო დაღუპვას კი არ აჩვენებს (როგორც ეს ზოგჯერ ჯოისის კრიტიკოსებს მიაჩნიათ), არამედ იგი კატეგორიულად უპირისპირდება ადამიანის ბუნების რომანტიზირებულ, ეპობრივ-სტილისტურ კლიშეებით, სტანდარტებით გამოხატულ იდილიურ სურათს, რაც მისი ღრმა რწმენით, საბოლოოდ ხელს უშლის ადამიანს საკუთარ რთულ, წინააღმდეგობრივ, არცთუ მუდამ მიმზიდველ „მე"-ში ჩაიხედოს.

ჯოისის ეს პოლემიკური პოზიცია, რა თქმა უნდა, თავად შეიძლება იყოს საკამათო. აქ დავობენ კიდეც ამ საკითხების ირგვლივ, მაგრამ დავა უფლებამოსილი შეიძლება იყოს

მხოლოდ მაშინ, როცა სათანადოდ გავერკვევით და გავიგებთ მწერლის პოზიციას, მის მხატვრულ კრედოს.

თვითონ ჯოისი ნაკლებს კამათობდა: სანამ კრიტიკოსები სწავლობდნენ მის ნაწერებს და ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ მის მეთოდში, იგი დაჟინებით მოითხოვდა გამომცემლობისაგან, რომ ყოველი მისი ნეოლოგიზმი თუ ყირაზე დაყენებული სიტყვათწყობა ხელუხლებლად დაეტოვებინათ ტექსტში. იგი საგანგებოდ მოითხოვდა აგრეთვე მისეული პუნქტუაციის დაცვას და ამ მოთხოვნას თარგმანების მიმართაც ავრცელებდა. ეს, რა თქმა უნდა, მუდამ ვერ ხერხდება, მაგრამ ამისაკენ მთარგმნელი უნდა ისწრაფოდეს.

ამ ეპიზოდში აღსანიშნავია, მაგალითად, ორი წერტილის ხშირი ხმარება. ინგლისური პუნქტუაციის ნორმების მიხედვით, ორი წერტილი ზოგჯერ შეიძლება ცვლიდეს მძიმეს, მაგრამ არა ყველა იმ შემთხვევაში, როცა ეს ნიშანი გვხვდება ბლუმის შინაგან მონოლოგში. აშკარაა, რომ აქ მას მძიმეზე მეტი პუნქტუაციური დატვირთვა აქვს, იგი უფრო მკვეთრად აღნიშნავს ინტერვალს, თუმცა კი, წერტილ-მძიმისაგან განსხვავებით, მეტ ასოციაციურ კავშირს, მიზეზ-შედეგობრივ მიმართებას გულისხმობს გაყოფილ პასაჟებს შორის. ხშირია ამ ეპიზოდში ისეთი შემთხვევაც, როცა ცნობიერების ნაკადის „ეფექტის" მისაღწევად ჯოისი საერთოდ გაურბის ყოველგვარ პუნქტუაციას, ანდა ერთი და იგივე პერიოდის ფარგლებში გულისხმობს პუნქტუაციისადმი დიფერენცირებულ მიდგომას. სანიმუშოდ ამ ეპიზოდის შემდეგი პასაჟი გამოდგება: „ჯონ ჰოუარდ პარნელი მაგალითად ტრინიტის კოლეჯის რექტორი თქვენი რექტორების შესახებ რომ არაფერი ვთქვათ და ტრინიტის რექტორი დედის მუცლიდან ვინც კი ვეშობილვართ, მღვდლები, მღვდლები, პასტორები, ფილდმარშლები, არქიეპისკოპოსები".

ყველა ეს კერძო შემთხვევა მთელი რომანის მხატვრული მეთოდის ცალკეული გამოვლინებაა. „ლესტრიგონების" ეპიზოდი, დაწყებული მეორე წინადადებით და ბოლომდე, თითქმის მთლიანად ბლუმის შინაგანი მონოლოგისაგან შედგება. ამ მხრივ იგი „ჰადესის" ლოგიკური გაგრძელებაც არის და „პროტევსის" ეპიზოდის სტივენისეული ფილოსოფიური შინაგანი მონოლოგის თავისებური ანალოგიაც. ეს აღარ არის მეცხრამეტე საუკუნის რომანების ყოვლისმცოდნე მთხრობელის მონოლოგები. ჯოისის „მთხრობელი", თუ შეიძლება ითქვას, აღარ წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელ, განზე მდგომ „პიროვნებას", რომელიც მსჯელობდა, აფასებდა გმირების მოქმედებას, რომელსაც დასკვნები გამოჰქონდა მათი ფსიქოლოგიური კოლიზიების მიმართ. იგი „უფერული" და „ანონიმურია", არასოდეს არ იჩენს რაიმე გარკვეულ პოზიციას რომანის გმირების ამა თუ იმ მოქმედების მიმართ, აქტიურად არ ერევა მათ „ცხოვრებაში". რა თქმა უნდა, დიალოგებს შორის გვხვდება ავტორისეული რემარკებიც, მაგრამ მათშიც ხშირად პერსონაჟისეული ელემენტია შეჭრილი, ანდა, უფრო სწორედ, თვით ეს რემარკაც ხშირად ერთგვარად პერსონაჟის ცნობიერების ნაკადის ნაწილად აღიქმება. ასე, მაგალითად, დეივი ბირნის შესახებ მთხრობელი (ავტორი) ამბობს: „თავიდაიქნიავაიღიმადაამოიქნარა ერთსა და იმავე დროს". თითქოს ეს გრძელი სიტყვა ბუნებრივად მოითხოვს დაშლას, მით უფრო, რომ ეს კომპოზიტი კი არ არის, არამედ სრულიად დამოუკიდებელი სიტყვების მექანიკური ნაერთია. მაგრამ ასეთი „კონგლომერატით" ჯოისი ერთიან ეფექტს ქმნის თვით პირხია მომდევნო „ოქმისეა-მთქნარებასთან": „იიიიიმჰეეეეეეეე!". ეს კი უკვე ავტორისეული რემარკისა და პერსონაჟის მეტყველების ტრადიციული გაყოფა კი აღარ არის, არამედ ავტორისეულ რემარკაში პერსონაჟის მეტყველების ან ემოციის შეზრდა-გათქვეფაა, რაც თავის მხრივ „ულისეს" მთელ ამ ეპიზოდს ცნობიერების ნაკადის ერთიან შინაგან მონოლოგად აქცევს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გარკვეული პარალელისა, „პროტევსისა" და „ლესტრიგონების" ცნობიერების ნაკადი საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან სტილისტური თავისებურებებით: მიუხედავად იმისა, რომ ორივე გმირს (სტივენსა და ბლუმს) ემოციური თუ გონსჯის საერთო ინტელექტი გააჩნია (ირლანდიის ისტორია, რომაულ-კათოლიკური ეკლესია, ლიტერატურა, ადამიანის შეგრძნებანი, მეცნიერული საკითხები და სხვა), მათი ასოციაციური მეტყველება განსხვავებულ ენობრივ-რიტმული ფაქტურით გამოიხატება. ამ სტილისტური კონტრასტის შედეგად, ბლუმი ერთგვარად სტივენის მიწიერ და ხშირად კომიკურ ექოს წარმოადგენს, თვით ამ ორი ეპიზოდის ენაც კომპოზიციურად მსგავსი და ამავე დროს სრულიად განსხვავებული სტილური ელემენტებისაგან შედგება:

„პროტევსი": „ზურგს უკან. იქნებ ვინმეა.

სახე მიაბრუნა და უკან გაიხედა, ზურგი დაიცავი! საშინლად ხომალდი მა-

ლალი ქანდარებით მიაპობს ჰაერს, ჭვარედინ ხალიჩებზე აფრიალებული იალქნებით, შინისაკენ, დინების საწინააღმდეგო მიმართულებით, უხმოდ მოძრავი, უხმო ხომალდი".

„ლესტრიგონები": „ჩქარა. ნელა გაიარე. ერთი წამით. გული.
მისმა ხელმა იმას რომ ეძებდა რა ვეყავი იპოვა უკანა ჯიბეში საპონი ლოსიონი უნდა შევიარო თბილი ქაღალდი მიეკრო. აქ საპონი აქ არის!
აჰა. შესასვლელი.
გადავრჩი!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლუმისა და სტივენის სულიერი ურთიერთლტოლვა, რაც მათი შეხვედრის თანდათან მომზადებაში ვლინდება, „ლესტრიგონების" ეპიზოდშიც აშკარად არის მინიშნებული. მაგალითად, ბრმა ბიჭი, რომელიც ჯოხის კაკუნით იკვლევს გზას და რომელსაც ბლუმი ქუჩაზე გადასვლაში მიეხმარება, სტივენის შინაგანი მონოლოგის რემინისცენციას წარმოადგენს: „მშვენივრად მივაბიჯებ სიბნელეში. იფნის ხმალი მარტყია წელზე. მაგით აბაკუნე" (მესამე ეპიზოდი — „პროტევსი"). არის, რა თქმა უნდა, ისეთი მომენტიც, როცა ბლუმი უშუალოდ ფიქრობს სტივენზე (მის დას რომ მოჰკრავს თვალს), მაგრამ ზემოთ მოტანილი არაცნობიერი, „ტელეპატიური" კავშირი ბლუმსა და სტივენს შორის ჯოისის მხატვრული მეთოდის სიღრმისეული კომპონენტია და ამდენად მას უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციაც გააჩნია, როგორც „სულთა ნათესაობის" კონკრეტული გამოხატულების საჩვენებლად გამოყენებულ საშუალებას.

* *

ბევრი საინტერესო წიგნი გამოქვეყნდა ჯოისის შემოქმედების ამა თუ იმ ასპექტის ირგვლივ, სანამ „ულისე" ქართულად ითარგმნება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დონ გიფორდისა და რობერტ საიდმანის კომენტარები და კლაივ ჰარტისა და დეივიდ ჰეიმანის მიერ შეკრებილი კრიტიკული ესსეები. აღსანიშნავია აგრეთვე ისეთი დიდი მოვლენა, როგორიც არის „ულისეს" მეორე გერმანული თარგმანის გამოცემა დასავლეთ გერმანიაში. თუმცა გოიერტის თარგმანი თავის დროზე თვით ჯოისის კურთხევით გამოვიდა, იგი მაინც არასრულყოფილად ითვლებოდა და კლაუს რაიხერტისა და ფრიც სენის მიერ ჰანს ვოლშლეგერის ახალი თარგმანის გამოცემა ნამდვილი სენსაცია აღმოჩნდა თანამედროვე ჯოისიანაში. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გულწრფელი მადლობა მოვახსენო გერმანისტს ნათუნა ციციაძეს, რომელიც დაუზარებლად მეხმარება ამ ორ გერმანულ თარგმანს შორის არსებული განსხვავების დადგენაში.

## მერვე ეპიზოდი

ანანასის შაქარყინული, ლიმონის ყანდი, ირისი, ტკბილწებოვანი გოგონა კანფეტებს უყრის ქრისტიან მოძღვარს. სკოლის დღესასწაულის მაგვარი რაღაც. კუჭების მტერი. ტკბილეულობის საწარმო. მის უდიდებულესობას რომ ეკუთვნის, მეფეს, ღმერთი. ფარვიდეს. ჩვენს.[1] ზის თავის ტახტზე და წითელ მამალს წუწნის სითეთრემდე.

ა. ქ. კ.[2] გრემ ლემონის საკონდიტროს თბილ, ტკბილ ოხშივარში მოლარეჯე პირქუშმა ახალგაზრდამ ბატონ ბლუმს ხელში ჩასჩარა მოწოდება.

სულის საცხონებელი საუბრები.

ბ... მე? არა.

1. ინგლისელთა არაოფიციალური ეროვნული ჰიმნის სიტყვები: „ღმერთო ფარვიდეს ჩვენს მეფეს".
2. ა. ქ. კ. — „ახალგაზრდა ქრისტიანთა კავშირი".

ბატკნის უცოდველი სისხლი.

აუჩქარებელ ფეხებს მდინარისაკენ მიჰყავდათ. თან კითხულობდა. გადარჩენილია კი თქვენი სული? ყველა ბატკნის სისხლში განიბანება. ღმერთს სისხლიანი მსხვერპლი ესაჭიროება. დაბადება, ქორწინების ღამე, მოწამეობა, ომი, შენობის საძირკვლის ჩაყრა, მსხვერპლად შეწირვა, ყოვლადდაწვა თირკმელისა[3], დრუიდების საკურთხევლები. ელია მოდის[4]. დოქტორი ჯონ ელექზანდერ დაუი, სიონის ტაძრის განმაახლებელი მოდის[5].

მოდის! მოდის! მოდის!
ქებული იყოს მათი მობრძანება.

მომგებიანი საქმე. ტორი და ელიგზანდერი შარმან[6]. პოლიგამია. ცოლი მოუღებს ამას ბოლოს[7]. სად იყო ბირმინგემის რომელიღაც ფირმის ის რეკლამა, გაჩირაღდნებული ჯვარცმა? ჩვენი მხსნელი. შუაღამისას გამოგეღვიძოს და კედელზე დაინახო, ჩამოკიდებული. პეპერის მოჩვენება[8]. იესო ნაზარეველი მილურსმული ჰკიდია[9].

ფოსფორით აკეთებენ, უთუოდ. ვირთევზას ნაჭერი რომ დასტოვო, მაგალითად. მინახავს მოლურჯო ვერცხლით როგორ დაიფარება ხოლმე. იმ საღამოს სამზარეულოში საჭმლის კარადასთან რომ მივედი. არ მიყვარს იქაური სუნები, გარეთ გამოვარდნას რომ ელიან. რა მოინდომა მოლიმ? მალაგას ჩამიჩი. ესპანეთი გაახსენდა. რუდის დაბადებამდე. ფოსფორესცენცია, მოლურჯო-მომწვანო. მისწრებაა ტვინისათვის.

იმ სახლის კუთხიდან, ბატლერის ძეგლი რომ დგას, ბაჩელორს უოკის გასწვრივ გაიხედა. დედალოსის ქალიშვილი ისევ იქაა დილონის სააუქციონო დარბაზების წინ. ალბათ რაიმე ძველ ავეჯს ყიდის. მაშინვე ვიცანი მამის თვალებით. ატუზულა და ელოდება. დედა რომ კვდება, ოჯახი მუდამ ინგრევა. თხუთმეტი შვილი ჰყავდა მამამისს. თითქმის ყოველ წელს იბადებოდა ბავშვი. ასეთი წესი აქვს მაგათ რჯულს, თორემ მღვდელი აღსარებას არ ათქმევინებს საბრალო ქალს, ცოდვებს არ შეუნდობს. აღორძინდით და განმრავლდით[10]. ასეთი რამ გაგიგონიათ? სახლიან კარიანა შეგჭამენ[11]. თვითონ ოჯა-

3. ბლუმის დილანდელი საუზმე (მეოთხე ეპიზოდი) ირონიულად ძველ ებრაული და ირლანდიური რელიგიური რიტუალის კონტექსტშია ჩასმული.

4. „ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა მათ: ელია მოვიდეს პირველად და კუალად აგოს ყოველი“ (მათე 17, 11. აგრეთვე მალაქია 4: 5, 6).

5. ელექზანდერ დაუი (1847—1907) — რელიგიური ფანატიკოსი (წარმოშობით ედინბურგელი), რომელმაც სიონ სიტიში (ილინოის შტატი) საკუთარი ეკლესია ააგო და ელია აღმაშენებელი დაირქვა. „ულისეს“ მოქმედების პერიოდში დაუი ინგლისს ჩავიდა.

6. ტორი და ელექზანდერი — ამერიკელები, რომლებიც რელიგიური მისიონერობის პროპაგანდით ჩავიდნენ ინგლისში 1903—1905 წ. წ.

7. ელექზანდერ დაუის ბრალად დასდეს ქალიშვილების ბოროტად გამოყენება და პოლიგამია.

8. იგულისხმება ინგლისელი ჯონ პეპერის მიერ 1870-იან წლებში გამოგონილი საცირკო-სასცენო ტრიუკი (ფოსფორიზირებული კოსტუმით, განათებითა და მუქი ფარდებით მიიღწეოდა „მოჩვენების ეფექტი“).

9. მოლი ბლუმის მიერ გაშიფრული აბრევიატურა ი. ნ. მ. ჰ. („იესო ნაზარეველი, მეფე ჰურიათა“).

10. შესაქმე 1.28.

11. კუიკლის რეპლიკა შექსპირის „ჰენრი მეოთხიდან“ (2,1: „სახლიან კარიანა შეგჭამა“, თარგ. ვ. ჭელიძისა).

ხები არ ჰყავთ გამოსაკვები. სჭამენ ტვინსა ქვეყნისასა[12]. კარაქის და ხორცის საკუჭნაოები. ერთი შემახედა წითელ პარასკევს იომ კიპურის მარხვას როგორ ინახავენ. სელისკვერები[13]. ერთს კი წაიხემსებს იმის შიშით, საკურთხეველთან გული არ წამივიდესო. ერთ-ერთი ამ ვაჟბატონთაგანის მნე, ბიჭი ხარ და გამოსტყუე. ვერაფრით ვერ გამოსტყუებ. ისევე როგორც მაგათ გროშებს. თვითონ კარგად არის. სტუმრებს არ იღებს. ყველაფერი მხოლოდ მისი პერსონისათვის. თავის შარდს თვალყურს ადევნებს. საკუთარი ბუტერბროდით მობრძანდით. მისი მაღალღირსება. ხმა-კრინტი.

ღმერთო დიდებულო, საბრალო ბავშვის კაბა სულ დაძენძილა. უჭმელიც ჩანს. კარტოფილი და მარგარინი, მარგარინი და კარტოფილი. შემდეგ მერე იჩენს თავს. ფაფის ნოყიერება ჭამაში გამოჩნდებაო. ჯანმრთელობას ძირს უთხრის.

ო'კონელის ხიდზე რომ შედგა ფეხი, კვამლის ქულა პარაპეტიდან ამოცურდა. ლუდის ბარჟა საექსპორტო საქონლით. ინგლისი. გამიგონია, ზღვის ჰაერი ამჟავებსო. საინტერესო იქნებოდა ერთხელ ჰენკოკმა საშვი რომ მიშოვოს და ლუდის ქარხანა დავათვალიერო. დამოუკიდებელი სამყარო. პორტერის კასრები, შესანიშნავი. ვირთაგვებიც მოხვდებიან ხოლმე შიგ. იქამდე სვამენ სანამ ძაღლის ხელა გაიბერებიან და ისე ტივტივებენ. პორტერით გალეშილები. იქამდე სვამენ სანამ ღვთისნიერი ქრისტიანივით უკანვე არ ამოარწყევენ. ჩვენ კიდევ ამას ვსვამთ! ვირთხების სითხეს. რა თქმა უნდა, ყველაფერი რომ ვიცოდეთ.

ქვემოთ ჩაიხედა და დაინახა, როგორ ძლიერად ურტყამდნენ ფრთებს, სანაპიროს პირქუშ კედლებს როგორ აზომებდნენ რგოლებს, თოლიები. იქით ავდარია. რომ გადავხტე? რუბენ ჯ-ს შვილმა ალბათ კარგა ბლომად ყლაპა ეს ნარცხი. ერთი შილინგი და რვა პენსი ნამეტანია. ჰჰმ. დიდი მასხარა ვინმეა. ამბის მოყოლაც ეხერხება.

უფრო დაბლა დატრიალდნენ. შესასანსლავს დაეძებენ. მოიცა.

ქაღალდის გუნდა გადაუგდო. ილია ოცდათორმეტი ფუტი სიჩქარით წამში მობრძ. არაფერიც. ქაღალდის გუნდას არ გამოეკიდნენ, ტალღაზე ატივტივდა და ხიდის ბურჯებში შეცურდა. არც ისეთი ტუტუცები არიან. იმ დღეს კი, გამხმარი ნამცხვარი რომ გადავუგდე „ერინის მეფიდან“, ორმოცდაათი ფუტის იქით ამოკენკეს ტალღებიდან. საზრიანობაა რომ კვებავს მაგათ. დატრიალდნენ, ფრთების ფრატუნით.

ზღვის ზვირთებზე რომ დაფარფატებს ნეტა თოვლია,
თუ შიმშილისგან კუჭგამხმარი თეთრი თოლია.

ასე წერენ პოეტები, მსგავსი ბგერებით. მაგრამ შექსპირს რომ არა აქვს

12. „...და მოგცნე თქუენ ყოველნი კეთილნი ეგვიპტისანი, და სჭამდეთ ტვინსა ქვეყნისასა...“ (შესაქმე 45, 18).

13. ბლუმი ერთმანეთში ურევს ებრაულ მარხვას („იომ კიპური“) და ქრისტიანულ წითელ პარასკევს („სელისკვერები“).

რითმები: თეთრი ლექსი[14]. ეს არის ენის თავისუფალი მდინარება. აზრები. მოზეიმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

> ჰამლეტ, სული ვარ მამიშენის
> და სასჯელად მძევს, ხანსა რაიმე მიწას ვიარო 15.

— ორი ვაშლი ერთ პენად! წყვილი ერთი პენი!

თვალი მბზინავ ვაშლებს გადაავლო, ქალს დახლზე რომ დაეწყო. ავსტრალიური თუა წლის ამ დროს. მბზინავი კანი: ჩვრით აპრიალებს ან ცხვირსახოცით.

მოიცა. საბრალო ფრინველები.

ისევ შეჩერდა და ვაშლის მოხუცი გამყიდველისაგან ორი ბენბერის ნამცხვარი იყიდა ორ პენად, დაუშხვნა და ნამცეცები ლიფში ჩაყარა. ერთი შეხედეთ! თოლიები უხმოდ დაეცნენ კლანჭებით ორნი, მერე ყველანი, თავიანთი სიმაღლიდან, ნადავლს. გათავდა. აღარც ერთი ნამცეცი.

იცოდა თუ რა მსუნაგები და ეშმაკები არიან და ნარჩენი ნამცეცებიც მოუფშვნიტა. ამას კი არ ელოდნენ. ციური მანანა. იძულებულნი არიან თევზით იკვებონ, ყველა ზღვის ფრინველი, თოლიები, ზღვის ბატები. ანა ლიფიდან[16] გედები ჩამოცურდებიან ხოლმე ზოგჯერ ბუმბულის გასაწმენდად. ვის რა მოსწონს. ნეტა რა გემოსია გედის ხორცი? რობინზონ კრუზოს ამით მოუწდა თავის გამოკვება[17].

დატრიალებდნენ, სუსტად იქნევდნენ ფრთებს. მეტს აღარ გადმოვყრი. ერთი პენი სრულიად საკმარისია. მადლობაც მადლობით დამახრჩეს რა. არც კი დაუჩხავლიათ. თანაც თურქულს ავრცელებენ[18]. ინდაური რომ, ვთქვათ, წაბლით გაასუქო, ხორცს წაბლის გემო ექნება. ღორს ჭამ და ღორი ხარ. მაშინ როგორღა ხდება, რომ მლაშე წყლის თევზი მლაშე არ არის? ნეტა რატომ?

მისმა თვალებმა პასუხი მდინარეს მოკითხეს და ღუზაჩაშვებული, რეკლამებით აჭრელი, ტალღებზე ზანტად მოქანავე, ნიჩბებიანი ნავი დაინახეს.

**კინოხი :**

11 შილინგი

**შარვლები.**

კარგი მოფიქრებაა. ნეტავ ბეგარას თუ უხდის ქალაქის საბჭოს? არა, კაცმა რომ თქვას, წყალზე საკუთრება როგორ შეიძლება. მუდამ ნაკადად მიედინება, არასოდეს არ არის იგივე, ისევე როგორც ამ ჩვენი ცხოვრების ნაკადში. რადგან ცხოვრებაა ნაკადი. ყოველნაირი ადგილი ივარგებს რეკლამისათვის. ის თაღლითი ტრიპერის ექიმი ყველა ფეხსალაგში აკრავდა. ახლა აღარსად ჩანს. სრულიად საიდუმლოდ. დოქტორ ჰაი ფრენკი. არაფერი უჯ-

14. შექსპირს, რა თქმა უნდა, რითმიანი ლექსებიც აქვს.

15. ბლუმს ზუსტად არ ახსოვს ციტატა „ჰამლეტიდან" („მე სული ვარ მამიშენისა და სასჯელად მძევს, ხანსა რაიმე, ღამე ვიარო", 1, 5, თარგ. ი. მაჩაბლისა).

16. ანა ლიფი მდინარე ლიფის ხუმრ. ლექსების სახელია.

17. როგორც ყოველთვის, ბლუმის „ინფორმაცია" მისი ზერელე განათლების მაჩვენებელია: რობინზონ კრუზოს მხოლოდ რამდენჯერმე მოუხდა ზღვის ფრინველების მოკვლა და მან არ იცოდა, რა ფრინველები დახოცა (უბრალოდ ნათქვამია, რომ ზოგიერთი მათგანი საჭმელად არ გამოდგა).

18. თოლია თურქულს რომ ავრცელებს, ეს ბლუმის ფანტაზიის ნაყოფია.

დებოდა, როგორც ცეკვის მაესტრო მაგინის თვითრეკლამა[19]. შოულობდა ბიჭებს, რომლებიც აკრავდნენ ანდა თვითონვე აკრავდა, ხვანჯარის შესახსენებლად რომ შეირბენდა ხოლმე. ღამის მეოცნებე. შესაფერი ადგილი. გაქრობა არ შეიძლება. განკურნება შეიძლება. რომელიღაც ყმაწვილი ტრიუმფით ჩაწამებული.

ის რომ...

ო!

ჰა?

არა... არა.

არა, არა. არა მჯერა. რა თქმა უნდა, ის არ...

არა, არა[20].

ბატონმა ბლუმმა გზა განაგრძო და შეწუხებული თვალებით ზემოთ აიხედა. ამაზე ნუღარ ვიფიქრებ. მეორე საათი დაიწყო. ნავსადგურის მთავარი კანტორის თავზე დროის ბურთი დაშვებულია. დანსინკის დროით[21]. საინტერესოა სერ რობერტ ბოლის[22] ის პატარა წიგნი. პარალაქსი. ბოლომდე არასოდეს არ მესმოდა. აგერ მღვდელი. მეკითხა. პარ ბერძნულია[23]: პარალელი, პარალაქსი. ნეტა ვის კოცნის ეგონა, სანამ სულთა გადასახლებაზე არ ვუთხარი[24]. ო, ღმერთო დიდებულო!

ბატონმა ბლუმმა გაუღიმა, ო, ღმერთო დიდებულო, ნავსადგურის კანტორის ორ ფანჯარას. მოლი, ბოლო-ბოლო, მართალია. მჟღერალა სიტყვებია ჩვეულებრივის გამოსახატავად. ჟღერადობის ხარჯზე. მაინცდამაინც გონებამახვილი არ არის. უხეშობაც შეუძლია. მე რასაც გავიფიქრებ, ის წამოაყრანტალებს ხოლმე. თუმცა, არ ვიცი. აკი იტყოდა ხოლმე, ბენ დოლარდს ბას კასრიტონი აქვსო. ფეხები კასრებს მიუგავს და თანაც გეგონებათ კასრში თავჩაყოფილი მღერისო. განა ეს გონებამახვილობა არ არის? დიდ ბენს ეძახდნენ[25]. გაცილებით უფრო გონებამახვილურია ბას კასრიტონი. ალბატროსის მადა აქვს. კარგა ზორბა როსტბიფს მოუვლის ხოლმე. პირველხარისხოვან ლუდს — ბასსაც ღონივრად ერევა. ბასის კასრი. ხედავ? ყველაფერი სწორად გამოდის.

თეთრბლუზიანი კაცების პროცესია ნელა მოაბიჯებდა მისკენ არხის გასწვრივ, წინ და უკან ჩამოკიდული, მეწამულ ზამთავაკრული, სარეკლამო ფიცარნაკებით. იაფი ჯდება. დილანდელი მღვდლისა არ იყოს: ვიყავით მცოდველნი: ვიტანჯებოდით მარად[26]. მეწამული ასოები წაიკითხა მათ ხუთ მაღალ

19. ცეკვის მასწავლებელი დენის მაგინი, ექსტრავაგანტული მანერებითა და ჩაცმულობით, დუბლინის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ ფიგურად ითვლებოდა.

20. ბლუმი თავიდან იშორებს ფიქრს ბოილანზე.

21. ირლანდიის დანსინკის ობსერვატორიის მიერ მიღებული დრო 1904 წელს 25 წუთით ჩამორჩებოდა გრინიჩის დროს.

22. კემბრიჯის ობსერვატორიის დირექტორი სერ რობერტ ბოლი (1840—1913) წარმოშობით დუბლინელი იყო.

23. თუმცა „პარალაქსი" ბერძნული ფუძიდან წარმოსდგება, მაგრამ პ რ ე ფ ი ქ ს ი „პარ" რომაულ-ფრანგულია და არა ბერძნული.

24. მეოთხე ეპიზოდში („კალიფსო") მოლი ბლუმის სიტყვა „მეტემფსიქოზისს" ასეთნაირად ამახინჯებს — „ნეტა ვის კოცნის".

25. დიდ ბენს უესტმინსტერის კურანტების ყველაზე დიდ ზარს უწოდებენ.

26. მურის მიერ გაწითურული „იესო მაცხოვარი კაცთა" (ბლუმი ოდნავ ცვლის სიტყვებს).

ცილინდრზე: ჰ. ი. ლ. ი. ს. უიზდომ ჰილის[27]. ი ჩამორჩა, წინა ფიცარნაკის ქვემოდან პურის ნაჭერი გამოაძრო, პირში იტაკა და გზადაგზა შეუდგა ღეჭვას. საზრდო ჩვენი არსობისა. სამი შილინგი დღეში, არხებს გასწვრივ სიარული, ქუჩიდან ქუჩაში. კუჭი რომ არ გაუხმეთ, პური და შეჭამანდი. ისინი ბოილ: არა: მაკ გლეიდის ხალხია[28]. არც არაფერი ხეირია. მე ვფიქრობდი გამჭვირვალე სარეკლამო ეტლში ჩაესვა ორი კოხტა გოგონა, რომლებიც შიგ წერილებს დასწერდნენ, რვეულები, კონვერტები, საშრობები. თავს დავდებ, გასჭრიდა. ლამაზი გოგოები რაღაცას წერენ, უცებ მიიქცევს ყურადღებას. ყველას ერთი სული აქვს გაიგოს რას წერს. ორ კაცს მოაგროვებ გარშემო, ტყუილად რომ მიაშტერდე რამეს. ყველაფერში ცხვირი უნდა ჩაჰყონ. ქალებიც. ცნობისმოყვარეობა. და იქმნა ძეგლ მარილის[29]. არ მოინდომა, რა თქმა უნდა, რაკიღა პირველად თვითონ არ მოუვიდა აზრად. ანდა სამელნე რომ შევთავაზე ცელულოიდისაგან გაკეთებული შავი ლაქით. მისი აზრით კი რეკლამა ისეთი უნდა იყოს, როგორიც პლამტრის ხორცის კონსერვები სამგლოვიარო განცხადებების ქვეშ, ხორცის განყოფილება. ვერ ალოკავთ. რას? ჩვენს კონვერტებს. სალამი, ჯოუნზ, სად მიდიხართ? ვერ გავჩერდები, რობინზონ, გავრბივარ, ერთად-ერთი წესიერი მელნის საშლელი რომ ვიყიდო — „კანსელი“, პილის კომპანიის საქონელი, 85 დეიმ სტრიტი. კიდევ კარგი თავი დავაღწიე იმ არეულობას. ჯოჯოხეთური სამუშაო იყო მონასტრებიდან ანგარიშების აკრეფა. ტრანკვილას მონასტერი[30]. კოხტა მონაზონი იყო იქ, მშვენიერი სახე ჰქონდა. პაწია თავზე საბურავი უხდებოდა. დაი? დაი? დარწმუნებული ვარ, უიღბლო სიყვარული ერგო, თვალებზე ეტყობოდა. მეტად ძნელია ასეთ ქალთან ვაჭრობა. ლოცვაში შევუშალე ხელი იმ დილას. თუმცა უხაროდა გარესამყაროსთან კავშირი რომ ჰქონდა. ჩვენი დიადი დღე, თქვა მან. კარმელის მთის ღვთისმშობლის დღესასწაული[31]. ლამაზი სახელიც რომაა: კარამელ. მან იცოდა, ვფიქრობ იცოდა, რადგან. რომ გათხოვილიყო, შეიცვლებოდა. როგორც ჩანს, მართლაც უჭირდათ. და მაინც ერბოში წვავდნენ ყველაფერს. ქონს არ ხმარობდნენ. გამდნარ ქონზე გული არ მიმდის. შიგნიდან და გარედან უყვართ გაპოხვა. მოლი გემოს უსინჯავდა, ვუალახდილი. დაი? პეტ კლეფი, მევახშის ქალიშვილი. ამბობენ მონაზონმა გამოიგონა ეკლიანი მავთულიო[32].

უესტმორლენდ სტრიტი გადაიარა, როცა „სანი“ ჩაფლახუნდა. როუვერის ველომაღაზია. დღესაა სწორედ ის მოტოსრბოლა. რამდენი ხანი გავიდა? ფილ გილიგენი რომ მოკვდა, იმ წელს. ჩვენ ლომბარდ სტრიტ უესტზე ვცხოვრობდით. თუ ტომთან რომ ვმუშაობდი. რომ დავქორწინდით, იმ წელს მოვე-

27. ჩარლზ უიზდომ ჰილი „ულისეს“ მოქმედების დროს საკანცელარიო ნაწარმის მწარმოებელი იყო. ჰილის ფირმა დეიმ სტრიტზე იყო მოთავსებული, სადაც ერთხანს მუშაობდა ბლუმი.

28. ჯოისის მიერ შეთხზული ბოილიცა და ნამდვილად არსებული მაკგლეიდიც სარეკლამო ფირმის პატრონები იყვნენ.

29. შესაქმე 19, 26.

30. დუბლინის კარმელიტების მონასტერი.

31. კარმელიტების ორდენის დაარსების (სირია, 1156 წ.) აღსანიშნავი დღესასწაული.

32. ეს ბლუმის მორიგი ფანტაზიაა (ანდა შორეულ ლონდონში მიღებული ინფორმაცია): ეკლიანი მავთული ამერიკელი ფერმერების გამოგონილია.

წყე სამუშაოდ უიზდომ ჰილისთან. ექვსი წელი. ათი წლის წინათ: ოთხმოცდათოთხმეტში მოკვდა, პო ზუსტად, არნოტთან დიდი ხანძარი. ველ დოლონი იყო ლორდ-მერი. ვახშამი გლენკრიში. ოლდერმენ რობერტ ო'რეილი პორტვეინი ჩაისხა წვენში, სანამ დროშას დაუშვებდნენ[33] და ხმაურით ამოსვლიპა სულიერი საზრდო. არ ისმოდა რას უკრავდა ორკესტრი. ღირსი ყოვლადმიტევების იმ კურთხევისა, რომელიც მიეც რჩეულთა შენთა. მილი მაშინ სულ პაწაწინა იყო. მოლის ის რუხი-სპილოსფერი დაწნულზონარიანი კაბა ეცვა. ხელით ნაკერი, იმავე ნაჭერგადაკრული ღილებით. თვითონ არ უყვარდა, რადგან მუხლი ვიღრძე როცა პირველად ჩაიცვა მათი გუნდის პიკნიკზე „შაქრის თავში". თითქოს ამიტომ. მოხუცი გუდვინის ცილინდრი რაღაც წებოიანი. ბუზებსაც პიკნიკი ჰქონდათ. ასეთი კაბა მას შემდეგ აღარც ჰქონია. მხრებზე და თეძოებზე ხელთათმანივით ჰქონდა მორგებული. სწორედ მაშინ ეზრდებოდა. კვერცხის პაშტეტი გაქონდა იმ დღეს. ხალხი თვალს აყოლებდა.

ბედნიერი. მაშინ უფრო ბედნიერი. პატარა მყუდრო ოთახი წითელი შპალერით, დოკრელთან ნაყიდი, დუჟინი ერთი შილინგი და ცხრა პენსი. მილის ბანაობა საღამოთი. ამერიკული საპონი ვუყიდე: ანწლის ყვავილი. მისი აბაზანის მყუდრო სურნელება. სასაცილო იყო თავიდან ფეხებამდე გასაპნული. კარგი ტან-ფეხიც ჰქონდა. ახლა კიდევ ეს ფოტოგრაფია. საწყალი მამაჩემის დაგეროტიპული ატელიე, რომლის შესახებაც იგი მიყვებოდა ხოლმე. მემკვიდრეობითი გემოვნება.

ტროტუარის ნაპირზე მიდიოდა.

ცხოვრების ნაკადი[34]. რა ერქვა იმ ყმაწვილს, ბერს რომ ჰგავდა და ჩავლისას რომ შემოიჭყიტებოდა ხოლმე? სუსტი მხედველობა, ქალი. ციტრონისას ჩერდებოდა ხოლმე სენტ კევინ პარეიდში. პენ და რაღაც. პენდენისი[35]? მეხსიერება თანდათან. პენ...? კაცმა რომ თქვას, რამდენი წელი გავიდა. ალბათ ტრამვაის ხმაურის ბრალია. კი მაგრამ იმან გამომშვების გვარი თუ ვერ გაიხსენა, ყოველ დღე რომ ხედავს?[36]

ბარტელ დარსი[37] ტენორი იყო, სწორედ მაშინ იწყებდა გამოსვლებს. რეპეტიციის შემდეგ სახლში აცილებდა ხოლმე. თვითკმაყოფილი ახალგაზრდა აწკეპილი ულვაშებით. სიმღერა უსახსოვრა: „სამხრეთიდან მონაბერი ქარი".

ქარიანი საღამო იყო, მის წამოსაყვანად რომ წავედი ლოჟის შეკრებაზე ლოტორეის ბილეთების გამო, გუდვინის კონცერტის შემდეგ, მეერის საბანკეტო თუ მუხის დარბაზში. მე და ის ახალგაზრდა უკან. მისი ნოტების ფურცელი ქარმა გამომგლიჯა ხელიდან და სკოლის მესერს მიანარცხა. კიდევ კარგი რომ არ. მთელი საღამოს შთაბეჭდილებას წაუხდენდა. პროფესორ გუდვინს ხელკავით მიჰყავს წინ. ჩხირივით ფეხებზე მიქანაობს საცოდავი ბებრუხანა ლოთი. მისი გამოსათხოვარი კონცერტები. ნამდვილად სულ უკანასკნე-

---

33. ე. ი. სანამ დოლი დაიწყებოდა.

34. ირლანდიელი კომპოზიტორის უილიამ უოლესის (1813—1865) ოპერეტის „მარიტანას" რემინისცენცია. საერთოდ „ნაკადი", „დინება" რომანის ამ თავის ერთ-ერთი ძირითადი ლაიტმოტივია.

35. თეკერეის რომანის — „პენდენისის თავგადასავალი" — გმირი.

36. იგულისხმება, რომ ნესტორმა ვერ გაიხსენა მოხუცის გვარი (ქვემოთ ეპიზოდი — „ეოლოსი").

37. ეს პერსონაჟი გვხვდება მოთხრობაში „მკვდრები" („დუბლინელები").

ლი გამოსვლა სცენაზე. შესაძლოა რამდენიმე თვით ან შესაძლოა სამუდამოდ[38]. გახსოვს, როგორ უცისოდა ქარს, თბილსაყელოაწეული. ჰარკორტ როუდის კუთხეში, გახსოვს, როგორ წამოუქროლა? ბრრ! ქვედაბოლო წამოუწია და ისეთი ბოლი ჩაყლაპა, კინაღამ არ დაახრჩო მოხუცი გუდვინი. ქარში წამოწითლდა. გახსოვს, შინ რომ დავბრუნდით, ცეცხლი დაანთე და ცხვრის კოტლეტი შეუწვი ვახშმად მისი საყვარელი საწებლით. და [illegible] ბუხრიდან ვხედავდი როგორ იხსნიდა საწოლ ოთახში კორსეტის შესაკრავს. ქათქათა.

საწოლზე გადაგდებული კორსეტის სტვენა და ჩუმი ტყაპუნი. მუდამ მისი სხეულით გამთბარი. მერე დასვენება უყვარდა ხოლმე. თითქმის ორ საათამდე იჯდა, თმის სამაგრებს იძრობდა. მილი საბნის ხუხულაში გახვეული. ბედნიერი. ბედნიერი. სწორედ იმ ღამეს...

— ო, ბატონო ბლუმ, როგორ ბრძანდებით?

— ო, ქალბატონო ბრინ, თავად როგორ ბრძანდებით?

— წუწუნს აზრი არა აქვს. მოლი როგორ არის? მთელი საუკუნეა არ მინახავს.

— მშვენივრად, მხიარულად თქვა ბატონმა ბლუმმა, მილიმ ადგილი მიიღო მალინგერში, იცით?

— რას მელაპარაკებით! რა კარგია, არა?

— დიახ, ფოტოგრაფთან. მშვენივრად გრძნობს თავს. თქვენი მრევლი როგორ არის?

— მადის არ უჩივიან, მშიერ მოშიებივით პირს მილებენ, თქვა ქალბატონმა ბრინმა.

რამდენი ჰყავს? ეტყობა მეტს არ ელოდებიან.

— შავებში ხართ. ხომ არაფერი...

— არა, თქვა ბატონმა ბლუმმა, პირდაპირ დასაფლავებიდან მოვდივარ.

ახლა მთელი დღე აღარ მომეშვება. ვინ მოკვდა, როდის და რამ მოკლა? ტკიპივით ამეკვრება.

— ო, ღმერთო ჩემო, თქვა ქალბატონმა ბრინმა, იმედია ახლო ნათესავი არ იყო.

შეიძლება თანაგრძნობაც მიიღო.

— დიგნემი, თქვა ბატონმა ბლუმმა. ჩემი ძველი მეგობარი. სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა, საწყალი. გული, ვგონებ. დილით დაასაფლავეს.

ხვალ უნდა დავასაფლავოთ,
რას დაეძებდა ჭვავის ყანაში?
დილიდელი დამდამ
დილდლდადლ...[39]

— ძნელია ძველი მეგობრების დაკარგვა, მელანქოლიურად წარმოსთქვეს ქალბატონი ბრინის ქალურმა თვალებმა.

სრულიად საკმარისია. წყნარად: ქმარი.

---

38. სიმღერის ტექსტის პარაფრაზი.

39. ბლუმი ორი სიმღერის ტექსტს აერთიანებს: ფელიქს მაკგლენონის „მას ხვალ ასაფლავებენ" და რობერტ ბერნსის „ჭვავის ყანაში".

— და თქვენი მეუღლე და ბატონი?

ქალბატონი ბრინის ორმა დიდრონმა თვალმა ზემოთ აიხედა. ეს მაინც შემორჩენია.

— ო, ნუ იტყვით, თქვა მან. საფრთხობელაა. ზის და აქებს სამართლის წიგნებში, დიფამაციის კანონს ეძებს. გულს მიკლავს. მოიცათ, გაჩვენებთ.

ხბოს თავისაგან გაკეთებული წვნიანის ოხშივარი და ახლადგამომცხვარი მურაბიანი ღვეზელის სურნელი ამოდიოდა ჰარისონის სასაუზმედან. შუადღის მძიმე ჰაერი უღიტინებდა ბატონი ბლუმის სასას. უნდა მოიზილოს კარგი ცომი, ერბო, საუკეთესო ფქვილი, მუქი შაქარი, თორემ ცხელ ჩაისთან გემო მიეცემა. ან იქნებ მისგან? ფეხშიშველი ქუჩის ბიჭი ცხაურაზე იდგა და ორთქლს ისუნთქავდა. შიმშილს იკლავს ამით. მაინც სიამოვნებაა თუ ტანჯვა? გროშიანი სადილი. მაგიდაზე მიჯაჭვული დანა და ჩანგალი[40].

ქალი თავის ჩანთას ხსნის, იაფფასიანი ტყავი, შლაპის ქინძისთავი: ჩამოსაცმელს უნდა აკეთებდნენ. თვალს გამოსთხრის ვინმეს ტრამვაიში. იქექება. გახსნილში. ფული. აიღეთ. ჩემს მტერს ექვსპენსიანი რომ დაეკარგოთ: ერთ ამბავს ატეხენ. ქმარი ელავება. რა უყავი ათი შილინგი რომ მოგეცი ორშაბათს? შენი ძმიკოს ოჯახს ინახავ? გაქონილი ცხვირსახოცი: წამლის შუშა. აბი თუ გადმოვარდა. რას აკე?..

— ახალი მთვარე იქნება, თქვა მან. ამ დროს ყოველთვის ცუდად არის ხოლმე. წუხელ იცით რა გააკეთა?

ხელმა შეწყვიტა ქექვა. თვალები მას დააშტერდნენ, შეშფოთებისაგან გაფართოებულნი, თუმცა კვლავაც მომღიმარნი.

— რა? იკითხა ბატონმა ბლუმმა.

დე, ილაპარაკოს. პირდაპირ უყურე თვალებში. მჯერა თქვენი. მენდეთ.

— შუაღამისას გამაღვიძა, თქვა ქალბატონმა ბრინმა. სიზმარი ნახა, კოშმარი. გულის ძმარვა.

— თქვა, პიკის ტუზიანი კიბეზე ამოდიოდაო.

— პიკის ტუზიანიო! თქვა ბატონმა ბლუმმა.

ქალბატონმა ბრინმა ჩანთიდან დაკეცილი საფოსტო ბარათი ამოიღო.

— წაიკითხეთ, თქვა მან. ამ დილას მიიღო.

— რა არის? იკითხა ბატონმა ბლუმმა და ბარათი აიღო. კა. პუტ.?

— კა. პუტ.: კაპუტ, თქვა ქალბატონმა ბრინმა. ვიღაც მასხარად იგდებს. სამარცხვინოა, ვინც არ უნდა იყოს.

— ჭეშმარიტად, თქვა ბატონმა ბლუმმა.

ქალბატონმა ბრინმა ამოიოხრა და ბარათი გამოართვა.

— ახლა ბატონ გენტონის კანტორაში წავიდა. ამბობს ათი ათასი გირვანქა სტერლინგის სარჩელი უნდა წამოვიწყოო.

ბარათი აწეწილ ჩანთაში ჩადო და საკეტი დააჩხაკუნა.

იგივე ლურჯი სერჟის კაბა, ორი წლის უკან რომ ეცვა, ხაოშელახული. უკეთესი დღეები უნახავს. ყურებს ზემოდან მეჩხერი თმა გამოსჩრია. თანაც ეს ძველმოდური შლაპა, ყურძნის სამი ძველი მტევანი ჰეწის მისაცემად.

40. დუბლინის ქრისტიანთა კავშირის შენობაში ღარიბთათვის უფასო სადილებს ამზადებდნენ. დანა-ჩანგალი მართლაც ძეწკვით იყო მიმაგრებული მაგიდებზე.

უბადრუკი ელეგანტობა. იყო დრო გემოვნებით იცვამდა. ნაოჭებმა პირი მოუპრუწა. ერთი-ორი წლით თუ იქნება მოლიზე უფროსი.

როგორ აათვალიერა, ქალმა რომ ჩაიარა. დაუნდობლად. ულმობელი სქესი.

კვლავ ქალბატონ ბრინს უყურებდა, თან უკმაყოფილებას ფარავდა. ხარის კუდისაგან დამზადებული წვნიანის მკვეთრი სუნი. მეც მშია. [illegible] ნამცეცები მისი კაბის კალთაზე. ლოყაზე მოცხებილი შაქრის ფხვნილი. რევანდის ტორტი მოზრდილი გულით, ხილის ნოყიერი შიგნეულით. ეს ჯოუზი პაუელი იყო[41]. ლუკ დოილთან, დიდი ხნის წინათ, დოლფინ ბარნში, შარადები. კა. პუტ.: კაპუტ.

თემა გამოცვალე.

— ქალბატონ ბოფოის თუ ნახულობთ, იკითხა ბატონმა ბლუმმა.

— მინა პიურფოის? თქვა ქალბატონმა ბრინმა.

ფილიპ ბოფოიზე ვფიქრობდი. თეატრალების კლუბი. მეჩემი ხშირად ფიქრობს იმ ბრწყინვალე დარტყმაზე. წყალი თუ ჩამოვუშვი? კი. უკანასკნელი მოქმედება.

— დიახ.

— სწორედ ახლა გზად შევიარე, ვიკითხე მორჩა თუ არა, სამშობიაროში წევს ჰოლზ სტრიტზე. ექიმმა ჰორნმა დააწვინა. სამი დღეა რაც მუცელი ასტკივდა.

— ო, თქვა ბატონმა ბლუმმა. ძალიან საწყენია.

— დიახ, თქვა ქალბატონმა ბრინმა. სახლი კი სავსეა ბავშვებით. მძიმე მშობიარობა აქვს, მომვლელმა ქალმა მითხრა.

— ო, თქვა ბატონმა ბლუმმა.

მისმა დაძაბულმა მოწყალე მზერამ შეისრუტა ეს ახალი ამბავი. ენამ თანაგრძნობით დაიტკაცუნა. ტ-ტ! ტ-ტ!

— დიდად ვწუხვარ, თქვა მან. საბრალო! სამი დღე! საშინელებაა.

ქალბატონმა ბრინმა თავი დაუქნია.

— სამშაბათს დაეწყო...

ბატონი ბლუმი ფრთხილად შეეხო იდაყვზე, გააფრთხილა.

— ფრთხილად! ეს კაცი გაატარეთ.

გაძვალტყავებული ფიგურა ტროტუარის კიდეზე მოდიოდა მდინარის მხრიდან, გაყინული მზერა მიეპყრო მზისათვის სქელი ზონარიანი პენსნედან. პაწია ქუდი არახჩინივით წამოეცვა თავზე. მკლავზე გადაკიდებული ლაბადა, ჯოხი და ქოლგა ნაბიჯს აყოლილი ქანაობდნენ.

— შეხედეთ, თქვა ბატონმა ბლუმმა. ყოველთვის გარშემო უვლის ფარნის სვეტებს. შეხედეთ!

— ვინაა, უხერხული კითხვა თუ არ არის, თქვა ქალბატონმა ბრინმა. აფრენს?

— მისი სახელია კეშელ ბოილ ოკონორ ფიცმორის ტისდელ ფერელი[42], ღიმილით თქვა ბატონმა ბლუმმა. შეხედეთ!

---

41. პაუელი ქალბატონ ბრინის ქალიშვილობის გვარი იყო.

42. დუბლინის ქუჩების ექსცენტრიული მკვიდრი, რომელსაც თავის ნაწერებში მოიხსენიებს ოლივერ გოგარტი (ჯოისის ბაკ მალიგანის პროტოტიპი).

— სახელები არ აკლია, თქვა ქალბატონმა ბრინმა. ღენისთაც ერ ფლე ელის.

უცებ შეწყვიტა საუბარი.

— აგერ ისიც, თქვა მან. უკან უნდა გავყვე. ნახვამდის [illegible]თხუთ, გეთაყვა.

— უსათუოდ, თქვა ბატონმა ბლუმმა.

უყურებდა, როგორ მიიკვლევდა გზას გამვლელთა შორის მაღაზიის ვიტრინებისკენ. დენის ბრინი გაცრეცილ სერთუკში და ლურჯ ბრეზენტის ფეხსაცმელებში ჰარისონიდან გამობანცალდა. თან ორ უზარმაზარ ტომს ნეკნებზე იხუტებდა. ყურედან მობერილი. ძველი ლანდივით. არ გაკვირვებია, ცოლმა რომ გაასწრო. გახუნებული ჰალარა წვერი მიაშვირა და დონდლო ნიკაპი აუთლაფთლაფდა, როცა ენერგიულად დაიწყო ლაპარაკი.

მეშაქა[43]. უქრის.

ბატონმა ბლუმმა აუჩქარებლად განაგრძო გზა, წინ მზით განათებულ ვიწრო არახჩინს ხედავდა, მოქანავე ჯოხს, ქოლგას, ლაბადას. ორი დღისას დადის. უყურეთ! კვლავ გამოდის. ლუკმა პურის შოვნის ერთი საშუალებაც ეს არის. და აგერ მეორე დაძონძილი ბნედიანი ბერიკაცი. ალბათ უქირს ცოლს მაგის ატანა.

კა. პუტ: კაპუტ. მზად ვარ ხატზე დავიფიცო, ეს ელფ ბერგენი ან რიჩი გულდინგია. მოტლანდიურ ლუდხანაში ერთობოდნენ, თავს დაედებ მოსაჭრელად. ენტონის კანტორისაკენ გაემართა. ლოქორას თვალები ღია ზარათს მიშტერებია. ღმერთების ნადიმი.

„ირლანდიურ ტაიმსს" ჩავუარა. შესაძლოა სხვა პასუხებიც აწყვია იქ. კარგი იქნებოდა ყველაზე გამეცა პასუხი. კარგი სისტემაა დამნაშავეთათვის. კოდი. ახლა საუზმობენ. იქაური სათვალებიანი კლერკი არ მიცნობს. ო, გაანებე თავი, აწყონ თავისთვის. ეს ორმოცდაოთხიც მეყოფა. გვესაჭიროება მოხდენილი მბეჭდავი ქალი, რომელიც ჯენტლმენს ლიტერატურულ საქმიანობაში მიეხმარება. მე თქვენ საძაგელი ბიჭი გიწოდეთ, რადგან არ მომწონს ის მეორე სიტყვა. გეთაყვა მითხარით რას ნიშნავს. გეთაყვა მითხარით თქვენი ცოლი რომელ სუნამოს. მითხარით ვინ შექმნა სამყარო. რას მოგაყრიან ხოლმე შეკითხვებს. და მეორე კი ლიზი ტუიგი[44]. ჩემს ლიტერატურულ ცდებს ბედი ეწვია. გამოჩენილი პოეტის ა. ე.-ს (ბატონი ჯორჯ რასელის) მოწონება დაიმსახურეს. თმის დავარცხნის დრო არა აქვს, ბაც ჩაის სვამს ლექსების წიგნით ხელში.

საუკეთესო გაზეთია პატარა სარეკლამო განცხადებებისათვის. ახლა პროვინციებსაც გასწვდა. მზარეული და მოსამსახურე, საუკ სამზარეულო, გვყავს მოახლე. გვჭირდება ენერგიული კაცი მაგარი სასმელების გასაყიდლად. წეს გოგონა (კათოლ.) ეძებს ადგილს ხილის ან ძეხვეულის მაღაზიაში. ჯეიმზ კარლაილის წამოწყებულია. ექვს-ნახევარი პროცენტი დივიდენდი. დიდი მოგება ნახა კოატსის[45] აქციებზე. ნელი-ნელ. გაიძვერა ბებერი შოტლანდიელი წუწურაქი. ყველანაირი მითქმა-მოთქმა. ჩვენი მოწყალე და საყვარელი ვიცე-დედოფალი.

43. უცნაური, მოსულელო (ებრ.).

44. რეალური პიროვნება, ჯორჯ რასელის პროტეჟე, პოეტესა.

45. იგულისხმება ჯეიმზისა და პიტერ კოატსის ძაფსართავი ფირმა.

აირიშ ფილდიც შეიერთა[46]. ლედი მაუნტკეშელი სავსებით გამოჯანმრთელდა მშობიარობის შემდეგ და უორდ იუნიონის მწევრებით რეთოთში წავიდა მელიებზე სანადიროდ. მელა არ იჭმება. განურჩევლად ხოცავდნენ. შიშისაგან გამოყოფილი სითხე კი ხორცს ურბილებს. უნაგირზე მამაკაცურად. კაი ვაჟკაცი მონადირე. ქალის უნაგირს თუ ბალიშს თაკილობს, ჩემი საქმე არ არისო. შეკრებაზეც პირველია და მდევართა შორისაც მეწინავე. ზოგიერთი ცხენოსანი ქალი ჯიშიან ულაყივით ჯანიანია. თავლებში დაეხეტება. ჭიქა ბრენდის ისე გადახუხავს, ხმის ამოღებას ვერ მოასწრებ. დღეს დილას გროვენორთან რომ იყო. ნეტავი ფურგონში შეგეყარა ერთად: ვიშვიშ. ნებისმიერ ბარიერს აიღებს. იმ ცხვირმიჭყლეტილმა კაცმანმა ჩემს ჯიბრზე ჩაიარა[47]. ვის გავდა? ჰო, ვიცი! ქალბატონ მირიამ დენდრეიდს, შელბურნის ოტელში ძველმანები და შავი საცვლები რომ მომყიდა. ქმარგაყრილი ესპანელი ამერიკელი. წარბიც არ შეუხრია, შიგ რომ ვიქექებოდი. თითქოს მისი ტანსაცმლის დასაკიდი ვიყავი. იმ დღეს ვიცე-მეფის წვეულებაზე ვნახე, როცა მებაღე სტაბსმა „ექსპრესელ“[48] უილენთან ერთად შემიშვა პარკში. დიდებულთა ნასუფრალი. ნადიმი. ქლიავს კრემის მაგივრად მაიონეზი რომ დაასხეს. იმის შემდეგ ალბათ რამდენიმე კვირა ყურებში უწიოდა. მაგას ბუღა ჭირდება. ბოზობისთვისაა დაბადებული. ურეცხე და უარე ბავშვს, გმადლობთ.

საბრალო ქალბატონი პიურფოი! მეთოდისტი ქმარი. სიგიჟეც წყობისა აქვს[49]. ზაფრანის ნამცხვარი და რძე და სოდა საუზმეზე პედაგოგიურ კაფეში. ჭამს წამზომით. წუთში ოცდათორმეტჯერ ღეჭავს. მაინც ბაკენბარდები ბიფშტექსივით გაუზრდია. ამბობენ მაგარი ნაცნობობა აქვსო. თეოდორის კუზენი დუბლინის კოშკში[50]. თითო გამოსული ნათესავი ყველა ოჯახში. ყოველწლიურად საზრუნავს უჩენს. ვნახე „სამი მხიარული ლოთი-შფოთიდახ“[51] რომ გამოდიოდა. თავშიშველი მოაბიჯებდა და უფროს ვაჟს სასურსათო კალათით პატარა მოჰყავდა. ჭყიპინა არსებანი. საწყალი! მერე წლიდან-წლამდე ძუძუ უნდა აწოვოს მთელი ღამის განმავლობაში. დიდი ეგოისტები არიან ეს არამსმელები. ავი ძაღლი. მე მხოლოდ ერთი ნატეხი შაქარი, გეთაყვა.

ფლიტ სტრიტის გზაჯვარედინზე იდგა. ექვს პენსად ხომ არ მესაუზმა როუსთან? ის განცხადება უნდა მოვნახო ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ბერტონთან რვა პენსად უკეთესია. გზად.

ბოლტონის უესტმორლენდის მაღაზიას ჩაუარა. ჩაი. ჩაი. ჩაი. დამავიწყდა ტომ კერნენისათვის დამეცინცლა.

სსს. ტს. ტს. ტს! წარმოიდგინე, სამი დღე ლოგინში კვნესა ძმრიანი

---

46. „აირიშ ფილდი“ — ყოველკვირეული გაზეთი, გამოდიოდა შაბათობით.

47. ბლუმი იხსენებს მეხუთე ეპიზოდში („ლოტოფაგები“) აღწერილ შემთხვევას უცნობ ქალთან, რომლის თვალიერებაში ხელი შეუშალა მათ შორის ჩავლილმა ტრამვაიმ.

48. იგულისხმება გაზეთი „დეილი ექსპრესი“.

49. პოლონიუსი ამბობს ჰამლეტის შესახებ: „თუმცა გიჟია, მაგრამ წყობისაც კი ლაპარაკობს“ (2,2, თარგ. ი. მაჩაბლისა).

50. ინგლისის მიერ დანიშნული ირლანდიის მმართველის (ლორდ-ლეიტენანტის) რეზიდენცია.

51. ლუდხანა დუბლინის ჩრდილოეთ რაიონში.

ცხვირსახოცით შუბლზე, გაბერილი მუცლით! ფუ! პირდაპირ საშინელებაა! ბავშვის თავი მეტისმეტად დიდია: მაშები. მოკრუნჩხული შიგნით და ეძილობს ბრმად მონახოს გზა თავით, ხელის ფათურით გაიკვლიოს გზა. მე ეს მომკლავდა. მოლის საბედნიეროდ იოლი ჰქონდა. რაღაც უნდა გამოიგონონ, რომ ეშველოს ამას. მძიმე ჭინთვებში გაჩენილი სიცოცხლე.

ბიბლიოთეკა

ძილ-ღვიძილის მეთოდით: დედოფალ ვიქტორიას მისცეს[52]. ცხრა ჰყავდა. ზორბა დედალი. ჩექმაში ცხოვრობდა ერთი დედაბერი, რომელსაც შვილები თურმე ჰყავდა ბევრი[53]. იქნება მართლა ჭლექიანი იყო[54]. დროა ვინმემ იზრუნოს ამაზე, იმის ნაცვლად, რომ იტლიკინოს, რა ჰქვია იმას, ფოთლოვანი სადგომის ვერცხლისფერ ბრწყინვალებაზე[55]. სულელების საკენკი ლაყაფი. იოლად შეეძლოთ დიდი დაწესებულების დაარსება. ყველაფერი სრულიად უმტკივნეულოდ მოგვარდება: ყველა გადასახადიდან ყოველ დაბადებულ ბავშვს გადაერიცხოს ხუთი გირვანქა სტერლინგი, ოცდაერთ წლამდე რთული პროცენტებით, ხუთი პროცენტი შეადგენს ას შილინგს და კიდევ ეს ხუთი გირვანქა, რა მოუხერხებელია გირვანქებით ანგარიში, ოცზე გამრავლებული. დეციმალური სისტემა ხალხს წაახალისებდა ფული გადაედოთ შავი დღისათვის, დაიზოგება ას ათი და ცოტა მეტიც, და ოცდაერთი წლის მანძილზე. ეს ერთხელ ზუსტად უნდა გამოვიანგარიშო ქაღალდზე, კარგა დიდი თანხა იქნება, მეტი ვიდრე წარმოიდგენ.

მკვდრადშობილებს, რა თქმა უნდა, არ ეხება. იმათ არც კი აღრიცხავენ. ამაო ჯაფა.

საცოდაო სანახავები იყვნენ ორნი ერთად, გამოშვერილი მუცლებით. მოლი და ქალბატონი მოზელი. დედების შეხვედრა. ჭლექი ერთხანს იხევს, მერე კვლავ ბრუნდება. როგორი ბრტყელები გამოჩნდებიან ხოლმე უცებ! დამშვიდებული თვალები. სულს ტვირთი მოშორდა. ქალბატონი ტორნტონი კარგი ვინმე იყო. ყველა ჩემი ბავშვია, ამბობდა. ერთ კოვზ ფაფას ჩაიდებდა პირში, სანამ მათ აჭმევდა. აბა, მნია-მნია. ბებერ ტომ უოლის შვილმა ხელი დაუზიანა. პირველი გამოსვლა თავის დასაკრავად. თავი კონკურსში გამარჯვებულ გოგრას ჰგავდა. შეწუხებული ექიმი მარენი. მათ ნებისმიერ დროს უკაკუნებენ კარზე. ღვთის გულისათვის, ექიმო. ცოლს მუცელი ასტკივდა. მერე თვეობით ალოდინებენ გასამრჯელოს. თქვენი ცოლის მომსახურებისათვის. ხალხი უმადურია. ექიმები ადამიანურები არიან, უმთავრესად.

ირლანდიის პარლამენტის შენობის უზარმაზარი კარის წინ მტრედების გუნდი დაფრინავდა. ჭამის შემდეგ პატარა გართობა. ვის დავასკლინტოთ? მე იმ ყმაწვილს ვარჩევ შავში. პოპ. ბედნიერება. ალბათ საინტერესოა მოუ-

---

52. ანესთეზიის დამწყების ექსპერიმენტულ პერიოდში დედოფალ ვიქტორიას თანხმობა ნარკოზის მიღებაზე ფართოდ იყო რეკლამირებული.

53. ცნობილი ინგლისური საბავშვო ლექსის პერიფრაზი.

54. ბლუმი გულისხმობს გავრცელებულ შეხედულებას, რომლის თანახმადაც ჭლექით დაავადებული მამაკაცი განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩევა. სინამდვილეში პრინცი ალბერტი (დედოფალ ვიქტორიას მეუღლე) ტიფისაგან გარდაიცვალა.

55. ბლუმი ადრე გაგონილი მაღალფარდოვანი მეტყველების ნიმუშიდან ორ ფრაზას აერთიანებს (იხ. წინა თავიდან „ფერანი, ვერცხლისფერი ზღვის ხურმუხტი“ და „მისი მშობლიური ლოთიანური დიალექტი“).

ლოდნელად ციდან. ევჯობი, მე და ოუენ გოლდბერგი ქალაქგარეთ ხეებზე მაიმუნობანას ვთამაშობდით. მაკკეროლი შემარქვეს.

პოლიციელების რაზმი კოლეჯ სტრიტიდან გამოვიდა, ინდიური წყობით. ბატის ნაბიჯით. ჭამისაგან წამოჭარხლებული სახეებით, ოფლიანი ჩაფხუტებით, ხელჯოხების ქნევით. ჭამის შემდეგ მსუქანი წვნიანის კარგი ულუფა ქამარს აწვება. პოლიციელის ხვედრი ხშირად ბედნიერია. ჯგუფებად დაიყვნენ და გაიფანტნენ, თან ერთმანეთს ესალმებოდნენ, თავთავიანთი პოსტებისაკენ. საძოვრად მიშვებულნი. საუკეთესო მომენტია, თავს რომ დაესხნენ პუდინგის დროს. მუჯლუგუნი სადილზე. მეორე რაზმმა, არეულმა, სამების მესერს შემოუარა, სადგურისაკენ მიმავალმა. იერიში ბაგაზე. მოემზადეთ კავალერიის დასახვედრად. მოემზადეთ წვნიანის მისაღებად.

ტომი მურის ანცი თითის ქვეშ გადაიარა ქუჩა. სწორედ იქცევიან საპირფარეშოს თავზე რომ დგამენ[56]: წყლების თავშესაყარი[57]. ქალებისთვისაც უნდა იყოს ასეთი ადგილები. საშაქარლამოებში შერბიან. ქუდი უნდა გავისწორო. „ამ ქვეყანაზე არსად არის ერთი ადგილი“. ჯულია მორკენის[58] შესანიშნავი სიმღერა. ხმა შეენახა უკანასკნელ დრომდე. მაიკლ ბელფის[59] მოწაფე იყო, არა?

თვალი გააყოლა უკანასკნელ ფართო კიტელს. უსიამოვნოა მაგათთან საქმის დაჭერა. ჯეკ პაუერი გვიამბობდა ისეთ ამბავს, რომ ამ მოთხრობის უბრალო სიტყვაც გულსა და სისხლს გაგვიყინავდა[60]: მამა საიდუმლო პოლიციაშია. რომელიმე ყმაწვილმა თუ წინააღმდეგობა გაუწია, რაც სიგრძე აქვს, იმ სიგანეს მისცემენ ვირის აბანოში. ბოლოს და ბოლოს ვერც გაამტყუნებ. ესაა მაგათი საქმე, განსაკუთრებით ახალგაზრდა პოლისმენებისა. ცხენოსან პოლიციელს იმ დღეს, როცა ჯო ჩემბერლენს[61] ხარისხი მიანიჭეს ტრინიტი კოლეჯში, კარგა მაგრად მოუხდა სირბილი ჯამაგირის საფასურად. ღმერთმანი! მისი ცხენის ფლოქვები ხმაურით მოგვდევდა აბი სტრიტზე. კიდევ კარგი იმდენი მოვიფიქრე, რომ მენინგისას შევუხვიე, თორემ ჩათაბალას გადავეყრებოდი. დიდი ხმაურით დაებერტყა. წმინდა გიორგის მადლმა. თავის ქალა თუ გაიტეხა ქვაფენილზე. არ უნდა აეყოლოდი იმ მედიკოსებს. პირველკურსელები ოთხკუთხა ქუდებით. ზარზე არიან. ერთი კია, რომ იქ გავიცანი ახალგაზრდა დიქსონი, ნაკბენი რომ შემიხვია მეიტერში და ახლა ჰოლზ სტრიტზეა, სადაც ქალბატონი პიურფოი წევს. ეტლის თვალი ეტლის თვალში[62].

---

56. ირლანდიელი რომანტიკოსი პოეტის ტომას მურის (1779—1852) ქანდაკება დგას საზოგადოებრივი საპირფარეშოს თავზე ტრინიტი კოლეჯთან, ირლანდიის ბანკის აღმოსავლეთ კუთხის პირდაპირ.

57. ტომას მურის ლექსი.

58. ჯულია მორკენი გვხვდება ჯოისის მოთხრობაში „მკვდრები“ („დუბლინელები“).

59. მაიკლ ბელფი (1808—1870) — ცნობილი დუბლინელი მუსიკოსი.

60. აჩრდილის რეპლიკის რემინისცენცია „ჰამლეტიდან“ (1.5).

61. ჯოზეფ ჩემბერლენი (1836—1914) — ინგლისელი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის („ჰოუმრულის“) მოწინააღმდეგე, ინგლისის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მესვეური (მის სახელთან არის დაკავშირებული ბურების ომი).

62. „და შესახედავი მათი მსგავსებაჲ ოთხთა შორის, ვითარ სახედ იყოს ეტლის თვალი საშუალ ეტლის თვალისა“ (ეზეკიელი 10,10).

პოლიციელის სასტვენის ხმა ახლაც ყურში მიწივის. ყველა აქეთ-იქით გაიფანტა. რას ამოიჩემა. დაპატიმრებული ხარო. ჰოდა აქედან დაიწყო ყიჟინი:

— გაუმარჯოს ბურებს!

— ვაშა დე უეტს![63]

— ჯო ჩემბერლენს პირველივე ხეზე ჩამოვკიდებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყურეთ: ძაღლის ლეკვების ხროვა, ღამის ყეფით ფაშვი გამოიბერეს. ვინეგარ ჰილი[64]. რძის ნაწარმით მოვაჭრეთა გილდიის ორკესტრი. რამდენიმე წელიწადში ნახევარი მათგანი მოსამართლეები და სახელმწიფო ჩინოვნიკები. ომი მოდის: წვევანდელთა ზედახორა: იგივე ყმაწვილები, ეშაფოტზე სიკვდილს რომ ელოდნენ[65].

არასოდეს არ იცი ვის ელაპარაკები. კორნი კელეჰერი ჰარვი დაფს[66] უთვალთვალებს. იმ პიტერისა თუ დენისისა თუ ჯეიმზ კერის მსგავსად, დაუმარცხებელნი რომ გასცა[67]. ისიც კორპორაციის წევრია. ცდილობს უასაკო ყმაწვილებს ამბები დაცინცლოს. გამუდმებით იღებს ხელფასს საიდუმლო სამსახურისათვის ქალაქის სამმართველოდან. სათოფეზე არავინ ეკარება. ამიტომაც ეს გადაცმულები მუდამ მოახლე გოგონებს ეარშიყებიან. მუნდირის შეჩვეულს კოჭებში ეტყობა. სულ უკანა კართან ტრიალებს. ჭყლიტოს ცოტა. ახლა შემდეგი პოზიცია. რომელი ჯენტლმენი დაიარება ხოლმე? ახალგაზრდა ბატონი თუ ამბობდა რამეს? ჭუჭრუტანაში იჭყიტება. სატყუარა იხვი. მგზნებარე სტუდენტი ეთამაშება სქელ მკლავებს, რომლებიც აუთოვებენ.

— ესენი შენია, მერი?

— ასეთ რამეებს არ ვატარებ... გეყოთ, თორემ ქალბატონს ვეტყვი. გვიან ღამემდე დაყანყალებთ.

— დიადი დროება მოდის, მერი. მოიცა.

— აჰ, მომეშვით თქვენი დიადი დროებით.

ოფიციანტებიც. გამყიდველი გოგოები თამბაქოს დუქნებში.

ჯეიმზ სტივენსმა ყველაზე ჭკვიანურად მოიფიქრა. ყველას იცნობდა. ათკაციანი წრეები, ისე რომ მხოლოდ საკუთარი წრის დასმენა შეეძლოთ. შინ ფეინი. მოღალატეს დანა ზურგში. უხილავი ხელი. ვერსად წაუხვალ. დამსჯელი რაზმი. მეციხოვნის ქალიშვილმა რიჩმონდის ციხიდან გააპარა, ლასკთან აილოს, ბაკინგემ პალას ოტელში მოათავსა, პირდაპირ მათ ცხვირწინ[68]. გარიბალდი.

რაღაც მომხიბლაობაც უნდა გქონდეს: პარნელი. ართურ გრიფითი წესიერი ყმაწვილია, პირდაპირი, მაგრამ მაინც არ არის პოპულარული ბრბოში.

---

63. კრისტიან რუდოლფ დე უეტი (1854—1922) — ბურების გენერალი, სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც განსაკუთრებით პარტიზანულ ბრძოლებში გამოიჩინა თავი.

64. 1798 წლის აჯანყების შტაბი.

65. ე. ი. პატრიოტული მოძრაობის ენთუზიასტები შემდგომ უყოყმანოდ ემსახურებოდნენ ინგლისელებს.

66. ჰარვი დაფი — ერთ-ერთი ირლანდიური პიესის მოქმედი პირი, პოლიციის ჯაშუში.

67. მეხუთე ეპიზოდში („ლოტოფაგები“) ნახსენები ტერორისტული ორგანიზაციის რემინისცენცია.

68. ფენიანელთა საზოგადოების ბელადის ჯეიმზ სტივენსის თავგადასავალი სტივენ დედალოსის შინაგან მონოლოგშიც გაიელვებს (მესამე ეპიზოდი „პროტევსი“). არსებობს სტივენსის ციხიდან გაქცევის მეორე ვერსია, რომლის თანახმადაც მან ღია ეტლით ჩაიარა დუბლინის ცენტრალურ ქუჩებში ნავსადგურისაკენ მიმავალმა.

უნდა იქაქანო ჩვენი შესანიშნავი მიწა-წყლის შესახებ. შეკმაზული ქრონიკალი. დუბლინის საფუნთუშე კომპანიის ჩაიხანა. სადისკუსიო საზოგადოებები. რესპუბლიკანიზმი რომ მმართველობის საუკეთესო ფორმაა. ენის საკითხი რომ ეკონომიურს უნდა უსწრებდეს წინ. დაე თქვენმა ქალიშვილებმა შინ შეიტყუონ ისინი. ამოყორეთ ხორცითა და ღვინით. ხასუქი ბატი. მიირთვით გემრიელი ნაჭერი მსუქანი კანით, ქონდარმოყრილი. კიდევ გადაილეთ ბატის ქონის საწებელი, სანამ მთლად გაცივდებოდეს. კუჭმიმხმარი ენთუზიასტები. ერთი პენის ნამცხვარი და მარში სასულე ორკესტრის თანხლებით. ახელის მაცხონებელი[69]. ფიქრი, რომ სხვა იხდის ფულს, საუკეთესო საწებელია მთელ ქვეყანაზე. საკუთარ სახლში გრძნობენ თავს. ერთი ეგ შერაბი მოგვაწოდეთ. ამ დროს, ატმენია. ახლოსაა ის შორეული დღე. ჰოუმრულის მზე ჩრდილო-დასავლეთით ამოდის[70].

ღიმილი სიარულში გაუქრა, მძიმე ღრუბელმა ნელა დაფარა მზე, დაჩრდილა ტრინიტის პირქუში ფასადი. ტრამვაის ვაგონებმა ერთმანეთს ჩაუარეს, ცენტრისაკენ, ქალაქგარეთ, წკარუნით. სიტყვების რახარუხი. ყველაფერი ძველებურად მიედინება: დღიდან-დღემდე: პოლიციის რაზმები დაეწყობიან და გამოდიან, მერე ისევ ბრუნდებიან: ტრამვაის ვაგონებიც ცენტრისაკენ და უკან. ეს ორი დებილი დაყიალობს. დიგნემი გაასვენეს. მინა პიურფოი, გასიებული მუცელი, საწოლზე გმინავს, ელის ბავშვს როდის გამოაძრობენო. ყოველ წამში ერთი იბადება სადმე. სხვა კვდება ყოველ წამში. მას შემდეგ რაც თოლიებს ვაჭმევდი, ხუთი წუთი გავიდა. სამასმა წაიღო თქვენი ჭირი. სხვა სამასი დაიბადა, სისხლი ჩამოირეცხა, ყველა ბატკნის სისხლში განიბანება, ბღავიან მეეეეეე.

მთელი ქალაქი მიდის, მერე მთელი ქალაქი მოდის, მერე ისიც მიდის: ახლა სხვა მოდის. მიდის სახლები, სახლების წყება, ქუჩები, უსაშველო სიგრძის ქვაფენილები, აყოლილავებული აგურები, ქვები. ხელიდან ხელში. ახლა ამისია, მერე იმისი. სახლის პატრონი არასოდეს კვდებაო, ამბობენ. სხვა იკავებს მის ადგილს, როცა მას ეტყვიან, შენი ვადა გავიდაო. ისინი ადგილს ოქროთი ყიდულობენ და მაინც მთელი ოქრო მათ რჩებათ. კარგი სუნი არ უდის. გროვდება ქალაქებში, ილევა საუკუნიდან საუკუნემდე. პირამიდები ქვიშაში. პურზე და ხახვზე აშენებული[71]. მონებმა ჩინეთის კედელი. ბაბილონი. დარჩა დიდი ქვები. მრგვალი კოშკები[72]. ღორღის ნარჩენები, დანგრეული შემოგარეუბნები, ნაჩქარევად აგებული, კერუენის სოკო-სახლები[73], ქარით ნაშენი. ღამის თავშესაფარი.

არავინ არაფერს არ წარმოადგენს.

ახლა დღის ყველაზე ცუდი დროა. სიცოცხლისუნარიანობა. მოსაწყენი, პირქუში: მეჯავრება ეს დრო. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს შემჭამეს და მერე ამომარწყიეს.

69. ბლუმის ფიქრი უბრუნდება მეტისმეტად ყურადღებიან მასპინძელს, რომელიც თავად მშიერი („უცხონებელი") რჩება.

70. [illegible] ეპიზოდის („კალიფსოს") ერთ-ერთი მოტივი.

71. იგულისხმება მონების ძირითადი საკვები.

72. „დიდი ქვები", „მრგვალი კოშკები" — ბლუმი იხსენებს ირლანდიურ პრეისტორიულ და უფრო გვიანდელ ძეგლებს.

73. იგულისხმება არქიტექტორ კერუენის მიერ აგებული იაფი საცხოვრებელი სახლების კომპლექსი ფენიქსის პარკის სამხრეთით დუბლინის დასავლეთ რაიონში.

ოქტორის სახლი. მისი უწმინდესობა დოქტორი ლოქი: დაკონსერვებუ-ლი ლოქი. შიგ მაგრად ჩაკონსერვებული. იქ არაფრით არ ვიხსენიებთ, ფული, რომ ეძლიათ. იმედია, დღეს ღვიძლი და ბეკონი აქვთ. ბუნებას არ უყვარს სიცარიელე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზემ ნელა დაიხსნა თავი და ვერცხლეულს შორის სხივებით ... ლოლტერ სექსტონის ვიტრინაში მოპირდაპირე მხარეს, სადაც ჯონ ჰოუარდ პარნელმა[74] ჩაიარა, არაფრისმხედველი თვალებით.

იგვე: ძმა. ზედგამოჭრილი. ერთხელ ნახავ, დაგახსომდება. როგორი დამთხვევაა. ათასჯერ გიფიქრია ადამიანზე და არ კი შეხვედრიხარ. სომნამბულოსავით დადის. არავინ იცნობს. ვგონებ დღეს კორპორაციის სხდომაა. ამბობენ, არასოდეს ჩაუცვამს ქალაქის კორპორაციის მარშლის ფორმა, რაც ეს ადგილი უკავია. ჩარლი ბოლჯერი გამოივლიდა ხოლმე, ცხენზე ამხედრებული, სამკუთხა ქუდით, გაპარსული, გამოპრანჭულ-გამოწკეპილი. ერთი შეხედეთ, რა დათრგუნული დადის. ლოყაკვერცხნაჭამი. მოჩვენებას წიწლერებია. გული მიკვდება. დიდი კაცის ძმა: თავისი ძმის ძმა. კარგი სანახავი იქნებოდა ტახტზე შემომჯდარი. დ. ბ. კ.[75]-ში ნიდის, ალბათ ყავის დასალევად, ჭადრაკს თამაშობს. იქ, მისი ძმა ხალხს პაიკებივით ათამაშებდა. ვირისაც წაუღია ყველა. ეშინოდათ რამე ეთქვათ მასზე. ადგილზე გაყინავდა თავისი გამოხედვით. რაღაც ძალა აქვს: სახელი. ყველა ცოტა დარტყმულია. გიჟი ფენი და მისი მეორე და, ქალბატონი დიკინსონი[76], წითლად შეკაზმული ცხენებით დასეირნობენ. ქირურგ მაკარდლივით[77] წელში გამართული დადის. და მაინც დევიდ შიჰიმ დაამარცხა არჩევნებში[78]. არც სამარხოში არის და ღვთის წყალობაც არ ეცლია[79]. ბანკეტი პატრიოტის პატივსაცემად. ფორთოხლის ქერქებს ჭამენ პარკში[80]. პარლამენტში როცა აირჩიეს, საიმონ დედალოსმა თქვა, პარნელი სასფლავოდან ადგება და თემთა პალატიდან ხელჩაკიდებულს გამოიყვანსო.

— ორთავა რვაფეხა, რომლის ერთ თავზე ლამისაა ქვეყნიერება დატრიალდეს, ხოლო მეორე კი შოტლანდიური აქცენტით ლაპარაკობს[81]. საცეცები...

---

74. ჯონ ჰოუარდ პარნელი (1843—1923) — ჩარლზ სტიუარტ პარნელის ძმა, პარლამენტის წევრი 1895—1900 წ.წ., 1904 წ. ქალაქის კორპორაციის (საბჭოს) მარშალი (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, უმაღ საპატიო თანამდებობა).

75. დ. ბ. კ. — „დუბლინის პურის კომპანია".

76. ჩ. ს. პარნელის ერთი და — ფრანსის იზაბელა ირლანდიური ნაციონალისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო (აგრეთვე წერდა ლექსებს); მეორე და — ემილი (კაპიტან დიკინსონის მეუღლე) იყო ავტორი პარნელის ბიოგრაფიისა „პატრიოტის შეცდომა", რომლის შესახებ „ირლანდიის ტაიმსი" წერდა — მას წესით „პატრიოტის დის შეცდომა" უნდა ერქვასო.

77. ჯონ მაკარდლი ირლანდიის ქირურგთა სამეფო კოლეჯის წევრი იყო.

78. პარლამენტის ნაციონალისტური ფრაქციის წევრმა, დევიდ შიჰიმ მართლაც დაამარცხა არჩევნებში ჯონ პარნელი.

79. ბლუმის აზრით ქალაქის კორპორაციის მარშლის ადგილი ფაქტიურად სინეკურაა.

80. ფენიქსის პარკში გამართულ დღესასწაულებზე ირლანდიელი პატრიოტები ფორთოხლით უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს, რაც სიმბოლურ გამოწვევას წარმოადგენდა პროტესტანტ ანტიპატრიოტების ორანჟმენების („ორინჯ" — ფორთოხალი) მიმართ.

81. ეს შესაძლოა გაგებულ იქნეს ან როგორც პაროდია რასელის ოკულტისტურ კონცეფციაზე, ან როგორც რასელისა და მისი თეოსოფი კოლეგის მაკგრეგორ მადერსის კონკრეტული პოლემიკის გამოძახილი.

ბატონ ბლუმს მათ ტროტუარის კიდესთან ჩაუარეს. წვერი და ველოსიპედი. ახალგაზრდა ქალი.

აგერ თვითონ ის. ეს კი ნამდვილად დამთხვევაა: მეორედ. ის თავ(ის)ც მომავალში უნდა მოხდეს. ახლავე აფენს საკუთარ ჩრდილს[82]. გამოჩენილი პოეტის ბატონ ჯო რასელის კურთხევით. მასთან ერთად ალბათ ლიზი ტუიგია. ა. ე.: რას ნიშნავს? ეთუოდ ინიციალები. ალბერტ ედუარდ, არტურ ედმუნდ, ალფონსუს ებ ედ ელ ესკუაირი[83]. რას ამბობდა? ქვეყნიერების აღსასრული შოტლანდიური აქცენტით. საცეცები: რვაფეხა. რაღაც ოკულტური: სიმბოლიზმი. ქაქანებს. ქალი კი ამას ყველაფერს ყლაპავს. ხმას არ იღებს. ეხმარება ჯენტლმენს ლიტერატურულ საქმიანობაში[84].

თვალები გააყოლა მაღალ ფიგურას ხელით ნაქსოვში[85]. წვერი და ველოსიპედი[86], გვერდზე ქალი. ესმენს. ვეგეტარიანელიდან[87] მოდიან. მარტო ბოსტნეული და ხილი: ნუ ჭამ ბიფშტექსს. თუ შეჭამე, იმ ძროხის თვალები აღარასოდეს მოგცილდებიან უკუნითი უკუნისამდე[88]. ამბობენ ასე უფრო ჯანმრთელი იქნებით. თუმცა კი ქარებს და შარდს მოგიმატებს. ვცადე. მთელი დღე გარეთ გარბენინებს. შებოლილმა ქაშაყმა რომ იცის. მთელი ღამე სიზმრები. რატომ ეძახიან ხაჭო-ქაბაბს, იმ რაღაცას მე რომ მომიტანეს? ხაჭოელები. ხილიანელები. ვითომდა ლულა-ქაბაბს ჭამო. სისულელე. თანაც მლაშეა. სოდით წვავენ. მთელი ღამე ონკანთან გაგარბენინებს.

წინდები წვივებზე ეფარება. ჭირივით მეჯავრება: ისეთი ულაზათოა. ეს ლიტერატორები სულ ცაში დაფრინავენ. მეოცნებე, ბუნდოვანი, სიმბოლისტური. ესთეტები. არ გამიკვირდებოდა ამგვარ საკვებს ასეთნაირი ტალღები რომ წარმოეშვა ტვინში, პოეტური. თუნდაც ერთ-ერთი იმ პოლიციელთაგანი ირლანდიური საქონლის ოფლით გაჟღენთილ პერანგში: ლექსის ერთ სტრიქონსაც ვერ გამოწურავ. არც კი იცის რა არის ლექსი. გარკვეული განწყობილება საჭიროა.

დაბურული და მწუხარე თოლია
ტალღებს ეძებს, თითქოს თოვლია.

82. ტომას კემპბელის (1777—1844) პოემის ერთი სტრიქონის პარაფრაზი.

83. ინიციალების ა. ე. ბლუმისეულ გაშიფვრაში მხოლოდ ერთი აშკარა ალუზია ამოიკითხება: ალბერტ ედუარდი იმჟამინდელი მეფე ედუარდ მეშვიდე იყო და ირლანდიელი პატრიოტის ფსევდონიმად მისი სახელის წარმოდგენა ჯოისის მწარე ირონიაა. ჯორჯ რასელის ფსევდონიმის წარმოშობაზე ორი აზრი არსებობს: დუბლინური ჟურნალის მიხედვით ა. ე. ნიშნავს „მიწათმოქმედ ეკონომისტს" (Agricultural Economist), მაგრამ თვით რასელის ცნობით, მისი ფსევდონიმი, როგორც ეს ხშირად ხდება, შემთხვევით შეიქმნა. თავდაპირველად მან აირჩია [illegible] სახელი Aeon, მაგრამ ასოთამწყობმა შეცდომით აიწყო AE. რასელმა ფსევდონიმად ეს არაფრისმთქმელი აბრევიატურა დაიტოვა.

84. ლიზი ტუიგის ადრე ნახსენები განცხადება გაზეთში.

85. ჯორჯ რასელი გამიზნულად იცვამდა ხელით ნაქსოვ ტანსაცმელს, რითაც გამოხატავდა რწმენას „ძველებური ირლანდიისადმი" და მის პოტენციურ შესაძლებლობისადმი გამხდარიყო სასოფლო-აგრარული ქვეყანა.

86. ჯორჯ რასელს მთელი ირლანდია ჰქონდა შემოვლილი ველოსიპედით, ფერმერების კოოპერატიულ საზოგადოებათა დაარსების მიზნით.

87. იგულისხმება ვეგეტარიანელთა კაფე.

88. თეოსოფიური ვეგეტარიანიზმის მიხედვით ადამიანის მიერ მოკლული ცხოველები ასტრალურ სამყაროში ვლინდებიან და იქიდან გავლენას ახდენენ ადამიანებზე.

ხასაუ სტრიტის კუთხეში გზას გადავიდა და ეიტსისა და შვილის ვიტრინის წინ შეჩერდა, დურბინდი თვალით შეაფასა. ან იქნებ ბებერ ჰერისთან შემევლო და ყმაწვილ სინკლერთან წამემუსაიფა? ზრდილი ახალგაზრდაა. ალბათ საუზმეს მიირთმევს. ჩემი ძველი დურბინდი უნდა შევაკეთებინო. გერცის შუშები, ექვსი გინეა. გერმანელები ყველგან გაიგნებენ გზას, [illegible] ყიდიან, ბაზარი რომ დაიპყრონ. ფასების ხელოვნური დაკლება. [illegible] შემთხვევით რკინიგზის დაკარგული ნივთების კანტორაშიც იყიდის კაცმა. გასაოცარია, რას არ ტოვებს ხალხი მატარებელში და გასახდელებში. ნეტავი რას ფიქრობენ? ქალებიც. დაუჯერებელია. შარშან ენისში მგზავრობისას იმ ფერმერის ქალიშვილის ჩანთის აღება მომიხდა, ლიმერიკის სადგურზე გადავეცი. ფულიც არის ხოლმე მოუკითხავი. იქ ბანკის სახურავზე პატარა საათია ამ დურბინდის გასასინჯად.

ქუთუთოებმა თითქმის დაუფარა ფერადი გარსი. ვერ ვხედავ. თუ წარმოიდგენ რომ იქ არის, თითქმის ჩანს კიდეც.

სახე მოაბრუნა და ვიტრინის ჩარდახებს შორის ჩამდგარმა მარჯვენა გაიშვირა მზისაკენ. ხშირად მოსვლია სურვილი ეცადა. დიახ: მთლიანად. ნეკის ფრჩხილმა მზის დისკო დაფარა[89]. ალბათ ფოკუსია, სადაც სხივები იკვეთება. შავი სათვალე რომ მქონდეს. საინტერესოა. ბევრი ლაპარაკი იყო ამ მზის ლაქებზე, ლომბარდ სტრიტ უესტზე როცა ვიყავი. საშინელი აფეთქებებია. წელს მზის სრული დაბნელება იქნება: სადღაც შემოდგომაზე.

ახლა მივხვდი, ის ბურთი გრინიჩის დროით ჩამოვარდება ხოლმე. საათს ხომ დანსინკიდან ამუშავებენ ელექტრონის მავთულებით[90]. როგორმე იქ უნდა წავიდე თვის პირველ შაბათს. რეკომენდაცია რომ მაშოვნინა პროფესორ ჯოლისთან[91] ანდა რამე გამეგო მისი ოჯახის შესახებ. კარგი იქნებოდა: ადამიანი მუდამ ითაფლება ყურადღებით. მლიქვნელობა, ყველაზე ნაკლებ სადაც მოელი. აზნაური, მეფის საყვარლის შთამომავლობით რომ ამაყობს. მისი დიდი დიდედა. გზა შაქრით გაისაპნე. სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურე. ნუ შეხვალ და ნუ დააბერტყებ, როცა იცი რომ არ არის საჭირო: რა არის პარალაქსი? ერთი ამ ჯენტლმენს კარი უჩვენეთ.

აჰ.

მისი ხელი კვლავ ჩამოუშვა.

არასოდეს არაფერი არ გეცოდინება ამის შესახებ. დროის დაკარგვაა. გაზის ბურთები დატრიალებენ, ერთმანეთს ეჯახებიან, ქრებიან. ისევ ის ძველებური სიმღერაა: გაზი, შემდეგ სიმყარე, შემდეგ სამყარო, შემდეგ გაციებული, შემდეგ სივრცეში მქროლავი მკვდარი ნიჟარა, გაყინული ლოდი, იმ ანანასის შაქარყინულივით. მთვარე[92]. ახალი მთვარე იქნება, თქვა ქალმა. მგონი კი.

მეზონ კლერის[93] ჩაუარა.

---

89. დრუიდები (ძველი კელტი მოძღვრები) გაჭიმული ხელითა და ნეკის ფრჩხილით მზის დისკოს გაზომვას წინასწარმეტყველური რიტუალის ელემენტად მიიჩნევდნენ.

90. საათისა და ობსერვატორიის ელექტრონული კავშირი ბლუმს სწორად ესმის, მხოლოდ ეშლება ის, რომ „დროის ბურთი" სწორედ დანსინკის დროით ჩამოვარდებოდა ხოლმე და არა გრინიჩის დროით.

91. პროფესორი ჩარლზ ჯოლი დანსინკის ობსერვატორიის დირექტორი იყო.

92. ლაპლასის კოსმოგონიური ჰიპოთეზის ბლუმისეული „ვარიანტი".

93. მდიდრული სამკერვალო ფირმა.

მოიცა. სრული მთვარე იყო იმ საღამოს ორი კვირის უკან ზუსტად ახლა ახალი მთვარეა. ტოლკას პირას ვსეირნობდით. არ იყო ურიგო შესართავთან მთვარიანში. მოლი ღიღინებდა: ახალი მთვარე მაისისა ანათებს, ჩემო[94]. მეორე მხრიდან ის, იდაყვი, მკლავი. ის. ციცინათელა ანათებს ჩემო[94]. შეხება. თითები. კითხვა. პასუხი. დიახ.

კმარა. გეყო. რაც იყო — იყო. რა საჭიროა.

ბატონმა ბლუმმა შენელებული ნაბიჯით ჩაუარა ედამ კორტს, ხშირად სუნთქავდა.

მისმა დაუზგუშებულმა თვალებმა შვებით შეამჩნიეს: ეს ქუჩაა, შუადღე, ბობ დორენის დახრილი მხრები. მისი ყოველწლიური ლოთობა, თქვა მაკკოიმ. ისინი სვამენ, რამე რომ თქვან ან აკეთონ რამე ან cherchez la femme[95], იქ კუპეში მძღოლებთან და ბოზებთან, წლის დანარჩენ დროს კი მოსამართლესავით ფხიზელი.

დიახ. ახლაც ვფიქრობ. „იმპერიაში"[96] შეუხვია. მოეფარა. სუფთა სოდიანი წყალი მოუხდებოდა. სადაც პეტ კინსელას თავისი თეატრი „ქნარი" ჰქონდა, სანამ უიტბრედი „დედოფლისას" გახსნიდა. ბიჭიც ასეთი უნდა. დიონ ბუსიკოსავით, სავსე მთვარის სახე, ჩაწაწინა ქუდით. სამი კოპწია მოსწავლე გოგონა[97]. ეჰ, როგორ მიდის დრო. ქალად გადაცმულს გრძელი წითელი ნიფხავი მოუჩანდა ქვემოდან[98]. ლოთები სვამდნენ, ხორხოცებდნენ, ღვინო გულზე ადგებოდათ. დამისხი, პეტ. ღაღადა წითელი: ლოთებისა თავშესაქცევი: ხორხოცი და ბოლი. მოიხადე ეგ თეთრი ქუდი. მისი უნდილი თვალები. სად არის ახლა? მათხოვრობს სადღაც. ქნარი, რომელმაც ჩვენ შიმშილი გვარგუნა ყველას[99].

მაშინ უფრო ბედნიერი ვიყავი. მე ვიყავი კი? ანდა ახლა კი მე ვარ? ოცდარვა წლისა ვიყავი. მოლი თექვსმეტისა იყო, როცა ლომბარდ სტრიტ უესტიდან გადავსახლდით, რაღაც შეიცვალა. რუდის შემდეგ ეს აღარ სიამოვნებდა. დროს უკან ვეღარ დააბრუნებ. როგორც წყალს ვერ გაიჩერებ ხელისგულზე. მოინდომებდი კი იმ დროში დაბრუნებას? იმ დროიდან დაწყებას. მოინდომებდი? ოჯახში ბედნიერი არა ხარ. საბრალო პატარა ცუდი ბიჭო?[100] უნდა რომ ღილები დამიკეროს. პასუხის გაცემაა საჭირო. ბიბლიოთეკაში დავეწერ.

გრეფტონ სტრიტი ჩამოშვებული ჩარდახებით აჭრელებული თავისკენ იხმობდა მის გრძნობა-გონებას. აბრეშუმის სახიანი მუსლინი, დარბაისელი ბანოვანები და ქვრივები, ლაგამ-უნაგირის ჟღარუნი, ფლოქვების ყრუ თქარათქური ქვაფენილზე. სქელი ფეხები აქვს იმ ქალს თეთრ წინდებში. ერთი არა მინდა რა, ტალახი შეესხას ზედ. სოფლელი ტეტია. სქელწვივიანებით

94. ტომას მურის ლექსის რემინისცენცია.

95. „ეძიე ქალი" (ფრ.). გადატანითი მნიშვნელობით — „მოელოდე, რომ ყველაფრის მიზეზი ქალია".

96. რესტორნის სახელი.

97. გილბერტ და სალივანის ოპერეტის სათაური.

98. ე. ი. პეტ კინსელა ირლანდიელ-ამერიკელი დრამატურგისა და მსახიობის ბუსიკოს მსგავსად ქალად გადაცმული ართობდა მაყურებელს ანტრაქტების დროს.

99. ტომას მურის სიმღერიდან.

100. ბლუმს მარიოს წერილი აგონდება (მეხუთე ეპიზოდი — „ლოტოფაგები").

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსე იყო იქაურობა. ქალს ფეხებს უშნოვებს. მოლი ვეღარ გამოიყურება შველებურად.

ფეხი შეანელა და ისე ჩაუარა ბრაუნ ტომასის, აბრეშუმით მოვაჭრეთა ვიტრინას. ბაფთების კასკადები. მსუბუქი ჩინური აბრეშუმი. დახრილი ქოთნიდან ნაკადებად უშვებს სისხლისფერ პოპლინს: კრიალა სისხლი. ჰუგენოტებმა შემოიტანეს[101]. La causa è santa[102]. ტარა-ტარა. [illegible] ტარა. წვიმის წყალში უნდა გაირეცხოს. მაიერბერი. ტარა: ბომ ბომ ბომ.

ქინძისთავების ბალიში. დიდი ხანია ვიქადნი ვიყიდი-მეთქი. სადაც მოხვდება იქ არჭობს. ნემსები ფანჯრის ფარდებში.

მარცხენა სახელო ოდნავ აიკაპიწა. ნაკაწრი: თითქმის გაქრა. ყოველ შემთხვევაში დღეს არა. უნდა დავბრუნდე იმ ლოსიონისათვის. იქნებ მისი დაბადების დღისათვის. ივნისივლის აგვსექტემბერ რვაში[103]. თითქმის სამი თვის შემდეგ. იქნებ არც კი მოეწონოს. ქალებს არ უყვართ ქინძისთავების აკრეფა. ამბობენ ალარ ეყვარ.

მბზინავი აბრეშუმი, წვრილ სპილენძის წნულებზე წამოცმული ქვედატანები, ბრტყელი აბრეშუმის წინდების ლაპლაპი.

არ ღირს დაბრუნება. ასე უნდა მომხდარიყო. ყველაფერი მითხარი.

წკრიალა ხმები. მზეთბილი აბრეშუმი. მოუღარუნე ლაგამ-უნაგირი. ყველაფერი ქალისათვის, ოჯახი და ბინები, აბრეშუმის აბლაბუდები, ვერცხლი, წვნიანი ხილი, პიკანტური, იაფადან. აჯენდეთ ნეტეიმ[104]. მთელი მსოფლიოს დოვლათი.

თბილი ადამიანური სიმძიმე დააწვა ტვინზე. ტვინი დანებდა. ჩახუტების სურნელმა მთლიანად მოიცვა იგი. დამშეული სხეულით, იდუმალად, უტყვად ეწადა თაყვანი ეცა.

დიუკ სტრიტი. მოვედით. უნდა შევჭამო რამე. ბერტონი. უკეთ ვიგრძნობ თავს.

კომბრიჯის კუთხეს მოუარა, კვლავაც დადევნებული. ფლოქვების ჩქრიალ თქარათქური. ტკბილსურნელოვანი სხეულები, თბილი, სავსე. ყველა იკოცნება, ეძლევა: ზაფხულის უძირო მინდვრებში, გადახლართულ გათელილ ბალახში, ნესტიან სადარბაზოებში, სავარძლებში, ჭრაჭუნა საწოლებში.

— ჯეკ, საყვარელო!
— გენაცვალე!
მაკოცე, რეგი!
ჩემო ბიჭო!
— ძვირფასო!

— გულისცემით შეაღო ბერტონის რესტორნის კარი. სიმყრალემ მოცახცახე სუნთქვა შეუკრა. მძაფრი სუნი ხორცის წვენისა, ბოსტნეულის ბურდოსი. შეხედე როგორ აჭმევენ საქონელს.

---

101. ირლანდიის შეხიზნულმა ჰუგენოტებმა აქ ჩამოიტანეს გაუმჯობესებული სელის ქსოვის დაზგები და საღებავები.

102. „წმინდა მიზანი" (იტ.). ბლუმი იხსენებს გერმანელი კომპოზიტორის ჯაკომო მაიერბერის (1791—1864) ოპერას „ჰუგენოტები".

103. „ულისეს" პაროდიული პარაბოლის ელემენტი: მოლი ბლუმი დაიბადა იმ დღეს, როცა ღვთისმშობლის დაბადების დღესასწაულობენ (8 სექტემბერს).

104. ბლუმის „ადამისეული ასოციაციები" (იხ. მეოთხე ეპიზოდი — „კალიფსო").

კაცები, კაცები, კაცები.

ბარის მაღალ სკამებზე წამოსკუპულნი, კეფაზე ქუდმოგდებულნი მაგიდებთან ივეე მოითხოვენ პურს უფასოს, თქვლეფავენ, მგლის ხარბად ისხამენ ხორცებს, თვალებგადმოკარკლულნი, სველ ულვაშებს იხოცავენ. ფერმკრთალმა სახეგაბერილმა ყმაწვილმა ქაღალდის ხელსახოცით გაწმინდა ჭიქა, დანა, ჩანგალი და კოვზი. მიკრობების ახალი ულუფა. საწებლით [illegible] ბავშვის გულსაფარიანი კაცი ბუყბუყით ისხამდა ხახაში წვნიანს. მეორემ თეფშზე გამოაფურთხა ნაჭამი: დაუღეჭავი ხრტილი: კბილები არა აქვს, რომ დაღეჭდაღეჭდაღეჭოს. მოტაფული ლანჩა. ლამის დაადრჩოს. ლოთის სევდიანი თვალები. იმაზე მეტი მოკბიჩა, ვიდრე შეუძლია რომ დაღეჭოს. მეც ასეთი ვარ? სხვისი თვალით შევხედოთ ჩვენს თავს[105]. შიმშილს არ ესმის. ჩანგებს არ არჩევს. მოიცა! ო! ძვალი! ირლანდიის უკანასკნელი წარმართი მეფე კორმაკი სასკოლო ქრესთომატიიდან ასე დაიხრჩო სლეტიში ბოინის სამხრეთით[106]. ნეტა რას ჭამდა. რამე გემრიელს. წმიდა პატრიკმა ქრისტიანად მოაქცია. მაინც ყელზე დაადგა.

— როსტბიფი და კომბოსტო.

— ერთი რაგუ.

კაცების სუნები. გულის ზიდვა დაეწყო. დაფურთხული ნახერხი, მოტკბილო თბილი სიგარეტის ბოლი, სალეჭი თუთუნის სიმყრალე, დაღვრილი ლუდი, კაცების ლუდიანი ფსელი, სიდამპლის შმორი.

ნამცეცსაც ვერ შევჭამ აქ. ახალგაზრდა კაცი დანას ჩანგალზე ლესავს, ყველაფრის შეჭმას აპირებს, რაც წინ უდევს, მოხუცი კბილებს იჩიჩქნის. პატარა წამოყინება, გაძღა, ღეჭავს კევს. ჭამამდეც და ჭამის შემდეგაც. ლოცვა ჭამის შემდეგ. შეხედე ამ სურათსაც და მეორესაც[107]. საწებელში ერთი ბეწო ნამცეცებს აწობს. მიდი, თეფშში გამოლოკე, შე კაცო! შორს აქედან.

თვალი გადაავლო ბართან და მაგიდებთან მიმსხდარ მჭამელებს და ნესტოები მოკუმა.

— ორი პორტერი აქეთ.

— ერთი კანაჯი და კომბოსტო.

ის ყმაწვილი დანით იჩრის პირში კომბოსტოს, თითქოს მისი სიცოცხლე ამაზე ეკიდოს. ზუსტად მოახვედრა. ტანში ჟრუანტელი მივლის. თითებით ჭამა უფრო უვნებელია. ნაწილ-ნაწილ გაგლიჯოს. რჯულზე უმტკიცესი ჩვეულება. პირში ვერცხლის დანით არის დაბადებული[108]. ეს ვფიქრობ გონებამახვილურია. თუ არა. ვერცხლი ნიშნავს სიმდიდრეში დაბადებულს. დანით დაბადებული. მაშინ ანდაზის აზრი იკარგება.

ჩაჩაჩული მსახური ხმაურით აგროვებდა გაქონილ თეფშებს. როკი, სასამართლოს აღმასრულებელი, ბართან იდგა და კათხაში ქაფის გვირგვინს უბერავდა. კარგა სავსეა: ყვითლად გადმოიღვარა მის ფეხსაცმელთან. ერთ-

105. ალუზია რობერტ ბერნსის ლექსისა „ტილისადმი“.

106. ბლუმი იხსენებს ირლანდიელი პოეტისა და ანტიკვარის სერ სამუელ ფერგიუსონის (1810—1886) ლექსს „მეფე კორმაკის დაკრძალვა“. სლეტი და ბოინი ლექსში ნახსენები გეოგრაფიული დასახელებანია.

107. „შეხედე ერთი ამ სურათსაც და მეორესაც“ („ჰამლეტი“, 3, 4, თარგმ. ი. მაჩაბლისა).

108. იგულისხმება ინგლისური ანდაზური თქმა „პირში ვერცხლის კოვზით დაიბადა“ (შეძლებულობის, იღბლიანობის ნიშანი.)

ერთი მაგიდასთან მჯდომი შემართული დანითა და ჩანგლით, იდაყვდაყრდნობილი, მორიგი პორციის მოლოდინში სამზარეულოს ფანჯარას მიშტერებოდა გაზეთის გაქონილი კვადრატის ზემოდან. მეორე რაღაცას ეუბნებოდა გამოტენილი პირით. ღმობიერი მსმენელი. მასლაათი. ბუნკში ჩემხვდა ურჩაბათს[109]. ჰა? მართლა?

ბიბლიოთეკა

ბატონმა ბლუმმა ორი თითი მიიტანა ტუჩებთან, დაეჭვებით. მისმა თვალებმა თქვეს:

— აქ არ არის. ვერ ვხედავ.

შორს აქედან. მეჯავრება ბინძურად რომ ჭამენ.

უკან-უკან წავიდა კარისაკენ. დეივი ბირნთან წავიხემსებ. ჰიას მოვიკლავ. მოვსულიერდები. კარგად ვისაუზმე.

— წეწწვარი და პიურე აქეთ.

— ერთი პინტა პორტერი.

ყველას თავისი დაუთრევია, კბილებითა და ბრჭყალებით. ღეჭვა, ყლაპვა, ღეჭვა. ჩასახეთქი.

სუფთა ჰაერზე გამოვიდა და უკან მიბრუნდა გრეფტონ სტრიტისაკენ. ჭამე ან შეგჭამენ. მოკალი! მოკალი!

კაცმა რომ წარმოიდგინოს საერთო სამზარეულო მომავალში. ყველა ფაცი-ფუცით გამორბის, ჯამებსა და ბადიებს იშველებ გასავსებად. ქუჩაში სანსლავენ. ჯონ ჰაუარდ პარნელი მაგალითად ტრინიტი კოლეჯის რექტორი დედის მუცლიდან ნაშობი ვინაც კი ვართ თქვენი რექტორების შესახებ რომ არაფერი ვთქვათ და ტრინიტის რექტორი ქალები და ბავშვები, მეეტლეები, მღვდლები, პასტორები, ფელდმარშლები, არქიეპისკოპოსები[110]. ვილზბერი როუდიდან, კლაიდ როუდიდან[111], ხელოსნების კვარტალიდან, ჩრდილო დუბლინის თავშესაფრიდან, ლორდ-მერი თავის კოპწიად მოხატულ ეტლში, ბებერი დედოფალი ინვალიდის სავარძელში. ჩემი თეფში ცარიელია. თქვენს შემდეგ ჩვენი საერთო-სახალხო კათხიდან. სერ ფილიპ კრემპტონის შადრევანივით. მოიხოცე მიკრობები შენი ხელსახოცით. სხვა თავისი ხელსახოცით ახალ-ახალს დაუმატებს. მამაო ოფლინი ყველას გაამასხარავებდა. და მაინც დავიდარაბა. ყველა მხოლოდ საკუთარ მე-ზე ზრუნავს. ბავშვები იბრძვიან ქოთნის მოსალოკად. ფენიქს პარკისხელა წვნიანის ქვაბი დასჭირდებათ. იქიდან მოჩანგლავენ დაშაშხულ ბარკალს და როსტბიფს. შენს გარშემო ყველა გეჯავრება. სიტი არმზ ოტელის table d'hôte-ს[112] ეძახდა ამას[113]. წვენი, ხორცი და ტკბილეული. არც კი იცი ვის ფიქრებს ღეჭავ. მერედა ვინ გარეცხავს მთელ ამ თეფშებსა და ჩანგლებს? იქნებ მაშინ ყველა ტაბლეტებით იკვებებოდეს. კბილები სულ უფრო და უფრო გაფუჭდება.

---

109. ლუკმის ღრჭის დამახინჯებული სიტყვები „ბანკში შემხვდა ორშაბათს“.

110. ბლუმის ცნობიერების ნაკადში ჩაიხლართა ალფრედ პერსივალ გრეივზის (1846—1931) ბალადის „მამაო ოფლინ“ სიტყვები „ნურას იტყვი შენს რექტორსა და პროფესორზე“ და ხელოსნების რეპლიკა შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმრიდან“ — „დედის მუცლიდან ნაშობი ვინაც კი ვართ, ერთიანად ჩამოგვახრჩობენ“ (თარგმ. ვ. ჭელიძისა).

111. ვილზბერი როუდი და კლაიდ როუდი დუბლინის გარეუბნის ფეშენებელური ქუჩებია.

112. „საერთო მაგიდა“ (ფრ.).

113. ბლუმი და მისი ცოლი ცხოვრობდნენ სიტი არმზ ოტელში, როცა ლეოპოლდი საქონლით მოვაჭრე ჯოზეფ კაფთან მუშაობდა.

ბოლოს და ბოლოს არის რაღაც ამ ვეგეტარიანობაში მიწის ნაყოფის ნაზი სურნელი, ნივრით რა თქმა უნდა იტალიელი მეარღნეები არიან ამყრალებული, ახალი ხახვი, თირკმელა სოკო. თან ცხოველებს ტკივილს აყენებენ. პტკვნიან და შიგნავენ ფრინველს. საქონლის ბაზარში საცოდავი ბრიყვი ელის როდის გაუპობენ თავის ქალას. მუუ. საბრალო მოცახცახე ხბორები. მეე. მობარბაცე ბოჩოლა. ცივი ხორცი, კომბოსტო და კარტოფილი. ყასბების კასრებში ფილტვების თლაფთლაფი. ერთი ეგ მკერდი ჩამოგვიხსენი კაუჭიდან. ტყლაპ. თავის ქალა და სისხლიანი ძვლები. გატყავებული მინისთვალება ცხვრები უკანა ფეხებით ჰკიდიან. სისხლიან ქაღალდში გახვეული ცხვრის დრუნჩებიდან ყვინტლი ჟონავს ნახერხზე. ჯიგარს აცლიან. ნუ დაჯიჯგნი, ბიჭო.

თბილ ახალ სისხლს ჭლექის დროს გამოუწერენ ხოლმე. სისხლი მუდამ საჭიროა. ვერაგი სენი. სვლიპე ოხშივრიანი თბილ-თბილი, სქელი ბადაგი. დამშეული სულები[114].

აჰ, მშია.

დევი ბირნთან შევიდა. ყოვლად წესიერი ბარი. ბარმენი არ ლაქლაქებს. ხან დასალევსაც დაგიდგამს. ნაკიან წელს, მხოლოდ ერთხელ ოთხში. ერთხელ ჩემი ჩეკიც კი მიიღო.

რა შევუკვეთო? საათი ამოიღო. მოვიფიქრო. ლუდი ზარდანჩოთი?

— ბლუმს გაუმარჯოს! ცხვირა ფლინმა[115] დაუძახა თავის კუთხიდან.

— გამარჯობა, ფლინ.

— როგორ მიდის საქმე?

— შესანიშნავად... მოვიფიქრო. ერთ ჭიქა ბურგუნდიულს ავიღებ და... მოვიფიქრო.

სარდინები თაროებზე. გეგონება მარტო შეხედვით გაუგებ გემოსო. სენდვიჩი? ან იქნებ ლორი და მისი შთამომავლობა აქვე დამზადებული, პურზე მდოგვწაცხებული. ხორცის კონსერვი. კონსერვი მაინც მოგქონდეს პლამტრის დუქნიდან უნდა. რა სულელური რეკლამაა! სამგლოვიარო განცხადებებს მიაბამენ ხოლმე. მკვდრებზე ჩამოკიდებული. დიგნემის დაკონსერვებული ხორცი. კაციჭამიები ალბათ ლიმონითა და ბრინჯით მიირთმევდნენ. თეთრი მისიონერი ნამეტანი მლაშე. მუჟუჟი. ბელადი ალბათ საუკეთესო ნაჭრებს შეთქვლეფავს. უთუოდ მაგარი იქნება სხეულის გვემისაგან. მისი ცოლები ჩამომსხდარან და სეირს უცქერიან. **მეფე მჭოლიათ ერთხელ თურმე იხეთი ნიგერს, რაღაცეები მოაჭამა მამაო ტრიგერს**[116]. სასუფეველი. ღმერთმა უწყის, რა არის ერთმანეთში არეული. ბადე-ქონები აშმორებული ჯიგარი ხორხები დაკეპილი და აზელილი. ნეტა ხორცი სადღაა. კოშერი. ხორცი და რძე ერთად არ ჭამო. ახლა ამას ჰიგიენას ეძახიან. იომ კიპურის მარხვა გაზაფხულობით შიგნეულის გაწმენდა. ომი და მშვიდობა მავანი ტიპის საჭმლის მონელებაზე კიდია. რელიგიები. საშობაო ინდაურები და ბატები. ყრმათა მოსვრა. ჭამე და სვი

114. „სისხლის ოხშივარმა მოიზიდა... სულნი" („ოდისეა", თავი 11, თარგ. თ. ჩხენკელისა და ზ. კიკნაძის).

115. ცხვირა ფლინი ჯოისს გამოყვანილი ჰყავს მოთხრობაში „ასლები" („დუბლინელები").

116. ცნობილი ლიმერიკი (დასაწყისი).

და იხარებდე[117]. შემდეგ გავსებული ქსენონები. თავწაკრულები. ყველი ყველაფერს ინელებს თავის თავის გარდა[118]. ძლევამოსილი ყველი.

— ყველიანი სენდვიჩი გაქვთ?

— დიახ, სერ.

ცოტა ზეთისხილიც კარგი იქნებოდა, თუ აქვთ. იტალიური [illegible]. ერთი კარგი ჭიქა ბურგუნდიული: ხარეცხავს. გაპოხვა. მშვენიერი სალათია, ცივ-ცივი. ტომ კერნენმა იცის შეკმაზვა. გულსა და სულს აქსოვს. სუფთა ზეითუნის ზეთი. მილიმ კოტლეტი შემიწვა **ოხრახუშით**. უნდა ავიღო ერთი დიდი მოტკბო ხახვი. ღმერთმა შექმნა საზრდო, ეშმაკმა მზარეულები[118]. ეშმაკეული კიბორჩხალი.

— ცოლი როგორ არის?

— კარგად, გმადლობთ... მაშ სენდვიჩი. იტალიური ცხვრის ყველი გაქვთ?

— დიახ, სერ.

ცხვირა ფლინმა გროგი მოსვა.

— ახლა თუ მღერის სადმე?

ეს რა პირი აქვს. შეუძლია საკუთარ ყურში ჩაიჩურჩულოს. ყურებიც რომ შესაფერისად აქვს ჩამოყრილი. მუსიკა. ჩემს მეეტლეზე მეტი თუ ესმოდეს. მაინც აჯობებს ვუთხრა. არაფერი დაშავდება. უფასო რეკლამა.

— დიდი ტურნე აქვს თვის ბოლოს[119]. იქნებ გსმენიათ.

— არა. ო, აი ეს მესმის. ვინ აწყობს ტურნეს?

ბარმენმა სენდვიჩი მოიტანა.

— რამდენი უნდა მოგართვათ?

— შვიდი პენსი, სერ... გმადლობთ, სერ.

ბატონმა ბლუმმა სენდვიჩი თხელ ნაჭრებად დაჭრა. **მამაო ტრიგერს.** უფრო იოლია ვიდრე ბუნდოვანი რაღაც. **ისე იხარეთ, როგორც იმხანად. მეფის ხუთასმა ცოლმა იხარა.**

— მდოგვი, სერ?

— გმადლობთ.

თითოეულ ნაჭერს ქვემოდან ყვითელი წვეთი მოაცხო. **ცოლმა იხარა.** გამახსენდა. **რომ გაეზარდა, მოემატა სიგრძეში სიგრძეს**[120].

— ვინ აწყობს? თქვა მან. იცით რა, ეს დასივით არის. წილი და მოგება.

— ჰო, გამახსენდა, თქვა ცხვირა ფლინმა, თან ხელი ჩაიყო ჯიბეში და საზარდულში მოიფხანა. ვინ მიყვებოდა? ბლეიზის ბოილენი არ არის მაგ საქმეში გარეული?

**მდოგვის სიცხარემ** გულზე უჩქმიტა ბატონ ბლუმს. აიხედა და ღვარძლიან საათს გაუსწორა თვალი. ორი. ბარის საათი ხუთი წუთით წინ არის. დრო მიდის. ისრები მოძრაობს. ორი. ჯერ არა[121].

---

117. ლუკა, 12, 19.

118. ბლუმის ამ შინაგან მონოლოგში ხშირად გვხვდება ჯ. სვიფტის „ზრდილ საუბარში" გაბნეული ანდაზური თქმები.

119. სინამდვილეში მოლი ბლუმს მხოლოდ ერთი კონცერტი აქვს დაგეგმილი ბელფასტში.

120. ბლუმის ცნობიერებაში ამოტივტივებულმა ლიმერიკმა თანდათან მთლიანი სახე მიიღო.

121. ბლუმი თავიდან ვერ იშორებს ფიქრს იმის შესახებ, რომ სწორედ ახლა მის ცოლს საყვარელი ესტუმრება.

გულის ფიცარი დაუმძიმდა, შეუკრთა, სადღაც შიგნით ჩაეძირა, გულზე დარდი შემოაწვა.

ღვინო.

გულის გამაგრილებელი ნექტარი მოწრუპა, ყელს ძალა და[illegible]-დაეყლაპა და ჭიქა ფრთხილად დასდო.

ბიბლიოთეკა

— დიახ, თქვა მან. კაცმა რომ თქვას, ის არის ტურნეს მომწყობი.

საშიში არ არის. დებილია.

ცხვირა ფლინმა დაასრუტუნა და მოიფხანა. რწყილი კარგა გემრიელად საუზმობს.

— ძალიან კი გაუმართლა, ჯეკ მუნიმ მითხრა, იმ ბოქსის მატჩზე, მაილერ კეოგმა მეორედ რომ ბერტყა ის ჯარისკაცი პორტაბელოს ყაზარმებიდან. ღმერთმანი, თავისთან ჰყავდა კარლოუში, თვითონ მომიყვა...

იმედია ეს წვეთი ჭიქაში არ ჩაუვარდება. არა, უკან შეისრუტა.

— თითქმის მთელი თვე, ადამიანო, სანამ დრო მოვიდოდა. იხვის თოხლო კვერცხებს აყლაპებდა, ღმერთმანი, ახალ განკარგულებამდე. სასმელსაც არ აკარებდა, გესმით? ღმერთმანი, ბლეიზისი მაგარი ბიჭია.

დეივი ბირნი ბარის იქიდან გამოვიდა სახელოებაკაპიწებული, თან ხელსახოცის ორი მოსმით პირი მოიწმინდა. ქაშაყის დაღრჭენილი სიფათი. კმაყოფილების დასათამაშებს ღიმილი მუდამ[122]. ძირითერთა მეტისმეტად მსუყეა.

— ძაღლი ახსენეო, თქვა ცხვირა ფლინმა. აბა ერთი გვითხარით ოქროს თასს ვინ აიღებს?

— მე ამაში არ ვერევი, ბატონო ფლინ, უპასუხა დეივი ბირნმა. არასოდეს ცხენებზე არ ვთამაშობ.

— სწორად იქცევით, თქვა ცხვირა ფლინმა.

ბატონი ბლუმი სენდვიჩის ნაჭრებს ჭამდა, ახალ თეთრ პურს, ზიზღით ატანდა გემოს, ცხარე მდოგვი, ფეხის ოფლის სუნიანი მწვანე ყველი. ღვინის ყლუპებით პირს იგემრიელებდა. მწკლარტე არ არის. უკეთ ისმევა ასეთ ამინდში, როცა არ ჩააციებენ.

სასიამოვნო წყნარი ბარი. სასიამოვნო ხის დახლი. სასიამოვნოდ არის მოპირკეთებული. მომწონს ის გრეხილი ხაზი.

— ამ საქმეში არასოდეს არ ჩავებმები, თქვა დეივი ბირნმა. სწორედ მაგ ცხენებს ბევრი გაუკოტრებიათ.

მეღვინეების ტოტალიზატორი. მიღებული აქვთ კონცესია ლუდის, ღვინის და მაგარი სასმელების თავისუფალ გაყიდვაზე. ალჩუ ჩემი მოგებაა, თოხანი შენი წაგება.

— თქვენც მართალი ხართ, თქვა ცხვირა ფლინმა. თუ, რა თქმა უნდა, წინასწარ არ იცი. ახლა ნამდვილი სპორტი აღარ არსებობს. ლენეჰენს რამდენიმე კარგი ცხენი ჰყავს. დღეს სკიპტრაზე ჩამოდის. ლორდ ჰაუარდ დე უოლდენის ფავორიტმა ზინფანდელმა გაიმარჯვა ეპსომში. მორკეი მორნი კენონია. ორი კვირის წინ შემეძლო შვიდი ერთის წინააღმდეგ მომეგო, სენტ ამანტზე რომ მეთამაშა.

— ნუთუ? თქვა დეივი ბირნმა...

122. რომელიღაც სიმღერის სიტყვები.

ფანჯრისაკენ წავიდა. წვრილმანი ხარჯების დავთარი აიღო და ფურცვლა დაუწყო.

— ღმერთმანი, შემჭამო, სრუტუნით თქვა ცხვირა ფლინმა. ძვირფასი ცხენი იყო. სენტ ფრასკუინი იყო მისი მამა. პირველი მოვიდა ქარიშხალში, როტშილდის ფაშატი, ყურებში ბამბადაცობილი. ლურჯი კამზოლი და ყვითელი კეპი. იღბალი არ ჰქონდათ დიდ ბენ დოლარსა და მის ჯონ ოგონტს. შემაცდინა. მაშ.

უსიტყვოდ სვამდა კათხიდან და თან თითებს უსვამდა მის ღარებს.

— მაშ, თქვა მან და ამოიოხრა.

ბატონმა ბლუმმა მის ამოოხვრას შეხედა. იდგა და ღეჭავდა. ცხვირა რეგვენი. ვუთხრა ლენეჰენი რომელ ცხენს? უკვე იცის. აჯობებს დაივიწყოს. წავა და ისევ წააგებს. ბრიყვის საგზალი კარებამდეო. ისევ ჩამოეკიდა წვეთი. ცხვირი ცივი ექნება, ქალს როცა კოცნის. შესაძლოა მაინც მოსწონთ. ჩხაპნია წვერი მოსწონთ. ძაღლის ცივი ცხვირები. ბებერი ქალბატონი რაიორდენი სიტი არმზ ოტელში მუცელში მობუყბუყე სკაი ტერიერით. მოლის კალთაში უზის, ხელს უსვამს. რანაირი ცუგო ხარ ავავავავ.

ღვინომ გაჟღინთა და დაალბო პურის გული, მდოგვი და, წამით, გულისამრევი ყველი. მშვენიერი ღვინოა. გემოს უკეთ ვგრძნობ, რადგან არ მწყურია. ეს, რა თქმა უნდა, აბაზანამ იცის. ერთი-ორი ლუკმა. შემდეგ საათის ექვსზე შემიძლია. ექვსზე. ექვსზე. მერე დროც გავა. ის...

ღვინის ნელმა ცეცხლმა სისხლის ძარღვები შეუხურა. ეს მჭირდებოდა სწორედ. მეტად უქეიფოდ ვიყავი. მისი თვალები შიმშილის გრძნობის გარეშე ათვალიერებდნენ თუნუქის კოლოფების თაროს, სარდინებს, კიბორჩხალების ჭრელჭრელ მარწუხებს. ყოველგვარ სისაძაგლეს ირჩევს ადამიანი საკვებად. ნიჟარებიდან, მოლუსკებს ქინძისთავებით, ხეებიდან, ლოკოკინას მიწიდან, ფრანგები რომ ჭამენ, ზღვიდან სატყუარათი ანკესზე. სულელმა თევზმა ვერაფრით ვერ ისწავლა ათასი წლის მანძილზე. რომ არ იცოდე რა იჭმევა, პირში რაიმეს ჩადებას ვერ გარისკავდი. შხამიანი ნაყოფი. ძაღლყურძენა. სიმრგვალე გიზიდავს. მყვირალა ფერი გაფრთხილებს. ერთმა მეორეს უთხრა და ასე შემდეგ. ჯერ ძაღლზე გამოცდი. სუნი ან შეხედულება იზიდავს. მაცდური ხილი. ნაყინი. ნაღები. ინსტინქტი. თუნდაც ფორთოხლის ხეივნები. ხელოვნური მორწყვა სჭირდება. ბლაიბტროიშტრასე. კი მაგრამ, კიბორჩხალები?[123] ფლეგმის კოლტივით შეუხედავი. ბინძური ნიჟარები. მაგათი გახსნაც კარგი ჭირია. ვინ აღმოაჩინა? ნარჩენებით, ნარეცხით იკვებებიან. ფიზისა და რედის სანაპიროს კიბორჩხალები. მოქმედებს სქესობრივ. აღგზნების საშუალე. დღეს დილით რედის ბანკში იყო[124]. ბებერი კიბორჩხალა მაგიდასთან. ან იქნებ ჯეილი კალმახი ლოვგანში. არა. ივნისს არა აქვს რ არც კიბორჩხალებია. მაგრამ ზოგს სუნიანი ნანადირევი უყვარს. ქოთანში ჩაქაფული კურდღელი. ჯერ კურდღელი დაიჭირე. ჩინელები ორმოცდაათი წლის კვერცხებს

123. კვლავ სეიფტის რემინისცენცია.

124. ბლუმი კვლავ ბოილანზე ფიქრობს.

ჭამენ, ჩალურჯებულსა და ჩამწვანებულს[125]. ოცდაათი თავისაგან შემდგარი სადილი. თვითეული ცალკე უვნებელია, შიგნით ირევა. აქედან [illegible] მოწამლულა. ერცჰერცოგი ლეოპოლდი არ იყო? არა. კი, თუ ოტო იყო ერთ-ერთი ჰაბსბურგელი?[126] თუ რომელი იყო საკუთარ ქერტლს რომ [illegible] უი-აფესი საუზმე მთელ ქალაქში. რაღა თქმა უნდა, არისტოკრატებს — მერე სხვე-ბიც ბაძავენ, მოდას რომ არ ჩამორჩნენ. მილიც ნავთსა და ფქვილს. მე თვითონ მიყვარს უმი ცომი. დაჭერილი კიბორჩხალების ნახევარს უკან ყრიან ზღვაში, ფასმა რომ აიწიოს. იაფია. არავინ იყიდის. ხიზილალა. დიდგვაროვნებს თამაშობენ. რაინის თეთრი ღვინო მწვანე ჭიქებში. ბუქიობა. ლედი ესა და ეს. დაპუდრული მკერდი, მარგალიტები. ნამდვილი élite. Crème de la crème[127]. განსაკუთრებულ საჭმელს თხოულობენ იმის დასამტკიცებლად, რომ თავად არიან. ბერი ერთ ჯამ მუხუდოს ჭამს, რომ სხეული გვემოს, კაცის გაცნობა თუ გინდა, იმასთან პური უნდა გატეხო. სამეფო თართი [128]. მთავარი შერიფი, კოფი, ყასაბი, მისი ბრწყინ მიერ ირმის მოკვლაზე გაცემული ლიცენზია. ხანალირევის ნახევარი უნდა გაუგზავნო. მინახავს როგორ ემზადებოდნენ ნადიმისათვის უმაღლესი სასამართლოს საოქმე განყოფილების უფროსის სამზარეულოში. თეთრქუდიანი მზარეული რაბინივით. არაყით შესაბრაწი იხვი. ხუჭუჭი კომბოსტო à la duchesse de Parme[129]. ბარემ ისევე დაწერონ მენიუში, რომ იცოდე რა შეჭამე. ზედმეტი რაღაცები ფლავს ნამდვილად აფუჭებს. მე თვითონ ვიცი. ედვარდზის წვნიანის ფხვნილით აზავებენ. გალიებში დასუქებული ბატები. ცოცხლად მოხარშული კიბორჩხალები. იხმეთ, გეთაყვა, გნოლი. არაფერი მექნებოდა საწინააღმდეგო ოფიციანტად მემუშავა ფეშენებელურ სასტუმროში. გასამრჯელოები, ფრაკი, შეშიშვლებული ქალები. ნება მიბოძეთ ქამბალის ფილე შემოგთავაზოთ, მის დიუბედა. თუ გაუბედავ. ალალბედად. მე მგონი ჰუგენოტების გვარისაა. ვიღაც მის დიუბედა მახსოვს კილინიში ცხოვრობდა. Du, de, la[130], ფრანგულად. ბოლო-ბოლო იგივე თევზია, შესაძლოა ბებერი მიკი ჰენლონი, მურ სტრიტიდან, შიგნავდა, ფულს აკეთებდა, ერთბაშად გამდიდრდა, თითებით თევზის ლაყუჩებში ჩაფრენილი, ჩეკზე ხელის მოწერა არ შეეძლო, თითქოს მოქცეული ღრანჭით სურათს ხატავსო. მუიკლ ჰე ჰენ[131]. ბატივით შტერი, ორმოცდაათათასიანი.

გადაბმული, ფანჯრის რაფაზე ორი ბუზი ბზუოდა, გადაბმული.

მხურვალე ღვინო სასაზე უჩერდებოდა. საწნახელებში დაწურული ბურგუნდიული ყურძენი. მზის მცხუნვარება შიგ. თითქოსდა იდუმალი მიკარება

---

125. ჩინელები ახალ კვერცხებს მიწაში ინახავდნენ 10-12 თვით, რის შემდეგაც გამაგრებული კვერცხები ათეული წლობით ძლებდა.

126. ბლუმს ერთმანეთში ერევა ლეოპოლდ ფონ ბაიერნი და ბავარიის მეფე ოტო. ლეოპოლდი გახდა პრინც-რეგენტი, რადგან ოტო ჭკუით ავადმყოფად გამოაცხადეს. ავსტრიის იმპერატორ ფრანც-იოზეფ პირველს ჰყავდა ძმისწული ოტო, რომელიც იყო ჰაბსბურგელი და რომელიც ბლუმს ერევა, ეშლება ბავარიის მეფე ოტოში.

127. „რჩეული. ნაღების ნაღები" (ფრ.)

128. ინგლისური ტერიტორიული წყლების მთელი თართი ედუარდ მეორის მიერ ტახტის საკუთრებად იქნა გამოცხადებული.

129. „ა ლა დიუშეს დე პარმ" — კერძის სახელწოდება (შემწვარი კომბოსტო ხბოს ხორცით).

130. ფრანგული არტიკლები.

131. უნდა წარმოითქვას „მაიკლ ჰენლონი".

მახსენებს. მიკარებით დანამული მისი შეგრძნება იხსენებდა. გაბარდნილ გვიმრიანში ჩამალული ჰოუთზე. ჩვენს ქვემოთ ყურე, მძინარე, ცა. ჩამი-ჩუმი არ ისმის. ცა. მეწამული ყურე ლომის თავთან. მწვანე დრამლეკთან. მოყვითალო-მომწვანო სატონისაკენ[132]. წყალქვეშა მინდვრები, ოდნავ ჩამუქებული კონტურები ბალახში, დამარხული ქალაქები. მისი თმა თავქვეშ [illegible] ჩემს პალტოზე, ყურბელა შლიტინებდა ხელზე მისი კეფის ქვეშ— [illegible] ლეჭავ. ო, საოცარი! ნელსაცხებლებისაგან გრილრბილი მისი ხელი შემეხო, მომეფერა: მისი თვალები ჩემს ზემოდან, არ აშორიდა. ვიწექი ზემოდან, გამობერილი ტუჩები მთლიანად გადახსნილი, პირში ვაკოცე. იუმ. რბილად მომაცა პირში ნაძცხვარი თბილი, დაღეჭილი. ამაზრზენი ფაფა, მისმა პირმა რომ დაღეჭა. ტკბილი და ნერწყვისაგან მომჟავო. სიხარული: შევჭამე: სიხარული. ნორჩი სიცოცხლე, მისმა ტუჩებმა გამომიწოდა. რბილი, თბილი, წებოვანი, ლორწოტკბილი ტუჩები. ყვავილები იყო მისი თვალები, შენი ვარ, ნდომით სავსე თვალები. კენჭები ცვიოდა. უძრავად იწვა. თხა. არავინ. ზემოთ ბენ ჰოუთის როდოდენდრონებში მიაბიჯებდა თხა და მოცხარის მარცვლებს ყრიდა. გვიმრებში ჩამალული იცინოდა თბილად ჩახუტებული. შმაგად ვეხვეოდი, ვკოცნიდი თვალებში, ტუჩებში, დაჭიმულ კისრის ძარღვებზე, სავსე მკერდზე ვუალის ბლუზაში, ამობურცულ მკერივ ძუძუსთავებზე. გაშმაგებული ვკოცნიდი. მაკოცა. დამკოცნა. მთლიანად მონდობილი თმას მიწეწავდა. დაკოცნილი მკოცნიდა.

მე. და ახლა მე.

გადაბმულები, ბუზები ბზუოდნენ.

მისი დახრილი თვალები მუხის მაგიდის უტყვ ძარღვებს უცქეროდნენ. სილამაზე: ხვეულები: მიხრა-მოხრაა სილამაზე. ტანადი ქალღმერთები, ვენერა, იუნონა: მიხრა-მოხრა, რომელსაც მსოფლიო ეთაყვანება. შეიძლება კაცმა ბიბლიოთეკის მუზეუმში ნახოს, მრგვალ დარბაზში დგანან, შიშველი ქალღმერთები. საჭმლის მონელებას შველის. არ ენაღვლებათ ვინ უყურებს. ყველაფერი გამომზეურებულია. არაფერს ამბობენ. მე ვგულისხმობ არაფერს უბნებიან ფლინის მაგვარ ტიპებს. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე მათგანი პიგმალიონსა და გალატეასავით[133], რას იტყოდა პირველად? მოკვდავო ადგილზე დაგსვამდა. ღმერთებთან ერთად ნექტარს შეექცევიან მესის დროს, ოქროს თეფშები, ყველაფერი ღვთაებრივი. ჩვენი ექვსპენსიანი საუზმესავით კი არა, მოხარშული ცხვრის ხორცი, სტაფილო და ბოლოკი, ერთი ბოთლი ლუდი. ნექტარი, წარმოიდგინე რომ ელექტრონის დენს სვამ: ღმერთების საზრდოს. ქალის ლამაზი ფორმები, ჩამოსხმული, იუნონასი. უკვდავი მშვენება. ჩვენ კი ვიტენით ერთი ნახვრეტიდან საჭმელს და უკანიდან გამოგვდის: საჭმელი, რძე-წვენი, სისხლი, განავალი, მიწა, საჭმელი: უნდა ვკვებოთ, როგორც მანქანას ვაწვდით საწვავს. იმათ არა აქვთ. არასოდეს არ შემიხედავს. დღეს

132. ჰოუთი — ნახევარკუნძული; ლომის თავი — კონცხი; დრამლეკი და სატონი — სოფლები.

133. მითის მიხედვით, კვიპროსის მეფეს, მოქანდაკე პიგმალიონს შეუყვარდება თავისივე გამოქანდაკებული სპილოს ძვლის გალატეა. აფროდიტე სულს შთაბერავს გალატეას და მოქანდაკე ცოლად შეირთავს საკუთარ ქმნილებას. ბლუმი, როგორც ჩანს, ამ მითის გადმოკეთებას იცნობს უ. ს. გილბერტის პიესის მიხედვით, რომელიც 1871 წელს დაიდგა ლონდონში.

შევხედავ. დარაჯი ვერ შეამჩნევს. დავიხრები, ვითომ რამე დამივარდა და შევხედავ მაგას თუ.

ჩუმი ცნობა ქონვით მოვიდა მისი ბუშტიდან უნდა ქნას აქ ნუ იქ. კაცია და მზად არის ჭიქა გამოცალა და გავიდა, კაცებსაც ეძლეოდნენ, ადამიანურად. მოკვდავ კაცებთან იწვნენ, ახალგაზრდა კაცი მასთან [illegible]ობდა, ეზოში[134].

როცა მისი ფეხსაცმელების ხმა მიწყდა, წიგნში თავჩაყოფილმა დეივი ბირნმა თქვა:

— რას აკეთებს, სად არის? დაზღვევის ხაზით არ მუშაობს?

— დიდი ხანია იქ აღარ არის, თქვა ცხვირა ფლინმა. განცხადებებს აგროვებს „ფრიმენისათვის".

— სახით კარგა ვიცნობ, თქვა დეივი ბირნმა. რამე შეემთხვა?

— შეემთხვა? თქვა ცხვირა ფლინმა. არაფერი გამიგია. რაზე ამბობთ?

— შევამჩნიე შავებშია.

— მართლა? თქვა ცხვირა ფლინმა. თუმცა, კი, რა თქმა უნდა. ვკითხე კიდეც სახლში როგორ ხართ-მეთქი. მართალს ბრძანებთ, ღმერთმანი. შავებში იყო.

— არასოდეს ამ საკითხზე არ ჩამოვაგდებ ხოლმე ლაპარაკს, ჰუმანურად თქვა დეივი ბირნმა, როცა ვხედავ, რომ ჯენტლმენს ასეთი უბედურება ჭირს. ეს მხოლოდ თავიდან ახსენებთ ხოლმე ყველაფერს.

— ყოველ შემთხვევაში ცოლი არა, თქვა ცხვირა ფლინმა. გუშინწინ შევხვდი, ირლანდიური დუქნიდან გამოდიოდა, ჯონ უაილზ ნოლენის ცოლი რომ ვაჭრობს ჰენრი სტრიტზე, ერთი ქილა ნაღები მიჰქონდა შინ თავის საუკეთესო ნახევრისათვის. დიდ პატივშია, მე და ჩემმა ღმერთმა. ჩიტის რძე არ აკლია.

ცხვირა ფლინმა ტუჩები მოწრუპა.

— ნაღებს განცხადებებით გაკეთებული ფულით არ ყიდულობს. ვისაც გინდათ დავენიძლავები.

— ეგ როგორ? დავთრიდან თავი ასწია და ისე იკითხა დეივი ბირნმა.

ცხვირა ფლინმა თითები სწრაფად აათამაშა ჟონგლიორივით. თვალი ჩაუკრა.

— ფრიმასონთა ძმობაშია, თქვა მან.

— კარგი ერთი! თქვა დეივი ბირნმა.

— ნამდვილად, თქვა ცხვირა ფლინმა. უძველესი თავისუფალი და საიდუმლო ორდენი. სინათლე, სიცოცხლე და სიყვარული, განგების ძალით. ეხმარებიან. ეს მითხრა, ჰმ, ვერ ვიტყვი ვინ.

— ნუთუ მართლა?

— ო, შესანიშნავი ორდენია, თქვა ცხვირა ფლინმა. გაჭირდში გიდგანან, როცა გიჭირს. ერთი ყმაწვილი ვიცი ცდილობდა შემძვრალიყო, მაგრამ შეკრულები არიან გვარიანად. ღმერთმანი კარგს შვრებოდნენ, რომ ქალებს არ იღებდნენ.

134. ცნობიერების ნაკადის პრობის ტიპიური მაგალითი: ღმერთქალებისა და მოკვდავი მამაკაცების ურთიერთობის ასოციაციები ჩართულია ძირითად ტექსტში („ჭიქა გამოცალა და გავიდა ეზოში").

დეივი ბირნმა თავიდაიქნიავაილიმადაამთქნარა ერთსა და იმავე დროს:

— იიიიიჩეეეეეეეეჰ!

— ერთი ქალი, თქვა ცხვირა ფლინმა, კედლის საათში დაიმალა, რომ ენახა რას აკეთებენ. მაგრამ ჩაავლეს, მე და ჩემმა ღმერთმა, და იქვე ადგილზე მასონად აკურთხეს. ეს იყო დონერეილის ერთ-ერთი ლოჟა სენტ ლეჯერი[135].

მთქნარებით გამაძღარმა ცრემლით თვალჩამორეცხილმა დეივი ბირნმა თქვა:

— ნუთუ მართლა? წესიერი, წყნარი კაცია. ხშირად ვხედავ აქ და, იცით, არასოდეს მინახავს, რომ ზომაზე მეტი.

— ყოვლის შემძლე უფალიც ვერ დაათრობდა, მტკიცედ თქვა ცხვირა ფლინმა. ქეიფი რომ გაჩაღდება ჩუმად ითესება. დაინახეთ, როგორ უყურებდა საათს? აჰ, თქვენ აქ არ იყავით. დალევა რომ შესთავაზოთ, მაშინვე საათზე დაიხედავს, დრო თუა ამისი. ღმერთმანი ასე იქცევა.

— არიან ასეთები, თქვა დეივი ბირნმა. მე ვიტყოდი სანდო კაცია.

— არც ისეთი ცუდია, თქვა ცხვირა ფლინმა და წვეთი შეისრუტა. ამბობენ, გაჭირვებაში ხელიც გაუმართავს ერთი ახალგაზრდა კაცისათვის. ზოგი ეშმაკისაც უნდა ითქვას. ო, ბლუმს აქვს კარგი თვისებები. მაგრამ არის ერთი რამ, რასაც არასოდეს გააკეთებს.

მისმა ხელმა გროგის ჭიქის გვერდით დაკაწრა ხელმოწერა.

— მესმის, თქვა დეივი ბირნმა.

— ცოცხალი თავით არ იზავს ამას, თქვა ცხვირა ფლინმა[136].

შემოვიდნენ პედი ლიონარდი და ბენტემ ლაიონზი. მათ ტომ როჩფორდი შემოჰყვა, ღვინისფერ ჟილეტზე ხელის გულს ისვამდა.

— გაუ ბატონ ბირნს.

— გაუ ბატონებს.

— დახლთან მივიდნენ.

— ვისი ჯერია? იკითხა პედი ლიონარდმა.

— ჩემი არა, ყოველ შემთხვევაში, უპასუხა ცხვირა ფლინმა.

— აბა, რას დალევთ? იკითხა პედი ლიონარდმა.

— მე ლიმონათი.

— რაო? წამოიძახა პედი ლიონარდმა. როდის აქეთია, ღვთის გულისათვის? თქვენ, ტომ?

— როგორ მიდის სადრენაჟო სამუშაოები? იკითხა ცხვირა ფლინმა, თან წრუპვა განაგრძო.

პასუხის სანაცვლოდ ტომ როჩფორდმა ხელი მიიდო გულისპირზე და დაასლოკინა.

— თუ შეიძლება ერთი ჭიქა სუფთა წყალი გთხოვოთ, ბატონო ბირნ? თქვა მან.

135. არსებობს მასონთა საზოგადოებაში ქალის მიღების რამდენიმე ვერსია. ამ შემთხვევაში იგულისხმება დონერეილის პირველი ვიკონტის ართურ სენტ ლეჯერის ქალიშვილი.

136. ბლუმს მისი დუბლინელი ნაცნობები ახასიათებენ, როგორც უდრეკად ფრთხილ **ადამიანს**, რომელიც ხელს არ აწერს არაფერს. ამავე დროს, ფლინის ჟესტი ბლუმის ფარულ კავშირსაც მიანიშნებს, ერთის მხრივ, მასონურ საზოგადოებასთან და, მეორეს მხრივ, ებრაელობასთან (დაუწერელი კანონის მიხედვით ებრაელები თითქოს თავს იკავებდნენ შეთანხმებებზე ხელის მოწერაზე).

— რა თქმა უნდა, სერ.

პედი ლიონარდმა თვალი გადაავლო თანამეინახეებს.

— ღმერთო დიდებულო, თქვა მან. რას ვასმევ ხალხს! ცივი წყალი და ლიმონათი! არადა, საქმე რომ იყოს, ბიჭები ფეხის კომპრესიდან მოიწოვენ სპირტს. რომელიღაც ცხენი ეყოლება შერჩეული ოქროს თასისათვის. — საიდუმლოდ ინახავს.

— ზინფანდელი? იკითხა ცხვირა ფლინმა.

ტომ როჩფორდმა დაკეცილი ქაღალდიდან წყლიან ჭიქაში ჩაყარა ფხვნილი.

— ეს ოხერი კუჭი არ მუშაობს, თქვა მან სანამ დალევდა.

— ძალიან კარგია სოდა, თქვა დეივი ბირნმა.

ტომ როჩფორდმა თავი დაუქნია და დალია.

— ზინფანდელია?

— სუ, თვალი ჩაუკრა ბენტამ ლაიონზმა. ხუთი შილინგის დადებას ვაპირებ.

— გვითხარით, თუ ტყუილად არ ჭამთ პურს, და ჯანდაბამდის გზა გქონიათ, თქვა პედი ლიონარდმა. ვინ გირჩიათ?

ბატონმა ბლუმმა გასვლისას სამი თითი ასწია მისალმების ნიშნად.

— ნახვამდის, თქვა ცხვირა ფლინმა.

დანარჩენებმა მიიხედეს.

— მაგან მირჩია, წაიჩურჩულა ბენტამ ლაიონზმა.

— ფუ! დამცინავად თქვა პედი ლიონარდმა. ბატონო ბირნ, სერ, ჩვენ ავიღებთ თქვენს ორ პატარა ჯეიმზონის ვისკის და...

— ლიმონათს, თავაზიანად დაუმატა დეივი ბირნმა.

— ჰო, თქვა პედი ლიონარდმა. ბავშვის საწოვარას.

ბატონი ბლუმი დოსონის ქუჩისაკენ გაემართა, ენით კბილებს იწმენდდა. რაღაც მწვანე უნდა იყოს: ვთქვათ ისპანახი. მერე იმ რენტგენის სხივებით შეიძლება.

დიუკ ლეინზე ლორმუცელა ტერიერმა ხრტილიანი ნაღეჭი აღებინა ქვაფენილზე და განახლებული ინტერესით შეუდგა მის ლოკვას. ნამეტი. გიბრუნებთ მადლობით, მას შემდეგ რაც მთლიანად გადავხარშეთ შიგთავსი. ტკბილი და პიკანტური. ბატონმა ბლუმმა ფრთხილად მოუარა. მცოხნავი ცხოველები. მისი მეორე თავი საჭმელი. ზედა ყბას ამოძრავებენ. ნეტა ტომ როჩფორდი თუ მოუხერხებს რამეს თავის გამოგონებას. დროის ფუჭი კარგვაა მაგ ბენტერა ფლინთან ლაპარაკი. ვაჭრები დოყლაპიები არიან. ერთი დარბაზი, რამე ადგილი უნდა იყოს, სადაც გამომგონებლებს შეეძლებოდათ მისულიყვნენ და თავისუფლად ემუშავათ გამოგონებებზე. თქმა არ უნდა, დარტყმულები მოსვენებას არ მოგვცემენ.

ღიღინებდა, თან ბოლო ტაქტებს საზეიმო ექოთი აგრძელებდა.

Don Giovanni, a cenar teco
M'invitasti. [137]

137. „დონ ჯოვანი, შენ მიმიწვიე ვახშმად“ (იტ.) — სიტყვები მოცარტის „დონ ჟუანის“ უკანასკნელი სურათიდან.

უკეთ ვგრძნობ თავს. ბურგუნდიული. კარგა შემახურა. ვინ დააყენა პირველად ღვინო? ვიღაც დადარდიანებულმა. თავშიღვინოშემჯდარი კაცის გულადობა. ახლა უნდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში ის „კილკენელები“ [138].

შიშველმა ქათქათა უნიტაზებმა, მომლოდინეებმა, უილიამ მილერის ვიტრინაში, სანტექნიკა, მისი ფიქრები უკან დააბრუნეს. დიახ, შეიძლება [illegible] თვალი გააყოლო ბოლომდე, ნემსს გადაყლაპავს ზოგჯერ კაცი და წლების შემდეგ ნეკნებიდან გამოძვრება, ტურნე მთელ სხეულში, ნაღვლის სადინარს აზიანებს, ნაღვლის შემწოვი ღვიძლი, კუჭის წვენი, ნაწლავების რგოლები მილებივით. მაგრამ იმ ჩემი ცოდვით სავსეს მთელი ამ ხნის მანძილზე ჯიგარ-შიგნეულობა გამოფენილი უნდა ჰქონდეს. მეცნიერება.

— A cenar teco.

რას ნიშნავს ეს teco? იქნებ ამ საღამოს [139].

დონ ჯოვანი, შენ მიმიწვევ
ამ საღამოთი ვახშმად,
ტამ რამ რამ ტამ რამ.

რაღაც არ გამოდის.

გასაღები: ორი თვით, ნანეტი თუ დავიყაბულე. ეს იქნება ორი გირვანქა და ათი, დაახლოებით ორი გირვანქა და რვა. ჰაინზს ჩემი მართებს სამი. ორი და თერთმეტი. პრესკოტის განცხადება. ორი და თხუთმეტი. დაახლოებით ხუთი გინეა. ხვავია.

შეიძლება მოლის ვუყიდო ის აბრეშუმის ქვედატანი. მისი ახალი წვივსაკრავების ფერი.

დღეს. დღეს. ნუ ფიქრობ.

მერე სამხრეთისაკენ. ინგლისურ კურორტებზე რას იტყვი? ბრაიტონი, მარგეიტი. პირსი მთვარიანში. მისი მოლივლივე ხმა. ზღვისპირელი გოგონები. ჯონ ლონგის ლუდხანასთან მიყუდებული ნამძინარევი პირქუში მაწანწალა დაკოჟრილ თითებს ილოღნიდა. ხელმარჯვე კაცი ეძებს სამუშაოს. მცირე ხელფასი. ნებისმიერ კვებაზე ყაბულსაა.

ბატონმა ბლუმმა გრეის საკონდიტროს ვიტრინას შეხედა, სადაც გაუყიდავი ტორტები ეწყო და მისი მაღალღირსების ტომას კონელენის წიგნის მაღაზიას ჩაუარა. **რატომ დავტოვე რომაული ეკლესია?** [140]. მშობლიური ბუდე. ქალები მართავენ. ამბობენ მათხოვრების შვილებს წვენს აძლევდნენ პროტესტანტებად რომ მოექციათ კარტოფილის ჭირის დროს. გზის გადაღმა საზოგადოება, რომელშიც მამა დაიარებოდა, ღატაკი ებრაელების მოსაქცევი. იგივე სატყუარა. რატომ დავტოვეთ რომაული ეკლესია?

---

138. ყოველკვირეული გაზეთი, რომელიც კილკენიში შაბათობით გამოდიოდა.

139. ბლუმს ჰგონია: teco ნიშნავს „შენთან“ და არა „საღამოს“.

140. იგულისხმება 1883 წელს ლონდონში გამოცემული ბროშურა, რომლის ავტორმა კანადელმა ჩარლზ პასკალ ჩინიკემ 30 ათასამდე თანამემამულე პრესვიტერიანელთა რწმენაზე მოაქცია.

ბრმა ბიჭი იდგა და წვრილ ჯოხს უკაკუნებდა ტროტუარის კიდეს. ტრამვაი არ ჩანდა. გადასვლა უნდა.

— გადასვლა გნებავთ? იკითხა ბატონმა ბლუმმა.

ბრმა ბიჭმა არ უპასუხა. მისი გაქვავებული სახე ოდნავ მოიღუშა. გაურკვევლად გაატოკა თავი.

— თქვენ დოსონის ქუჩაზე ხართ, თქვა ბატონმა ბლუმმა, [illegible] მოულზუორთის ქუჩაა. გადასვლა გნებავთ? გზა თავისუფალია.

ჯოხმა ცახცახით გაიწია მარცხნივ. ბატონმა ბლუმმა თვალი გააყოლა და კვლავ დაინახა მღებავის ფურგონი დრაგოს პარიკმახერის მაღაზიის წინ. სადაც მისი ბრილიანტინით გადავლესილი თმა ვნახე სწორედ, როცა მე. ცხენი ყვინთავს. მეეტლე ჯონ ლონგთან არის. ყელს ისველებს.

— აქ ფურგონია, თქვა ბატონმა ბლუმმა, მაგრამ გაჩერებულია. გადაგიყვანთ. თქვენ მოულზუორთის ქუჩაზე გნებავთ?

— დიახ, უპასუხა ბიჭმა. საუთ ფრედერიკ სტრიტზე.

— წავიდეთ, თქვა ბატონმა ბლუმმა.

იგი ფრთხილად შეეხო გამხდარ იდაყვს. შემდეგ აიღო ღუნე მხედველი ხელი, წასაყვანად.

უთხარი რამე. მხოლოდ ქედმაღლურად არ გამოგივიდეს. უნდოდ ექცევიან ნათქვამს. რამე ჩვეულებრივი.

— წვიმამ გადაიარა.

არ უპასუხეს.

დალაქული პიჯაკი. ეტყობა საჭმელს ისხამს ზედ. ყველაფერს სხვანაირი გემო აქვს მისთვის. მისი ხელი ბავშვის ხელივით. მილის რომ ჰქონდა. მგრძნობიარე. ალბათ აზრს იქმნის ჩემზე ხელის მეშვეობით. ნეტა სახელი და გვარი თუ აქვს. ფურგონი. ჯოხი არ მოახვედროს ცხენს ფეხებში. დაქანცული ჯაგლაგი თავისთვის თვლემს. აი ასე. თავისუფალია. ხარს უკანიდან: ცხენს წინიდან.

— გმადლობთ, სერ.

იცის რომ კაცი ვარ. ხმით.

— ახლა გაიგნებთ გზას? პირველი შესახვევი მარცხნივ.

ბრმა ბიჭმა ტროტუარის კიდეს მიუკაკუნა და გზა განაგრძო, ჯოხით სინჯავდა.

ბატონი ბლუმი მისდევდა უსინათლო ფეხებს, თევზიფხურა ტვიდის უხეიროდ შეკერილ კოსტუმს. საბრალო ყმაწვილი! ნეტა როგორ მიხვდა, რომ ის ფურგონი იქ იდგა? ალბათ იგრძნო. იქნებ შუბლით შეიგრძნობენ საგნებს. მოცულობის შეგრძნების მაგვარი რაღაც. წონას თუ იგრძნობს, რამე რომ შემსუბუქდეს. სიცარიელეს იგრძნობს. უცნაური შეხედულება ექნება დუბლინზე, გზას რომ ქვებზე კაკუნით მიიკვლევს. სწორ ხაზზე თუ გაივლიდა, ეგ ჯოხი რომ არ ეჭიროს? მკრთალი ღვთისმოსავი სახე, ასე გგონია პასტორი უნდა გამოვიდესო.

პენროუზი! იმ ყმაწვილის გვარი ეს იყო.

რამდენი რამის სწავლა კი შეუძლიათ. თითებით კითხვა. პიანინოების აწყობა. ან იქნებ გვიკვირს, რომ საერთოდ მოსაზრების უნარი აქვთ. რატომ

მიგვაჩნია, რომ ხეიბარი ან კუზიანი ჭკვიანია, თუ ისეთ რამეს იტყვის, რისი თქმაც ჩვენ შეგვეძლო. რა თქმა უნდა, დანარჩენი შეგრძნებები უფრო მეტად. ქარგვა. კალათების დაწვნა. ყველა უნდა ეხმარებოდეს. ხამუშის კალათა შემეძლო მეყიდა მოლისათვის დაბადების დღეზე. კერვა ეჯავრება. შეიძლება გაბრაზდეს. აბუეტებს ეძახიან მაგათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყნოსვაც გამძაფრებული უნდა ჰქონდეთ. სუნები ყოველი მხრიდან ერთ ბუკეტად შეკრული. ყველა ადამიანის სუნიც. შემდეგ გაზაფხული, ზაფხული: სუნები. გემო. ამბობენ ღვინის გემოს თვალდახუჭული ვერ გაუსინჯავ, ვერც სურდოიანი. არც თამბაქოს მოწევაა სასიამოვნო სიბნელეში, ამბობენ.

ანდა ქალთან, მაგალითად. უფრო არ გრცხვენია, როცა ვერ ხედავ. ის გოგო სტიუარტის დაწესებულების[141] წინ რომ მიდის, ყელმოღერებული. შემხედეთ. როგორი მორთულ-მოკაზმული ვარ. უცნაური იქნება ალბათ, ქალს რომ ვერ ხედავ. რაღაც ფორმა მის გონების თვალში. ხმა, სითბო, თითებით როცა ეკარება, უნდა თითქმის ხედავდეს ხაზებს, ფორმებს. მისი ხელები თმაში, მაგალითად. ვთქვათ შავია, მაგალითად. კეთილი. ჩვენ ამას შავს ვეძახით. მერე მის თეთრ კანზე გადაინაცვლებს. შესაძლოა განსხვავებული განცდაა. თეთრის შეგრძნება.

ფოსტა. უნდა ვუპასუხო. დღეს დავიქანცე. გავუგზავნო ფოსტით ორი შილინგი, ორნახევარი. მიიღეთ ჩემი მცირედი საჩუქარი. საწერი ნივთების მაღაზიაც აქვეა. მოიცა. დავფიქრდე.

სათუთი თითი სულ ოდნავ გადაისვა ყურებზე გადავარცხნილ თმაზე. ისევ. თხელი თხელი თივის ღეროები. შემდეგ თითი ოდნავ შეეხო მისი მარჯვენა ლოყის კანს. აქაც თმა. არც ისეთი რბილია. ყველაზე რბილი მუცელია. არავინ არის. ფრედერიკ სტრიტისაკენ გაუხვია. ალბათ ლევენსტონის ცეკვის სკოლაში. როიალი. აქამდე ხომ არ გამესწორებინა.

ლორენის ლუდხანას რომ ჩაუარა, ხელი ჩაიცურა ჟილეტსა და შარვალს შორის, პერანგი ფრთხილად გაიწია და მუცლის დონდლო ნაოჭს შეეხო. ვიცი, რომ მოთეთრო-მოყვითალოა. სიბნელეში მინდა ვცადო შეხედვა.

ხელი ამოიღო და ტანსაცმელი გაისწორა.

საბრალო ყმაწვილი! მთლად ბავშვია. საშინელებაა. საშინელება. ნეტა რა ესიზმრება უსინათლოს. ცხოვრება მისთვის სიზმარია. სადაა სამართალი, ასეთი რომ დაიბადა. ის ქალების და ბავშვების ექსკურსია ბანკეტითა და დროს-ტარებით, ცეცხლმოდებულნი და წყალში დამხრჩვალნი ნიუ-იორკში. ჰეკატომბი[142]. კარმას ეძახიან წარსულში ჩადენილი ცოდვების ტრანსმიგრაციას გარდასახვა ნეტა ვინ კოცნის[143]. ღმერთო, ღმერთო, ღმერთო. დასანანია, რა თქმა უნდა: მაგრამ მაინც ადამიანს უჭირს მათთან ურთიერთობა.

სერ ფრედერიკ ფოლკნერი ფრიმასონთა დარბაზში შედის. დუბლინის არქიეპისკოპოსივით გაბღენძილი. ელზფორტ ტერასზე კარგი საუზმის შემდეგ. კანონის დამცველი ძველი მეგობრები ორკვარტიან ბოთლს მისხდომიან.

141. დუბლინის ფსიქიატრიული საავადმყოფო.

142. 1904 წლის 16 ივნისი. „ფრიმენ ჯორნელის" ცნობით, 500 კაცი, ძირითადად ბავშვები, დაიღუპა ტურისტულ გემზე გაჩენილი ხანძრის შედეგად.

143. მოლის ეპიზოდში („კალიფსო") მოლი სიტყვას „მეტემფსიქოზი" ასეთნაირად „კით-ხულობს": „ნეტა ვინ კოცნის".

სასამართლო მითქმა-მოთქმა და ბლუკოუტის სკოლის მატიანე[144]. ათი წელი მივუსაჯე. მე რომ დავლიე, იმ ღვინოზე ალბათ ცხვირს აიბზუებდა. ძველი ღვინო მიართვეს, დამტვერილ ბოთლზე წელი რომ აქვს მიწერილი. უცნაური შეხედულებანი გააჩნია სამართლიანობაზე უმაღლეს სასამართლოში. კეთილ-განწყობილი მოხუცია. პოლიციის საბრალდებულო დავთრები გატენილია საქმეებით, დანაშაულებათა ფაბრიკაცია პროცენტების მიღების მიზნით. ძირეულად გამოასწორებს. მევახშეების დაუძინებელი მტერია. რუბენ ჯ. კარგად გაჯორა. ახლა ის, როგორც იტყვიან, ნამდვილი ბინძური ურიაა. მაინც რა ძალა აქვთ ამ მოსამართლეებს. გაჩხიკინებული ბებერი ლოთიბაშები პარიკებში. დათვები მტკივანი თათებით. და ღმერთმა შეიწყალოს სული შენი.

ოჰო, აფიშა. საქველმოქმედო ბაზრობა. მისი ბრწყინვალება ლორდ-ნაცვალი. თექვსმეტში. დღესაა. მერსერის საავადმყოფოსათვის თანხის შესაგროვებლად. მესია პირველად ამ მიზნით შესრულდა. დიახ. ჰენდელი[145]. რა იქნება ჩვენც რომ ერთხელ წავიდეთ. ბოლზბრიჯი. შევიარო კლიტის თაობაზე. რა აზრი აქვს ტკიპივით რომ მივეკრა. მოვიმდურებ. ვიხმე ნაცნობს უთუოდ ვნახავ შესასვლელში.

ბატონი ბლუმი კილდეირის ქუჩაზე გავიდა. მე ჯერ უნდა. ბიბლიოთეკა.

ჩალის ქუდი მზის სხივებში. მოყვითალო ფეხსაცმელები. აკეცილი შარვალი. ეს არის. ეს არის[146]. გული ოდნავ შეეკუმშა. მარჯვნივ. მუზეუმი. ქალღმერთები. მარჯვნივ გაუხვია.

ეს არის? თითქმის დარწმუნებული ვარ. არ გავიხედავ. ღვინისაგან სახე მიხურს. რად მინდოდა. მაგარია. ჰო, ეს არის. სიარული. არ გავიხედო. არ გავიხედო. გაიარე.

დიდი, ნერვიული ნაბიჯებით წავიდა მუზეუმის შესასვლელისაკენ, აიხედა. ლამაზი შენობაა. სერ ტომას დინის პროექტია[147]. უკან ხომ არ მომდევს?

იქნებ ვერ დამინახა. სინათლე თვალებში სცემს.

ქლოშინებდა. ჩქარა. ცივი ქანდაკებები: იქ სიჩუმეა. ცოტაც და სამშვიდობოს ვარ.

არა, ვერ დამინახა. მესამე საათი დაიწყო. ოღონდ შესასვლელამდე.

გული!

თვალების ხამხამით გაფაციცებით შეჰყურებდა ქვის ღია ყვითელ ხვეულებს, სერ ტომას დინი ბერძნული არქიტექტურის მიმდევარი იყო.

რა ვუყავი.

მისი აჩქარებული ხელი სწრაფად ჩაძვრა ჯიბეში, ამოიღო, წაკითხული გადაშლილი აჯენდათ ნეტეიმ. სად წავიღე?

---

144. ბლუკოუტის სკოლა დუბლინის მოდური სასწავლებელი იყო.

145. ჰენდელის ორატორია მესიაც პირველად დუბლინში შესრულდა 1742 წლის 13 აპრილს. ირლანდიელებისადმი განსაკუთრებული სიმპათიის აღსანიშნავად თვითონ კომპოზიტორი დირიჟორობდა.

146. ბლუმს იმდენად არ სიამოვნებს ბოილენის ხსენება, რომ შეუფერებელ ხალხისხელსაც კი ხმარობს მის მიმართ (რს).

147. ეროვნული ბიბლიოთეკა და ეროვნული მუზეუმი, რომლებიც ერთმანეთის ახლოს წარმოადგენენ, სერ ტომას დინის შვილისა და შვილიშვილის პროექტით აშენდა.

არ მცალია ვეძებ.

სწრაფად ჩაიდო ჯიბეში აჯენდათ.

ნაშუადღევსო, ასე თქვა.

იმას ვეძებ. ჰო, იმას. ყველა ჯიბეში ნახე. ცხვირსახ. ფრიმენი. რა ვუყავი? აჰ, ჰო. შარვალი. ქისა. კარტოფილი. რა ვუყავი?

ჩქარა. ნელა გაიარე. ერთი წამილა. გული.

მისმა ხელმა იმას რომ ეძებდა რა ვუყავი იპოვა უკანა ჯიბეში საპონი ლოსიონი უნდა შევიარო თბილი ქაღალდი მიეკრო. აჰ, საპონი აქ არის! ჰო. შესასვლელი.

გადავრჩი!

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიმო მორინა

## ეს შენ ხარ, მიწაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოემა

ფრანგულიდან თარგმნა გასტონ ბუაჩიძემ

ქართული პოეზია დიდად განებივრებული როდია დასავლეთის პოეტებისა და პერიოდიკის ყურადღებით. თუ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ენებზე ქართული პოეზიის (ძველისა და ახლის) ნიმუშების თარგმნა უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, დანარჩენი სამყაროსათვის მდიდარი ტრადიციების მქონე თვითმყოფადი ქართული პოეზია ზოგჯერ ისევ ტერა ინკოგნიტად რჩება.

ასეთ პირობებში დასავლეთის პოეტური ჟურნალების მიერ ქართული პოეზიისადმი გულწრფელი ინტერესის გამოჩენა დიდად საყურადღებო და დასაფასებელი ფაქტია.

აგერ უკვე რამდენიმე წელია, დასავლეთის პოეზიის მოყვარულთა და დამფასებელთა წრეებში საკმაოდ გავლენიანი ჟურნალი „ნუველ ეროპ“ სისტემატურად უთმობს თავის ფურცლებზე თვალსაჩინო ადგილს ქართული პოეზიის ნიმუშებს. ქართველი პოეტების ლექსები „ნუველ ეროპში“ ცნობილი პოეტი ქალის როზმარი კეფერის თარგმანებით ქვეყნდება. მთარგმნელსავე ეკუთვნის ყველა ესსე თუ შესავალი წერილი, რომელიც ამ ლექსებს უძღვის წინ და რომელშიც მთარგმნელი საქართველოს მშვენიერებით და მისი პოეზიის განუმეორებლობით აღტაცებას გამოთქვამს.

როზმარი კეფერი ევროპაში კარგად ცნობილი პოეტი გახლავთ. იგი არაერთხელ იყო საბჭოთა კავშირში და საქართველოშიც ჩამოვიდა, რათა პირადად გაცნობოდა ქართველ პოეტებს.

„ნუველ ეროპის“ ესოდენ დიდი დაინტერესება ქართული პოეზიით განაპირობა ამ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლის — ცნობილი იტალიელი პოეტის — მიმო მორინას არაჩვეულებრივმა ყურადღებამ საქართველოსადმი. მიმო მორინამ არა მარტო თავისი ჟურნალის ფურცლებზე წარმოუდგინა ქართული პოეზია ევროპელ მკითხველს (ჟურნალი გამოდის ფრანგულად, იტალიურად, გერმანულად, ინგლისურად), არამედ ქართველი მწერლების ჯგუფი მიიწვია ლუქსემბურგში (სადაც გამოდის „ნუველ ეროპი“) და იქ ქართული ლიტერატურის საღამოები მოაწყო.

შარშან თვითონ ეწვია საქართველოს მიმო მორინა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მზად არის უფრო განამტკიცოს ჩვენთან შემოქმედებითი ურთიერთობა.

ქართული მწერლობა დავალებულია მიმო მორინასაგან, რომელიც ავტორიტეტულად ეწევა ჩვენი პოეზიის პროპაგანდას დასავლეთში.

ამ ვალის მოხდის პირველი ნაბიჯია ჩვენი ცნობილი მთარგმნელისა და დასავლეთის ლი-

ტერატურის შესანიშნავი მცოდნის გასტონ ბუაჩიძის ცდა გაიცნოს მკითხველს მიმო მორინას პოეზია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა სათანადოდ დააფასებს გ. ბუაჩიძის ამ კეთილშობილურ თაოსნობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

## არგონავტების დაბრუნება...

შენ გადალახე იდუმალების ზღურბლი,
ადამიანო არგონავტო...

სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატურათა დაუღალავმა მკვლევარმა მიმო მორინამ ჟურნალ „ვენტო ნუოვოს“* რამდენიმე ნომერში გაგვაცნო რუსთველი და ჩინური პოეზია, ჰოლანდია და პუშკინის ძველი მიწა-წყალი, ხოლო ჟურნალში „ნუველ ეროპ“** ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახადა ქართული ლიტერატურაც, დიდი და მშვენიერი ტრადიციების ლიტერატურა, კავკასიონის ფერდობი რომ იშვა და გაიფურჩქნა, კავკასიონისა, სადაც უშიშარი პრომეთე მიაჯაჭვეს, სადაც კახეთისა და ქართლის ყმაწვილი ქალები და კოლხეთის ასულები დღესაც ბერძნული მედეას სახელს ატარებენ, ლეგენდარული მედეას სახელს, რომელმაც ღალატი აპატიებლად და ძლიერი ნოჭკავადოვა და ესოდენ ტრაგიკულად შეიყვარა არგონავტი იაზონი.

იმ საქმიანობის გარდა, რასაც მიმო მორინა ეწევა, ვითარც მკვლევარი და შემფასებელი, გზას გვიხსნის მიმო მორინას შემოქმედებისა და, კერძოდ, მისი კრებულის „ეს შენ ხარ, მიწაო!“ გასაცნობადაც. ეს კრებული ახლახან რემო პოეტმა და პიერ რიოლემა დიდის რუდუნებით, ოსტატურად და დახვეწილი პოეტური სიღრმით თარგმნეს იტალიურიდან ფრანგულად.

ჩვენს კვლევას უფრო გაგვიადვილებს, თუკი ბერძენი არგონავტის იაზონის თავგადასავალსაც გავიხსენებთ, იგი ხომ ესოდენ შორს, შავი ზღვის გაღმა, კავკასიონის მთებისკენ წავიდა, დასტოვა განხილულებული და სწავლული საბერძნეთი, რათა იმ სამყაროს ფიარაკებს ზიარებოდა, რომელიც თანამედროვეებს ბარბაროსულად მიაჩნდათ, უცხო სამყაროს, სადაც ბნელი შეგრძნებებით, სახლობდნენ ურჩხულები, ვნებიანნი და პირქუშნი, მაგრამ მტკიცე, ნამდვილი და მოსიყვარულე ადამიანები.

თავისი კალაპა იაზონმა კოლხეთის მიწაზე, განთიადის ქვეყანაში შეიცნო. დასავლეთში მოგზაურობისას ჰერკულესმა ჰესპერიდების ბაღში შეაღწია, ელიძე ზღვის ტალღებმა აიტაცეს და კალიფსოს კუნძულზე გარიყეს, იქ მან ნახა კარკვე, სამოთხე ჩირინოზები და მშვენიერი ნიმფები, მაგრამ ითაკის კუნძულზე მას ელოდებოდნენ ერთგული პენელოპე და ტელემაქე — საყვარელი ვაჟი: „მიბოძე ვაჟი, ო, უფალო, იმ ქალისაგან, რომელიც მიყვარს!“

მოგზაურობის ბამღლაპ სურათი, ადამიანისა და გონების ოდისეა-თავგადასავალს, შეხვედრას, წინააღმდეგობას, თეზისისა და ანტითეზის ამ ცნებებს — იაზონი — მედეა; საბერძნეთი — კოლხეთი; გმირობა, თავგადასავალი — დასვენება, ყოველდღიური შრომა და მედიტა-

---

*„ახალი ქარი“ (იტალ.)

**„ახალი ევროპა“ (ფრანგ.)

ცია — ყოველივე ამას თვალწინ გადაგვიშლის, განგვაცდევინებს მიმი მორინა თავის ცხოვრებასა და პოეზიაში.

პოეტი ბედნიერია თავის ხმელთაშუაზღვისეული წარმოშობით: „ახლა /თვალხშირს/ შეგიძლია გახედო.../ /ამ ზღვას/ /ხმელთაშუაზღვის ბრწყინვალებით ავსებულს/ გრილი ყური...“

მიმი მორინა ცხოვრობდა ნორვეგიაში. იქ მან გაიცნო სკანდინავიური [illegible]თი ასპექტი, ის ასპექტები, რომელთაც ჩვენში ზოგჯერ წინ წამოსწევენ ხოლმე და რომლებიც მხოლოდ მალავენ და ერთობით ნიღბავენ ამ მხარეთა ღრმა სილამაზეს. მიმი მორინამ დაინახა და აამეტყველა ეს ამაღელვებელი სილამაზე, აურაცხელი, მრავლისმთქმელი ტრიპტიქონის სახით შემოგვთავაზა იგი: „თეთრმა პელიკანმა /თავისი დიდი მოოქროვილი ფრთები გაშალა/ ზაფხულის ღამის /უკიდეგანო ნათელში./ /ცისფერი ანგელოზი/ განთიადის ზღურბლზე დადიოდა. /ჩრდილოეთის ციალის სპექტრის მიღმა/ გრძელი ღამე იყო; /ნაძვის წვეტიან ჩრდილში/ სამყაროს სული მიმალულიყო.“

პოეტ-არგონავტი იცნობს დედამიწის ყველა სატკივარს, სიკვდილს, გაცრუებულსა და გულისგამტეხ სიყვარულს, მოღალატე ქალს და იმ ურჩხულებს, დამამცირებლად რომ შემოგვესევიან, სიზმრებს, რომლებიც კოშმარებს ბადებენ; იგი გვიამბობს მოჩვენებებზე, მოგონებებზე, გარდაცვლილებსა და ახრჩობილებზე, ცდილობს გაუმკლავდეს მათ და უმკლავდება კიდეც: „რამდენი აღარ ახელს თვალს /გაღვიძებისას/ და რამდენი ამოთხრილი ხელი დაისის გამჭვირვალე შუქში /შიშის ზარსა სცემს/ თავხედ მხედარს!“

„ქარიშხალში“ შექსპირი ათქმევინებს არიელს ღრმააზროვან, იდუმალებით სავსე, პოეტურ სიტყვებს. პერსონაჟები გემის დაღუპვას განიცდიან, იტანჯებიან, გამოცდილების წყალობით განიწმინდებიან, მაღლდებიან, თავიანთ ნამდვილ არსებას შეიცნობენ:

ზღვის ფსკერზე წევს მამაშენი,
შეერია ტალღებს ზღვისას,
მარგალიტად ექცა თვალი,
ძვლები მარჯნად გადაიქცა,
არც დაჭკნება, არც გაქრება,
ზღვა შეუცვლის მხოლოდ იერს...

(თარგმ. ვახტანგ ჭელიძისა)

ეს სიტყვები არგონავტებსაც უდგება და ნორვეგიიდან დაბრუნებულ, სიყვარულისა და სიბრძნის აღმომჩენ სილაღის პოეტ-მეზღვაურს მიმი მორინასაც: „ნეტა დამრგო ჩემი საფლავი /შენი სახლის გვერდით რომ იყოს/ სადაც ქარის ღმერთი /აიტაცებს კლდეებზე შემსკდარ ზღვის ქაფს/ პირამიდა, ციხე-დარბაზი /მხოლოდ შენთვის იქნება/ და შენ არ გეკარებიან უძილო ღამეები და ზამთარი; /მაგნოლიის ფოთლებში /მუქი ვარდისფერ/ /აკაცია/ [illegible] ააბოლებს /აყვავებულ ტყის თასებში/ და შენ /დამელოდები/ სიდედრის პატარა [illegible] სახლში“.

ისევე როგორც ფრიდრიხ ჰოლდერლინთან, მრავალი თვისებით მდიდარი მეზღვაური, — რომელსაც არ ეთქმის უარი თავგადასავალზე, გამოცდილებაზე, საშიშროებაზე — მოგებული რჩება, კვლავ უბრუნდება მიწას, რომელიც მისი სასიცოცხლო — ეული, ძვირფასი, მშვენიერი — პოეზიის ტაძარი, რომელიც სიმტკიცესა და ხანგრძლივობას ანიჭებს ადამიანის ცხოვრებას.

არგონავტი წინ მიიწევს პოეტური სუბსტანციით გამდიდრებული, გულგადაშლილი, ცოდნით, სიყვარულითა და მიწის ნაყოფით.

ლუქსემბურგი,
1973 წლის იანვარი

როზმარი კიფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

> ის უდიდესი სიამოვნება, რომელიც ჩვენს თავზე ლაპარაკი გვანიჭებს, უნდა გვაშინებდეს, ვაითუ იმავე სიამოვნებას არ ვანიჭებდეთ ჩვენს მსმენელებს.
>
> ლაროშფუკო

## ეს შენ ხარ, მიწაო!

ვუძღვნი მამას

ეს შენი ღრმა ფესვი,
კოხტა ფეხიდან
მკვრივ ძუძუმდე,
        იყო წვენი სიხარულისა
და იმედის ნექტარი
ამ მწარე სამყაროში.

        მარცვალმა იხარა
მწირ ყანაში;
        მისმა ნაყოფიერმა სხეულმა
შვა მომავლის ცვარი.

შეუცნობელის ამ მორევში
აგიზგიზდა ცეცხლი
წელიწადის მკვდარი დროისა...

მე დავინახე
როგორ იზრდებოდა კოშმარი
და გულისამრევმა სიზმრებმა
როგორ შვა განაყოფიერებული ნგრევა.

ეს იყო უბრალო ყვირილი,
მთვარეთა ყრუ ამონთხევა,
ტკივილი მიწისა და ზეცის;

სამყაროს სული იფლითებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა აივანზეც შეგიძლია გახვიდე...

აი ზღვა!

ხმელთაშუა ზღვის ბრწყინვალებით ავსებული
ვრცელი ყურე.

მტკივნეული მშობიარობის ნაყოფი მეტისი —
იგი სიხარულის შესაცნობად დაიბადა;
იგუდებოდა იმედის პურის ლეჭვით
ჯადოქრის თვალში.

შუქჩამქრალი თვალები გაახამხამა.

მისი გუგების სიღრმეში
წყვდიადი გაიხლიჩა,
ელანდებოდა კოშმარები,
წინაპართა მითები,
წმინდა გონების უფსკრულში ყვინთავდა

— (ყმაწვილქალის ქერა თმა
შუბლზე კულულებად დახვეულიყო) —

სულის დაბინდულ ჟამზე
ზღვებისა და მდინარეების
წარლვნა შეთრდებოდა.

ახლად დახატული ზღვის პეიზაჟივით
მისი თვალები
სიხარულის ჩანჩქერებად ილვრებოდა
წვიმით დასველებულ გულზე.

გათელილ გზაზე დაღვრემილობის ტუსაღე —
მორცხვი ტოროლები —
გაურკვეველ მომავალს კენკავდნენ.

მისი დიდი თვალები იყო ყალბი იმედი,
გონების თვითმკვლელობა;

გრძელია სიყვარულის ღამეები
ჩალის ცეცხლით განათებული.

— ორ ღიმილს შუა —
ფოტოგრაფები ელვით სერავდნენ
მის ზღვისფერ დიდ თვალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედისწერის ეს აკრობატი ქალი
ყველგან დაატარებდა თავის მწარე ილუზიებს.

„დეგოსები" ამძაფრებდნენ
მის ძველისძველ სურვილს.

— ბიგდო-ხეივანი იყო საიმედო თავშესაფარი —
აქ, ტრიგვე ტრანასი
(პირანდელოს მეგობარი)
მერლინის „ვინიეტებს" აპაზოლინებდა
იტალიურ რომანში;
ეს იყო სავარაუდო სახესხვაობა
უჩვეულო გაცვლითი მონეტისა.

ალ ეკბერგი,
მარგარეტ-იენსი გულიანად იცინოდნენ
მცდარი ინტერპრეტაციის გამო:

ტრანას —
პირანდელო —
პაზოლინი —
მერლინი —
ბორდელი —

(მეშვიდე გვერდზე)
აგვისტოს თვის მეშვიდე დღეს,
მეშვიდე წლის
მეშვიდე გაზაფხულზე
მისმა მეშვიდე ნეკნმა
განგმირა აწ გარდაცვლილი მეშვიდე გული.
ვიმპი იყო შვიდდღიანი მოლოდინის
მეშვიდე ადგილი
და ეს შვიდი ნავსი რიცხვი აღმოჩნდა!

თეთრმა პელიკანმა
თავისი დიდი მოოქროვილი ფრთები გაშალა
ზაფხულის ღამის უკიდეგანო ნათელში.

ცისფერი ანგელოზი
განთიადის ზღურბლზე გადადიოდა.

ჩრდილოეთის ციალის სპექტრის მიღმა
გრძელი ღამე იყო;
ნაძვის წვეტიან ჩრდილში
სამყაროს სული მიმალულიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამდენი აღარ ახელს თვალს გაღვიძებისას
და რამდენი ამოთხრილი ხელი
მწუხრის გამჭვირვალე შუქში
შიშის ზარსა სცემს თავხედ მხედარს!
როდესაც გასისხლიანებულ ღამეში
მზე ქვეყნის კიდეზე რჩება,
ირონიული და დამცინავი,
გიყურებს და არ ჩადის.

შენ გადალახე იდუმალების ზღურბლი,
ადამიანო არგონავტო;
შენმა მსუბუქმა ფეხმა შებღალა
ცის კაბადონის რბილი შრეები;

— ყოველივე დაამსხვრია შენმა ნიჭმა —

იმედგაცრუებულო ადამიანო,
სად იპოვე შენს სულს?
ამ ქვეყნად აღარცერთი სული
აღარ წამოვა შენსკენ.

ჩვენი კუთვნილი დღეები აღარ არსებობს...

დროის ცელი კოცნასა და ალერსს შთანთქავს;
        საუკუნის მსხვერპლნი,
ქვეყნის ყველა ადამიანის მსგავსად,
გალაქული სახით ვემხობით პირქვე.
მაგრამ ცრემლი შუქით რომ ავსებს შენს თვალს
არის წყარო სულისა.

შენ სიყვარულით სტირი
სექტემბრის უკანასკნელ მზეში.

1) ყველგან, სადაც ფურცელზე არაფერი ეწერება, წაიკითხეთ, რომ მე თქვენ მიყვარხართ.

ეს შენ ხარ, მიწავ, მომხიბვლელო,
თვალმშვენიერი ქალი,
შენი სხეულის უნაზესი რკალი
ჩემი ნექტარის ფიალა.

ეს სევდაა გულს რომ მიკუმშავს
ტუჩების ტკბილი მოძრაობით,
ნათელი ღიმილით,
რომელიც ალაგზნებს და აჩქარებს
სისხლის ცეცხლს;

შენ ხარ ცვალებადი გაზაფხული,
მარადიული განკიცხვა,
ოცნება, რომელიც ყვირის.
შენი ფიცხელი გული
მხოლოდ ლავაა გაციევებული.

გარდასული ზაფხულის მორჩილი ქარი
თელავს ღრუბლებს.

ტბის შიშით სავსეა ალერსი ნაპირზე.

მწარეა მზე და მიწა,
შეუმჩნეველია სიტკბო სხეულის.

2) დაუფიქრებლად
თქვენი ხილვის, თქვენი ტრფიალის
სიამოვნებას დავნებებულვარ.

შენ გადაყრი მდინარეში
გვიანი დილით
დარდით მოკლულ
ღეროში გადაჭრილი ყვავილის
უკანასკნელ დამტვერილ ფურცლებს;
სისხლდაცლილი თეთრი ყაყაჩო:
გამჭვირვალეა თითებში მოქცეული
რბილი ხავერდის ჯამები.

დახრილი წამწამებიდან
თვალის გუგები გიმზერენ
ფიქრსა და ყვავილს შუა
აცახცახებული მღელვარებიდან
ამოზრდილ ჩრდილში.
სისხლის სიწითლე გადასცემია მიწას,
სიცოცხლეს მოწყვეტილ
თვალის გარსსა და ყვავილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) არიან ადამიანები, რომლებსაც შუბლზე ღმერთის ბეჭედი აზით, რომ უაზროთ იცხოვრონ და მოკვდნენ... მარად მოტყუებულნი და უტყუარნი, ისე რომ თვით იმედიც კი აუტანელ ტანჯვად ექცევათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ კაეშნიან მოლოდინში
მომხიბვლელია სიკვდილი და
გველის ცბიერი ენაც კი იკმარებდა
დაუფარავ სახეზე ჭრილობის მისაყენებლად.

— გრძნობებში ჯიუტი,
    სიყვარულში მგზნებარე,
    როგორც წყალსადენი მილის კატა —

დიდი უბედურების ღამე
კეთილთა თვალების შუქს
    ეუფლება და შთანთქავს.

— გაუგებრობის
დიდი უბედურება —

4) გიყვარდეთ ისინი, ვისთვისაც ნაცნობია სიყვარული. მე მხოლოდ ტანჯვა ვიცი. ისეთი დღეც გათენებია, ჩემი თავისთვის მინდოდა მომეღო ბოლო.

დღის წუხილში ქრება
აპოკალიფსური საღამო,
მთელს არსებობასთან დაკავშირებული ამბავი.

    ცარიელია გული,
სახურავებს მოხვევია ნისლი.

    კიდ[illegible]ინ გაალმერთებს შენს სხეულს?

გაბადრული მთვარე
სიზმარში სიზმარს ზრდის.

    მეხსიერებაში ამოვკვეთო მოგონება,
    ვიცოცხლო ცის ხნულებში;

არის ამქვეყნად სადღაც
ქერა ანგელოზი!

5) ჩემო ანგელოზო, ჩემო სიცოცხლევ, და კიდევ არ ვიცი რა, ჩემი სიყრმის პირველი წლების სიშმაგით მიყვარხარ. შენ გეთაყვანებოდი ამდენხანს, ჩემთვის ჯერ უცნობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა რომ ჩვენთვის ზურგი აქვს შექცეული,
ის დროც დადგება,
ბრძოლის ალმანახში
სადაც სასოწარკვეთას
დაბრკოლება აორკეცებს
ჩიტის გაფრენაზე უფრო შორს გადადგმული ნაბიჯით.

ჩვენი სიცოცხლის მშვენიერი
თავგადასავლის მოგონებით გაცოცხლებულნი
მაინც ერთ დღეს
მიწას დავუბრუნებთ ჩვენს საიდუმლოს.

გაურკვევლობის წლები.
ჩვენს მხრებზე მთები
მისტიური სატკივარისა,
ულმობელი შეუცნობლობა.

მინდვრად ვარსკვლავები.
ტოტები, გაზაფხულის ყლორტები,
    მიხურულია სიზმრების კარები.
საღამოს მოციმციმე ნათურებს შორის
ვარსკვლავთა ნელი ნათელი,
დალმაციის სინაზე აცოცხლებს ცაცხვებს.
ზღვის წყლის ჩხრიალში
დგანან ამფიტრიონები
    იქ, სადაც ავხორცული დაშნა კვეთავს ტალღას
და განწმენდილი ამოდის
    ხმელთაშუა ზღვის სიყვარულიდან.

მძიმე ღრუბლები ნთქავენ ცას,
ეჭიდებიან მწვანე ბროლს,
ვარსკვლავებასხმული ელიფსი
გადაშლის ღამის დაფერფლილ სუდარას.

    მყისვე ნათელი დილა
ხდება გამჭვირვალე
მაკე ფაშატის თვალწინ
    ამაყი მაღალ საყელოიანი
ლომის გადალმა შუქის ნაკადში.

6) შენი მეგობარი ქალი ვიქნები
თუ შენი მონა? გინდივარ თუ
გიყვარვარ?

ელექტრონული ბიბლიოთეკა

წითური ცის გახელება,
შეშლილი ქარი
ახელებს სიძუნწეს;

  დაეცემა ღრუბლები და ღრუბლები
ვაზის ჭიგოებზე დაეფინება:
შავი,
  თეთრი,
    ყვითელი
      ადამიანები,
მზესუმზირას სახეები,
გაცრუებული მუდარა;

შენ ისურვებდი, რომ ნაღვლიან საღამოს
გზის პირი გადმოიხაროს
ზეთისხილის ტოტთან ერთად,
და რომ მთელმა მიწამ
  ყლორტები ამოიყაროს და აყვავდეს.

გულში ჩაისახება ვარსკვლავი
როგორც ნიჟარაში მარგალიტი.
  თითოეული დაკარგული სიყვარულისთვის
შემოდგომა ჩამოყრის ფოთლებს,
სიტყვებსა და ოხვრას...

  ეშვება წვიმა,
რა მსუბუქია წვიმა,
რა ტკბილია მოგონება;

  წარღვნის ტალახი
ღმერთის იმედი.

შენი თითები
  კვლავ შეეხება ჩემს მოუსვენარ სხეულს.

დამპალი ვაშლივით გული იკრუნჩხება.

გაპობილი გულისთვის მოირა სიკვდილია
ჯოჯოხეთივით საშინელი მარტოობა.

დამხრჩვალი კაცივით
წყალშია ჩაძირული ხვედრი.

ცივი ტოტის უმწეო ჩრდილი
გაწოლილია ქვაფენილზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და უგზოუკვლო სიცილი,
ნაბიჯების ოხვრა მიწას ეხება.

ბედუკრა მომკვდარა,
ყვავილი გვთავაზობს თავის პაწია ღიმილს...

ესაა ხარბი მიწა, რომელიც
სიცოცხლეს ბუგავს.

7) მართალი ვარ რომ ვიმაგდები, სიმშვიდე რომ შემენარჩუნებინა, გიჟი ვიქნებოდი. სიყვარული ტანჯვაა, მაგრამ ამავე დროს სიცოცხლეა, მე კი დიდი ხანია, რაც ცოცხალი აღარა ვარ.

მინების მიღმა
ვარსკვლავებივით ციმციმებს შუქი.

ქალაქი არაცნობიერის ვესტალი ქალი
კვლავ დღის სახეს იბრუნებს.

— ათასწლეული ქესტები გაღვიძებისა —

შენი მკვრივი ძუძუ
დილის მკრთალ შუქში.
გაუთცებლად ესაა დაუსრულებელი პაემანი
დღესთან და შენს ირგვლივ
ეს ოთხი კედელი შენი სახლია.

ო წამი! გაურკვევლობა!
ნაღვლიანი გულით
როგორ შეგიძლია კიდევ მოითხოვო
სიყვარულის სიტყვები?

აი შენთვის დღეს
ო, უფალო,
მე შევანელე ჩემი საჭმელი ტკივილით.

8) ყველაფერი, რასაც თქვენ გააკეთებთ, სულაც ვერ შეცვლის იმ აზრს, ჩემი არსება რომ შესძრა: მე თქვენ მიყვარდით და ამ ბედნიერების წყალობით ყველა სხვა ბედნიერება თვალში არ მომდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკი გულწითელას სიმღერა უდარდელია
და თუკი ბორცვზე
გაზაფხულს გაზაფხული ცვლის,
სიცოცხლე ცვალებადია.

მწარე ლოცვა,
სისხლივით მწარე
ვენებში მიჰქრის, გარბის,
მწარე, როგორც დღის მკვებავი იმედი.

თეთრი ნალების პატარა ქილა
სააბაზანო ოთახის თაროზე
როგორც ორი სუს ოდენა
სიყვარულის ღრუბელი:
მხოლოდ ეს დარჩა შენგან.

მაგრამ ქალი
თავისი სიკვდილის შემდეგაც
თან დაატარებს ნამდვილ სიყვარულს.

შენ წაზ_ალ მიტევების
ტკბილი გამოხედვით.
ხილი მარციპანისა
და შაქრის თოჯინები
იისფერ პარკში,
კედლის საათზე დრო
ნელი-ნელ მიაბიჯებს
გაცივებულ საფერფლეზე
თეთრი და დაგრეხილი სიგარა შემომცქერის.

თითქმის უაზრო ვითარების
ზღვარზე არ ვიცი კომედიაა
თუ ფარსი პანტომიმისა
შენი წერილებისკენ კვლავ რომ მაბრუნებს.

ბნელ უჯრაში ოთხი მარგალიტი ცრემლებივით
შენს ცარიელ თვალის გუგებს ავსებენ.

საპნის მარკა „ღალატი"
ლერწმის მოქნილი ალერსით
გველივით წყალში ეშვება.

რომელი ქალი აღაგზნებს ვნებას
თუ ჩვენს ძარღვებში სისხლი აღარ ფეთქავს:
დაცლილი როგორც დაცლილი ჰაერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ცარიელი მზერა,
საღამო და შუქი,
ფიქრების ცისარტყელა,
რომელიც გახრჩობს
როგორც კვარცის ციებ-ცხელება.

მზის ფარდა შთანთქავს
ნემსიყლაპიას, რიდის ულონო სხივს!

სულელო სამყაროვ,
შენ თვალს მადევნებ...

ნება დამრთე ჩემი საფლავი
შენი საფლავის გვერდით რომ იყოს,
სადაც ქარის ყმუილი
აიტაცებს კლდეებზე შემსკდარ ზღვის ქაფს.

პირამიდა, ციხე-დარბაზი
მხოლოდ შენთვის აღმართულა
უზამთროდ და უძილო ღამეების გარეშე.

მაგნოლიის ფოთლებში შუქი გაქონავს,
აკაცია სურნელს ააზოლებს
აყვავებულ მურტის თასებში,
და შენ კი დამელოდები
სადგურის პატარა აბსურდულ სკამზე.

ამაო სიხარული დასრულდება,
დასრულდება ტანჯვა.
ლაჟვარდი ფერფლად იქცევა,
გული — ბრჭყალად,
ღრმა ჭრილობებს რომ გაავლებს
და ტანჯვის ხნულებს.

მეტისმეტი სიყვარულისგან
ეს ჩემი გული რომ აფეთქდება
ეკლის ბუჩქზე მკვდარი ვიქნები
და ცისკენ მექნება ღია თვალები აპყრობილი;
მიწამ რომ მშთანთქას არ მინდა.

ტუჩის კუთხეები თითქოს დაიმანჭება:
დედას უთხარით, რომ
მაყვლის ეკლებზე განვისვენებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცაში მოკვდება მერცხალი თავისუფალი,
ხეს დაცვივა ფოთოლი,
სიცივე განგრენასავით წელიწადის დროებს დაჭამს.

მიბოძე ვაჟი,
ო უფალო,
ქალისაგან, რომელიც მიყვარს!

ესაა სიცოცხლის მთელი სიხარული
წყლით სავსე ჭიქაში,
სადაც მისი თვალები იხედება.

დაბინდებისას, კაეშანი რომ გეუფლება,
მაოცებ შენი ავხორცი სინაზით.

9) ახლა ყოველი ღამე მახსენებს ჩვენი სიყვარულის რომელიმე წარსულ ამბავს. გაფიქრებისას სიყვარულით და ავხორცობით მაკრთოლებს.

ქვეყნის ყველა კუთხეში არის ზღაპარი;
ბერიკაცი გვიამბობს ამბავს მარადიულს,
ვარდისფერ საღამოს
ნაზი პეპელა ჰაერში ფარფატებს.

შენიშვნები

1) დიდრო. 2) მიუსე. 3) ლისტი. 4) მიუსე. 5) შატობრიანი. 6) სანდი. 7) კონსტანი. 8) სტენდალი. 9) მირაბო.

□

# ო' ჰენრი

## გამასინჯეთ თქვენი მაჯისცემა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ანა რატიანმა

•

ამრიგად ექიმთან წავედი.

— დიდი ხანია რაც ალკოჰოლი მიიღეთ? — შემეკითხა იგი. თავი მივაბრუნე და ვუპასუხე:

— კაიხანია.

ექიმი ახალგაზრდა იყო, ასე, ოცისა ან სულაც ორმოცი წლისა იქნებოდა. ნაზი იისფერი წინდები ეცვა, თუმცა ნაპოლეონს კი ჰგავდა და ძალიან მომეწონა.

— ასე და ამრიგად, — თქვა მან, — ახლა გაჩვენებთ, რა გავლენას ახდენს ალკოჰოლი თქვენს სისხლის მიმოქცევაზე.

მგონი, ასე თქვა, „სისხლის მიმოქცევაზეო“ ანდა შესაძლოა, „ფინანსებზეო“.

მან მარცხენა სახელო ამიკეცა, მაგიდაზე ერთი ბოთლი ვისკი დადგა და დამალევინა; ახლა კი მთლად ნაპოლეონს დაემსგავსა და უფრო მომეწონა.

მკლავზე წნევის აპარატის სამკლავური შემომახვია, პულსი მიპოვა და რეზინის ბუშტს დააწვა; ეს ბუშტი მიმაგრებული იყო სადგამიან თერმომეტრზე. სინდიყი ჯერ ზემოთ ავარდა და მერე დაბლა დაეშვა ნელ-ნელა. ექიმმა მითხრა, წნევა გაქვსო, ორას ოცდაჩვიდმეტიო, თუ ას სამოცდახუთიო, კარგად არ მახსოვს.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა მან, — როგორ აგიწიათ წნევა ალკოჰოლმა.

— საოცარია, — ვთქვი მე, — ერთხელ კიდევ უნდა შეამოწმოთ. მოდი, თითო ჭიქა კიდევ გადავკრათ ჩემს ანგარიშზე და მერე, თუ გინდათ, მეორე მკლავიც გამისინჯეთ. — მაგრამ ვინ მოგისმინა!

ხელში მტაცა ხელი. აჰა, გავიფიქრე, ნამდვილად დავიღუპე, ახლა დამემშვიდობება და ყველაფერი გათავდება-მეთქი. მან კი ნემსი ჩამარჭო თითში, გამომადენინა წვეთი სისხლი და ნახევარდოლარიან პოკერის სათვალავებს შეადარა. ეს სათვალავები რატომღაც ბანქოს ქაღალდზე ჰქონდა დაკრული.

— ვამოწმებ ჰემოგლობინზე, — ამიხსნა მან, — ცუდი ფერის სისხლი გაქვთ, გეთაყვა.

— ვიცი, — ვეუბნები, — უნდა იყოს ცისფერი, მაგრამ განა ეს ქვეყანა სულ შერეულ სისხლიანებით არ არის სავსე. ეტყობა, ჩემს წინაპრებს ოდესღაც ნანტუკეტელებთან ულღაბუცნიათ.

— ესე იგი, მინდა გითხრათ, — თქვა ექიმმა, — რომ თქვენს სისხლს სიწითლე აკლია.

— ოო, — ვთქვი მე, — მაშასადამე საქმე ეხება არა აღრეულ ქორწინებას, არამედ უვარგის შენაერთს.

მერე ექიმმა გულდაგულ დამიწყო ბაგუნი ნეკნებზე. ახლა ვეღარ გამეგო, ვის უფრო ჰგავდა, ნაპოლეონს თუ ლორდ ნელსონს. სახემოღუშულმა ჩამოთვალა სხვადასხვა ხორციელი უძლურება, რომლებიც „it“-ით მთავრდებოდა. მაშინვე გადავუხადე თხუთმეტი დოლარი.

— რომელიმე თუ კლავს ადამიანს? — ვკითხე მე. — ბოლოს და ბოლოს ხომ მაქვს უფლება საკუთარი ბედით დავინტერესდე.

— ყველა მომაკვდინებელია, — რიხიანად მითხრა მან, — მაგრამ თუ თავს მოუვლით და იმკურნალებთ, გამოჯანმრთელდებით. შეიძლება ოთხმოცდახუთ-ოთხმოცდაათ წლამდეც იცოცხლოთ.

ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, ასეთი რჩევისათვის რამდენი ერგება-მეთქი ექიმს.

— ვგონებ, ოთხმოცდახუთიც საკმარისი იქნება, — შევნიშნე და კიდევ ათი დოლარი დავუმატე.

— უწინარეს ყოვლისა, — ხალისიანად თქვა მან, — კარგად უნდა დაისვენოთ სანატორიუმში და ნერვები დაიმშვიდოთ. თვითონ წამოგყვებით, საავადმყოფოს შეგირჩევთ.

ჰოდა, შემარჩია ქეტსკილის გატიტვლებულ მთაზე მდგარი საგიჟე. ირგვლივ ლოდები და ქვები ეყარა, აქა-იქ თოვლი იყო შემორჩენილი და ნაძვებიც კანტიკუნტად მოჩანდა. ახალგაზრდა მთავარი ექიმი ძლიერ სასიამოვნო კაცი იყო. სპირტიანი სასმელი დამალევინა, მაგრამ მკლავზე ამჯერად არაფერი დაუხვევია. სადილის დრო იყო და ჩვენც მიგვიწვიეს სასადილოდ. ოცამდე ავადმყოფი იჯდა მაგიდებთან. ახალგაზრდა მთავარი ექიმი მოვიდა ჩვენს მაგიდასთან და გვითხრა:

— აქ ასე გვაქვს დაწესებული, ჩვენი სტუმრები პაციენტები კი არა, უბრალოდ გადაღლილი ქალბატონები და ბატონები არიან, დასასვენებლად მოსულნი. შესაძლოა, ვინმე რითიმე იყოს ავად, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჩვენთან მიღებული არ არის.

ჩემმა ექიმმა ხმამაღლა უბრძანა მომსახურე ქალს მოეტანა დაუშლელი კირისაგან დამზადებული გლიცეროფოსფატის ერთი ულუფა, ძაღლის ქადა, სოდიანი ბრომგარეული ხავიწი და ცელიბუხისაგან დამზადებული პირსაკუმებელი ჩაი, რათა ჩემი შიმშილი ჩაეცხრო. ირგვლივ ყველანი ახმაურდნენ, თითქოს უცბად ამოვარდნილმა ქარიშხალმა ნაძვები აშრიალაო. ხმამაღლა აჩურჩულდნენ: „ნევრასთენია!“ მხოლოდ ერთმა გრძელცხვირა კაცმა ჩაილაპარაკა გარკვევით: „ქრონიკული ალკოჰოლიზმი“. ნეტავ კიდევ შემახვედრა მასთან!

მთავარი ექიმი შებრუნდა და წავიდა.

სადილიდან ერთი-ორი საათის შემდეგ კვლავ მოვიდა და სახელოსნოში წაგვიყვანა, რომელიც მთავარი კორპუსიდან ასე ორმოცდაათი იარდით იყო და-



ეროვნული ბიბლიოთეკა

შორებული. იქ უკვე ყველას მოეყარა თავი. ისინი იქ მიიყვანა მთავარი ექიმის მოადგილემ და მისმა ხელქვეითმა, ფეხმარდმა ლურჯსვიტერიანმა ყმაწვილმა. ის ისე მაღალი იყო, სახე არც კი მოუჩანდა. შესაძლოა, სახე არც ჰქონდა; სამაგიეროდ ჯავშანჭედვის კომპანია მის ხელებს სიამოვნებით შეისყიდდა.

— აქ, ჩვენთან, — თქვა მთავარმა ექიმმა, — დამსვენებლებს ფიზიკური შრომის გზით ვთიშავთ ყოველგვარი ფსიქოსაზრუნავისაგან.

იქ იყო სახარატო დაზგები, სადურგლო იარაღები, თიხის საზელი ხელსაწყოები, ჯარა, დოლები, პასტელით სახატავად საჭირო მოლბერტები, სამჭედლოს საბერველები — საერთოდ ყველაფერი ის, რაც შეიძლება დაჭირდეს ფულიან შეშლილს პირველი კლასის საავადმყოფოში.

— აი, კუთხეში მანდილოსანი ტალახის კვერებს აცხობს, — წამჩურჩულა მთავარმა ექიმმა, — იცით ვინ არის ეს მანდილოსანი?! ლულუ ლუნინგტონი გახლავთ, სწორედ ის, რომანის „რად უნდა სიყვარულს სიყვარული“ ავტორი. შექმნა თავისი ნაწარმოები და ახლა ისვენებს გონებრივი შრომისაგან.

ეს წიგნი მე მინახავს.

— ამის გარდა კიდევ ერთი წიგნი რომ დაეწერა, განა დასვენება არ იქნებოდა? — ვკითხე მე.

როგორც ხედავთ, ისინი ტყუილად ფიქრობდნენ ჩემზე, ამ კაცმა სულ დაკარგა ჭკუაო.

— აი, ის ჯენტლმენი, წყალს რომ ასხამს ძაბრში, — განაგრძობდა მთავარი ექიმი, — უოლსტრიტელი საქმოსანია და ისვენებს საბანკო საქმეებისაგან.

პალტო შევიკარი.

ექიმმა მიჩვენა არქიტექტორები, რომლებიც „ნოეს კიდობანობას“ თამაშობდნენ, მიჩვენა დარვინის „ევოლუციის თეორიის“ კითხვაში გართული მღვდლები. იქით იურისტები შეშას ხერხავდნენ, მიჩანჩებული მაღალი წრის ქალები იბსენზე ებაასებოდნენ ლურჯსვიტერიან ახმახს. ვიღაც ნერვული მილიონერს იატაკზე ეძინა, ხოლო ცნობილი მხატვარი წითელ ურიკას დააგორებდა.

— საკმაოდ ლონიერი ჩანხართ, — მითხრა მთავარმა ექიმმა. — სულიერად რომ დაისვენოთ, გირჩევთ ქვები ისროლოთ გორაკიდან, მერე კი ისევ მაღლა აზიდოთ.

ასი იარდიც არ მქონდა გარბენილი, რომ ჩემი ექიმი დამეწია.

— რა მოხდა? — მკითხა მან.

— რა უნდა მოხდეს, — ვუთხარი მე, — რადგან აეროპლანზე ხელი არ მიმიწვდება, ამიტომ მხნედ და მხიარულად მივირბენ ამ ბილიკით აგერ, აი, იმ სადგურამდე და დავბრუნდები ქალაქში ქვანახშირით დატვირთული პირველივე მატარებლით.

— რას ვიზამთ, — თქვა ექიმმა, — იქნებ მართალიც ხართ. ეტყობა, ეს საავადმყოფო თქვენ არ გამოგადგებათ. მიუხედავად ამისა, მაინც გჭირდებათ დასვენება, სრული სიმშვიდე და განუწყვეტელი ვარჯიში.

საღამოს ქალაქის სასტუმრომდე მივაღწიე და მორიგეს ვუთხარი!

— მჭირდება სრული სიწყნარე და განუწყვეტელი ვარჯიში. იქნებ მომიძებნოთ ისეთი ოთახი, სადაც მაღალი დასაკეცი საწოლი იდგება? იქნებ რამდენიმე ბიჭიც მომსახუროთ, რათა გაშალონ და დაკეცონ საწოლი, მე კი დავისვენებ.

მორიგემ ფრჩხილიდან ლაქა მოიშორა და ვესტიბიულში მჯდარ თეთრქუ-

დიან აყლაყუდას ჩაუკრა თვალი. აყლაყუდა მომიახლოვდა და თავაზიანად შემეკითხა, უკანა გასასვლელთან სკვერი თუ შეამჩნიეო. მე სკვერი არ შემიმჩნევია. აყლაყუდამ დამანახა, მერე კი თავით ფეხამდე ამხედ-დამხედა.

— გეტყობა, ზედმეტი მოგსვლია, — მითხრა ერთგვარი თანაგრძნობით, — თუმცა არა, ნასვამს არ გავხარ. უმჯობესია ექიმს მიმართო, ძველო.

ერთი კვირის შემდეგ ჩემმა ექიმმა კვლავ გამისინჯა წნევა, ოღონდ სპირტიანი სასმელი აღარ დაულევინებია. ამჯერად რატომღაც არც ნაპოლეონად მომჩვენებია. რაღაც მოწითალო-ყავისფერი წინდები ეცვა, რაც თვალში არ მომივიდა.

— უწინარეს ყოვლისა, — დაასკვნა მან, — გესაჭიროებათ ზღვის ჰაერი და ხშირი შეხვედრები.

— სირინოზებთან შეხვედრები, რასაკვირველია... — დავიწყე მე, მაგრამ ექიმი პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— თვითონ წაგიყვანთ სასტუმრო „ბონეირში“ ლონგ-აილენდის სანაპიროზე და თვალყურს ვადევნებ თქვენს გამოჯანმრთელებას. მშვიდი, მყუდრო აგარაკია. იქ უმალვე გამოკეთდებით.

ოტელი „ბონეირი“ აღმოჩნდა ცხრაას ოთახიანი დიდებული სასტუმრო პატარა კუნძულზე. სადილობისას ვინც ტანსაცმელს არ იცვლიდა, მათ ცალ-ცალკე სასადილო ოთახებში შერეკავდნენ და ძალად აჭმევდნენ კუს კერძს და ასმევდნენ შამპანურს. ყურეში იახტებით დასრიალებდნენ მდიდრები. ჩვენი მისვლის დღეს იქ ღუზა ჩაუშვა „კორსარმა“. მე დავინახე, როგორ იდგა გემბანზე მისტერ მორგანი, ჭამდა ყველიან ბუტერბროდს და მოწყენილი გაჰყურებდა სასტუმროს. აქ მაინცდამაინც დიდი სიძვირე არ იყო, მაგრამ საბოლოო ხარჯის გადახდის დროს რამდენიც არ უნდა გქონოდათ ფული, მაინც არ გეყოფოდათ. ვისაც სურდა აქაურობას გასცლოდა, საკუთარ ბარგი-ბარხანას ტოვებდა, პატარა ნავს იპარავდა და ღამით უკვე ხმელეთზე იყო.

მე იქ ერთი დღე დავყავი, მორიგის მაგიდიდან ერთი დასტა მონოგრამიანი ბლანკები ავიღე და მეგობრებს დეპეშით შევატყობინე, ვისაც რამდენი შეგიძლიათ, გამომიგზავნეთ-მეთქი უკან გამოსამგზავრებელი ფული. მე და ექიმმა ერთხელ ვითამაშეთ კროკეტი სავოლფე მინდორზე და იქვე გამოვიძინეთ კიდევაც.

მერე ქალაქში დავბრუნდით. უცაბედად თითქოს გონს მოეგო ექიმი:

— ისე, თავს როგორ გრძნობთ?

— ძალიან შემომსუბუქდა ჯიბეები, — მივუგე მე.

სულ სხვაა კონსულტანტი ექიმი. მან ხომ ზუსტად არ იცის, გადაუხდიან გასამრჯელოს თუ არა, ჰოდა, ასეთი გაურკვევლობის გამო ან ძლიერ ცდილობს ან სულ არ ცდილობს. ჩემმა ექიმმა კონსულტანტთან წამიყვანა, ალალბედად აირჩია და უეცრად ძალზე მონდომებულ ადამიანს კი გადაეყარა. კონსულტანტი ძალიან მომეწონა. მან შემამოწმებელი ვარჯიში ჩამიტარა.

— კეფა გტკივა? — მკითხა მან. — არა-მეთქი, ვუპასუხე.

— ახლა დახუჭეთ თვალები, — მითხრა მან, — ერთმანეთს მიადგით ტერფები და გადახტით უკან, რაც შეიძლება შორს.

ყოველთვის მიყვარდა თვალდახუჭული უკან გადახტომა და არ გავძალიანებულვარ, მაგრამ თავი მივარტყი აბაზანის გაღებული კარის ძგიდეს. კარი

სამი ფუტით იყო დაშორებული. ექიმს გუნება ძლიერ გაუფუჭდა. მისი წინდაუხედაობით დარჩენილიყო კარი ღია. მან მიხურა კარი.

— ახლა შეეხეთ თქვენს ცხვირს მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით,— მითხრა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე სად არის ის? — ვთქვი მე.

— სახეზე გაქვთ, — მითხრა მან.

— მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე მოგახსენებთ,— განვუმარტე მე.

— ომ, ბოდიშს ვიხდი, — თქვა მან და ისევ გამოაღო აბაზანის კარი. მე თითი გამოვაძვრე ღრიჭოდან. მერე საოცარი სისწრაფით შევასრულე თით-ცხვირის შეხება და ვთქვი:

— არ მსურს მოგატყუოთ, ექიმო, მართლაც მტკივა კეფა.

მაგრამ მან ყურადღება არ მიაქცია ჩემს ჩივილს და გულდაგულ მოისმინა ჩემი გულისცემა გრამაფონის „როჰორის“ მეშვეობით, როგორიც ავტომატებს აქვთ ხოლმე: ჩააგდებ ფულს — დაუკრავს. მომეჩვენა, რომ ხალხური სიმღერა ვიყავი.

— ახლა, — თქვა მან, — ცხენივით ინავარდეთ ოთახში ხუთ წუთს.

მე იმ აქოშინებულ საფორნე ცხენს დავემსგავსე, მედისონ-სკვერ გარდენში რომ აღარ აჩერებენ. მერე მან კვლავ მოისმინა ჩემი გულისცემა, ისე რომ ფული ჭრილში არ ჩაიყრია.

— ქოშინი ჩვენს გვარში არავის ჰქონია, ექიმო, — ვუთხარი მე.

კონსულტანტმა თავისი საჩვენებელი თითი ჩემი ცხვირიდან სამი დუიმის მანძილზე დაიჭირა.

— შეხედე ჩემს თითს, — მითხრა მან.

— სკიპიდარი ყოველგვარ ჭუჭყს... — დავიწყე მე, მაგრამ...

— ახლა გახედე ყურეს, ახლა ჩემს თითს, ისევ ყურეს, ჩემს თითს, ყურეს, — და ასე სამ წუთს იმეორებდა.

მან ამიხსნა, მოსაზრებულობას გიმოწმებო, ვითომ ესეც შემოწმებაა რაღა! ერთხელაც არ მიმიჩნევია მისი თითი ყურედ.

სანაძლეოს დავდებ, მას რომ ასე ეთქვა: „შეხედეთ უდარდელად, ან უფრო სწორად, სწრაფად გაიხედეთ იმ ჰორიზონტისაკენ, რომელსაც გარს არტყია, უბრალოდ რომ ვთქვათ, ესაზღვრება ტენშემცველი ყურე“, და „ახლა კი მოაშორეთ თვალი, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, მთელი ყურადღება გადმოიტანეთ ჩემს ზეაღმართულ თითზეო“, გეუბნებით, სანაძლეოს დავდებ, რომ აქ თვით დიდი სტილისტი ჰ. ჯეიმსიც კი არ შეცდებოდა.

მერე მკითხეს, თქვენს გვარში ვინმეს ხომ არ ჰქონია ხერხემალი გამრუდებული ან კოჭები გასიებულიო, და ორივე ექიმი სააბაზანო ოთახში განმარტოვდა. ჩამოსხდნენ აბაზანის კიდეზე და დაიწყეს თათბირი. მე ვჭამდი ვაშლსა და ხან ჩემს თითს ვუყურებდი, ხანაც ყურეს.

ექიმები ერთობ მოღუშული გამოვიდნენ საბაზანოდან. რის მოღუშულნი, ნამდვილ საფლავის ლოდებს ჰგავდნენ. მკაცრი დიეტა დამინიშნეს. რა არ იყო ამ დიეტაში, ყველაფერი გარდა ლოკოკინებისა. ლოკოკინა თავის დღეში პირში არ ჩამიდვია, არც ჩავიდებ, თუ თვითონვე არ დამიწყებენ კბენას.

— ამ დიეტას ოღნავადაც არ გადაუხვიოთ, — მითხრეს ექიმებმა.

— ესე იგი, ერთი მილიმეტრითაც კი, სანამ ფული მეყოფა, — დავუმოწმე მე.

— ეს ერთი, მეორე, — განაგრძეს მათ, — თქვენთვის აუცილებელია სუფთა ჰაერი და გამუდმებული ვარჯიში. აი, რეცეპტი. შეასრულეთ, ძლიერ მოგიხდებათ.

მერე ყველანი ჩვენ-ჩვენ საქმეს ვეწიეთ: ისინი თავიანთ ქუდებს დასწვდნენ, მე კი — რეცეპტს და წაველი აფთიაქში.

— უნცია ეღირება 2. 87, ბოთლში იქნება, — მითხრეს.

— პატარა კანაფს ხომ არ მომცემთ? — ვკითხე მე.

მე რეცეპტი გავხვრიტე, კანაფი გავუყარე, ყელზე ჩამოვიკიდე და უბეში ჩავქვესკნე. ყველას რაღაც ცრურწმენა აქვს. მე, მაგალითად, ავგაროზი მწამს.

ტკივილით არაფერი მტკიოდა, მაგრამ მაინც ცუდად ვიყავი. არც მუშაობა შემეძლო, არც ძილი, არც ჭამა, არც კროკეტის თამაში. მაგრამ ვინმეს რომ შევცოდებოდი, ოთხი დღე არ უნდა გაეპარსულიყავ. იმასაც მეუბნებოდნენ: ბერიკაცო, ნაძვის გირჩივით მაგარი ხარ, ალბათ მეინის ტყეში დაისვენეო.

მერე უეცრად გამახსენდა, სუფთა ჰაერი და განუწყვეტელი ვარჯიში მჭირდებოდა და ჯონთან გავემგზავრე სამხრეთში. ჯონი ასე თუ ისე ნათესავად მერგებოდა. ასე მარწმუნებდა ერთი მოძღვარი, ქრიზანთემების ყვავილნარში ჩამჯდარი და თავისი პატარა დავთრის მეშვეობით ასი ათასი კაცის გამოცქვნული. ჯონს პაინვილიდან ხუთი მილის დაშორებით ჰქონდა პატარა კარ-მიდამო. ეს კარ-მიდამო მდებარეობს იქ, მაღლა, „ლურჯი ქედების" ფერდობზე, ისეთ ღირსშესანიშნავ შტატში, რომელზედაც აქ ლაპარაკი საჭირო არ არის. ჯონი კი ქარსივით გამჭვირვალეა და ოქროზე უფრო სუფთა.

ჯონი პაინვილში დამხვდა. სახლში საბაგირო გზით მივედით. მისი სახლი გორაკზე განმარტოებით იდგა, ირგვლივ ასი მწვერვალით გარშემორტყმული. ვაგონიდან გადმოვედით მისი სახლის წინ, სადაც შემოგვეგება ჯონის ოჯახი ამარილისთან ერთად. ამარილისი როგორღაც შეშფოთებული შემომცქეროდა.

ამ დროს საიდანღაც ბოცვერი გამოგვიხტა და კორდზე ხტუნვა-ხტუნვით გზა გადაგვიჭრა. ჩემოდანი დავაგდე და ბოცვერს გამოვეკიდე. მხოლოდ ოც იარდამდე მივსდიე. მალე ბოცვერი თვალს მიეფარა, მე კი დავჯექი ბალახზე და მწარედ ავტირდი.

— ბოცვერსაც ვეღარ ვეწევი, — ვქვითინებდი მე, — ყოვლად უმაქნისი ადამიანი ვარ, მხოლოდ ისღა დამრჩენია, მოვკვდე.

— უიმე, რა ემართება ამას, ძმაო ჯონ? — მომესმა ამარილისის ხმა.

— ცოტა ნერვები ღალატობს, — მშვიდად თქვა ჯონმა. — არაფერია. ადექი, ბოცვერების რისხვავ, შინ შევიდეთ, თორემ ქადები გაგვიცივდება.

მოსაღამოვდა, მთები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მისის მერფრის მიერ აღწერილ მთებს..

ნასადილევს დაბეჯითებით განვაცხადე, ერთი-ორი წლით დავიძინებ და თუ შეიძლება ნურც უქმე დღეებში გამაღვიძებთ-მეთქი. საყვავილესავით ლილისა და ცივ ოთახში შემიყვანეს. ოთახში ფართო საწოლი იდგა, მალე უკლებლივ მთელი ჯალაბობა დაწვა და ირგვლივ უსაზღვრო სიჩუმე დამყარდა.

სიჩუმე რამდენიმე წელიწადია არ გამიგონია. ხმა არსაიდან ისმოდა. იდაყვს დავეყრდენი, წამოვიწიე და ყური მივუგდე. რა დამაძინებდა! ნეტავ, რაღაც მაინც გავიგონო: ვარსკვლავი როგორ ციმციმებს ან ბალახი როგორ იზრდება — მაშინ იქნებ კიდევაც დამძინებოდა. ისიც მომეჩვენა, თითქოს ქარმა სადღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავის აფრა აატლაშუნა, მაგრამ მერე გავიფიქრე, ალბათ ხალიჩის ლურსმანი მოსძვრა-მეთქი და კვლავ სმენად გადავიქეცი.

უეცრად რომელიღაც დაგვიანებული ჩიტი შემოჯდა ფანჯრის რაფაზე და ჩუმი ხმით რაღაც ჩაიჟღურტულა, რაც ადამიანის ენაზე ასე გადმოითარგმნება: „ჭიკ-ჭიკ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზეზე წამოვხტი.

— ეი, ვინ ხმაურობს მანდ ქვემოთ? — ჩამოიძახა ჯონმა ზემოდან.

— არაფერია, არაფერი, — ვუპასუხე მე, — უცაბედად თავი მივარტყი ჭერს.

დილით აივანზე გავედი და მთებს გავხედე. ორმოცდაშვიდი მწვერვალი მოჩანდა. შემაკრთალა. სასტუმრო ოთახში დავბრუნდი, თაროზე მოვნახე „პენქოსტის საოჯახო მედიცინა“ და დავიწყე კითხვა. მოვიდა ჯონი, გამომართვა წიგნი და წამიყვანა სასეირნოდ. მას სამასი აკრი მამული ჰქონდა. ამ მიწაზე საკმაოდ იყო ჯორები, ბუღლები, მხვნელ-მთესველები და კბილებჩამტვრეული ფარცხები. ასეთი რამ ბავშვობაში მინახავს და გული ამიძგერდა.

მერე ჯონმა სიტყვა ჩამოაგდო ლუცერნაზე და მე უმალვე გონს მოვეგე.

— ჰო, დიახ, — ვთქვი მე, — იმის კორდებალეტში იყო... რა ქვია... დამაცა...

— ქორფა, ნაზი... — თქვა ჯონმა, — ერთი სეზონი იკეკლუცა, მერე კი მიწაშიც ჩაფლეს.

— ვიცი, — ვთქვი მე, — ის მიწაშია, ზემოთ კი ბალახი ბიბინებს.

— აი, აი, — თქვა ჯონმა, — როგორც ვხედავ, ერკვევი მეურნეობაში.

— ეგღა მაკლია ვერ ვერკვეოდე მათ მეურნეობაში, — ვთქვი მე, — ერთ მშვენიერ დღეს კარგად ჩამეურნებენ.

შინ რომ ვბრუნდებოდით, გზა გადაგვიჭრა მშვენიერმა და იდუმალმა არსებამ. მონუსხულივით შევდექი და მივაშტერდი. ჯონი მოთმინებით ეწეოდა სიგარას. ის ახალი ყაიდის ფერმერია. ათიოდე წუთის შემდეგ თქვა:

— შენ რა, მთელი დღე იოცნებებ ამ ვარიაზე? ასე ხომ საუზმესაც გაუშვებ ხელიდან.

— ვარიაზე? — ვთქვი მე.

— ჰო, ორპინგტონის ჯიშის თეთრ ქათამზე, რაკი აღარ იშლი შენსას.

— ორპინგტონის ჯიშის თეთრ ქათამზე? — გავიმეორე მე დიდი გულისყურით. ქათამი აუჩქარებლად მიდიოდა, თავი ღირსეულად და მიმზიდველად ეჭირა. მე კი ბავშვივით მივსდევდი, ჯონი ერთ ხუთ წუთს კიდევ მომდევდა, მერე ჩამავლო ხელი სახელოში და სასაუზმოდ წამიყვანა.

ერთი კვირა რომ გავიდა, შევშფოთდი. დიდებულად მეძინა და ვჭამდი. პირდაპირ სიცოცხლე მიხაროდა. მაგრამ ჩემს არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფს ეს არაფრით არ შემეფერებოდა. ბოლოს გავიპარე გაჩერებაზე, პატარა ვაგონით მივედი პაინვილამდე და გავეშურე ქალაქის საუკეთესო ექიმთან. ამჯერად მტკიცედ ვიცოდი, რა მჭირდებოდა სამკურნალოდ. ქუდი სკამის საზურგეზე ჩამოვკიდე და სხაპასხუპით ვთქვი:

— ექიმო, მჭირს გულის ციროზი, არტერიის გამკვრივება, ნევრასთენია, ნევრიტი, კუჭის მწვავე აშლილობა და გამოჯანმრთელების ნიშნები. მკაცრი დიეტა უნდა დავიცვა. საღამოობით მივიღებ თბილ, დილაობით კი ცივ აბაზა-

ნებს. რაც შეეხება წამლებს, განზრახული მაქვს ჭამის შემდეგ დღეში სამჯერ დავლიო ფოსფორის აბი და ესვა ქინაქინის ქერქისა და ქინაქინის ფესვის ნაყენი, კარდამონში გახსნილი. ყოველ საუზმის კოვზ ნარევს დავუმატებ გაწურ-ნებელ ქენშენის ნაყენის თითო-თითო წვეთს ყოველდღიურად, ვიდრე მაქსიმუმამდე არ მივიყვან. ჩავაწვეთებ საწვეთურით, საწვეთურს კი ყოველ აფთიაქში იყიდი ჩალის ფასად. მშვიდობით.

ბიბლიოთეკა

ავიღე ქუდი და გარეთ გავედი. კარი რომ გავიხურე, მერე გამახსენდა, რომ ყველაფერი არ მითქვამს. ისევ შევაღე კარი. ექიმი ისევ იმ ადგილას იჯდა გახევებული, მაგრამ, როცა მიხვდა ისევ მე ვიყავი, შეხტა.

— აი, კიდევ რა, — ვთქვი მე, — სრულ სიწყნარეს დავიცავ და ვივარჯიშებ.

კონსულტაციის შემდეგ ერთბაშად უკეთ ვიგრძენი თავი. როცა გამახსენდა უიმედო ავადმყოფი ვარ-მეთქი, ისეთი კმაყოფილება ვიგრძენი, რომ კინაღამ ისევ უგუნებოდ შევიქენი — ისე კი, თუ ნევრასთენიით დაავადებულ კაცს არაფერი აწუხებს და სიცოცხლე უხარია, იცოდე ყველაფერი დაკარგულია.

ჯონი დიდი რუდუნებით მივლიდა. მას შემდეგ, რაც კუდში გავყევი ორპინგტონის თეთრ ქათამს, სულ ცდილობდა რამენაირად გავერთე, ღამ-ღამობით კი საქათმეს აუცილებლად კეტავდა. თანდათანობით მთის მაცოცხლებელმა ჰაერმა, კარგმა საჭმელმა და ყოველდღიურმა გასეირნებამ ისე შემიმსუბუქა ტანჯვა, რომ ბოლოს და ბოლოს სასო წამერთვა და სულ მოვეშვი. მე ყური მოვკარი ლაპარაკს ვიღაც სოფლელ მკურნალზე, იქვე, ახლოს რომ ცხოვრობდა. მე წავედი მასთან და ყველაფერი ვუამბე თავიდან ბოლომდე. მკურნალს თეთრი წვერი და ნათელი ლურჯი თვალები ჰქონდა, თვალების ირგვლივ კი სხივებივით გაშლოდა ნაოჭები; ტანთ ეცვა ნაცრისფერი შინ შეკერილი ჯინსის კოსტუმი.

ტყუილუბრალოდ დრო რომ არ დამეკარგა, საკუთარ თავს დავუსვი დიაგნოზი, საჩვენებელი თითი მოვისვი ცხვირზე, ხელი დავირტყი მუხლზე და ფეხი გავიქნიე, ხელი დავიბაგუნე გულის ფიცარზე, ენა გამოვყავი და ვკითხე მკურნალს, ახლა რა ღირს-მეთქი მიწის ნაკვეთი პაინვილის სასაფლაოზე.

მან ჩიბუხი გააბოლა და სამ წუთს გულმოდგინედ მათვალიერებდა.

— ჰო, ძმობილო, — მითხრა მან დაფიქრების შემდეგ, — ვერ დაგიმალავ, შენი საქმე წამხდარია. მართალია, რაღაც იმედი მაქვს გამოძრომისა, მაგრამ, უნდა ითქვას, ფრიად სუსტი იმედია.

— ნეტავ რა იმედი? — ხარბად ვკითხე. — მე ვსინჯე დარიშხანი და ოქრო, ფოსფორი, ვარჯიში, ჰიდროთერაპიული აბაზანები, სიმშვიდე, მღელვარება, კოდეინი და ნიშადურის ცხარე სურნელი. ნუთუ არის კიდევ სხვა რამ წამალი?

— სადღაც აქ მთებში იზრდება მცენარე, ერთდაგვარი ყვავილი, — თქვა ექიმმა, — მხოლოდ ის გიშველის შენ. ამ ყვავილის არსებობა ქვეყნის დასაბამიდან იციან აღმოჩინებმა, მაგრამ მისი პოვნა ერთობ ძნელია. მე და შენ უნდა შევეცადოთ ვიპოვოთ. ახლა მე თითქმის არავის ვმკურნალობ. წლები თავისას შვრება, მოვხუცდი. შენ კი გიმკურნალებ ყოველდღე, შუადღისას ორი-სამი საათი უნდა მოხვიდე, დამეხმარები იმ მცენარის მონახვაში, იქნებ როგორმე ვი-

პოვოთ. ქალაქის ექიმები რასაკვირველია, თავიანთ მეცნიერებაში კარგად ერკვევიან, მაგრამ ის კი არ იციან, რა აქვს ბუნებას თავის ხურჯინში.

ამრიგად, ყოველდღე მე და მოხუცი ექიმი სამკურნალო ბალახის საძებნელად დავხეტიალობდით ლურჯ ქედებსა და დაბლობებში. დავცოცავდით, შემოდგომის ფოთლებით დაფარულ ფერდობებზე და ვეჭიდებოდით ყოველ ტოტს, რომ არ ჩავცვენილიყავით ხრამში. დავბობღავდით ღრანტეებსა და ხევხუვებში, მკერდამდე ვეფლობოდით ლაფნებსა და გვიმრებში. მთის ჩანჩქერებს მივყვებოდით, ინდიელებზე ნაკლებ როდი მივძვრებოდით წიწვიან ტევრებში, გულმოდგინედ ვზვერავდით ბორცვებსა და გორაკებს, მდინარის ნაპირებს და მთის ძირებს სასწაულმოქმედი მცენარის ძებნაში.

მართალი თქვა მოხუცმა ექიმმა, იმ ცენარეს ძნელად თუ იპოვი, რადგან იშვიათად ხარობსო. მაინც ვეძებდით. ყოველდღე ჩავდიოდით ბარში, ავდიოდით ცილაბოვებზე და დავეხეტებოდით ღრანტეებში. ექიმი მთებში იყო გაზრდილი, მისთვის ყოველივე ეს ადვილი იყო, დაღლილობა არ ეტყობოდა, მე კი ზოგჯერ ისე მერთმეოდა არაქათი, რომ შინ მისვლისთანავე საწოლზე დავეგდებოდი და დილამდე მეძინა. ერთი თვე ვეძებეთ ის ყვავილი.

ერთ საღამოს ექვსი მილი რომ ვიხეტიალე, შინ დავბრუნდი. მერე ამარილისთან ერთად წავედი სასეირნოდ გზისპირა ჭალაში. ჩვენ შევყურებდით, როგორ იმოსებოდნენ მთები დაისის სამეფო ძოწეულში.

— ძალიან მიხარია, რომ გამოჯანმრთელდით, — მითხრა ქალმა. — თორემ პირველად, როცა ჩამოხვედით, ცოტა არ იყოს შემეშინდა კიდეც. აი, ეს არის ავადმყოფი, ნამდვილი ავადმყოფი-მეთქი, ვფიქრობდი.

— გამოვჯანმრთელდი! — კინაღამ დავიყვირე. — თქვენ თუ იცით, რომ ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია?

ამარილისმა გაკვირვებულმა შემომხედა.

— როგორ თუ ბეწვზე ჰკიდია, — მითხრა ქალმა, — თქვენ ხომ სასაპალნე ჯორზე უფრო ღონიერი ხართ, გძინავთ, ათი-თორმეტი საათი, ჭამით კი იმდენს ჭამთ, რომ გვეშინია სამათხოვროდ კარდაკარ სიარული არ დაგვჭირდეს. მეტი რაღა გინდათ?

— გეუბნებით, — ვუთხარი მე, — თუ ის სასწაულმოქმედი ყვავილი ვერ მოვნახეთ, ჩემი ხსნა არ არის. ასე მითხრა ექიმმა.

— რომელმა ექიმმა?

— ექიმმა თეიტემმა — აი, იმ მოხუცმა ექიმმა, ბლეკ ოუკის მთაზე რომ ცხოვრობს. იცნობთ?

— რაც ენა ამოვიდგი, მას აქეთია ვიცნობ. აი, თურმე სად დადიხართ ყოველდღე! ის გატარებთ სასეირნოდ და თქვენთან ერთად დაცოცავს მთებზე? ასე რომ, სულ გამოჯანმრთელდით? ღმერთმა უშველოს მოხუც ექიმს.

სწორედ ამ დროს გზაზე ნელა მოდიოდა თავისი დანჯღრეული ორთვალათი მოხუცი ექიმი. ხელი დავუქნიე და გავძახე, ხვალ ჩვეულებისამებრ მოგელი-მეთქი. მან ცხენი შეაჩერა და ამარილისი მიიხმო. ხუთი წუთი ისაუბრეს, მე კი მოშორებით ველოდი. მერე მოხუცმა განაგრძო გზა.

შინ რომ დავბრუნდით, ამარილისმა ენციკლოპედია გადმოიღო და გადაფურცლა.

— ექიმმა თქვა, — მამცნო ქალმა, — როგორც პაციენტი, ჩემთან ნულარ მოვა, როგორც მეგობარი კი, როცა უნდა, მოვიდესო. მე კი მიბრძანა, მოვძებ-

ნო ჩემი სახელი ენციკლოპედიაში და გითხრათ, რას ნიშნავს იგი. თურმე ეს სახელი ველურ ყვავილს ჰქვია და კიდევ თეოკრიტესა და ვერგილიუსს მწყემსი ქალის სახელად აქვთ გამოყენებული. რას ფიქრობთ, რას გულისხმობს ექიმი?

ბიბლიოთეკა

— ვიცი, რასაც გულისხმობს, — ვთქვი მე, — ახლა ყველაფერი გასაგებია.

ეს სიტყვა მიმართულია ძმობილ ნევრასთენიით დაავადებულისადმი, ყველასადმი, ვისაც კი მოაჯადოვებს დაუოკებელი მანდილოსანი ნევრასთენია.

დანიშნულება კი სწორი იყო. ქალაქელი ექიმებიც კი ხანდახან თავიანთ ქვის სადგომებში, თუმცა ხელის ფათურით, მაგრამ მაინც მიაგნებენ ხოლმე საჭირო წამალს.

ვარჯიშის შესახებ მიმართეთ კეთილ ექიმს თეიტემს, ბლეკ ოუკის მთაზე მეთოდისტთა სამლოცველოს მარჯვნივ ნაძვნარში რომ ცხოვრობს.

სრული სიმშვიდე და განუწყვეტელი ვარჯიში!

რა შეიძლება უფრო დამამშვიდებელი და განმკურნებელი იყოს, ვიდრე ის, რომ იჯდე ამარილისთან ერთად ჩრდილში და მეექვსე გრძნობით აღიქვამდე უტყვ თეოკრიტულ იდილიას: ოქროსფერალმიანი ლურჯი მთები მწყობრად შედიან ღამის სავანეში.

# ვოლფგანგ გოეთე

## ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი (ნაწყვეტი რომანიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა ომარ ხუციშვილმა

●

გოეთეს არც ერთ ნაწარმოებს არ ჰქონია ისეთი წარმატება მის თანამედროვეთა შორის, როგორც „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანს“. ამ რომანს გამოქვეყნებისთანავე აღტაცებით შეხვდა გერმანელი ახალგაზრდობა, რომელმაც ეს ნაწარმოები საკუთარი განცდებისა და განწყობილებების დადასტურებად მიიჩნია. ეს აღტაცება მალე მთელ ევროპას მოედო და შორეულ ჩინეთსაც კი მისწვდა. ახალგაზრდები ბაძავდნენ ნაწარმოების გმირთა ჩაცმულობას, თმის ვარცხნილობას და ქცევას. ეს მიბაძვა იქამდე მივიდა, რომ იმხანად გერმანიაზე ვერთერისეულ თვითმკვლელობათა ტალღამაც კი გადაიარა. რომანისადმი გაცხოველებულ ინტერესს, როგორც ჩანს, ამძაფრებდა ის გარემოება, რომ მას მწერლის მიერ განცდილი ამბავი დაედო საფუძვლად. ნაცნობებისა და უცნობების შეკითხვები მოსვენებას არ აძლევდნენ ახალგაზრდა ავტორს, ისე რომ მრავალი წლის შემდეგ ხანდაზმული გოეთე გულისწყრომით აღნიშნავდა: „ჩემს მკითხველებს, როგორც ჩანს, მთელ ამბავში მხოლოდ ის აინტერესებთ, რა არის მართალი და რა მოგონილი“.

„ახალგაზრდა ვერთერის ვნებანში“, ერთი შეხედვით, აღწერილია სასიყვარულო წარუმატებლობის შედეგად ყმაწვილი ვერთერის თვითმკვლელობის ამბავი და ამ თვალსაზრისით ვერთერისა და ლოტეს წყვილი მხარში უდგას ლაურასა და პეტრარკას, რომეოსა და ჯულიეტას, პაოლოსა და ფრანჩესკას. მაგრამ დაკვირვებული მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ ვერთერის კონფლიქტი გარემომცველ სინამდვილესთან გაცილებით ღრმა და რთულია, ვიდრე საყვარელი ქალის უარით გამოწვეული სულიერი შეშფოთება. აქ ძირითადი და გადამწყვეტი ვერთერის თავისუფლებისმოყვარე, შეამბოხე, რომანტიკული ბუნების ბიურგერთა შეზღუდულ, მეშჩანურ ყოფასთან შეუთავსებლობა გახლავთ. ნაწარმოების პირველსავე გვერდებზე გაისმის თავისუფალი და შეუზღუდველი ვნების, ხალასი გრძნობის, სულიერი აღმაფრენისა და ბუნებასთან თანაზიარობის სევდა. „ო, მეგობრებო, — სწერს ვერთერი ვილჰელმს, — რატომ ამოხეთქს ხოლმე გენიოსის სული ასე იშვიათად, ასე იშვიათად რატომ მოაწყდება ხოლმე მისი ძლიერი ტალღები თქვენს გაოცებულ სულს და შეაძრწუნებს მას? ძვირფასო მეგობრებო, აგერ მდინარის ორთავე ნაპირზე ცხოვრობენ გულმშვიდი ადამიანები, რომელთაც დაეღუპებოდათ ბაღჩები, ნათესები და აგარაკები, თავიდანვე თადარიგი რომ არ დაეჭირათ და ჯებირებითა და წყალსარინებით არ დაეცვათ მოსალოდნელი საშიშროებისაგან“. სწორედ ეს მყუდრო, უშფოთველი, ფილისტერული ყოფის დასაცავად აგებული ჯებირები და სარინები იწვევენ ვერთერის შეშფოთებასა და გულისწყრომას. ნიშანდობლივია, რომ მომდევნო წერილებში იგი ბუნების აქ შეუბრალავ

ძალება — ქარიშხალს, ელვას, წვიმას — შენატრის: „რა დიდი სიხარულით შევწირავდი ჩემ კაცობას, რომ შემეძლოს იმ ქარიშხალივით გავარღვიო ღრუბლები და შევძრა მდინარის ტალღები! ჰოი! ნუთუ არ უწერია თავისი თავით შებორკილს ეს სიამოვნება?“ ვერთერის აღშფოთებას იწვევენ [illegible] და კმაყოფილი ბიურგერები, [illegible] და ქედმაღალი არისტოკრატები, პედანტური წესრიგი და რაციონალიზმის ადამიანები, რომლებიც უძველეს კაკლის ხეებს სჭრიან ბაღში იმ საბაბით, რომ [illegible] ფოთოლი ეზოს ანაგვიანებსო, რომ შემოდგომობით პატარა ბიჭები [illegible] კაკალს და მოსვენებას არ აძლევენ.

„საუნჯის“ რედაქცია მკითხველს სთავაზობს ნაწყვეტს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებათა“ ახალი თარგმანიდან. ჩვენ, როგორც ვიცით, მოგვეპოვება ამ რომანის ჩინებული ქართული თარგმანი, შესრულებული კ. გამსახურდიას მიერ. მიუხედავად ამისა, ახალი თარგმანის გამოჩენა ყოველგვარი მისალმების ღირსია, ვინაიდან მსოფლიო ლიტერატურის შედევრები ჩვეულებრივ არაერთგზის ითარგმნებიან ხოლმე. აი მაგალითად, გერმანელებს დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ორმოცამდე თარგმანი მოეპოვებათ, ხოლო რაღაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჰერმან ჰესეს რომანი „დემიანი“ თოთხმეტჯერ ითარგმნა კორეულ ენაზე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების ახალი თარგმანი სულაც არაა ხოლმე განპირობებული ადრინდელი თარგმანების ნაკლოვანებით. მსოფლიო ლიტერატურის ძეგლებს ხელახალი თარგმნისას ხდება მათი ახლებური წაკითხვა და გააზრება, ახალი მხარეების წარმოჩენა, რაც უდავოდ ამდიდრებს იმ ერის ეროვნულ კულტურას, რომლის ენაზეც ითარგმნებიან ისინი. ამიტომაც გერმანელებს სულაც არ უშლის ხელს შექსპირის თხზულებათა შლეგელისეული ბრწყინვალე თარგმანების შემდეგ კვლავ მოკიდონ ხელი მისი ტრაგედიების თარგმანს და სწორედ იქცევიან ქართველი მთარგმნელებიც, როცა მიუხედავად შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანების არსებობისა, ხელახლა ცდილობენ აჟღერონ ინგლისელი გენიის ქმნილებები.

**რეზო ყარალაშვილი**

❀

. . . ეს სიტყვები გულზე მძიმედ შემოაწვა უბედურ ვერთერს. სასოწარკვეთილი დაეცა ლოტეს წინაშე, ქალის ხელები თავისაში მოიქცია და თვალებთან მიიტანა, ლოტე გუმანით მიხვდა, ვერთერს საშინელი განზრახვა ჩაედო გულში. გონება დაებნა, ვაჟის ხელები მკერდზე მიიკრა, მერე დაიხარა და მათი აგიზგიზებული ლოყები ერთმანეთს შეეხო. ირგვლივ ყოველივემ შეწყვიტა არსებობა. ვერთერმა მკლავები მოხვია ლოტეს, გულში ჩაიკრა და მის ათრთოლებულ ბაგეთ გიშმაგებით დაეკონა...

„ვერთერ!“ — ღონემიხდილმა ლოტემ სცადა ვაჟის მკლავებს დასხლტომოდა. „ვერთერ!..“ — გაიბრძოლა ქალმა.

„ვერთერ!“ — უკეთილშობილესი გრძნობით აღსავსე ხმა აღმოხდა ლოტეს. ვერთერს მეტი აღარ შეეძლო, ქალს ხელი უშვა და გონდაკარგული მის წინ დაემხო. აწრეულმა, სიყვარულითა და წყრომით ათრთოლებულმა ლოტემ ვაჟს უთხრა:

„ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაა, ვერთერ! ვეღარასოდეს მნახავთ!“ ვაჟს სიყვარულით აღვსილი თვალები მიაპყრო, მერე ოთახისკენ გაეშურა, გავიდა და კარი ჩაკეტა. ვერთერმა მისკენ ხელები გაიწვდინა, თუმცა შეჩერება ვერ გაუბედა. ვაჟი კარგა ხანს იყო იატაკზე დამხობილი, სანამ რაღაც ხმაურმა არ გამოაფხიზლა. მოახლე გოგონა შემოსულიყო და სუფრის გაშლას

აპირებდა. ვერთერი წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. როცა თავი კვლავ მარტო დაიგულა, კაბინეტის ჩაკეტილ კართან მივიდა და ხმადაბლა დაიძახა:

„ლოტე! ლოტე! მხოლოდ ერთ სიტყვას გეტყვი, მხოლოდ ერთს — მშვიდობით!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი ხმას არ იღებდა. ვაჟი სთხოვდა და ელოდა. მერე იქაურობას სწრაფად გაშორდა:

„მშვიდობით, ლოტე! საუკუნოდ გემშვიდობები!"

ქალაქის ჭიშკართან მივიდა. გუშაგები უკვე იცნობდნენ და უსიტყვოდ გაატარეს. ქარ-წვიმა მძვინვარებდა. თერთმეტი ძლივს იქნებოდა, შინ რომ დაბრუნდა. მსახურმა ბიჭმა შეამჩნია, ბატონი უქუდოდ იყო, მაგრამ თქმა ვერ გაუბედა. გალუმპული სამოსი გახადა. ქუდი შემდეგ კლდეზე იპოვეს, ხეობის თავზე. საკვირველია, რომ აიყვანა იქ იმ უკუნსა და წვიმიან ღამეში.

ლოგინში ჩაწვა და დიდხანს ეძინა. დილით, როცა მსახურს უხმო და ყავა მოატანინა, ვერთერი უკვე რაღაცას წერდა. ლოტესთან მიწერილ წერილს შემდეგი დაუმატა:

„მაშ ასე, უკანასკნელად, უკანასკნელად შევცქერი მზეს. აჰ, დღის სინათლეს ვეღარასოდეს ვიხილავ. გლოვა გმართებს, ბუნებავ! შენი შვილი, შენი მეგობარი, შენი მიჯნური უახლოვდება თავის აღსასრულს. ლოტე, უჩვეულოა ეს გრძნობა, სიზმარი მგონია, როცა საკუთარ თავს ვეუბნები, ეს დილა შენთვის უკანასკნელია-მეთქი. უკანასკნელი! ლოტე, არ მესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა — უკანასკნელი! დღეს თუ გული მიცემს მკერდში, ხვალ უსიცოცხლოდ ვიწვები მიწაში. სიკვდილი! ნეტავ როგორია იგი? ხედავ, ოცნებაა საჭირო, რომ იგი წარმოვიდგინოთ. რამდენჯერ შევსწრებივარ კაცის სიკვდილს, მაგრამ ადამიანი ისე შეზღუდულია, რომ თავისი არსებობის დასაწყისსა და დასასრულს ვერაფერს უგებს. დღეს ჯერ კიდევ ვეკუთვნი საკუთარ თავს, შენ, შენ გეკუთვნი, ოჰ, საყვარელო! ერთი წამი და — მოგშორდები, მივატოვებ... უკუნითი უკუნისამდე?.. არა, ლოტე, არა... როგორ შეიძლება, გაქრე, როგორ შეიძლება შენ გაქრე? ჩვენ ხომ ვარსებობთ!.. გავქრეთ?... რას ნიშნავს გაქრე? ესეც სიტყვაა, ლიტონი ბგერების ხმაური, რომელიც ჩემს გულს ვერაფერს ეუბნება... მოკვდა, ლოტე! ცივსა და ვიწრო სამარეში ჩამარხული, უკუნეთშია ჩამარხული! ყმაწვილკაცობაში ერთი მეგობარი ქალი მყავდა, იგი ყველაფერი იყო ჩემთვის და როცა მოკვდა, მის ცხედარს მე მივყვებოდი უკან. სამარესთანაც მე ვიდექი, როცა კუბო მიწაში ჩაუშვეს, მერე სამარის ამოვსება დაიწყეს. საზარელი კუბო ყრუდ აზრახუნდა და ბოლოს სულ დაიფარა!.. საფლავს დავეცი შეშინებული, თავზარდაცემული და დათრგუნვილი, ასე მეგონა, ვიღაც ფლეთს-მეთქი ჩემს არსებას, მაგრამ მაინც არ მესმოდა, რა იყო ეს, ახლაც არ მესმის რა არის... სიკვდილი... კუბო... არა, არ მესმის მე ეს სიტყვები!

ოჰ, მაპატიე, მაპატიე გუშინდელი დღე! სწორედ ის უნდა ყოფილიყო ჩემი სიცოცხლის ბოლო დღე. ოჰ, ანგელოზო! პირველად, თითისოდენა ეჭვი არ არის, ჩემი არსება პირველად დაიპყრო სანეტარო გრძნობამ: მე მას ვუყ-

ვარვარ! მე მას ვუყვარვარ! ჩემს ტუჩებზე ახლაც გიზგიზებს ის წმინდა ცეცხლი, შენს ბაგეთაგან რომ გადმომედო, ახალი ნეტარებით ათბობს ამ ჩემს გულს. მომიტევე! მომიტევე!

აჰ, ვიცოდი, გიყვარდი, შენმა პირველივე შემოხედვამ, პირველივე ხელის ჩამორთმევამ გამაგებინა ეს, მაგრამ მაინც, როცა მივდიოდი, ალბერტი კი შენ გვერდით რჩებოდა, ისევ წარმეკვეთებოდა სასო და საშინელი ეჭვი დამღრღნიდა გულს.

გახსოვს, ერთხელ ყვავილები რომ გამომიგზავნე, როცა იმ აუტანელ საზოგადოებაში ჩემთვის სიტყვის თქმა ვერ მოახერხე, ვერც ხელი გამიწოდე? თითქმის მთელი ღამე მუხლმოდრეკილი ვიდექი ამ ყვავილების წინ, ისინი იყვნენ შენი სიყვარულის თაიგულები. მაგრამ, აჰ! ყველაფერი გაქრა, ვითარცა მორწმუნის სულში თანდათან მიმქრალი უფლის წყალობის გრძნობა, რომელიც მას გულუხვად მიენიჭა წმინდა ნაწილების სახით [1].

ეს ყოველივე წარმავალია, მაგრამ თვით მარადისობაც ვერ გააცივებს იმ მგზნებარე სიცოცხლის სუნთქვას, რომელიც გუშინ შენს ბაგეზე ვიგრძენი და ახლაც ვგრძნობ! მე მას ვუყვარვარ! აი ეს მკლავები ეხვეოდა მას, აი ეს ბაგენი თრთოდნენ მის ბაგეთა შეხებისას და რაღაცას ედუდუნებოდნენ. იგი ჩემია! შენ ჩემი ხარ! ჰო, ლოტე, სამარადჟამოდ!

მერე რა, რომ ალბერტი ქმარია შენი? ქმარი! მხოლოდ ამქვეყნად... ნუთუ ამქვეყნიურ ცოდვად ჩამეთვლება, რომ შენ მიყვარხარ, რომ მსურდა მისი მკლავებიდან გამომეგლიჯე და ჩემსაში მომექციე? ნუთუ ეს ცოდვაა. დე, იყოს ასე, და რაკი ასეა, თავსაც დავისჯი. მთელი სიტკბოებით ვიგემე ცოდვა. ჩემს გულს შთავბერე სიცოცხლის ძალა და ბალზამი. ამ წუთიდან ჩემი ხარ! ჩემი ხარ, ლოტე! ადრე მივდივარ, მივდივარ ჩემს მამასთან, შენს მამასთან, მას შევჩივლებ გულის ვარამს და ის მანუგეშებს შენს მოსვლამდე. მერე მე შენს შესახვედრად გამოვფრინდები, მოგეხვევი და მუდამ ასე გადაჭდობილნი ვიქნებით ერთად, წინაშე მამაზეციერისა.

სიზმარში არ ვარ, არც მეჩვენება! სიკვდილის წინაშე მდგომს გონება ძილად გადამეწმინდა. ჩვენი არსებობა კვლავ გაგრძელდება! ვნახავთ ერთმანეთს! ვნახავ დედაშენს! მოვძებნი, ვნახავ მას და გულს გადავუშლი, რადგან იგი დედაშენია, შენი განსახიერება...“

დაახლოებით თერთმეტ საათზე ვერთერმა მოსამსახურეს ჰკითხა, ალბერტი დაბრუნდა თუ არა. მოსამსახურემ მოახსენა, დიახ, დავინახე, მისი ცხენი მიჰყავდათო. მაშინ ბატონმა შემდეგი შინაარსის დაულუქავი ბარათი გაატანა ალბერტთან.

„გამგზავრებას ვაპირებ. დამბაჩებს ხომ არ მათხოვებთ? დღეგრძელ სიცოცხლეს გისურვებთ!“

[1] სერობაზე წმინდა ნაწილებთან (წყალი, პური, ღვინო და აკვა) ერთად წყალობაც გაიცემოდა.

საბრალო ლოტეს უკანასკნელ ღამეს ცოტა ეძინა. რისიც ეშინოდა, გარდუვალი იყო, მოულოდნელი, მაგრამ გარდუვალი. სხვა დროს სისხლი მშვიდად და აუმღვრევლად ჩქეფდა მის ძარღვებში, ახლა კი ციებიანივით ათრთოლდა, ათასგვარი ფიქრი და აზრი უთანგავდა გულს. იქნებ ვერთერის ხვევნაალერსის ცეცხლი უწვავდა ისევ გულს? იქნებ ვერთერის სტუმრობას დანაშაულად მიიჩნევდა და უწყრებოდა? იქნებ იმიტომ იყო შეშფოთებული, რომ თავის ახლანდელ მდგომარეობას უდარებდა წარსულ დღეთა ლაღ, გულუბრყვილო უმანკოებას და საკუთარ უდარდელობას? როგორ შეხვედროდა ქმარს? როგორ ეთქვა მისთვის რაც მოხდა? თუმცა კი სურდა ამის გამხელა, მაგრამ ვერც ბედავდა. ორივენი დიდხანს დუმდნენ, ვერთერზე სიტყვას არ ძრავდნენ, ახლა დუმილი პირველად ლოტეს უნდა დაერღვია და ასეთ დროს ქმრისთვის მოულოდნელი ამბავი ეთქვა. ქალი იმასაც შიშობდა, ალბერტს ვერთერის მარტო ჩამოსვლაც არ ესიამოვნებოდა და ეს ამბავი რომ გაეგო, ხომ საშინელება იქნებოდა! ვაითუ ეს ყოველივე წინასწარ განზრახულ დანაშაულად ჩაეთვალოს ცოლს! ნეტავ ალბერტმა ჩაიხედოს მის სულში. არა და არ შეეძლო ლოტეს ეცრუა იმ კაცთან, ვის წინაშეც წყაროსწყალივით წმინდა იყო და ვისთვისაც არასოდეს დაუმალავს საკუთარი გრძნობები და არც შეეძლო დაემალა. ეს ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქრები საგონებელში აგდებდა ლოტეს. კვლავ ვერთერზე ფიქრობდა, იგი მისთვის დაკარგული იყო, მაგრამ განა შეეძლებოდა ასეთ დროს მისი მიტოვება. იგი ხომ ახლა, სამწუხაროდ, მარტო საკუთარი თავის ამარა დატოვა და თუ ლოტეც გაეცლებოდა, სხვა აღარავინ დარჩებოდა ამქვეყნად.

თვითონაც ვერაფრით შეეგნო, რა მძიმედ აწვა გულზე ეს დაბრკოლება, რომელიც მასა და მის ქმარს შორის ჩაჩხერგილიყო, ასეთ გონიერ, ასეთ კეთილ ადამიანებს, ურთიერთშორის არსებული უჩინარი განსხვავების გამო, სიტყვაძვირობა დასჩემდათ, ორივეს საკუთარი თავი ეგონა მართალი, სხვა კი — მტყუანი და მათი ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ ბოლოს გადამწყვეტ წუთებში, რაზეც ყველაფერი იყო დამოკიდებული, კვანძის გახსნა შეუძლებელი გახდა. ბედნიერი გულახდილობის წყალობით მათ შორის რომ ადრინდელი სიახლოვე აღმდგარიყო, სიყვარული და სულგრძელობა რომ კვლავ აღორძინებულიყო და ურთიერთისათვის გული გაეხსნათ, მაშინ ეგებ ჩვენს მეგობარს კიდევ რამე შველებოდა.

ამას ზედ დაერთო ერთი უცნაური გარემოებაც. როგორც ვერთერის წერილებიდან ვიცით, იგი არასოდეს მალავდა, რომ ამქვეყნის მიტოვებაზე ოცნებობდა. ალბერტი მას ხშირად ეკამათებოდა, ცოლსაც ელაპარაკებოდა ხოლმე ამის თაობაზე. თვითმკვლელობა ალბერტს მეტისმეტ ზიზღსა ჰგვრიდა და ერთგვარი გაღიზიანებით, რომელიც მისთვის უჩვეულო იყო, ხშირად ამბობდა ამგვარი განზრახვის განხორციელება მეეჭვებაო; ამის თაობაზე ერთიორჯერ უადგილოდ იხუმრა კიდეც და ცდილობდა თავისი დაეჭვება ლოტესთვისაც მოეხვია. ალბერტის ამგვარი შეხედულება ლოტეს ერთი მხრივ ამშვიდებდა კიდეც, როცა ამ სამწუხარო ამბავს წარმოიდგენდა ხოლმე, მაგრამ მეორე მხრივ, მან ხელი შეუშალა — ქმრისთვის გაეზიარებინა ის შიში, რომელიც ახლა გულში ჩაჰბუდებოდა.

შინდაბრუნებულ ალბერტს ლოტე ცოტა არ იყოს დაბნეული შეეგება. კაცი ცუდ გუნებაზე იყო, საქმე ვერ მოეგვარებინა. მეზობლად მცხოვრები

სამთავროს მოხელე ჯიუტი და სულმდაბალი ადამიანი აღმოჩნდა, — თანაც გზაშიც დაღალა.

ალბერტმა იკითხა, ხომ არაფერი მომხდარაო ჩემს აქ არ ყოფნაშიო. ლოტემ აჩქარებით უპასუხა, ვერთერი იყო გუშინ საღამოსო. მერე იკითხა, წერილები ხომ არ მოსულაო. ერთი წერილი და რამდენიმე პაკეტი შენს ოთახში აწყვიაო, მიუგო ლოტემ. ალბერტი გავიდა და ლოტე მარტო დარჩა. მას ქმარი უყვარდა და პატივს სცემდა და ახლა მისმა სიახლოვემ რაღაცნაირად გარდაქმნა, ალბერტის კეთილშობილების, სიყვარულისა და გულკეთილობის მოგონებამ ქალი დაამშვიდა, გულმა იდუმალად მისკენ გასწია, ხელსაქმე აიღო და უწინდებურად ქმარს ოთახში შეჰყვა. ალბერტი საქმეს შესდგომოდა, პაკეტებს ხსნიდა და კითხულობდა. ეტყობოდა, ზოგი წერილი უსიამო იყო მისთვის, ლოტემ ერთი-ორჯერ ჰკითხა რაღაც, რომლებზეც ქმარმა მოკლედ უპასუხა, მერე საწერ მაგიდას მიუჯდა და წერას შეუდგა. ერთ საათს ასე ისხდნენ ერთმანეთის გვერდით, ლოტეს თანდათან უმძიმდებოდა სული. იგი გრძნობდა, ქმარს ვერ გაუმხელდა ხვაშიადს, თუნდაც ალბერტი კარგ გუნებაზე ყოფილიყო. ქალი მტანჯაველმა სევდამ შეიპყრო, რაც უფრო ცდილობდა სევდის დაფარვასა და ცრემლის შეჩერებას, მით უფრო სწიწკნიდა ეს სევდა გულს.

ვერთერის მსახური ბიჭის გამოჩენამ ხომ მთლად არია ლოტე. ბიჭმა ალბერტს ბარათი გაუწოდა. ალბერტმა მშვიდად გადაიკითხა, ცოლს მიუბრუნდა და უთხრა:

„დამბაჩები მიეცი... ბედნიერ მგზავრობას ვუსურვებ", — უთხრა მერე ბიჭს.

ეს ამბავი ლოტეს მეხივით მოხვდა გულზე, ძლივს წამოდგა, არ იცოდა რა ემართებოდა: ნელა მივიდა კედელთან, დამბაჩები ჩამოხსნა. მტვერი გადაწმინდა და... გაირინდა, ალბათ კიდევ დიდხანს იდგებოდა ასე, ალბერტის თვალებს რომ არ წაეწყდომოდა. ქმრის გამოხედვაში შეკითხვა გამოსჭვიოდა. საბედისწერო იარაღი ბიჭს გადასცა, სიტყვის დაძვრა კი ვერ მოახერხა, ბიჭი სახლიდან გავიდა თუ არა, ლოტემ ხელსაქმე აიღო და აღელვებულმა თავის ოთახს მიაშურა. გული უბედურებას უგრძნობდა. მზად იყო, ქმარს ფეხებთით ჩაჰვარდნოდა, ყველაფერი გულახდილად ეთქვა, რაც გუშინ საღამოს მოხდა, ისიც ეთქვა რომ გული შემოჰკვნესოდა. მაგრამ მიხვდა, ამით ვერაფერს მიაღწევდა, მით უფრო იმედი არ ჰქონდა, ქმარს ვერთერთან მისვლაზე დაეყოლიებინა. სუფრა რომ გაშალეს, მეგობარი ქალი ეწვიათ, რაღაცის საკითხავად მოსულიყო, მალე აპირებდა გაბრუნებას, მაგრამ დარჩა და მაგიდასთან კარგა ხლომადაც ირატრატა, მასპინძლებმა არაფერი შეიმჩნიეს, პირიქით, საუბარშიც აჰყვნენ სტუმარ ქალს, და ჯავრიც გადაჰყოლეს.

მსახურმა ვერთერს დამბაჩები მიუტანა. ვერთერმა ისინი აღტაცებით ჩამოართვა, რაკი გაიგო, რომ თვით ლოტეს გადმოეცა. ბიჭს პური და ღვინო მოატანინა. მერე დაითხოვა — ისადილეო, თვითონ კი მაგიდას მიუჯდა და წერას შეუდგა:

„ამ დამბაჩებს შენი ხელი შეხებია, შენ გადაგიწმენდავს მტვერი, დაუსრულებლად ვკოცნი მათ, შენი ხელების კვალს. და შენ, ციურო სულო, იწონებ კიდეც ჩემს აზრს! და შენ, ლოტე, მაწვდი ამ იარაღს. შენ, ვისი ხელითაც მსუროდა სიკვდილი და, აჰა, ვიღებ კიდეც! დაწვრილებით გამოვკითხე მსახურს

ყველაფერი. თურმე კანკალებდი, როცა ბიჭს დამბაჩებს აწვდიდი, უკანასკნელი „მშვიდობით“ კი არ გითქვამს! ვაჰმე, არ გითქვამს „მშვიდობით!..“ ნუთუ შენი გულის კარი დაიხშო ჩემთვის იმ წუთის გამო, რომელმაც მე სამარადისოდ დამაკავშირა შენთან? ლოტე, საუკუნენი ვერ წაშლიან იმ წუთების კვალს! გული კი მიგრძნობს, ვერ შეიძულებ იმას, ვინც შენთვის შექმნილა!..

ნასადილევს ვერთერმა მსახურს ბარგის ჩალაგება უბრძანა, ზოგი ქაღალდი დახია, შინიდან გავიდა და წვრილმანი ვალები გაისტუმრა. ისევ შინ დაბრუნდა, მერე, თუმც წვიმდა, კვლავ გარეთ გავიდა, ქალაქის ბჭენი გაიარა და გრაფის ბაღისკენ გაემართა, შემოგარენში იხეტიალა, საღამოს დაბრუნდა და წერა განაგრძო:

„ვილჰელმ, უკანასკნელად შევავლე თვალი ველს, ტყესა და ზეცას. შენც გემშვიდობები! მამიკო, საყვარელო დედა! ვილჰელმ, ნუგეში ეცი მას! ღმერთი გფარავდეთ! ჩემს საქმეებს წესრიგში ვტოვებ. მშვიდობით! კიდევ და უფრო მხიარულებს ვნახავთ ერთმანეთს...“

„ალბერტ, უსიამოვნება შეგამთხვიე სიამის ნაცვლად, შენც მომიტევე. დავარღვიე ოჯახის მყუდროება, უნდობლობა შევიტანე თქვენ ორთა შორის. მშვიდობით! ახლა ყველაფერს ბოლოს მოვუღებ. ოჰ, ნეტავ ბედნიერება მოგიტანოთ ჩემმა სიკვდილმა! ალბერტ, ალბერტ, ბედნიერებას აზიარე ეგ ანგელოზი! უფლის კურთხევა ნუ მოგკლებოდეს!“

მთელი საღამო ქაღალდებს ალაგებდა, ზოგი დახია და ბუხარში შეყარა, ზოგი ვილჰელმის სახელზე დაბეჭდა. აქ იყო პატარა შენიშვნები, აზრები, რომელთაგან ზოგიერთი შემდგომ ვნახე. ათ საათზე მსახურს ცეცხლი დაანთებინა, ერთი ბოთლი ღვინო მოატანინა და დასაძინებლად გაუშვა. ბიჭის სენაკიცა და შინაყმების საძინებელი ოთახებიც უკანა ეზოში იყო მოშორებით. მოსამსახურე ბიჭი გაუხდელი მიწვა, რომ დილაადრიან ჩაცმაში დრო არ დაეკარგა — აკი ბატონმა უთხრა, ექვს საათზე ფოსტის ცხენები კართან იქნებიანო.

თერთმეტი საათის შემდეგ

„დუმილი გამეფებულა ირგვლივ, ჩემს სულსაც სიმშვიდე დაუფლებია. მადლობა შენდა, მეუფეო, რამეთუ ამ უკანასკნელ წუთებში მომმადლე ესოდენი სითბო და ძალი.

ფანჯარასთან მივდივარ, ჩემო ძვირფასო, და ვხედავ, მქროლავ ღრუბლებში ჯერ კიდევ ვხედავ მარადიული ცის თითო-ოროლა მნათობს! არა, თქვენ არ ჩამოცვივდებით, რადგან მარადიულობა გიცავთ თქვენცა და მეც. ვხედავ ყველაზე საყვარელ თანავარსკვლავედს — დიდ დათვს. როცა საღამოობით შენგან შინისკენ გამოვწევდი, იგი პირდაპირ შენი ალაყაფის თავზე

იდგა ხოლმე. გრძნობისგან მთვრალს ხშირად შემივლია მისთვის თვალი. ხშირად გამიწვდია მისკენ ხელები, რადგან იგი იყო ჩემი ნეტარების წმინდა მოწმე. და კიდევ... ოჰ, ლოტე, თუმცა რაღა არ მახსენებს შენს [illegible] უნდა ვიყო, ჩემ გარშემო არა ტრიალებ? და მეც ბავშვივით [illegible] ვებდი ყოველ წვრილმანს, რასაც კი შენ ხელს შეახებდი, ჩემო წმინდანო!

საყვარელი ლანდი! გიბრუნებ შენს ჩრდილს, ლოტე, და გთხოვ, თვალისჩინივით მოუარო. ათასჯერ მივსალმებივარ მას, როცა შინიდან გავდიოდი ან უკან ვბრუნდებოდი. ათასი, ათი ათასი კოცნაა ზედ აღბეჭდილი.

მამაშენს წერილი დავუტოვე, ვთხოვ ჩემს გაპატიოსნებაზე იზრუნოს. სასაფლაოს განაპირას, მინდვრის მხარეზე ორი ცაცხვის ხე დგას. იქ მინდა განვისვენო. მამაშენს შეუძლია სურვილი აღმისრულოს თავის მეგობარს. შენც სთხოვე. არ მსურს ღვთისნიერი ქრისტიანები ვაიძულო, სიკვდილის შემდეგ უბედური ადამიანის გვერდით განისვენონ. აჰ, მსურდა გზასთან ან განმარტოებულ ველზე დავემარხეთ, რათა მღვდელმა და ლევიტმა[1] ჩემს სამარეს კურთხევით ჩაუარონ და სამარიტელმა ცრემლი მაფრქვიოს.

დროა, ლოტე! შეუკრთომლად ვიღებ ხელში საშინელ ცივ ფიალას, საიდანაც სიკვდილის ნექტარი უნდა შევსვა! შენ გამომიწოდე იგი და მეც არ ვყოყმანობ. მთლიანად აღსრულდა ცხოვრებაში ჩემი ნატვრა და იმედები! ასე გაციებული და უგრძნობელი ვუკაკუნებ სიკვდილის რკინის კარიბჭეს.

ნეტავ ის ბედნიერება მრგებოდა, შენთვის მომკვდარიყავი! შენთვის შემეწირა თავი! გაბედულად, სიხარულით მოვკვდებოდი, შენთვის სიმშვიდის, ბედნიერების დაბრუნება რომ შემძლებოდა. მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ მცირეთ თუ რგებიათ წილად თავიანთი სისხლი მოყვასისათვის დაეღვარათ და თავიანთი სიკვდილით მეგობრებისთვის ასმაგი სიცოცხლე მიენიჭებინათ.

მიცვალებულს ეს სამოსი მეცვას, ასე დამმარხეთ, მას ხომ შენი ხელი შეხებია. მამაშენსაც ვუწერ ბარათში. ჩემი სული უკვე კუბოს დაფარფატებს. ჯიბეებს ნუ გამიჩხრეკენ. აი, ის ვარდისფერი ბაბთაც, რომელიც მკერდზე გეკეთა, როცა პირველად გნახე შენს შვილებთან ერთად — დამიკოცნე ისინი და უამბე ხვედრი თავიანთი უბედური მეგობრისა. რა საყვარელი ბავშვები არიან! ახლაც თვალწინ მიდგანან. ოჰ, რა ძალიან შეგეჩვიე! პირველი წუთიდანვე აღარ მსურდა მოგშორებოდი!.. ეს ბაბთა თან ჩამატანეთ. იგი შენ მაჩუქე დაბადების დღეს. რა უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი მაშინ!... ოჰ, არ მეგონა, თუ ეს გზა აქ მომიყვანდა!.. მშვიდად იყავი! გთხოვ, მშვიდად იყო!..

დამბაჩები გატენილია... თორმეტი რეკავს! დაე, აღსრულდეს! ლოტე! მშვიდობით ლოტე! მშვიდობით!...“

□

[1] ლევიტი — აქ: მღვდლის მსახური.

# ფრენსის კინგი

## მშრალი ანგარიში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ გემაზაშვილმა

•

ფრენსის კინგი დაიბადა 1923 წელს. წერა ადრე დაიწყო. დიდი ბრიტანეთის სამეფო ლიტერატურული საზოგადოების წევრია. ათზე მეტი რომანისა და მოთხრობების კრებულის ავტორია. მინიჭებული აქვს არაერთი ლიტერატურული პრემია.

მას ოფლისაგან ჩაყვითლებული ტენისის სპორტული ჩუსტები ეცვა. გაწყვეტილი თასმა მსხვილად გადაეკვანძა. თითქმის ყვითელივე ფერის თმა ჯაგარივით მოსდებოდა დაკუნთულ ხელ-ფეხზე. გულმოღეღილ ხალათიდან მკერდზე ჩახუჭუჭებული გათეთრილი ბალანი ძვირფასი ბეწვის საყელოსავით მოუჩანდა. იგი დიდხანს იჯდა მზეზე. ხაკისფერი შორტები ბენზინისაგან დალაქავებოდა, მთელი კვირა დილა მანქანას უკირკიტებდა. ახლა თვალმოჭუტული ათვალიერებდა ილუსტრირებულ ჟურნალს და ქვედა ტუჩს ანგარიშმიუცემლად იკვნეტდა. ისეთი ჩაწიკწიკებული და ქათქათა კბილები ჰქონდა, ანამ გაცნობისთანავე ხუმრობით ჰკითხა, ხელოვნური ხომ არ არისო. მაშინ ანა მოწყალების დად მუშაობდა, ის კი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო. ცხვირის კეხი ჩამტვრეული ჰქონდა. ყველას ასე ეგონა, ალბათ რეგბის თამაშის დროს თუ მოუნგრევსო ცხვირი, სინამდვილეში — ჯერ კიდევ სკოლაში გადმოვარდნილიყო ველოსიპედიდან.

ერთი წლის წინ ანას იგი ასეთ გამომწვევ პოზაში, დაუდევრად ფეხებგაჩაჩხული რომ დაენახა, ალბათ მივიდოდა, გამეჩხერებულ თმაზე ხელს გადაუსვამდა, ლოყაზე და მკერდზე თითებს მოუთათუნებდა. ახლა იგი რამოდენიმე იარდის დაშორებით შედგა და ესღა დაუძახა:

— ტანსაცმელს არ გამოიცვლი?

— რატომ?

ბილი ყოველთვის ყელგაციებულივით ოდნავ ხმაჩახლეჩილი ლაპარაკობდა.

— პირველს ოცი უკლია. წუთი წუთზე შეიძლება თავზე დაგვადგეს.

— მერე რა?

— მერე რა, რომ მაგ ჭუჭყიან შორტებში და ჩუსტებში გამოწყობილი ხომ არ დახვდები?

— ვითომ რა დაშავდება? — ითაკილა კაცმა. — მით უმეტეს, დღეს კვირაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იგი აუცილებლად კოსტუმში მოვა.

— ახლა იმის გულისთვის მეც კოსტუმში ვერ გამოვეწყობი. ნურას უკაცრავად.

ქალმა წარბი შეჰკრა, ვარდის ბუჩქის შემხმარი ტოტი მოსწია მოსაწყვეტად და შეჰკივლა. ეკალს ცერა თითზე კანი გაეფხაჭნა.

— რა დაგემართა?

— ამ დაწყევლილ ვარდის ბუჩქზე ხელი გავიკაწრე.

მან ჟურნალი გვერდზე მიაგდო და წამოდგა:

— აბა, მაჩვენე.

— სანახავი არაფერია. — ტუჩი აიბზუა ქალმა.

მას სადა, ცისფერი ჩითის კაბა ეცვა, რომლის სამხრეები ოდნავ მუქი ცისფერივე ბაფთებით ეკვრებოდა კისერზე. გრძელი, ქერა თმა ჩამოშლოდა, რის გამოც გოგონას წააგავდა.

— მოვა და ჩემი დარდიც ეგ იყოს, — თქვა კაცმა.

— სულ იმას მეუბნებოდა, ძალიან მინდა თქვენი სახლის ნახვაო... სხვათა შორის, შენთვისაც გამოსადეგი კაცია.

— მე რაში უნდა გამომადგეს? ახლა არ მითხრა, თავის ხელქვეითებთან ერთობ დიდსულოვანი ბრძანდებაო, — ენა მოიქავა კაცმა. — არა, ნებას გვრთავს, მის მაგივრად ჩვენა ვწიოთ სახელმწიფო სამედიცინო მომსახურების ჭაპანი... თუმცა არც ისე დიდი სურვილითა სჩადის ამას. მოკლედ, რაც არის, ეს არის! — იგი ისევ მოწყვეტით დაეშვა თავის ბრეზენტის სკამზე. — ისე, არავის არა სიამოვნებს, როცა ახალგაზრდა თაობა კარზე მიუკაკუნებს.

— ვის ვის და იმას მაგისი შიში სულაც არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არ ეშინია.

— ო, ჩემო კარგო, მას თვალსა და ხელს შუა ეცლება ყველაფერი. ამას ყველა ხედავს. ეს მისი ცოლის გარდაცვალების მერე დაიწყო. შემდეგ ინფარქტი, მერე ის უსიამოვნებანი შვილთან... ჭკუა რომ ყოფნოდა, პენსიაზე გავიდოდა. მაგას უკვე საკმაოდ ექნება შავი დღისათვის გადანახული.

— რა დროის პენსიაა! — ანა ქმარს მიუახლოვდა და მის გვერდით დადგმულ ჭილობზე წამოწვა. დროდადრო ცერს იწუწნიდა, თუმცა სისხლი აღარა სდიოდა. — რატომ უნდა გავიდეს პენსიაზე? მაინც რაზე დაასვი კბილი? იგი კიდევ დიდხანს იმუშავებს.

— რამდენ წელს?

— რამდენს და... ათ წელს. ჯერ სამოცდაორი წლისაა.

— ეგ იმდენ ხანს უბლაყუნებს მაგ ადგილს, სანამ ერთ ორდენს კიდევ არ ჩამოკიდებენ.

— მისცემენ კიდეც.

— შეიძლება. მაგის საზღვარგარეთული ვოიაჟები თავის ნაყოფს გამოიღებს. — მან ზანტად ასწია ხელი და იღლია მოიქექა. — ჩვენს დროში ვინ გინდა გაიკვირვო რქოვანას გადანერგვით?! თუმცა აფრიკის მივარდნილ ჯუნგლებში გიყვარდეს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაღაც იგვიანებს.

ბილიმ საათს დახედა.

— ალბათ ვერ მოგვაგნო, ან დავავიწყდით, — წაიბუზღუნა მან.

ანას გაეცინა.

— მე მგონი, შენ უფრო გინდა, რომ დავავიწყდეთ.

— რაღა დაგიმალო და უიმისოდ უფრო კარგად გავატარებდით ამ კვირა დღეს. შენ რას იტყვი? არა, მე მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ჩვენ შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს და ფეხებზედაც არა მკიდია, ვინ როდის იწევს ცხვირს მაღლა.

წარბებმოღუშულმა ბილიმ მარცხენა მხრის ვარჯიში დაიწყო: ზევით-ქვევით, ზევით-ქვევით...

— რა დაგემართა, მხარი გტკივა?

— ჰო... ეტყობა, წყალში გადახტომისას კუნთი დამეჭიმა.

იგი ახლა მხრის მასაჟს შეუდგა. პაციენტებს მისი დიდი და უხეში ხელები დასტაქრისათვის შეუფერებლად მიაჩნდათ და ეშინოდათ.

— ისევ გაგიბა მასლაათი ეთიოპიაში წასვლაზე?

— ამ კვირაში არაფერი უთქვამს, მაგრამ ადრე მითხრა, მოიფიქრეო.

— ფეხს ვერსად გადავდგამ, — მკვახედ მიახალა ბილიმ.

— აბა, ასე ცხრაკლიტულში გეყოლები გამომწყვდეული? ისე, ურიგო არ იქნებოდა სიტუაციის შეცვლა, — წყნარად თქვა ანამ. — ვინ იცის, ჩამივარდება კიდევ ხელში ეთიოპიაში წასვლის ასეთი შანსი?..

— ქირურგიულში ექთნები თავზე საყრელადა ჰყავთ. მოჰკიდოს რომელიმეს ხელი და წაიყვანოს. მაგისი სიტყვა ხომ ბეჭედია. რატომ ის დოყლაპია კონორსი არ მიჰყავს? ისეთი ამტანია, ბევრ კაცსაც კი შეშურდება.

— იმას დასანახავად ვერ იტანს.

— რასა ბრძანებ! მაინც როგორა გგონია, მე აქ რანაირად უნდა ვიცხოვრო, სანამ შენ იქ იყიალებ?

— ხუთი კვირა კაცი თავდაყირა დაკიდებული გაძლებს. მით უმეტეს დედაჩემი შემპირდა, მივხედავო. შენც ამდენ ხანს არ იყავი რეგბისტებთან ერთად?.. მოდი, ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონოთ.

ანა ადგა, წყნარად მიუახლოვდა, დაიხარა და ლოყით ლოყაზე მიეკრო. იგრძნო, რა მკვრივი და ოფლით დანამული კანი ჰქონდა. ცხვირში ოფლის სუნი ეცა, ეს სუნი ადრე აღაგზნებდა ხოლმე, როცა ქმარი კრიკეტის ან რეგბის თამაშიდან ბრუნდებოდა გაოფლილი, ახლა კი შეეზიზღა. რატომ გაიხვითქება ხოლმე ასე ძალიან? კაცმა რომ თქვას, ამ დილით თითიც არ გაუნძრევია, უბრალოდ მზეზე იჯდა. — აი, სახელმოხვეჭილი კონსულტანტი რომ გახდები, შენ გამიყოლებ ხოლმე საზღვარგარეთ.

— კი, აუცილებლად.

ანამ იცოდა, რომ მისი ქმარი ვერასოდეს გახდებოდა სახელგანთქმული დასტაქარი. ეს ბილიმაც იცოდა. ამ უთქმელ საიდუმლოს დიდი ხანია ერთმანეთს არ უმხელდნენ. ქალს უცებ უიმედობამ დარია ხელი. მაგრამ მიიხუტა კაცი მკერდზე.

— ჯერ სადა ხარ, ყველაფერს მიაღწევ, — თქვა მან. — ნახე, რა ხალხი უწია თავის მიზანს.

ხვიარა ვარდების ცოცხალი ღობის მიღმა მანქანის მოტორის ხმა გაისმა.

— ეს ალბათ მისი ბრწყინვალების „ბენტლია“, — თქვა ბილმა. — ან რანაირად მოჰყვება ხოლმე ლაილას, გეგონება, სასიკვდილოდ გადადებულ ავადმყოფს ელაპარაკებაო.

საუზმის შემდეგ მორისი ჰოლში გავიდა და თავის კე[illegible] მინისტრის ცოლს დაურეკა. ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოჰკითხა, რამოდენიმე ხნის წინ მისთვის კატარაქტის ოპერაცია გაეკეთებინა.

— მე მგონი, კატარაქტით დაავადებულ უბრალო ავადმყოფს სახელმწიფო საავადმყოფოში არ ურეკავს ხოლმე, როგორია ბრძანდებიო, — კბილი გაჰკრა ბილმა.

— ამბობენ, იმათაც კარგად ეპყრობაო. თუნდაც ის რად ღირს, რომ ყველას სახელით მიმართავს.

— ეგეც თავისებური ხერხია. ეჰ, რა მიამიტი ვინმე ხარ!

მორისი დაბრუნდა. ანამ ყავა დაასხა, თანაც რაღაც უხერხულად გრძნობდა თავს, რადგან ყავის მარცვლის ყიდვა დავიწყებოდა და ახლა იმაზე წუხდა, მიხვდება თუ არა ჩემი სტუმარი, უნალექო ყავას რომ მიირთმევსო. საუზმემ კარგად ჩაიარა, ანდა, ისევ ის „გადადებულ ავადმყოფთან“ საუბრის მანერა იყო, რომ მორისმა კომპლიმენტებით აავსო ანა: კინაღამ თითები ჩავიკვნიტე lasagne-შიო[1] — იტალიაშიც კი იშვიათად შეხვდები ასე გემრიელად მომზადებულსო. ღვინის სოუსში ჩაწყობილი წიწილის ტაბაკაც გადაიღო, თუმცა მანამდე კი განაცხადა, ეს საშინელი ღიპი როგორმე უნდა მოვიცილოო. ანა ვერავითარ ღიპს ვერ ატყობდა. გამხდარი, წელგამართული, იგი იმ პირხმელ, ხანში შესულ კაცებს წააგავდა, რომელთაც მეტისმეტი დიეტისაგან სახე დაუნაოჭდებათ ხოლმე. იგი საინტერესოდ ყვებოდა თავისი სახელგანთქმული კოლეგებისა და პაციენტების ამბებს, ყოველგვარი ღვარძლის გარეშე. გაიხსენა ჩრდილოეთ აფრიკის უდაბნოში გადატანილი ომის დღეებიც.

ბილი დროდადრო სიტყვას ჩაურთავდა, რაღაცას იტყოდა თავის თავზე, ანაზე. მისი წინასწარ მოფიქრებული [illegible] აბუჩად იგდებდა და თავხედურადაც კი ჟღერდა. მორისმა, როგორც თქვა, შვებულება თურქეთში ავტომანქანით მოგზაურობაში უნდა გაატაროს. ბილმა მაშინვე ჩააკერა სიტყვა: ახლა ავტოტურიზმი ძალიან მოდაშია, ჩვენ კი, მდაბიონი, მალტაში ჯგუფური ტურიზმით უნდა წავიდეთო ივლისს... მორისმა თავისი ახალი თანაშემწე, უფროსი ექთანი შეაქო, ენამკვახე ბილმა მაშინვე შეაგება: თქვენნაირი ცნობილი და სახელგანთქმული პიროვნებისათვის იგი თავს არ დაიშურებს, უბრალო მოკვდავთათვის კი, გარწმუნებთ, თითსაც არ გაანძრევსო. მორისი დახვეწილი და გამჭრიახი გონების კაცი იყო, ამიტომ არ შეიძლება არ შეემჩნია მის სიტყვებში შური და სიავე, მაგრამ, ეტყობა, გადაწყვიტა ყურადღება არ მიექცია. ანამ შეამჩნია, რომ სტუმარი თითქოს ცდილობდა კიდეც ეამებინა ბილისათვის. ხან ერთობ ოსტატურად, შეფარვით შეაქებდა ბილის, ხან რაიმე რჩევას კითხავდა, ხან კი თანაუგრძნობდა, როგორ თუ აქამდე არ დაგაწინაურესო.

[1] ცომში გამომცხვარი ხორცი, ყველი და პომიდორი (იტალ.).

მორისი ტელეფონზე დასარეკად მეზობელ ოთახში გავიდა და ჩქარავე დაბრუნდა.

— ქალბატონი რობინსონი თითქმის გამოკეთდა, — თქვა მან. — მხოლოდ იმაზე ჩივის, საჭმელს ვერ გვაძლევთო. დანარჩენი კი ყველაფერი რიგზეა. კინაღამ იმასთან წამომცდა, აქ რა დიდებულ და გემრიელ საჭმელს [illegible]-თქო, ძლივს შევიკავე თავი. ეს ჩემი მხრივ დიდი სისულელე იქნებოდა. გმადლობთ, ჩემო ძვირფასო.

ანამ ყავის ფინჯანი მიაწოდა და თვალი ვერ მოსწყვიტა სახელგანთქმული ქირურგის სანთელივით ჩამოქნილ, ნატიფ ხელებს. მის გაპრიალებულ, ვარდისფერ ფრჩხილებს ალბათ ბევრი ლოლიავი ესაჭიროებოდა.

— შეიძლება პიჯაკი გავიხადო? ანა, თქვენ წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

— როგორ გეკადრებათ. რა წინააღმდეგი უნდა ვიყო, როცა ბილი ასეთ ტურტლიან შორტებში ბრძანდება.

— მორისი ნამდვილად დამეთანხმება, რომ ჩვენს დროში endimanche[1] საჭირო აღარ არის. საკვირაო კოსტიუმებმა მაშინ მოგვჭამათ ჭირი, როცა ხალხმა ეკლესიებში სიარულს დაანება თავი.

მორისმა გაიღიმა და ნაცრისფერი პიჯაკი გაიხადა. სახელოები აიწია. მასიური ოქროს მანჟეტების საკინძები მოისინჯა, ხომ არ გამეხსნაო, და არაფერი უპასუხა ბილის.

— რაიმე საინტერესო ხომ არ შეგიძენიათ? — ჰკითხა ანამ. ისინი ბოლო დროს ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს აუქციონებზე.

— როცა გავიხსენო... კი...

მორისი იმის მოყოლას მოჰყვა, თუ როგორ იყიდა ლუისის აუქციონზე ბონინგტონის[2] პატარა ტილო, რომელიც საერთოდ არ შეეტანათ კატალოგში. ბილი უფრო ღრმად ჩაეფლო სავარძელში და შიშველი ფეხები გაჭიმა. ანას შეეშინდა, არ ჩაეძინოსო.

— კოლექციონერობა და მუსიკაა ჩემი ჰობი. ამით ვერთობი, როცა დრო მაქვს.

— იცით, სტუდენტობის დროს ბილი დასარტყმელ ინსტრუმენტზე უკრავდა ჯაზში.

— არა მგონია, ეგ ის მუსიკა იყოს, რომელიც მორისს მოსწონს, ძვირფასო, — ცალყბად თქვა ბილიმ. — გულახდილად რომ გითხრა, რაღაც ასე მგონია, მორისი ჯაზს საერთოდ მუსიკად არა თვლის, — წამოროშა ბილიმ, ერთი მაგრად დაამთქნარა და ძილის გასაფრთხობად ლოყები ხელისგულით მოისრისა.

— პირიქით, ჯაზს დიდ პატივსა ვცემ. აი, როცა მესტუმრებით... იმედი მაქვს, უახლოეს დროში მეწვევით, ჩემს კოლექციას გიჩვენებთ.

ბილი წელში გაიმართა და წარბშეკრული მიაჩერდა თავის სპორტულ ჩუსტებს.

— თქვენზე ამბობენ, შესანიშნავად ქირურგობთ, მართალია?

— შესანიშნავზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი კია, ქარგვა ნერვებს ამშვიდებს.

1 საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული (ფრანგ.).

2 რიჩარდ ბონინგტონი (1801—1828) ინგლისელი მხატვარი-პეიზაჟისტი.

— თქვენს ნერვებს თუ კიდევ დამშვიდება სჭირდება... ძნელი დასაჯერებელია.

— ახლა დაიჯერეთ. პირველად ფრონტზე, ჰოსპიტალში წოლისას დავიწყე ქარგვა. ყველას ხუმრობა ეგონა... მე მგონი, ახლაც ასე ჰგონიათ. ეს ცოლის იდეა გახლდათ. თუმცა უსაქმოდ გულხელდაკრეფილ ჯდომას ქსოვა სჯობს, — გაიღიმა მორისმა.

— იქნებ როგორმე გვაჩვენოთ, — თქვა ანამ. — სიამოვნებით ვნახავდი.

— აი, თუ ეთიოპიაში კარგად მოიქცევით, ყველა დავალებას პირნათლად შეასრულებთ, მაშინ შეიძლება გაჩვენოთ. როგორც პრემია! — გაიცინა მან. — ეს დაპირება კი არა, მუქარა გამომივიდა.

ბილიმ რაღაც მკვახის თქმა დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა და ესღა ჰკითხა:

— არ გინდათ ჩვენს ბაღს გადაავლოთ თვალი?

იგი ხშირად ხმარობდა ხოლმე ამ ფანდს, რათა ძალზე გაჭიანურებული სტუმრობა მოეთავებინა.

— სიამოვნებით, — თქვა მორისმა.

ბაღს ბილი და ანა ერთად უვლიდნენ. ხანდისხან მოხუცი მეზობელი წააშველებდათ ხელს. იგი ყოფილი რკინიგზელი იყო, იქვე, ქუჩის დასაწყისში ცხოვრობდა. ყვავილნარი სახლის ძველ მფლობელს გაეშენებინა. ბილი და ანა კვლებს მარგლავდნენ, მოხუცი კი მორეულ ბალახს თიბავდა ხოლმე.

— ის ალბათ „ვივიენ ლია"... — თქვა მორისმა. — აი, იქ. ჰიბრიდული ჯიშების სიყვარული ვულგარობაა, არა?.. ჩემი ცოლი მათ ვერ იტანდა... მაგრამ, ცოდვა აღიარებული სჯობს, ასეთი ყვავილები მიყვარს. ეს ვინღა ბრძანდება? — მორისმა შუა და საჩვენებელ თითებს შუა მოიქცია ყვავილი, თავისკენ მიიზიდა, დაიხარა და ყურადღებით დაუწყო თვალიერება. ანასა და ბილის იოტის ოდენა წარმოდგენაც არა ჰქონდათ იმ ყვავილზე.

— აფსუს, სურნელება არა აქვს. მაგრამ შეხედეთ, რა საოცარი წითელი ფერია!

ეტყობოდა, ბაღის „ექსკურსია" კარგა ხანს გასტანდა. ანამ იცოდა, ბილი ახლა ნანობდა თავის საქციელს.

— ღმერთო ჩემო, ჩოგბურთის კორტიც გქონიათ!

— ეჰ, ჩვენი რომ იყოს... არ იქნებოდა ურიგო, — გაიცინა ანამ. — პედაგოგიური კოლეჯის კორტებია. ხანდისხან გვათამაშებენ ხოლმე. ასე ვთქვათ, თავს მოვალედ თვლიან იმიტომ, რომ ჩვენს ღობესთან რამდენიმე ხის მოჭრის უფლება მივეცით.

— მოედანს ჩრდილავდა, — ჩაერია ბილი. — თქვენ თამაშობთ ჩოგბურთს?

— ვთამაშობდი, მხოლოდ სპორტის ამ სახეობაში მივაღწიე მცირე წარმატებას. ერთხელ უიმბლდონის ტურნირზეც გავედი.

— მართლა? — წამოიძახა ანამ.

— ასე ნუ გაიოცებ, ახალგაზრდა ქალბატონო, ეს რა თქმა უნდა, ძალიან დიდი ხნის წინ იყო. მაშინ ეს თამაში უფრო ფაქიზი და დახვეწილი გახლდათ. ახლანდელივით ძალისმიერი არ იყო. დიახ, მე ბენი ოსტინსაც[1] კი მოვუგე ერთი სეტი. თქვენ როგორ თამაშობთ?

[1] ცნობილი ჩოგბურთელი.

— ბილი თავს არ მიყადრებს, არ კადრულობს ჩემთან თამაშს, უნიჭო ხარო. თვითონ კი ალბათ ურიგოდ არ უნდა თამაშობდეს.

— ო, ძვირფასო, შენ ხომ იცი, რომ მე ჩოგბურთზე არასოდეს ვგიჟდებოდი?

— კი, მაგრამ კოლეჯის გუნდის კაპიტანს რომ მოუგე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ რა მოსატანია. შემთხვევით მოხდა.

ბილიმ ერთი ამბავი წამოიწყო: ერთხელ კოლეჯელი ჩოგბურთელების თამაშს ადევნებდა თურმე თვალს. ბოლოს ვეღარ მოუთმენია, ერთ-ერთი მოთამაშისთვის დაუძახნია, „ბექჰენდის“ დარტყმისას ბურთს მაღლა ნუ გზავნიო.

— ხომ არ გვეთამაშა, რაკი ასე კარგად ერკვევით წესებში, — იქედნურად შესთავაზა ახალგაზრდამ.

— ვითამაშოთ, — მაშინვე დაეთანხმა ბილი, რომელიც ჯერ კიდევ სკოლიდანვე იყო მიჩვეული ასეთ ჯიბრიან გამოწვევებს. — რატომაც არა?! მხოლოდ სანაძლეოზე, — გამარჯვებულს ათი შილინგი!

— ჰოდა, თქვენ მოუგეთ, — დააგვირგვინა ამბავი მორისმა.

— ბილიმ მოიგო, აბა რა! — თქვა ანამ.

უცებ ბილი მორისს მიუბრუნდა:

— ხომ არ გვეთამაშა?

— გვეთამაშა?

— დიახ.

— ახლა?

— რა გვიშლის ხელს?

— მე მგონი, მორისი სათამაშოდ ვერ არის გამოწყობილი, — სიტყვა ჩაურთო ანამ.

— ჩემსას ვათხოვებ.

— შენი კარგად არ მოუვა... სხვადასხვა ზომა გვჭირდება.

— შორტებისა და გულგაღეღილი თამაშისათვის მაგას მნიშვნელობა არა აქვს, — თავისაზე იდგა ბილი. იგი ისევ მორისს მიუბრუნდა. — ჰა, რას იტყვით?

ასაკით უფროსი სტუმარი გონებაში დიდხანს სწონიდა მის სიტყვებს. პიჯაკის ჯიბეებში ღრმად ჩაეწყო ხელები და ბაღს გასცქეროდა.

— მხოლოდ ერთი სეტი, — თქვა მან ბოლოს. — ასეთი გამასპინძლების შემდეგ ჩოგბურთის კი არა, განძრევის თავიც არ მექნება.

— ნაძლევს არ ჩავიდეთ? ორმოცდაათი პენსი? ფუნტი[1] თუ ხუთიანი?

— როგორც იტყვით.

— მაშინ ხუთი ფუნტი იყოს. შეიძლებოდა მეტიც... თუმცა ჩემნაირი ჯიბეგამოფხეკილისათვის ესეც ბევრია. მოდის?

— მოდის, — გაიღიმა მორისმა.

ანა აფორიაქდა. ბილი საქმიანი ნაბიჯით გაემართა სახლისაკენ. ანამ როგორც იქნა გაბედა და მორისს ჰკითხა:

— კი მაგრამ, აზრი აქვს?..

---

[1] ერთი ფუნტი სტერლინგი უდრის $2\frac{1}{2}$ დოლარს.

— რასა აქვს აზრი?

— აი, ბილისთან თამაში.

— რატომაც არა?

— მე მინდოდა მეთქვა... ინფარქტის შემდეგ.

მორისს გაეცინა.

— ეტყობა, ბილი არ გაცნობთ გულის მკურნალობის [illegible] ინფარქტისათვის მთავარია ვარჯიში. ყოველ შემთხვევაში ახლა სპეციალისტები ერთხმად მიჩიჩინებენ ამას. არა, გული აღარ მაღონებს. თითქმის ყოველ კვირა ვთამაშობ ერთ პარტია გოლფს, ბაღშიც კი ვჩიჩქნი ხოლმე ცოტას და ბევრს დავდივარ.

სანამ კაცები ტანსაცმელს გამოიცვლიდნენ, ანამ ოთახები მიალაგა. დასარეცხი ჭურჭლით სავსე სინებით ხელში აქეთ-იქით სიარულისაგან შუბლი და ზედა ბაგე ოფლით დაეცვარა.

— არც ისე ცუდად მადგას! — ოთახში მორისი შემოვიდა, მას ბილი მოჰყვა. — ოდნავ ტომარასავით კია ჩამოჩაჩული, მაგრამ სამაგიეროდ ჩუსტები მაქვს შესანიშნავად. უკეთესად აღარც იქნება! საკუთარივით მომერგო ფეხზე.

„ოღონდ თქვენი ასე ჭუჭყიანი არ იქნება“, — გაიფიქრა ანამ და ტერფით თხემამდე შეათვალიერა იგი. გარეცხილ თეთრ შორტებს ალბათ ისევ ასდიოდა ის ცხოველური სუნი, ბილის რომ ჰქონდა ხოლმე აბაზანისა თუ შხაპის შემდეგ.

„ნეტავი რამ ჩააცმევინა ეს ძონძები მორისს... რა ძვირფასი საპნის სურნელი ჰქონდა...“ — ფიქრობდა ანა.

ბილის მოუთმენლობამ დარია ხელი. ერთი სული ჰქონდა როდის დაიწყებდნენ თამაშს. მათ ბაღზე ჩაიარეს. ბილიმ რამდენჯერმე ისე მოიქნია ჩოგანი, თითქოს ბურთს აწვდისო. მერე მაღალ ბალახს დაუწყო ჩოგნით სხეპა.

— ეგ ჩოგანი მოგწონთ? — ჰკითხა ანამ მორისს. მან შეამჩნია, რომ ბილის, ჩვეულებისამებრ, თავისთვის უკეთესი აერჩია.

— ო, შესანიშნავია. ჩემთვის ასეთ რაღაცებს მნიშვნელობა არა აქვს. — მიუგო მორისმა და თავისი ლია-ნაცრისფერი თვალებით დაკვირვებით ჩახედა სახეში. — ჩვენს დროში იშვიათად თუ შეხვდები ქოლგიან ქალს მზიან ამინდში.

— ეს ან საშინელი ჭორფლის ბრალია... მიტომ წამოვიღე ქოლგა.

— სულაც არ არის საშინელი. მე მგონი, მიმზიდველიც უფრო. გიხდებათ.

კორტებზე არავინა ჩანდა. კვირაობით სტუდენტები აქ უფრო გვიან გამოდიოდნენ ხოლმე.

ანა ჩიტებისაგან დათხვრილ სკამზე ჩამოჯდა ფრთხილად.

— ცოტა ხომ არ წაგვევარჯიშა? — ჰკითხა ბილიმ.

— კარგი იქნებოდა...

ბილიმ ბურთი შეისროლა, ტანში მოიკაკლა, შემდეგ ზამბარასავით გაიმართა და მძლავრად შემოჰკრა ჩოგანი. ბურთი ყრუ ხმაურით მოხვდა ბადეს.

— ღმერთო ჩემო! ჩაწოდებაც ამასა ჰქვია! თურმე რაზე დავთანხმებულვარ! — შორტების სწორებით წამოიძახა მორისმა. ვერ გაიგებდი, ეს ირონიით თქვა თუ გულწრფელად.

ვარჯიშის დროსაც კი ბილი რაღაც გაგულისებით, თითქმის კბილების ღრჭიალით იქნევდა ჩოგანს. თუმცა რა უმნიშვნელო თამაშიც არ უნდა ყოფილიყო, მას ასეთი ჩვეულება ჰქონდა. მორისი კი უფრო დინჯად, [illegible] ხანდახან შემოდიოდა მოედანზე, რბილად იგერიებდა დარტყმებს. ამას ისე დაუდევრად სჩადიოდა, რომ ანასთან გამოლაპარაკებასაც ახერხებდა [illegible] თემაზე, რომელსაც არც ამ თამაშთან ჰქონდა რაიმე კავშირი [illegible] ბურთთან. ბილი ვერ იტანდა, როცა თამაშს სერიოზულად არ ეკიდებოდნენ. ახა ჩვეულებოდა, როგორ აცოფებდა მას მორისის უგულისყურობა.

— დავიწყოთ? — ჰკითხა ბილიმ.

— როგორც გნებავთ, — უპასუხა მორისმა. იგი ისევ ანას მიუბრუნდა. — მერე გამახსენეთ, ოსბორნის[1] პიესაზე უნდა მოგიყვეთ რაღაცას. გუშინ საღამოს სპეციალურად ამ დადგმის სანახავად წავედი ბრაიტონში.

ბილიმ სულ იოლად მოიგო პირველი სამი გეიმი. იგი ძალიან ღონივრად და ულმობლად თამაშობდა. მისი ბურთი ხან ბადეს ხვდებოდა, ხან კი ისე ტყვიასავით გადაფრინდებოდა, რომ მორისი არც ცდილობდა იმის აღებას. ბილის ცხენური იერი ედო, თითქოს მწვავე ტკივილისგანა აქვს სახე მოქცეულიო. ანა მიჩვეული იყო საავადმყოფოში ასეთი დაღრეჯილი ფიზიონომიის ცქერას, მაგრამ ახლა გაახსენდა, რომ სწორედ ასეთი სახე ჰქონდა ბილის მათი ქორწინების პირველ ღამეს. ანამ ისიც შეამჩნია, რომ ბურთზე დახრისას ბილი თავისთავის ჩუმ-ჩუმად ულვაშებში იღიმებოდა. ოფლისაგან სველი ხალათი დაკუნთულ ბეჭებზე მიეწება, იღლიებშიც ფართო, მუქი ლაქები გამოუჩნდა.

დროდადრო მორისი წამოიძახებდა: „კარგი დარტყმაა!“ ან „აი, ეს მესმის!“, მაგრამ ბილი ამ შექებას ყურსაც არ უგდებდა და არც სამაგიერო ქათინაურებით იწუხებდა თავს.

მხოლოდ მეოთხე გეიმზე მიხვდა ანა, რომ მორისი სულაც არ აპირებდა უბრძოლველად დანებებას. იგი ნაკლებად მოძრაობდა, ამიტომ ბილი უფრო სწრაფად იღებდა. ისეთ ბურთებს იგერიებდა, რომ სხვა უფრო ენერგიულ პარტნიორებთან ამას ვერ მოახერხებდა. ოღონდ მორისს გაცილებით უკეთესი რეაქცია ჰქონდა — ბილის ჩოგანი ბურთისთვის ჯერაც არ მიეკარებინა, რომ იგი უკვე იქით მიილტვოდა, სადაც მისგან ნატყორცნი ბურთი უნდა დაცემულიყო. ძალიან ოსტატურად უცვლიდა ბურთს მიმართულებას. ხან ერთ კუთხეში გაგზავნიდა, ხან მეორეში და ბილიც გაცოფებული ბუღაივით ცხლებოდა აქეთ-იქით. ერთხელ ისე მოულოდნელად გამოიჭრა, რომ ნახტომი შეეშალა, თავი ვეღარ შეიმაგრა და მავთულის ღობეს შეენარცხა.

— ძალიან ხომ არ დაშავდით? — შორტების თასმა მოიჭირა და ჰკითხა მორისმა.

ანგარიშმა თანდათან მორისის სასარგებლოდ იწყო ზრდა. ზოგიერთ ბურთს მაინც არ იგერიებდა, თუმცა ოდნავ რომ მოენდომებინა, ნამდვილად მიაწვდენდა ჩოგანს. ახლა იგი ქულას ქულაზე აგროვებდა. ანგარიში ჯერ გათანაბრდა: სამით-სამი, მერე კი ოთხით-სამი გახდა მის სასარგებლოდ. ანას აქამდე მორისის მოგება უფრო უნდოდა, მაგრამ ახლა ძალიან შეეცოდა ბილი. იგი დარწმუნებული იყო, მორისი წაგება-მოგებას არაფრად ჩააგდებდა. ბილისთვის კი ეს, თუ გნებავთ, ერთ მცირე დამარცხებას ნიშნავდა ცხოვ-

---

1 ჯონ ოსბორნი — თანამედროვე ინგლისელი დრამატურგი.

რებაში, რეგბის მატჩებში, როდესაც მისი ყოფილი გუნდი აგებდა, ისეთი მოღუშული იჯდა ხოლმე ტელევიზორთან, რომ დანა პირს არ უხსნიდა, სადმე წასვლაზე კი არა, სადილზეც უარს აცხადებდა. ანა უყურებდა, რა თავგამოდებით დარბოდა ბილი მოედანზე და ადვილად ხვდებოდა, როგორი სასოწარკვეთილება და სიშმაგე მძვინვარებდა მის სულში.

მომდევნო გეიმში, როცა ანგარიში „მოხუცს" მიჰყავდა, მან [illegible] დარტყმით ბურთი ბილისაგან მორეულ კუთხეში გაგზავნა.

— აუტ! — იმწამსვე წამოიძახა ბილიმ.

ანა იქვე, სულ ორიოდე ნაბიჯზე იჯდა და შესანიშნავად დაინახა, რომ ბურთი მოედანზე დაეცა. იგი დარწმუნებული იყო, ეს ბილიმაც კარგად შეამჩნია.

— აუტია? — სხვათა შორის იკითხა მორისმა.

— ორიოდე დუიმით ხაზს გარეთ დაეცა. ასე არაა, ანა?

— არ ვიცი. არც დამინახავს... მე სხვა რამეზე ვფიქრობდი.

— კარგი, — თქვა მორისმა.

ბილიმ მოიგო ის გეიმი. ოფლში გახვითქული სახე ილეწოდა, მოკლედ შეკრეჭილი თმა შუბლზე დაწებებოდა. დროდადრო ტანზე ერთიანად მიკრულ სველ ხალათს თითებით გამოსწევდა და აფარფარებდა.

შემდეგ პარტიაში ანგარიში მორისმა წაიყვანა. ახლა მისი ჩამოწოლება იყო. ერთხელ ბურთისთვის რომ დაიხარა, ანამ შეამჩნია, რომ ცხვირთან და ბაგეებთან კანი ერთიანად გადაუფითრდა. სხვაფრივ იგი ისევე გამოიყურებოდა, როგორც თამაშის დაწყებამდე.

— მე მგონი აუტია! — ისევ თქვა ბილიმ, როცა ანგარიში ორმოცით ოცდაათი იყო მორისის სასარგებლოდ.

— ნამდვილად? აქედან მე კარგად ვერ დავინახე. მაშ, ქვითა ვართ.

ანამ დაინახა, რომ ბილიმ ისევ ითაღლითა.

მორისმა ერთობ ოსტატურად ჩააწოდა ბურთი, რომელიც მოედნის შორეულ კუთხეში დაეცა. ასევე აიღო მან შემდეგი ქულაც. ანგარიში გახდა ხუთით ოთხი.

ბოლო გეიმში მორისი მთლად შეიცვალა. აბლაგა აგრძნობინა ბილის: აქამდე თავს ვირთობდი და აი, ახლა ნამდვილად ვითამაშოთო. ამ სანახაობამ ანას სულში საწინააღმდეგო გრძნობათა მთელი ქაოსი გამოიწვია: ერთი მხრივ — იგი აღტაცებული იყო ამ კაცით, რომელიც მის ქმარზე ოცდაათი წლით უფროსი იყო, გადატანილი ჰქონდა ისეთი ინფარქტი, რომელმაც კინაღამ იმქვეყნად არ გაისტუმრა და ახლა კი ქარივით დაქროდა კორტებზე და დახვეწილი ტექნიკით თამაშობდა. ხოლო მეორე მხრივ — აოცებდა ის ამბავი, რაში დასჭირდა თავისი ოსტატობის დაფარვა. ამას ერთვოდა ქმრისადმი სიბრალული, რომელიც იმ რეტდასხმულ, ვაცოფებულ და ფეხებაკანკალებულ ბუღას წააგავდა, ტორეადორს ბოლო სასიკვდილო დარტყმისათვის რომ გაჰყავს ხოლმე შუა არენაზე.

ქულა ქულას ემატებოდა. მორისმა გეიმი ვირტუოზულად დარტყმული ბურთით დააგვირგვინა. ბილი თავგანწირვით ეცა ბურთს, ვერ მისწვდა და ესღა აღმოხდა:

— დალახვროს ეშმაკმა!

თვალებზე ჩამოშლილი თმა გადაიწია და ბილისკენ წავიდა. მკერდი საბერველივით ადი-ჩამოსდიოდა. გული ყელში ებჯინებოდა.

— გადასარევია! — გასხეპილი თავაზიანობით ამოღერღა მან. — მშრალი ანგარიშით! ხუთი ფუნტი თქვენია.

სკოლასა და უნივერსიტეტში მიღებულმა წვრთნამ „სპორტული ეთიკის“ შესახებ თავისი გაიტანა: მეტოქის გამარჯვებით გამოწვეული სიხარული თითქმის უტყუარად, ხალისად ჟღერდა. მაგრამ ანამ იცოდა, რა ცეცხლიც ტრიალებდა ბილის გულში.

— კარგი თამაში იყო. ოღონდ ხუთ ფუნტს თავი დავანებოთ.

— როგორ გეკადრებათ, სინდისს გეფიცებით... მე რომ მომეგო, ნურას უკაცრავად, თავს არ დავანებებდი, — თქვა ნირწამხდარმა ბილიმ.

— მე რომ მეწვევით, მაშინ საპასუხო მატჩი ჩავატაროთ. შერეულ წყვილში ვითამაშოთ, თორემ ისე, მე ერთ სეტსაც ვერ გავუძლებ. — მან ჯიბიდან მონოგრამიანი ცხვირსახოცი ამოიღო. ჯერ შუბლი შეიმშრალა, მერე ყელ-კისერი. — ეს ნამდვილად დიდი სიამოვნებაა, — თქვა მან და ანას მიუბრუნდა, — თქვენ ხომ არ მოიწყინეთ?

— პირიქით, ძალიან საინტერესო იყო.

ბილი პირველი გაემართა სახლისაკენ. ბაღში ისევ მაღალ ბალახს დაუწყო სხეპა. შემდეგ ჩოგნით წვივზე ტყაპუნს მოჰყვა ღონივრად.

— ბილი საშიში მეტოქეა.

— მაგრამ თქვენი თამაში... ეს სულ სხვა კლასია.

— ო, მე იმდენი ხანია ჩოგბურთს ვთამაშობ, რომ უამრავი ხრიკები და ფანდები ვიცი. ეს არის და ეს.

მორისმა ბილის კარი გამოაღო და ანა წინ გაატარა. ნაზად გაუღიმა, როცა ქალმა ჩაუარა.

— ჩემი ხნის როცა მოიყრებით, მაშინ გაიგებთ რაშია საიდუმლო. ნუ დაკანკალებ იმ ქულებს, რომელთაც მნიშვნელობა არა აქვთ. როგორც მოგეხასიათება, ისე ფანტეთ. ოღონდ, როდესაც საქმე ცხოვრებისეულ საკითხზე მიდგება, მაშინ ძალ-ღონე არ დაიშუროთ, რომ მოიგოთ!

— სულ ეგ არის მთელი საიდუმლო?

— ეს არის.

უბრალო ყოფილა.

კაცებმა შხაპის შემდეგ გადაიცვეს და სასტუმრო ოთახში გამოვიდნენ.

— არ ვიცი, რა ვუყო ამ მუხლს. ისე გამიშეშდება ხოლმე, რომ ძლივს ვღუნავ, — თქვა ბილიმ.

მორისს ისევ თავისი ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა. ბილის ფოსტლებში წაეყო ფეხები და აბაზანის ხალათი მოეგდო მხრებზე. ანამ მათ კოქტეილი მოუმზადა.

— ალბათ მენისკია, — განაგრძო ბილიმ. — ვერაფერით ვერ გადავწყვიტე, გავიკეთო ოპერაცია თუ არა. ისე კი, უოპერაციობა მირჩევნია.

ანას შემჩნეული ჰქონდა, რომ მხარი და მუხლი ბილის ყოველთვის წაგებული პარტიის შემდეგ ასტკივდებოდა ხოლმე. მოგების დროს ტკივილს არ უჩიოდა. ბილის თვითკონტროლის უნარი არ გააჩნდა და ამიტომ ამას ვერასოდეს ამჩნევდა.

— თქვენ საოცრად მრავალფეროვანი სპორტსმენი ხართ, — თქვა მორისმა.

ბილმა მხრები აიჩეჩა.

— უბრალოდ, მე ბევრი სპორტული თამაში ვიცი. [illegible], არა?

— უნივერსიტეტში რაგბის ნაკრების წევრი ხომ იყავით?

— რაგბისა და კრიკეტის. ჩოგბურთელი კი, გულახდილად რომ გითხრათ, არასოდეს ვყოფილვარ.

ასე გაგრძელდა საუბარი, სანამ მორისმა საათს არ დახედა და წასასვლელად არ მოემზადა.

— არა, არა, ნუ შეწუხდებით, გაცილება არ მინდა... მით უმეტეს, მუხლიც გაწუხებთ.

ბილი წამოდგა და ნაძალადევი კოჭლობით კარამდე მიჰყვა სტუმარს.

— ელასტურ რეზინის წინდას ჩავიცვამ, ხანდისხან მშველის.

— მე მანქანამდე მიგაცილებთ, — თქვა ანამ.

მათ უხმოდ ჩაიარეს ბაღში. ჭიშკართან მორისი შემოტრიალდა.

— შესანიშნავი დღე იყო, მშვენიერი... ჩოგბურთის თამაშიც ძალიან მესიამოვნა. იმედია, ბილის მუხლი არ გაახსენებს თავს.

— ო, არა მგონია... მუხლის ტკივილი ხშირად აწუხებს, მაგრამ ჩქარა გაუვლის ხოლმე.

— კარგია, როცა ადამიანი ასეთი აზარტით ეკიდება ყველა საქმეს. პირდაპირ მშურს. ნეტავი მე მომცა მასეთი ენერგია.

— არც მე დავიწუწუნებდი... ო, ღმერთო ჩემო! ხუთი ფუნტის მოცემა რომ დაავიწყდა!

— ჩავის არა აქვს მნიშვნელობა.

— ძალიანაც აქვს! ახლავე წავალ და მოვიტან.

— არ მოიტანოთ, ბილი ერთხელ ბარში დამპატიჟებს და გამიმასპინძლდება. აი, ასე გადაეცით.

მორისი თავის მანქანაში ჩაჯდა, დაქოქა და შუშა ჩამოსწია.

— ეთიოპიაში წამოსვლაზე რა გადაწყვიტეთ?

ანამ თავი დაუქნია.

— ეგ როგორ გავიგოთ?

— რა თქმა უნდა, მოვდივარ, — ისე უპასუხა ანამ, თითქოს საზღვარგარეთ წასვლა დროის იმ მონაკვეთში კი არ გადაწყვიტა, სანამ მორისი „ბენტლიში" ჩაჯდებოდა, არამედ დიდი ხნით ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი და ბეჭედდასმული.

□

# იტალო კალვინო — იტალია —

## მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა დოდო მოწონელიძემ

### კვამლი, ქარი და საპნის ბუშტები

ფოსტალიონს ყოველდღიურად მოჰქონდა ჟურნალ-გაზეთები თუ ბარათები და მობინადრეთა საფოსტო ყუთებში აწყობდა. მხოლოდ მარკოვალდოს საფოსტო ყუთი იყო მუდამ ცარიელი, რადგან არასდროს არავინ უგზავნიდა წერილს. დროდადრო მოსული გაზის ან სინათლის ქვითარი რომ არა, მისი საფოსტო ყუთი ალბათ გაუქმდებოდა.

— მამა, ჩვენთან წერილი მოუტანიათ, — დაიყვირა ერთ დღეს მიქელინომ.

— რის წერილი, რა წერილი, — უთხრა მამამ, — რეკლამაა!

ყველა საფოსტო ყუთში იდო ორად მოკეცილი ყვითელი და ცისფერი ქაღალდი, რომელიც იუწყებოდა, რომ არ არსებობს „ბლანკასოლზე“ უკეთესი სარეცხი ფხვნილი და რომ ამ ყვითელ-ცისფერი კუპონის ქაღალდის მიმტანს შეუძლია უფასოდ მიიღოს სასწაულმოქმედი სარეცხი ფხვნილის ნიმუში.

რადგან ეს ქაღალდები გრძელი და ვიწრო იყო, ნაწილი საფოსტო ყუთის ჭუჭრუტანიდან გამოჩრილიყო. ნაწილი მიწაზე ეყარა, რადგან ზოგიერთი მობინადრე ყუთის გაღებისას იქვე ჰყრიდა ყოველგვარ სარეკლამო ლიტერატურას. მარკოვალდოს შვილებმა ფილიპეტომ, პეტრუჩომ და მიქელინომ გადაწყვიტეს შეეგროვებინათ „ბლანკასოლის“ კუპონების კოლექცია.

„ბლანკასოლის“ სარეკლამო კამპანია მთელ უბანს მოედო, თითოეულ ეზოსა და სადარბაზოს დაებატონა და ძმებმაც გადაწყვიტეს ხელში ჩაეგდოთ ყველა სადარბაზოსი და მთელი უბნის კუპონები.

ზოგი მეკარე ქალი მათ ყვირილით ერეკებოდა: „ავაზაკებო! რა გინდათ, გასაქურდად მოხვედით? ამ წუთას პოლიციას დავუძახებ!“ ზოგი კი, პირიქით, ძალიერ კმაყოფილი იყო იმით, რომ ბიჭები იქაურობას ყოველდღიურად ასუფთავებდნენ.

საღამოს მარკოვალდოს ორი ღარიბული ოთახი „ბლანკასოლის“ ფურცლებს ლურჯყვითლად აეჭრელებინა. ბავშვები ბანკში მომუშავე მოლარეებივით ათასჯერ ითვლიდნენ და დასტა-დასტა აწყობდნენ ამ ფურცლებს.

— მამა, შეხედე, რამდენი ფურცელი გვაქვს! ვინ იცის, იქნებ საკუთარი სამრეცხაოც მოვაწყოთ! — დაინტერესდა ფილიპეტო.

იმ დღეებში სარეცხი ფხვნილის მწარმოებლები ძალიერ ღელავდნენ. „ბლანკასოლის“ გამოლიმა სარეკლამო კამპანიამ მართლა შეაშფოთა მისი მოწინააღმდეგე ფირმები. საქონელი რომ არ ჩასწოლოდათ, ისინი მთელი ქალაქის საფოსტო ყუთებს ავსებდნენ თავიანთი კუპონებით, რაც მფლობელს უფლებას აძლევდა სარეცხი ფხვნილი უფასოდ შეეძინა.

ყოველ დილით საფოსტო ყუთები ისე ყვაოდა სარეკლამო კუპონებით, როგორც გაზაფხულზე ატმის ხეები. მწვანე, ვარდისფერი და ღია ნარინჯისფერ ზოლებიანი მუყაოს პატარა ფურცლები მოუწოდებდნენ დიასახლისებს — „სპუმადორის“, ან „ლავოლუქსის“, „სა-

პონილობას" და „ლომბიალინის" ფირმის ფხვნილებს მოეშვით, ჩვენი ფხვნილი იხმარეთ და ნახავთ, თქვენი თეთრეული რა ზღაპრულად და თოვლივით თეთრად იქათქათებსო.

ბავშვებისათვის კუპონებისა და უფასო ტალონების შეგროვება კიდევ უფრო დიდ ღონისძიებად გადაიქცა. დღითი დღე ფართოვდებოდა მათი სამოქმედო ასპარეზი, რადგან მეზობელი ქუჩების საღარბაზოებსაც დაეპატრონნენ.

ბუნებრივია, ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მეზობელი უბნის ბიჭები მიხვდნენ, სად მიდიოდა ყოველდღე მიქელინო თავის ძმებთან ერთად.

ბიბლიოთეკა

ქუჩის ფურცლები, რომლებსაც ადრე არავინ აქცევდა ყურადღებას, ახლა სასურველ ნადავლად გადაიქცა. ეს იყო სხვადასხვა ჯურის ჩხუბისათვის შეტაკების თავი, ის უბანი საღაც მეტი კუპონის შეგროვება შეიძლებოდა, ხდებოდა ნამდვილი ჩხუბისა და შეტაკებების მიზეზი. შემდეგ კი ერთმანეთში მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ. კუპონების მოპოვების ორგანიზებული სისტემა, რასაკვირველია, უფრო სარფიანი იყო, ვიდრე თავაწყვეტილი ძარცვა. კუპონების შეგროვება თანამიმდევრული და მოწესრიგებული გახდა. თქმა არ უნდა, ამ ამბავს ხელმძღვანელობდნენ და წარმართავდნენ ფილიპეტო, პეტრუჩო და მიქელინო, რადგანაც სწორედ ისინი იყვნენ ამ საქმიანობის თავკაცნი. მათ ისიც კი შესძლეს, სხვა ახალგაზრდები დაერწმუნებინათ, კუპონები საერთო საკუთრებაა და ერთ ადგილზე უნდა ინახებოდესო.

ბავშვებმა მოსვენება დაკარგეს. მეტისმეტი აღგზნებისაგან ღამე ძილი არ ეკარებოდათ, მომავლის გეგმებს ადგენდნენ.

— აუცილებელია ეს კუპონები გავანაღდოთ და სარეცხი ფხვნილი თავზე საყრელად გვექნება.

— სად წავიღებთ ამდენ ფხვნილს?

— სავაჭროს გავხსნით.

— იქნებ საწყობი გავხსნათ?

ყვავილებისა არ იყოს, რეკლამასაც თავისი დრო აქვს. რამდენიმე დღის შემდეგ დამთავრდა სარეცხი ფხვნილის სეზონი და ახლა საფოსტო ყუთებში გაჩნდა სარეკლამო განცხადებები [illegible].

— ხომ არ დავიწყოთ მათი შეგროვებაც? — წამოაყენა წინადადება ერთმა, მაგრამ ყველას გადასძალა იმ აზრმა, რაც შეიძლება მალე ექციათ ფულად სარეცხი ფხვნილის კუპონების სახით დაგროვილი სიმდიდრე. მოილაპარაკეს, წასულიყვნენ ერთი-ორ მაღაზიასა და სავაჭროში და ტალონები გაეცვალათ სარეცხ ფხვნილზე. ერთი შეხედვით ეს მარტივი საქმე, პირველთან შედარებით გაცილებით რთული შეიქნა და კიდევ გაჭიანურდა.

გადაწყვიტეს, ოპერაცია მხედრული წესისამებრ სხვადასხვა ადგილას ჩაეტარებინათ. ერთ დილაობით მხოლოდ ერთი ბიჭი უნდა მისულიყო ერთ მაღაზიასა ან დარდუბალში. ნებადართული იყო ერთდროულად სხვადასხვა მარკის სამი ან ოთხი კუპონის წარდგენა და თუ გამყიდველები უარს ეტყოდნენ კუპონების გადაცვლაზე და მისცემდნენ მხოლოდ ერთი მარკის ნიმუშს, მაშინ მათ უნდა ეთქვათ: დედაჩემს სურს გასინჯოს ყველა ფხვნილის ნიმუში, რათა გაიგოს, რომელია უკეთესი.

საქმეს ის ამბავიც ართულებდა, რომ წესისამებრ თითქმის ყველა სავაჭროში სარეცხი ფხვნილების უფასო ნიმუშებს აძლევდნენ მხოლოდ მათ, ვინც ამ მაღაზიაში ყიდულობდა საქონელს. ალბათ არასოდეს შეუმჩნევიათ დედებს, მათი შვილები ასე [illegible] გაქცეულიყვნენ მაღაზიაში რაიმეს საყიდლად, როგორც ახლა გარბოდნენ.

ამრიგად, ტალონების საქონლად ქცევა დიდი გაჭირვებით მიმდინარეობდა და მოითხოვდა [illegible] ხარჯებს, რადგან დედები არცთუ ისე ხშირად აგზავნიდნენ შვილებს მაღაზიაში. საჭირო [illegible] შესაქმნელად [illegible] დარჩენოდათ იმის გარდა, რომ შესდგომოდნენ [illegible], საქმიანობა: [illegible] სარეცხი ფხვნილი, [illegible] ფხვნილი სახლებში დაეყიდათ. ამისათვის კი [illegible] უნდა ჩამოევლოთ.

— [illegible], ხომ არ გიყიდოთ, ჩინებული ფხვნილია, [illegible] ნახავთ! — დიასახლისებს „[illegible]" ან „[illegible]" სთავაზობდნენ.

— რასაკვირველია მინდა, მომეცით, ოღონდ [illegible], — ეუბნებოდა [illegible] დიასახლისი და, [illegible] თუ არა ფხვნილს, კარს ცხვირწინ მოუჯახუნებდა.

— [illegible], ფული? — [illegible] მოწმეებს [illegible].

— რა ფული? განა ეს [illegible] უფასო არ არის? წადით აქედან, თაღლითებო!

თურმე სწორედ ამ დროს სახლიდან სახლში, ერთი სადარბაზოდან მეორეში თავად დადიოდნენ სხვადასხვა ფირმის რწმუნებულები და უფასოდ ტოვებდნენ სარეცხ ფხვნილს. ეს იყო ახალი სარეკლამო თავდასხმა, რომელიც მოაწყო ქიმიური სარეცხი ფხვნილების დარგობრივმა გაერთიანებამ მას შემდეგ, რაც უფასო პრემიალური კუპონების გასაღების კამპანიამ სრული კრახი განიცადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარკოვალდოს სახლი საწყობს დაემსგავსა, მაგრამ ისეთი ნაწარმის საწყობს, რომელსაც ერთი სოლდო მოგებაც კი არ მოჰქონდა.

და რა გასაკვირია, რომ ფირმების რწმუნებულებში ჩქარა გავრცელდა ხმა, ვიღაც ბიჭები სახლიდან სახლში დადიან და იმავე საქონელს ყიდიან, რასაც ჩვენ დიდი ხვეწნა-მუდარით უფასოდ ვთავაზობთ ხალხს.

ფირმის ხელმძღვანელებმა სპეციალისტებთან ერთად საჩქაროდ თათბირი მოიწვიეს და დაასკვნეს, რომ ასეთი მზაკვრული კონკურენცია შეეძლოთ მხოლოდ ნაქურდალი საქონლის გადამყიდველებს გაეწიათ.

პოლიციამ საჯაროდ დაგმო უცნობი ბოროტგანმზრახველნი და დაიწყო მთელი უბნის ჩხრეკა, რათა მოეძებნა მძარცველები და ნაქურდალი საქონელი.

უბრალო სარეცხის ფხვნილი დინამიტზე საშიში ხდებოდა. მარკოვალდო შეშინდა.

— აღარ დავინახო ჩვენს ოჯახში ეს ფხვნილი! მაგრამ სად წავიღო?

გადაწყდა, ბიჭები მდინარეში ჩაყრიდნენ.

... დილაუთენია ხიდზე გამოჩნდნენ პეტრუჩიო და მისი ძმები, რომლებიც სარეცხი ფხვნილით დატვირთულ ურიკას დიდის გაჭირვებით მიათრევდნენ. მათ კიდევ სხვა ურიკა მოჰყვა, რომელსაც მარკოვალდოს მოპირდაპირე სახლის მეკარე ქალის ვაჟიშვილი მოაგორებდა, შემდეგ კიდევ და კიდევ... შუა ხიდზე გაჩერდნენ, გზა მისცეს მოტოციკლისტს, გეგონებოდათ რომ უყურებდა ბიჭებს.

პირველად მიქელინომ გადაყარა ფხვნილით სავსე კოლოფები.

— სულელო, ვერა ხედავ, ტივტივებენ? — დაუძახა ფილიპეტომ. — მდინარეში ფხვნილი უნდა ჩავყაროთ და არა კოლოფები!

ბიჭები კოლოფებს ქსნიდნენ და მალე თეთრი ფხვიერი ღრუბელი წყლის ზედაპირს მოეფინა. ტალღები თითქოს ნთქავდა თეთრ საფარს, მაგრამ დროდადრო ისევ გამოჩნდებოდა პატარ-პატარა მორევებში, ხოლო შემდეგ ფსკერზე იშლებოდა.

— საქმე ჩინებულად მიდის! — ამბობდნენ ბიჭები და ყრიდნენ და ყრიდნენ მდინარეში ფხვნილს. იქვე, ხიდს გაღმა ჩქერი იყო, რომელსაც ერთი მეტრის სიმაღლიდან აწყდებოდა თეთრად აქაფებული ფხვნილის დიდ-დიდი გაბერილი ბუშტები. საპნის ქაფი ისე მიიწევდა სულ მაღლა და მაღლა და ისე იბერებოდა, თითქოს სხვადასხვა საწარმოები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ერთი ნახეთ, ჩვენი გამოშვებული ფხვნილი როგორ ქაფდებაო. ძლიერმა საპნის ქაფმა დაფარა, მეთევზეებმა, რომლებიც რეზინის ჩექმებით მუხლამდე იდგნენ წყალში, სწრაფად აკრიფეს თავისი ანკესები და იქაურობას გაეცალნენ.

დაუბერა დილის ნიავმა, წყლის ზედაპირიდან მოსწყდა და გაფრინდა საპნის ბუშტების ჰაეროვანი და ფუმფულა კონწიალა.

ბიჭები მოჯადოებულივით შესცქეროდნენ, როგორ მიჰქროდნენ ფერადი ბუშტები მაღლა-მაღლა. ბუშტებს ჰაერის ცხელი ნაკადი მიაფრენდა მთელი ქალაქის თავზე, მალე კონწიალები დაიშალა და ბუშტები ახლა ცალ-ცალკე მიფრინავდნენ სხვადასხვა სიმაღლეზე, სხვადასხვა სისწრაფითა და მიმართულებით.

ქარს სულ მაღლა და მაღლა მიჰქონდა ქაფის ნაფლეთები, ქაფიანი ზვირთები და საპნის ბუშტები, რომლებიც გაცისკროვნებული გირლიანდებად გადაჭიმულიყო მთელ ცაზე, მავთულებსა და ანტენებს ზემოთ (მზის ალმაცერმა სხივებმა ახლა ერთიანად დაიპყრეს ქალაქი და მდინარე).

მუშები თუხთუხა მოპედებით ფაბრიკებში მიიჩქაროდნენ, მათ ისე მოეჩვენებოდათ მოწმენდილ ლაჟვარდოვანი ცაზე, თითქოს საქვეყნო გრძელი ფერადი მძივით საპნის ბუშტების ლამაზი კონწიალა.

უცებ ტრამვაიდან მოისმა:

— ერთი შეხედეთ, რა ამბავია იქ, მაღლა? — ღრჭიალით ტრამვაი გაჩერდა და ქუჩაში გავიდა. მგზავრები მიჰყვნენ. ყველანი ცისკენ იყურებოდნენ. გაჩერდნენ ველოსიპედები, მოპედები, მანქანები, გაზეთის გამყიდველები, მეფუნთუშეები, ქვეითები და მათ შორის მარკოვალდოც.

— ატომური ომი ხომ არ არის?! — შეშფოთდა ვიღაც ლედაბერი და ხალხიც შიშმა აიტაცა.

ამ დროს ერთმა კაცმა დაინახა, ბუშტი მის მხარზე რომ დაეშვა. კაცმა დაიძახა, რადიოაქტიურიაო, და თავქუდმოგლეჯილმა მოკურცხლა. ზოგრამ ბუშტები ისევ ცაში დანავარდობდნენ, მოკაშკაშენი, მსუბუქნი და ისე ნაზი და სიცოცხლით სავსენი, რომ სა[illegible] ერთი მსუბუქი შებერვა და... აღარ იქნებოდნენ.

— დაწყევლილო ქიმიკოსებო, რომელ რადიოაქტიურობაზე ლაპარაკობთ? ეს ხომ საპონია, ეს ხომ საპნის ბუშტებია, ბავშვები რომ თამაშობენ ხოლმე!

საპნის ბუშტები ერთმანეთს ერწყმოდნენ, ორმაგდებოდნენ, სამმაგდებოდნენ, ხოლო ცა, სახურავები, ცათამბჯენები ამ გამჭვირვალე თვლების ფონზე ისეთი ლამაზი ჩანდა, რომლის მსგავსიც არავის ენახა არასდროს.

ქარხნის მილებიდან შავი კვამლი ამოვარდა, საპნის ბუშტების გუნდი კვამლის ღრუბლებს დაეჯახა, ცა ორად გაიყო შავმა კვამლმა და მოკაშკაშე ბუშტებმა. გეგონებოდათ, ეს თითქოს ბუშტები ქარიშხალსაც შეებრძოდნენ, ჯერ ხელში სწვდებოდნენ აქ მხრჩოლავ მილებს, მაგრამ სულ მალე აირ-ღრუბლის ყოველივე — კვამლმა საპნის ქაფის ცისარტყელა დაფარა, ხოლო საპნის მარმაშა ბუშტები ლურჯიეით ... ჭვარტლს — სრულიად აღარაფრის გარჩევა აღარ შეიძლებოდა. მარკოვალდო შესცქეროდა ცას და უცებ მის თვალწინ გაქრნენ საპნის მოკაშკაშე ბუშტები და შერჩა მხოლოდ კვამლი, მხოლოდ კვამლი...

□

## სხვა გაჩერებაზე

მათთვის, ვისაც მოწყენილობით გული უწუხს არცთუ მაინცდამაინც სტუმართმოყვარე სახლში, გაუთავებელი და ცივი საღამოების დროს კინოთეატრი სწორედ რომ ხსნა არის.

მარკოვალდოს ფერადი პანორამული ფილმები იტაცებდა, მოსწონდა ფართო ჰორიზონტები, პრერიებს, კლდოვან მთებს, ეკვატორულ ტყეებსა და იმ კუნძულებს რომ ხედავდა, სადაც აბორიგენები თავზე ყვავილების გვირგვინებს ატარებენ.

მარკოვალდო ფილმს ორჯერ ზედიზედ ნახულობდა, კინოთეატრიდან ყველაზე ბოლოს გამოდიოდა, მაგრამ კინოში რაც იქ იყო, ქუჩაშიც ხანას ადგილებში, ისევ იმ პეიზაჟით სუნთქავდა და იმავე ფერებს შეიგრძნობდა. წვიმიან საღამოს ჩვეულებრივზე აღარ უნდა დაბრუნებულიყო შინ, გაჩერებაზე უნდა დალოდებოდა № 30 ტრამვაის; ეს ტრამვაი, შუქნიშნები, ნახევრად მიწური ბინა, გაზქურის სადამოურები, წვრილ-წვრილი მუშური სავახშმოები და ქაღალდში შეხვეული სადილი, ყველაფერი ის, რაც მისი ერთფეროვანი ცხოვრების მოსაწყენ სცენარს შეადგენდა, რაც ნანახი ფილმის ბრწყინვალებას აფერმკრთალებდა და თავად ქალის სულს უზომო ნაღველით ავსებდა.

იმ საღამოს შორეულ ინდოეთში გადაღებული ფილმი ნახა: ჭაობიან ტყეებს ორთქლი ამდიოდა, ლიანებსა და ჯუნგლებში მიკარგული ძველი ტაძრების ქანდაკებებზე გველები დაცოცავდნენ.

კინოთეატრიდან ქუჩაში გასული მარკოვალდო თვალებს ხან ხუჭავდა, ხან ახელდა, სრულიად ვერაფერს ვერ ხედავდა, თვალთან მიტანილ საკუთარ თითსაც კი.

სანამ მარკოვალდო ფილმს უყურებდა, ქალაქი ნისლის სქელ ბურუსში გახვეულიყო. ბურუსი ფარავდა და ახშობდა ყველაფერს, ბგერებს, ჩრდილებს, წყვდიადში ჩაძირული ქუჩის სინათლეები და უფორმო თვალისმომჭრელ შუქად გადაიქცა.

მარკოვალდო ჩვეულებისამებრ გაემართა ტრამვაის გაჩერებისაკენ და ცხვირით აფიშას დაეჯახა, ამ წუთებში თავი თითქმის ბედნიერ კაცად იგრძნო. იგივე ნისლი, რომელმაც ყოველივე დაფარა მის გარშემო, საშუალებას აძლევდა ისევ თვალწინ წარმოედგინა ჩინებული სანახაობანი.

არც თუ ძალიან ციოდა, გეგონებოდა, ქალაქმა ნისლი თბილი საბანივით გადაიფარაო.

მარკოვალდო პალტოში გაეხვია და თავი დამალა — ტროტუარები შეჯგუფებულან რას დამალულებიო; ამ სიცარიელეში თავისუფალ ადამიანად მიაჩნდა თავი. შუქმა და სიცარიელემ ინდოეთის, განგის, ჯუნგლებისა და კალკუტის ფერადოვანი სახეებით აავსო და ააჭრელა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზარის წკრიალით მოვიდა ტრამვაი, აჩრდილივით ჩაჯდა ბინდში.

ყველაფერი არსებობს გარკვეულ დრომდე. მარკოვალდოსათვის კი იმ საღამოს ეს ტრამვაი, მისი უკანა ბაქანი, სადაც ის მგზავრებისაკენ ზურგშექცეული იდგა და ფანჯრიდან გაჰყურებდა ღამის სიცარიელეს, სადაც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სინათლის თვალისმომჭრელი ელვარება და შავი უკუნი, სწორედ ის საუკეთესო ადგილი იყო, სადაც შეიძლებოდა თვალგახელილი ეოცნება.

ოცნებაში ჩაძირულ მარკოვალდოს გაჩერებების სათვალავი აერია. ნეტავი სადა ვარო, გაიფიქრა. ტრამვაი თითქმის ცარიელი იყო. ფანჯარაში გაიხედა, სინათლის მკრთალი ანარეკლის მიხედვით გაისახელვრა, შემდეგ გაჩერებაზე უნდა ჩამოვიდეო, სწრაფად გასწია გასასვლელისაკენ და ჩავიდა. მერე შემობრუნდა, დააკვირდა იქაურობას, მაგრამ ერთნაირ ნისლში არეულ ჩრდილსა და შუქში ვერაფრით ვერ აღმოაჩინა ერთი ნაცნობი წერტილი მაინც. ეტყობა, თავის გაჩერებაზე არ ჩამოსულა და არც იცოდა, სად იმყოფებოდა. უსათუოდ ვინმეს უნდა ჰკითხოს, საით წავიდეო. მაგრამ მივარდნილი ადგილი ჩანდა, გვიანიც იყო, ამიტომაც — სახლიდან? და ადამიანის ჭაჭანებაც არ ისმოდა არსაიდან.

მარკოვალდო გაემართა რომელიღაც ვიწრო შუქის მიმართულებით. ეს შუქი ნისლგან მომრგვალებული მოჩანდა, ქუჩის მეორე მხარეს, მაგრამ ამ შუქამდე მანძილი უზომოდ დიდი აღმოჩნდა. უნდა გადაეჭრა ბალახით დაფარული რომელიღაცა მოედანი, უნდა გაეცდინოდა ისრებს (ერთადერთი ნაცნობი ნიშანი), რომლებიც მიუთითებდნენ, ამ ადგილის მახლობლად აუცილებლად უნდა მოეხვედრა.

მართალია, უკვე გვიან იყო, მაგრამ იქნებ ჯერ არ დაეკეტათ რომელიმე კაფე ან სასაუზმე, განათებული აბრით „ბარი", რომელიც გაჭირვებით ამოიკითხა, უეცრად ჩაქრა.

სინათლის ორიენტირი უნდა ამოეჩინა. მარკოვალდო თავისი აზრით იქითკენ კი გაემართა, მაგრამ დაბამდველებით ვერ გარკვეულიყო, სწორად მივდიოდი, არც ის იცოდა, შუქი, რომლისაკენაც მიისწრაფოდა, იყო თუ არა ის, რაც პირველად დაინახა, თუ ორმაგდებოდა; ხან ნაწილად ჰყოფდა და ადგილს იცვლიდა. ისეთი მსგავსი წყლის მტვერი, რომელიც ჰაერს ერტყა, ისეთი წვრილი იყო, რომ მარკოვალდომ იგრძნო, ღრუბელივით იჟღინთებოდა მისი პალტო.

ეს სინათლე რომელიღაცა სასაუზმის ვიტრინის შესასვლელი აღმოჩნდა. სასაუზმე ხალხით იყო სავსე. ზოგს ფეხები სკამებზე ჰქონდა შემოწყობილი. ცუდად განათებული თუ ქუჩიდან შემოპარული ნისლის ბრალი იყო, რომ მარკოვალდოს ადამიანები „ფოკუსის გარეშე" წარმოესახნენ, ისე ეგონა, ძველი დროის ან შორეული უცხო ქვეყნების იმ ტავერნების სტუმრები იყვნენ, კინოში რომ უჩვენებენო.

— ნუ გეწყინებათ... იქნებ იცით... პანკრაციუსის ქუჩას,— დაიწყო მარკოვალდომ, მაგრამ სასაუზმეში ყაყანი იდგა. შეზარხოშებულ კაცებს ეგონათ, ისიც ჩვენსავით მთვრალიაო და ამიტომ მისი შეკითხვა და მათი პასუხიც ბუნდოვანი და როგორღაც „ფოკუსის გარეშე" რჩებოდა. რომ გამობრძანებულიყო, მან ხომ სასმელი შეუკვეთა, უფრო სწორად, იქ მან ჯერ ერთი ჭიქა დაალევინეს ძალად, შემდეგ კიდევ ორი ჭიქა მიაყოლებინეს, ახლა სხვებმა გამოიღეს თავი და გაუმასპინძლდნენ. ერთი სიტყვით, სასაუზმიდან რომ გამოვიდა, სახლისაკენ მიმავალ გზაზე ისეთივე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, როგორც სასაუზმეში შესვლისას.

ღვინის სამმა ჭიქამ აღგზნებულმა მარკოვალდომ გზა განაგრძო, კარგა ნახევარი საათი იარა. ნისლი თანდათანობით ქრებოდა მის თვალწინ, სამაგიეროდ, გონება უწინდებურად დაბინდულიყო. გაახსენდა; სასაუზმეში რომ უთხრეს, პირდაპირ იარეო, მერე კი ასიოდე მეტრს რომ გაივლი, ვინმეს ჰკითხე და გეტყვიანო. მაგრამ ეს ასი მეტრი ვერ გამოითვალა და უაზროდ განაგრძო გზა.

ეს ადგილები უკაცრიელი ეგონებოდა. აგურის შენობის მილმა, ალბათ ქარხნის ეზოა. ერთ კუთხეში აბრა ეკიდა, მარკოვალდოს აზრით ქუჩის სახელი უნდა ყოფილიყო დაწერილი, მაგრამ შუა ქუჩაში დაკიდებული ნათურის შუქი იქამდე ვერ აღწევდა და წარწერას ვერ ამოიკითხა. მარკოვალდო აფოფხდა ფოლადის ვიწრო მილზე, რომელიც მან-

ქუჩების დგომის ამკრძალავი ნიშანი იყო. ლამის ცხვირით მიეჩხირებოდა საგზაო ნიშანს, მაგრამ წარწერა მაინც ვერ გაარჩია. არც ასანთი ჰქონდა ჯიბეში. ღობის თავზე აღმართულიყო სწორი განიერი კედელი. მარკოვალდო ფოლადის მილს აჰყვა და [illegible] კედელზე. კედლის გვერდით დიდი მოთეთრო ფარი შეამჩნია, აქ ფარანი კარგად ანათებდა შავ ასოებს თეთრ ფონზე. მარკოვალდომ წაიკითხა კიდეც წარწერა: „უცხო პირთათვის შესვლა სასტიკად აკრძალულია", მაგრამ ვერც ეს წარწერა შველოდა [illegible] ყოფაა.

კედელი საკმაოდ ფართო იყო, თავისუფლად შეიძლებოდა ზედ გავლა. ალბათ რომ თქვას, აქ უკეთესიც იყო, ვიდრე ქუჩაში, ფარნები კარგად ანათებდა კედლის ნაპირს და უკუნეთიდან გამოჰყოფდა ნათელ ზოლს. ერთ ადგილას კედელი დამთავრდა და მარკოვალდო რამდენიმე [illegible] თავში აღმოჩნდა. მაგრამ არა — კედელი აქ ოთხმოცდაათი გრადუსით უხვევდა და კვლავ გრძელდებოდა.

ათასნაირი მიხვეულ-მოხვეული კუთხეებისა და გზაჯვარედინების გამო მარკოვალდოს მარშრუტმა ბუნდოვანი მოხაზულობა მიიღო. როდესაც ეგონა, სადაც კედელი უნდა დამთავრდესო, შეამჩნია, რომ ახლა სხვა მიმართულებით გრძელდებოდა. მარკოვალდოს საბოლოოდ აერია თავგზა, აღარ იცოდა, საით მიდიოდა, საიდან უნდა გადამხტარიყო, რომ კვლავ ქუჩაში აღმოჩენილიყო. ადვილი სათქმელია გადმოხტომა... იქნებ კედელი აქ უფრო მაღალია, ვიდრე იქ, სადაც პირველად ავიდა. მარკოვალდო მიუჯდა კაპიტელს და ცდილობდა დაენახა, რა იყო იქ, დაბლა, მაგრამ სინათლის არც ერთი სხივი არ აღწევდა დედამიწამდე. რომ გადახტეს, იქნებ სულაც არ არის მაღალი, ან ვინ იცის, იქნებ ღრმა უფსკრულში მოადინოს ზღართანი!

სხვა გზა არ იყო, მარკოვალდოს კედელზე უნდა გაეგრძელებინა სიარული.

ხსნა მალე მოევლინა, მარკოვალდომ დაინახა რაღაც მოთეთრო ზედაპირი, რომელიც კედელს ეკვროდა, იქნებ შენობის ბეტონის სახურავი იყო. ამას მარკოვალდო უცებ შეხედა, მაგრამ მალევე ინანა. უკვე აღარც იცოდა. წარმოდგენა არ ჰქონდა სად მიდიოდა და სულ უფრო და უფრო შორდებოდა ფარნებს. ყოველი გადადგმული ნაბიჯი ან სახურავის ნაპირამდე ან უფრო შორსა და შორს, ირგვლივ ჩამოწოლილი სიცარიელისკენ წაიყვანდა.

ქვემოთ, საკმაოდ შორს, პატარა სინათლეები მოჩანდა და თუ ეს სინათლეები ქუჩის ფარნებისა იყო, მაშინ მიწაც შესაბამისად უფრო დაბლა უნდა ყოფილიყო.

მარკოვალდო უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ისეთ მდგომარეობაში, რომლის წარმოდგენაც კი ძნელია.

დროდადრო მის თავზე იელვებდა თანავარსკვლავედივით განლაგებული წითელი და მწვანე შუქი.

მარკოვალდო დაძაბული ათვალიერებდა ქვემოთ სინათლეებს. იგი გაუფრთხილებლად დაიხარა, დაჰკარგა წონასწორობა, გადადგა ერთი ნაბიჯი და... ჩავარდა...

— მოვიდა აღსასრული! — იფიქრა მან, მაგრამ იმწამსვე მიხვდა, მინდორში უვნებლად ჩამოვარდნილიყო, ხელით ბალახიც მოსინჯა. თურმე სინათლეები, აქ შორს რომ ეჩვენებოდა მარკოვალდოს, მართლაც ფარნებისა აღმოჩნდა, თუმცა ფარნები ზედ მიწაზე [illegible], გზას მაინც კარგად ანათებდა. ახლა მარკოვალდო ასფალტზე მიაბიჯებდა, რომელიც მიწიდან ამოსული კაშკაშა სინათლით იყო განათებული. ირგვლივ კი [illegible] იყო და მეტი არაფერი.

— ამ [illegible] გზამ საითმე ხომ უნდა მიმიყვანოს? — იფიქრა მარკოვალდომ და გადაწყვიტა გაჰყოლოდა ამ გზას. მალე იგი გზაჯვარედინთან აღმოჩნდა. აქაც გზის გასწვრივ მიწა [illegible] პატარა-პატარა ფარნებით იყო მოფენილი.

მარკოვალდომ აღარ იცოდა რა ექნა, სულ ერთია, რომელი გზაც არ უნდა აერჩია, ირგვლივ მხოლოდ გადაჭიმული მინდორი და ნისლით დაბურული სიცარიელე იყო. სწორედ ამ დროს მოციმციმე ნათურები დაინახა, მაგრამ მიწაზე კი არა, ცოტა უფრო მაღლა, კაცის სიმაღლეზე. მართლაც, ვიღაც კაცს, რომელსაც მარკოვალდოს აზრით, ყვითელი ტანისამოსი ეცვა, ხელები გაეშალა და განათებულ ჯოხებს ატრიალებდა.

აქოშინებული მარკოვალდო მიეჭრა კაცს და დაუყვირა: — მიშველეთ... მე აგერ ვარ, აი, აქ, ნისლში, იქნებ როგორმე მომეხმაროთ!

— ნუ სწუხართ, — დინჯად და თავაზიანად უთხრა ყვითელტანისამოსიანმა, — ათასი

მეტრის სიმაღლეზე არავითარი ნისლი არ არის, აქ საშიში არაფერია! კიბე [illegible], წინ, დასარჩენები უკვე დასხდნენ!

მარკოვალდომ, მართალია, იმ კაცს ვერაფერი გაუგო, მაგრამ სიმხნევით კი აღივსო. ყველაზე მეტად ის უხაროდა, რომ აქ ახლომახლო ადამიანები იყვნენ, ამიტომ ზედმეტი შეკითხვებით თავი აღარ მოაბეზრა კაცს და ხალხის შესახვედრად გაეშურა. მოაჯირიან კიბეს მალე მიადგა, კიბეს, რომელსაც ასასვლელად მოხერხებული საფეხურები და ორივე მხარეს თეთრი მოაჯირი ჰქონდა. მარკოვალდოს ეგონა, კიბის თავში სახლომიანი ქალიშვილი ისე გულთბილად მიესალმა, რომ მარკოვალდოს ეჭვიც კი შეეპარა, გემში ხომ არ [illegible]. სიცივითა და სინესტით ერთიანად გალეშილი მარკოვალდო თვალს არ უჯერებდა, რომ ბოლოს და ბოლოს იპოვა თავშესაფარი რომელიღაც ჰოლში. შევიდა შიგ და ელვარემ სინათლის შუქმა თვალები მოსჭრა. არა, ეს სახლი არ იყო. „ალბათ ავტობუსში ვარ, — იფიქრა მან, — გრძელ ავტობუსში, სადაც უამრავი თავისუფალი ადგილია“. იგი დაჯდა ერთ ადგილზე და მოხერხებულად მოიკალათა. სიმართლე, ის შინ ტრამვაით ბრუნდებოდა ხოლმე, რადგან ტრამვაის ბილეთი შედარებით იაფი იყო, ამჯერად კი მას გზა დაებნა და ისე შორს წავიდა, რომ აქ, ალბათ მხოლოდ ავტობუსები თუ დადიან, — რა ბედნიერებაა, რომ დროზე მოუსწრო, ალბათ ბოლო რეისია!

მარკოვალდომ ახლა მტკიცედ გადაწყვიტა, ყოველთვის ავტობუსით ემგზავრა, რა ვუყოთ მერე, რომ ავტობუსის მგზავრებმა რაღაც-რაღაცები უნდა შეასრულონ („ყურადღება, — ისმოდა ხმა დინამიკიდან, — პაპიროსი არ მოსწიოთ და შეიკარით დამცველი ქამრები!“), ხოლო მოტორი ყურისწამღებად გუგუნებდა.

რიგებს შორის ვიღაც ფორმიანმა კაცმა გაიარა.

— ბოდიშს გიხდით, ბატონო კონდუქტორო, — უთხრა მას მარკოვალდომ. — იქნებ მითხრათ, არის თუ არა გაჩერება პანკრაციო პანკრაციეტის ქუჩაზე?

— რას ბრძანებთ, სენიორ! პირველი გაჩერება ბომბეიშია. მერე კალკუტასა და სინგაპურში...

მარკოვალდომ გარშემო მიმოიხედა... სავარძლებში ისხდნენ წვეროსანი და ჩალმიანი დარბაისელი ინდოელები. დაქარგულ სარიში გახვეული შუბლზე ხალიანი ქალიც ჩანდა.

...როდესაც თვითმფრინავმა გაარღვია ნისლი და ძალიან დიდ სიმაღლეზე აფრინდა, სარკმლებს მიღმა ცა საოცრად ვარსკვლავიანი იყო...

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალი სიხარულიძე

# „ორი საუფლოს" მხილველი

„მხოლოდ მას შეუძლია ჭეშმარიტად განადიდოს სიცოცხლე, ვინც სიკვდილს განადიდებს".

**რ. მ. რილკე**

„სიცოცხლის სიყვარულის ორი სახეობა არსებობს: ერთმა არაფერი იცის სიკვდილისა. ეს არის მარტივი, მოტლანქო სიყვარული; მეორე კი ის სიყვარულია, რომელსაც კარგადაც აქვს სიკვდილი შეგნებული. ჩემის აზრით, მხოლოდ ასეთ სიყვარულს აქვს სულიერი ღირებულება. სიცოცხლისადმი ასეთი სიყვარული მხატვრის, პოეტის, მწერლის თვისებაა".

**თ. მანი**

სიკვდილის თემა რილკეს შემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა. ადრეული პერიოდიდან მოყოლებული მისი პოეზია ყოფიერების ამ კარდინალური საკითხის გარშემო ტრიალებს და ცდილობს სიტყვაში მის გამოხატვას. სიკვდილის თემას რილკე ეხება დღიურებსა და წერილებში, პროზაულ ნაწარმოებებსა და ლექსებში. წერილებში პოეტი, ძირითადად, თავის თვალსაზრისს აყალიბებს სიკვდილზე, პოეზიაში კი ეს თვალსაზრისი პოეტურ სახეებშია გაცხადებული.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ რილკე პირდაპირ არასოდეს არ აყენებს კითხვას სიკვდილის რაობაზე, ან კიდევ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელებისა თუ რეინკარნაციის შესაძლებლობაზე. იგი თავს არიდებს სიკვდილის ერთაზროვან განსაზღვრებას. მას უფრო სწორ გზად მიაჩნია, სიკვდილი, ყოფიერების ერთ-ერთ უდიდეს საიდუმლოებად მიიჩნიოს, ვიდრე საფუძველს მოკლებულ, ხეტად რეალურ ფიზიკურ აქტად. რილკეს საერთოდ არ მოსწონს არც ერთი მოძღვრება, რომელიც ამ საკითხს დოგმატურად უდგება, მათ შორის ქრისტიანული თვალსაზრისიც. იგი თვლის, რომ სხვა ჰიპოთეზის გვერდით ქრისტიანულსაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ცათა შინა სასუფევლის ქადაგება საშიშად მიაჩნია, რადგან იდეა იმქვეყნიური ცხოვრების შესაძლებლობისა ნაკლებ განსაზღვრულს, ნაკლებ მიწიერს ხდის ადამიანს ამქვეყნად. ამიტომ არასწორია არსებული რელიგიების ტენდენცია, რომელიც ცდილობს დაამშვიდოს ადამიანი და შეულამაზოს მას სიკვდილი, ნაცვლად იმისა, რომ ასწავლოს, როგორ შეეგუოს მას.

რილკეს მიერ სიკვდილზე გამოთქმულ მრავალ ფორმულირებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია „საკუთარი სიკვდილის" („Der eigene Tod") იდეა. რილკე განასხვავებს

„საკუთარსა“[1] და „არასაკუთარ“ სიკვდილს. ერთ-ერთ ადრეულ პიესაში შავი ჭირის ეპიდემიისაგან გამოწვეულ სიკვდილზე პოეტი წერს, რომ იგი „უცხო“ („ein fremder Tod“), „არა ჩვენი“ („nicht unser Tod“) სიკვდილია, რადგან შემთხვევით შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და ამდენად არაორგანულია. აქ პოეტი ყურადღებას ამახვილებს იმ აზრზე, რასაც შემდგომში გარკვეულ თვალსაზრისად აყალიბებს: სიკვდილი ყოველი ადამიანის პირადული აქტია.

ბიბლიოთეკა

„საკუთარი“ და „არასაკუთარი“ სიკვდილის სინონიმებია „დიდი“ და „პატარა“ სიკვდილი („Der grosse“, „der kleine Tod“). ამ ცნებებს რილკე დიდი კაპიტალისტური ქალაქის განცდის საფუძველზე აკონკრეტებს. „ჟამნის“ მესამე ნაწილში იგი აღწერს თანამედროვე დიდი ქალაქის ცხოვრებას და ხაზს უსვამს მისთვის დამახასიათებელ ადამიანთა გაუცხოებასა და სულიერ დეგრადაციას.

დიდი ქალაქის რეალობა აღარიბებს, აუფერულებს ადამიანის სულიერ ცხოვრებას და შესაბამისად მის სიკვდილსაც. თანამედროვე კაპიტალისტური ცივილიზაცია, განურჩევლად იმისა, მდიდარია ადამიანი თუ ღარიბი, კლავს მასში პიროვნულს, ინდივიდუალურს, ამიტომ მისი ხვედრი „პატარა“ სიკვდილია, „დიდი“, „საკუთარი“ სიკვდილი ვერ ასწრებს „მომწიფებას“ და „მწვანე ნაყოფად“ „კვდება“ ადამიანში.

ეს აზრი დიდი პოეტური სიმძაფრითაა გამოხატული რილკეს პროზაულ ნაწარმოებში „მალთე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“.

პარიზში ახალი შემოქმედებითი გზების საძიებლად ჩასულ ახალგაზრდა დანიელ პოეტს, მალთეს შიში იპყრობს. ეს შიში თანამედროვე დიდი კაპიტალისტური ცხოვრების ნაყოფია, შედეგი იმ შემაძრწუნებელი შთაბეჭდილებისა, რომელსაც პარიზი ახდენს მგრძნობიარე ჭაბუკის სულზე. მალთე იწყებს სიკვდილზე ფიქრს. იგი აანალიზებს თანამედროვე ადამიანის სიკვდილს და, შეწუხებული, ამჩნევს, რომ ადამიანთა უმრავლესობა ახლა „ფაბრიკული წესით“ კვდება და არა საკუთარი სიკვდილით. „თუ ქლოდვიგის დროს საავადმყოფოში მხოლოდ რამდენიმე საწოლზე კვდებოდნენ, ახლა იმავე საავადმყოფოში 559 საწოლზე კვდებიან... ფაბრიკული წესით. ასეთი დიდი პროდუქტიულობისას ცალკეული სიკვდილი არ სრულდება ისე კარგად, მაგრამ ამას არავინ აქცევს ყურადღებას. მთავარი — რაოდენობაა. დღეს, ჩვენს დროში ვინ მისცემს რამეს კარგად დამუშავებულ სიკვდილში („gut ausgearbeiteter Tod“)? არავინ. თვით მდიდრებიც, რომლებსაც თითქოსდა ყველა პირობა აქვთ, კარგად ჩაატარონ სიკვდილი, დაუდევრად და გულგრილად უყურებენ ამ საქმეს. საკუთარი სიკვდილით სიკვდილის სურვილი სულ უფრო და უფრო იშვიათი ხდება. კიდევ ცოტაც და იგი ისეთივე იშვიათობა გახდება, როგორც საკუთარი ცხოვრება. ღმერთო ჩემო, ყველაფერი მზამზარეულადაა მოცემული. ადამიანი დაბადებისთანავე პოულობს გამზადებულ ცხოვრებას და მარტო ისღა დარჩენია, ტანსაცმელივით გადაიცვას იგი... სიკვდილითაც ასევე კვდება, როგორც მოხვდება“[2].

ამის საპირისპიროდ მალთე იგონებს ბაბუამისის, კამერჰერ ბრიგეს სიკვდილს: „ბაბუაჩემი, კამერჰერი ბრიგე... საკუთარ თავში ატარებდა სიკვდილს, და რა სიკვდილი იყო ეს: ...ორი თვით გაბატონდა იგი კამერჰერის მამულში და ისე ხმამაღლა ყვიროდა, მბრძანებლობდა, რომ მემამულის დიდი, ძველებური სახლიც ვეღარ იტევდა მას... ეს იყო ავი, თავადური სიკვდილი, კამერჰერი თან რომ დაატარებდა მთელი სიცოცხლე და საკუთარი სისხლით კვებავდა. დარჩენილი სიამაყე, გოროზობა და თვითნებობა, რომლის დახარჯვაც სიცოცხლეში ვერ მოასწრო, მან სიკვდილზე გადაიტანა... კამერჰერი კვდებოდა მძიმედ, მაგრამ საკუთარი სიკვდილით“. (SW., 6. S. 715; 720).

მალთეს აზრით, წინაპრების სიკვდილი ნამდვილი იყო: იგი ორგანულად იყო პიროვნებასთან დაკავშირებული და მისი ცხოვრების შესატყვის დასასრულს წარმოადგენდა: „წინათ ადამიანებმა იცოდნენ (ყოველ შემთხვევაში გრძნობდნენ), რომ სიკვდილს ისე დაატარებდნენ თან, როგორც ნაყოფი თესლს. ბავშვები იტევდნენ პატარა სიკვდილს, დიდები — დიდს... მთავარი ის იყო, რომ იგი უკვე მოცემული იყო თითოეულში და სწორედ ეს ანიჭებდა მათ არაჩვეულებრივ ღირსებასა და სიამაყეს“. (SW. 6. S. 715).

[1] „საკუთარი სიკვდილის“ ცნება რილკემ დანიელი მწერლის იენს პეტერ იაკობსენისაგან აიღო, მაგრამ თავისებური გააზრება მისცა მას.

[2] R. M. Rilke. Sämtliche Werke. Frankfurt/Main, 1976. Bd. 6. S. 713—714.
შემდგომში ციტირება ამავე გამოცემის ტომეულებიდან: SW....

რილკე სიკვდილს „ნაყოფის" („Die Frucht") სახით წარმოგვიდგენს, რომელიც ყოველ ადამიანშია ჩათესილი. სწორედ ამ თვალსაზრისით ამბობს იგი, რომ „თითქოს ქალები ორ ნაყოფს ატარებენ: ბავშვსა და სიკვდილს"; ამ თვალსაზრისით უწოდებს იგი ადამიანს „სიკვდილის დამბადებელს" („Der Tod — Gebärer").

ადამიანმა თავისი სიცოცხლე ისე უნდა წარმართოს, რომ სიკვდილი, როგორც შინაგანი „ნაყოფი" — საკუთარ თავში მოამწიფოს და მერე „დაბადოს" ანუ როგორც [illegible] „კარგად შეიმუშაოს" („gut ausarbeiten") იგი, რადგან მხოლოდ „დიდი", „საკუთარი" სიკვდილის განხორციელებით შესძლებს ადამიანი თავისი არსებობის სრულყოფილ დასრულებას. ამიტომ ევედრება პოეტი ღმერთს: „მიეც ყოველ ჩვენგანს საკუთარი სიკვდილი". „საკუთარი სიკვდილის" პოზიტიური იდეა „მწიფე ნაყოფის" პოეტურ სახეშია სიმბოლიზებული. მას უპირისპირდება „პატარა სიკვდილის" ნეგატიურობა „მწვანე" (grün), „მოუმწიფებელი" („unreif") ნაყოფის სახით. „საკუთარი სიკვდილი" ადამიანის ღრმა და ინტენსიური სულიერი ცხოვრების შედეგია, „პატარა" კი მისი სულის ორგანული ზრდის უნარის დაკარგვის მეტაფორაა.

„საკუთარი სიკვდილის" ცნებას რილკე უპირველეს ყოვლისა ხელოვანის ეგზისტენციასა და შემოქმედებით აქტს უკავშირებს. ტრიადა: ცხოვრება — შემოქმედება — სიკვდილი რილკესთვის სამება და ერთარსებაა. ცალკეული მათგანი ჰერმეტულად შეკრული „წმიდა" მთელის აუცილებელი კომპონენტია.

რილკეს აზრით, იცხოვრო, ნიშნავს — შექმნა და ამით შეასრულო ამქვეყნიური მისია. შემოქმედება ადამიანს გზას უხსნის „დიდი", „საკუთარი" სიკვდილისაკენ და ამავე დროს კვლავ სიცოცხლისაკენ, რადგან შექმნილი „არათანამოკვდავია" („Nicht-mitsterbendes"), რითაც მისი შემქმნელი უკვდავების ზიარი ხდება და სიკვდილი მისთვის კარგავს შემაშფოთებელ სიმძაფრეს. მაგრამ თუ ადამიანი უარს ამბობს შემოქმედებაზე, „გარდამქმნელ მუშაობაზე" („verwandelnde Arbeit"), მისთვის სიკვდილთან შეხვედრა შემაძრწუნებელი უნდა იყოს (აქ რილკე ლევ ტოლსტოის გულისხმობს, რომელმაც შემოქმედების გარკვეულ მონაკვეთში ზურგი შეაქცია ხელოვნებას). რილკეს ინტერპრეტაციით ტოლსტოის დამოკიდებულება სიკვდილთან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო „გრანდიოზული, გამსჭვალავი შიში, რაღაც შიშის ფუგის მაგვარი, გიგანტური მანქანების შიშის კოშკის მსგავსი, გასასვლელებითა და უმოაჯირო კიბეებით და დაკარგული გადასახედებით"[1].

რილკეს შემოქმედების ცნობილი მკვლევარი ოტო ბოლნოვი პოეტისეულ სიკვდილის გაგებას ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის თვალსაზრისით უდგება.

ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის არსებითი პრობლემაა საკითხი — რა დამოკიდებულებაშია ადამიანი საკუთარ სიკვდილთან. მას აინტერესებს — რას ნიშნავს სიკვდილი ცხოვრებისათვის, რომლის მომავალ დასასრულსაც იგი წარმოადგენს, და არა სიკვდილი, რომელიც ოდესმე დადგება. ადამიანის, ანუ, როგორც კირკეგორი უწოდებს მას, „ეგზისტენციალური მოაზროვნის" („der existierende Denker") მიზანია — სიკვდილი ეგზისტენციალურად შეიმეცნოს: იგი ცხოვრებაში „ჩართოს", ცხოვრებაში ჩააქსოვოს მასზე ფიქრი, რადგან სიკვდილის სწორი გააზრება მთელ ცხოვრებას რადიკალურად გარდაქმნის.

„ადამიანის ცხოვრებაში, — ვკითხულობთ რილკეს „ვორპსვედეს დღიურში", — დგება მომენტი, როცა იგი აცნობიერებს სიკვდილს და ეს მომენტი მისი ცხოვრების ყველაზე ამაღლებული და სრულყოფილი მომენტია"[2].

---

[1] R. M. Rilke. Briefe in 2 Bdn. Wiesbaden, 1950, Bd. 2, S. 57—58. რილკეს დამოკიდებულება ტოლსტოის მიმართ გაორებულია. ერთის მხრივ, ტოლსტოი მისთვის „დიდი, ძალზე დიდი მწერალია", „მარადიული რუსი" („ewiger Russe"), რუსული სულის სიმბოლო; მეორეს მხრივ, მხცოვანი ტოლსტოის მიერ ხელოვნების უარყოფა მიუღებელია გერმანელი პოეტისათვის, რომლისთვისაც შემოქმედება არსებობის ტოლფასი ცნებაა.

[2] მსგავს თვალსაზრისს ვხვდებით ჯერ კიდევ ერთი საუკუნით ადრე გერმანელი მწერლის ჟან პოლ რიხტერის 1790 წ. 15 ნოემბრის დღიურში: „დაუვიწყარი საღამო, — წერს 27 წლის რიხტერი, — ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საღამოა: დღეს შევიგრძენი ნააზრევი სიკვდილის. 15 ნოემბერი დაუვიწყარია ყოველ ჩვენგანს ცხოვრებაში 15 ნოემბრით".

ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის თვალსაზრისით, სიკვდილთან მიმართებაში ნუგეშზე არ არის ლაპარაკი, რომელიც სიკვდილის ამა თუ იმ განმარტებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. სიცოცხლისადმი სწორი დამოკიდებულება იბადება სწორედ შეშფოთებიდან, რომელსაც იწვევს სიკვდილის შიში. სიკვდილის ეგზისტენციალისტური გაგება ამ შიშის დაძლევაა. რაც მთავარია, ეგზისტენციალიზმის ყურადღება იქითკენაა მიმართული, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიკვდილის გარდუვალობის წინასწარ ცოდნას ადამიანის ცხოვრებისათვის და რამდენად ამზადებს ეს ცოდნა მას მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები.

ისევე, როგორც ეგზისტენციალისტები, რილკე თვლის, რომ ადამიანი სიკვდილის გარდუვალობის შეცნობას არ უნდა გაურბოდეს და თავს არ უნდა იმშვიდებდეს, რადგან თავის დამშვიდება ლაჩრულს ხდის მას. ადამიანის სიცოცხლე სიკვდილის გარშემო უნდა ტრიალებდეს. სიკვდილზე ფიქრი მან ცხოვრების მასტიმულირებელ ძალად უნდა განიხილოს. რილკეს „საკუთარი" და „არასაკუთარი", „დიდი" და „პატარა" სიკვდილი იმ აზრის პოეტური ილუსტრაციაა, რომ სიკვდილი ცხოვრების ორგანული ნაწილი და მისი მაორგანიზებელი ფაქტორია. ადამიანი, რომელსაც შეგნებული აქვს სიკვდილის გარდუვალობა, სიკვდილს „კარგად შეიმუშავებს" და დიდი, „საკუთარი" სიკვდილით მოკვდება, იმ სიკვდილით, რომელიც ყოველი სუბიექტის ინდივიდუალური ცხოვრებიდან გამომდინარეობს[1].

თუ რა მნიშვნელობა აქვს სიკვდილის გარდუვალობის ცოდნას ადამიანის ცხოვრებისათვის და რა გავლენას ახდენს ეს ცოდნა მის ცხოვრებაზე, ამ თემას ეხება რილკეს ლექსი „სიკვდილის განცდა" („Todes-Erfahrung").

ცხოვრება ამ ლექსში სცენად და სცენაზე მსახიობთა თითქოსდაყოფილ თამაშადაა წარმოდგენილი: ადამიანი ცხოვრებაში ამა თუ იმ როლს თამაშობს, მაგრამ თამაშობს არა უბრალოდ, არა უშუალოდ, არამედ თამაშობს და თან ეფექტზე ფიქრობს.

უცებ სიტუაცია იცვლება. ცვლილებას ახლობელი ადამიანის გარდაცვალება იწვევს. მისი წასვლით სცენაზე ჩნდება ნაპრალი, რომლიდანაც იჭრება „ნამდვილობის ზოლი" („ein Streifen Wirklichkeit")[2]. ადამიანი აგრძელებს თამაშს, მაგრამ ამჯერად გარდაცვლილი წარმართავს მის მოქმედებას. თუმცა ეს უკანასკნელი გამოთიშულია თამაშიდან, მაგრამ მისი „უხილავი არსებობა" ზემოქმედებს დარჩენილზე და ამ უკანასკნელის ყალბ თამაშს ცვლის ნამდვილით. ადამიანი აღარ „თავდავიწყებით" თამაშობს და აღარ ფიქრობს თავმოწონებაზე. ლექსის თემაა არა სიკვდილის რაობა, რომლის შესახებაც რილკეს აზრით ადამიანმა „არაფერი იცის", რადგან სიკვდილი შეუცნობი, განუზომელი და დაუსაბუთებელი ფაქტია, არამედ სიკვდილის განცდა (Erfahrung des Todes) და ის, თუ როგორ ცვლის ეს განცდა ადამიანის ცხოვრებას. სიკვდილის განცდას ეფექტისათვის გამიზნულ თამაშში ანუ „არანამდვილ" ცხოვრებაში (სცენა და როლი „არანამდვილი" — „unecht" — ცხოვრების სიმბოლოებია) შემოაქვს „ნამდვილობა" („Wirklichkeit"). „თავდავიწყებული თამაში", როცა ადამიანი აღარ ზრუნავს მაყურებლების მოწონებაზე, ნამდვილი ცხოვრების მეტაფორაა. ასეთი თამაში მაშინაა შესაძლებელი, როცა ადამიანმა იცის სიკვდილი. სიკვდილის განცდა ცვლის ყოფიერების აღქმას: იგი გზას ხსნის უფრო მაღალი, უფრო ღრმა რეალობისაკენ.

რილკეს სიკვდილის ფილოსოფია ზოგიერთ საკითხში უკავშირდება ეგზისტენციალიზმს (საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა რილკე გატაცებით კითხულობდა კირკეგორს და სულიერ სიახლოვეს გრძნობდა მასთან), მაგრამ რილკე სცილდება სიკვდილის ეგზისტენციალისტურ გაგებას და ირაციონალურ თვალსაზრისს ავითარებს მასზე.

---

[1] შდრ. ჰაიდეგერის ცნებები „ავთენტური" და „არაავთენტური არსებობა". ავთენტური არსებობა ადამიანის მიერ თავისი სასრულობისა და ერთადერთობის შეგრძნებაა. ავთენტური არსებობისას ადამიანი მხოლოდ სიკვდილის აქტის წინაშე აღწევს. არაავთენტური კი ის არსებობაა, რომელმაც არ იცის სიკვდილი, როგორც წმინდა ინდივიდუალური აქტი. M. Heidegger. Sein und Zeit, Tübingen, 1960.

[2] ცნება „Wirklichkeit" რილკესთან ბევრ შემთხვევაში არა მარტო სინამდვილის, რეალობის მნიშვნელობითაა ნახმარი, არამედ „ნამდვილის", „ნამდვილობის".

სიკვდილის რილკესეული განმარტება მისი მსოფლგაგების საერთო სურათის ნაწილია. რილკე სამყაროს იაზრებს როგორც ერთ დიდ მთელს. სამყარო, მისი აზრით, ურთიერთგანმსჭვალველი საწყისების ერთიანობაა. ეს შეხედულება განაპირობებს სიკვდილის მისეულ აღქმასაც.

რილკეს მსჯელობა სიკვდილზე არ შემოიფარგლება ეპისტოლარული სფეროთი. პოეტი a priori აცხადებს დებულებას, რომ სიკვდილი და სიცოცხლე ერთ [illegible] „Leben und Tod: sie sind im Kerne Eines". (SW. 2. S. 252).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„როგორც მთვარეს, ისე სიცოცხლესაც ჩვენგან მარად შებრუნებული მხარე აქვს, რომელიც კი არ უპირისპირდება მას, არამედ ავსებს და ყოფიერების წრიულობა და მთლიან სფეროდ აქცევს"[1], — ვკითხულობთ რილკეს ერთ-ერთ წერილში.

ადამიანმა სიტყვა „სიკვდილი" ნეგაციის გარეშე უნდა წაიკითხოს. სიტყვა „სიკვდილი" საშიშია, როცა მას ცალკე წარმოვთქვამთ, მაგრამ თუ მას სხვა სიტყვებთან შეფარდებაში ვხმარობთ, იგი კარგავს სიმძაფრეს, რადგან მაშინ მხოლოდ მთელის ნაწილია, — ამბობს რილკეს ერთ-ერთი პიესის გმირი. (SW. 1. S. 220).

სიკვდილ-სიცოცხლის სფეროთა მთლიანობის იდეიდან გამომდინარე სიკვდილი და მკვდართა საუფლო სხვა განზომილებას იძენს. მიმართება, რომელიც აქტიურად არსებობს ადამიანებს შორის, არ წყდება მათი დაცილების — სიკვდილის — შემდეგაც.

„ახლა სიკვდილისადმი ასეთი დამოკიდებულება მაქვს, — წერს პოეტი, — რომ ამ ადამიანთა სიკვდილი უფრო მაშინებს, რომლებიც სიცოცხლეში განვიცადე ან სათანადოდ ვერ შევიცანი, ვიდრე იმათი, ვისაც ვიცნობდი და ვინც ნამდვილად მიყვარდა... კაცმა შეიძლება მხოლოდ ის დაკარგოს, რასაც არ ფლობს". მაგრამ ადამიანი თუ სიცოცხლეში „ჭეშმარიტად გრძნობდა მეორესთან კავშირს", მაშინ ეს კავშირი „უკვდავია", რადგან იგი „თავისი ბუნებით არა მარტო ამქვეყნიურია: მას ფესვები იმ დაუსაბამებელსა და ღვთიურ განუზომელ სივრცეში აქვს გადგმული, სადაც ყველაფერი, რაც ნამდვილად გვიყვარდა, გარანტირებული და დაცულია".

ჩვენგან წასული სხვა, ჩვენთვის უხილავ, სფეროში გადადის. ეს სფერო საიდუმლოებით მოცული მკვდართა ახალი ყოფაა, რომლის შესახებაც ადამიანმა „არაფერი იცის", მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას, იგი შესაზარად წარმოვიდგინოთ. ამ აზრს რილკე პოეტურად გვიხატავს ლექსში „სატრფოს სიკვდილი" („Der Tod der Geliebten"). საყვარელი ადამიანის დაკარგვა დარჩენილს სიკვდილთან აახლოებს, რომლის შესახებაც მანამდე მხოლოდ ის იცოდა, რომ იგი „გვართმევს და მდუმარებისაკენ „გვადუმებს". მაგრამ, როცა სატრფომ „უხილავ არსებათა სამყაროში" გადაინაცვლა, მან „იგრძნო", რომ არსებები „ბავშვური ღიმილით" იღიმებიან. ამ განცდამ დარჩენილს მკვდართა საუფლო „კეთილ და ტკბილ მხარედ" წარმოუდგინა.

რილკეს სიკვდილის თემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივია „ნაადრევად წასულნი" („Die Früheentrückten").

ადამიანი ნაადრევ სიკვდილს აღიქვამს როგორც შემაძრწუნებელ უსამართლობას. ერთის მხრივ, მართლაც უსამართლობაა ცხოვრებაში ახლად ფეხადგმული მოზარდის მოწყვეტა მანამ, „ეს-ეს არის შესწავლილ ჩვევებს", სურვილებსა და იმედებს. ამ წარმოდგენაში ადამიანი სამუდამოდ იღებს არა მთელ ყოფიერებას, რომელიც სიკვდილსაც მოიცავს და სიცოცხლესაც, არამედ მარტო სიცოცხლეს. ასეთი მიდგომა არასწორია, რილკეს აზრით, ადამიანი „ძალზედ განასხვავებს" სიკვდილისა და სიცოცხლის სფეროებს. ეს იმიტომ, რომ იგი „განმარტავს" სამყაროს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მოვლენას განსაზღვრული ლოგიკური კატეგორიებით უდგება („განმარტებულ" სამყაროში სიკვდილი დასასრულადაა მიჩნეული, სიცოცხლე — დასაწყისად). მაგრამ თუ სიკვდილ-სიცოცხლის სფეროებს შორის განსხვავებას მოვხსნით (ანგელოზისათვის, მაგალითად, ეს განსხვავება მოხსნილია)[2] და მთელიდან გამომდინარე შევხედავთ სიკვდილს (თუნდაც ნაადრევს), მაშინ „ნაადრევად წასულნი" სხვა რეალობაში წარმოგვიდგებიან: „გადაჩვეულნი, დედის მკერდს". შეგუებულნი ახალ

[1]. R. M. Rilke. Br. in 2 Bdn., Bd. 2. S. 391.

[2] რილკეს ანგელოზს არავითარი კავშირი არა აქვს ქრისტიანულ ზეცასთან. იგი იდეალური, სრულქმნილი არსებაა, რომელსაც ღმერთმა ჭეშმარიტების წვდომის აბსოლუტური უნარი უბოძა. რილკეს ანგელოზი სრულყოფილი ტრანსცენდენტის სიმბოლოა.

არსებობას, ისინი „სავსე" არიან თავიანთი „ახალი ყოფით", რომელიც ბუნებრივ მდგომარეობად იქცა მათთვის.

ამ თვალსაზრისის მხატვრული ილუსტრაციაა ლექსი „ორფეოსი. ევრიდიკე. ჰერმესი". ტრადიციული თემა — ორფეოსის ქვესკნელში ჩასვლა და ჯადოსნური ლირით მოჯადოებული გარდაცვლილი მეუღლის ჰადესიდან დახსნის ცდა — ლექსში არ დგას წინა პლანზე (თუმცა ორფიკული სიმღერის ძალა მასში ხაზგასმულია). ბერძნული მითის საფუძველზე რილკე იძლევა საკუთარი პრობლემის — სიკვდილ-სიცოცხლის სფეროთა ერთიანობის — მხატვრულ გააზრებას. ლექსის თემაა ევრიდიკეს სიკვდილი და მკვდრად ყოფნა. ნაადრევად გარდაცვლილი ევრიდიკე არ ლამობს მიწაზე დაბრუნებას. ყოველგვარი ემოციებისაგან დაცლილი, იგი მინდობია სულების მეგზურის — ჰერმესის ხელს და არ ფიქრობს არც წინმიმავალ ორფეოსზე და არც სიცოცხლისაკენ აღმავალ გზაზე. იგი მშვიდი, აუჩქარებელი ნაბიჯით უკან მიჰყვება ჰადესიდან მის ამოსაყვანად ჩასულ ქმარს და ასევე მშვიდი, აუჩქარებელი ნაბიჯით ბრუნდება მკვდართა სამეფოში, როცა ორფეოსი არღვევს პირობას, რითაც ის სამუდამოდ კარგავს საყვარელ არსებას. მითისა და ანტიკური მწერლების ევრიდიკესაგან განსხვავებით, რომლებიც გვიხატავენ ევრიდიკეს უსაზღვრო წუხილს ორფეოსთან მეორე განშორების გამო, რილკეს ევრიდიკე გულისტკივილის გარეშე უბრუნდება მკვდრად ყოფნას, რომელიც სიცოცხლესთან შედარებით სავსებით სხვა ყოფნაა და რომლისთვისაც უცხოა მოუსვენრობა და სხვა ემოცია (სიკვდილი ადამიანის ინდივიდუალობის ანულირებაა და ამიტომაა, რომ ორფეოსის ხილვა თუ დაკარგვა ევრიდიკეში არ იწვევს რაიმე გრძნობას). ევრიდიკე მხოლოდ და მხოლოდ თავისი სიკვდილით, თავისი ახალი, დროით განუზომელი არსებობითაა დაკავებული („beschäftigt"). როგორც მწიფე „ხილი სიტკბოთი და სიბნელით", ისე იგი „სავსე თავისი დიდი სიკვდილით". იგი „გრძელ გაშლილ თმასავითაა განფენილი" და „უხვადაა გაცემული". ევრიდიკეს სიკვდილის ასეთი განმარტება სხვა არაფერია, თუ არა დაბრუნება საკუთრივ ყოფიერებაში, რომელიც დასაბამს აძლევს ინდივიდუალურ ცხოვრებას, რომ იგი, თავის მხრივ, კვლავ დაუბრუნდეს პირველსაწყისს.

სიკვდილ-სიცოცხლის სფეროთა მთლიანობის იდეიდან გამომდინარე ნაადრევი სიკვდილიც ბუნების „სამართლიანობად" განიხილება. მაგრამ მეორე მხრივ, თავის ცნობილ რექვიემებში — მეგობარი ქალისა და გრაფ ფონ კალკროითისადმი[1] რილკე დასტირის მათ ადრე წასვლას. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ახალგაზრდა შემოქმედებზე, რომლებიც სიკვდილმა „ამოგლიჯა მომავალი წარმატებებიდან". ამგვარად მათ ვერ მოასწრეს შემოქმედებითი ძალების მომწიფება და ვერ განახორციელეს „საკუთარი სიკვდილი", რომელიც მათი ცხოვრების შესატყვისი დაგვირგვინება იქნებოდა. ამიტომაა რომ პაულა და კალკროითი კარგად ვერ გრძნობენ თავს „მკვდრად ყოფნაში" („im Totsein"). რილკეს აზრით, ამქვეყნად „არსიცოცხლე" („Nichtmehrleben") ჯერ კიდევ არ არის „მკვდრად ყოფნა" („Das Totsein"). მკვდრად ყოფნა არსებობის განსაკუთრებული ფორმაა, და არაფერთან შემთხვევაში ნეგატიური. იგი ნიშნავს — ჩაუბრუნდეს მიწას, ჩაერთოს მარადიულ კოსმიურ წრებრუნვაში და დაბრუნებული ახალი დასაწყისის წინაპირობად იქცეს. პაულას, ევრიდიკესაგან განსხვავებით, უჭირს ახალ მდგომარეობასთან შეგუება. იგი ვერ „ისვენებს" სიკვდილში, „ენატრება" მიწა და მიწიერი საგნები, და ეს იმიტომ, რომ, ვერ მოასწრო თავისი სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების დახარჯვა, ამდენად ვერ მოამწიფა საკუთარ თავში თავისი ცხოვრების ორგანული დასასრული. პაულა, ისევე როგორც კალკროითი, მოკვდა „არა საკუთარი „სიკვდილით" და ეს ხელს უშლის მას — „შინ იყოს სიკვდილში" („zuhaus im Totsein").

სიკვდილ-სიცოცხლის ერთიანობის იდეა ჯერ კიდევ რილკეს შემოქმედების ადრეულ პერიოდშია მოცემული. ამ იდეას იგი ამოსავალ წერტილად იღებს და ცდილობს მის პოეტურ სიტყვაში გაცხადებას.

„ჩემი სამუშაოს ერთადერთი აზრი, შეიძლება ითქვას, ამ შეხედულების დასაბუთებაა"[2], — წერს პოეტი.

---

[1] „რექვიემი მეგობარი ქალისადმი" ეძღვნება ნიჭიერ ექსპრესიონისტ მხატვარს პაულა მოდერზონ-ბეკერს, რომელიც ახალგაზრდა გარდაიცვალა. რილკე პირადად იცნობდა პაულას და დიდ იმედებს ამყარებდა მის ნიჭზე. მეორე რექვიემი, მიძღვნილია პოეტ კალკროითისადმი, რომელმაც 19 წლისამ თავი მოიკლა და ვერ მიაღწია შემოქმედებით სიმწიფეს.

[2] R. M. Rilke, Briefe in 2 Bänden, Wiesbaden, 1950, Bd. 2, S. 381.

სიკვდილის საკითხი რილკეს პოეზიაში დგას არა როგორც ფილოსოფიური პრობლემა, არამედ უპირველეს ყოვლისა როგორც მხატვრული ამოცანა და იგი პოეტური ხერხებით ცდილობს მის გადაჭრას, რადგან პოეზიის ენა საგანთა არსთან, ყოფიერებასთან მისასვლელი გზაა მისთვის.

რილკე ცდილობს სახელი მოუძებნოს სიკვდილ-სიცოცხლის სფეროთა ერთიანობას. თუმცა ასეთი ცდა გამოუთქმელის გამოთქმის პარადოქსულ ცდად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ, რილკეს აზრით, თუ საგანსა და მოვლენას სახელს მოვუნახავთ, [illegible]ებით მის არსამდე მივწვდებით. მართალია, რაიმეს სახელდებით ხშირად სრულად ვერ გამოვხატავთ, მაგრამ შესაძლოა „მაგიურ შეძახილში" ენამ მიაღწიოს იმას, რომ „ყოფიერებამ სიტყვაში თავისი საიდუმლოებით მთლიანი სახე დაგვანახოს".

სიკვდილ-სიცოცხლის სფეროთა ერთიანობისათვის სახელის მიცემის ცდაა ცნება „ღია" — „Das Offene", რაც ზღვარდაუდებელ, თავისუფალ, „უსაზღვრო" სივრცეს ნიშნავს. რილკესთან იგი წმინდა ყოფიერების, ჰარმონიული მთელის სიმბოლოა. ამ ცნების განმარტებას რილკე მერვე დუინურ ელეგიაში იძლევა. ელეგიის თემაა ადამიანის მოწყვეტა ბუნების კალთისაგან და მისგან გამოყოფა, რასაც პოეტი ადამიანისა და ცხოველის დაპირისპირებით გვიჩვენებს. ელეგია იწყება დებულებით, რომ ყოველი სულიერი, ცხოველი იქნება ის თუ მწერი („Die Kreatur"), ხედავს „ღიას". მხოლოდ ადამიანის მზერაა „შებრუნებული" — იგი წინ, „ღიასკენ" კი არ არის მიმართული, არამედ „უკან", „გამოსახულებისაკენ"[1] („Die Gestaltung").

ადამიანისა და ცხოველის მზერათა დაპირისპირებით რილკე ხაზს უსვამს ცხოველის, როგორც არსების, სრულყოფილებას.

რით არის ცხოველი ადამიანზე უფრო სრულქმნილი არსება? ცხოველი (მწერი) ადამიანზე უფრო „დაცანებულია" („geborgen") აწყვეტნაც: იგი არ არის მოწყვეტილი ბუნების კალთას და მთელის ჰარმონიული ნაწილია. ცხოველის ცნობიერება „არაისტორიულია": მან არ იცის წარსული და მომავალი; მის ცნობიერებაში მხოლოდ აწმყო არსებობს და იგი „მარადიულია" მასში. ცხოველისაგან განსხვავებით ადამიანი გამოთიშულია ბუნების ერთიანობიდან და შინაგანად „არამთელი", „დანაწილებულია". ადამიანის ბუნების საშოდან მოწყვეტა იმით არის განპირობებული, რომ ადამიანი „შეცნობილი" („bewußt") არსებაა. შეცნობილი არსებობის წყალობით იგი „განმარტავს" („deutet") სამყაროს. „განმარტებული" სამყარო დაპირისპირებას გულისხმობს. „დაპირისპირება" („Das Gegenüber") რილკეს ენაზე ნიშნავს ერთიდეგ „ბედისწერას" („Das Schicksal"), ანუ იგივე თეზა და ანტითეზა, სილამაზე და სიმახინჯე, სიძლიერე და უძლურება, ყვავილობა და ჭკნობა, წარსული და მომავალი, სიკვდილი და სიცოცხლე. ცხოველებს არა აქვთ „ჩვენნაირი ცნობიერება" („Bewußtheit unserer Art") და, შესაბამისად, არც ბედისწერა. თუმცა ცხოველიც, ადამიანის მსგავსად, წარმავლობის კანონს ემორჩილება, მაგრამ მისი გონება „თავისუფალია სიკვდილისაგან" („frei von Tod"). სიკვდილისაგან თავისუფალი ცხოველის მზერა არ არის მიპყრობილი საკუთარი თავისაკენ, მომავლისაკენ ან სხვა რომელიმე საგნისაკენ, რომელიც დაუპირდაპირდებოდა მას ხედვის არეს. ამიტომაა, რომ ცხოველი „ყველა თვალით" („mit allen Augen") ხედავს „ღიას".

ყვავილსაც აქვს „ღიას" დანახვის უპირატესობა. ყვავილის ეგზისტენცია (როგორც ცხოველისა) გარკვეული ინტერპრეტაციის ფარგლებში იდეალურია. ყვავილის არსებობა „ღიაა", ღიაა იმით, რომ ყვავილი „მიწის ერთგულია"; იგი არ მოსწყდა თავის საფუძველს და მოთმინებით ელისება, „წმინდა და მდიდარი, დგას" მისთვის განკუთვნილ ადგილზე და სრულყოფილად გადის შინაგანი განვითარების გზას. რილკეს პოეტურ ენაზე ყვავილის „შინაგან სრბოლას ერთ დაიწყება ერთი ერთი მორჩენილი".

ყვავილი სამყაროს იმავე კანონზომიერებას ემორჩილება, რაც ადამიანის არსებობას უდევს საფუძვლად. იგი იზრდება, იფურჩქნება და აღწევს ზღვარს, როცა ჭკნობა უნდა დაიწყოს, მაგრამ მას არ აშინებს წარმავლობის შიში. იგი „უზრუნველად" („sorglos") და „შეუპოვრად" („entschlossen") ეგებება დასასრულს. ეს თვისებები ყვავილს „ღიას" ხედვის, უფრო მეტიც, „ღიაში" არსებობის შესაძლებლობას უქმნის: „ყვავილები უსასრულოდ იშლებიან" მასში.

[1] „გამოსახულება" განმარტებული სამყაროს სინონიმი და „ღიას" საპირისპირო ცნებაა.

რაც შეეხება ადამიანს, რილკე სამ კატეგორიას გამოჰყოფს, რომელთაც შეიძლებოდა წილად ხვდომოდათ „ღიას" დანახვა: ერთია ბავშვი, რომლის დაუმახინჯებელი ცნობიერება თავისუფალია განმარტებებისაგან. ბავშვობა „შეუცნობი სურვილის" ბედნიერი მდგომარეობაა, რომელმაც არ იცის მიზანი და გარკვეულობა. იგი გულგახსნილი შესცქერის სამყაროს, მაგრამ ჩვენ „ვაფხიზლებთ" მას და „გამოსადეგობისაკენ" მივმართავთ, რითაც ვაიძულებთ სამყარო ლოგიკური კატეგორიებისა და აბსტრაქტული ცნებების ჩარჩოებში აღიქვას.

„ღიასთან" მიახლოება ნაწილობრივ შეუძლია „მოყვარულსაც"[1] („Der Liebende"). საყვარელი არსება რომ არ უჩრდილავდეს ხედვის არეს, მოყვარული იმდენად თავისი გრძნობით დაკავებული, რომ ცალკეულ საგნებს ჰარმონიულ მთლიანობაში აღიქვამს, ეს კი „წმინდა სივრცის" დანახვის წინაპირობაა. მაგრამ მისი გრძნობის ინტენსიობა საყვარელ არსებაზეა კონცენტრირებული, იგია მისი „განმარტების" საგნად ქცეული და ამიტომ ვერ ხედავს „ღიას".

ადამიანმა „ღიას" მხოლოდ სიკვდილის წინ შეიძლება მოჰკრას თვალი. უშუალოდ სიკვდილის პირისპირ მდგომი, თავისუფალია იგი მომავალ დასასრულზე ფიქრისაგან (სიკვდილი უკვე აწმყოდაა ქცეული). ასეთ სიტუაციაში ადამიანი ცხოვრების დიდი მზერითაა მიმართული „ღიას" და, შესაძლოა, ხედავს კიდეც მას.

სხვა შემთხვევაში სიკვდილის გარდუვალობის მჭვრეტ ადამიანს, რომლის ცნობიერება კონკრეტულ საგნებზეა მიჯაჭვული, სიკვდილი იქნება ეს თუ სხვა რამ, დაკარგული აქვს თავისუფალი მზერის უნარი და იგი „ღიას" მხოლოდ ანარეკლს ხედავს საგნებზე და არა საკუთრივ მას.

შებრუნებული ხედვა, რომელიც ხელს უშლის ადამიანს „წმინდა სივრცის" დანახვაში, ადამიანის ხვედრის ტრაგიზმია, რადგანაც იგია მიზეზი ბუნების პირმთლიანობიდან მისი გამოყოფისა. მაგრამ სწორედ ამ შებრუნებული ხედვის წყალობითაა ადამიანი ერთადერთი მიწიერი არსება, რომელიც არა მარტო „განმარტავს" სამყაროს, არამედ „გარდაქმნის" და „სახეს" აძლევს მას (სამყაროს „გარდაქმნა" „განმარტების" საპირისპიროდ პოზიტიური აქტია).

ადამიანის არსებობის ტრაგედია ის არის, რომ იგი „შეგნებული" („bewußt") არსებაა და მას „ბედისწერა" („Das Schicksal") აქვს. მწერი და ცხოველი „უბედისწეროა" და ამდენად „ნეტარი", მაგრამ მოისურვებდა ადამიანი ასეთ ნეტარებას? (სიკვდილის ცნობისაგან თავისუფალი ცხოველის და მწერის ნეტარება რილკეს, ცხადია, არ მიაჩნია ჭეშმარიტ ნეტარებად. წინააღმდეგ შემთხვევაში ცნობიერი ცხოვრება მიწიერი უბედურება იქნებოდა).

ადამიანი ცდილობს გაექცეს ბედისწერას, რადგან იგი მტანჯველია, მაგრამ იმავე დროს მიისწრაფვის მისკენ. „რატომ?" — კითხულობს რილკე მეცხრე დუინურ ელეგიაში და პასუხობს, „იმიტომ რომ აქ ყოფნა ბევრს ნიშნავს" — („Hiersein ist viel"). იმიტომ რომ მიწას სჭირდება ადამიანი, თუმცა იგი ყველაზე უფრო წარმავალია წარმავალთ შორის (ადამიანი იმითაა სხვებზე უფრო წარმავალი, რომ მან იცის თავისი წარმავლობა, სხვა სულიერი კი დაზღვეულია ამ ცოდნისაგან და ამდენად „მარადიულია"). მაგრამ სწორედ ადამიანის წარმავლობა განაპირობებს „მიწის დავალებას" („Auftrag der Erde"), რომელიც მიწის „გარდაქმნაში" („Verwandlung der Erde") გამოიხატება და რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის უპირატესობაა.

ადამიანს ერთხელ ხვდება წილად აქ ყოფნა და ის „ერთხელ" მან „მიწიერად" უნდა გაატაროს. ცხოვრების მიწიერად გატარება რილკეს ენაზე „ხილულის" „უხილავად" გარდაქმნას გულისხმობს.

ვიტოლდ ჰულევიჩისადმი მიწერილ წერილში რილკე ასეთ კომენტარს უკეთებს „ხილულის" „უხილავად" გარდაქმნას: „ჩვენი მოხმარებისა და საჭიროების საგნები შემთხვევითი და წარმავალნი არიან; მაგრამ ვიდრე ვარსებობთ, ისინი ჩვენი საკუთრება და ჩვენი მეგობრებია: ჩვენი ჭირ-ვარამისა და სიხარულის თანამგზავრები, ისევე, როგორც ჩვენი მამა-პაპებისათვის იყვნენ ჩვენამდე. ამიტომ ყოველივე აქაური კი არ უნდა დავაკნინოთ და დავამდაბლოთ, პირიქით, სწორედ მათი დროებითობის გამო, რითაც ისინი

[1] ბავშვი და „მოყვარული" რილკესთან იდეალური სახეებია, რომლებიც საგანთა და მოვლენათა აღქმის განსაკუთრებული უნარით არიან დაჯილდოებულნი.

ჩვენს ბედს იზიარებენ. ეს საგნები და მოვლენები ჩვენი შინაგანი გრძნობით უნდა შევიმეცნოთ და გარდავქმნათ. გარდავქმნათ? დიახ, რადგან ჩვენი ამოცანაა დროებითი, წარმავალი მიწა ისე ღრმად, ისე მგზნებარედ და ისეთი ტკივილით შევიბეჭდოთ სულში, რომ მისი არსი „უხილავად" კვლავ აღსდგეს ჩვენში"[1]. მიწას არა აქვს სხვა თავშესაფარი, თუ არ ადამიანის სული, და „ხილულის" „უხილავად" გარდაქმნაც სხვა არაფერია, თუ არ ადამიანის სულიერი აქტივობის შემწეობით საგანთა ახალ, უფრო [illegible]ში გადაყვანა. უფრო მაღალი რეალობა სულიერების სფეროა, კონკრეტულ [illegible] — სიტყვიერი ხელოვნებისა. მიწის „გარდაქმნას" რილკე სხვაგვარად „საგანთა თქმას" („Sagen der Dinge") უწოდებს. სიტყვას „თქმა" განსაკუთრებული მახვილი აქვს რილკესთან დასმული. ეს „თქმა" არ არის საგანთა უბრალო დასახელება ან განმარტება. განმარტება საგნის გარკვეული დოგმების ფარგლებში მოქცევაა. განმარტება „უსახური მოქმედებაა", „მოქმედება ხატის გარეშე" („Tun ohne Bild"); განმარტების საპირისპიროდ, „საგანთა თქმა" საგნის ისეთი [illegible] პოეტურ ხატად ქცევაა, რომელიც წარმავალ საგანს „არამომაკვდავად" („Nicht-mitsterbendes"), მარადიულად, „კუნსტდინგად" (ხელოვნების საგნად) აქცევს. საგანთა ასეთი „თქმა" ადამიანის, უფრო ზუსტად, პოეტის, უმაღლესი მისიაა, „მიწის დაკისრებული დავალება", რომლის გვერდით არ არსებობს არაფერი უფრო მნიშვნელოვანი.

საგანთა „თქმის" პრობლემას რილკე განსაკუთრებით მწვავედ აყენებს ბურჟუაზიული ტექნიზაციის პირობებში. ტექნიკური ცივილიზაცია აუფასურებს ადამიანის ხელით, მისი სულის მონაწილეობით შექმნილ საგნებს, რომლებშიც ჩაქსოვილია ადამიანის მისწრაფებები და ოცნებები, შესისხლხორცებულია წინაპართა ფიქრები და იმედები, აუფასურებს და მათ სუროგატებით, ფსევდოსაგნებით („Schein-Dinge") ცვლის. ტექნიკის ეპოქა არ იცნობს „ტაძრებს" („Tempel") — „გულის ამ სიუხვეებს". იგი გრანდიოზული მასშტაბების საგნებს ქმნის, მაგრამ ეს საგნები უსულო მანქანის მიერ „შეთხზული" რაციონალური კონსტრუქციებია. ნამდვილი „ლარები"[2] ლირიკულობის მქონე საგნები გაქრობის გზაზეა დამდგარი. თანამედროვე ადამიანის წინაშე დგას ამოცანა გადაარჩინოს ეს „ოდესღაც სათაყვანებელი საგნები", რომლებიც ადამიანის გულის სითბოთია გამთბარი.

სამყაროს ჭეშმარიტი გარდამქმნელის სიმბოლო რილკესათვის ორფეოსია[3], რომლის მითიურ სახეს იგი თავისებურად იაზრებს „ორფეოსისადმი მიძღვნილ სონეტებში", რითაც ორფეოსის ახალ მითს ქმნის. ორფეოსული მითის ის მოტივი, როგორიცაა ორფეოსის სიმღერის ძალა ზესკნელსა და ქვესკნელზე, რილკესათვის ამოსავალი წერტილია პოეტის დანიშნულებასა და სიკვდილ-სიცოცხლის სფეროთა ერთიანობაზე მისი იდეების ხორცშესასხმელად.

რილკეს ორფეოსი არა ნახევარღმერთი, არამედ ღმერთია. რა აძლევს ორფეოსს ღმერთობას? სიმღერა (Der Gesang); ორფეოსი „მომღერალი ღმერთია" („der singende Gott"), რომლისთვისაც „სიმღერა ყოფიერებაა" („Gesang ist Dasein"). ორფეოსი „განდიდებისათვისაა" ამქვეყნად მოსული („ein zum Rühmen Bestellter"). იგი თავისი ჯადოსნური სიმღერით განადიდებს სამყაროს და გარდაქმნის მას.

როცა ორფეოსი მღერის, სულიერი და უსულო საგნები მის ირგვლივ მოდიან და ტრანსფორმაციას განიცდიან: ქვა იძენს სმენის უნარს, ხე იზრდება და იქცევა ტანწერწეტა „ხედ ყურში". ორფეოსი „ტაძარს" აგებს ცხოველთა სმენის [illegible]ში. ორფეოსის სიმღერის გარდაქმნის სასწაული მოქმედება.

სამყაროს ორფეოსული განდიდება „წმინდა მთელს" („das heile Ganze") — სიკვდილ-სიცოცხლის ორივე სფეროს მოიცავს. განდიდებისა და გარდაქმნის ისეთი ხელოვნე-

---

[1] R. M. Rilke. Briefe aus den Jahren 1921—1926, Leipzig, 1936. S. 334—335.

[2] „ლარები" — ძველ რომაულ მითოლოგიაში ოჯახის მფარველი ღმერთები. რილკეს ენაზე „ლირიკული საგნები" („lyrische Dinge") ის საგნებია, რომლებშიც, როგორც ძველთა [illegible]ში, დაცულია საგანთა ჰუმანური და ლირიკული აზრი.

[3] ორფეოსის სახე რილკესთან სხვადასხვა ასპექტშია დანახული. ზემოთ განხილულ ლექსში „ორფეოსი, ევრიდიკე, ჰერმესი" იგი [illegible] არის წარმოდგენილი, ლექსთა ციკლში „ორფეოსისადმი მიძღვნილი სონეტები" [illegible] ჭეშმარიტი პოეტის მარადიული ხატია.

ლება, როგორსაც ორფეოსი აღწევს, იმითაა განპირობებული, რომ იგი ნაზიარებია მკვდართა სამყაროს. მას ზესკნელ-ქვესკნელის „ორივე საუფლოში“ („im Doppelbereich“) მიუწვდება ხელი. ჰადესის კართან მდგარი ორფეოსი „მკვდრებსაც უწვდის დიდებული სიმღერებით სავსე თასს“. რილკეს ორფეოსი სიკვდილ-სიცოცხლის სფეროთა ერთიანობის უმაღლესი სიმბოლოა.

მითიურ ორფეოსთან ერთად ერთიანობის სიმბოლოებია ნაყოფი და ყვავილი (Frucht, Blume). ნაყოფს, ყვავილსა და სიკვდილს შორის ურთიერთმიმართებაა. [illegible] ლი მიწიდან მოდიან, რომელიც იმავე დროს მკვდართა ადგილიცაა, რადგან მკვდრებს „ფესვებთან სძინავთ“ და საკუთარი წვენით ასაზრდოებენ მიწას. ნაყოფი, რომელიც მიწის „სიბნელიდან“ და, ამდენად, მკვდართა საუფლოდან მოდის, თავის თავში აერთიანებს სიკვდილსაც და სიცოცხლესაც. ამ ერთიანობას ჩვენ ფიზიკურად ვგრძნობთ ნაყოფის ჭამისას: დამჭკნარი „სავსე ვაშლი, მსხალი თუ ხურტკმელი“ სიკვდილ-სიცოცხლის სფეროთა ერთიანობის „გვეუბნება“, როცა მათ სიტკბოს შევიგრძნობთ პირში.

სიკვდილ-სიცოცხლის სფეროთა ერთიანობის სიმბოლოთაგან რილკე განსაკუთრებით ვარდს გამოჰყოფს. ვარდისადმი პოეტის გამორჩეული დამოკიდებულება ჩანს საფლავის ეპიტაფიაში:

„Rose, oh reiner Widerspruch, Lust,
Niemandes schlaf zu sein unter soviel
Lidern“ (SW. 2, S. 185).
(„ვარდო, ო წმინდა წინააღმდეგობა, სიხარული,
შეუძლებელია ვინმეს ძილი ამდენ ქუთუთოს ქვეშ“)

ვარდი, როგორც ყვავილი, საერთოდ, რილკესათვის „წმინდა ყოფიერების“ („Das reine Dasein“) მეტაფორაა. ვარდის ყოფიერება სავსებით სხვა ყოფიერებაა. მას „მარადიული ბავშვობა“ ხვდა წილად, რომელთანაც ადამიანს კავშირი აქვს გაწყვეტილი შეგნებული არსებობის შეძენით. ვარდის სანიმუშო თვისებაა „უხმაურო“ („lautloses Leben“), არადანაწევრებული, „მთელი“ არსებობა. „ვარდი მხოლოდ თავისი თავის შემცველია“ („nur sich erhaltend“). შეიცავდე საკუთარ თავს, რილკეს ენაზე ნიშნავს სამყაროს მოვლენები და საგნები შეისისხლხორცო და „გარდაქმნა“. ვარდს შესწევს ასეთი გარდაქმნის უნარი. იგი „წვიმასა თუ ქარს, საღამოს ბინდსა თუ ღრუბლის ქულების ცაში ნავარდს, გაზაფხულის მოთმინებასა თუ შორეულ ვარსკვლავთა ციმციმს“ შეიწოვს და „საკუთარ ბედისწერად“ აქცევს იმით, რომ თავდავიწყებით იხსნება და იშლება და არ წუხს, რომ „უსასრულო გაშლა“ („Aufgehen ohne Ende“) ჭკნობასთან — სიკვდილთან აახლოებს.

ვარდის უდიდესი უპირატესობა ის არის, რომ იგი არ არის მარტო ამქვეყნიური საგანი. იგი „ორივე საუფლოს“ — ქვესკნელ-ზესკნელის, სიკვდილ-სიცოცხლის სფეროთა ბინადარია, რადგან „მკვდართა მიწიდან იზრდება“. მისთვის ცნობილია „ყოფნა-არყოფნის გამოუთქმელი ერთიანობა“ (ვარდს ორფეოსის მსგავსი სრულყოფილი ექსისტენცია მიეწერება). ვარდის „წმინდა წინააღმდეგობა“ ის არის, რომ იგი ერთსა და იმავე დროს ამქვეყნიურიცაა და იმქვეყნიურიც, რომ იგი ამქვეყნიური სიხარულის საგანიცაა და როგორც მკვდართა სამყაროს ნაწილი, მკვდრებსაც შეიცავს თავში [1].

რილკეს ეპიტაფია კიდევ ერთი ცდაა სიკვდილ-სიცოცხლის სფეროთა ერთიანობის გამოსახატავად, რომლის უარყოფაც, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შეზღუდულობა იქნებოდა, რაც გამორიცხავდა ყველაფერ უსასრულოს. სიკვდილი სიცოცხლის მხოლოდ ჩვენგან შებრუნებული, ჩვენთვის უხილავი მხარეა და ჩვენ უნდა შევეცადოთ მივაღწიოთ ყოფიერების უმაღლეს ცნობიერებას, რომელიც ორივე განუყოფელ სფეროში იქნება შინ და ისაზრდოებს ორივეს დაუშრეტელი წყაროთი... ჭეშმარიტი ცხოვრება ორივე სფეროს

1 ეპიტაფიაში ვარდის ფურცლები თვალის ქუთუთოებთან შედარებული. გერმანული სიტყვა „Das Lid“ — „ქუთუთო“ ჟღერადობით მოგვაგონებს სიტყვას „Das Lied“ — „სიმღერა“. რადგან „Lider“ — „Lieder“-ის ასოციაციას იწვევს, ეპიტაფიის ბოლო სტრიქონი ასეც შეიძლება წავიკითხოთ: „შეუძლებელია ვინმეს ძილი ამდენ სიმღერას ქვეშ“.

მოიცავს, სისხლის მიმოქცევის დიდი წრე ორივეს წვდება: არ არსებობს არც ამქვეყნიურობა და არც იმქვეყნიურობა, არსებობს მხოლოდ დიდი ერთიანობა!"[1]

რილკეს შემოქმედების ტენდენცია, არ დაუპირისპიროს ერთმანეთს სიკვდილ-სიცოცხლე როგორც ორი მტრული საწყისი და სიკვდილი „მიწის წმიდათაწმიდა ჩანაფიქრად" მიიჩნიოს, სიცოცხლისადმი უდიდესი დასტურობაა, აღიარება იმისა, რომ „აქ ყოფნა დიდებულია" („Hiersein ist herrlich").

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რილკე სიკვდილს მშვიდად არ ღებულობს. მისთვის წარმავლობის აზრი მტანჯველი და შემაშფოთებელია და ეს შეშფოთება ბევრ მის პოეტურ ქმნილებას ელეგიურ ტონს აძლევს. მაგრამ იცხოვრო ნამდვილად, სრულად, ნიშნავს იტანჯო, ტანჯვა და მწუხარება (Des Leid) არსებობის საფუძველია.

ადამიანი, ჩვეულებრივ, ცდილობს აიცდინოს ტანჯვა, იგი „ფლანგავს" მას, რადგან ვერ ხედავს მასში დაფარულ სასიკეთო შესაძლებლობებს. ადამიანს ტანჯვა და მწუხარება არაბუნებრივად მიაჩნია და თვლის, რომ იგი ცხოვრებას გარედან ეტმასნება, ცხოვრების არსი მას მარტო ბედნიერება ჰგონია. თანამედროვე ცხოვრებაში მთელი „ნუგეშის ბაზარია" („Der Trostmarkt"), იაფი გასართობებით შექმნილი. რას არ ნახავს აქ კაცი! „თავისუფლების საქანელას" და „ენთუზიაზმის ჯამბაზებს", ბედნიერებით მოოქრულ ტირს, სადაც მოხერხებული მსროლელი აღწევს მიზანს; სხვადასხვა წალილის ფარდულებს, რომლებიც სენსაციებად ცემენ დაფდაფებს და გამვლელებს იწვევენ; აქ ადამიანს უკვდავების მომნიჭებელ ლუდსაც სთავაზობენ წარწერით: „Todlos". „ნუგეშის ბაზარზე" ყველაფერი ყალბია. იგი თვალს უხვევს ადამიანს და მწუხარებას ცრუ, უღიმღამო ნუგეშით უცვლის, იმ დროს, როდესაც ტანჯვა და მწუხარება ბედნიერებისა და სიხარულის მეორე მხარეა, მთელის ორგანული ნაწილია. რილკეს მეტაფორულ ენაზე მწუხარება ჩვენი ცხოვრების „მარადმწვანე ფოთოლი" („winterwähriges Laub"), ჩვენი „ნავთსაყუდელია". იგი, როგორც სიკვდილი, ცხოვრების მამოძრავებელი ძალა, სამყაროს გარდაქმნის აუცილებელი წინაპირობაა, ადამიანის წინსვლის საწინდარია. „მწუხარე ბადებს ნეტარ წინსვლას" („seliger Fortschritt") — ვკითხულობთ პირველ დუინურ ელეგიაში, რომელიც მოულოდნელად ლინოსის მითით მთავრდება, რაც, ერთის შეხედვით, თითქოს არ ესადაგება ამ ელეგიის მთავარ თემას. ფაქტიურად მითის ტრანსკრიპცია სიკვდილ-სიცოცხლისა და მწუხარება-სიხარულის რილკესეული გაგების ილუსტრაციაა.

ლინოსი ბერძნულ მითოლოგიაში ღვთაებრივი მომღერალია; რომელიც მითის ზოგი ვარიანტის მიხედვით აპოლონის შურიანობის მსხვერპლი გახდა, მაგრამ რილკე ელეგიაში არ ეხება ლინოსის მომაჯადოებელ მუსიკას. იგი მახვილს აკეთებს მოთქმა-გოდებაზე („Die Klage"), მწუხარებაზე, რომელიც ლინოსის უდროო გარდაცვალებამ გამოიწვია. ამ მოთქმამ გამსჭვალა „შეშინებული" სივრცე, სიცარიელე, რომელიც ჭაბუკის წასვლამ დატოვა, შეირხა და ხმატკბილ ჰანგად იქცა, რომელიც დღესაც „გვხიბლავს, გვანუგეშებს და გვშველის".

მწუხარებიდან სიმღერის, მუსიკის სიხარული იშვა.

ელეგიის ბოლო სიტყვებს „გვანუგეშებს და გვშველის" — სიმღერა, პოეზია (ხელოვნება, საერთოდ) ჩვენის სიმაღლემდე აჰყავს. რილკესავე სიტყვებით ჩვენთვის დღემდე ამოუცნობი რჩება სიკვდილის დიდი საიდუმლოება; ერთადერთი ჭეშმარიტი, რაც ამქვეყნად „ზეიმობს", ორფეოსის, პოეტის სიმღერაა, რომლის ძალასაც რილკე სამყაროს სულიერ ხსნასა და გადარჩენას მიაწერს.

□

[1] R. M. Rilke. Briefe aus den Jahren 1921—1926, Leipzig, 1936, S. 333.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჯარჯი ფხოველი

## ასი წლის ტუდორ არღეზი

„არღეზი — ლექსის ჭეშმარიტი ნოვატორი, მეტაფორის დიდოსტატი", — ეს სიტყვები ჩვენი დროის დიდ პოეტს სალვატორე კვაზიმოდოს ეკუთვნის, ტუდორ არღეზის ლექსთა იტალიურად მთარგმნელსა და კომენტატორს.

ტუდორ არღეზის წინააღმდეგობრივი, სულიერი ზიგზაგებით აღბეჭდილი ბიოგრაფიის ანარეკლია მისი უზარმაზარი პოეტური მემკვიდრეობა, სადაც ბუნებრივად ენაცვლება ერთიმეორეს როგორც რუმინული ლიტერატურის, ისევე მთელი ევროპული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება.

* *

ფაქტები პოეტის ბიოგრაფიიდან: დაიბადა ბუქარესტში 1880 წლის 21 მაისს, ოლტენიის მხრიდან ჩამოსახლებული გლეხის ოჯახში. თექვსმეტი წლისამ გამოაქვეყნა პირველი ლექსები იონ ტეოს ფსევდონიმით (პოეტის ნამდვილი გვარ-სახელია: იონ ტეოდორესკუ). ამის შემდეგ იწყება ხანგრძლივი ლიტერატურული ცხოვრება: აქვეყნებს ლექსებს, პუბლიცისტურ სტატიებს, ფელეტონებს, პროზაულ ქმნილებებს... პოეტი გარდაიცვალა 1967 წლის 14 ივლისს.

* *

არღეზის ლირიკის მედიტაციური და ინტიმური წიაღი ბუნებითი მშვენებითაა გამორჩეული, რაც პოეტური სიმართლის ერთგულებაში ვლინდება. ბუნებრიობა და უშუალობა ამ პოეზიის სიმართლის ფერიცვალებასა და სიმძიმეს რომ ანიჭებს, აქცევს მას აღმაფრენური ჭმუნვისა და სიხარულის მოზარედ და მოზიარედ.

ჭეშმარიტ ლექსში ხალხის ისტორიის დიდი მდინარის წვეთები კამკამებენ ხოლმე. ისტორიის დიდი მდინარის წვეთებითა თუ შხეფებით დროის გლუვი და ბუნდოვანი ქვიშის გადაღმიდან პოეზია შემოგვაფეთებს ცოცხალ სურათებსა და ჰასიერებს წარსულისას, სინედლითა და სინათლით აღბეჭდილ მომენტებს კაცთა ცხოვრებისას.

„გაპარტახებულ სავანეში დღეს სულ ერთია,
რომ ეხვეწები — მიპასუხე,
ვის ეძახი ნეტავ?
უკუნეთია, ამაზრზენი უკუნეთია,
ჩუ, ნუთუ შენი ხმა ისმის, დედა?!
იქ, სამარეში იმალება წარსულის ნაშალი,
და მიდუმარება გარდასულ დღეთა,
დაკარგულია ყოველივე ამ უღრან ღამით,
დაკარგულია დღეც შენთან ერთად".

ბინდმოხვეული გარემო სამშობლოსი და იდუმალი, მარტოსულობის განწყობილება — თითქოს გარდაცვლილი დედის სამარეში განისვენებდეს ყოველივე, რაც კი პოეტს მოუხილია თავისი ცხოვრების გზაზე და გზის ნაპირებზე. სიმარტოვის დაგუბებული ხმა: დუმილი, და ამ დუმილში უცბად:

„ეს ვინ ედგინება ცხრაულ მიწას,
ვინი, როგორც ჩქაბრული ლანდი,
რისთვის მოხვედი, კარს რატომ აღებ,
ოცი წელია ბრაგინ დიდის
ამ უსაცოცხლო მდუმარებაში“...

და ვგრძნობთ, რომ ბინდმოხვეული სამშობლოს გუნებზე მაინც [illegible] შეიძლება, რომ პოეტი გესაუბროს, ვისთვისაც ტკივილის გაღვიძება [illegible] და უნდა ილოცოს.

„ქვეყნი, ვინ ხარ, ვინ ხარ მაგრამ,
მიტოვებული და უსახლკარო,
რად მიკაკუნებ მარტოდმარტო,
ამ მიყუჩებულ ტკივილს — დაფარულს,
რისთვის მიღვიძებ, მაუსაფაროს?“...

არგეზი გვეუბნება, რომ ადამიანის უწმინდესი ვალია მოყვასთათვის „კარის გაღება“ — გამეღდარება. გაშალე კარი, გაშალე კარი და შემიფარე“... ის გვარწმუნებს, რომ პოეზიის მისიათა შორის უპირველესია ადამიანში ადამიანურობის ნაღალი საწყისების გაღვივება და ზრდა...

ამ გზით, ამ ღვთიურ ვალს გვახსენებენ არგეზის „ფსალმუნები“, სადაც ერთიმეორეს ერწყმის ღვთისმოშიში ადამიანის ტკივილიანი, მაგრამ მტრიალი ვნება და უხილავის ღრთის შრიალის გაგონების მოწადინე გონის მდუმარება — უწმინდესი სიმშვიდით სავსე პოეტური სტიქიონი.

„შენ გამომძერწე, ხახაცოცხლო ხელით მაამბერი...
შენ მასწავლიდი, უხილავო,
საწყალს თავადან.
ჩაკვდილს ამარცხებს საიდუმლო დასაბამიდან
გულისძგას ცრემლების ოკეანე შემომაბარე...
დღეისაწყალზე მაწიწვი,
შემიყვარე მდუმარი,
[illegible] — [illegible]
რომ ვერ სტუმარ“...

სიყვარულის დამმარცხებელი სიყვარულია ის საძირკველი, რომეც დაფუძნებულია ტუდორ არგეზის დიდი და მრავალმხრივი შემოქმედება.

* *

წელს სრულდება ასი წელი ტუდორ არგეზის დაბადებიდან. დიდი რუმინელი პოეტის შემოქმედებას ქართველი მკითხველი უკვე გაეცნო გივი ალხაზიშვილის მიერ შესრულებული თარგმანებით, რომლებიც არგეზის იუბილესთან დაკავშირებით ცალკე წიგნად გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“ (ტუდორ არგეზი. გარდასახვა. 1979 წ.). წიგნში არგეზის ოცი ლექსია წარმოდგენილი.

ეს მცირე წერილიც სწორედ ამ კარგი წიგნის წაკითხვამ დამაწერინა. ჩემის აზრით, ტუდორ არგეზის შემოქმედებას ქართველი მკითხველი უფრო სრულად უნდა გაეცნოს. კარგი იქნება თუ მთარგმნელი კარგად დაწყებულ საქმეს კვლევაც გააგრძელებს.

□

მხატვრული რედაქტორი გ. წერეთელი. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი

გადაეცა წარმოებას 25/III-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/V-80 წ. ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}/_{16}$. ხაალი. საგამომ. თაბახი 19,35. ნაბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 440

**ფასი 1 მან.**

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების“ კომბინატი. მარჯანიშვილის ქ. № 5.

**Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.**



თეა კაიშაძე. სამაია. 9 წ., 1 ექსპ. სკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლაშა ჭუმბურიძე. მე და ჩემი დაიკო
8 წ., ონის 2-ე საშ. სკ.



ვლადიმერ აბდუშელიშვილი. მზესუმზირა
10. წ., საჩხერე, ქორეთის საშ. სკ.



მარინე კიკაბიძე. თოვლია ბაბუა
6 წ., 147-ე საშ. სკ.



მაია შახნაზარი. ვესნა. 7 წ., 53-ე საშ. სკ.

76132

